780
1981/3

ცოცხალი

1981

5



ISSN 0134-0848



ᲓᲐᲕᲘᲗ
ᲒᲐᲠᲑᲐᲩᲐᲫᲔ
ᲡᲘᲠᲘᲪᲔᲚᲘ

ᲐᲠᲜᲝᲖᲘ

ᲐᲠᲜᲝᲖᲘ

სეუნჯე

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

ერეკლეს
ბიბლიოთეკა

5
(44)

სექტემბერი
ოქტომბერი
1981

შინაარსი

ჩინგიზ აიტმატოვი. და დღე იყო უფრო ვრძელი ფუ-
ტისაზე. რომანი. დასაწყისი. თარგმნა რეზოდან
ჭეიშვილაძემ 3

ვასილ შუკშინი. ეროტიზმები. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 141

ვლადიმერ სოკოლოვი. ლექსები. თარგმნა
ნიკო რეხვიაშვილმა 161

ფრანც კაფკა. პროცესი. რომანი. დასაწყისი. გერმანულიდან
თარგმნა ნელი ამაშუკელმა 187

ანტონ ჩეხოვი. არიადნა. მოთხრობა. თარგმნა თამაზ კეკიანმა 241

მიხაილ როშჩინი. ივლისი. მოთხრობა.
თარგმნა მარუკა ცეცხლაძემ 261

ივან ფრანკო. ბერკუტი. თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ 282

შერვუდ ანდერსონი. ნეტა ვაცოდინა. მოთხრობა. ინგლი-
სურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა 284

პეტერ ალტენბერგი. პროდროომოს. გერმანულიდან თარგმნა
გიორგი მაჭუტაძემ 292

გიორგი გოგოხური. პერსონაჟის ეროტიული პორტრეტი
და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში 303

ინგა კაპაძე. გეორგ თუ ჯორჯ. 315

გაიანე ალიბეგაშვილი. დავით კაკაბაძე 319

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე
პ. მგ. მდივანი:
ნანა დარჩია
სარედაქციო კოლეგია:
მზია ბაძრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ კაკაბაძე
მაგალი თოდუა
მიხეილ კვესელავა
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო უიასაშვილი
თამაზ ჩხენკელი
დავით ფერედიანი

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ
№ 5.
1981

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

გარეკანზე: **დავით კაკაბაძე.** ავტოპორტრეტი

მხატვრული რედაქტორი **გ. წერეთელი.** მხატვარი **ა. ყართაგავა.** ტექრედაქტორი **რ. იმნაიშვილი.**

გად. წარმ. 13. 7. 81 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 30. 10. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საალრ. თ. 24. დაყვ. სასტ. თ. 28 0. საღებავის გატ. 29,4. ტირ. 10.000. შეკვ. № 1899.
ფასი 1 მან.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. 380008. ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина № 14.

ჩინგიზ აითმატოვი

და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა რუსუდან ძეგულაძემ

17155

წიგნი ესე — არს მაგიერი ჩემი სხეულის,
სიტყვა ესე — არს მაგიერი ჩემი სულისა...

გრიგორი ნარეკაცი „წიგნი ემუნვიხა", X საუკუნე

I

ადი მოთმინება სჭიროდა ამ გადამხმარ ლრანტეებსა თუ დახრუკულ-გაქუცულ ხევხუვებში საკბილოს ძებნას. მელაც ხან სუნსულ-სუნსულით მისდევდა ბაწია, მიწაჩიჩქნია ნადირის რეტის დასხმამდე დახვანჯულ, ფაცაფუცა ნაკვალევს, ხან გამწარებით თხრიდა და თხრიდა ზაზუნას სოროს, ხან კიდევ ძველი ნაღვარევის ზროს ქვეშ მიმალული, ელოდა, როდის გამოხტებოდა ლია ადგილზე ერთი ციცქნა მიწის კურდღელი, თათი რომ დაეკრა და მიწაზე გაებრტყელებინა. ასე ნელინელ და შეუპოვრად მიიწევდა მშიერი მელა იმ ლარივით გაჭიმულ, შავად მზირალ მიწაყრილის ზოლისკენ, რომელიც თან აფრთხობდა და თან იზიდავდა. ზათქით, ზრიალით დაგრიალებდნენ იქ მატარებლები, აზანზარებდნენ ირგვლივ მიდამოს და მათგან დარჩენილ კვამლსა და ხრაკს შერეულ, ფრიად გამალიზიანებელ ნაირ-ნაირ სურნელს ქარი მორეკავდა, ქარი მოაქანებდა მერე მიწა-მიწა.

შებინდებისას სატელეგრაფო ხაზის შორიახლო ხევში გაწვა მელა, იქ ხშირი და მაღალი, ძირშემხმარი ღვალო აყრილიყო. შავწითელა თესლით დახუნძლულ ღეროებთან მოწითლო-მოყვითლო გორგლად მოიკეცა და დაღამების მოლოდინში ქვენა ქარის ზუზუნს აყურადებდა მქისედ მოშრიალე მკვდარ ბალახებში. მოსაბეზრებლად ზუოდნენ ტელეგრაფის ბოძებიც, თუმცა ისინი საშიში არ იყვნენ, დღენიადაგ ერთ ადგილს დარჭობილიყვნენ, უკან არავის მისდევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დროდადრო ჩავლილ მატარებელთა გამაყრუებელ გრიალზე კი უნებურად მთელი ტანით კრთოდა და იძაბებოდა. მალალი სხეულის ნეკნებითაც კი გრძნობდა მატარებლის აზრიალებულ ქვედას წყალობით, რა შემზარავი ძალისა იყო მისი დამთრგუნველი სიმძიმე და გაშმაგებული მოძრაობა. თუმცა მაინც სძლევდა შიშსა და ზიზღს ამ უცხო-უცხოელებისადმი, ფენს არ იცვლიდა, იმ ჟამს ელოდა, თავისეულს, როცა ლიანდაგებზე სიმშვიდე გამეფდებოდა.

აქაურობას ძალზე იშვიათად აკითხავდა ხოლმე, აკითხავდა მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი მეტისმეტად შეაწუხებდა.

ჩაივლიდნენ მატარებლები და ტრამალზე უეცარი სიჩუმე ისადგურებდა, როგორც ზვავის ჩამოწოლის შემდეგ. ამ სიჩუმეში კი რაღაც გაურკვეველი, მოდარაჯე ჩქამი ესმოდა, ბინდში გახვეულ ტრამალზე რომ სადღაც მაღლით ფრენდა ჰაერში და არა საგანსა და არა სულდგმულს არ ეკუთვნოდა. ეს ჰაერის ნაკადთა თამაში იყო, ეს ამინდის მალიად შეცვლას მოასწავებდა. მხეცი გუმანით გრძნობდა ამას, სიმწრით ქვავდებოდა, ერთი სული ჰქონდა მთელი ხმით ეყმუვლა, რაღაც საყოველთაო უბედურების გაურკვეველი წინათგრძნობით ატანილს. მაგრამ შიმშილი ბუნების ამ გამაფრთხილებელ ძახილსაც აშთობდა.

ასე იწვა მელა, დაბეჟილ თათისგულებს ლოკვით იამებდა და მხოლოდ ჩუმ-ჩუმად წკმუტუნებდა.

ამ დღეებში მიმწუხრისას უკვე ციოდა, შემოდგომა ახლოვდებოდა. ღამ-ღამობით სწრაფად ეცლებოდა მიწას სითბო და ალიონზე ტრამალს მლაშობის ღარად მოთეთრო უდღეური ჭირხლი გადაეკვროდა. მალე დადგება დუხჭირი, გაუხარელი ხანი ტრამალის ნადირისათვის. ზაფხულობით ისედაც ცოტა იყო ამ მხარეში ნადირი, ახლა კი სულ აღარ ჰაჰანებდა — ვინ სად გადაიხვეწა, ზოგმა თბილ ქვეყნებს მიაშურა, ზოგი სოროში შეძვრა, ზოგმა ქვიშნარებში დაიდო ბინა, ახლა ყველა მელას თავისით უნდა ეძია საჩრო, კიკოსავით ეძუნძულა ტრამალში, თითქოსდა პირწმინდად ამომწყდარიყო ქვეყნად მელების მთელი მოდგმა. იმ წლის ლეკვობა უკვე დაიზარდა და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა, ხოლო მძუნაობის ჟამი, როცა მელიები ყოველი მხრიდან მოეშურებიან ხოლმე ახალ-ახალი შეხვედრებისათვის, როცა ხვადები ისეთი ძალით დაერევიან ერთმანეთს, რა ძალაც ქვეყნიერების დასაბამიდან მიმადლებია სიცოცლეს, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო...

დადგა ღამე და მელაც გამოიძურწა ხევიდან. ერთხანს იდგა დაყურადებული და მერე რკინიგზის მიწაყრილისკენ გაცუხცუხდა. უხმაუროდ გადარბოდა ლიანდაგიდან ლიანდაგზე, აქ ეძებდა მგზავრების მიერ ფანჯრებიდან გადმოყრილ საჭმლის ნარჩენებს. დიდხანს იძუნძულა ასე ფერდო-ფერდო, დიდხანს ყნოსა გამალიზიანებელი თუ გულისამრევი ამბრის მქონე რამერუმეები, ვინემ ცოტაოდნავ სახეიროს წააწყდებოდა. მატარებლების მთელი სავალი გზა ქაღალდის ნაფხრეწებს, დაჭმუჭნილ გაზეთებს, დამტვრეულ ბოთლებს, პაპიროსის ნამწვებს, დაჭყლეტილი კონსერვის ქილებსა თუ სხვა უვარგის ნაგავს მოეფინა. მეტადრე საზიზღრად ჰყარდა დამტვრევას გადარჩენილი ბოთლების ყელი, ბანგის სუნი მოდიოდა მათგან. მას შემდეგ, რაც ორჯერ დაეხვა თავბრუ, მელა აღარც გაჰკარებია, აღარც უსუნთქავს ეს სპირტიანი ჰაერი, მყისვე ფრუტუნით გახტებოდა ხოლმე განზე.

ის, რაც სჭიროდა, რისთვისაც ამდენი ივაივაგლახა, რის გამოც დაორგუნა და ჩაიკლა შიში, თითქოს მის ჯიბრზე აღარსად ჩანდა. მაგრამ საკბილოს შოვნის იმედი შეუჩერებლივ მიარბენინებდა რკინიგზაზე და წარამარა მიწაყრილის გალმა-გამოლმა აშლიგინებდა.

ანაზდად მელა გაილურსა, წინა თათი ზევით ასწია, თითქოს რაღაცა იყნოსა. აჩრდილივით უძრავად იდგა რელსებს შუა, გეგონებოდა, ნისლიდან მზირალ მაღლა მდგარ მთვარის ჩალისფერ შუქს შერთვიაო. შორეული გუგუნის ხმა, ყურები რომ დააცქვეტინა, არა და არ ქრებოდა, ჯერ კიდევ კარგა შორს იყო. კუდი გვერდზე მოიგდო, ყოყმანით იცვალა ფეხი მელამ, გზიდან გაცლა დააპირა, მაგრამ ნაცვლად ამისა ანაზდად აწრიალდა, ფერდოებზე შლიგინს მოჰყვა, კიდევ არ წარკვეთოდა იმედი, რამეს მაინც წავაწყდებიო. გუმანი კარნახობდა — სადაცაა საკბილოს ნახავო, თუმცაღა შორიდან უკვე განურინებლად მოეჭანებოდა თანდათან მოძალებული რკინის ღრჭიალისა და ასეულ ბორბალთა რახრახის მრისხანე ხმა. მელა რაღაც წამით შეყოვნდა, მაგრამ ეს წამი საკმარისი გამოდგა, რეტდასხმულ ფარვანასავით აწრიალებულიყო, როცა მოსახვევიდან გზა გასერა შეწყვილებულ ლოკომოტივთა ახლო თუ შორეულმა სინათლემ, როცა მძლავრმა პროჟექტორებმა გააჩახჩახეს წინმდებარე მიდამო, წამიერად გადაათეთრეს ტრამალი და ულმობლად აშიშვლეს მისი მკვდარი ნიადაგი. მატარებელი კი შემმუსვრელ ძალით მირახრახებდა რელსებზე. ჰაერში ხრაკის მძაფრი სუნი და მტვერი დატრიალდა, ქარმა დაქშუვლა.

მელა მოწყდა ადგილს და კისრისტეხით მოჰკურცხლა, წარამარა უკან იხედებოდა, შიშით მიწას აკვდებოდა. ურჩხული კი დიდხანს მიქროდა შუქის ბრდღვიალით, დიდხანს, დიდხანს მიგრიალებდა ბორბლების რახრახით. მელაც წამოხტებოდა და ხელახლა გარბოდა, გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა...

მერე, როგორც იყო, მოითქვა სული. მოითქვა და ისევ უკან, რკინიგზისკენ გაუწია გულმა შიმშილის დასაოკებლად, მაგრამ წინ ისევ აბრდღვრიალდა შუქი. ისევ გამოჩნდა შეწყვილებული ორთქმავლები. დატვირთულ ვაგონთა მწკრივი.

მაშინ გადაწყვიტა შორით მოევლო ტრამალი და იმ ალაგას გამოსულიყო, სადაც მატარებლები არ დადიოდნენ...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გალმა-გამოლმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე — სარიოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმართვებით იზომებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიგრიალებდნენ.

შუაღამისას ვილაც დიდხანს, ჯიუტად მოისწრაფოდა მეისრის ჯიხურისაკენ, ჯერ იყო და ლიანდაგ-ლიანდაგ, მერე, წინ მომავალი მატარებლის გამოჩენისას, მიწაყრილის ფერდო-ფერდო; მოაბიჯებდა ხელებაფარებული, თითქოს ქარბუქი ყოფილიყო, თუმცაღა ქარი და მტვერი ჩქარ საბარგო მატარებელს აეყენებინა (ამ ლიტერის მატარებელს მწვანე გზა ჰქონდა ხსნილი — იგი სა-

განგებო დანიშნულებისა იყო და შემდეგ სარი-ოზეკ-I-ის დახურული ზონის ცალკე შტოზე გადავიდოდა —იმათ იქ თავისი სალიანდაგო სამსახური ჰქონდათ — ხოლო იქიდან კოსმოდრომისკენ გასწევდა, ერთი სიტყვით, იმიტომაც იყო ერთიანად ბრეზენტით შეფუთული, ბაქნებზე კი სამხედრო ყარაული იდგა). ედიღეიმ უმალ იაზრა, რომ ცოლი მოისწრაფოდა მისკენ, მოისწრაფოდა რაღაც საჭირბოროტო საქმეზე, თორემ ისე არ წამოვიდოდა. ახლაც გამოდგა. მაგრამ ბოლო ვაგონის ჩავლამდე ედიღეი ფეხს ვერასგზით ვერ მოიცვლიდა. ოდა, როცა მან და კონდუქტორმა ფარნებით ამცნეს ერთმანეთს, გზად ყველაფერი რიგზეაო, მაშინღა მობრუნდა და, ტვინისწამღები ხმაურისაგან ლამის დაყრუებულმა, მოახლოებულ ცოლს უთხრა:

— რა მოხდა?

ქალმა შიშით შეხედა და რაღაც თქვა. ედიღეიმ ვერ გაიგონა, მაგრამ მიხვდა კია —ასეც ეგონა.

— წამო, აქ ქრის, — ედიღეიმ ცოლი ჯიხურში შეიყვანა.

ვინემ ცოლი იმას ეტყოდა, რაც თავად გულმა უაზრა ედიღეის, იმ წუთს სულ სხვა რამ გრძნობამ შეჰზარა: ქალს სწრაფად ევლო და სულს ძლივს ითქვამდა, ხიხინით და ხრინწით სუნთქავდა, გამხდარი მხრები უჩვეულოდ მაღლა აუდიოდა. თუმცა ადრევე ჰქონდა ნაგრძნობი, რომ სიბერემ უკვე უწია, ახლა რატომღაც გული დაეწვა ცოლის გამო. თეთრად შეფეთქილ პატარა ჯიხურში სინათლე ძალუმ ჩახჩახებდა და მკაფიოდ აჩენდა უქუბალას ჩალურჯებულ-ჩაშავებულ ლოყებზე აწ სამუდამოდ დამჩნეული ნაოჭების ღარს (არადა, რა გადატკეცილი ხორბლისფერი პირისკანი ჰქონდა, რა შავი ბრჭყვიალა თვალები), ხოლო ჩავარდნილმა ტუჩ-პირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სიბერეშიაც კი ქალი უკბილოდ არ უნდა დარჩეს (აქამდეც უნდა წაეყვანა სადგურზე რკინის კბილების ჩასასმელად, ახლა დიდი თუ პატარა რომ ატარებს), გადაცურებულ თავშლიდან გამოწეწილმა სულმთლად გათეთრებულმა თმამ კი მწარედ ატკინა გული. „ვაი, რა დამიბერდი“, — შეიცოდა გუნებაში ცოლი და დანაშაულის გრძნობამაც გაჰკენწლა, ამიტომაც უფრო მეტი მადლიერებით აევსო გული იმის გამო, რაც ამ ხნის მანძილზე ერთად განეცადათ, მეტადრე კი იმისთვის, რომ ამ ღამეში არ დაიზარა და ლიანდაგ-ლიანდაგ გამოიქცა რკინიგზის ასაქცევის ყველაზე შორეულ წერტილში, გამოიქცა, რადგან იცოდა, რა დიდ რამეს ნიშნავდა ეს ამბავი ედიღეისთვის, ლიანდაგ-ლიანდაგ გამოიქცა, რათა ქმრისთვის ემცნო საცოდავი ყაზანგაპის სიკვდილი, უპატრონოდ რომ ამოძვრა სული თავის ცარიელ, თიხით შეგლესილ ქოხში; ვინაიდან იცოდა —ამქვეყნად მარტო ედიღეი მიიტანდა გულთან ყველასგან მიტოვებული მოხუცის სიკვდილს, თუმცა მიცვალებული მისი ქმრის არც ძმა იყო და არც ნათესავი.

— დაჯე, სული მოითქვი, —უთხრა ედიღეიმ ჯიხურში შესვლისას.

— შენც დაჯექი.

ორივენი დასხდნენ.

— რა იყო?

— ყაზანგაპი მოკვდა.

— როდის?

— აი, ახლახან შევაკითხე, ვიფიქრე, როგორაა, ხომ არაფერი სჭირდებამეთქი. შევედი, სინათლე ანთია, თავის ადგილზე წევს, ოღონდაც წვერი აუმეერია მაღლა. მივედი ახლოს, ყაზაქე, ცხელ ჩაის ხომ არ ინებებ-მეთქი, ის კი

უკვე აღარაა ამქვეყნად. — უქუბალას ხმა ჩაუწყდა, გაწითლებულ, გამდნარ ქუთუთოებზე ცრემლი მოადგა, წაისლუკუნა და ჩუმად ატირდა. — აი, როგორ დაასრულა წუთისოფელი. არადა, რა კაცი იყო! ვინ იფიქრებდა, რომ თვალის დამხუჭველი არავინ გამოუჩნდებოდა, — იმდუღრებოდა ქალი, — ისე ამოხდებოდა სული... — როგორც უპატრონო ძაღლსო, უნდოდა, ეთქვა. მაგრამ აღარ თქვა უქუბალამ, არ ღირდა იმის თქმა, რაც უთქმელადაც აშკარა იყო.

მოღუშული იჯდა ბურანელი ედიღეი (ასე შეარქვეს ამ მიდამოში ომიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ბორანლი-ბურანის ასაქცევზე დაიწყო მუშაობა), დაკორძილი მძიმე ხელები მუხლებზე დაეწყო, საკმაოდ გაზეთილი და გაცვეთილი რკინიგზელის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. ნეტა რაზე ფიქრობდა?

— ახლა რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? — წაილაპარაკა უქუბალამ.

ედიღეიმ თავი ასწია, მწარე ღიმილით შეხედა.

— როგორ მოვიქცეთ? როგორც ასეთ დროს იქცევიან! უნდა დავმარხოთ, — ედიღეი წამოდგა, ეტყობა, გულში უკვე გადაეწყვიტა ყველაფერი. — შენ ახლავე გაბრუნდი უკან. მანამდე კი მისმინე, რასაც გეტყვი.

— ჰო, გისმენ.

— ოსპანი გააღვიძე. იმას ნუ მიხედავ, ასაქცევის უფროსი რომაა, სიკვდილის წინაშე ყველა ერთნი ვართ. უთხარი, ყაზანგაპი გარდაიცვალა-თქო. ორმოცდათხი წელი იმუშავა კაცმა ერთ ადგილას, ოსპანი ვინძლო დაბადებულიც არ იყო, ყაზანგაპმა რომ აქ მუშაობა დაიწყო. მაშინ აქ, ამ საროზექში ძაღლსაც ვერ მოიტყუებდი. იმდენ მატარებელს ჩაუვლია აქ მის ცხოვრებაში— თავზე თმას ვერ დაითვლი... ჰოდა, მოიფიქროს რამე, ასე გადაეცი. ჰო, აი კიდევ რა...

— ჰო, გისმენ.

— სხვებიც გააღვიძე, ყველას სარკმელზე დაუკაკუნე, რა ბევრი ჩვენა ვართ — რვა კომლი ვიქნებით, თითებზე დავითვლებით... ყველანი ფეხზე წამოყარე. ასეთი კაცი რომ მოკვდება, ძილი რას მიქვია.

— რომ გამლანძღონ?

— ჩვენ შევატყობინოთ და მერე რამდენიც უნდა გვლანძღონ. ჩემზე თქვი. იმან დამავალა-თქო. ნამუსიც კაი საქონელია. დაიცა.

— რა იყო?

— ჯერ მორიგეს შეურბინე, დღეს შაიმერდენია დისპეტჩერად, უთხარი, ასეა და ასე-თქო საქმე, დაე მოიფიქროს, როგორ მოვიქცეთ. ეგებ შემცვლელი მომინახოს ამ ჯერზე. თუ რამე გააბერხა, მაცნობოს. მიხვდი? ჰოდა, ასე უთხარი!

— ვეტყვი, ვეტყვი, — იძახდა უქუბალა და უცებ ენაზე იკბინა, თითქოს ისეთი რაღაც მოაგონდა, რომლის დავიწყება მიუტევებელი იყო. — უიმე, მისი შვილები! აბა უყურე! პირველად იმათ უნდა ვაცნობოთ. მამა მოუკვდათ, სხვა რომ არა...

ედიღეიმ ამ სიტყვებზე უამურად შეჰკრა წარბები, უფრო მეტად მოიქუშა, სიტყვა არ დაძრა.

— რაც უნდა იყოს, შვილი მაინც შვილია, — თითქოს თავი იმართლა უქუ-

ბალამ, თუმცა იცოდა, ედილეის მისი სიტყვები არც მაინცდამაინც ეჯაშნიკებოდა.

— ვიცი, ვიცი, — ხელი ჩაიქნია კაცმა. — გგონია, არ ვიცი? საქმეც ეგაა, რომ მათ გარეშე არ შეიძლება, თორე, ჩემი ნება იყოს, ახლოსაც არ მივუშვებდი!

— ეგ ჩვენ არ გვეკითხება. ედილეი, დაე, ჩამოვიდნენ და თვითონ დაალაგონ. ხომ იცი, მერე ხალხის ყბიდან ვერაფერ ამოვალთ...

— მე რა, ხელს ვუშლი? იდგნენ და ჩამომბრძანდნენ.

— ვაქმა თუ ვერ ჩამოუსწრო ქალაქიდან?

— თუ მოინდომა, ჩამოუსწრებს. გუშინწინ სადგურზე რომ ვიყავ, ჩემი ხელით ტელეგრამა გავუგზავნე, ასეა და ასე. მამაშენი კვდება-მეთქი. მეტი რა უნდა! ბკეის კოლოფად რომ მოაქვს თავი, ხომ უნდა მიხვდეს, ეს რას ნიშნავს...

— თუ ეგრეა, არა უშავს, — გაურკვევლად დაეთანხმა ქალი ედილეის მოსაზრებას, თუმცა რალაც ეეჭვი. ეტყობა, მაინც აწვალებდა — კარგი იქნება, ცოლი ჩამოიყვანოს, რაც უნდა იყოს, მაგაამთილი მოუკვდა...

— ეს უკვე თვითონ გადაწყვიტოს. ამასაც ხომ ვერ ვუკარნახებ. ბალლები კი არ მყვანან.

— ეს, რასაკვირველია. — დაუკრა კვერი უქუბალამ, თუმცა ყოყმანით კი.

ცოლ-ქმარი გაჩუმდა.

— აბა, ხული იყოვნენ, წადი, — მოაგონა ედილეიმ.

მაგრამ ცოლს კიდევ დარჩენოდა საუბარი.

— ამ უბედურმა ითხადამ, მაგისმა ქალმა, სადგურზე რომ ცხოვრობს შვილებითა და იმ თავის გამოუსწორებელი ლოთი ქმრით, იმანაც ხომ უნდა ჩამოახსროს.

ედილეის უნებლიეთ გაეღიმა, ცოლს მხარზე დაჰკრა ხელი.

— აბა იქითქოთე ახლა შენებურად ყველაზე... ითხადა აგერ ყურის ძირშია. დილას ვინმე გაუელის სადგურზე, შეატყობინებს, რალა თქმა უნდა, ჩამოვა. ისე კი ითხადასი და, მით უმეტეს საბითჯანის, თუმცა ვაჟი კია, დიდი იმედი ნუ გექნება. აი, ნახავ, ჩამოსვლით ჩამოვლენ, ნუ გეშინია. არ დაიკარგებიან, მაგრამ უცხო სტუმრებივით კი იქნებიან. ისევ ჩვენი დასამარხი გახდება. ასეა და რას იზამ... ახლა კი წადი და, რაც დაგიბარე, გააკეთე.

უქუბალამ ნაბიჯი გადადგა, წამით გაუბედავად შედგა და ისევ განაგრძო გზა. მაგრამ ედილეიმ თვითონ მოაბრუნა.

— არ დავიწყდეს, ჯერ მორიგეს, შეიმერდენს შეეკრე, ჩემ მაგივრად ვინმე გამოგზავნოს, ხომ იცი. არ შევირცხენ-თქო. სად ნახულა, მიცვალებული მარტო ესვენოს ცარიელ სახლში და გვერდით არავინ ჰყავდეს... ასე გადაეცი.

ცოლმა თავი დაუქნია და წავიდა. ამასობაში სადისტანციო ფარზე აბზუზუნდა და წითლად აციმციმდა სიგნალიზატორი. ბირანდი-ბურანის ასაქცევს ახალი მატარებელი უახლოვდებოდა. მორიგის განკარგულებით იგი სათადარიგო ხაზზე უნდა გადაეყვანა, რათა შემხვედრი მატარებელი გაეშვა. რომელიც ასაქცევის შემოსასვლელის მეორე ბოლოში იდგა. ვინემ მატარებლები თავთავიანთ გზას მიუყვებოდნენ, ედილეი დროდადრო ლიანდაგის კიდეზე მიმავალ უქუბალას გაჰყურებდა, თითქოს რალაცის თქმა დააიწყდათ. სათქვე-

ლი იცოცხლე, ბევრი ჰქონდა, დასაფლავების წინ საქმეს რა გაიოლებს. ყველაფერს ერთბაშად სად გაიხსენებ. მაგრამ ცოლს ამიტომ არ გაბრაზებია. ალბ. სწორედ ახლა შეამჩნია გულმტკივნეულად, რარიგ ბოკვიზელია ეს ადამიანი ამ ბოლო ხანს. რკინიგზის ბათუმების მერეა. მოყვითალო [illegible] ეფერი ამკარად ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაგ, უქვე სიბერეზეც ვეიწია. — გაიფიქრა მან. — ადასაც ძოვესწარი — ორი ბებერი დავრჩითო!“ [illegible] ... ვერ დაიმდურეა ედიდი. ჯერ ისევ ერჩის დრო. მაგრამ ხანის საანგარიშოს ცოტა წლები რიდი ჩამოიყარა — სან

და კიდევ ერთი, მაბრალდება. საბოლოდ ... „ვაგა ორიოდე წელი და ვგებ კიდევაც ბითრად, ბენსიაზე წადიო“, — [illegible] ედიდეიმ. [illegible] ... ეს. [illegible] ... ბენსიაზე და [illegible] ... — [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ლარსკვლავები, ქარმა უფრო მარდად გაინავარდა მიწაყრილის ფერდოებსა და ლიანდაგებზე, სუსტად მოწკრიალე რელსებს შუა დაყრილ ხრეშებზე.

ედილეი ადარ შებრუნებულა ჯიხურში. ბოძს მიეყრდნო და ფიქრებს მიეცა. შორს, მის პირდაპირ, რკინიგზის გადალმა, მინდვრად [illegible] აქლემების უძრავი და გაშეშებული ლანდები ჩანდა მთვარიან [illegible] ელოდნენ. იმათ შორის თავისი ორკუზიანი, დიდთავა ლიონი დაინახა — ყველაზე ლონიერი და ფეხმარდი აქლემი მთელ საროზექში. პატრონივით მასაც ბურანელ ყარანარს ეძახდნენ. ედილეი ამაყობდა ამ მართლაც განსაცვიფრად ლონიერი პირუტყვით. თუმცაღა ადვილი არ იყო მისი დამორჩილება და ჭკუაზე მოყვანა, რადგან ათანი იყო ყარანარი — ახალგაზრდობაში არ დაკოდა ეგი ედილეიმ და ალარც მერე უხლია ხელი.

სხვა სახვალიო საქმეთა შორის ისიც გაიხსენა ედილეიმ, რომ დილაადრიანვე უნდა მოაგდოს ყარანარი შინ, უნაგირი დაადგას. დასაფლავებაზე წასასვლელად დასჭირდება. სხვა საზრუნავიც ბევრი წამოაგონდა ედილეის...

ასაქცევზე კი ჯერაც მშვიდად ეძინა ხალხს. გზის ერთ მხარეს მიყუჟულიყო სადგურის პატარა შენობები, შიფერის ერთნაირი ორფერდა სახურავებიანი ზზა ფიცრებისაგან აწყობილი სახლები, რკინიგზის უწყებამ რომ დადგა. შემდეგ ედილეის სახლი, მისივე ხელით აშენებული, განსვენებული ყაზანგაპის მიწური და სხვადასხვა ეზოსეული ნაგებობანი, ლუმელი, ფარდულები, ლელის საჩეხები პირუტყვისა თუ სხვა რამ საჭიროებისათვის, შუაში კიდევ ქარისა თუ იგივე უნივერსალური ელექტრო და შიგადაშიგ ხელის წყლის საქაჩავი, ამ უკანასკნელ წლებში რომ გაჩნდა — ეს იყო და ეს ბორანლი-ბურანის მთელი დაბა.

ეს იყო და ეს ამ დიდ რკინიგზაზე, ამ დიადი საროზექის ტრამალზე პატარა შემაერთებელი რგოლი სისხლძარღვებივით დატოტვილი სხვა ასაქცევების, ჩვეულებრივი თუ საკვანძო სადგურებისა და ქალაქებისა... ეს იყო და ეს, ქვეყნად ყველა ქარის სანავარდო ხელისგულივით გაშლილი ადგილი, მეტადრე ზამთრობით, როცა ბობოქრობს საროზექური ქარბუქები, სახლებს ფანჯრებამდე მინამქრავს თოვლით, ხოლო რკინიგზას ყინულის გორებით ხერგავს... კიდეც იმიტომ ჰქვია ამ ასაქცევს ბორანლი-ბურანი და წარწერაც ორმაგი ჰკიდია. ბორანლი — ყაზახურად, ბურანი — რუსულად.

ისიც გაიხსენა ედილეიმ, ვინემ გადასარბენზე ყველანაირი თოვლის საწმენდი მანქანები გაჩნდებოდა — ჰაერის ნაკადებით თოვლის დამცხრილავნი და სიგრძივი დანებით გვერდებზე გადამხვეტნი, თუ სხვა და სხვა — ყაზანგაპი და ის თოვლის ნამქერებს ლიანდაგებზე, შეიძლება ითქვას, ხელჩართული ეომებოდნენ. არადა, თითქოს სულ ახლახან იყო ორმოცდათერთმეტი და ორმოცდათორმეტი წლები — რა მძვინვარე ზამთარი იდგა მაშინ. აი, ფრონტზე თუ იყო მხოლოდ ასე, როცა სიცოცხლე ერთჯერად საქმით ისაზღვრებოდა, ერთი იერიშით, ერთი ხელყუმბარის შეგდებით ტანკქვეშ... აქაც ასე იყო. მერე რა, რომ არავინ გკლავდა. სამაგიეროდ თვითონ იკლავდი თავს. რამდენი ნამქერი გადაეყრიათ ხელით, გაუთრევიათ სათრეველათი და ტომრებითაც კი აუტანიათ ზევით, მეშვიდე კილომეტრზე, სადაც გზა შუაში გაჭრილ გორაკის ძირს მისდევს, და ყოველთვის ეგონა, რომ ეს უკანასკნელი შებმა იყო ამ ბუქსა და ოროჰტრიალთან, რომ შეიძლება დაუფიქრებლად გასწირო თავი, ოღონდაც კი არ გაიგონო ტრამალზე ორთქლმავლების ბღავილი — გზა, გზა ჩქარაო!

მაგრამ ის თოვლი გადნა, იმ მატარებლებმა ჩაიარა, იმ წლებმა ჩაიქროლა... ახლა აღარავის აწუხებს ეს ამბები. იყო და არა იყო რა. ახლაც დროდადრო ჩამოივლიან ხოლმე გზათა უწყების ხმაურიანი, ქოთქოთა ვაგბატონები — საკონტროლო-სარემონტო ბრიგადები. იმათ არაფრისა სჯერათ და არაფერი სწამთ. ვერა და ვერ გაუგიათ, როგორ შეიძლება საროზექის ნამჭერები რამდენიმე კაცს ნიჩბებით გაეწმინდა გადასარბენზე! სასწაულია პირდაპირ! ზოგი აშკარად დასცინოდა: ნეტა რად გაიწამეთ, რად მოიკალით თავი, რისი გულისთვის! ჩვენთვის რომ ეთქვათ — არამც და არამც არ ვიკისრებდით! დავკრავდით ფეხს და სხვაგან წავიდოდით, იმ დალოცვილ მშენებლობებსა თუ სადმე სხვაგან მივაშურებდით, სადაც წესიერი სამუშაო იქნებოდა. ამდენს ვიმუშავებდი — ამდენი გადამიხადე. თუ საგანგაშოა რამე — ხალხი შეჰყარე, საზეგანაკვეთო ჩამოყაჭე... „სულელები იყავით და მიტომაც კისერზე გასხდნენ, ეგრე სულელებად დაიხოცებით!..“

ამისთანა „გადამფასებლებს“ ყაზანგაპი ყურადღებას არ აქცევდა, გეგონებოდა, სულაც არ ეხებოდა ეს ამბავი, მხოლოდ ჩაიცინებდა. თითქოსდა რაღაც ისეთი იცოდა, რასაც ესენი თავის დღეში ვერ ჩახვდებოდნენ. ედიღეი კი თავს ვერ იკავებდა, გაცეცხლდებოდა, პირში ეცემოდა ხოლმე და სისხლსაც ტყეილად იშრობდა.

•

არადა, მასა და ყაზანგაპს ხშირად ულაპარაკნიათ იმაზე, რასაც ახლა საკონტროლო-სარემონტო სპეცვაგონებით ჩამობრძანებული ეს ვაგბატონები სასაცილოდ იგდებდნენ ,ულაპარაკნიათ ბევრ სხვა რამეზე იმ წლებში, როცა ეს ჭკუის ყოლოფები ალბათ ჯერ კიდევ უშარვლოდ დატანტალებდნენ. უფიქრიათ და განუსჯიათ ამ წუთისოფლის ავი და კარგი, სადამდეც ჭკუა გასწვდომიათ, ცოტა დრო კი არ გამოხდა ორმოცდახუთი წლის აქეთ, მეტადრე მას მერე, რაც ყაზანგაპი პენსიაზე გავიდა. თუმცა ვერ წაუვიდა საქმე კარგად; ვაჟთან გადაეიდა ქალაქში საცხოვრებლად და სამი თვის თავზე კი უკან დაბრუნდა. ბევრ რამეზე ილაპარაკეს მაშინ, როგორაა ამქვეყნად საქმე მოწყობილი. ბრძენი კაცი იყო ყაზანგაპი. ბევრი რამ მოაგონდება ედიღეის... და უცებ ცხადად და საოცარი სიმწარით იგრძნო ედიღეიმ, რომ ამიერიდან მოგონებადღა დარჩა ყაზანგაპი...

უცებ ყური მოჰკრა სალაპარაკო მიკროფონის ტკაცანს და ჯიხურს მიაშურა. თითქოს ქარი ქშუისო, ისე აშრიალდა და აშიშინდა ეს სულელური ხელსაწყო, ვინემდე ხმა მოალწევდა.

— ედიღეი, ალო, ედიღეი, — წაიხრიწინა შაიმერდენმა, ასაქცევზე რომ მორიგედ იყო, — გესმის ჩემი? მიპასუხე!

— მესმის! მესმის!

— გესმის, ხომ?

— ჰო, ჰო, მესმის!

— როგორ გესმის?

— როგორც საიქიოდან!

— საიქიოდან ვითომ რატომ?

— რა ვიცი, ასე კია!

— ჰო... მაშასადამე, ბებერმა ყაზანგაპმა, ასე ვთქვათ...

— რა ასე ვთქვათ?

— რა და შენი ჭირი წაიღო... — შაიმერდენი შეეცადა უფრო საკადრისი

სიტყვა მოენახა. —აბა, როგორ ვთქვა? მაშასადამე, დაასრულა თავისი წუთისოფელი.

— ჰო, — მოკლედ მოუჭრა ედილეიმ.

„ჰაი, შე უტვინო ჰაივანო[1], — გაიფიქრა თან, — სიკვდილზე ადამიანურად ლაპარაკიც არ გეხერხება“.

შაიმერდენი წამით დადუმდა. მიკროფონი უფრთხილესად ასწორა და აატეაცუნა მისმა სუნთქვამ. მერე ისევ ჩაიხრიწინა:

— ედიქე, ძვირფასო, ოღონდაც ტვინს ნუ ამირევ, ასე ვთქვათ. თუ მოკვდა, რაღას უშველი... მე ხალხი არა მყავს. აბა რად გინდა წახვიდე და გვერდით მიუჯდე? მიცვალებულს, ასე ვთქვათ, ვერ გააცოცხლებ, მგონია...

— მე კი მგონია, რომ არაფერიც არ გაგეგება! — აღშფოთდა ედილეი.— რა თქმაა, ტვინს ნუ მირევო! შენ აქ მეორე წელია ხარ, მე და მაგან კი ოცდათი წელი ერთად ვიმუშავეთ. ვის გაუგია ან სად ნახულა, მიცვალებული მარტო დააგდო ცარიელ სახლში.

— აბა ის საიდან გაიგებს, ასე ვთქვათ, მარტოა თუ არა?

— ჩვენ ხომ ვიცით!

— ჰო, კაი, კაი, რა გაყვირებს, ასე ვთქვათ, ბებერო!

— მე გიხსნი.

— კი მაგრამ, რა გინდა ჩემგან? მე ხალხი არ მყავს. იქ რა უნდა აკეთო მაინც ამ ღამეში?

— ვილოცებ, მიცვალებულს გავაპატიოსნებ, ლოცვებს წავიკითხავ.

— ილოცებ? შენ, ბურანელი ედილეი ილოცებ?

— ჰო, მე. ლოცვები ვიცი.

— ამას უყურე. — ასე ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლის თავზე.

— საბჭოთა ხელისუფლებას შენ თავი გაანებე! ათადან ბაბადან მიცვალებულზე ლოცვას კითხულობენ. კაცი მოკვდა, პირუტყვი კი არა!

— კაი, კაი, ილოცე, ასე ვთქვათ, რა გაყვირებს. ედილბაისთან გავგზავნი ვინმეს, თუ დათანხმდა, ხომ მოვა, ასე ვთქვათ, შეგცვლის... ახლა კი საქმეს მიხედე, ასმეჩვიდმეტე ახლოვდება, მეორე სათადარიგო მოამზადე...

შაიმერდენმა ლაპარაკი შეწყვიტა, გამომრთველი გააჩხაკუნა. ედილეი ისრისკენ გაეშურა. თან სულ იმაზე ფიქრობდა, მოვა თუ არა ედილბაიო. იმედი მოეცა, როცა სახლებში აქა-იქ აინთო სინათლე. ხალხს მაინც ჰქონია სინდის-ნამუსი. ძაღლებმა ყეფა ატეხეს. მაშასადამე, უქუბალამ გააღვიძა, ფეხზე დააყენა ბორანლელები.

ამასობაში ასმეჩვიდმეტე სათადარიგო ხაზზე დადგა. მეორე მხრიდან ნავიობსასხმელი მატარებელი მოდგა —მარტო ცისტერნებიდან შედგებოდა. მერმე ერთმა აღმოსავლეთისაკენ გასწია, მეორემ — დასავლეთისკენ...

უკვე ღამის ორი საათი დაიწყო. ვარსკვლავებმა კაშკაშს უმატეს, ცალცალკე გამოარჩევდი ყველას. მთვარეც მეტი ძალით აჩახჩახდა საროზეკზე, უფრო და უფრო აივსო სადღაციდან მოსული ნათელით. ვარსკვლავიანი ცის ქვეშ კი თვალმიუწვდომლად გადაჭიმულიყო საროზეკი, მარტო აქლემების ლანდები — მათ შორის ორკუზა ბუმბერაზი ბურანელი ყარანარის ლანდი და

[1] პირუტყვი.

მახლობლად კიდევ ლოდები ჩანდა ბნდუდ, სხვა დანარჩენი რკინიგზის ბალმა-გამოლმა უკიდეგანო სიბნელეს ჩაენთქა. ქარსაც არ ეძინა, დასტვენდა და ორგვლივ ნაგავს აშრიალებდა.

ედიღეი წარამარა გამოდიოდა ჯიხურიდან, ედილბაი ხომ [illegible] ლიანდაგზეო. ანაზდად შორიახლო პატარა ცხოველს მოჰკრა თვალი. მელია ყოფილიყო. თვალები მწვანედ უციმციმებდა. ტელეგრაფის ბოძთან იდგა დაღონებით, არც მოახლოებას აპირებდა და არც გაქცევას.

— შენ აქ რა გინდა! — ჩაიბუტბუტა ედიღეიმ და ხუმრობით თითი დაუქნია. მელა არ შეშინებულა. — ჭკუით იყავი! იცი, რას გიზამ! — და ფეხი დააბაკუნა.

მელა განზე გახტა და ისევ დაცუცქდა, პირი მისკენ მოაქცია. მწუხარედ მისჩერებოდა ედიღეისა თუ მის ახლოს რაღაც საგანს. ნეტა რამ მოიტყუა, რამ მოიყვანა აქ? იქნებ ელექტრონის შუქმა მოიზიდა ან შიმშილმა მოაგდო? უცნაურად კი იქცევა. რაღაი ნადირი თავისი ფეხით მოსდგომია, რატომაც არ უნდა ესროლოს ქვა და მოკლას. ედიღეიმ ხელი მოაფათურა, მოზრდილი ქვა დაითრია და დაუმიზნა, მაგრამ უმალ ხელი დაუშვა, ქვა გააგდო, ოფლმაც კი დასხა. რა სისულელეს არ იფიქრებს ზოგჯერ კაცი! ქვა რომ მოიქნია, უცებ გაახსენდა, ვილაცამ რომ უამბო, მგონი, იმ რომელიღაც ჩამოსულმა ვაჟბატონმა თუ ფოტოგრაფმა. ვისაც ღმერთზე ეგაასებოდა, ან სხვა ვილაცამ, არა, არა, საბითჟანმა, კი. კი. საბითჟანმა უამბო, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, სულ რაღაც სასწაულებს ჰყვება, ოღონდაც კი ხალხმა უსმინოს, ოღონდაც კი ხალხი გააკვირვოს. ჰო. საბითჟანმა. ყაზანგაპის ძემ უამბო სიკვდილის მერე სულთა გადასახლების თაობაზე.

რი თავისდა საეშმაკოდ ასწავლეს მაინც ამ უქნარასა და ყბედს. შეხედავ— ბიჭად ბიჭია, ყველაფერი იცის, ყველაფერი გაუგონია, მაგრამ რა მერე! ასწავლეს, ასწავლეს იმ ინტერნატებში, ინსტიტუტებში, და მაინც დიდი ვერაფერი შვილი ბრძანდება. ტრაბახი, სმა და სადღეგრძელოები, იცოცხლე, იცის, საქმე კი არაფერი გამოსდის. ერთი სიტყვით, გუდაფშუტა ვინმეა. კოჭებამდეც ვერ მისწვდება ყაზანგაპს. თუმცაღა დიპლომით მოაქვს თავი. არა, არ ვაუმართლდა მამას იმედი, მამის კვალზე არ ხტის კვიცი. თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს, რას იზამ, რაც არი, ეგ არი...

ჰოდა, ერთხელაც მოჰყვა საბითჟანი, ინდოეთში ასეთი მოძღვრება სწამს ხალხს, კაცი რომ მოკვდება, მისი სული რომელიმე პირუტყვის გვამში ჩასახლდებაო, სულ ერთია, რომელიც არ იქნება, გინდაც ჭიანჭველაო. ჰოდა, მათი რწმენით ყოველი კაცი დაბადებამდე ან ჩიტი იყო, ან ნადირი, ან მწერიო. ამიტომაც ცოდვად ითვლება ყოველი ცხოველის მოკვლა. გინდ გველი, გინდ კობრა შეხვდეს გზაზე ინდოელს, ხელს არ ახლებს, მხოლოდ თავს დაუკრავს და გზას დაუთმობსო.

რა სასწაულები არ ხდება ამ დუნიაზე. რამდენად მართალია ეს ყველაფერი, კაცმა არ იცის. ქვეყანა დიდია, ადამიანს კი ყოვლის ცოდნა არ მიმადლებია. ჰოდა, როცა მელიის მოკვლა განიზრახა, თავში გაჰკრა ედიღეის: ვაითუ ყაზანგაპის სულია ახლა მის გვამში ჩასახლებული? ვაითუ იქ ჩასახლების შემდეგ თავის საუკეთესო დოსტს მოაშურა ყაზანგაპმა, რადგან სიკვდილის შემდეგ მისი მიწური ცარიელია და ჭმუნვისმომგვრელი?.. „არა, მართლა გამოვჩერჩეტდი უკვე! — საყვედურობდა და არცხვენდა თავის თავს

ედილეი. — ეს რამ მაფიქრებინა? ფუჰ! ფუჰ! გამოვტვინებულვარ საბოლოოდ!"

მაგრამ მელასკენ მაინც ფრთხილი ნაბიჯით წავიდა, თან ისე ელაპარაკებოდა, თითქოს მელას მისი სიტყვების გაგება შეეძლო:

— წადი, წადი აქედან, აქ შენი ადგილი არაა, გასწი ისევ შენს ტრამალში. გაიგე? აბა, გასწი. არა, მანდეთ არა, მანდ ძაღლებია. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ტრამალს მიაშურე ისევ.

მელია გატრიალდა და უკან გაცუხცუხდა, თუმცა ერთი-ორჯერ მაინც მოხედა. მერე სიბნელეს შეერია.

ამასობაში ასაკცევზე კვლავ მორიგი მატარებელი შემოგრიალდა. ნელ-ნელა უკლო სიჩქარეს და გაჩერდა. ვაგონების თავზე ნისლივით ციმციმებდა მტვერი. ძრავები კი ისევ და ისევ მძიმედ ტრიალებდნენ და ზუზუნებდნენ.

— ჰეი, ედიქე ბურანელო, — გადმოჰყო თავი მემანქანემ, — ასალამალეიქუმ!

— ალეიქუმ-ასალამ!

ედილეიმ თავი ასწია, კარგად რომ დაენახა, რომელი იყო. ტრამალზე ყველა იცნობდა ერთმანეთს. ნაცნობი ბიჭი გამოდგა. მას დააბარა ედილეიმ, ქუმბელის საკვანძო სადგურზე აიზადას მამის სიკვდილი აცნობეო. მემანქანე ხალისით დათანხმდა ყაზანგაპის ხსოვნის ხათრით. ეს სათხოვარი შეესრულებინა, მეტადრე, რომ ქუმბელში მატარებლის ბრიგადები იცვლებოდა, და იმასაც შეჰპირდა, თუ მოასწრო აიზადამ, მასა და მის ოჯახს თავადვე ჩამოვიყვან, უკან რომ დავბრუნდებიო.

ეს საიმედო კაცი იყო და ედილეისაც გულზე მოეშვა. მაშასადამე, ერიო საქმე მოიშორა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა. მემანქანეს რომ ემშვიდობებოდა, ედილეიმ დაინახა, თანდათან აჩქარებული მატარებლის გასწვრივ, ლიანდაგის კიდეზე ვილაც აყლაყუდა კაცი მოაბიჯებდა მისკენ. ეს ედილბაი იყო.

❧

ვინემ ედილეი საქმეს გადააბარებდა, ვინემ მომხდარ ამბავზე ილაპარაკებდნენ, ყაზანგაპს ოხვრით მოიგონებდნენ, ბორანლი-ბურანზე ორი შემხვედრი მატარებელი მოვიდა და წავიდა. აქაური საქმეები რომ მოითავა და შინისაკენ გასწია, მაშინ გაახსენდა, რომ წელან ცოლს არ მოაგონა, უფრო სწორად არ გაეთათბირა, თავისი ქალებისა და სიძეებისთვის როგორ შეეტყობინებინა ბებერი ყაზანგაპის სიკვდილი. ედილეის ორი გათხოვილი ქალი სულ სხვა მხარეს — ყიზილ-ორდასთან ცხოვრობდნენ. უფროსი ბრინჯის საბჭოთა მეურნეობაში იყო, მისი ქმარი ტრაქტორისტად მუშაობდა. უმცროსი ჯერ ყაზალინის ახლოს, სადგურზე ცხოვრობდა, მერე კი ოჯახიანად ამავე მეურნეობაში გადასახლდა, დასთან რომ ახლოს ყოფილიყო. სიძე მძღოლად მუშაობდა. ყაზანგაპი მათი ნათესავი არ იყო, დასაფლავებას რომ უთუოდ დასწრებოდნენ, მაგრამ ყველა ნათესავს კი სჯობდა. მის ხელში დაიბადნენ და გაიზარდნენ ისინი ბორანლი-ბურანზე. ქუმბელის ინტერნატში, სადაც სწავლობდნენ, ხან ედილეისა და ხან ყაზანგაპს დაჰყავდა ისინი რიგრიგობით. არდადეგების დაწყებამდე თუ არდადეგების შემდეგ. უმცროს გოგოს წინ დაისვამდა ედილეი აქლემზე, უფროსს — უკან, თვითონ შუაში დაჯდებოდა და ასე მიდიოდნენ ხოლმე სამივენი. ბორანლი-ბურანიდან სამ საათს, ზამთრობით კი უფრო მეტხანს თოხარი-

კით მირბოდა ყარანარი ქუმბელამდე. ხოლო თუ ედიღეის არ ეცალა, ყაზანგაპს მიჰყავდა ისინი. მისი გოგოებისთვის მეორე მამა იყო ყაზანგაპი, არა, ხვალ დილითვე გაუგზავნის ედიღეი ტელეგრამას შვილებს და როგორც მოელოდებათ, ისე მოიქცნენ... მაგრამ იცოდნენ კია, რომ ბებერი ყაზანგაპი არარაა, ამ წუთისოფელს გამოესალმა...

მიაბიჯებდა ედიღეი და თან ფიქრობდა, რომ დილას პირველ ყოვლისა ყარანარი უნდა წამოიყვანოს საძოვრიდან, დასჭირდება და იმიტომ, არც სიკვდილია ოღლი საქმე და არც ადამიანის წესიერად და პატიოსნად დამარხვა... ხან რა დაჭირდება და ხან რა, ყველაფერი ჰაიჰარად უნდა იშოვო, სუდარა იქნება ეს თუ ქელეხისათვის საჭირო შეშა.

იმავე წუთს ჰაერი ანაზდად შეინძრა, ისე, როგორც ფრონტზე სადღაც შორს რომ აფეთქდებოდა ხოლმე რაღაც და ჰაერის ძლიერი ტალღა მოვარღებოდა. მიწა ფეხქვეშ შეზანზარდა. შორს, ტრამალზე, იმ მხარეს, სადაც საროზექის კოსმოდრომი იყო, ალმოდებული ცეცხლის სვეტი ქარბორბალასავით აიჭრა ცაში. ედიღეი ადგილზე გაშეშდა — კოსმოსში რაკეტა მიფრინავდა. ასეთი რამ თავის დღეში არ ენახა. როგორც ყველა საროზექელმა, მანაც იცოდა, სარი-ოზექ-I კოსმოდრომის არსებობა, იგი აქედან ორმოციოდე თუ ცოტა ნაკლებ კილომეტრზე იყო, იცოდა, რომ იქ თოგრეექ-თამის სადგურიდან რკინიგზის ცალკე შტო მიდიოდა. იმასაც კი ჰყვებოდნენ, იმ მხარეში ტრამალზე დიდი ქალაქი აშენდა დიდზე დიდი მაღაზიებითო. რადიო თუ გაზეთები გაუთავებლივ იუწყებოდნენ კოსმოსში გაფრენებზე, კოსმონავტებზე, გაუთავებლივ ამაზე ლაპარაკობდა ხალხი. ეს ყველაფერი სადღაც ახლოს ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმ ქალაქში, სადაც საბითჟანი ცხოვრობდა — ეს ქალაქი კი უფრო შორს, მატარებლით დღენახევარ სავალზე იყო — თვითშემოქმედების კონცერტებზე ყმაწვილები მღეროდნენ, ჩვენზე ბედნიერი ბავშვები ამქვეყნად არ არიან, ვინაიდან ძია კოსმონავტები კოსმოსში ჩვენი მიწიდან მიფრინავენო; მაგრამ რაღაი კოსმოდრომი დახურულ ზონად ითვლებოდა, ედიღეი იმით კმაყოფილდებოდა, რაც სხვებისაგან იცოდა, თუმცაღა იმ ადგილებიდან არც ისე შორს ცხოვრობდა. საკუთარი თვალით კი ახლა პირველად ნახა, რა სისწრაფით მიჰქროდა აგიზგიზებულ ცეცხლის ალში გახვეული კოსმიური რაკეტა შავ, ვარსკვლავიან ცაში და მიდამოს აჩახჩახებდა. ედიღეის გულში შიშმა გაჰკრა — ნუთუ იმ ცეცხლში ადამიანი ზის? ერთია თუ ორი? ან აქამდე რატომ არ უნახავს აფრენის წამი, თუმცაღა სულ აქ ცხოვრობს. კოსმოსში ხომ იმდენჯერ გაფრინდნენ, კაცს ანგარიში აერევა, იქნებ იმ ჯერზე ხომალდები დღისით მიფრინავდნენ, ეს კი ამ ღამით რად აიჭრა? მაშასადამე, საშური საქმეა თუ წესია ასეთი? ან იქნებ მიწიდან ღამით ადის, იქ კი მაშინვე დღე ხვდება? საბითჟანი ერთხელ მოჰყვა, კოსმოსში ყოველ ნახევარ საათში დღეს ღამე ცვლისო, გეგონება, თვითონ იყოს ნამყოფი. ერთი კარგად უნდა გამოჰკითხოს საბითჟანს. საბითჟანმა ხომ ყველაფერი იცის. ძალიან უნდა თავი ყოველისმცოდნედ გაასაღოს, დიდკაცად ჩათვალონ. აბა როგორ! კაცი საოლქო ქალაქში მუშაობს. ნეტა რას იკლავს თავს, რა საჭიროა? რაცა ხარ, ის იყავი. „აი, იმასთან ვიყავი, დიდი კაცი რომაა, ამასა და ამას ესა და ეს ვუთხარი“. აყლაყუდა ედილბაიმ ერთხელ თურმე სამსახურში მიაკითხა და ასე მოჰყვა: ეს ჩვენი საბითჟანი მისაღებ ოთახში სულ წინ და უკან დარბის, ტელეფონიდან კაბინეტის კარამდე და კაბინეტის კარიდან ტელეფონამდე, სულ

ანის გაიძახის: „შესმის, ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ! დიახ, ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ! ახლავე, ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ!“ ის კი თურმე იმ თავის კაბინეტში ზის და მარტო ღილაკებს აჭერს ხელს. ხეირიანად არც დაგვცალდა ლაპარაკი... აი, თურმე ვინ ყოფილა ეს ჩვენი მიწაწყლელი. თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს, როგორიც არი, ის არი... ყაზანგაპი იყო ცოდვა, [illegible] შვილის ამბავს. უკანასკნელ დღემდე მის აუგს ვერ [illegible] ქალაქშიაც კი გადაბარგდა ვაჟთან და რძალთან, თვითონვე სთხოვეს, თვითონვე წაიყვანეს. მაგრამ რა გამოვიდა... ეჰ, ეს ცალკე ამბავია.

ასე ფიქრობდა ედიღეი იმ შუალამისას და კოსმიურ რაკეტას გაჰყურებდა. დიდხანს უცქირა ამ სასწაულს. ხოლო როცა ცეცხლოვანი რაკეტა თანდათან დაპატარავდა, თეთრ ნისლოვან წერტილად იქცა და შავ წყვდიადში ჩაინთქა, ედიღეიმ თავი გადააქნია და თავის გზას გაუდგა. უცნაური და საწინააღმდეგო გრძნობები დაეუფლა. მართალია, აღტაცება კი მოჰგვარა იმ სურათმა, რაც ნახა, მაგრამ ამავე დროს ისიც იცოდა, ეს მისთვის გარეშე ამბავი იყო, რამაც მხოლოდ გააკვირვა და შეაშინა. ანაზდად მელა გაახსენდა, რკინიგზაზე რომ მოიძურწა წელან. ნეტა რა გუნებაზე დადგა, როცა უკაცრიელ ტრამალში ცად აჭრილი ეს ცეცხლოვანი სვეტი დაინახა. ალბათ არ იცოდა, სად წასულიყო და სად ჩამძვრალიყო...

მაგრამ არც რაკეტის აფრენის მოწმე ბურანელმა ედიღეიმ იცოდა და არც ეგებოდა ცოდნა, რომ ეს კოსმიური ხომალდისა და კოსმონავტის სასწრაფო და საავარიო გაფრენა იყო კოსმიურ სადგურ „პარიტეტზე“ მომხდარ საგანგებო ამბავთან დაკავშირებით, ყოველგვარ ზარზეიმისა, ჟურნალისტებისა და პატიკების გარეშე, იმ სადგურზე, რომელიც წელიწად-ნახევარია ამერიკა-საბჭოეთის ერთობლივი პროგრამით ჰიროზითად წოდებულ ორბიტა „ტრამპლინზე“ იმყოფებოდა, ან კი საიდან უნდა სცოდნოდა. არც ის იცოდა ედიღეიმ, რომ ეს ამბავი მასაც და მის ცხოვრებასაც შეეხებოდა, განა იმიტომ, რომ ადამიანი და ადამიანთა მოდგმა განუყოფელ კავშირშია ზოგადი გაგებით, არამედ ყოვლად კონკრეტული და პირდაპირი მნიშვნელობით: მით უმეტეს არ იცოდა და ვერც წარმოიდგენდა, რომ საროზეჭიდან აფრენილი ხომალდის კვალდაკვალ რამდენიმე ხნის შემდეგ პლანეტის მეორე ბოლოში ნევადის კოსმოდრომიდანაც აიჭრებოდა ცაში ამერიკული ხომალდი იმავე მიზნით, იმავე სადგურ „პარიტეტზე“ და იმავე ორბიტა „ტრამპლინის“ მიმართულებით.

ხომალდები სასწრაფოდ გაიგზავნა კოსმოსში სამეცნიერო-საკვლევი ავიოსნიდან გადმოცემული ბრძანების მიხედვით. ავიოსანი „კონვენცია“ მცურავი ბაზა გახლდათ პროგრამა „დემიურგის“ საბჭოთა ქვეყნისა და ამერიკის საერთო მართვის ცენტრისა.

ავიოსანი „კონვენცია“ თავისი მუდმივი ადგილსამყოფლის რაიონში — წყნარ ოკეანეში იმყოფებოდა, ალეუტის კუნძულების მარცხნივ მდებარე კვადრატში, დაახლოებით ერთ მანძილზე როგორც ვლადივოსტოკიდან, ისე სანფრანცისკოდან. მართვის საერთო ცენტრი ამ დროს დაძაბული ადევნებდა თვალს ორივე ხომალდის ორბიტა „ტრამპლინზე“ გასვლას. ჯერჯერობით ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. ახლა მთავარი ამოცანა კომპლექს „პარიტეტთან“ მაითი შეპირაპირება იყო, ამოცანა რთულზე რთულესი, რამეთუ შეპირაპირება ანამიმდევრობით კი არ უნდა მომხდარიყო, ერთმანეთის კვალდაკვალ დრო-

ის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, არამედ ერთდროულად, სრულიად სინქრონულად სადგურის ორი სხვადასხვა მხრიდან.

თორმეტ საათზე მეტი იყო, რაც „პაროტეტი" პასუხს არ იძლეოდა „კოხვენციაზე" მყოფ მართვის საერთო ცენტრის სიგნალებზე. პასუხს არ იძლეოდა მასთან შესაპირაპიროებლად წაყული ხომალდების სიგნალებზე. გამოსაკვები იყო, რა მოუვიდა „პაროტეტის" ეკიპაჟს.

II

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმართულებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ბორანლი-ბურანის ასაკცევიდან არანაკლებ ოცდაათი კილომეტრი იქნება ნაიმანთა საგვარეულო სამარხ ანა-ბეიითამდე, ისიც მაშინ, თუ საროზეკს, შენს ანდეს მინდობილი, სულ პირდაპირ და პირდაპირ გადაჭრი. ხოლო თუ გზის აბნევა არ გინდა ტრამალში, სჯობს ჩვეულებრივ ნაკვალევს გაჰყვე, რომელიც ერთთავად რკინიგზას მიჰყვება, თუმცა გზას კი გაიდიდებ, ვინაიდან კარგა მანძილის შემოვლა დაგჭირდება ქიისიქსაის ხევიდან ანა-ბეიითისკენ მიმავალ შესახვევამდე. სხვა გზა არ არის. ისე რომ, თუ ბედმა გაგიღიმა, ოცდაათი ვერსის გავლა მოგიხდება იქით გზობასა და კიდევ ამდენი აქეთობას. ახლანდელ ბორანლელებიდან ედილეის გარდა ხეირიანად არავინ იცოდა იქამდე მისასვლელი გზა, თუმცა სმენით კი ბევრი სმენიათ იმ ძველ ბეიითზე, რომელზედაც ათასნაირ ამბებს ჰყვებოდნენ, კაცმა არ იცის, მართალსა თუ ტყუილს. ყოფნით იქ არასოდეს ყოფილან. არ დასჭირვებიათ და იმიტომ. ამდენი წლის მანძილზე პირველი შემთხვევა იყო ბორანლი-ბურანში. რვა კომლისაგან შემდგარ გზისპირა დაბაში. კაცი რომ მოკვდა და უნდა დაემარხათ. აქამდე, რამდენიმე წლის უკან გულის ხუთვისგან ერთ საათში გათავდა პატარა გოგო და ის დედამამამ თავიანთ სამშობლო მხარეში, ურალში წაასვენა დასასაფლავებლად. ყაზანგაპის მოხუცი ცოლი ბუქეი ქუმბელში განისვენებდა სადგურის სასაფლაოზე — ქუმბელის საავადმყოფოში გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ და გადაწყვიტეს ამ სადგურზევე დაემარხათ, ბორანლი-ბურანში მის ჩამოსვენებას აზრი არ ჰქონდა. ქუმბელი სარი-ოზეკის ყველაზე დიდი სადგური იყო, თანაც აქ მისი ქალი აიზადა ცხოვრობდა თავისი უქნარა და ლოთი ქმრით. მაგრამ ლოთი თუ უქნარა, მაინც სიძე იყო და საფლავის მოვლას არ დაამადლიდა. მაშინ ყაზანგაპი ცოცხალი გახლდათ და თავის საქმეს, როგორც უნდოდა, ისე გადაწყვეტდა. ახლა კი თავსამტვრევი გახდა, რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ.

ედილეიმ მაინც თავისი გაიტანა.

— ეგეთი ლაპარაკი ჯიგიტებს არ ეკადრებათ. შეუტია მან ახალგაზ-

რდებს. — ყაზანგაპისთანა კაცი ანა-ბეიითზე უნდა დაიმარხოს, სადაც ჩვენი წინაპრები მარხია და სადაც თვითონ განსვენებულმა დაიბარა. სჯობს სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. სამზადისს შევუდგეთ. გზა დიდი მოგველის, ხვალ დილაუთენია უნდა დავიძრათ...

ედიღეის ეგებოდა ამ საქმის გადაწყვეტა. ყველამ იცოდა და კიდევაც დაეთანხმნენ. თუმცა საბითჟანმა მაინც სცადა შესიტყვება. იმ დღეს საბარგო მატარებლით ჩამოასწრო, სამგზავრო აქ არ ჩერდებოდა. ჰოდა, მამის დასაფლავებაზე რომ ჩამოვიდა. თუმცა არ იცოდა, ცოცხალი დაუხვდებოდა მამა თუ არა, სიხარულით ცას ეწია ედიღეი. იმიტომაც გადაეხვია საბითჟანს, იმიტომაც ერთად ღვარეს ცრემლები. ერთი დარდითა და მწუხარებით ატანილებმა. ედიღეის მერე კიდევაც უკვირდა თავისი თავისა. გრძნობას ვერ მოერია, საბითჟანი გულში ჩაიკრა და სულ ამას იმეორებდა სლუკუნით: „რა კარგი ჰქენი, რომ ჩამოხვედი, რა კარგი ჰქენი!“ — თითქოს მისი ჩამოსვლა ყაზანგაპს გააცოცხლებდა. ან რამ აატირა ასე ედიღეი, თავადაც არ იცოდა, ასეთი რამ თავის დღეში არ მოსვლია. დიდხანს იტირეს ეზოში, ყაზანგაპის დაობლებულ მიწურის კართან. რაღაც დაემართა ედიღეის. მოაგონდა, საბითჟანი რომ მის თვალწინ გაიზარდა. პატარა ბიჭი იყო მაშინ, მამას მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. ქუმბელის სკოლა-ინტერნატში დაჰყავდათ; რკინიგზელების შვილებისათვის იყო გახსნილი ეს სკოლა. როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, სანახავად ჩადიოდნენ — ან მატარებელს გაჰყვებოდნენ, ან აქლემებით გასწევდნენ. რასა იქმს, როგორ არის, საერთო საცხოვრებელში ხომ არავინ აწყენინა, ან უწესო რამ ხომ არ ჩაიდინა. როგორ სწავლობს, რას ამბობენ მასზე მასწავლებლები... არდადეგების შემდეგ კი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაუყვანიათ აქლემით სკოლისაკენ, ქურქში გახვეული, საროზექის დათოვლილ ველებზე, ყინვასა და ბუქში, ოღონდაც მეცადინეობაზე არ დაგვიანებოდა.

ეჰ, გაფრინდა, აღარ დაბრუნდება ის დღეები! სიზმარივით გაქრა ყველაფერი. იმ პატარა, თვალდაჭყეტილ საბითჟანს ვეღარც მიამსგავსებ ამ საოვალიან, დასრულებულ კაცს, რომელსაც ჩაჭყლეტილი ქუდი ჰხურავს და დაძენძილი პალსტუხი ჰკიდია, რომელიც საოლქო ქალაქში მუშაობს და ძალიანაც უნდა დიდკაცად გაჩვენოს თავი, დიდი თანამდებობის მუშაკად. მაგრამ წუთისოფელი ვერაგია, არც ისე იოლია გადიდკაცება, როგორც არაერთხელ დაუჩივლია თვით საბითჟანსაც, თუ მაგარი ზურგი არა გაქვს, თუ ნაცნობობა ან ნათესაობა არ მოგდევსო. ის კი ვინაა, ვილაც ყაზანგაპის შვილი, რომელიღაც ბორანლი-ბურანის ასაქცევის მუშაკისა. საწყალი, მაშ! თუმცა ახლა აღარც ასეთი მამა ჰყავს. კიდევ ცოცხალი, თუნდ უვარგისი მამა გერჩივნოს სახელოვან მკვდარ მამას. არადა, ასეთიც რომ აღარაა ახლა...

მალე დაშრა ცრემლები და საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი. მაშინ აღმოჩნდა, რომ ყოვლისმცოდნე ნებიერი ვაჟიშვილი მამის დასასაფლავებლად კი არ ჩამოსულიყო, თავიდან მოშორებას, ჰაიჰარად მიწაში ჩაგდებას უპირებდა თურმე მშობელს და საჩქაროდ უკან გამგზავრებას. კიდევაც გამოთქვა თავისი აზრები — აბა რა საჭიროა იმ სიშორეზე, ანა-ბეიითზე წავჩანჩალდეთ, როცა ირგვლივ ამოდენა სივრცეა — საროზექის უკაცრიელი ტრამალი, რომელიც აგერ ჩვენი ზღურბლიდან იწყება და ქვეყნის კიდემდეა გადაჭიმულიო. გავთხაროთ სადმე ახლოს საფლავი, რომელიმე მაღლობზე, რკინიგზის გვერდით, დაე, იწვეს იქ ბებერი დარაჯი და ესმოდეს, როგორ მიგრიალებენ მატარებლები

იმ გადასარბენზე, სადაც მთელი სიცოცხლე იმუშავაო. ძველი ანდაზაც მოიშველია: მკვდრის პატივი თუ გინდა, მიწას მალე მიაბარეო. რა საჭიროა გაჯანჯღება, ტვინის ჭყლეტა, სულ ერთი არაა, სად ჩაფლავენ მიწაში, ამ საქმეში სიჩქარე ყველაფერს სჯობსო.

თან ამას ამბობდა და თან თავს იმართლებდა, სასწრაფო და დიდი საქმეები მიმელის სამსახურში, ყოველი წუთი დათვლილი მაქვსო, მოგეხსენებათ, უფროსებს სულაც არ ენაღვლებათ, შორსაა თუ ახლოს აქაური სასაფლაო, სამსახურში მითხრეს, ამა და ამ დღეს ამა და ამ საათს გამოცხადდიო, და მორჩა. უფროსები უფროსებია და ქალაქი ქალაქიო...

ედიღეიმ გულში შეიკურთხა. კაცი ამ ხნამდე მოიყარა და ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. შერცხვა და ინანა, ამ ვაჟბატონის დანახვაზე გული რად ამომიჯდა, რა ვუყოთ, რომ ყაზანგაპის ვაჟიაო. ხუთი კაცი იჯდა ძველ განძელებზე, მერხებად რომ მიედგათ კედელთან. ძლივს შეიკავა თავი, ისიც ყაზანგაპის ხათრით, საწყენი და შეურაცხმყოფელი არაფერი ეთქვა ხალხში ასეთ დღეს. ესღა წაილაპარაკა ფეხზე წამომდგარმა:

— იცოცხლე, ირგვლივ ადგილი იყოს. მაგრამ რატომლაც ხალხი თავის მკვდარს ყველგან არ ფლავს მიწაში. ტყუილად არ იქნება ასე, თორემ მიწა ვის ენანება? — ბორანლელები ჩუმად უსმენდნენ და ედიღეიმაც ცოტა ხნის მერმე დაამატა: — იფიქრეთ, გადაწყვიტეთ, მე კი წავალ და დავხედავ, იქ როგორაა საქმე.

სახემოქურუხებული, გაავებული გავიდა გარეთ ედიღეი, ცოდვას გაერიდა. კოპები ასხდა შუბლზე. გულფიცხი იყო ედიღეი, ბურანელი ხომ კიდევ იმიტომაც შეარქვეს, რომ ხასიათით იმ თავის ყარანარს ჰგავდა. მარტო რომ ყოფილიყო, გიყვარდეს, იმ უსირცხვილო თვალებში დაურიდებლად მიახლიდა საბითჟანს ყველაფერს, რისი ღირსიც ბრძანდებოდა. ისეთებს ეტყოდა, თავისი დღენი არ დავიწყებოდა. მაგრამ დედაკაცებს ხომ არ აჰყვებოდა მართლა. აგერ ქალები აღშფოთებით ჩურჩულებენ — სტუმარივით ხელცარიელი ჩამობრძანდა ვაჟი მამის დაკრძალვაზე, ერთი დასტა ჩაიც არ ჩამოიტანა, იმ ქალაქელ რძალსაც ვითომ არ ეკადრებოდა ჩამოსვლა, პატივი დაედო და დაეტირა მამამთილი, როგორც ადათი მოითხოვსო, მაგრამ ვინ მისცა სინდის-ნამუსი. როცა ყაზანგაპი ცოცხალი იყო და შეძლება მოსდევდა — ორი მეწველი აქლემი ჰყავდა, თხუთმეტიოდე ცხვარი და კრავი — მაშინ ხომ კარგი იყო, მაშინ ხომ ჩამოდიოდა რძალი, ვინემ იმდენი არ ქნა, ყველაფერი არ გააყიდვინა, თავისთან არ გადაიყვანა მამამთილი, შეაძენინა ავეჯი, მანქანა, მერე კი ველარ იგუა მოხუცი. ახლა აქეთ არც იყურება. დააპირეს ქალებმა ალიაქოთის ატეხა, მაგრამ ედიღეიმ აუკრძალა: არ გაბედოთ და ამისთანა დღეს სიტყვა არ დასძრათ, ჩვენ არავინ გვკითხავს, თავისი საქმისა თვითონ იციანო.

საჩეხეში, საითაც ახლა მიაბიჯებდა, საძოვრიდან მოდენილი ბურანელი ყარანარი ება და დროდადრო გულმოსული ბღაოდა. ერთი-ორჯერ ჭაზე წყლის დასალევად მოჰყვა ჯოგს, თორემ თითქმის მთელი კვირა დღედაღამ თავის ნებაზე დაფარფაშებდა. სულ აიშვა თავი ამ ავაზაკმა. ახლაც უკმაყოფილო გახლდათ — მძვინვარედ აფჩენდა დიდებილა პირს და დროდადრო ბღაოდა: ახალი ამბავი არაა — თავისუფლების დაკარგვას მიჩვევა უნდა.

გაჯავრებული მიუახლოვდა ყარანარს ედიღეი საბითჟანთან ლაპარაკის შემდეგ, თუმცა წინდაწინვე იცოდა, ასე რომ იქნებოდა. თითქოსდა თავს ამად-

ლის ყველას, მამის დაკრძალვაზე რომ ჩამობრძანდა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოიშოროს ეს ტვირთი. არ იკადრა ედილეიმ ზედმეტის თქმა, არ ლირდა საამისოდ, ისედაც ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო. ვიდევ ცარგი, მეზობლები ამოუდგნენ მხარში. ვინც სამუშაოდ არ იყო წასასვლელი, ხვალინდელი დასაფლავებისა და ქელეხის სამზადისს შეუდგა. ქალებმა ყველა ოჯახიდან ჩამოითხოვეს ჭურჭელი, დააბრიალეს სამოვრები, მოზილეს ცომი და პურის ცხობაც დაიწყეს. კაცები წყალს ეზიდებოდნენ, უკვე გამოუსადეგარ ძველ განძელებს ხერხავდნენ — შეშა და წყალი ამ მოტივტვლებულ ტრამალზე ყველაზე მეტად ჭირდა. მარტო საბითქანი ედებოდა ყველას ფეხებში, საქმეს არავის აცლიდა, ლაქლაქებდა და ყბედობდა ქვეყნის ამბებზე, — ვის რა თანამდებობა ეჭირა ოლქში, ვინ მოხსნეს, ვინ დააწინაურეს. ხოლო მისი ცოლი რომ არ ჩამობრძანდა მამამთილის დასაფლავებაზე, ამისი სულაც არ რცხვენოდა. საოცარია, ღმერთმანი! თურმე მის ცოლს რაღაც კონფერენცია ჰქონია, ვიღაც უცხოელი სტუმრებიც უნდა დასწრებოდნენ. შვილიშვილებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. კარგი ნიშნებისათვის იკლავენ თურმე გოგოები თავს, გაკვეთილებს არ აცდენენ, რათა საუკეთესო ატესტატი მიიღონ და ინსტიტუტში მოეწყონ. „ეს რა ხალხი წამოვიდა! — თავის გულში იკურთხებოდა ედილეი. — ადამიანის სიკვდილი არაფრად მიაჩნიათ!“ ეს აზრი არ აძლევდა მოსვენებას: „თუ სიკვდილი მაგათთვის არაფერს ნიშნავს, გამოდის, არც სიცოცხლეს ჰქონია ფასი. რისთვისღა ცხოვრობენ მაშინ ამ ქვეყანაზე?“

ედილეიმ ბრაზით დაუცაცხანა ყარანარს:

— რა გაბღავლებს, ნიანგო? რას აგიღერია თავი და ცას შეჰბღავი, გგონია, ღმერთს შენ გარდა საქმე არა აქვს? — როცა წონასწორობას ჰკარგავდა, მაშინ ეძახდა ედილეი თავის აქლემს ნიანგს. ჩამოსულმა რკინიგზის მუშაკებმა მონათლეს ასე ბურანელი ყარანარი დიდი კბილებისა და სიანჩხლის გამო. — იმდენს იზამ, მაგ ბღავილისთვის მთელ კბილებს ჩაგამტვრევ!

ვინემ ყარანარს უნაგირს დაადგამდა, ნელ-ნელა მოლბა, ბრაზი გაუნელდა ედილეის. თვალი ველარ მოწყვიტა თავის აქლემს. ლამაზი და ლონიერი იყო ბურანელი ყარანარი. თავამდე ხელს ვერ მიუწვდენდი, თუმცა არც ედილეის აკლდა სიმაღლე. როგორც იყო, ქედი მოადრეკინა ყარანარს. იმდენი უკაკუნა მუხლებზე მათრახი და იმდენი ეჩიჩინა მკაცრი ხმით, ძლივს ჩააჩოქა აბღავლებული და გაურჩებული აქლემი. ხოლო როცა ბოლო-ბოლო ფეხები მოიკეცა, მკერდით მიწაზე გაწვა და დამშვიდდა ყარანარი. ედილეიც შეუდგა საქმეს.

გინდ სახლი აგიშენებია და გინდ აქლემი შეგიკაზმავს რიგზე და წესზე. ყოველ ჯერზე უნაგირი ხელახლა უნდა გამართო, ამას კი მარიფათიც უნდა და ლონეც, მეტადრე თუ ყარანარისთანა ბუმბერაზ აქლემს კაზმავ.

ტყუილად კი არ ერქვა ყარანარი ანუ შავი ნარაქლემი. შავი, გაბურძგვნილი თავი, ჯიდაომდე ჩამოზრდილი შავი წვერი, კისრის ქვემოდან მუხლებამდე ფაფარივით ჩამოყრილი შავი გრუზა ბანჯგვლები, ნარაქლემის ყველაზე დიდი მშვენება — ზურგზე კოშკებივით ამართული ორი მკვრივი კუზი, მოკლე შავი კუდი. სხვა დანარჩენი — ზედა კისერი, მკერდი, ფერდები, ფეხები, მუცელი, პირიქით, ღია წაბლისფერი ჰქონდა. იმიტომაც იყო ასე ლამაზი და დიდებული ბურანელი ყარანარი ალნაგობითაც და ფერითაც. უკვე მოწიფულიყო, როგორც ათანი — მესამე ათეულ წელში გადაებიჯა.

აქლემები დიდხანს ცხოვრობენ. ალბათ იმიტომაც მხოლოდ ხუთი წლის

ასაკში შობს აქლემი კოზაკს, თანაც ყოველ წელს კი არა, ორ წელიწადში ერთ-ხელ. ნაყოფსაც სხვა ცხოველებზე დიდხანს, თორმეტ თვეს ატარებს მუცლით. კოზაკს წლამდე, წლინახევრამდე უნდა გაუფრთხილდე, არ გააცივო ტრამალის გამკრავ ქარზე, მერე კი დღითიდღე იზრდება, დღითიდღე ძალას იმატებს — ვერც სიცივე, ვერც სიცხე, ვერც უწყლობა ვერაფერს აკლებს.

ედიღეი გამოცდილი იყო ამ საქმეში — ბურანელი ყარანარი თვალისჩინივით ჰყავდა მოვლილი. ჯანისა და ღონის პირველი ნიშანი — შავი კუზები კაჟივით მაგარი ჰქონდა ყარანარს. ჯერ მაშინ აჩუქა ყაზანგაპმა იხვის ჭუკივით გაბუმბლული პატარა, ძუძუმწოვარა კოზაკი, როცა ედიღეი ომიდან ახალი დაბრუნებული იყო და ბორანლი-ბურანის ასაქცევზე დასახლდა. იმხანად ედიღეი ჯეელი იყო — რას იფიქრებდა მაშინ, თუ სიბერემდე აქ მოუწევდა ცხოვრება! ზოგჯერ სურათებს დახედავს და თვალს არ უჯერის. რა ძალიან შეიცვალა — სისვი ცხენივით იქცა, წარბებიც კი გაუთეთრდა, ცხადია, სახეც ის აღარა აქვს. თუმცა ტანი არ დამძიმებია, როგორც ამ ასაკში იცის. როგორღაც თავისთავად მოხდა — ჯერ ულვაში მოიზარდა, მერე წვერი, ახლა კი უწვერ-ულვაშობა ვეღარც წარმოუდგენია. მას ფქეთ, შეიძლება ითქვას, მთელმა ისტორიამ განვლო.

აი, ახლაც, როცა დაწოლილ ყარანარს კაზმავს, ხან შეუყვირებს, ხან ხელს მოუქნევს ჭკუაზე მოსაყვანად, ყარანარი კი გრძელ კისერზე დაყუნცულ შავ ბურძგლა თავს მოაბრუნებს აღრენილი და ლომივით ბდღვინავს, ედიღეი იხსენებს იმ წლებს და სულს იმშვიდებს...

დიდი წვალებისა და ჯაბირის შემდეგ ჩამოაცვა და მოარგო ყარანარს აკაზმულობა. ვინემ უნაგირს დაადგამდა, ჯერ ყველაზე ძვირფასი, საგარეო ყაჯარი გადააფარა, ძველებური ნახელავი, ფერად-ფერადი გრძელი ფუნჯებით გაწყობილი, ფარდაგივით ამოქარგული. აღარც ახსოვს, უკანასკნელად როდის მორთო ყარანარი ამ იშვიათი აკაზმულობით, უქუბალა ასე რომ დაჰკანკალებს და უფრთხილდება. ახლა კი მიეცა საამისო შემთხვევა...

ფეხზე წამოაყენა შეკაზმული ყარანარი ედიღეიმ და დიახაც ნაამები დარჩა თავისი ნამუშევრით. სიამაყეც კი იგრძნო. მედიდურად, დიდებულად გამოიყურებოდა ყარანარი ამ ფუნჯებიან ყაჯრითა და კუზებშუა ოსტატურად ჩაღგმული უნაგირით. დაე, დატკბნენ ახალგაზრდები, მეტადრე საბითჟანი, დაე იცოდნენ: იმ კაცის დამარხვა, ვინც ღირსეულად გალია თავისი წუთისოფელი, არც მძიმე ტვირთია და არც ხელისშემშლელი დაბრკოლება, ეს დიდი საქმეა, თუმცა სამწუხარო, და საკადრისი პატივიც უნდა მიაგოს ყველამ. სად მუსიკით, დროშებით მიაცილებენ სამარის კარამდე მიცვალებულს, სად თოფების სროლით, სად ყვავილებით და გვირგვინებით...

ბურანელი ედიღეი კი ფუნჯიან ყაჯრით მორთულ ყარანარზე ამხედრებული. ხვალ დილას ანა-ბეიითისკენ გაუძღვება სამგლოვიარო პროცესიას და ყაზანგაპს მის უკანასკნელ, საუკუნო განსასვენებლამდე მიაცილებს... მთელი გზა, ამ ვეებერთელა, უკაცრიელი სარი-ოზექის გადაჭრისას, იგი ყაზანგაპზე იფიქრებს და ამ ფიქრებით მიაბარებს მამაპაპისეულ სამარხის მიწას, როგორც ადრევე ჰქონდათ დათქმული მასა და ყაზანგაპს. დიახ, დათქმული ჰქონდათ. შორსაა თუ ახლოს, ვერავინ გადაათქმევინებს ამას, მიცვალებულის ვაჟიც კი. ყაზანგაპის ნება-სურვილი უნდა აღსრულდეს...

დაე, ყველამ იცოდეს, რომ ეს ასე იქნება, რომ ყარანარი საამისოდ მზად არის,— შეკაზმულია და უნაგირი ადგას.

დაე, ყველამ შეხედოს და ნახოს. ედიღეიმ აღვირით გამოიყვანა ყარანარი საჩეხედან, ყველა სახლი შემოატარა და მერე ყაზანგაპის მიწურის წინ დააბა. დიახ, ყველამ შეხედოს და ნახოს — ბურანელი ედიღეი თავის სიტყვას არ გატეხს და არ უღალატებს. თუმცა არ ყოფილა ამის დასტურყოფა საჭირო. ვინემ ედიღეი ყარანარს შეკაზმავდა, აყლაყუდა ედილბაიმ დრო იხელთა და საბითჟანი განზე გაიხმო:

— წამო, ჩრდილში ვილაპარაკოთ.

ედილბაის ბევრი ლაილაი არ გაუბამს, პირდაპირ მიახალა:

— იცი, რას გეტყვი, საბითჟან, ღმერთს უმადლე, რომ ბურანელი ედიღეისთანა კაცი მოგივლინა ამ ქვეყანას, მამაშენის ძმაკაცი. ამიტომ ხელს ნუ გვიშლი, მამაშენი ადათისამებრ მივაბაროთ მიწას. თუ გეჩქარება, ჩვენ არ გაკავებთ, მიბრძანდი, შენ მაგივრად მე მივაყრი ერთ მუჭა მიწას!

— ეს მამაჩემია და მე ვიცი... — დაიწყო საბითჟანმა, მაგრამ ედილბაიმ ალარ დაამთავრებინა:

— მამა კი შენია, ოღონდ თავი არაა შენი.

— იტყვი რაღა, — უკან დაიხია საბითჟანმა. — კარგი, კარგი, მოდი, ასეთ დღეს ნუღა ვიდავებთ. კი, ბატონო, ანა-ბეიითი იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ შორია-მეთქი, ვიფიქრე...

ეს იყო და ეს, შეტი ალარაფერი თქმულა. ხოლო ედიღეი რომ მობრუნდა, ჯოანახარი ყველას დასანახად კართან დააბა და ბორანლელებს უთხრა: „მორჩით, ჯიგიტებს ასეთი ლაყაფი არ გეკადრებათ, ამისთანა კაცი ანა-ბეიითზე უნდა დავასაფლავოთ...“ კრინტი არავის დაუძრავს, უხმოდ დაეთანხმა ყველა...

საღამო და ის ღამე ყველამ მიცვალებულის სახლის წინ, ეზოში გაატარა. კაი დარი იდგა. დღე ხომ ცხელოდა, საღამოს კი საგრძნობლად აგრილდა, საროზექის შემოდგომა ახლოვდებოდა. დიდებულმა მდუმარებამ მოიცვა ბინდბუნდში გახვეული მიდამო. ქარი არ ქროდა. სახვალიო ქელეხისთვის დაკლული ცხვარი რომ გაატყავეს, კიდეც დაბნელდა. მერე ათუხთუხებულ სამოვრებთან ლალიეს ჩაი და მთისა და ბრისა თქვეს... დასაფლავებისთვის თითქმის ყველაფერი მზად იყო, ახლა გათენებასღა ელოდნენ, რომ ანა-ბეიითისაკენ გზას დასდგომოდნენ. წყნარად, მშვიდად ვიდოდა ეს ღამეული ჟამი, როგორც ხდება ხოლმე მხცოვანი კაცის მიცვალებისას, ზარისა და ვიშის გარეშე...

ბორანლი-ბურანის ასაკცევზე კი, როგორც ყოველთვის, მიგრიალებდნენ ძატარებლები — აღმოსავლეთიდან დასავლეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით...

ასე გახლდათ საქმე იმ საღამოს, ანა-ბეიითისაკენ გამგზავრების წინ. ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ერთი უსიამო ამბავი არ მომხდარიყო.

საბარგო მატარებელს აიზადა ჩამოჰყვა თავისი ქმრით მამის დასაფლავებაზე. ჩამოჰყვა და ისეთი წვიმ-კვიმლით მოვიდა, ირგელივ დახვეულმა ქალებმაც უმალ ტირილი ატეხეს. მეტადრე უქუბალა იდვრებოდა ცრემლად აიზადას სიბრალულით. ორივენი მწარედ ქვითინებდნენ და მოთქვამდნენ. ედიღეიმ სცადა აიზადას გაჩუმება: რას იზამ, თავს ვერ მოიკლავ, ბედს უნდა დამორჩილდეო. მაგრამ აიზადა ვერ გაჩუმა და ვერა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე — მამის სიკვდილი საბაბი გამოდგა აი-

ზადასათვის, ტირილით ეთქვა ის, რაც დიდი ხანია გულში დაგუბებოდა. თმაგაწეწილი და თვალებდასიებული გულმდუღარედ ჩიოდა თავის უბედობაზე— რომ გამგები და ნუგეშისმცემელი არავინ გააჩნია, რომ ცხოვრებამ თავიდანვე დაჩაგრა, ქმარი ლოთი გამოადგა, შვილები დილიდან საღამომდე ეზოსა და ბაღებურზე უპატრონოდ დაწანწალებენ, გახულიგდნენ, ხვალ შეიძლება ყაჩაღობაც დაიწყონ, მატარებლები გაძარცვონ. უფროსმა ბიჭმა სმა დაიწყო, მილიციამ უკვე მოაკითხა, გააფრთხილა — საქმე მალე პროკურატურამდე მივაო. მარტო ქალმა რა გააწყოს, რა მოუხერხოს ექვს შვილს, მათი მამა კი ყურსაც არ იბერტყავს...

აიზადას ქმარი მართლაც ყურს არ იბერტყავდა, იჯდა თავისთვის, მოშვებული, გაბრუებული, დაღონებული. რაც უნდა იყოს, სიმამრის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. იჯდა და იმ თავის აყროლებულ, იაფფასიან სიგარეტებს უხმოდ აბოლებდა. მისთვის ეს ახალი ამბავი არ იყო. იცოდა — იკივლებს, იწივლებს ქალი და დაიღლება... მაგრამ საუბედუროდ ძმა ჩაერია და აირია ყველაფერი. საბითჟანმა შეარცხვინა აიზადა: სად გაგონილა ასეთი რამ, მამის დასასაფლავებლად ჩამოვიდა თუ თავის მოსაჭრელად? განა ყაზახმა ქალმა ასე უნდა დაიტიროს დარბაისელი მამა? განა ყაზახი ქალების დიდებული მოთქმა და ზარი ლეგენდებად და სიმღერებად არ ექცა მათ შთამომავლებს საუკუნეების მანძილზე? მათი მოთქმა და ზარი მკვდრებს ვერ აცოცხლებდა, თორემ ცოცხლებს ცრემლების ღვარს აფრქვევინებდა ირგვლივ. აქებდნენ და ცაში აჰყავდათ მიცვალებული — ასეთი ზარი იცოდნენ ძველად ქალებმა... ის კი რას სჩადის? საწყალობელ წუწუნსა და ჩივილს მოჰყვა, რა უკულმართი ბედი შეხვდა ამ ქვეყანაზე!

აიზადა თითქოს ამას ელოდა. უარესად აკივლდა და აწივლდა: ვიშ, რა ჭკვიანი და ნასწავლი ბრძანდები! თუ ასეა, შენს ცოლს ასწავლე ჭკუა. ეგ ლამაზ-ლამაზი სიტყვები მისთვის შეინახე! რატომ თვითონ არ ჩამობრძანდა და არ გვაჩვენა დიდებული ზარი და მოთქმა. სწორედაც მართებდა მამაჩვენის ქება-დიდება. მაგ გველაძუამ და შენ, მისმა უნამუსო ყურმოჭრილმა მონამ, გაქურდეთ და გაძარცვეთ მოხუცი! თითზე გადასახვევი არ შეარჩინეთ. ჩემი ქმარი ხომ ლოთია, მაგრამ აგერ აქა ზის, შენი ჭკუით დაყურსული ცოლი კი სადა ბრძანდება?

საბითჟანმა მაშინ აიზადას ქმარს დაუღრიალა, შენს ცოლს ხმა ჩააწყვეტინეო. იმასაც უცბად რალაცამ წამოუარა და საბითჟანს ეცა დასახრჩობად.

ძლივს გააშველეს ბორანლელებმა გაწიწმატებული ჭირისუფლები. შერცხვათ, გული აემღვრათ ამ სურათზე. გუნება გაუფუჭდა ედილეისაც, იცოდა, განა არ იცოდა, ვინც ბრძანდებოდნენ, მაგრამ ამას მაინც არ მოელოდა. გაწყრა და სასტიკად გააფრთხილა და-ძმა: თუ ერთმანეთს არად აგდებთ, მამის სსოვნას მაინც დასდეთ პატივი, თორემ ორივეს გაგისტუმრებთ უკან, არაფერს არ მივხედავ, თქვენს თავსვე დააბრალეთო...

დიახ, ასეთი ცუდი რალაც მოხდა დასაფლავების წინა ღამეს. მოიჟამა ედილეი. კვლავ კოპები დაასხდა შუბლზე, კვლავ აეკვიატა, არ ასვენებდა ფიქრები — რად გამოუვიდათ ასეთი შვილები, რა დაემართათ? განა ამას ნატრობდნენ ისა და ყაზანგაპი, განა ამაზე ოცნებობდნენ, როცა ქუმბელის ინტერნატში დაჰყავდათ ისინი სიცივესა თუ სიცხეში, ოღონდაც ესწავლათ, ოღონდაც ხალხში გამოსულიყვნენ, არ ჩარჩენილიყვნენ სოროზეჭის რომელიმე ასაქცევზე

და ულიმლამოდ არ ეჩანჩალათ ცხოვრება, არ ეწყევლათ ბედი. მშობლებმა თავი არ შეიწუხეს ჩვენზეო. უკულმა კი დატრიალდა ყველაფერი... რა მოხდა, რამ შეუშალათ ხელი კარგი ადამიანები გამოსულიყვნენ. ზიზღი არ გეგრძნო მათ დანახვაზე?..

ღმერთი უშველის აყლაყუდა ედილბაის, კიდევ იმას [illegible] ალო და გულისხმიერება. დარდი გააქარვებინა იმ საღამოს ედ[illegible]ედილბაი. რა დღეში იყო ედიღეი. შვილები არიან მამის ყველაზე დიდი ჭირისუფლები, ასე იყო ათიდან-ბაბიდან. რა გინდ ნამუსგარეცხილნი და წყალწაღებულნი არ იყვნენ, რას იზამ, ვერ გაყრი, ვერ მოიშორებ. და-ძმას შორის მომხდარმა აყალ-მაყალმა ყველას ჩაუშხამა გუნება. ჰოდა, ედილბაიმაც თავისთან გადაიპატიჟა მამაკაცები, ცაში რად ვთვალოთ ვარსკვლავები, ჩემთან წავიდეთ, ჩაი დავლიოთ, ვიბაასოთო...

თითქოს სხვა ქვეყანაში მოხვდა აყლაყუდა ედილბაისთან ედიღეი. ადრეც ბევრჯერ შეუვლია მეზობელთან და მუდამ ნასიამოვნები წამოსულა იქიდან, გახარებული. დღეს კი უფრო დიდხანს მოუნდა აქ დარჩენა, სურვილი გაუჩნდა ასეთი — თითქოს სული ჰქონდა დაცლილი და აქ უნდა აევსო.

აყლაყუდა ედილბაიც რკინიგზის მუშა იყო. სხვებივით მასაც ფიცრის სახლის ნახევარი ეჭირა, ორი ოთახი და სამზარეულო, არც სხვებზე მეტი ჯამაგირი ჰქონდა, მაგრამ აქ სულ სხვა სული —სისუფთავე, მყუდროება, სინათლე დასადგურებულიყო. ჩაი რა არის, ჩაიც კი ედილბაის ფიალებში ფიჭის თაფლივით ტკბილი ეჩვენა ედიღეის. ედილბაის ცოლი ქალადაც ვარგოდა და ოჯახის დიასახლისადაც კარგი იყო, ბავშვები ბავშვებს ჰგავდნენ... სანამ გაეძლებათ, ალბათ მანამდე დარჩებიან საროზექში. ფიქრობდა ედიღეი გულში, მერე კი უკეთეს ადგილას გადასახლდებიან. ძალიან დაწყდება კია გული, ესენი რომ აქედან წავლენ...

კირბაჩები ზღურბლზე დატოვა ედიღეიმ და წინდების ამარა შევიდა ოჯახში, ფეხმორთხმული დაჯდა. მთელი დღის მანძილზე ახლა პირველად იგრძნო, რარიგ დაღლილიყო და მოშიებოდა. ფიცრის კედელს ზურგით მიეყრდნო, დადუმდა. დანარჩენები მრგვალ მაგიდას შემოსხდომოდნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ ხან რაზე და ხან რაზე...

ნამდვილი საუბარი მერე გაიბა, უცნაური საუბარი. წუხელ აფრენილი კოსმიური ხომალდის ამბავი ედიღეის აღარც ახსოვდა. ახლა კი მცოდნე ხალხმა ისეთი რაღაცები თქვა, ედიღეიც ჩააფიქრა. განა იმიტომ, რაღაც ახალი აღმოეჩინოს თავისთვის, უბრალოდ გააკვირვა იმათმა მსჯელობამ და თავისმა უცოდინარობამ ამ ამბების ირგვლივ. კოსმოსში გაფრენები, სხვებისთვის ესოდენ საგულისხმო, მისთვის ერთობ შორეული, თითქმის გრძნეული, მაგრამ უცხო ამბავი იყო. ამიტომაც გადარაჯებულ-მოწიწებული გრძნობა ჰქონდა ყოველივე ამისადმი, როგორც რაღაც ყოვლისშემძლე უსახური ნების მოვლინებისას ექნებოდა. დიდი-დიდი, ყურად უნდა იღო, სხვა შენ არ გეკითხება, გინდაც რომ კოსმოსში აჭრილი ხომალდის ხილვამ შეგძრა და თვალი მოგტაცა. სწორედ ამაზე გაიბა ბაასი აყლაყუდა ედილბაის სახლში.

ჯერ შუბათი დალიეს — აქლემის რძის კუმისი. ჩინებული შუბათი იყო. გრილი, ქაფქაფა, ცოტაოდენ მათრობელა. საკონტროლო-საარემონტო ბრიგადის წევრები ხარბად ეტანებოდნენ ხოლმე, საროზექის ლუდს ეძახდნენ. ცხელ საუზმეს არაყიც მოაყოლა ედილბაიმ. როცა შემთხვევა იყო. ბურახელ ედიღეის

თავბატიჟი არასოდეს გაუდვია, სხვებს არ ჩამორჩენია, მაგრამ ახლა აბა ვაეკარა და სხვებსაც აგრძნობინა, არაყით მაინცდამაინც გატაცება არ ღირსო — ხვალ მძიმე დღე ელოდათ, დიდი გზა ედოთ წინ. შეშფოთებული უყურებდა, სხვები, მეტადრე საბითჟანი, არაყსა და შუბათს რომ ერთად ეძალებოდნენ, — შუბათი და არაყი ერთმანეთს კარგად ეთავსება, ერთ ეტლში შებმულ ბედაურებივით არიან — ადამიანს გუნებას უხალისებენ. მაგრამ დღეს კი გახალისება არავის სჭიროდა. არადა, როგორ უნდა დაუშალო მოწიფულ კაცებს, არ დალიოთო? თავად უნდა იცოდნენ ზომა. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ აიზადას ქმარი არაყს არ მიჰკარებია. ლოთს რა ბევრი უნდა, ხელად დათვრება, გამოშტერდება, ის კი მარტო შუბათს სვამდა. ეტყობა, ესმოდა მაინც, რომ სიმამრის დასაფლავებაზე გატრეტილი მთვრალი არ შეიძლება იყოს, მეტისმეტი იქნება. თუმცა სანამდე შეიკავებს თავს, ღმერთმა უწყის.

ასე ისხდნენ და მუსაიფობდნენ ათას რამეზე. ედილბაი შუბათს უსხამდა სტუმრებს, თავის გრიელზე გრძელ ხელებს ექსკავატორის ციცხვივით შლიდა და კეცავდა. ჰოდა, როცა ედილეის სავსე ფიალა გაუწოდა, სუფრის მეორე თავიდან, უცებ გაახსენდა:

— ედიქე, გუშინლამ, თქვენ რომ წახვედით, იმავ წუთს ისევ შეზანზარდა ჰაერი, კინაღამ წავიქეცი. გავიხედე, რაკეტა აჭრილიყო კოსმოდრომიდან. ვეებერთელა, ხელნასავით უშველებელი! ზრ დაგინახავთ?

— დავინახე ჰქვია! სახტად დავრჩი! ძალაც ასეთი უნდა! ცეცხლს აფრქვევდა, ზევით-ზევით მიიწევდა. ბოლო აღარ უჩანდა! თავზარი დამეცა. ამდენი ხანი აქ მიცხოვრია, მსგავსი არაფერი მინახავს.

— მეც პირველად ვნახე ჩემი თვალით. — გამოტყდა ედილბაი.

— შენ თუ პირველად ნახე, ჩვენ რაღა გვეთქმის, საიდან უნდა გვენახა,— ვითომ იმასხრა საბითჟანმა, ედილბაის გაჰკრა კბილი, ასე მაღალი რომ იყო.

აყლაყუდა ედილბაის ცალყბად ჩაეღიმა:

— მე რა მოსატანი ვარ. — ხელი ჩაიქნია მან. — ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერი — ცეცხლი გუგუნებს ცაში, სხვა არაფერი! მაშასადამე, ვიფიქრე, ვიღაც გაფრინდა კოსმოსში. გზა მშვიდობისა ჰქონია-მეთქი! ხელად გადავატრიალე ტრანზისტორი, მუდამ თან დამაქვს! ვიფიქრე, ალბათ უკვე რადიოთი გადმოსცემენ-მეთქი. ჩვეულებრივ ხომ კოსმოდრომიდან მაშინვეა გადმოცემა. სიხარულისგან დიქტორი ისე ლაპარაკობს, გეგონება, მიტინგზეაო. ქრუანტელი დაგივლის ტანში! ეალიან მინდოდა, ედიქე, გამეგო, ვინ იყო, პირადად მე ვინ ვნახე გაფრენისას. მაგრამ ვერაფერი გავიგე.

— ნეტა რატომ? — ყველას დაასწრო საბითჟანმა და განცვიფრებით, მრავლისმეტყველად და მედიდურად აჭიმა წარბები. უკვე მოჰკიდებოდა ბრუჟი. გაოფლიანებული და გაწითლებული იყო.

— რა ვიცი, არაფერი გადმოუცია. მუდამ „მაიაკის“ ტალღაზე მიყენია რადიო. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ...

— შეუძლებელია! აქ რაღაც სხვა ამბავი იქნება! — დაეჭვდა საბითჟანი და არაყის ყლუპს უმალ შუბათი დააყოლა. — კოსმოსში ყოველი გაფრენა საქვეყნო ამბავია... გესმის? ჩვენი მეცნიერებისა და პოლიტიკის პრესტიჟის ამბავი!

— მე რა ვიცი, რატომ. საგანგებოდ უკანასკნელ ცნობებსაც ვუსმინე, გაზეთების მიმოხილვასაც.

— ჰმ! — თავი გააქნია საბითჟანმა. — სამსახურში რომ ვყოფილიყავი, ცხადია, გავიგებდი! აფსუს, ეშმაკმა დალახვროს. ან იქნებ აქ სხვა რამ ამბავია?

— ვინ იცის, რა ამბავია, ოღონდაც მე კი, ღმერთმანი, გული დამწყდა, — გულწრფელად გამოტყდა აყლაყუდა ედილბაი. — ასე მეგონა, ჩემი კოსმონავტი იყო, რაღაი ჩემ თვალწინ გაფრინდა. ვიფიქრე, იქნებ ჩვენი ბიჭებიდან გაფრინდა ვინმე. ვაი, რა სიხარული იქნებოდა. ვნახოთ და სადმე შევხვდე, გაგეხარდება კაცს...

საბითჟანმა საჩქაროდ გააწყვეტინა, თითქოს რაღაცას მიხვდაო:

— ჰოო, მესმის, ხომალდი მფრინავის გარეშე გაუშვეს. მაშასადამე, საცდელად.

— ეს როგორ? — ალმაცერად შეხედა ედილბაიმ.

— ჰო, საცდელი ვარიანტი იყო, გესმის, ცდა, უპილოტო ხომალდის შესაპირაპირებლად ან ორბიტაზე გასასვლელად. ჯერ არავინ იცის, როგორ იქნება საქმე. თუ კარგად დამთავრდა, რადიოშიც და გაზეთშიაც იქნება ცნობა. თუ არა, შეიძლება არც არაფერი დასწერონ. უბრალოდ მეცნიერული ცდაა.

— მე კი მეგონა, ცოცხალი ადამიანი გაფრინდა-მეთქი, — ედილბაიმ წყენით მოიფხანა შუბლი.

საბითჟანის ახსნა-განმარტებამ ცოტა არ იყოს გული გაუტეხათ მსმენელებს და დადუმდნენ, იქნებ საუბარი ალარც გაგრძელებულიყო, რომ თვითონ ედილეის უნებურად ხელახლა არ დაეწყო:

— მაშასადამე, კოსმოსში ადამიანის გარეშე გაფრინდა რაკეტა, ჯიგიტებო? სწორად გავიგე? კი მაგრამ, ვინ მართავს?

— ვინ?— განცვიფრებით აიქნია ხელები საბითჟანმა და ნიშნისმოგებით გადახედა უვიც ედილეის. — იქ, ედილეი, ყველაფერი რადიოს საშუალებით კეთდება, დედამიწის ბრძანებით მართვის ცენტრიდან. ყველაფერს რადიოთი მართავენ, გესმის? გინდაც შიგ კოსმონავტი იჯდეს, რაკეტას მაინც რადიოთი მართავენ. კოსმონავტს თუ რამის გაკეთება უნდა თვითონ, ამაზე ნებართვა უნდა ითხოვოს... ეს. ქოქეტაი[1] ძვირფასო, ყარანარით მგზავრობა არ გეგონოს საროზექში, იქ ყველაფერი ძალზე რთული გახლავს...

— აბა უყურე შენ, — გაურკვევლად წაილაპარაკა ედილეიმ.

როგორ შეიძლება რადიოთი მართვა, ბურანელ ედილეის ვერა და ვერ გაეგო. რადიო მისთვის — ხმები, ბგერები იყო, ეთერში რომ შორი მანძილიდან მოდიოდა. მაგრამ უსულო საგანი როგორ შეიძლება ამდაგვარად მართო? თუ უსულო საგნის შიგნით ადამიანი იქნება, კიდევ ჰო: ის შეასრულებს ბრძანებას — ასე მოიქეცი, ისე მოიქეცი. კი უნდოდა კარგად გამოეკითხა ყველაფერი, მაგრამ გადაწყვიტა, არ ღირსო. გულმა არ უქნა რატომღაც და გაჩუმება არჩია. მეტისმეტი მოწყალე კილო ჰქონდა საბითჟანს, აი მე რამდენი ვიცი, თქვენ კი არარაობად მთვლით. ეს ჩემი ლოთი სიძე დასახრჩობადაც მეცა, თუმცა თქვენზე მეტი გამეგებაო. „ღმერთმა კარგად გამყოფოს, — გაიფიქრა ედილეიმ, — იმიტომაც გასწავლიდით მთელი ცხოვრება. ჩვენისთანა უსწავლელებზე მეტი ვილაცამ ხომ უნდა იცოდეს“. ისიც კი მოაფიქრდა ბურანელ ედილეის: „ამისთანა კაცი რომ მთავრობაში მოხვდეს — მტრისას, ყველას შეჭამს,

[1] მოფერებითი. ქნინობითი და ამავე დროს მოწყალე მიმართვა.

თუ მისმა ქვეშევრდომებმა ყოვლისმცოდნედ არ გაასაღეს თავი. ჯერჯერობით მაგას დაარბენინებ აქეთ-იქით. ჰოდა, საროზექში უნდა იზლოს ყველაფერი. აქ მაინც პირში უყუროს ყველამ...“

საბითჟანს ალბათ მართლა უნდოდა საბოლოოდ გაეოგნებინა ერეტი და-ესხა ბორანლელებისთვის, რათა დასა და სიძესთან სამარცხვინო ყალმაყალის შემდეგ ფასი აწეოდა მათ თვალში, ამ ლაპარაკით ყურადღება სხვა საკითხზე გადაეტანა. ჰოდა, მოხსნა გუდა დაუჯერებელ სასწაულებზე, მეცნიერების მიღწევებზე, თან არაყსაც არ ივიწყებდა, ყლუპ-ყლუპით სვამდა, ზედ შუბათს აყოლებდა. ამან უფრო და უფრო შეახურა და ისეთი გაუგონარი რაღაცები დაფქვა, საწყალმა ბორანლელებმა აღარ იცოდნენ, რა დაეჯერებინათ და რა არა.

— აბა, თვითონ განსაჯეთ, — ამბობდა იგი და აპრიალებული სათვალიდან აგზნებულ მზერას მომნუსხველად ავლებდა ყველას, — გაგება რომ გვქონდეს, ჩვენზე ბედნიერი ხალხი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. აი, შენ, ედიღეი, ყველაზე უფროსი ხარ ჩვენში. შენ იცი, ადრე როგორ იყო და ახლა როგორ არის. ამას რატომ ვამბობ? ადრე ხალხს ღმერთებისა სწამდა. ძველ საბერძნეთში ღმერთები თურმე ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ. მაგრამ რა ღმერთები იყვნენ ისინი?! წმიდაწყლის ობროდები. რა შეეძლოთ? ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, აი, რით გაითქვეს სახელი, ადამიანის ცხოვრება კი ვერ შეცვალეს, თავი არც აუტკივებიათ ამაზე. ეს ღმერთები არც ყოფილან, მხოლოდ მითია, ზღაპარი. ჩვენი ღმერთები კი აგერ იქ, ჩვენ გვერდზე, კოსმოდრომზე ცხოვრობენ, ჩვენი საროზექის მიწაზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ამით მოგვაქვს თავი. ჩვენ მათ არ ვხედავთ, არ ვიცნობთ და არც უნდა ვიცნობდეთ, ირცაა წესი და არც მართებს ყოველ შემხვედრ მირქინბაი-შიიქიმბაის ხელი მიაჩეჩოს: გამარჯობა, რასა იქმო? მაგრამ ისინი ნამდვილი ღმერთები არიან! აი, შენ, ედიქე, გიკვირს, როგორ მართავენ კოსმიურ ხომალდებს რადიოთი. ეს რაა, ეს სისულელეა, უკვე განვლილი საფეხურია! ეს აპარატურა, მანქანები მოქმედებენ პროგრამის მიხედვით. მაგრამ დადგება დრო, როცა რადიოს მეშვეობით ადამიანებსაც დაუწყებენ ავტომატების დარად მართვას. გესმით — ადამიანებს, სუყველას, დიდსაც და პატარასაც. უკვე არის საამისო მეცნიერული მონაცემები. მეცნიერებამ ამასაც მიაღწია, ზენა მიზნებიდან გამომდინარე.

— დაიცა, დაიცა, რა ხელდახელ ზენა მიზნებს მიახტები ხოლმე! — გაოწყვეტინა აყლაყუდა ედილბაიმ. — შენ ის მითხარი, რაღაც ჩემამდე ვერ დადის, მაშასადამე, ყველამ სულ პატარა რადიომიმღები უნდა ვატაროთ, ტრანზისტორის მსგავსად, ბრძანება რომ გავიგოთ? მაგრამ ასე ხომ უკვე ყველგანაა!

— აბა შენა ხარ! ამაზე ვინ ლაპარაკობს? ეს სისულელეა, ეს ბალღური ოინებია! არაფერიც არ უნდა ატარო, გინდაც დედიშობილა იარე. ოღონდაც უსილავი რადიოტალღები —ეგრეთწოდებული ბიოდენები — ნიადაგ იმოქმედებენ შენზე, შენს შეგნებაზე. მაშინ რაღას იზამ?

— ეგრეა?

— მაშ რა გეგონა! ადამიანი ყველაფერს ცენტრის კარნახით გააკეთებს. იმას ჰგონია, თავისით ცხოვრობს და მოქმედებს, თავისი ნებით, სინამდვილეში კი ზემოდან უთითებენ, მკაცრი განრიგის მიხედვით. უნდა იმღერო — სიგნალი იქნება და იმღერებ. უნდა იცეკვო — სიგნალი იქნება და იცეკვებ. უნდა იმუშაო — სიგნალი იქნება და იმუშავებ, მერედა როგორ იმუშავებ!

ქურდბაცაცობა, ხულიგნობა, ბოროტმოქმედება — დავიწყებას მიეცემა, მარტო ძველ წიგნებში წაიკითხავენ ამაზე, ვინაიდან და რადგან ყველაფერი იქნება გათვალისწინებული — ადამიანის ყველა საქციელი, ყველა ფიქრი, ყველა სურვილი. მაგალითისათვის ვთქვათ, მსოფლიოში ახლა დემოგრაფიული აფეთქებაა, ესე იგი ადამიანები მეტისმეტად გამრავლდნენ, ყველანი არ ჰყოფნით. რა არის ამის წამალი? ის, რომ დაბადება შემცირდეს ცოლთან მაშინ გექნება საქმე, როცა სიგნალს მიიღებ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

— ზენა მიზნებიდან ხომ? — ცოტა არ იყოს იქედნურად დააზუსტა აყლაყუდა ედილბაიმ.

— სწორედაც ეგრე, სახელმწიფო მიზნები ყველაფერზე მაღლაა.

— თუკი მაგ მიზნების გარეშე სხვა მხრივ მომინდა ცოლთან ან კიდევ სხვა რამ?

— ედილბაი, ძვირფასო, არაფერიც არ გამოგივა, ასეთი აზრი თავშიც არ გაგივლის. მზეთუნახავიც რომ გაჩვენონ, ზედაც არ შეხედავ. იმიტომ რომ უარყოფით ბიოდენებს ჩაგირთავენ. ამ საქმესაც, მერწმუნე, დამში მოიყვანენ. ან ავილოთ სამხედრო საქმე. ყველაფერი სიგნალით იქნება. ცეცხლში შევარდნა იქნება საჭირო, ცეცხლში შევარდები, პარაშუტით უნდა გადმოხტე — თვალსაც არ დაახამხამებ, ატომური ნაღმი ტანკქვეშ უნდა ააფეთქო — კი, ბატონო, ამ წუთას. რატომ, მკითხავ? სიმამაცის ბიოდენი ჩაირთვება — და მორჩა, შიშმა ჭირი მოგჭამა... ასეა, მაშ!

— ვაჰ, რა ცრუპენტელა ყოფილხარ! რა ბრახუნი გცოდნია! ნეტა ამდენი წელი რას გასწავლიდნენ? — გულწრფელად უკვირდა ედილბაის.

სხვები სიცილს ვერ იკავებდნენ, თავს აქნევდნენ, ცმუტავდნენ, აბა, უქუნრე, რა ზღაპრებს ჰყვება ბიჭი, მაგრამ მაინც უსმენდნენ — მერე რა, რომ ეშმაკ-ქაჯურ რაღაცებს როტავს, საინტერესო კია, არგაგონილი. თუმცა მთვრალს რა მოეკითხება, არაყთან ერთად შუბათს ყლურწავს, იყბედოს, რამდენიც უნდა. საღლაც რაღაც გაუგონია, რაღაცისათვის მოუკრავს ყური, მაგრამ რაა მართალი და რა ტყუილი, ღირს კია ზავის მტვრევა. და მაინც ედილბაი ერთი პირობა შიშის ზარმა აიტანა — ვთქვათ და ტყუილად არ ჩხავის ეს ჩვენი ყბედი, ალბათ სადღაც ამოიკითხა ან ყური მოჰკრა, ეგ ხომ ყველაფერს ჰაერში იჭერს. სად რა ხდება ცუდი და ავი. ვთქვათ, და, დასტურ არიან სადმე ისეთი ადამიანები. თანაც დიდი მეცნიერები, რომლებსაც მართლა სწყურიათ ღმერთებივით თავის ნება-სურვილზე ატრიალონ ხალხი?..

საბითჟანი კი არახუნებდა და არახუნებდა თავისას, მეტადრე რომ მსმენელები ჰყავდა. სათვალე დაეოფლა, გუგები გაუგანივრდა, როგორც კატას სიბნელეში, ხან არაყს ყლურწავდა და ხან შუბათს. ახლა ხელების ქნევით რომელიღაც ბერმუდის სამკუთხედზე ჩმახავდა რაღაცას. ეს კუნძული ოკეანეშიაო, იქ გემები იღუპებიან, თვითმფრინავები უგზოუკვლოდ იკარგებიანო.

— აგერ ჩვენს ოლქში ერთი კაცი იყო, თავს იკლავდა, ისე უნდოდა საზღვარგარეთ წასვლა. ნეტა რა დარჩენოდა იქ! ჰოდა, გაემგზავრა კიდევაც თავისდა ჭირად. იმეტიჩრა, სხვებს თავზე გადაახტა, გაფრინდა, არ ვიცი, ურუგვაიში თუ პარაგვაიში და კიდეც მოგჭამა ჭირი. ზედ ბერმუდის სამკუთხედზე თვითმფრინავი ფაფუ! აორთქლდა, გაქრა. დაიღუპა კაცი! ამიტომაც, მეგობრებო, რა საჭიროა ვისმე ეხვეწო, ნებართვაზე ემუდარო, სხვებს გადა-

ახტე, ბერმუდის სამკუთხედების გარეშე როგორმე გავძლებთ. იხარე, იცხოვრე შენს მიწაზე. ჯანმრთელობა არ მოგაკლოს ღმერთმა. მოდით, ჩვენი ჯანმრთელობისა შევსვათ!

„ოჰო, გაუტია მისებურად!— გულში შეიკურთხა ედიღეიმ. —ახლა თავის საყვარელ არაკს მოაყოლებს. ეს რა ჭირია! დალევს თუ არა, მაშინვე მუხრუჭები მოეშლება!“ ასეც მოხდა.

— მაშ შევსვათ ჩვენი ჯანმრთელობისა! — გაიმეორა საბითჟანმა და ამღვრეული, აცაბაცა მზერა მოავლო ყველას, თუმცა მაინც ცდილობდა მედიდური იერი არ დაეკარგა. — ჩვენი ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამ ჩვენი ქვეყნისა. მაშასადამე, ჩვენი ჯანმრთელობა — სახელმწიფო ქონებაა. დიახ, ბატონო! არც ისეთი უბრალო ხალხი ვახლავართ, სახელმწიფო ხალხი გვქვია! კიდევ მინდა გითხრათ...

სწრაფად წამოდგა ბურანელი ედიღეი. საბითჟანს სადღეგრძელოს დამთავრება არ აცალა, გარეთ გავიდა. პარმაღზე, ბნელში, რალაცას გაჰკრა ფეხი — ცარიელი ვედრო თუ რალაც ჯანდაბა აახრიგინა — ფეხები ჩაჰყო უკვე გაყინულ კირზაჩებში და შინისკენ გასწია. „ვაი, საწყალო ყაზანგაპ! — უხმოდ დაიკვნესა მწარედ და ულვაში ჩაიკვნიტა, — ეს რა გამოდის — არც სიკვდილს დაგიდევს და არც გლოვას! გათხლაშულა აკამზე, იჭყიპება არაყით, თითქოს ქეიფში იყოს. არაფერი ანაღვლებს! მოიგონა რალაც ჭირად ის წყეული არაკი —საბელმწიფო ჯანმრთელობაო, და სულ ამას გაიძახის. ღმერთმა ქნას, ხვალ ადათისამებრ მოვაგვაროთ ყველაფერი. რომ დავასაფლავებთ და პირველ ქელეხს გადავიხდით, მაგის ფეხი ალარ იქნება ჩვენთან, თავიდან მოგვშორდება. ვის რა ოხრად უნდა აქ ან თვითონ ვინ რაში ჭირდება?!“

ისე კი თურმე კაი დიდხანს მსხდარან აყლაყუდა ედილბაისთან.

შუაღამე გადასულიყო. ღრმად ისუნთქავდა ედიღეი საროზექის ცივ ჰაერს. ხვალ ალბათ მზიანი, მშრალი დღე იქნება, საკმაოდ ცხელი. მუდამ ასეა. დღისით ცხელა, ღამღამობით კი ცივა, აკანკალებს კაცს. იმიტომაც გახრიოკებულა აკაურობა — მცენარეები ვერ ხარობენ. დღისით მზისკენ მიისწრაფიან, აყელ-ყელდებიან, ცვარს ნატრობენ. ღამე კი სიცივე აზრობთ, იმიტომაც მხოლოდ ნარეკალა და აბზინდა ძლებს აქ, ისინი ხარობენ მარტო. ხევის ნარიყზე თუ იპოვი ალაგ-ალაგ ბუჩქა-ბუჩქა ბალახს, იმას თუ გაცელავ თივად. ბურანელი ედიღეის ძველი დოსტი — ელიზაროვი, გეოლოგი რომ იყო, ჰყვებოდა კი არადა, პირდაპირ სურათს გიხატავდა, რა დიდებული ბალახიანი მინდვრები ყოფილა აქ, ჰავაც სხვანაირი, წვიმა სამჯერ უფრო მეტი მოდიოდა თურმე. ცხოვრებაც, ცხადია, სხვა იყო. საროზექში ნახირი, რემა, ფარა დადიოდაო. ალბათ დიდი, დიდი ხნის წინათ იყო ეს ყველაფერი, ალბათ იმაზე ადრეც, ვიდრე აქ ჟუანჟუანების მძვინვარე ტომი ჩამოეთესლებოდა, რომელთა კვალი საუკუნეებმა წაშალა, გადმოცემა დარჩა მარტო. თორემ ამდენი ხალხი საროზექში როგორ დაეტეოდა. ტყუილად კი არ იძახდა ელიზაროვი: საროზექი ტრამალების ისტორიის დავიწყებული წიგნიაო... მისთვის რომ გეკითხა, ანა-ბეითის სამარხიც შემთხვევითი ამბავი არ იყო. ზოგი მწიგნობარ ისტორიად მარტო იმას თვლის, რაც ქაღალდზე წერია. მაგრამ თუ იმ ხანებში წიგნები არ იწერებოდა, მაშინ რას იტყვი?..

გრიალით მიჭრი-მოჭროდნენ ასაქცევზე მატარებლები. ყურს უგდებდა ედიღეი ამ გრიალს და უნებურად არალის ზღვის ქარიშხლები ახსენდებოდა.

არალის ნაპირზე დაიბადა, გაიზარდა და ომამდე დაჰყო ედიღეიმ. ყაზანგაპიც არალელი ყაზახი იყო. იმიტომაც დაახლოვდნენ, როცა რკინიგზაზე ამოჰყვეს თავი. ბევრჯერ მონატრებიათ საროზეკში თავიანთი ზღვა. ყაზანგაპის სიკვდილამდე არც ისე ადრე ორივე გაემგზავრა ზღვაზე. თურმე ზღვას გამოემშვიდობა ბებერი. ჯობდა კი არ წასულიყვნენ. გუნება ჩაიზამარა და ემეტი არაფერი. სადღა იყო ზღვა, თურმე შრება, ქრება არალი. ათიოდე კილომეტრი იარეს დამშრალ, მოტიტვლებულ თიხნარზე, ვინემ წყლის პირს მიაღწევდნენ. მაშინ თქვა ყაზანგაპმა: „ანა-ბეიითზე უნდა დამმარხო. ედიღეი! ზღვას ველარ ვიხილავ!..“

სახელოთი მოიწმინდა მომდგარი კურცხალი ბურანელმა ედიღეიმ, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, ხმაზე არ შეტყობოდა გულაჩვილება, და ყაზანგაპის მიწურში შევიდა. იქ ჭირისუფლად აიზადა, უქუბულა და სხვა ქალები ისხდნენ. ბორანლელი ქალებიდან ხან ვინ შემოვიდოდა და ხან ვინ, ცოტა ხანს რომ მჯდარიყო და საქმეში წაშველებოდა სხვებს.

საჩეხეს რომ ჩაუარა, ედიღეი წამით შეჩერდა მიწაში ჩარჭობილ როკიან პალოსთან, სადაც შეკაზმული და ფუნჯიანი ყაჯრით დამშვენებული ბურანელი ყარანარი იდგა. მთვარის შუქზე სპილოსებრ ვეება, დინჯი და ძლიერი ჩანდა აქლემი. ედიღეიმ ვერ მოითმინა, აქლემს ფერდზე გაჰკრა ხელი:

— რა კაი ვიღაც ხარ!

რატომღაც ზღურბლზე გაახსენდა ედიღეის, თვითონაც არ იცოდა, რატომ, წუხელ რომ მელამ მოირბინა რკინიგზასთან, მან კი ვერ გაბედა, გადაიფიქრა ქვა ესროლა მელასათვის; ისიც მოაგონდა, როცა შინ მიდიოდა, როგორ აიჭრა კოსმოდრომიდან ცეცხლოვანი ხომალდი ცის შავ უფსკრულში...

III

ამ დროს წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ განედებში უკვე გათენებული იყო, დილის რვა საათი იქნებოდა. თვალისმომჭრელად ჩახჩახებდა მზე, უსაზღვრო შუქად ეღვრებოდა მობრკიალე უკიდეგანო სივრცეს. აქ, ქვეყნის ამ კიდეზე მხოლოდ ცისა და წყლის საუფლო იყო. მაგრამ სწორედ აქ, ავიოსან „კონვენციის“ ქიმზე, თამაშდებოდა მსოფლიო დრამა, რის თაობაზე გემის მილმა ჯერ ააციშვილმა არ უწყოდა და რაც კოსმოსის ათვისების მთელი ისტორიის მანძილზე ამერიკულ-საბჭოთა ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე“ მომხდარ გაუგონარი შემთხვევით იყო გამოწვეული.

ავიოსან „კონვენციას“ — ერთობლივი პლანეტოლოგიური პროგრამა „დემიურგის“ სტრატეგიულ შტაბს — რომელმაც მყის შეწყვიტა ყოველგვარი კავშირი გარე სამყაროსთან, არ შეუცვლია თავის მუდმივი ადგილ-სამყოფელი ალეუტის კუნძულების სამხრეთით წყნარ ოკეანეში, პირიქით, მეტი სიზუსტით მოახდინა ამ რაიონში კოორდინირება, რომ საჰაერო გზით ზუსტად ერთნაირი მანძილით ყოფილიყო დაშორებული როგორც სან-ფრანცისკოდან, ისე ვლადივოსტოკიდან.

თვით სამეცნიერო გემზეც მოხდა ზოგი რამ ცვლილება. პროგრამის ამერიკულ და საბჭოთა გენერალური თანახელმძღვანელობის მითითებით, კოსმიური კავშირის ბლოკის ორივე მორიგე ოპერატორი, რომლებმაც „პარიტეტზე“ მომხდარ საგანგებო ამბის თაობაზე ინფორმაცია მიიღეს, დროებით, მაგ-

რამ მკაცრად იყვნენ იზოლირებულნი, რათა მომხდარი ამბავი საიდგანმე არ გაეგონილიყო...

„კონვენციის“ ეკიპაჟს შორისაც გაძლიერებული მზადყოფნის მდგომარეობა შეიქმნა, თუმცაღა გემს სამხედრო დანიშნულება არ ჰქონდა, მით უმეტეს, არც შეიარაღებული იყო და, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ხელუხლებლობის სტატუსით სარგებლობდა. მსოფლიოში ეს ერთადერთი არასამხედრო ავიოსანი გახლდათ.

დღის თერთმეტი საათისათვის, ხუთი წუთის შუალედით, „კონვენციაზე“ ორივე ქვეყნის საპასუხისმგებლო კომისიის ჩამოსვლას მოელოდნენ, რომელნიც განსაკუთრებული უფლებებით იყვნენ მოსილნი სასწრაფო გადაწყვეტილებისა და პრაქტიკული ღონისძიებების მისაღებად, რასაც უცილობლად მიიჩნევდნენ თავიანთი ქვეყნების უშიშროებისა და მშვიდობის დაცვისათვის.

ასე და ამგვარად, ავიოსანი „კონვენცია“ ამ დროს ალეუტის სამხრეთით, გაშლილ ოკეანეში იდგა, ვლადივოსტოკსა და სან-ფრანცისკოდან ერთნაირ მანძილზე. ეს მდებარეობა შემთხვევით როდი იყო შერჩეული. როგორც არასდროს, ისეთი სიცხადით გამოვლინდა ამჯერად პროგრამა „დემიურგის“ შემომქმედთა გამჭრიახობა და წინდახედულება, რამეთუ გემის მდებარეობაც კი, რომელზედაც პლანეტოლოგიურ გამოკვლევათა ერთობლივად შემუშავებული გეგმა ხორციელდებოდა, ამტკიცებდა სრული თანასწორობის პრინციპებს, სრულიად პარიტეტულ საწყისებს ამ უნიკალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საერთაშორისო თანამშრომლობისას.

ავიოსანი „კონვენცია“, მისი მოწყობილობა, აღჭურვილობა, ენერგიის მარაგი თანასწორად ეკუთვნოდა ორივე მხარეს და ამგვარად ორივე სახელმწიფოს კოოპერატიულ გემს წარმოადგენდა. იგი პირდაპირი და ერთდროულად მომქმედი რადიო-სატელეფონო-სატელევიზიო ხაზით იყო დაკავშირებული როგორც ნევადის, ისე საროზექის კოსმოდრომებთან. ავიოსანზე იმყოფებოდა რვა, თვითეული მხრიდან ოთხ-ოთხი, რეაქტიული თვითმფრინავი, რომელთა მეშვეობით მუდმივად ხორციელდებოდა ყველა სატრანსპორტო მოძრაობა თუ ტვირთის გადატანა, ერთიც მართვის საერთო ცენტრს სჭირდებოდა ხმელეთთან ყოველდღიური კავშირისთვის. „კონვენციაზე“ იმყოფებოდა ორი პარიტეტ-კაპიტანი — ერთი საბჭოთა და ერთი ამერიკელი: პარიტეტ-კაპიტანი 1-2 და პარიტეტ-კაპიტანი 2-1; ყოველი მათგანი უფროსი გახლდათ თავისი მორიგეობის ხანს. მთელი გემის ეკიპაჟი — პარიტეტ-კაპიტანთა თანაშემწენი, შტურმანები, მექანიკოსები, ელექტრიკოსები, მეზღვაურები, სტიუარდები ორივე მხარეს თანატოლი რაოდენობით შეერჩია.

იმავე სისტემაზე იყო აგებული სამეცნიერო ტექნიკური შემადგენლობაც. დაწყებული პროგრამის გენერალური თანახელმძღვანელობით თითოეული მხრიდან — 1-2 და 2-1 მთავარი პარიტეტ-პლანეტოლოგებით, მომდევნო მეცნიერ-მუშაკებიც ყველა დარგისა ასევე თანატოლი რაოდენობით იყო შერჩეული ორივე მხრიდან. კოსმოსური სადგურიც, რომელიც დედამიწიდან დღესდღეობით ყველაზე შორეულ ორბიტა „ტრამპლინზე“ მდებარეობდა, „პარიტეტად“ იწოდებოდა და მიწიური ურთიერთდამოკიდებულების არსს გამოხატავდა.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას დიდძალი სხვადასხვაგვარი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა წინ ორივე ქვეყნის სამეცნიერო, დიპლომატიური

თუ ადმინისტრაციული დაწესებულებებისა. ცოტა წლები როდი დასჭირდა. ვინემ ორივე მხარე უთვალავ შეხვედრებსა და თათბირებზე პროგრამა „დემიურგის“ ზოგად თუ კერძო საკითხებზე შეთანხმდებოდა.

პროგრამა „დემიურგს“ ამ საუკუნის კოსმოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე დიდი ამოცანა დაესახა — შეესწავლა პლანეტა „იქსი“ მინერალური რესურსების გამოყენების მიზნით, იგი ხომ მიწიური წარმოდგენით გაუგონარ და წარმოუდგენელ შიდა ენერგიის მარაგს შეიცავდა. ვარსკვლავის ზედაპირზე თითქმის თავისუფლად მდებარე ასეული ტონობით იქსიანური მადანი იმდენი რაოდენობის შიდა ენერგიას გამოათავისუფლებდა შესაფერი დამუშავების შედეგად, რამდენიც გადამუშავებული სახით მთელ ევროპას ელექტროობისა და სითბოს სახით მთელი წელი დასჭირდებოდა. ასეთი გამოდგა მატერიის ენერგეტიკული ბუნება იქსზე, რომელიც გალაქტიკის საგანგებო პირობებში ხანგრძლივი პლანეტარული ევოლუციის შედეგად წარმოშობილიყო მილიარდობით წლობის მანძილზე. ამას მოწმობდა ნიადაგის სინჯები, არაერთგზის რომ ჩამოეტანათ კოსმიურ აპარატებს იქსის ზედაპირიდან, ამაზე ლაპარაკობდა ჩვენი მზიური სისტემის ამ წითელ პლანეტაზე ხანმოკლედ გადამსხდარ ექსპედიციათა შედეგებიც.

გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალად, იქსის ათვისების პროექტის სასარგებლოდ, აღმოჩნდა გარეგნულად უდაბნოდ მზირალი იქსის პლანეტის წიაღში მდებარე თავისუფალი წყალი, რაც მთვარის და ვენერას ჩათვლით მეცნიერებისათვის არც ერთ ცნობილ პლანეტაზე არ აღმოჩენილა. იქსზე რომ წყალი უდავოდ იყო, ეს საბურღე სინჯებმაც დაადასტურა. მეცნიერთა გამოანგარიშებით იქსის ზედაპირის ქვეშ წყალი შესაძლოა რამდენიმე კილომეტრის სისქეზე ყოფილიყო, რასაც უცვლელ მდგომარეობაში აჩერებდა ქვემოთ მდებარე ცივ, ქვიანი ქანების ფენები.

იქსის ვარსკვლავზე სწორედ წყლის ესოდენ უზარმაზარი რაოდენობის არსებობა უზრუნველყოფდა პროგრამა „დემიურგის“ რეალობას. წყალი ამ შემთხვევაში არათუ ტენიანობის წყაროს წარმოადგენდა, არამედ სხვა ელემენტთა სინთეზირების აღმოსავალ მასალასაც, იმ ელემენტთა, რომელნიც აუცილებელი იყო უცხო პლანეტათა პირობებში სიცოცხლის შესანარჩუნებლად ადამიანის ორგანიზმის ნორმალური არსებობისათვის, პირველ ყოვლისა კი სუნთქვისათვის საჭირო ჰაერისა. საწარმოო თვალსაზრისით წყალი მთავარი გახლდათ იქსიანური ქანების პირველადი ფლოტაციის ტექნოლოგიაში, მათი გადმოტვირთვის დროს ტრანსკოსმიურ კონტეინერებში.

ჯერჯერობით კვლავ ბჭობა და მსჯელობა მიმდინარეობდა იმ საკითხის ირგვლივ, სად უფრო მართებული იქნებოდა იქსიანური ენერგიის მიღება: კოსმოსის ორბიტალურ სადგურებზე, რომ მერე გეოსინქრონული ორბიტებით მიწაზე გადაეცათ თუ უშუალოდ თვით მიწაზე. მაგრამ დრო ჯერ კიდევ იომენდა.

უკვე მზადდებოდა მებურღეთა და ჰიდროლოგთა ჯგუფის დიდი და ხანგრძლივი ექსპედიცია იქსის პლანეტაზე, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ იქსის წიაღიდან წყლის მუდმივი და ავტომატური ნაკადი წყალსადენთა სისტემაში. ორბიტალური სადგური „პარიტეტი“, მთამსვლელთა გამოთქმას თუ ვიხმართ, მთავარი საბაზო ბანაკი იყო იქსის გზაზე. „პარიტეტზე“ უკვე მოწყობილი იყო საჭირო კონსტრუქციები სატრანსპორტო „მაქოების“ მისადგო-

ძად და გადაატვირთ-გადმოატვირთად, იქსსა და „პარიტეტს" შორის რომ ივლიდნენ. დროთა ვითარებაში, ბლოკების დადგმისთანავე, „პარიტეტზე" ასზე მეტი ადამიანი მოთავსდებოდა ფრიად კეთილმოწყობილ პირობებში. მიწიდან მიღებულ გამუდმებული ტელევიზიური გადაცემების ჩათვლით.

ამ დიდ კოსმიურ წამოწყებაში იქსის წყლის მოპოვება და მისი ანალიზი იმ საწარმოო საქმიანობის პირველი აქტი იქნებოდა. ადამიანს რომ ოდესმე განეხორციელებინა თავისი პლანეტის საზღვრებს მიღმა...

ეს დღეც საცაა დადგებოდა. ყველაფერი საამისოდ ეწყობოდა...

სარიზექისა და ნევადის კოსმოდრომებზე უკვე მთავრდებოდა უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები იქსზე ჰიდროტექნიკური ოპერაციისათვის. ორბიტა „ტრამპლინზე" გასული „პარიტეტი" მზად იყო კოსმიური ყამირელების პირველი სამუშაო ჯგუფის გადასაყვანად იქსის პლანეტაზე.

თანამედროვე კაცობრიობა უკვე მიწისმიღმური ცივილიზაციის სათავეებთან იდგა...

სწორედ ამ დროს, იქსის პლანტაზე ჰიდროლოგების პირველი ჯგუფის გაგზავნის წინადღეს, ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე" ხანგრძლივ კოსმიურ მორიგეებად მყოფი ორი პარიტეტული კოსმონავტი უკვალოდ გაქრა.

ამ კოსმონავტებმა შეწყვიტეს ყოველგვარი პასუხი და არ ეხმაურებოდნენ არა სიგნალს არც კავშირისთვის დადგენილ საათებში და არც სხვა დროს. ამან ფრიად დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა — სადგურის ადგილსამყოფელის მუდმივად აღმნიშვნელ გადამწოდებისა და მისი მოძრაობის მაჩვენებელი კორექციის ორბის გარდა რადიო-სატელევიზიო კავშირის სხვა დანარჩენი სის ჯემები არ მოქმედებდა.

დრო მიდიოდა. „პარიტეტი" არანაირ მიმართვას არ ეხმაურებოდა. „კონვენციაზე" შეშფოთებამ თანდათან იმატა. რა ვარაუდი და მოსაზრება არ წარმოიშვა. რა დაემართათ პარიტეტ-კოსმონავტებს? რატომ სდუმან? ავად ხომ არ არიან, ხომ არ მოწამლა უვარგისმა საჭმელმა? ან არიან კი ცოცხლები?

დაბოლოს უკანასკნელ ხერხს მიმართეს — სადგურზე საერთო სახანძრო საგანგაშო სისტემის ჩასართველად სიგნალი გაგზავნეს. მაგრამ არც ამ საშიშმა ნიშანმა გასჭრა.

პროგრამა „დემიურგს" დიდზე დიდი ხიფათი ემუქრებოდა. მაშინ მდგომარეობის გასარკვევად მართვის საერთო ცენტრმა უკანასკნელი ღონე იხმარა. „პარიტეტზე" ნევადისა და სარიზექის კოსმოდრომებიდან სასწრაფოდ გაფრინდა ორი ხომალდი ორი კოსმონავტით.

ერთობლივი და ერთდროული შეპირაპირების განხორციელებისთანავე, რაც მისდათავად უაღრესად ძნელი საქმე გახლდათ, „პარიტეტზე" შეღწეულ კოსმონავტ-კონტროლიორების გადმოცემულმა პირველმა ცნობამ ყველა გააოგნა და სახტად დატოვა. შემოიარეს რა ყველა ბლოკი, ყველა ლაბორატორია. ყველა სართული, ყველა კუთხე თუ კუნჭული, მათ განაცხადეს, რომ პარიტეტ-კოსმონავტები ვერც ცოცხლები და ვერც მკვდრები ვერსად ნახეს...

ამას ვერავინ იფიქრებდა, ვერა კაცი წარმოიდგენდა. რა მოხდა, სად გაქრა ის ორი ადამიანი, რომლებიც სამ თვეზე მეტხანს ორბიტალურ სადგურზე იმყოფებოდნენ და აქამდე პირნათლად ასრულებდნენ ყველა მოვალეობას. მართლა და მართლა ხომ არ აორთქლდებოდნენ! ღია კოსმოსში ხომ არ გავიდოდნენ!

„პარიტეტის" შემოწმება პირდაპირი რადიო-სატელევიზიო ხაზით ხდებო-

და ორივე გენერალურ თანახელმძღვანელ, მთავარ პარიტეტ-პლანეტოლოგთა მონაწილეობით. მართვის საერთო ცენტრის მრავალ ეკრანზე კარგად ჩანდა, უწონადო სივრცეში როგორ მიცურავდნენ კოსმონავტ-კონტროლიორები, უვლიდნენ ყველა ბლოკსა და სათავსოს, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მათ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარეს მთელი სადგური და თავიანთი დაკვირვების შედეგს ყოველ წამს გადმოსცემდნენ, რაც მაგნიტოფონზე იწერებოდა.

„პარიტეტი". ხომ თქვენც ხედავთ, სადგურზე არავინ არის. ჩვენ ვერავინ აღმოვაჩინეთ.

„კონვენცია". რამე თუ არის გატეხილი, დამტვრეული ან დარღვეული სადგურზე?

„პარიტეტი". არა. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, ყველაფერი თავის ადგილზეა.

„კონვენცია". სისხლის კვალი ხომ არ შეგიმჩნევიათ?

„პარიტეტი". მსგავსი არაფერი არაა.

„კონვენცია". სად არის და რა მდგომარეობაშია პარიტეტ-კოსმონავტების პირადი ნივთები?

„პარიტეტი". თითქოს ყველაფერი რიგზეა.

„კონვენცია". და მაინც?

„პარიტეტი". ისე გეგონება, რომ სულ ახლახან აქ იყვნენ. წიგნები, საათი თუ სხვა რამ — თავის ადგილზეა.

„კონვენცია". კეთილი. რამე ჩანაწერი ხომ არაა კედელზე ან ქაღალდზე?

„პარიტეტი". არა, არ დაგვინახავს. თუმცა მოიცათ! რაღაც მინაწერია. რომ არ აცურებულიყო, ჟურნალი დამაგრებულია და გაშლილი გვერდებით შემოსულისკენ პირმოქცეული...

„კონვენცია". წაიკითხეთ, რა სწერია!

„პარიტეტი". ახლავე ვცდით. აქ ორი ტექსტია, გვერდიგვერდ სვეტებად მიწერილი, ინგლისურად და რუსულად...

„კონვენცია". წაიკითხეთ, ზეღას უცდით!

„პარიტეტი". სათაურად აქვს — „წერილი მიწისშვილებს", ფრჩხილებში კი სწერია —ახსნა-განმარტებითი ბარათი.

„კონვენცია". სდექ, არ წაიკითხოთ. კავშირს ვწყვეტთ. გველოდეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა გამოგიძახებთ, მზად იყავით.

„პარიტეტი". ო´კეი!

ორბიტალურ სადგურსა და მართვის საერთო ცენტრის დიალოგი ამ ადგილზე შეწყდა. პროგრამა „დემიურგის" გენერალურმა თანახელმძღვანელებმ ერთმანეთთან ბჭობა-თათბირის შემდგომ, ორი მორიგე პარიტეტ-ოპერატორის გარდა, ყველას სთხოვეს კოსმიური კავშირის ბლოკი დაეტოვებინათ. მხოლოდ ამის შემდეგ განახლდა ორმხრივი კავშირის სეანსი. აი, იმ წერილის შინაარსი, რომელიც „პარიტეტის" ორბიტალურ სადგურზე პარიტეტ-კოსმონავტებს დაეტოვებინათ:

„პატივცემულო კოლეგებო, ვტოვებთ რა ორბიტალურ სადგურ „პარიტეტს" ფრიად უჩვეულო ვითარებაში, გაურკვეველ, იქნებ სულაც უსაზღვრო დროის მანძილზე, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამ უპრეცენდენტო წამოწყებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფაქტორებზე, ჩვენს უცილობელ მოვალეობად მიგვაჩნია ავხსნათ, თუ რამ გვიბიძგა ამ საქციელისკენ.

ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ეს საქციელი მოულოდნელი კი არადა, დაუშვებელიც არის ელემენტარული დისციპლინის თვალსაზრისით. მაგრამ ეს საგანგებო შემთხვევა, რომელსაც კოსმოსში ორბიტალურ სადგურზე ყოფნისას შევეჯახეთ და რომლის მსგავსი ძნელი წარმოსადგენია კაცობრიობის კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე, უფლებას გვაძლევს იმის იმედი [illegible] ქონიოთ, რომ გაგვიგებენ...

რამდენიმე ხნის წინათ იმ უთვალავი რაოდენობის რადიოიმპულსთა შორის, კოსმიური გარემოცვისა და საკმაოდ დიდწილად თვით მიწის იონოსფეროდან რომ მოდიოდა და გაუთავებლივ ხმაურითა და შეფერხებით იყო სავსე, ერთი მომართული რადიოსიგნალი დავიჭირეთ ვიწრო სიხშირის ზოლზე. რაკი ყველაზე ვიწრო და ამიტომ ადვილად გამოსაყოფი იყო, იგი მუდამ ერთსა და იმავე დროს, მუდამ ერთი და იგივე შუალედებით თანამიმდევრულად გვაუწყებდა თავის თავზე. თავდაპირველად ყურადღება არ მივაქციეთ. მაგრამ იგი გამუდმებით სამყაროს ზუსტად გარკვეულ ერთი წერტილიდან მოდიოდა და, ყველაფრის მიხედვით, ზუსტად ჩვენს ორბიტალურ სადგურზე იყო მომართული. ახლა ჩვენ დანამდვილებით ვიცით: ეს ხელოვნურად მომართული რადიოტალღები ეთერში ადრეც ჩნდებოდა, ჩვენს მორიგეობამდე გაცილებით ადრე (ეს მორიგეობა ანგარიშით მესამე იყო — „პარიტეტი" ხომ შორეულ კოსმოსში ორბიტა „ტრამპლინზე" წელიწად-ნახევარია იმყოფება). ძნელია თქმა, პირველად რად აღგვიძრა ცნობისწადილი სამყაროდან გამოგზავნილმა ამ სიგნალმა, ალბათ სრულიად შემთხვევით მოხდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენ დავიწყეთ აღნუსხვა-შესწავლა ამ მოვლენისა და თანდათან მივედით იმ დასკვნამდე, რომ იგი ხელოვნური წარმოშობისა იყო.

მაგრამ ამ აზრს ვერც ისე მალე მივეჩვიეთ. მთელი ეს ხანი ეჭვები არ გვასვენებდა. აბა როგორ შეგვეძლო, ჩვენი აზრით, ამ ერთადერთ ხელოვნური რადიოსიგნალის ფაქტზე დაყრდნობით იმის მტკიცება, დედამიწის გარე კიდევ არსებობს ცივილიზაციაო, იმ რადიოსიგნალის ფაქტზე დაყრდნობით, სამყაროს უცნობი სიღრმეებიდან რომ მოდიოდა? ჩვენ გვაკვებდა ის გარემოება, რომ მეცნიერების მიერ არაერთგზის ჩატარებული ყველა წინარე ცდა ყოვლად მინიმალური ამოცანის გადასაწყვეტად — არის თუ არა სიცოცხლის სულ მცირედი, ყოვლად მარტივი ნიშანწყალი თუნდაც მოსაზღვრე პლანეტებზე, როგორც ცნობილია, ფრიად უნაყოფო გამოდგა. მიწის მიღმიერ გონების აღმოსაჩენად ჩატარებული ყოველგვარი ძიება მცირედ სარწმუნო, შემდეგ და შემდეგ კი უბრალოდ არარეალურ, უტოპიურ საქმედ მიიჩნეოდა, რადგან კოსმიურ სივრცეთა გამოსაკვლევად გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯის შემდეგ ეს შესაძლებლობა თეორიულადაც კი სულ უფრო ნაკლებ დასაჯერებელი ხდებოდა, თუ აღარ ვიტყვით იმას, რომ პრაქტიკულად ნულამდეც დავიდა. ჩვენ ვერ გავბედეთ ეს მოსაზრებანი განგვეცხადებინა. ჩვენ არ ვაპირებდით სადავოდ გვექცია საყოველთაოდ გაბატონებული აზრი, დედამიწაზე არსებული სიცოცხლე უნიკალური, უპრეცენდენტო, ერთადერთი ბიოლოგიური ფაქტორი არისო. არ ჩავთვალეთ ჩვენს მოვალეობად საეჭვოდ მიგვეჩნია ეს ამბავი, რამეთუ ჩვენი სამუშაო ვალდებულების პროგრამა ორბიტალურ სადგურზე ასეთ დაკვირვებებს არ შეიცავდა. მართალი გითხრათ, მიუხედავად ყველაფრისა, სულაც არ გვსურდა იმ კოსმონავტის მდგომარეო-

ბაში აღმოვჩენილიყავით. რომელსაც ერთხელ ფრენისას ძროხის ზმუილი მოელანდა, წყლის პირა მდელოზე მობალახე ნახირი და მას აქეთ „ძროხის კოსმონავტი“ შეერქვა.

ხოლო როცა კიდევ ერთმა შემთხვევამ საბოლოოდ დაგვიდასტურა, რომ სამყაროში დედამიწის გარდა კიდევ არსებობს გონიერი ცხოვრება, უკვე გვიანღა იყო. ჩვენმა შეგნებამ ნახტომი გააკეთა, ჩვენმა შეხედულებებმა სამყაროს წყობაზე სახე იცვალა, გარდაიქმნა. უცბად აღმოჩნდა, რომ სულ სხვა კატეგორიებით ვაზროვნებთ თურმე, ვინემ აქამდე. სამყაროს სტრუქტურის თვისობრივად ახალმა გააზრებამ, ახალი დასახლებული სივრცის აღმოჩენამ, აზროვნების კიდევ ერთი კერის არსებობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ გარკვეულ დრომდე უთუოდ თავი უნდა შევიკავოთ და დედამიწის მცხოვრებთ არ ვაუწყოთ ჩვენი აღმოჩენა, ვინაიდან ჩვენ უკვე ახლებურად გვესმოდა დედამიწაზე ზრუნვის არსი. ჩვენ ამ დასკვნამდე თვით თანამედროვე საზოგადოების ინტერესებმა მიგვიყვანა.

ახლა საქმის არსზე გადავიდეთ, იმაზე, რაც მოხდა.

ცნობისმოყვარეობის წყალობით ერთ დღეს საპასუხო რადიოსიგნალის გაგზავნა გადავწყვიტეთ დაახლოებით იმ სიხშირის სპექტრით და სამყაროს იმ წერტილის მიმართულებით, საიდანაც ნიადაგ მოგვდიოდა ის იდუმალი, მუდმივი რადიოიმპულსები. მ ო ხ დ ა ს ა ს წ ა ულ ი! ჩ ვ ე ნ ი ს ი გ ნ ა ლ ი მ ა შ ი ნ ვ ე მ ი ი ღ ე ს! ი გ ი დ ა ჭ ე რ ი ლ დ ა გ ა გ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა! პასუხად ჩვენს მისაღებ ზოლზე, ძველის გვერდზე, კიდევ ერთი დუბლი ამუშავდა, შემდეგ კიდევ ერთი — ეს იყო მისასალმებელი ტრიო. სამ ერთდროულ რადიოსიგნალს რამდენიმე საათის მანძილზე საზეიმო მარშივით მოჰქონდა სამყაროდან აღმაფრთოვანებელი ცნობა ჩვენი გალაქტიკის მიღმა არსებულ გონიერ არსებებზე, რომელთაც უდიდესი საშუალება ჰქონდათ ზეშორეულ მანძილებზე თავის მსგავს არსებებთან კონტაქტის დამყარებისა. ამ ამბავმა რევოლუცია მოახდინა ჩვენს წარმოდგენებში კოსმიურ ბიოლოგიაზე, ჩვენს ცოდნაზე დროის, სივრცის, მანძილის აგებულების შესახებ... ნუთუ მარტოსულნი, ნუთუ ერთადერთნი არა ვართ ამ ქვეყანაზე, ამ წარმოუდგენლად ცარიელ უსაზღვრო სამყაროში, ნუთუ ადამიანის გამოცდილება ამ მიწაზე სულის ერთადერთი შენაძენი არაა სამყაროში?

იმის შესამოწმებლად, მართლა არსებობდა თუ არა მიწისმიღმიერი ცივილიზაცია, დედამიწის მასის ფორმულა გავგზავნეთ რადიოთი, გავგზავნეთ ის, რაზეც დასაბამითვე წარმოიშვა და დღემდე ეფუძნება ჩვენი სიცოცხლე. პასუხი გაშიფრული მოვიდა — თავის მხრივ დაახლოებით იგივე ფორმულა გამოგზავნეს თავიანთი პლანეტის მასისა. აქედან დავასკვენით, რომ ის დასახლებული პლანეტა საკმაოდ დიდი ზომისა და საკმაო მიზიდულობის ძალის მქონე ყოფილა.

ასე და ამგვარად გავუზიარეთ ერთმანეთს ფიზიკური კანონების პირველადი ცოდნა, ასე და ამგვარად პირველად დავუკავშირდით მიწისმიღმიერ გონის მატარებელთ.

უცხოპლანეტელები აქტიური მონაწილენი გამოდგნენ ჩვენი კავშირის გაღრმავებასა და დაახლოებაში. მათი მცდელობით ჩვენი კავშირი უფრო და უფრო მდიდრდებოდა ახალ-ახალი შინაარსით. მალე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მათ მიერ შექმნილი მფრინავი აპარატების მოძრაობის სიჩქარე სინათ-

ლის სიჩქარის ტოლია. ეს ყველაფერი და კიდევ სხვა ბევრი რამ იმის მეოხებით შევიტყვეთ, რომ შევძელით თავდაპირველად მათემატიკური და ფიზიკური ფორმულების გზით აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მერე კი ისიც გვაცნეს, რომ ლაპარაკიც შეუძლიათ. თურმე მრავალი წლის მანძილზე, რაც მიწისშვილებმა მიწიური მიზიდულობა დაძლიეთ, კოსმოსში გავედით და იქ ძუძუმწოვრებ-ვიკიდეთ ფეხი, მძლავრი აუდოანტენომიული ხელსაწყოს საშუალებით, რომელიც გალაქტიკაში კარგა სიღრმეზე იჭერს ხმებს, ისინი ჩვენს ენებსაც სწავლობენ. კოსმოსსა და დედამიწას შორის სისტემატური რადიოკავშირის დაჭერისას, დაპირისპირებათა და ანალიზის გზით მოახერხეს ჩვენი სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობის გაშიფრვა. ეს მაშინ ვიგრძენით, როცა ინგლისურსა და რუსულ ენაზე შეეცადნენ ჩვენთან ლაპარაკს. ჩვენთვის ეს კიდევ ერთი წარმოუდგენელი აღმოჩენა იყო...

ახლა კი მთვარეზე გადავიდეთ. ჩვენ გადავწყვიტეთ მიწისმიღმიერ ცივილიზაციის მქონე ამ პლანეტის ნახვა. ტყისგულელები — დაახლოებით აე გავშიფრეთ ჩვენ მათი პლანეტის სახელი. ტყისგულელებმა თვითონ მიგვიპატიჟეს. ეს მათი იდეაა. ჰოდა, ბევრი ფიქრის შემდეგ ჩვენც დავთანხმდით. მათ აგვიხსნეს, რომ სინათლის სიჩქარის მქონე მათი მფრინავი აპარატი ჩვენს ორბიტალურ სადგურს ოცდაექვს-ოცდაშვიდ საათში მოაღწევს. ამავე ხანშივე გვპირდებიან ტყისგულელები უკანვე მოყვანას, როდესაც კი მოვისურვებთ. შეპირაპირების თაობაზე როცა ვკითხეთ, აგვიხსნეს, რომ მათთვის ეს პრობლემა არაა, რამეთუ ტყისგულელთა მფრინავ აპარატს შეუძლია ჰერმეტულად მიერთოს ყველანაირი მოხაზულობისა თუ მოყვანილობის საგანს. ალბათ ეს ელექტრომაგნიტური მირთვის რაღაც თვისებაა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე უკეთესი იქნება, თუ მათი მფრინავი აპარატი ღია კოსმოსში გამსვლელ კარს შეუპირაპირდება. საიდანაც ჩვენ შეგვეძლება ორბიტალური სადგურიდან მათთან გადასვლა. ამავე გზით ვაპირებთ უკანვე დაბრუნებას, უკეთუ „ტყისგულეთში" ჩვენი მგზავრობა მშვიდობით დამთავრდება...

მაშასადამე, ჩვენ ვტოვებთ „პარიტეტის" ქიმზე წერილს, თუ გნებავთ, ახსნა-განმარტებით ბარათს, მიმართვას... თუმცა თავიდათავი ეს არ გახლავთ... ჩვენ საკმაოდ ნათლად გვესმის, რაზეც მივდივართ და რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ. ჩვენ შეგნებული გვაქვს რომ ბედმა გვარგუნა ყველაზე უნიკალური შესაძლებლობა — კაცობრიობისთვის გაგვეწია ის სამსახური, რომელზე დიდი ვერც კი წარმოგვიდგენია...

და მაინც ჩვენთვის ყველაზე ძნელი მოვალეობის, ურთიერთკავშირის, ვალდებულების, დაბოლოს დისციპლინის გრძნობის დაძლევა იყო... იმის დაძლევა, რაც ყოველ ჩვენგანს გამოუმუშავა ტრადიციებმა, კანონებმა, ზნეობის საზოგადოებრივმა ნორმებმა. ჩვენ ვტოვებთ „პარიტეტს" ისე, რომ წინასწარ არაფერი გამცნეთ არც მართვის საერთო ცენტრის ხელმძღვანელებს და არც ვინმეს მიწისშვილთაგანს, არ შეგითანხმეთ ჩვენი მიზნები და ამოცანები არა იმიტომ, რომ უგულვებელვყოფთ დედამიწაზე საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს. ჩვენთვის ეს ყველაზე მძიმე ფიქრების საგანი გახლდათ. ჩვენ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გრძნობები, წინააღმდეგობანი, ვნებათა ღელვანი გაღვივდება, როგორც კი ამოძრავდებიან ის ძალები, რომელთაც ჰოკეის თამაშის დროსაც კი ზედმეტად გატანილი გოლი თვისი სახელმწიფო სისტემის პოლიტიკურ გამარჯვებად და

უპირატესობის დამტკიცებად მიაჩნია. ვინ იქნება იმის თავმდები, რომ მიწისმიღმიერ ცივილიზაციასთან კავშირის შესაძლებლობა კიდევ ერთი საბაბი არ გახდება მიწისშვილთა მსოფლიო შინაომისა?

დედამიწაზე ძნელია ან თითქმის შეუძლებელი განზე გადგე, თავი აარიდო პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ შორეულ კოსმოსში ხანგრძლივი დროის — მრავალი დღისა და კვირის მანძილზე ყოფნისას, საიდანაც დედამიწა ავტომობილის ბორბლის ოდენა ჩანს, გულისტკივილითა და უძლური ბრაზით ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ენერგეტიკული კრიზისი, რასაც საზოგადოება გააფთრებამდე, სასოწარკვეთამდე მიჰყავს, ზოგ ქვეყნებს კი სურვილს აღუძრავს ატომურ ყუმბარას სტაცოს ხელი, — მხოლოდ და მხოლოდ დიდი ტექნიკური პრობლემაა. ამ ქვეყნებს რომ შეძლებოდათ ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმება...

იმის შიშით, რომ არ ავამღვრიოთ, არ გავართულოთ მიწისშვილთა ისედაც ფრიად სახიფათო მდგომარეობა, ჩვენ გავბედეთ და ვიკისრეთ უჩვეულო პასუხისმგებლობა — მიწისმიღმიერ გონების მატარებელთა წინაშე წარდგომა მთელი კაცობრიობის სახელით, ჩვენი რწმენისა და სინდისის შესაფერისად. იმედი გვაქვს და შინაგანი რწმენაც გვიკარნახებს, რომ ამ ჩვენს ნებაყოფლობით მისიას საკადრისად და ღირსეულად შევასრულებთ.

დაბოლოს უკანასკნელი. ამ ჩვენი ფიქრების, ეჭვებისა და ყოყმანისას არანაკლებ გვაწუხებდა ის ამბავი, ვნება და ზიანი არ მიგვეყენებინა კაცობრიობის გეოკოსმიურ ისტორიაში ისეთი უდიდესი წამოწყებისათვის, როგორიც პროგრამა „დემიურგი“ გახლავთ, რომელსაც დიდი წვალებითა და ტანჯვით მიაღწიეს ჩვენმა ქვეყნებმა მრავალი წლის მანძილზე ურთიერთუნდობლობის, თანამშრომლობაზე მრავალგზის შეთანხმებისა და უარის თქმის შედეგად. და მაინც გონებამ იმძლავრა — ჩვენ კეთილსინდისიერად ვემსახურებოდით ჩვენს საერთო საქმეს ჩვენი ძალისა და ნიჭის მიხედვით. მაგრამ შევუწონეთ რა ერთი მეორეს, არ ვინდომეთ, რა პროგრამა „დემიურგის“ ზემოხსენებულ საფრთხეში ჩაგდება, ჩვენ ავირჩიეთ ჩვენი გზა — დროებით ვტოვებთ „პარიტეტს“, რათა დაბრუნების შემდეგ ისევ განვაგრძოთ მორიგეობა. თუ სამუდამოდ გავქრებით ან თუ ჩვენი ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ღირსნი არა ვართ „პარიტეტზე“ კვლავ განვაგრძოთ მორიგეობა, ჩვენი შეცვლა ძნელი არ იქნება. მუდამ მოიძებნებიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენზე არანაკლები მონდომებით იმუშავებენ.

ჩვენ უცნობელ სამყაროში მივემგზავრებით. ჩვენ იქ მივყავართ ცოდნის წყურვილს, ადამიანის საუკუნო ოცნებას — თავისი მსგავსი გონიერი არსებანი აღმოაჩინოს სხვა სამყაროში და გონება გონებას შეუწყვილოს. მაგრამ არავინ იცის, მიწისმიღმიერი ცივილიზაციის გამოცდილება რას მოუტანს კაცობრიობას, სიკეთე თუ ბოროტება იქნება იგი მისთვის? ჩვენ შევეცდებით პირუთვნელად შევაფასოთ ყოველივე. თუ ვიგრძენით, რომ ჩვენი აღმოჩენა დედამიწას რაიმე საფრთხეს, რაიმე მუქარას შეუქმნის, გფიცავთ, ისე გავუსწორდეთ საკუთარ სიცოცხლეს, დედამიწას ჩვენი მიზეზით არა უბედურება არ შეემთხვეს.

და კიდევ უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ გემშვიდობებით. ილუმინატორებიდან ვხედავთ დედამიწას. სხივმფინარი ალმასივით ელავს იგი სივრცეთა შავ ხლვაში, ცისფრად ციალებს არნახულად, გაუგონრად და აქედან ისეთი მშვე-

ნიერი. პატარა, ნაზი ჩანს, ვით ახალშობილის თავი. აქედან გვგონია, რომ ყველა, ვინც ამქვეყნად ცხოვრობს, ჩვენი დები და ძმებია, უმათოდ ვერც წარმოგვიდგენია არსებობა. თუმცაღა ვიცით, რომ დედამიწაზე სულ მთლად ასე არაა საქმე...

ჩვენ ვეთხოვებით დედამიწას. რამდენიმე საათის შემდეგ დავტოვებთ ორბიტა „ტრამპლინს" და დედამიწაც თვალთაგან მიეფარება, მას ველარ დავინახავთ. უცხოპლანეტელები — ტყისგულელები უკვე გზაში არიან. ისინი მალე ჩამოვლენ. რამდენიმე საათის შემდეგ დარჩა სულ ცოტა დრო. ველით.

და კიდევ. ჩვენ დავუტოვებთ წერილებს ჩვენს ოჯახებს. ძალიან გთხოვთ ყველას, ვისაც კი ამ საქმესთან რაიმე კავშირი ექნება, დანიშნულების მიხედვით გადასცეს ისინი...

P.S. ცნობა იმათთვის, ვინც „პარიტეტზე" შეგვცვლის. სავახტო ჟურნალში ჩვენ მივუთითეთ მიმღებ-გადამცემი არხი და რადიოტალღათა სიხშირე, რომელთა მეშვეობით უცხოპლანეტელებს ვუკავშირდებოდით. აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ ამ არხით დაგიკავშირდებით და ცნობებს მოგაწვდით. რამდენადაც გავარკვიეთ ტყისგულელებთან რადიოკავშირის მეოხებით, დაკავშირების ყველაზე მოხერხებული და ერთ-ერთი საშუალება —ეს ორბიტალური სადგურის საბორტო სისტემებია, ვინაიდან სამყაროდან უშუალოდ დედამიწაზე გაგზავნილი რადიოსიგნალები მის ზედაპირს ვერ აღწევს გადაულახავი დაბრკოლების — დედამიწის ატმოსფერული გარემოცვის ძლიერი იონიზირებული სფეროს გამო.

ჩვენ დავამთავრეთ. მშვიდობით. უკვე დროა, წერილის ზუსტად ერთნაირი ტექსტი შედგენილია ორ ენაზე — ინგლისურსა და რუსულზე.

პარიტეტ-კოსმონავტი 1-2
პარიტეტ-კოსმონავტი 2-1
ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის" ქიმი.
მესამე ვახტა. 94 დღე-ღამე".

ზუსტად დანიშნულ დროს, შორეულ-აღმოსავლეთის დროით თერთმეტ საათზე, ავიოსან „კონვენციის" გემბანზე ერთიმეორის კვალდაკვალ ორი რეაქტიული თვითმფრინავი დაჯდა, რომლებმაც ამერიკისა და საბჭოთა ქვეყნის მხრიდან განსაკუთრებული რწმუნების მქონე კომისიები ჩამოიყვანეს.

კომისიის წევრებს ზუსტად ოქმის მიხედვით შეხვდნენ. მათ მაშინვე განუცხადეს, რომ სადილის შემდეგ, რაზედაც ნახევარი საათი ეძლევათ, კომისიის წევრები მაშინვე უნდა შეიკრიბონ კაიუტ-კამპანიაში დახურულ თათბირზე, ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე" შექმნილ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით.

მაგრამ თათბირი დაწყებისთანავე შეწყდა. „პარიტეტზე" მყოფმა კოსმონავტ-კონტროლიორებმა მართვის საერთო ცენტრს „კონვენციაზე" პირველი ცნობა აუწყეს, მეზობელ გალაქტიკის ტყისგულეთის პლანეტიდან 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისგან რომ მიიღეს.

IV

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გალმა-გამოლმა უზარმაზარი უდაბური სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რაც მართალი მართალია, ნაიმანების საგვარეულო სამარხი ანა-ბეიითი ყურის ძირას არაა — ოცდაათი ვერსი უნდა იქამდე, ისიც მაშინ, თუ თვალი გიჭრის და გზის გაპირდაპირება შეგიძლია.

იმ დღეს ადრიანად ადგა ბურანელი ედილეი. თუმცა, ვაცმა რომ თქვას, არც ეძინა, ალიონზე ჩათვლიმა მხოლოდ. მანამდე კი საქმე ჰქონდა — ყაზანგაპის ცხედარს აპატიოსნებდა, რაც ჩვეულებრივად დამარხვის დღეს კეთდება ხოლმე, გამოსვენებამდე ცოტა ხნით ადრე, გარდაცვლილის სახლში საერთო ლოცვის — ჯანაზის შემდეგ. აქ კი წინალამეს გაკეთდა ყველაფერი, რათა დილას ადარ დაბრკოლებულიყვნენ და მაშინვე გადგომოდნენ გზას. თავისი ხელით გააპატიოსნა ედილეიმ ყაზანგაპი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ აყლაყუდა ედილბაის მოჰქონდა შემთბარი წყალი ცხედრის განსაბანად. მკვდრისა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა ედილბაის, გან-განზე უვლიდა. ედილეიმაც ვითომ სხვათა შორის წაულაპარაკა:

— კარგად მიყურე, ედილბაი, ცხოვრებაში გამოგადგება. ვინც იბადება, იმას დამარხვაც სჭირდება.

— ვიცი, განა არ ვიცი, — ყოყმანით უთხრა ედილბაიმ.

— მეც მაგას გეუბნები. ხვალ რომ მე გავჭიმო ფეხები, არ უნდა გამაპატიოსნოთ, ისე ჩამაგდოთ ორმოში?

— მაგას რად ამბობ! — შერცხვა ედილბაის, ლამპა ახლოს მიიტანა და შეეცადა ისე შორს ადარ დამდგარიყო, —უთქვენოდ აქ მოგვწყინდება. ამიტომ უნდა იცოცხლოთ, ორმო მოითმენს.

საათ-ნახევარი მოუნდა ყაზანგაპის გაპატიოსნებას. სამაგიეროდ თავის თავის კმაყოფილი დარჩა ედილეი. ცხედარი ადათის მიხედვით განბანა, ხელ-ფეხი გაუსწორა და წესისამებრ დააწვინა, თეთრი სუდარა გამოჭრა და ყაზანგაპი ისე გახვია, ტილო არ დაუნანია. ედილბაისაც აჩვენა, როგორ უნდა სუდარას გამოჭრა. მერე თავის თავს მიხედა, წვერი სუფთად გაიპარსა, წარბებივით ხშირი, სისვა ცხენივით გაჭაღარავებული გაფანჩული ულვაშები შეისწორა. მედლები და ორდენებიც არ დავიწყებია, დამკვრელის ნიშნებთან ერთად ისინიც გააპრიალა, პიჯაკზე დააბნია, სახვალიოდ მოამზადა.

ამასობაში შემოათენდა კიდევაც. თვითონვე უკვირდა ბურანელ ედილეის, ასე მშვიდად, დინჯად რომ აკეთებდა ყველაფერს. ვისმე რომ მანამდე ეთქვა მისთვის, ამ სამწუხარო მოვალეობის შესრულებასაც შეიძლებო, არ დაიჯერებდა. მაშასადამე, თავიდანვე ეწერა ბედის წიგნში, ყაზანგაპი რომ მას დაემარხა. ასე ენება თურმე ბედს.

დიახ, დიახ, ენება. თუმცა ვინ იფიქრებდა ამას, როცა ქუმბელის სადგურზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ორმოცდაოთხი წლის ბოლოს გაათავისუფლეს ჯარიდან ედილეი. გარეგნულად რა უჭირდა — ხელი თავის ადგილზე ჰქონდა და ფეხი, თავიც ედგა მხრებზე, ოღონდაც თითქოს მისი არ იყო ეს

თავი. ყურები ისე უხშუოდა, ასე ეგონა, ქარი უზუზუნებდა შიგ. რამდენიმე ნაბიჯს გაივლიდა და წაბარბაცდებოდა, თავბრუ ეხვეოდა, გულს აზიდებდა. ხან ცივი ოფლი ასხამდა, ხან — ცხელი, ენაც დროდადრო არ ემორჩილებოდა— სიტყვის თქმა დიდ ჯაფად ეღირდა. კარგა მაგრად შეანჯღრია გამსკდარი გერმანული ნალმის ტალღამ. არ მოკლა, მაგრამ არც ცოცხალი დატოვა. ძალზე დაღონდა მაშინ ედიღეი. შეხედავ, ახალგაზრდა, ჯანიანი კაცია, მაგრამ შინ, არალის ზღვაზე რომ დაბრუნდება — რა აკეთოს, რაში გამოდგება? ბედად კარგი ექიმი შეხვდა. არც უმკურნალა, გასინჯა მხოლოდ გულდაგულ. რამდენადაც ახსოვს, ზორბა წითური კაცი იყო, თეთრი ხალათი ეცვა და თეთრი ჩაჩი ეხურა, გრძელი ცხვირი ჰქონდა, ნათელი თვალები. მხიარულად დაჰკრა ედიღეის მხარზე ხელი, გაიცინა.

— იცი, რას გეტყვი, ძმობილო, —უთხრა. — ომი მალე არ მთავრდებოდეს, ცოტა ხნის მერე უკანვე გაგგზავნიდი ჯარში, კიდევ იომებდი. მაგრამ რაც არი, არი, როგორმე უშენოდ გავიმარჯვებთ. ჯავრი არ გქონდეს — ერთი წლის შემდეგ ან იქნებ უფრო ადრე ყველაფერი გაგივლის, ბულასავით იქნები. მე ასე მითქვამს. მერე გამიხსენებ. ახლა კი მოემზადე და შენს მხარეში გაემგზავრენუ იდარდებ, შენისთანები ას წელს ცოცხლობენ.

თურმე მართალი უთქვამს იმ წითურა ექიმს. ასეც მოხდა. თუმცა ადვილი სათქმელია —ერთი წელიო. ჰოსპიტლიდან რომ გამოვიდა იმ თავის დაჭმუჭნული მაზარით, შულდაკით ზურგზე, ყოველი შემთხვევისთვის იღლიაში ამოჩრილი ყავარჯნით და ქალაქის ქუჩებს გაუყვა, ასე ეგონა, უსიერ ტყეში მოვხვდიო. თავი უშხუოდა, ფეხები უკანკალებდა, თვალთ უბნელდებოდა. ვინ გაქცევს ყურადღებას სადგურებზე, მატარებლებში, ვის რაში ენაღვლება შენი ამბავი. — ზღვა ხალხი ირევა, ვისაც ლონე აქვს, ის მიძვრება, შენ განზე გისვრის. მაინც მიაღწია, მიათრია ფეხები სახლამდე. ლამის ერთი თვის ნეტიალის შემდეგ ღამე ჩამოდგა მატარებელი არალსკის სადგურზე. „მხიარული ხუთასმეშვიდე" ერქვა იმ „მშვენიერ" მატარებელს. ღმერთმა ნურავინ ნურასოდეს ამგზავროს ასეთი მატარებლით...

მაშინ კი ესეც ბედნიერება იყო. სიბნელეში ჩამოძვრა ვაგონიდან, დაბნეული შეჩერდა. ირგვლივ თვალში თითს ვერ მიიტანდი, აქა-იქ ბჟუტავდა მხოლოდ სადგურის სინათლე. ქარი ქროდა. სწორედ ეს ქარი შემოეგება, საკუთარი, მშობლიური არალის ქარი! ზღვის სუნი ეცა ცხვირში. იმხანად აქვე, რკინიგზის ქვემოთ ტყლაშუნობდა ზღვა, ახლა კი დურბინდშიაც ვერ დაინახავ...

სუნთქვა შეუკრა ტრამაღიდან მოდენილმა ჰაერმა, აშმორებული აბზინდის სუნი რომ დაჰკრავდა ოდნავ. არალის მილმა გაზაფხული იღვიძებდა. თავის მშობლიურ მხარეში იყო კვლავაც.

კარგად იცნობდა სადგურს ედიღეი, კარგად იცოდა ზღვისპირა სადგურის მოღრეცილი ქუჩებიც. მიდიოდა და ჩექმებზე ტალახი ეწებებოდა. ნაცნობებთან აპირებდა ღამის გათევას, დილას კი ჟანგელდისკენ გასწევდა. ეს იყო მისი აული, აქედან კარგა მანძილზე მდებარე მეთევზეთა აული. ვერც შეამჩნია, ქუჩამ რომ დაბის ბოლოს, ზღვის პირას გამოიყვანა. ახლა კი ველარ მოითმინა, ზღვას მიადგა, ქვიშაზე მოჭყაპუნე წყლის ზოლთან დადგა. ზღვა ბნელში გახვეულიყო, აზავთებულ და მერე გაუჩინარებულ ტალღათა ქეჩოზე აქა-იქ გაბრჯიალებულ ათინათით თუ მიხვდებოდი, იქ რომ იყო. მთვარეს დატყობოდა ალიონის პირი — ზემოთ, ღრუბლის მილმა ეულად ქათქათებდა.

მაშასადამე, კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა შენი, არალო, — წაიჩურჩულა ედიღეიმ და ქვაზე ჩამოჯდა. გააბოლა, თუმცალა ექიმებმა ურჩიეს, კონტუზიის მერე ნუ მოწევო. შემდეგ კიდევაც მიატოვა ეს მავნე ჩვევა. მაშინ კი აღელვებამ სძლია — თუთუნის კვამლს რას დაგიდევდათ, როცა არ იცოდა, რა ექნა, როგორ ექცევა შემდეგ ზღვაში მეთევზეობას ლონიერი მხარ-მკლავი და წელი უნდა, თავმა არ უნდა გიღალატოს, თავბრუ არ დაგეხვიოს ნავში. ფრონტზე წასვლამდე თევზსარეწში მუშაობდა, ახლა კი სად იმუშაოს? ხეიბარი არ ეთქმის, მაგრამ ეს რას შველის, როცა არაფერში არ გამოდგება. პირველ ყოვლისა თავი უმტყუნებს, თუკი ისევ მეთევზეობა იკისრა, ამას წყალი არ გაუვა.

ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ საიდანღაც თეთრი ძაღლი გამოტყვრა სანაპიროზე. წყლისპირს ძუნძულით მოუყვებოდა, შეჩერდებოდა, სველ ქვიშას დაყნოსავდა და ისევ მოცუხცუხებდა. ედიღეიმ დაუძახა. ძაღლი მივიდა, კუდი ააქიცინა. ბანჯგვლიან კისერზე ხელი მოუთათუნა ედიღეიმ.

— საიდან ხარ, ჰა? საიდან მორბიხარ? რა გქვია? არსტანი? ჟოლბარსი, ბორიბასარი?[1] ჰოო, მესმის, თევზს ეძებ ნაპირზე. ბარაქალა შენ! ოღონდაც ზღვა ყოველთვის არ გამორიყავს მკვდარ თევზს. რას იზამ! იმიტომაც ხარ ძვალი და ტყავი, ამდენს რომ დაძუნძულებ. მე კი, მეგობარო, სახლში ვბრუნდები. კენიგსბერგთან ვიყავი. ცოტა მაკლდა იქამდე მისვლას, მაგრამ ჭურვი გასკდა და კინალამ ფეხები ვეფშიკე. ახლა კი ვფიქრობ, ტვინს ვიჭყლეტ, რა გზას დავადგე. ასე რად მიყურებ? საშენო არაფერი მაქვს, ორდენებისა და მედლების მეტი არაფერი გამაჩნდა... ომია, ჩემო კარგო, შიმშილია ყველგან. თორემ არ კი დავინანებდი... დაიცა, აქ შაქარყინული უნდა მქონდეს, ჩემი ბიჭისთვის მიმაქვს. ალბათ დარბის კიდევაც...

არ დაიზარა ედიღეიმ, ზურგჩანთა გახსნა, სადაც გაზეთის ნაგლეჯში გახვეული ერთი მუჭა შაქარყინული ედო, კიდევ თავშალი, ხელზე რომ იყიდა ცოლისათვის რომელიღაც სადგურზე. ორიოდე ცალი საპონი, ისიც გადამყიდველებისაგან ნაყიდი, ორი ხელი საცვალი, ქამარი, პილოტკა, გიმნასტერკა, შარვალი —ეს იყო და ეს მისი ავლადიდება.

ძაღლმა შაქარყინული აუსვლიპა ედიღეის ხელისგულიდან, კუდი გააქიცინა და იმედით განათებული თვალები ერთგულად მიაპყრო.

— აბა ახლა კი მშვიდობით.

ზღვისპირს გაუყვა ედიღეი. არჩია ნაცნობი ოჯახი აღარ შეეწუხებინა ,სადგურზე მაინც სადაცაა ინათებდა, დროის დაკარგვა არ ღირდა, აულისაკენ უნდა გასდგომოდა გზას.

მხოლოდ შუადღისას ჩაალწია ჟანგელდში, სულ ზღვისპირს მიუყვებოდა. კონტუზიამდე კი ორ საათში აირბენდა ხოლმე. ჩავიდა და თავზარდამცემი ამბავი დახვდა — თურმე მისი ბიჭი დიდი ხანია ცოცხლებში აღარ ეწერა. ედიღეი რომ ჯარში წაიყვანეს, ექვსი თვის იყო ბიჭი, თერთმეტისა კი დაღუპულა. ასე ენება განგებას. წითელბატონები შეყროდა და სიცხისთვის ველარ გაეძლო, დაიწვა, გაწყდა სიცოცხლის ძაფი. ფრონტზე აღარ მიწერეს ეს ამბავი. სად მიეწერათ, ან რისთვის მიეწერათ? ომში ისედაც სიმწარეს რა გამოლევს. თუ ცოცხალი ჩამოვა, გაიგებს, იდარდებს. როგორმე მოინელებს დარდს, ასე

[1] ლომი. ვეფხვი. ქოფაკი.

განსაჯეს ნათესავებმა და უქუბალასაც გადაათქმევინეს, არ შეუთვალოო. ახალგაზრდები ხართ, აგერ ომი დამთავრდება, ღვთის წყალობით კიდევ გეყოლებათ შვილებიო. „რტო გინდაც მოტყდეს, თავიდათავია, ალვის ტანი დარჩესო“. ისიც იფიქრეს გულში, თუმცა ხმამაღლა არ უთქვამთ, ისედაც ყველა მიხვდა: ომი ომია, თუ რამე მოხდა, თუ ტყვიამ მოკლა, იმედით მაინც გამოეფხოვოს ამ წუთისოფელს — შინ ვაჟი დამრჩა, უძეოდ არ გადავჩენ[illegible]

უქუბალა კი ყველაფერს თავის თავს აბრალებდა. გულამოსკვნილი ქვითინით ეხვეოდა ქმარს. რა იმედით, რა დაუნელებელი ტკივილით ელოდა ამ დღეს, რარიგ ტანჯავდა თავისი დანაშაული. ცხარე ცრემლებით ჰყვებოდა, რომ დედაბრებმა მაშინვე გააფრთხილეს: ბიჭს წითელბატონები სჭირს, ეს ვერაგი სენია, ბალღი თბილად უნდა გაახვიო აქლემის ბეწვის საბნებში, სიბნელეში გააჩერო, სულ ცივ-ცივი წყალი ასვა, ღმერთმა ქნას, სიცხეს თუ გაუძლო, გადარჩებაო. მან კი, უიღბლო და ბეიბაქმა[1] არ დაუჯერა აულის დედაბრებს, მეზობლებს ფორანი სთხოვა და სნეული ბიჭი სადგურზე ექიმ ქალს წაუყვანა. იმ ჯანჯღარა ფორნით არალსკს რომ ჩააღწია, უკვე გვიან იყო. სიცხეს ვერ გაუძლო ბიჭმა და გზაში დაილუპა. ექიმმა ქალმა სულ ლანძღვა და თათხა უქუბალა, მოხუცი ქალებისათვის უნდა დაგეჯერებინაო...

ასეთი ამბები დახვდა ედილეის ოჯახში, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა. გაქვავდა, დარდით გაშავდა კაცი. არ ეგონა, თუ ასე იდარდებდა თოთო ბავშვს, ასე იჯავრებდა თავის პირმშოს, ვისი ლოლიავიც ხეირიანად არც კი დაცლია. ამიტომ უფრო ემძიმებოდა შვილის დაკარგვა. ვერა და ვერ დაეჯერებინა თავისი ბიჭის უკბილო, მიმნდობი, ნათელი ღიმილი, რომლის გახსენებაზე დიდხანს უკვნესდა ხოლმე გული.

აქედან დაიწყო ყველაფერი, შესძულდა ედილეის აული. ოდესღაც აქ, ზღვისპირეთის თიხიან მაღლაკებზე სახლობდა ორმოცდაათამდე ოჯახი: არალში თევზს იჭერდნენ და ასე ირჩენდნენ თავს. არტელი ჰქონდათ და ეს იყო. ახლა კი ორიოდე მიწურილა იდგა ფლატის ძირას. მამაკაცებიდან ყველა პირწმინდად წაეხიკა ომს. მოხუცები და ბალღებიც კი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ბევრი საკოლმეურნეო თუ მესაქონლე აულებში გაიხიზნა, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ. დაიშალა არტელიც. ზღვაში გამსვლელი კაცი არ იყო.

უქუბალასაც შეეძლო თავისიანებთან წასვლა. ტრამალიდან იყო მისი გვარტომი. მასაც ჩამოაკითხეს ნათესავებმა, თავისთან წაყვანა მოუნდომეს. ამ გაჭირვებულ დროს ჩვენთან იქნები, ედილეი რომ ჩამოვა ჯარიდან — ძალით ხომ არ დაგაკავებთ, ამ შენს ჟანგელდში დაბრუნდებიო. მაგრამ უქუბალამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა „არა, ქმარს აქ დავუცდი. ბიჭი დავკარგე, თუ ცოცხალი დაბრუნდა, მე მაინც დავხვდე შინ. მარტო ხომ არ ვიქნები, მოხუცებიც და ბალღებიც არიან, იმათ მივეხმარები, როგორმე ერთად გავიტანთ თავს“.

სწორადაც მოიქცა უქუბალა. მაგრამ პირველი დღეებიდანვე დაიწყო ლაპარაკი ედილეიმ, აქ ვერ დავრჩები, არ შემიძლია, უსაქმოდ ზღვაზე რა გამაჩერებსო. მართალიც იყო. უქუბალას ნათესავები ჩამოვიდნენ ედილეის სანახავად, უთხრეს, ჩვენთან გადმოდი, ტრამალზე იცხოვრე, სადაც ფარები გვყავს, ხოლო როცა გამოკეთდები, სხვა საქმეს მოეკიდე, ნახირს დაუდექი მწყემსადაო... ედილეიმ მადლობა გადაუხადა, მაგრამ არ დათანხმდა. იცოდა, ტვირთად

[1] ბედნავსი.

დააწვებოდა მოყვრებს. ერთი-ორი დღე კი გისტუმრებს ცოლოურის მხარე, მაგრამ მერე, თუ მუშად არ ვარგიხარ, ვის რაში სჭირდები.

მაშინ გადაწყვიტეს მან და უქუბალამ რკინიგზაზე წასულიყვნენ სამუშაოდ. იქნებ ედიღეისთვის რამე შესაფერისი სამუშაო აღმოჩნდესო, გუშაგად ან ყარაულად დანიშნონ სადმე, არადა, რკინიგზის გადასასვლელზე შლაგბაუმთან იმუშავებს, ფრონტელ ხეიბარს რამეში ხომ უნდა [illegible]

ამ გადაწყვეტილებით დაადგნენ კიდევაც გზას. ჯეელები იყვნენ, ჯერჯერობით თავისუფლები. პირველ ხანებში სხვადასხვა სადგურებზე ათევდნენ ღამეს. მაგრამ შესაფერისი სამუშაო ვერა და ვერ მონახეს. ბინის ამბავს ხომ ნუ იკითხავ, სადაც მოხვდებოდათ, იქ ცხოვრობდნენ, შემთხვევითი სამუშაოთი გაჰქონდათ თავი რკინიგზაზე. უქუბალა მხარში ვაჟკაცივით ედგა ქმარს — მეტწილად ის მუშაობდა. ედიღეი, შესახედად საღსალამათი კაცი, დატვირთვა-გადმოტვირთვაზე ურიგდებოდა ხალხს, მუშაობით კი უქუბალა მუშაობდა.

შუა გაზაფხული იყო, როცა ერთხელ ქუმბელის დიდ საკვანძო სადგურზე ამოჰყვეს თავი. ნახშირით სავსე ვაგონებს სათადარიგო ლიანდაგით პირდაპირ დეპოს უკანა ეზოებში აყენებდნენ. აქ ჯერ მიწაზე ჰყრიდნენ ნახშირს, ბაქნები რომ საჩქაროდ გაენთავისუფლებინათ, მერე კი ურიკებით მიაგორებდნენ და სახლებივით უზარმაზარ ბუნტებში სცლიდნენ. მთელი წლის მარაგი მზადდებოდა. ძალიან მძიმე, მტვრიანი, ჭუჭყიანი სამუშაო იყო. მაგრამ ცხოვრებაც ხომ გინდოდა ადამიანს. ედიღეი ნიჩბებით ჰყრიდა ურიკაზე ნახშირს, უქუბალა კი ფიცარნაგზე მიაგორებდა, დასცლიდა და უკანვე ბრუნდებოდა. ედიღეიც ხელახლა ავსებდა ურიკას ნახშირით და უქუბალაც დროგის ცხენივით მიაგორებდა ზემოთკენ ქალისათვის დიახაც მძიმე ურიკას. თანაც სიცხე უფრო და უფრო აჭერდა შუადღისას, ამ სიცხისა და ნახშირის მტვრისგან გული ერეოდა ედიღეის. გრძნობდა, თანდათან როგორ ეცლებოდა ძალა, ერთი სული ჰქონდა ნახშირის გორაზე დამხობილიყო და აღარც წამომდგარიყო მერე. მაგრამ ყველაზე მეტად ის ჰკლავდა, რომ ცოლიც ამ შავ მტვერში უნდა გაგუდულიყო და მასთან ერთად ეკეთებინა ის საქმე, რისი კეთებაც წესით ედიღეის მართებდა. ცოლისთვის ვეღარ შეეხედა, თავით ფეხამდე მტვერში ამოგანგლულ უქუბალას მხოლოდ თვალების თეთრონი და კბილები უჩანდა. შავი ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა კისერზე, მკერდზე, ზურგზე. ადრინდელი ძალა რომ ჰქონოდა ედიღეის, თვითონვე გაავსებდა და თვითონვე დასცლიდა ამ წყეული ნახშირით სავსე ორიოდე ვაგონს, ოღონდ ცოლის წამება არ ენახა.

როცა ჟანგელდი — მეთევზეთა აული დატოვეს იმ იმედით, ედიღეის დაჭრილი ფრონტელის კვალობაზე რაიმე შესაფერის საქმეს გამოუნახავენო, ის ვეღარ გაითვალისწინეს, რომ ასეთი ნაფრონტალებით სავსე იყო ქვეყანა. ქველას ხელახლა უნდა დაეწყო, ყველა ხელახლა უნდა შეჰგუებოდა ცხოვრებას. კიდევ კარგი, ედიღეის არც ხელი აკლდა და არც ფეხი. რამდენი უფეხო, უხელო, ყავარჯნიანი თუ პროტეზიანი დაეხეტებოდა მაშინ რკინიგზებზე... როცა კი სადგურის ხალხით გაჭედილ აყროლებულ შენობაში სადმე კუთხეში მიიკუჭნებოდნენ ღამის გასათევად, გათენებას კი აღარ ადგებოდა საშველი, უქუბალა ღმერთს უსიტყვო მადლობას სწირავდა, რომ ქმარი გვერდით ჰყავს, რომ ომმა ისე არ დაასახიჩრა, უსაშველო და საშინელი რამ არ დამართა. ვინაიდან, რასაც ის სადგურებზე ხედავდა, შიშის ზარითა და სიბრალულით ავსებდა. უფეხო, უხელო, დამტვრეულ-დასახიჩრებული ხალხი, გაქექილ მაზარებსა და შე-

მოძონძილ ტანსაცმელში, უსახლკარო და მიუსაფარნი, მატარებლებსა და სადგურებზე დაძრწოდნენ, ვინ გორგოლაჭებიან ფიცარზე უკანალით დაკრული, ვინ ყავარჯნებშედგმული, ვინ სამოწყალოდ სხვისი წამოყვანილი, ხასიათლოებსა და ბუფეტებში ძალით იჭრებოდნენ, მათი მთვრალი ყვირილი, ტირილი სულს ძრწოლით ავსებდა... რა მოელოდა მომავალში ყოველ მარტსა [illegible] აუნაზღაურებდათ იმას, რისი ანაზღაურებაც არავის ძალუძდა? [illegible] იმიტომ, რომ ბედმა იგი დაინდო და ასეთ უბედურებას ააცდინა, რომ ქმარი, თუმც კონტუზიებული, მაგრამ სახიჩარი არ დაუბრუნდა, უქუბალა მზად იყო მთელ ქვეყანას მომსახურებოდა. ამიტომაც არ ჩიოდა, ყველაფერს ითმენდა. არც იმჩნევდა, რომ ზოგჯერ ნაბიჯის გადადგმაც კი უჭირდა და მოთმინების ძაფი სადაცაა გაუწყდებოდა.

მაგრამ ედიღეის ეს როდი უმსუბუქებდა ჯავრს, რაღაც უნდა ელონა, საიდაც მკვიდრად უნდა მოეკიდა ფეხი. მთელ სიცოცხლეს ხომ წანწალში არ ეატარებდა. უკვე ხშირ-ხშირად გაჰკრავდა თავში: რა იქნება, „თაუბაქელ"[1] ვთქვა და სადმე ქალაქში დავსახლდე. იქნებ იქ მაინც გამიმართლოს ბედმაო? ოღონდაც ჯანი დაუბრუნდეს, ოღონდაც ამ ოხერმა კონტუზიამ გაუაროს, მაშინ კიდევ შეიძლება ბრძოლა, კიდევ შეიძლება ბედთან ჭიდილი... რა თქმა უნდა, არც ქალაქში იცი, რა მოგელის, როგორ წაგივა საქმე. იქნება დროთა ვითარებაში შეჰგუებოდნენ კიდეც იქაურობას და სხვებივით ისინიც ქალაქელები გამხდარიყვნენ, მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. დიახ, ეს ბედი იყო. სხვაა ვერაფერს დაარჭმევდი...

ქუმბელის სადგურზე ცხოვრობდნენ ედიღეი და უქუბალა, გარიგებულნი იყვნენ დებოს უკანა ეზოში ნახშირის ვაგონები გადმოეცალათ. ერთხელ ვიღაც ყაზახი შემოვიდა აქლემით ეზოში. ეტყობოდა, ტრამალიდან ჩამოსულიყო თავის საქმეზე. ჩამოსულმა აქლემი დაიფალმანდა და უშენ მინდორზე გაუშვა საბალახოდ, მერე კი შეწუხებულმა მიმოიხედა და იღლიაში ამოჩრილი ცარიელი ტომრით ედიღეისკენ გამოემართა.

— თუ შეიძლება, ძმაო, — უთხრა მან ედიღეის, გვერდით რომ ჩაუარა, — აქლემს მიმიხედე, ბალღებმა არ შეაწუხონ. ცუდი ჩვევა სჭირთ — აბრაზებენ და სცემენ პირუტყვს. იქნებ აუშვან კიდეც თავის გასართობად. მე ახლავე დავბრუნდები, ცოტა ხნით მივდივარ.

— წადი, წადი, მე მივხედავ, — შეჰპირდა ედიღეი, რომელიც ხიჩბით ხვეტავდა ნახშირს და შავად გაზინზლული ჭინჭით იწმენდდა ოფლს, ღვარად რომ ჩამოსდიოდა თავპირზე. ედიღეი ისედაც ნახშირის გორასთან ტრიალებდა, ურიკას ავსებდა, რა დიდი ამბავი იქნებოდა აქლემისთვისაც მიეხედა, რათა სადგურის ოხავარ ბიჭებს არ შეეწუხებინათ. ერთხელ მოწმე იყო კიდევაც მათი ოინბაზობისა —ისე გააბეზრეს საწყალი პირუტყვი, ბლავილს და ფეთქებას მოჰყვა და ბიჭებს დაერია. იმათაც ეს უნდოდათ, პირველყოფილი მონადირეებივით ველური გნიასით შემოეხვივნენ აქლემს, ქვები და ჯოხები დაეშინეს. შავ დღეში ჩავარდა პირუტყვი, ვინემ პატრონი არ დაბრუნდა...

ამჯერადაც, თითქოს ჯიბრზე, ერთი ჟივილ-ხივილით გამოტყვრა საიდანღაც პატარა ყაჩაღების ბრბო. ხელად ფეხბურთის თამაში გააჩაღეს. ბურთს სწორედ დაფალმანდებულ აქლემს უმიზნებდნენ. აქლემი გარბოდა, ისინი კი ბურთს

[1] რაც იყოს, იყოს.

უბათქუნებდნენ ფერდებზე. ვინც ყველაზე მაგრად და მარჯვედ მოარტყამდა, ისე ზეიმობდა, თითქოს გოლი გაეტანოს...

— ჰეი, თქვენ, აბა მოუსვით აქედან, თავი გაანებეთ პირუტყვს!— ნიჩაბი მოუქნია ბიჭებს ედიღეიმ. — თორემ მე ვიცი, რას გიზამთ!

ბიჭები ხელად გაცვივდნენ, ან პატრონი ეგონათ ან არადა შეაშინათ ნახშირის გადმომტვირთველის იერმა. იქნებ სულაც მთვრალი იყო და მართლა შავი დღე დაეყარა მათთვის. ამიტომაც ბურთი წინ გაიგდეს და გაიქცნენ. რა იცოდნენ, რომ ყოვლად უშიშრად შეეძლოთ აქლემის წამება, რამდენიც უნდოდათ. ედიღეიმ ყასიდად შეაშინა ისინი ნიჩბით, თორემ თავის დღეში ვერ დაეწეოდა ბიჭებს. ერთი ნიჩაბი ნახშირი რომ ურიკაზე დაეყარა, მთელი ძალა უნდა მოეკრიბა. თურმე რა საძაგელი, რა დამამცირებელი გრძნობა ყოფილა უძლურება და ავადმყოფობა. თავი გამუდმებით უბრუოდა. ოფლმა ხომ გააწამა და გააწამა, ღვარივით სდიოდა, ძალას აცლიდა, ნახშირის მტვერიც სუნთქვას უჭირებდა, შავი ნახველი გულზე აწვებოდა. უქუბალა სულ იმას ცდილობდა, მეტწილად თვითონ ემუშავა და ქმარს დაესვენა, ცოტა ხანს განზე მჯდარიყო. თვითონ ავსებდა ნახშირით ურიკას და ზემოთ, ბურტისკენ მიაგორებდა. მაგრამ ედიღეის რა მოასვენებდა, როცა ქალი წელში წყდებოდა, წამოდგებოდა ბარბაც-ბარბაცით და მუშაობას განაგრძობდა...

ის კაცი მალე დაბრუნდა. აქლემს მიმიხედეო, რომ სთხოვა. ზურგზე მოეკიდებინა ტვირთი. საპალნე რომ აქლემს დაადო, მერე ედიღეისთან მივიდა, გამოელაპარაკა. სწორედ ეს იყო ყაზანგაპი, ბორანლი-ბურანის რკინიგზის ასაქცევიდან...

თურმე ერთი მხრიდან ყოფილან. ყაზანგაპიც არალის ზღვისპირა აულელი გამოდგა. ამან ხელდახელ დააახლოვა ისინი.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს შეხვედრა განსაზღვრავდა ედიღეისა და უქუბალას მთელ მერმისს. ყაზანგაპმა მალე დაარწმუნა ცოლ-ქმარი ბორანლი-ბურანის ასაქცევზე გამგზავრებულიყვნენ მასთან ერთად, იქ ეცხოვრათ და ემუშავათ. ზოგი კაცი გაცნობისთანავე მიგიზიდავს და მოგხიბლავს. უჩვეულო არაფერი ჰქონდა ყაზანგაპს, პირიქით, უბრალოც იყო, მაგრამ ეს უბრალოება მოწმობდა, გამოცდილება და სიბრძნე რა მძიმე გაკვეთილის შედეგად შეეძინა. შეხედავდი, ჩვეულებრივი ყაზახი იყო. მის გახუნებულ, დიდხანს ნატარებ სამოსს ტანის მოყვანილობა მიეღო უკვე. თხის ტყავის შარვალიც ტყუილად არ ეცვა —აქლემით მოგზაურობისას მოსახერხებელი იყო. მაგრამ რაც ჰქონდა, იმის მოფრთხილება იცოდა — დიდ თავზე რკინიგზელის შედარებით ახალი ქუდი ეხურა, ეტყობა. საგარეოდ ინახავდა, წლების მანძილზე ნახმარი ტყავის ჩექმებიც გაფისული ძაფით გულდაგულ ჰქონდა ბევრგან დაკერილი. ტრამალის მკვიდრი მუშა რომ იყო, მცხუნვარე მზისა და მუდმივი ქარისაგან გაყავისფრებულ სახეზე და ხეშეშა, დაძარღვულ ხელებზე ეტყობოდა. ჯაფისგან ნაადრევად მოხრილი მხრები ძალუმად დაჰქანებოდა და ამიტომ კისერიც მამალი ბატივით გრძელი უჩანდა, თუმცა საშუალო ტანისა იყო. საოცარი თვალები კი ჰქონდა — თაფლისფერი, ყოვლისგამგები, დაკვირვებული, ღიმილიანი, ირგვლივ ნაოჭებით დასერილი.

ყაზანგაპი მაშინ ორმოცოდე წლისა იქნებოდა. თუმცა იქნებ იმიტომაც ჩანდა ამ ხნისა, რომ მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები და პატარა წაბლისფერი წვერი ცხოვრებაში გამოჯაგული კაცის იერს აძლევდა. მაგრამ ნდობას უფრო

მეტად მისი ჭკუადამჯდარი საუბარი გინერგავდა. უქუბალა უმალ განიმსჭვალა ამ კაცისადმი პატივისცემით. რაც თქვა, ყველაფერი ჯეროვანი და ჭკვიანური თქვა: რახან ასეთი საქმე დაგემართა და კონტუზიამ ჯერ არ გაგიარა, ჯანს რად ილუპავ. მე მაშინვე შეგამჩნიე, ედიღეი, ეს სამუშაო რომ გიჭირს. ამისთანა საქმეებისთვის შენ ჯერ მომაგრებული არა ხარ, ფეხებს ძლივს დაათრევ. ახლა შენ უფრო იოლი სამუშაო უნდა შეარჩიო, სუფთა ჰარზე იყო. რძე ბლომად სვა. აგერ ჩვენს რკინიგზის ასაქცევზე ხალხი ძალიან გვჭირდება. ახალი უფროსი სულ ამას მეუბნება: შენ აქაური მკვიდრი ხარ, შესაფერისი ხალხი მოგვიძებნე და ჩამოგვიყვანეო. მაგრამ სად მოძებნი ასეთებს? ყველა ომშია წასული. ვინც ომიდან დაბრუნდა, სამუშაოს სხვაგანაც შოულობს. რა ოქმა უნდა, არც ჩვენთანაა სამოთხე. ჩვენთანაც ძალიან ჭირს, ადგილია ცუდი — ირგვლივ საროზექია, უკაცრიელობა და უწყლობა. ცისტერნით ჩამოაქვთ ხოლმე მთელი კვირის სამყოფი წყალი. ზოგჯერ ვერც ჩამოაქვთ. ასეც ხდება. მაშინ შორს უნდა წახვიდე ტრამალში, ჭებისკენ, თულუხებით ჩამოიტანო წყალი, დილით რომ წახვალ, საღამოს დაბრუნდები მხოლოდ. და მაინც ჯობია იმ მივარდნილ საროზექში გქონდეს შენი კუთხე, ვინემ ასე იჯახირო და სადგურ-სადგურ იწანწალო. ჭერი გექნება და მუდმივი სამუშაოც, გაჩვენებთ, გასწავლით, რა უნდა გააკეთო. თუ ხელს გაანძრევ, საკუთარ მეურნეობასაც მოიწყობ. ორნი ხართ და საკმაოდ იშოვით სარჩოს. ამასობაში ჯანიც დაგიბრუნდება. დრო გავა, მოგწყინდებათ და სადმე სხვაგან გაემგზავრებით...

აი, ასე თქვა მაშინ ყაზანგაპმა. ედიღეიმ იფიქრა, იფიქრა და დათანხმდა. იმავე დღეს გაჰყვნენ ყაზანგაპს საროზექში, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე, რამეთუ ედიღეისა და უქუბალას იმ დროების პირობაზე ჩასალაგებელი ბევრი არაფერი ებადათ. მოხიკეს თავიანთი ავლადიდება და გზას გაუდგნენ. რა ენაღვლებოდათ, ბარემ ამასაც ცდიდნენ, თურმე მათი ბედი ეს ყოფილა.

მთელი სიცოცხლე ემახსოვრება ედიღეის ის გზა ქუმბელიდან ბორანლი-ბურანამდე. ჯერ რკინიგზას მიჰყვებოდნენ, მერე ნელ-ნელა დაშორდნენ და ხრიატ-ხრიატი დილმართებით გან-გან გაუხვიეს. როგორც ყაზანგაპმა თქვა, ათიოდე კილომეტრით მაინც ჩამოჭრეს გზა, ვინაიდან აქ რკინიგზა დიდ რკალს აკეთებდა ,ოდესღაც კარგა დიდ, ახლა კი დამშრალი მლაშე ტბის, დიდი თაკარის ფსკერს გარშემო უვლიდა. მარილი და ჭანჭრობები დღემდე გამოდის თურმე თაკარის წიაღიდან. ყოველ გაზაფხულზე ეს მარილიანი ვაკე იღვიძებდა — დაჭაობიანდებოდა, გაჟივჟივდებოდა, ძნელი სავალი ხდებოდა, ზაფხულში კი მარილის თეთრ ხეშეშ ბრკეს გადაიკრავდა და ქვასავით მაგრდებოდა შემდგომ გაზაფხულამდე. აქ რომ ოდესღაც უზარმაზარი მარილიანი ტბა იყო, ეს ყაზანგაპმა საროზექში ნამყოფ გეოლოგ ელიზაროვის ნათქვამით იცოდა, ვისაც მერე ბურანელი ედიღეიც ძალიან დაუმეგობრდა. დიდი ჭკვიანი კაცი იყო ელიზაროვი.

ედიღეის მაშინ ჯერ კიდევ არ ერქვა ბურანელი ედიღეი, მაშინ ბორანლელ რკინიგზელთან შემთხვევით შეხვედრილი ერთი არალელი ყაზახი იყო, ცხოვრებამოუწყობელი, დაჭრილი ფრონტელი, რომელიც ყაზანგაპს მიენდო და ცოლთან ერთად სამუშაოსა და ჭერის საძებრად გაჰყვა მისთვის უცნობ ბორანლი-ბურანის ასაქცევზე; რა იცოდა, რომ მთელ სიცოცხლეს იქ, იმ ასაქცევზე გაატარებდა.

საროზექის თვალუწვდენელმა, ვეებერთელა სივრცეებმა, გაზაფხულზე ხანმოკლედ აბიბინებულმა, გააბრუა და დაარეტიანა ედიღეი. არალის ზღვის ირგვლივაც იყო ბლომად ტრამალი და ვაკე. ჯერ მარტო უსტიურტის ზეგანი რად ღირდა, მაგრამ ასეთი უდაბური ხალვათობა პირველად ნახა მისმა თვალებმა. მერმე მიხვდა ედიღეი, რომ საროზექის მდუმარებასთან მარტოდმარტო დარჩენას მხოლოდ ის შეიძლებდა, ვინც უდაბნოს სიდიადეს საკუთარ სულს მიუთანაზომებდა. კი, დიდია და დიადი საროზექი, მაგრამ ადამიანის ცოცხალი აზრი და ფიქრი მასაც გასწვდება, მასაც მოიცავს. ბრძენი კაცი იყო ელიზაროვი, იმას აგიხსნიდა, რაიც ქვეშეცნეულად შენშიაც ბუნდოვნად მწიფდა.

ვინ იცის, რა გუნებაზე დადგებოდნენ ედიღეი და უქუბალა საროზექში შელრმავებისას, ყაზანგაპი რომ არ ყოფილიყო. ის მიუძღოდათ წინ, სადავით მიჰყავდა აქლემი, რომელზედაც საპალნეებს შორის ედიღეი წამომჯდარიყო. რა თქმა უნდა, წესით უქუბალას მართებდა აქლემზე ჯდომა, მაგრამ ყაზანგაპმა და მეტადრე უქუბალამ თითქმის ძალათი შეაყუნცეს ზედ ედიღეი: „ჩვენ საღსალამათი ხალხი ვართ, შენ კი ძალა უნდა დაზოგო, ნუ გვედავები, ნუ გვაყოვნებ, ისედაც დიდი გზა გვიდევს წინ...“ აქლემი ჯერ ახალგაზრდა იყო, დიდ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა, იმიტომაც ორი ადამიანი ფეხით მიაბიჯებდა, მესამე კი აქლემზე იჯდა. აი, ედიღეის ყარანარზე სამივე არხეინად მოკალათდებოდა და უფრო ჩქარაც — სამ საათ-ნახევარ, ოთხ საათში ჩამოვიდოდნენ თოხარიკით .მაშინ კი ბორანლი-ბურანს ღამითღა მიაღწიეს.

მაგრამ ლაპარაკსა და უცნობი მიდამოების თვალიერებაში გზა შეუმჩნევლად გაილია. ყაზანგაპი მოჰყვა გზაში, როგორ მოხდა თვითონ აქ, რკინიგზაზე, საროზექის მხარეში. თურმე არც ისე წლოვანი ყოფილა. ამ წელიწადს, ომის დამთავრების წინ, ოცდამეთექვსმეტეში გადამდგარა. წარმოშობით არალისპირა ყაზახი იყო. ბეშალაჩი, მისი აული ჟანგელდიდან ოცდაათ კილომეტრზე მდებარეობდა ნაპირის გაყოლებაზე. ბლომა, ბლომა წლებმა გაიარა, რაც ყაზანგაპი იქიდან წამოვიდა, მაგრამ თავის აულში მას აქეთ ერთხელაც არ ჩაუდგამს ფეხი. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მამამისი თურმე კულაკების ლიკვიდაციის დროს გაუსახლებიათ. როცა გაირკვა, რომ კულაკი არ იყო, კანონის გადაღუნვას შეეწირა და ცულ ტყუილად. უფრო სწორად შეცდომით მოქცეოდნენ ასე სასტიკად მისთანა საშუალო შეძლების გლეხებს, დააბრუნეს, მაგრამ ვეღარ კი ჩამოაღწია და გზაში გარდაიცვალა. საქმის გამოსწორება გვიანი აღმოჩნდა. ოჯახი დაიშალა, და-ძმებიდან ვინ სად გადაიკარგა და ვინ სად, ოღონდაც თვალს მოშორებოდნენ. მას აქეთ მათი ასავალ-დასავალი ყაზანგაპმა აღარ იცოდა. თავად მას, მაშინ ჯერ ყმაწვილს, ფრიად თავგამოდებული აქტივისტები ძალას ატანდნენ; კრებაზე გამოდი, მაბა დაგმე, მთელი ხალხის წინაშე განაცხადე, რომ ჩვენს ხაზს მხარს მხურვალედ უჭერ, რომ ძამაშენი სწორად დასაჯეს, ვით უცხო ელემენტი, რომ ასეთ მამაზე ხელს იღებ, რომ მამაშენისთანა კლასობრივმა მტრებმა ქვეყნად არ უნდა იბოგინონ და ისინი ყველგან უნდა გააცამტვერონ.

ამ სირცხვილს რომ გადარჩენოდა, ადგა ყაზანგაპი და შორს გადაიხვეწა. მთელი ექვსი წელი იმუშავა ბეთქაფ-დალში, სამარყანდთან მდებარე ძშიერ ტრამალში, სადაც საუკუნეების მანძილზე ყამირი არავის გაუტეხავს, ახლა კი ბამბის პლანტაციებისთვის ამუშავებდნენ. ხალხი იქ ძალიან სჭირდებოდათ. ბარაკებში ცხოვრობდნენ ყველანი, არხებს თხრიდნენ. ყაზანგაპი მიწასაც თხრი-

და, ტრაქტორისტობდა კიდეც, ბრიგადირადაც იყო, საპატიო სიგელიც მიიღო, როგორც დამკვრელმა. იქ ითხოვა ცოლიც. ყველა კუთხიდან მოეშურებოდა მაშინ ხალხი მშიერ ტრამალში საშოვარზე. ხივიდან ჩამოვიდა ყარაყალპაკელი ბუქეი, ოჯახს ჩამოჰყვა ბეთფაქ-დალში სამუშაოდ. თურმე ბედის წიგნში ეწერათ ერთმანეთს შეხვედროდნენ. დაქორწინდნენ ბეთფაქ-დალში და გადწყვიტეს ყაზანგაპის საშშობლოში გამგზავრებულიყვნენ, არალის ზღვაზე, თავის ხალხს, თავის მიწას დაბრუნებოდნენ. თურმე კარგად არ დაფიქრებიან ამ ამბავს. დიდხანს იმგზავრეს „მაქსიმებით",[1] რამდენიმე მატარებელი გამოიცვალეს. როცა ქუმბელში კიდევ ერთ მატარებელში უნდა გადამსხდარიყვნენ, შემთხვევით შეხვდა ყაზანგაპი თავის სოფლელებს და მათი ლაპარაკით გაარკვია, ბეშალაჩში არ უნდა დაბრუნებულიყო. თურმე იქაურობას ისევ ის გადამლუნავნი განაგებდნენ. ჰოდა, გადაიფიქრა ყაზანგაპმა თავის აულში დაბრუნება. განა იმიტომ, რაშესი ეშინოდა, ახლა თვით უზბეკისტანის სიგელი ჰქონდა. არ უნდოდა იმ ხალხის ნახვა, ასე ბოროტად რომ მოექცნენ და გააძწარეს. იმათ ჯერჯერობით ყველაფერი ხახვივით შერჩათ, ყაზანგაპს კი არ შეეძლო გულმშვიდად მისალმებოდა მათ, ვითომცდა არაფერი მომხდარიყო.

ყაზანგაპს ახლაც არ სიამოვნებდა ამ ამბების მოგონება, თუმცა მის გარდა უკვე ყველას დავიწყებოდა ეს ამბები. რაც საროზეკში დასახლდა, მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ ორჯერ გაამყლავნა, რომ არაფერი დავიწყებოდა. ერთხელ ვაჟმა მოაყვანინა გული, მეორედ კი ედიღეი გაეხუმრა უშნოდ.

საბითჟანი იყო ერთხელ ჩამოსული, ჩაის უსხდნენ, საუბრობდნენ, ქალაქის ახალ ამბებს ისმენდნენ საბითჟანისგან. საბითჟანი სიცილით მოჰყვა, ის ყაზახები და ყირგიზები, კოლექტივიზაციის წლებში სინცზიანში რომ წავიდნენ, ახლა ისევ ბრუნდებიანო. ჩინელმა თურმე ძალზე შეავიწროვათ — ხალხს შინ ჭამა აუკრძალა, მხოლოდ საერთო ქვაბიდან უნდა ჭამოთო დღეში საჭელ. დიდი თუ პატარა ჯამებით რიგში იდგა. ჩინელებმა ისეთი დღე აყარეს ამ ხალხს, სარჩო-საბადებელი მიატოვეს და იქიდან დამდუღრულებივით გამოიქცნენ. ახლა თავმოდრეკით იხვეწებიან, უკან დაგვაბრუნეთო.

— მერედა ეს კარგია? — მოიღუშა ყაზანგაპი და ტუჩები ბრაზით აუცახცახდა. იშვიათად თუ გაჯავრებულა ასე, ასეთი კილოთი იშვიათად თუ მიუმართავს თავის ვაჟისთვის, ვინც ქვეყანას ერჩია, ვისაც ასწავლა, ვისთვისაც არაფერს ზოგავდა და იმედი ჰქონდა, დიდი კაცი გამოვაო. — სასაცილო აქ რა ხახე, რომ იცინი? — დაუმატა მან ყრუდ და თავში სისხლმა აასხა. ხალხს უბედურება დაატყდა.

— ნეტა სხვანაირად როგორ მეთქვა? — შეეპასუხა საბითჟანი — როგორც იყო, მეც ისე ვყვები.

ყაზანგაპს არაფერი უთქვამს. ჩაის ფიალა განზე გადგა, დადუმდა, და ეს დუმილი აუტანელი იყო.

— ან ვისზე მოგდის გული? — გაკვირვებით აიჩეჩა მხრები საბითჟანმა. — ვერ გამიგია. კიდევ გიმეორებ — ვისზე მოგდის-მეთქი გული? დროზე დრო მოუხელთებელია. მთავრობაზე — უფლება არა გაქვს.

— იცი, საბითჟან, მე ჩემი საქმე ვიცი, სხვისაში არ ვერევი. მაგრამ ეს კი გახსოვდეს, შვილო, თუმცა შენი ჭკუით თვითონაც უნდა მიმხვდარიყავი, რომ

[1] ასე ეწოდებოდა იმ ეშელონებს, ხალხი რომ გადიჰყავდა.

მარტო ღმერთზე არ შეიძლება მოგვიდეს გული — თუ სიკვდილი კარს მოგაყენა, მაშასადამე, შენ სიცოცხლეს ყავლი გასვლია — დანარჩენზე კი ამქვეყნად კაცს ყველაფერი უნდა მოეკითხოს! — ყაზანგაპი წამოდგა და გაჯავრებული გარეთ გავიდა, არავისთვის არ შეუხედავს...

მეორედ, ქუმბელში მათი შეხვედრიდან კარგა ბლომა წლების შემდეგ, როცა უკვე დასახლდნენ, უკვე ფესვი გაიდგეს ბორანლი-ბურანში, როცა შვილები გაუჩნდათ და კიდეც წამოეზარდათ, ერთ გაზაფხულის საღამოს, ცხვრებიდ და ბატკნების საჩეხეში შედენისას, ედიღეი ყაზანგაპს გაეხუმრა:

— გავმდიდრდით მე და შენ, ყაზაქე, და ესაა. დროა ხელახლა განგვაკულაკონ!

ყაზანგაპმა მკვახედ შეხედა, ულვაშებიც კი აეჯაგრა.

— ენა დააყე, წინ ნუ გისწრებს!

— ვიხუმრე, რა, ხუმრობა არ იცი?

— ეს სახუმარო არაა.

— კარგი ერთი, ყაზაქე, ასი წელი გავიდა, მგონია...

— საქმეც ეგაა. ქონებას წაგართმევენ — არ დაიღუპები, როგორმე გაუძლებ, სულში ჩაფურთხებას კი ვერაფერი გადაგავიწყებს, ვერაფერი წაშლის.

მაგრამ იმ დღეს ქუმბელიდან საროზეკის ველებით ბორანლი-ბურანში რომ მიდიოდნენ, ამისთანა ლაპარაკამდე ჯერ კიდევ კაი ძალი დრო იყო. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რით დამთავრდებოდა ბორანლი-ბურანში მათი ჩასვლა, დიდხანს დაჰყოფდნენ იქ თუ ცოტა ხანს; შეეგუებოდნენ თუ კიდევ სხვაგან სადმე გასწევდნენ. უბრალოდ, ცხოვრებაზე ბაასობდნენ მაშინ და ედიღეიმ ცნობისმოყვარედ ჰკითხა ყაზანგაპს, რა მიზეზით არ მოხვდა იგი ფრონტზე. ავად ხომ არ იყო?

— არა, ჯანს ვერ დავემდურები, — უპასუხა ყაზანგაპმა, — არც ავად ვყოფილვარ ოდესმე. სხვებზე ნაკლებ, მგონია, არც მე ვიომებდი, მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა...

როცა ყაზანგაპმა ველარ გაბედა თურმე ბეშალაჩში დაბრუნება, ისა და მისი ცოლი ქუმბელის სადგურზე დარჩნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ. მშიერ ტრამალში დაბრუნებულიყვნენ — ჯერ ერთი, შორი იყო, თან არც ღირდა მაშინ აქედან წასვლა. არალზედაც გადაიფიქრეს გამგზავრება. აქაურმა სადგურის უფროსმა, კეთილი კაცი იყო თურმე, შეამჩნია ისინი, შეიცოდა, გამოჰკითხა, საიდან ხართ, რას აპირებთო. მერე დასვა ყაზანგაპი და ბუქეი სატვირთო მატარებელზე და ბორანლი-ბურანის ასაქცევზე გაამგზავრა. იქ ხალხი სჭირდებათ, თქვენ კი შესაფერისი წყვილი ხართო, უთქვამს და ასაქცევის უფროსთან წერილიც გაატანა. არც შემცდარა ქუმბელის სადგურის უფროსი. თუმცა მშიერ ტრამალთან შედარებითაც ძალზე ძნელი გამოდგა ცხოვრება — იქ, მშიერ ტრამალზე უამრავი ხალხი ირეოდა, გახურებული მუშაობა იყო — თუმცა ძნელად შესაგუები აღმოჩნდა უწყლო საროზეკის ველები, მაინც ნელ-ნელა მიეჩვივნენ, შეეგუენ და დაიწყეს ცხოვრება. მართალია, გაჭირვებით, მაგრამ თავის ნებაზე და დამოუკიდებლად. ორივე, ყაზანგაპიცა და ბუქეიც, რკინიგზის მუშებად ირიცხებოდნენ გადასარბენზე, მაგრამ ასაქცევზე, რაც საჭირო იყო, ყველაფერი უნდა ეკეთებინათ. ასე დაიწყო სინამდვილეში ყაზანგაპის და მისი ყმაწვილი ცოლის ერთად ცხოვრება უკაცრიელ საროზეკში, ბორანლი-ბურა-

ნის ასაქცევზე. როცა ფული დააგროვეს, ორჯერ დააპირეს იმ წლებში სადმე სხვაგან გადაბარგება, რომელიმე სადგურისა თუ ქალაქის ახლოს, მაგრამ ვინემ ისინი ამ საქმეს თავს მოაბამდნენ, ომიც დაიწყო.

ომდა, ეშელონი ეშელონს მიჰყვა ბორანლი-ბურანის გავლით, დასავლეთისაკენ ჯარისკაცებით სავსე, აღმოსავლეთისკენ — ევაკუირებული ხალხით. დასავლეთისკენ პურით დატვირთული, აღმოსავლეთისკენ [illegible] ბორანლი-ბურანისთანა პატარა სადგურზედაც კი მაშინვე [illegible] ჭახდა. რაოდენ მკვეთრად შეიცვალა ცხოვრება...

ერთიმეორის მიყოლებით ბლაოდნენ და კიოდნენ ორთქლმავლები, გზა მოგვეცითო. მოპირდაპირე მხრიდანაც ასეთივე ბლავილი ისმოდა... განძელები ველარ უძლებდა ასეთ დატვირთვას და იღუნებოდა, დროზე ადრე ცვდებოდა რელსებიც გაჭედილ ვაგონთა სიმძიმისაგან. ერთ ადგილას რომ გამოცვლიდნენ ლიანდაგს, სასწრაფოდ მეორე ადგილასაც იყო საჭირო გამოცვლა თუ შეკეთება.

დასასრული აღარ უჩანდა მატარებლებს — ნეტა სად იყო ამდენი ლაშქარი, ურიცხვი და უთვალავი. ეშელონი ეშელონს მისდევდა ფრონტისაკენ დღისით თუ ღამით, კვირებით თუ თვეობით, მერე კი წლიდან წლობით. ყველა დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა — იქ, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებოდნენ ერთმანეთს ქვეყნები...

რამდენიმე ხნის შემდეგ ყაზანგაპის რიგმაც მოაწია, ომში გაიძახეს. ქუმბელიდან უწყება გადმოსცეს შესაკრებ პუნქტში გამოცხადდესო. ასაქცევის უფროსმა თავში იტაცა ხელები, დაიკვნესა — საუკეთესო რკინიგზელს ართმევდნენ, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ისედაც კაცნახევარი დაითვლებოდა. მაგრამ რა ჩარა იყო, მისას ვინ მოისმენდა, ბორანლი-ბურანი რეზინა ხომ არაა. ამდენ მატარებლებს გაუძლოსო, სემაფორებთან ორთქლმავლები ბლავიანო. საცილოდაც აიგდებდნენ, რომ ეთქვა. სასწრაფოდ კიდევ ერთი სათადარიგო ხაზიაო საჭირო, ვის ეცალა საამისოდ — მტერი მოსკოვთან იდგა...

უკვე კარზე იყო მომდგარი ომის წლების პირველი ზამთარი, ნაადრევი, ნისლიანი, ძვალ-რბილში გამტანი სუსხით, ადრიანი ბინდბუნდით. იმ ღამით კი თოვლიც მოვიდა. ჯერ ნელ-ნელა, მერე კი ბარდნით წამოუშინა. საროზექის დიადი მდუმარებით მოცულ ველებს, ხევხუვებს, ფლატეებს სპეტაკი თოვლის საბანი დაეფინა. მაშინვე ამოძრავდა საროზექის ქარებიც, ჯერ კიდევ დაუტკეპნავი თოვლის ფენა მჩატე-მჩატედ აათამაშა. ეს დასაწყისი, ეს პირველი ცდა იყო მხოლოდ, მერე აღმუვლდება, დაბზრიალდება, უშველებელ ბუქს დააყენებს. რაღას უზამს მაშინ რკინიგზას, წვრილი ძაფივით რომ გასდევდა დიდი ყვითელი ტრამალების შუაგულ მიწებს კიდით კიდემდე, ვით საფეთქლის ძარღვი? ფეთქავდა ძარღვი — მიგრიალებდნენ და მოგრიალებდნენ მატარებლები იქით თუ აქეთ...

იმ დილას წავიდა ყაზანგაპი ფრონტზე. წავიდა მარტო, არავის გაუცილებია. სახლიდან რომ გამოვიდნენ, ბუქი შედგა, თოვლისგან რეტი მესხმისო, თქვა. ყაზანგაპმა ჩამოართვა შეფუთნული ბალღი, მაშინ უკვე ჰყავდათ აიზადა. ერთად გაუყვნენ გზას, ვინ იცის, კვალს უკანასკნელად სტოვებდნენ ერთად თოვლზე. მაგრამ ცოლს არ გაუცილებია ყაზანგაპი, თვითონ ყაზანგაპმა მიაცილა იგი უკანასკნელად მეისრის ჯიხურამდე, ვინემ ქუმბელისკენ მიმავალ სატვირთოს დაჯდებოდა. ახლა ბუქი რჩებოდა მეისრედ ქმრის მაგივრად, აქ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. სათქმელი და სატირალი ღამით თქვეს და მოათავეს. ორ-

თქლმავალი გასამგზავრებლად ქშუოდა. მემანქანე აჩქარებდა. ყაზანგაპს ეძახდა. როგორც კი ყაზანგაპი ავიდა, ორთქლმავალმა დაჰკივლა, ნელ-ნელა უმატა სიჩქარეს და რიხრიახით გავიდა ისარზე, სადაც ბუქეი იდგა, შალშემოხვეული, ქამარშემოჭერილი, ქმრის ჩექმებში, ცალ ხელში ალმით და ცალში კი აიზადათი. უკანასკნელად დაუქნიეს ხელი ერთმანეთს... წამით გაიელვა ბუქეის სახემ, თვალებმა, ხელმა, სემაფორმა...

მატარებელი კი უკვე მიჰქროდა, გრიალით ახმიანებდა საროზეკის რძისფრად დათოვლილ სივრცეებს, უხმოდ რომ მოცურავდნენ შესახვედრად აქეთიქიდან და უხმოდვე უჩინარდებოდნენ თეთრი სიზმარივით. ქარი დაქშუოდა ორთქლმავალში. დამწვარი წიდის მოუსრველ სუნს ტრამალის პირველქმნილი თოვლის სურნელს ურევდა... ყაზანგაპი ცდილობდა საროზეკის სივრცეთა ეს ზამთრის სურნელი დიდხანს არ ამოესუნთქა. დიდხანს გაეჩერებინა ფილტვებში, იგრძნო, ეს მიწა მისთვის ამიერიდან უცხო არ იყო.

ქუმბელის სადგურზე მობილიზებულთ უკვე ამგზავრებდნენ. ყველას მწყობრში აყენებდნენ, სიით იძახებდნენ და ვაგონებში ანაწილებდნენ. მაშინ მოხდა უცნაური ამბავი. ყაზანგაპის კოლონის ჩასხდომის ჯერმა რომ მოაღწია, სამხედრო კომისარიატის ერთი მუშაკი გზაში წამოეწია ყაზანგაპს.

— ყაზანგაპ ასანბაევი! რომელია აქ ასანბაევი? მწყობრიდან გამოდი! უკან მომყევი!

— მე ვარ ასანბაევი!

— საბუთები მაჩვენე!... სწორია. აბა მომყევი.

სადგურზე, შეკრების პუნქტში რომ მივიდნენ, იმ კაცმა უთხრა:

— აი, რას გეტყვი, ასანბაევო, მოდი და შინ დაბრუნდი. სახლში გაემგზავრე, გაიგე?

—გავიგე. — მიუგო ყაზანგაპმა, თუმცა ვერაფერიც ვერ გაიგო.

— თუ გაიგე, მაშ მოუსვი აქედან, დროს ნუ აცდენ, თავისუფალი ხარ.

ყაზანგაპი დაბნეული იდგა აზუზუნებულ გამცილებელთა თუ წამსვლელთა ბრბოში. პირველად გაეხარდა, საქმე რომ ასე შეტრიალდა, მერე კი თავში დაეცა ეჭვი. როცა ამის მიზეზს მიხვდა, აი, თურმე რა ყოფილა! და მყისვე შეაკრები პუნქტის უფროსის კართან მოზღვავებულ ხალხში გზის გაკაფვას შეეცადა.

— შენ სად მიძვრები? — დაუტიეს იმათ, ვისაც უფროსთან შესვლა უნდოდა.

— სასწრაფო საქმე მაქვს! ეშელონი გადის, მეჩქარება! — და კიდეც შეეიდა.

გაბოლილ ოთახში მაგიდას შეჭაღარავებული კაცი უჯდა. მაგიდაზე ტელეფონები იდგა, ქაღალდების ხროვა ეყარა. ირგვლივ ხალხი შემოხვეოდა. კაცმა თავი ასწია, ყაზანგაპი რომ ზედ წაადგა.

— შენ რა გინდა, რა საკითხზე ხარ?

— იმაზე, რომ არ ვეთანხმები!

— რაზე არ ეთანხმები?

მამაჩემი გაამართლეს, არასწორად იყო გასახლებული. კულაკი არ ყოფილა! კარგად გასინჯეთ, რაც მანდ გიწერიათ! საშუალო გლეხი იყო და გადაასახლეს.

— დაიცა, დაიცა! შენ რას ითხოვ?

— თუ ამ მიზეზით არ მიგყავართ, სწორად არ იქცევით.

— რაა მიედ-მოედები. კულაკიო, საშუალოო — ვის სცალია ახლა საამიაოდ! ციდან ხომ არ ჩამოვარდი? ვინა ხარ?

— ასანბაევი ვარ ბორანლი-ბურანის ასაქცევიდან.

უფროსმა სიას ჩახედა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგრე გეთქვა, რა ტვინს მიბნევ. საშუალოო, ღატაკიო, კულაკიო! შენზე ჯავშანია მოსული! შეცდომით გამოგიძახეს. პირადად ამხანაგ სტალინის ბრძანებაა — რკინიგზელები არ წაიყვანოთ, თავის ადგილზე დატოვეთ ყველაო. გირჩევნია ხელს ნუ მიშლი, შენს ასაქცევზე გასწი ჩქარა და საქმეს მიხედე...

მიუახლოვდნენ ბორანლი-ბურანს და მზეც ჩაესვენა. ახლა ისევ რკინიგზისკენ მიდიოდნენ. უკვე ისმოდა ხან აღმა, ხან დაღმა მიმავალ მატარებელთა საყვირის ხმა და ვაგონების გარჩევაც შეიძლებოდა. შორიდან, საროზექის ვეება ველებზე, ისინი სათამაშო მატარებლებს ჰგავდნენ. მზე ნელ-ნელა იფერფლებოდა სადღაც უკან, თან ანათებდა და თან ჩრდილს ჰფენდა გაშლილ ხეკებსა და გორაკებს. ბინდი უჩინრად ჩამოდიოდა მიწაზე, თანდათან ალურჯებდა და ავსებდა ჰაერს გაზაფხულისთვის მომზადებულ, ნელინელ გაგრილებული მიწის სურნელით, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა ზამთრის სინოტივე.

— აგერ ჩვენი ბორანლიც! — თითით აჩვენა ყაზანგაპმა აქლემზე შესკუპულ ედიღეის გვერდით ჩქარ-ჩქარა მიმავალ უქუბალას. — ახლა ცოტაღა დაგვრჩა, მალე მივალთ ღვთის წყალობით. დაისვენებთ კიდევაც.

იქ, სადაც რკინიგზა ოდნავ შესამჩნევად ირკალებოდა, ცარიელ ვაკეზე რამდენიმე პატარა სახლი იდგა, სათადარიგო ლიანდაგზე მატარებელი ელოდა აემაფორის გახსნას. გაღმა თუ გამოღმა ტრიალი მინდორი, დამრეცი ფერდობი ჩანდა — მდუმარე, განუზომელი სივრცე, ტრამალი და მხოლოდ ტრამალი...

გული ჩასწყდა ედიღეის — არალელ ტრამალელისთვის უცხო არ იყო უდაბნოები, მაგრამ ასეთ რასმე არ მოელოდა. მუდამ ცვალებადი ლურჯი ხღვის პირას გაზრდილს ამ მკვდარ, უწყლო მხარეში როგორ ეცხოვრა?!

გვერდით მიმავალმა უქუბალამ ფეხზე დაადო ხელი ედიღეის და რამდენიმე ნაბიჯი ასე გაიარა. მიხვდა ედიღეი ცოლის ხვაშიადს. „გულს ნუ გაიტეხ. — ეუბნებოდა იგი, — თავიდათავია, შენ იყო კარგად, ჯანზე მოხვიდე. მერე კი ვნახოთ, ეს ცხოვრება რასაც მოგვიტანს...“

ასე მიუახლოვდნენ ისინი იმ ადგილს, სადაც თურმე მრავალი, მრავალი წელი — მთელი დარჩენილი წუთისოფელი უნდა ეცხოვრათ.

მალე მზე სულ ჩაიფერფლა. საროზექის ჩაბნელებული ცა უკვე უთვალავ კაშკაშა ვარსკვლავს მოეჭედა, როცა ისინი ბორანლი-ბურანს მიადგნენ.

რამდენიმე დღე ყაზანგაპთან დაჰყვეს, მერე კი ცალკე გადავიდნენ, რკინიგზელთა მაშინდელ ბარაკში ერთი ოთახი გამოუყვეს. ასე და ამგვარად დაიწყეს ცხოვრება ახალ ადგილზე.

თუმცა ყოველნაირად ჭირდა ცხოვრება, თუმცა ძნელი გამოდგა, მეტადრე პირველ ხანებში, ამ უკაცრიელი საროზექის შეჩვევა, ედიღეის საოცრად არგო ერთმა რამ — ჰაერმა და აქლემის რძემ. ჰაერი მართლა რომ პირველქმნილი სიწმინდისა იყო, მეორე ასეთ ხელუხლებელ სამყაროს, ძნელად თუ სადმე აღმოაჩენდი. რძე კი ყაზანგაპმა გაუხერხა. თავისი ორი ჯამა აქლემიდან ერთი დაუთმო.

— მე და ჩემმა ცოლმა ასე დავთქვით, — უთხრა, — რძე ჩვენ სამყოფი გვაქვს, ამიტომ თეთრთავა თქვენ წაიყვანეთ, ახალგაზრდა ჯამა აქლემია, კარგად იწველება, მეორედ იყო მაკედ. თქვენვე მოუარეთ და თქვენვე მოიხმარეთ. ეგ თქვენია, მე და ჩემმა ცოლმა ასე გადავწყვიტეთ. აბა, შენ იცი, როგორ მოამრავლებ, ედიღეი. კარგად მოუვლი — კარგადაც გაგიმრავლდება, წასვლას დააპირებ — გაყიდი, ფარა გექნება.

თეთრთავას კვირა-ნახევრის უკან შესძენოდა შავთავა ერთი ციცქნა კოზაკი, პაწაწინა კუზებით. დიდრონი, წამოზიდული, ნამიანი თვალები ბავშვური ალერსითა და ცნობისმოყვარეობით ავსებოდა — გულს აგიჩვილებდა პირდაპირ. სასაცილოდ დაკუნტრუშობდა და ცელქობდა ხოლმე დედის გვერდით, როცა მარტო დარჩებოდა საჩეხეში — საბრალისი ხმით ადამიანივით ეძახდა დედას. განა ვინ იფიქრებდა, ეს თუ მომავალი ბურანელი ყარანარი იქნებოდა, მთელ ოლქში სახელგანთქმული დაუღალავი და ძლიერი ყარანარი, ბურანელი ედიღეის ცხოვრებაში ბევრი შემთხვევისა და ამბის მონაწილე. მაშინ კი კოზაკს გამუდმებული ზრუნვა და თვალისჭერა სჭირდებოდა. ძალიან შეიყვარა იგი ედიღეიმ. მოცალეობის დროს სულ თავს დასტრიალებდა. არალზე უკვე ჰიჩვეოდა ამ საქმეს და ახლა ძალიან გამოადგა. ზამთრისთვის საგრძნობლად წამოიზარდა პატარა ყარანარი. როგორც კი აცივდა, თბილი ყაჯარი შეუკერეს, მუცელზე რომ ეკვრებოდა. ამ ყაჯარში კიდევ უფრო სასაცილოდ გამოიყურებოდა — მარტო თავი, კისერი, ფეხები და ორი პაწია კუზი უჩანდა. მთელი ზამთარი და გაზაფხულის დამდეგი ამ სამოსელში გაატარა — დღისით და ღამით ღია ცის ქვეშ იყო ტრამალზე.

იმ წლის ზამთარში კიდეც იგრძნო ედიღეიმ, თანდათან როგორ მოეცა ძალა. შეუმჩნევლად გაუარა თავბრუსხვევამ. გაუქრა ყურებში შხუილი და ოფლიც აღარ ასხამდა მუშაობისას. შუა ზამთარში კი, დიდთოვლობას უკვე სხვებთან ერთად შეეძლო საავრალო სამუშაოზე გასვლა. მერე კი იმდენად ძომაგრდა — ახალგაზრდა იყო და ბუნებითაც თვითრჯული — კიდეც დაავიწყდა, რარიგ დაგლახებული იყო, ძლივას მიათრევდა ფეხებს. აუხდა წითურწვერა ექიმის სიტყვები.

კარგ გუნებაზე ყოფნის ხანს ედიღეი ხშირად ეხუმრებოდა ხოლმე კოზაკს, ეფერებოდა და ყელზე ხელს ხვევდა.

— მე და შენ ძუძუმტეები შეიძლება დაგვარქვას კაცმა. აი, შენ როგორ წამოგჩიტა თეთრთავას რძემ, მე კი კონტუზიისგან განმკურნა, ღმერთმა ქნას, სამიდღემჩიოდ. განსხვავება ისაა, შენ ჯიქანს წოვდი მისას, მე კი ვწველიდი და შუბათს ვაყენებდი...

გავიდა ხანი, ბურანელი ყარანარის სახელი მთელ საროზექში გავარდა. ვიღაცები საგანგებოდაც კი ჩამოვიდნენ მისი სურათის გადასაღებად. ომი თითქმის დავიწყებას მიეცა. შვილები სწავლობდნენ. ბორანლი-ბურანზე საკუთარი წყალსაქაჩი დადგეს, ისე რომ წყლის საკითხი აღარასოდეს შეაწუხებდათ. ედიღეიმ სახლი გაამართა, თუნუქის სახურავი დაადგა — ერთი სიტყვით, ამდენ ჭაპანწყვეტისა და ვაივაგლახის შემდეგ ცხოვრება ძლივძლივობით ჩადგა ადამიანისთვის ღირსეულ, ჩვეულებრივ კალაპოტში. აი, სწორედ ამ ხანებში მოხდა ის ლაპარაკი, ედიღეის რომ კარგა ხანს ჩარჩა გულში.

რა თქმა უნდა, ფოტოკორთა ჩამოსვლა, როგორც თავად გააცნეს თავი, იშვიათი, თითქმის ერთადერთი შემთხვევა იყო ბორანლი-ბურანის მთელ

ისტორიაში. მკვირცხლმა, ენაგაკრეფილმა ფოტოკორებმა — სამნი იყვნენ — დაპირებების ბუჭი დააყენეს — იმიტომაც ჩამოვედით, ყველა გაზეთსა და ჟურნალში ბურანელი ყარანარი და მისი პატრონი გამოვჭიმოთო. ეს ალიაქოთი და აურზაური სულაც არ ეჭაშნიკა ყარანარს — გულმოსული ბღაოდა, კბილებს აკრაჭუნებდა და თავს ცისკენ იღერებდა, ჭიმეშვით, გული ნუ გამიწყალეთო. ისე რომ ჩამოსულები წარამარა ეხვეწებოდნენ ედიღეის, აქლემი დააწყნარე, უთხარი, ასე მიბრუნდეს, უთხარი, ისე დადგესო. ედიღეიც იმავ წამს ბალღებს, ქალებს და ყაზანგაპს უხმობდა, რა არის ყველასთვის გადაეღოთ სურათი, მარტო მასა და ყარანარისთვის კი არა. ფოტოკორებიც უარს არ ამბობდნენ, წარამარა ნაირ-ნაირ აპარატებს ატკაცუნებდნენ. ყველაზე დიდებული ის სურათი გამოვიდა, სადაც ბურანელ ყარანარს მთელი წვრილფეხობა ასხდა, ორი კისერზე, ოთხი კიდევ ზურგზე, შუაში კი ედიღეი იდგა — აბა უყურეთ, რა ღონიერი აქლემიაო! ჰო-ჰო, რა სიხარულის ჭყივილი ატყდა, მაგრამ მერე ფოტოკორესპონდენტები გამოტყდნენ, ყველაფერს გვირჩევნია ნარაქლემი მარტო გადავიღოთო. მერედა გადაიღონ, ვინ უშლით ხელს!

ჰოდა, გადაიღეს ფოტოგრაფებმა ბურანელი ყარანარი თუ წინიდან, თუ გვერდიდან, თუ ახლოდან, თუ შორიდან, როგორც შეძლეს და მოახერხეს, მერე ედიღეისა და ყაზანგაპის დახმარებით კიდეც გაზომეს, რა სიმაღლისა იყო ჯიდაომდე, რა სიგანისა ჰქონდა მკერდი, რა სიგრძის ტანი, ყველაფერი ჩაიწერეს და თან აღტაცებით იძახდნენ:

— რა დიდებული ბაქტერიანია! აი, რას ნიშნავს დიდებული გენები! კლასიკური ბაქტერიანის ტიპია, რა მძლავრი მკერდი აქვს, ჩინებული ექსტერიერია!

ეამა, ძალზე ეამა ედიღეის ასეთი ხოტბა, მაგრამ მაინც ჰკითხა, რას ნიშნავდა ეს გაუგებარი სიტყვები, მაგალითად, „ბაქტერიანი“ რა იყო. თურმე ასე ეძახდნენ მეცნიერები ორკუზა აქლემების ძველთაძველ ჯიშს.

— მაშ, ბაქტერიანი ყოფილა?

— იშვიათი წმინდა სისხლისა.

— გაზომვა რაღა საჭირო იყო?

— მეცნიერული მონაცემებისთვის.

ჟურნალ-გაზეთების თაობაზე ჩამოსულებმა, რა თქმა უნდა, ბურანლელების წინაშე ბუჭი დააყენეს, რა არის ფასი დაედოთ თავიანთი საქმიანობისთვის, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ კი ბანდეროლით სახელმძღვანელო გამოაგზავნეს. ეს იყო ზოოტექნიკურ ფაკულტეტის აქლემმცოდნეობისთვის განკუთვნილი წიგნი, რომლის ყდას კლასიკური ბაქტერიანის, ბურანელი ყარანარის სურათი ამშვენებდა. უამრავი სურათიც გამოაგზავნეს, ფერადიცა და არაფერადიც. ამ სურათების მიხედვითაც დარწმუნდებოდა კაცი, რა ბედნიერი, დალხენილი დრო იყო მაშინ. ომის შემდგომი წლების ვაივაგლახი და გაჭირვება უკან დარჩა, ბალღები ჯერ პატარები იყვნენ, დიდები საღ-სალამათნი და სიბერემდეც კაი ხანი უკლდათ.

იმ დღეს სტუმრების საპატიოდ ცხვარი დაკლა ედიღეიმ და მთელ ბურანლელებს დიდებული ნადიმი გაუმართა. შუბათი, არაყი თუ სასმელ-საჭმელი თავზე საყრელი იყო. მაშინ ბორანლი-ბურანის ასაკევზე მუშათა მომარაგების მოძრავი ვაგონი-მაღაზია ჩამოდიოდა. სულო და გულო, რა არ ჩამოჰქონ-

დათ, ათასნაირი კიბორჩხალები, წითელი თუ შავი ხიზილალა, ნაირ-ნაირი თევზეული, კონიაკი, ძეხვები, კანფეტები და სხვა, ოღონდაც კი ფული გქონოდა. თურმე როცა ყველაფერია, ყიდვას მაინცდამაინც არ ხარბდები, ზედმეტი აბა რა საჭიროა? ახლა კი ეს მოძრავი მალაზია დიდი ხანია გაქრა, დიდი ხანია თვალით ალარავის უნახავს...

მშვენიერი დრო გაატარეს ბორანლელებმა, ბურანელი ყარანარის სადღეგრძელოც კი შესვეს. სჯა-ბაასში გამოირკვა, რომ ყარანარის ამბავი სტუმრებს ელიზაროვისაგან შეუტყვიათ. ელიზაროვს უამბნია მათთვის, რომ საროზექში მისი მეგობარი ბურანელი ედიღეი ცხოვრობს და ამ ედიღეის ყველაზე ლამაზი აქლემი ჰყავს ამქვეყნად — ბურანელი ყარანარი! ელიზაროვი! დიდებული კაცია ელიზაროვი, საროზექის დიდი მცოდნე, მეცნიერი... როცა ელიზაროვი ბორანლი-ბურანში ჩამოდიოდა, შეგროვდებოდნენ ის, ედიღეი და ყაზანგაპი და მთელი ღამეები სჯა-ბაასში და მუსაიფში იყვნენ...

იმ ნადიმზე უამბეს ყაზანგაპმა და ედიღეიმ სტუმრებს საროზექული თქმულება აქაური ჯიშის აქლემთა წინაპარ, განთქმულ თეთრთავა ჯამა აქლემ აქმაიასა და არანაკლებად განთქმულ მის პატრონ ქალ ნაიმან-ანაზე, რომელიც ანა-ბეიითის სამარხში ასვენია. აი, საიდან მოდიოდა ბურანელი ყარანარის გვარი. ბორანლელებს იმედი ჰქონდათ, ამ ძველებურ ისტორიას გაზეთშიც გამოაქვეყნებენო. სტუმრებმა დიდი ხალისით მოისმინეს, მაგრამ ეს ალბათ ადგილობრივ ლეგენდად ჩათვალეს, თაობიდან თაობაში გადმოსულად, თუმცა ელიზაროვი კი სხვა აზრისა იყო. იგი ამბობდა, აქმაიას ლეგენდა დიახაც შეიძლება ისტორიული სინამდვილის გამომხატველი იყოსო. ელიზაროვს უყვარდა ასეთი ამბების მოსმენა, თვითონაც ცოტა თქმულება როდი იცოდა ტრამალის წარსულიდან...

საღამო ხანს გააცილეს სტუმრები. კმაყოფილი იყო ედიღეი, სიამაყით ავსებოდა გული. ცოტა შეჭიკჭიქდა კიდეც, სტუმრებთან ერთად მანაც დალია. იმიტომაც წამოაყრანტალა დაუფიქრებლად, მაგრამ ნათქვამს რას უშველი, უკან ვერ დააბრუნებ.

აბა, გამოტყდი, ყაზაქე, გული არ გწყდება, ყარანარი რომ ძუძუთა ჰაჩუქე?

ყაზანგაპმა დაცინვით შეხედა. ეტყობა, არ მოელოდა ედიღეისაგან ამ აიტყვებს, ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— ყველანი კაცნი ვართ, თქმა არ უნდა. მაგრამ იცი, ჯერ როდის უთქვამს ჩვენს მამა-პაპას: მალ იესი ქუდაიდან.[1] ღმერთმა ინება ასე, სწორედ შენი ყოფილიყო ყარანარი და სწორედ შენ ყოფილიყავი მისი პატრონი. სხვის ხელში, კაცმა არ იცის, რა დაემართებოდა. იქნებ არც ეცოცხლა, ფეხები გაეფშიკა და ან კიდევ, ვთქვათ, ხრამში ჩავარდნილიყო. ის შენი უნდა ყოფილიყო. მე ხომ ადრეც მყავდა ექლემები და კარგი აქლემებიც, იმავე თეთრთავა ჯამასგან, ვისგანაც არის ყარანარი. შენთვის კი ეგ ერთადერთი იყო, ნაჩუქარი... ღმერთმაც ქნას, ასი წელი გემსახუროს: ისე კი ტყუილად ბგონია რომ...

მაპატიე, მაპატიე, ყაზაქე, — შერცხვა ედიღეს და ინანა, ეს რა წამოვროშეო.

მაშინ გაუზიარა ყაზანგაპმა თავისი დაკვირვება. თქმულების მიხედვით

[1] საქონლის პატრონი ღვთისგან მოდისო.

უბრალო ჯამა აქლემ აქმაიას შვიდი კოზაკი გასჩენია — ოთხი ჯამა და სამი ნარაქლემი. მას აქეთ ყველა ჯამა აქლემი ღია ფერისაა და თეთრთავა, ყველა ნარაქლემი, პირიქით, შავთავა და წაბლისფერი. ყარანარიც იმიტომ დაიბადა ასეთი — თეთრთავა დედისგან შავი აქლემი. ეს პირველი ნიშანია აქმაიას ჩამომავლობისა. მას აქეთ, ვინ იცის, რამდენმა წელმა ჩაიარა, ოთხასმა, სამასმა, ხუთასმა თუ უფრო მეტმა, ეს კია, საროზეკში აქმაიას ჯიშს გადაშენება არ უწერია, დროდადრო გამოერევა ხოლმე ბურანელი ყარანარივით სირთან აქლემი. ედიღეის უბრალოდ ბედი ეწია; მის იღბლად გაჩნდა ყარანარი და მის ხელში მოხვდა...

ხოლო როცა დრო დადგა, ყარანარი ან დაეკოდათ ან დაებორკათ, ვინაიდან სულ გაგიჟდა, აიწყვიტა, გადაირია, კაციშვილს ახლოს არ იკარებდა, რამდენიმე დღეობით სადღაც იკარგებოდა, — ყაზანგაპმა პირდაპირ უთხრა მასთან რჩევისთვის მისულ ედიღეის:

— ეგ შენი საქმეა, შენ უნდა გადაწყვიტო. სიმშვიდე გინდა — დაკოდე, დიდება გინდა, ხელი არ ახლო. მაგრამ თუ რამე დააშავა, პასუხიც შენ უნდა აგო. მოითმენ, გაუძლებ — სამიოდე წელში გადაიგიჟებს და მერე ფინიასავით აგედევნება უკან.

აღარ დაკოდა ბურანელი ყარანარი ედიღეიმ, ვერ გაბედა, ხელი არ მოუბრუნდა. ნარაქლემად დატოვა. თუმცა ბევრჯერ კი სიმწრის ცრემლები აღვრევინა მისმა აქლემმა.

V

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ.

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო. ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმართვებით ისაზღვრებოდა.

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ.

დილაადრიან უკვე ყველაფერი მზად იყო. ყაზანგაპის ცხენდარი, ქეჩაში მაგრად გახვეული და გარედან შალის ზონრით შეკრული — მიცვალებულს სახე უჩანდა მხოლოდ — ტრაქტორის მისაბმელ ურიკაზე დაასვენეს, რომლის ძირზე წინასწარ მოაბნიეს ნახერხი, ბურბუშელა და მერე სუფთა თივა გაშალე[1]. დროზე უნდა დაძრულიყვნენ, რომ არა უგვიანეს საღამოს ხუთი საათისა მობრუნებულიყვნენ სასაფლაოდან, ვინაიდან ოცდაათი კილომეტრი იყო იქით და აქეთ გასავლელი, თან დამარხვასაც დრო სჭიროდა. იმიტომაც ადრიანად უნდა გასულიყვნენ, რომ ექვსი საათისათვის მაინც მოსხდომოდნენ საქელეხო სუფრას. საამისოდ კი ყველაფერი მზად იყო.

წუხელისვე შეკაზმული და მორთული ყარანარი ედიღეის სადავით ეკავა და ხალხს აჩქარებდა. აღარ დაადგებათ ხოლმე საშველი, ვეღარ გამოეტევიან. ედიღეისაც არ ეძინა მთელი ღამე, მაგრამ არკი ემჩნეოდა, ისე იყო ძალა და ყურადღებამოკრეფილი, ეს კია, სახე ჩატეტკოდა. სუფთად გაპარსული,

[1] ზეარსება. მაგალითად, ზეძაღლი, ზემგელი.

სისვულვაში და სისვწარბა ედიღეი საგარეოდ მორთულიყო — ეცვა ტყავის ჩექმები, ხავერდის განიერი გალიფე, თეთრი პერანგი, შავი პიჯაკი, ეხურა რკინიგზელის საგარეო ქუდი. მკერდზე ყველა ორდენი, მედალი და, ასე გასინჯეთ, დამკვრელის ნიშნებიც კი უბრწყინავდა. ფრიად მედიდური შესახედაობა ჰქონდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო ბურანელი ედიღეი ყაზანგაპის დასაფლავების დღეს.

ყაზანგაპის გასაცილებლად ყველა ბორანლელი შეყრილიყო, დიდი თუ პატარა ურიკასთან იდგა წამსვლელთა დაძვრის მოლოდინში. ქალები ტიროდნენ.

— ჩვენ ახლა ანა-ბეიითზე მივემართებით, — დაიწყო ედიღეიმ, — ყველაზე საპატიო ძველისძველ სასაფლაოზე. განსვენებულმა ყაზანგაპ-ათამ დაიმსახურა, იქ რომ დავასაფლავოთ. თვითონვე დატოვა ანდერძი, იქ დამმარხეთო. — ედიღეი ჩაფიქრდა, კიდევ რა ვთქვაო, და მერე განაგრძო, — მაშასადამე, გამოილია ის წყალი და მარილი, ღმერთმა რომ მას განუკუთვნა. ამ კაცმა ჩვენს ასაკცევზე ორმოცდაოთხი წელი იმუშავა. შეიძლება ითქვას, მთელი სიცოცხლე. ის რომ აქ ჩამოვიდა, მაშინ არც წყალსაქაჩავი იყო — ცისტერნებით მოჰქონდათ მთელი კვირის სამყოფი წყალი — არც თოვლის გამწმენდი თუ სხვა მანქანები, ახლა რომ არის, არც ტრაქტორი, რომლითაც ახლა მივასვენებთ. მაგრამ მატარებლები მაინც დადიოდნენ და გზა მათთვის მუდამ ხსნილი იყო. მან პატიოსნად გალია თავისი წუთისოფელი ბორანლიბურანზე. ის კარგი კაცი იყო, ეს ყველამ იცით. ახლა კი უნდა დავიძრათ. ყველა ვერ წამოხვალთ და არცაა საჭირო, რკინიგზას უპატრონოდ ვერ მივატოვებთ. ჩვენ იქ საკმარისად მივემგზავრებით და ყველაფერს ჩვენი ადათისამებრ გავაკეთებთ. თქვენ აქ დაგვიცდით, დაბრუნებისას ყველანი ქელეხზე შევიკრიბებით, გეპატიჟებით მისი ვაჟისა და ქალის სახელით, რომლებიც აგერ აქ დგანან.

მისდა უნებურად ედიღეის პატარა სამგლოვიარო მიტინგი გამოუვიდა. ამის შემდეგ გაუყვნენ კიდევაც გზას. ბორანელებმა ცოტაზე გააცილეს და სახლების უკან დარჩნენ. რამდენიმე ხანს კიდევ ისმოდა ხმამაღალი ტირილი — აიზადა და უქუბალა მოთქვამდნენ...

ხოლო როცა მიწყდა მოთქმის ხმა, თანდათან დასცილდნენ რკინიგზას და ექვსი კაცი ტაატით გაუყვა საროზექის ტრამალებს, ბურანელმა ედიღეიმ შვებით ამოისუნთქა. ახლა ისინი თავის ანაბარა იყვნენ, ახლა მან იცოდა, რა უნდა ექნა.

მზე უკვე თავზე წამოსდგომოდა დედამიწას და უხვად აფრქვევდა საროზექს თავის სხივებს. ჯერჯერობით ისევ გრილოდა, არა უშლიდა რა ხელს მათ მოძრაობას. მთელ დუნიაზე მხოლოდ ორი ძერა ნავარდობდა ჩვეულებისამებრ ცაში, მიუწვდომელ სიმაღლეზე. დროდადრო კიდევ ტოროლები აფრინდებოდნენ დარცხვენილი ჟღურტულითა და ფრთების ფართქალით. „მალე ესენიც გაფრინდებიან. მოთოვს თუ არა, გუნდ-გუნდად გაფრინდებიან“, — გაიფიქრა ედიღეიმ და წამით თვალწინ დაუდგა ფანტელ-ფანტელა თოვლი და ამ თოვლში გაფრენილი ჩიტუნები. რატომღაც ის მელია გაახსენდა, რკინიგზასთან რომ მოძუნძულდა. მალვით შიმოიხედა კიდევაც ირგვლივ — უკან ხომ არ მოგვდევსო. მოაგონდა ის ცეცხლოვანი რაკეტაც, იმ ღამეს საროზექიდან კოსმოსში რომ აიჭრა. გაუკვირდა, რა უცნაური ფიქრები მომდისო,

თავს ძალა დაატანა, აღარ ეფიქრა ამაზე. ასეთი ფიქრების დრო არ ყოფილა ახლა, თუმცა გზა კარგა დიდი ელოდათ...

ყარანარზე ამხედრებული ედიღეი წინ მიდიოდა, ანა-ბეიითის გზას უჩვენებდა დანარჩენთ. განიერი ნაბიჯით მიალაჯებდა ყარანარი, ნელ-ნელ შედიოდა სიარულის ეშხში. მცოდნე კაცი თუ შეაფასებდა, რა ლამაზი იყო ყარანარი სიარულისას. ამაყად მოღერილ კისერზე თავს არ ატოკებდა, თითქოსდა ტალღებზე მიცურავსო, გრძელი, ძარღვიანი ფეხებით შეუჩერებლივ ეცავდა გზას. ედიღეი მარჯვედ, მტკიცედ მოკალათებულიყო კუზებს შუა. უხაროდა, ყარანარს რომ დაცაცხანება არ სჭიროდა, მჩატედ მიაბიჯებდა და პატრონის ყველა სურვილს უთქმელად ხვდებოდა. წკრიალ-წკრიალი გაჰქონდა ედიღეის მკერდზე მზეზე აბრჭყვიალებულ მედლებ-ორდენებს, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს.

მის უკან ტრაქტორი „ბელარუსი" მოგორავდა მისაბმელით. კაბინაში ახალგაზრდა. ტრაქტორისტ კალიბეგს საბითჟანი უჯდა. წუხელ მან საკმაოდ ბევრი დალია, ბორანლელებს ათასნაირი ზღაპარი მოუყვა, ადამიანებს რადიო უგამგებლებსო, კიდევ სხვა ბევრი რამეც დაროშა. ახლა კი მომჩვარულივით იყო, ხმას არ იღებდა. თავი აქეთ-იქით ისე ულაყლაყებდა, ედიღეის ეშინოდა. სათვალე არ გაუტყდესო.

მისაბმელ ურიკაზე, ყაზანგაპის ცხედართან, აიზადას ქმარი იჯდა მოწყენილი, თვალებს ჭუტავდა მზეზე, დრო-დრო თუ გაიხედავდა აქეთ-იქით. ამ უბადრუკმა ლოთმა ამჯერად ვაჟკაცობა გამოიჩინა, წვეთი არ დალია, ყველას ყველაფერში ეხმარებოდა. ცხედარი რომ გამოასვენეს, იმდენი ქნა, თვითონაც შეუდგა სხვებს მხარში. ედიღეიმ რომ შესთავაზა, აქლემზე უკან მომიჯექიო, უარი თქვა, სიმამრის გვერდით ვიქნები, ბოლომდი ასე გავყვები, რაიც ედიღეიმაც მოუწონა და სხვებმაც. როცა ბორანლიდან დაიძრნენ, ყველაზე ხმამაღლა სწორედ ის ქვითინებდა და მისაბმელ ურიკაზე დასვენებულ, ქეჩაში გახვეულ ცხედარს ხელს არ უშვებდა. „ვინ იცის, ჭკუაზე მოეგოს და სმას თავი ანებოს! გაბედნიერდებოდნენ აიზადაც და შვილებიც", — მიეცა იმედი ედიღეის.

ამ პატარა, უცნაურ პროცესიას, წინ რომ ფუნჯიანი ყაჯრით მორთულ აქლემზე ამხედრებული კაცი მიუძღოდა უკაცრიელ ტრამალში, სულ ბოლოს ხორბლიანი ექსკავატორი „ბელარუსი" მიჰყვებოდა, რომლის კაბინაში ედილბაი და ჟუმაგალი ისხდნენ, ზანგივით შავი, ჯმუხა ჟუმაგალი საჭეს უჯდა. ჩვეულებრივ მას დაჰყავდა ხოლმე ეს მანქანა რკინიგზის სხვადასხვა სამუშაოზე. ბორანლი-ბურანზე არც ისე დიდი ხანია ჩამოსულიყო, ასე რომ ვერ იტყოდი, აქაურობას შერჩება თუ არაო. გვერდით აყლაყუდა ედილბაი ეჯდა, ჟუმაგალიზე მთელი თავით მაღალი. მთელი გზა რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

კაცმა უნდა დაუფასო სიკეთე ბორანლი-ბურანის ასაქცევის უფროს ოსპანს. მან გამოყო დასაფლავებაზე ყველა მანქანა. რაც კი გააჩნდა. ჭკვიანურად განსაჯა ახალგაზრდა უფროსმა — ამოდენა გზა უნდა გაევლოთ, მერე ხელით გაეთხარათ საფლავი, ხომ ღრმა ორმო უნდა ამოეღოთ გვერდითა წალოთი, მუსულმანური ადათის მიხედვით. რა თქმა უნდა, მანქანების გარეშე დაღამებამდე დაბრუნებას ვერ მოასწრებდნენ.

თავდაპირველად ძალზე ეუცხოვა ეს წინადადება ედიღეის. თავშიც ვერ

გაივლებდა, საფლავი რომ ხელით კი არა, ექსკავატორით ამოეთხარათ. დაეჭვებული, მოღუშული უსმენდა ოსპანს. მაგრამ ოსპანმა იმდენი ქნა, დაარწმუნა მოხუცი:

— გონივრულს გირჩევთ, ედიქე. გული რომ საგულეს[illegible], ჯერ ხელით დაიწყეთ თხრა, ასე ვთქვათ, მიწა პირველად ნიჩბებით ამოიღეთ. მერე კი ექსკავატორით ხელდახელ მორჩებით. საროზეკში ქვასავით ნიადაგია, თავადაც იცით. ექსკავატორით იმდენზე ჩაღრმავდებით, რამდენიც საჭირო იქნება, ბოლოს კი ხელით განაგრძობთ, ასე ვთქვათ, ხელით მოალამაზებთ. დროსაც დაზოგავთ და ადათ-წესსაც არ დაარღვევთ...

რაც უფრო წინ და წინ მიიწევდა საროზეკში, უფრო და უფრო გონივრულად თვლიდა ოსპანის ნარჩევს ედიღეი. უკვირდა კიდეც, თავად როგორ არ მომაფიქრდაო. დიახ, ასეც მოიქცევიან, თუკი ღმერთმა ქნა, და ანა-ბეიითს მიაღწიეს. ასეც მართებთ — მოძებნონ სასაფლაოზე მოხერხებული ადგილი, რა არის მიცვალებული თავით მარადიული ქააბისკენ იწვეს; პირველად ბარითა და ნიჩბებით დაიწყებენ თხრას, თან რომ წამოიღეს, ცოტაზე რომ ჩაღრმავდებიან, მერე ექსკავატორს ამოათხრევინებენ ბოლომდე, გვერდითა წალოს კი, ყაზანაქს, — ხელით დაამთავრებენ. ასე უფრო ჩქარაც იქნება და საიმედოც.

ამ მიზნით მიუყვებოდნენ ყველანი საროზეკს, ხან გორაკის თავზე გაიბაწრებოდნენ, ხან განიერ ხევებში იმალებოდნენ, ხან ისევ მკაფიოდ ჩანდნენ სწორეზე — ბურანელი ედიღეი მიუძღოდა თავის აქლემზე, უკან ბორბლიანი ტრაქტორი მიფოფხავდა ხოჭოსავით, მისაბმელი ურიკით, უკან კი დაკუთხული, მხარგრძელი ექსკავატორი „ბელარუსი" მიაბოტებდა. წინ რომ ბულდოზერის სამაგრი უჩანდა, უკან კი შემოტრიალებული ციცხვი.

ბორანლი-ბურანის ასაქცევი რომ თვალს მიეფარა და ედიღეიმაც უკანასკნელად მიიხედა უკან, გაოცებულმა თავის წითური ძაღლს ჟოლბარსს ჰკრა თვალი, საქმიანად რომ მოცუხცუხებდა გვერდით. ნეტა როდის მოასწრო გამოდევნება? აბა უყურე! ბორანლი-ბურანიდან რომ გამოდიოდნენ, თითქოს არსად ჩანდა. რომ სცოდნოდა, ამისთანა ოინს იზამდა, ჯაჭვზე დააბამდა. რა ეშმაკის ფეხია! როგორც კი შეამჩნევს, ედიღეი და ყარანარი სადღაც მიდიანო, მყისვე იხელთებს დროს და დაემგზავრებათ. ახლაც ხომ თითქოს მიწიდან ამოძვრა. ჯანდაბას მაგისი თავი, გადაწყვიტა ედიღეიმ. უკან გაგდება უკვე გვიანია, არც ღირს ძაღლისთვის დროის დაკარგვა. გაუშვი, წამოძუნძულდეს. თითქოს მიუხვდაო პატრონს. ჟოლბარსმა ტრაქტორს გაუსწრო და ყარანარს ცოტა წინ და თან განზე მიჰყვა. ედიღეი მათრახით დაემუქრა, მაგრამ ძაღლმა ყურიც არ შეიბერტყა, რაღა დროს მუქარაააა, დააგვიანეო. ან რატომ არ უნდა გამოჰყოლოდათ ამისთანა საქმეზე, მე შენ გეტყვი, ცუდი ძაღლი იყო. განიერი მკერდი, ბანჯგვლიანი ღონიერი კისერი, მოჭრილი ყურები და ჭკვიანური დინჯი მზერა წითური ჟოლბარსს თავისებურად ლამაზსა და თვალში მოსახვედრს ხდიდა.

მიჰყვებოდა ედიღეი ანა-ბეიითის გზას და ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. უცქერდა, მზე როგორ ამოდიოდა ცისკიდურზე, როგორ წყავდა დროის დინებას, იხსენებდა ისევ იმ ამბებს, ისევ თავის წარსულ ყოფას. იგონებდა იმ დღეებს, როცა ისა და ყაზანგაპი ახალგაზრდები იყვნენ, როცა ჯანი მოსდევდათ და ასაქცევზე მთავარ მუდმივ მუშებს წარმოადგენდნენ. სხვები არცთუ დიდხანს რჩებოდნენ ბორანლი-ბურანზე, როგორც ჩამოდიოდნენ, ისე

მიდიოდნენ. მასა და ყაზანგაპს სულის მოსათქმელად დრო არ რჩებოდათ, უნდოდათ არ უნდოდათ, ასაქცევზე მთელი სამუშაო თავად უნდა ეკისრათ, თავად გაეკეთებინათ. ახლა ხმამაღლა ვერც იტყვის ამას — ახალგაზრდებს სასაცილოდ არ ჰყოფნით: თქვე ბებერო ჩერჩეტებო, თავს რად [illegible] რისი გულისათვის! მართლაცდა რისი გულისთვის? მაშასადამე, იყო, რისი გულისთვისაც.

ერთხელ მთელი ორი დღე და ღამე თოვლის ნამქერებისაგან წმენდნენ გზას. საღამოს ორთქლმავალი მოიყვანეს იქაურობის გასანათებლად. თოვლი კი ბარდნიდა და ბარდნიდა, ქარი გაქშუოდა. ერთ მხარეს გაწმენდნენ, მეორეგან უკვე ნამქერი იყო დაზვავებული. ციოდა ჰქვია! სახე, ხელები დაუსივათ ყინვამ. ხუთი წუთით აძვრები ორთქლმავალზე, ძვალი რომ გაითბო, და მერე ისევ ეს დაღუპული საქმე უნდა განაგრძო. ორთქლმავალსაც კი უკვე თვლებამდე მიაყარა ნამქერი. სამი ახლად ჩამოსული მუშა იმ საღამოსვე წავიდა, საროზეკს სულ დედა აგინეს. ჩვენ ტუსაღები კი არა ვართ,ციხეშიაც კი აძლევენ ხალხს გამოძინების საშუალებას. დილას, როცა მატარებლები დაიძრნენ, სტვენით დაემშვიდობნენ:

— ჰეი, ტუტუცებო, აგრემც გიქნიათ თავი მოგიკლავთ!

მაშინ მოუვიდათ ჩხუბი მასა და ყაზანგაპს, განა იმიტომ, იმ ჩამოსულმა ვაჟბატონებმა რომ გათათხეს, უბრალოდ მოხდა ასე. დიახ, იყო ასეთი ამბავი. ღამე უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა მუშაობა. თოვლი აყრიდა და აყრიდა, ქარი ავი ძაღლივით ყოველი მხრიდან უღრენდათ, ვერსად დაემალებოდი. ორთქლმავალი ორთქლს უშვებდა, მაგრამ ნისლი დგებოდა მხოლოდ, სხვა არაფერი. ფარებიც ძლივს ანათებდა წყვდიადს. ის სამნი რომ წავიდნენ, ყაზანგაპი და ედიღეი დარჩნენ თოვლის გასაწმენდად და სათრეველათი გასატანად. წყვილი აქლემი იყო ამ სათრეველაში შებმული. მაგრამ არ მიდიოდნენ ის ოხრები, იმათაც სციოდათ და ეშინოდათ ამ ოროტრიალში. გზისპირებზე თოვლი მკერდამდე იდგა. ყაზანგაპი ლაშებით მიათრევდა აქლემებს, ედიღეი სათრეველაზე იდგა და მათრახს უტყლაშუნებდა მათ. ასე იჯახირეს შუაღამემდე. აქლემები თოვლში დაეყარნენ, მოჭკალი თუ გინდა. არაქათი საბოლოოდ გამოეცალათ. რა უნდა ქნა? რა და მიატოვო საქმე, ვინემ ამინდი არ ჩაცხრება. ისინი ორთქლმავლთან იდგნენ, ქარს ემალებოდნენ.

— კმარა, ყაზაქე, ორთქლმავალზე ავძვრეთ, მერე ვნახოთ, ამინდს რა პირი ექნება, — წაილაპარაკა ედიღეიმ და გაყინული ხელჯაგები ერთმანეთს მიატყაპუნა.

— ამინდი როგორიც არის ,ისეთი იქნება. სულ ერთია, გზა ჩვენი გასაწმენდია. მიდი, მიდი, გაანძრიე ნიჩაბი, რა უფლება გვაქვს ვიდგეთ.

— ჩვენ რა, ადამიანები არა ვართ?

— ადამიანი კი არა, მგელი და სხვა ნადირი მიძვრება ახლა ბუნაგში.

— აჰ, შე წყეულო! შენთვის სულ ერთია, კაცი თუნდაც ჩაძაღლებულა! თვითონაც აქ ჩაძაღლდები! — გაცოფდა ედიღეი და ყბაში გაუშალა ყაზანგაპს.

ებღლვნენ ერთმანეთს, ტუჩები გაუხეთქეს, კიდევ კარგი, მეცეცხლური გადმოხტა ორთქლმავლიდან, დროზე გააშველა ისინი.

ასეთი კაცი იყო ყაზანგაპი. ახლა მისთანები სანთლით უნდა ეძიო. ალარ არიან, ალარ ყაზანგაპები, უკანასკნელი მიჰყავთ ახლა დასამარხად, მიწას დააყრიან გამოსასალმებელი სიტყვებით და მორჩა, გათავდა. ყველაფერი!

ბურანელი ედიღეი ნახევრად დავიწყებულ ლოცვებს იმეორებდა გულში. სიტყვათა დადგენილ წყობას ამოწმებდა, ღმერთისადმი მიმართულ ფიქრთა თანამიმდევრობის ზუსტად აღსადგენად. რამეთუ მხოლოდ მას ერთს, უხილავსა და უცნობელს, შესწევს ძალა ადამიანის გონებაში შეარიგოს საწყის-სასრულის, სიკვდილ-სიცოცხლის შეურიგებლობა. იმიტომაც შეიქმნა ალბათ ლოცვები. ღმერთს ხმას ვერ მიაწვდენ, გინდაც იყვირე და იბღავლე, ვერ ჰკითხავ, ასე რად დაადგინე, დაბადებული რომ უნდა მოკვდესო. ასეც ცხოვრობს ადამიანი მას აქეთ, რაც ეს დუნია გაჩნდა. არ ეთანხმება, მხოლოდ ურიგდება. ეს ლოცვებიც შეუცვლელია იმ დღეებს აქეთ, იგივეზეა იქ ლაპარაკი — ტყუილად არ იდრტვინოს, ნუგეშინ იცეს ადამიანმა. მაგრამ ეს სიტყვები, ათასი წლის მანძილზე ნაჩარხი და ნალოლიავები, ვით ოქროს ზოდები, უკანასკნელი სიტყვებია იმ უკანასკნელთა შორის, რაიც ცოცხალმა მკვდარზე უნდა თქვას. ასეა წესი.

ფიქრობდა იმაზედაც, რომ მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ღმერთი, ადამიანს მეტწილად მაშინ აგონდება იგი, როცა გაუჭირდება, თუმცა ვერ იტყვი, ძალიან ლამაზი საქციელიაო. იმიტომაცაა ნათქვამი ალბათ — ურწმუნოს ღმერთი მაშინ მოაგონდება, როცა ჭირი მოადგებაო. მაგრამ ასეა თუ ისე, ლოცვები მაინც უნდა იცოდეს კაცმა.

გაჰყურებდა თავის ჯეელ თანამგზავრებს ედიღეი და გულწრფელად წუხდა და ნანობდა, არც ერთმა რომ არ იცოდა ლოცვა. ნეტა როგორ დამარხავენ ერთმანეთს? სიცოცხლის საწყის-სასრულის მომცველი რა სიტყვებით გააკილებენ ისინი იმქვეყნად წასულ ადამიანს? „მშვიდობით, ამხანაგო, არ იაგივიწყებთ?“ თუ სხვა მსგავსი აბდაუბდით?

ეთბელ საოლქო ქალაქში დაესწრო იგი დაკრძალვას. გაოცებას იყო ბურანელი ედიღეი — გეგონებოდა, კრება ტარდებაო; კუბოსთან ნაირ-ნაირი ოთატორები გამოდიოდნენ, დაწერილს კითხულობდნენ, სულ ერთსა და იგივეს იმეორებდნენ, რა ხელობისა იყო გარდაცვლილი, რა თანამდებობაზე უმუშავია და როგორ უმუშავია, ვის ემსახურებოდა და როგორ ემსახურებოდა, მერე დაუკრეს მუსიკა და საფლავი ყვავილებით აავსეს. ერთ კაცსაც არ შეუწუხებია თავი სიკვდილზე ეთქვა რამე, როგორც ამას ლოცვები ამბობს, დამგვირგვინებელნი ადამიანის შემეცნებისა დასაბამიდან ყოფნა-არყოფნის ამ მონაცვლეობისას. თითქოს აქამდე არავინ მომკვდარა ამქვეყნად და ამის შემგაც არ მოკვდება. საცოდავები, თავი უკვდავი ჰგონიათ! ასეც აცხადებდნენ სინამდვილის პირუკუ: „ის უკვდავებას ეზიარაო!“...

ედიღეი კარგად იცნობდა აქაურ ადგილებს. თანაც ბურანელი ყარანარის ზურგიდან კარგა შორს სწვდებოდა მისი თვალი. ცდილობდა საროზექი რაც შეიძლება პირდაპირ გადაეჭრა ანა-ბეიითის სამარხისაკენ. მხოლოდ იქ უხვევდა გზას, სადაც ხრამები იყო, რა არის ტრაქტორები არ გაეწვალებინა.

ყველაფერი ჩანაფიქრის მიხედვით მიდიოდა. არც მაინცდამაინც ჩქარა, არც მაინცდამაინც ნელა, მაგრამ მაინც დაძლიეს გზის მესამედი... ბურანელი ყარანარი დაუღალავად მიაბიჯებდა, პატრონის ყველა სურვილს გუმანით ხვდებოდა. უკან რახრახით მოყვებოდათ ტრაქტორი, ტრაქტორის უკან ბორბლიანი ექსკავატორი „ბელარუსი“.

მაგრამ წინ კი გაუთვალისწინებელი გარემოება მოელოდათ. და ამ გარე-

მოებას, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა ეღერდეს, რაღაც შინაგანი კავშირი ჰქონდა საროზექის კოსმოდრომზე მომხდარ ამბებთან...

ავიოსანი „კონვენცია“ წყნარი ოკეანის იმავე რაიონის იმავე ადგილას იმყოფებოდა, ალეუტის კუნძულების სამხრეთით, საჰაერო გზით ზუსტად ერთსა და იმავე მანძილზე როგორც ვლადივოსტოკიდან, ისე სან-ფრანცისკოდან.

ოკეანეზე ამინდი არ შეცვლილა. დღის პირველ ნახევარში ისევ ისე დამაბრმავებლად კაშკაშებდა მზე წყლის მოციმციმე უსაზღვრო სივრცეზე. ამინდის შეცვლას დასალიერზე არა ნიშანი არ იუწყებოდა.

თვით ავიოსანზე ყველა დაძაბული იყო — ყველა სამუშაო მზადყოფნაში იმყოფებოდა შინაგანი უშიშროების ჯგუფის, ავიოფრთის ჩათვლით, თუმცა საამისოდ კონკრეტულ მიზეზებს ირგვლივ გარემო არ იძლეოდა. მიზეზები გალაქტიკის საზღვრებს მიღმა მდებარეობდა.

„ტრამპლინის“ ორბიტიდან „კონვენციაზე“ მიღებულმა ცნობებმა ტყისგულეთის პლანეტაზე მყოფ პარიტეტ-კოსმონავტებიდან მართვის საერთო ცენტრის ხელმძღვანელები და განსაკუთრებული რწმუნების მქონე კომისიების წევრები დიდად შეაშფოთა. შეშფოთება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივე მხარემ გადაწყვიტა პირველად ცალ-ცალკე ეთათბირათ შექმნილ მდგომარეობაზე, უწინარეს ყოვლისა, თავისი ინტერესებსა და პოზიციებიდან გამომდინარე, და მხოლოდ მერე შეკრებილიყვნენ საერთო თათბირზე.

მსოფლიომ ჯერ არა უწყოდა რა სამყაროს ისტორიაში ამ უპრეცედენტო აღმოჩენაზე, იმაზე, რომ ტყისგულეთის პლანეტაზე მიწისმიღმიერი ცივილიზაცია არსებობდა. ორივე მხარის მთავრობებსაც კი, რომელთაც სრულიად საიდუმლოდ შეატყობინეს მომხდარი ამბავი, ჯერჯერობით არ ჰქონდათ ცნობები, თუ როგორ წარიმართებოდა ამბები. კომპეტენტურ კომისიათა შეთანხმებულ თვალსაზრისს ელოდნენ. ავიოსანის მთელ ტერიტორიაზე მკაცრი წესრიგი დამყარდა. ავიოფრთის ჩათვლით, არავის ჰქონდა უფლება თავისი ადგილი დაეტოვებინა. არავის ჰქონდა უფლება, რაც უნდა მომხდარიყო, გემი მიეტოვებინა, არა სხვა გემს არ შეეძლო ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსზე „კონვენციას“ მიახლოებოდა. ამ რაიონში გადაფრენისას თვითმფრინავები გეზს იცვლიდნენ, რა არის სამასი კილომეტრის მანძილზე ავიოსანის ადგილ-სამყოფელს არ მიახლოებოდნენ.

მაშასადამე, ორივე მხარის საერთო თათბირი შეწყვეტილ იქნა. თითოეული კომისია პროგრამა „დემიურგის“ თავიანთ თანახელმძღვანელებთან ერთად 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების ცნობებზე ბჭობდა, რომლებიც მათ მეცნიერებისთვის უცნობ ტყისგულეთის პლანეტიდან გადმოსცეს.

მათი სიტყვები წარმოუდგენელი ასტრონომიული სიშორიდან მოვიდა:

„გვისმინეთ, გვისმინეთ!

ჩვენ ვაწარმოებთ ტრანსგალაქტიკურ გადმოცემას დედამიწისთვის!

შეუძლებელია ყოველივე ამის ახსნა, რასაც მიწიური სახელი არა აქვს. მაგრამ საერთო ბევრია.

ისინი ადამიანის მსგავსი არსებები არიან, ჩვენისთანა ადამიანები. ვაშა მსოფლიო ევოლუციას! ევოლუციამ იქაც შეიმუშავა გომინადის მოდელი უნივერსალური პრინციპის მიხედვით! ესენი ჩინებული წარმომადგენლები

არიან უცხოპლანეტელ-გომინადებისა! შავგვრემანები, ცისფერი თმა, მოიისფრო და მომწვანო თვალები, თეთრი ხშირი წამწამები.

ჩვენ ისინი დავინახეთ, როცა სრულიად გამჭვირვალე სკაფანდრებით ჩვენს ორბიტალურ სადგურს მოადგნენ. ხომალდის კიჩოდან შემოგვლიმეს, თავისთან მიგვიპატიჟეს. და ჩვენც ერთი ცივილიზაციიდან მეორეში გადავაბიჯეთ. ხრახნილა მფრინავი აპარატი მოწყდა სადგურს და სინათლის სიჩქარით, თუმცა ეს სიჩქარე ხომალდის შიგნით სულაც არ შეგვიგრძნია, სამყაროში გავეშურეთ, დავძლიეთ რა დროის დინება. პირველი, რაიც ვინიშნეთ და რამაც მოულოდნელი შვება მოგვგვარა, ის იყო, რომ უწონადობის გრძნობა არ განგვიცდია. რა გზით მიაღწევ ამას, ახსნა ჯერჯერობით არ შეგვიძლია. პირველივე წინადადება, მათ რომ გვითხრეს, ერთმანეთში არეული რუსულ-ინგლისური სიტყვები იყო: „ველ ნაშ გალაქტიკ!“ მაშინ მივხვდით, რომ გარკვეული ალღოს წყალობით შეგვიძლია ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. ეს ცისფერთმიანი არსებანი დაახლოებით ორი მეტრი სიმაღლისა არიან. ისინი ხუთნი იყვნენ, ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი, რომელსაც წმინდა ქალური მოყვანილობა და კანიც უფრო ღია ფერისა ჰქონდა, ეს იყო და ეს განსხვავება. ყველა ცისფერთმიანი ტყისგულელები საკმაოდ შავგვრემანები არიან, ჩვენი ჩრდილოელი არაბების მსგავსად. პირველივე წუთებიდან მათ ჩვენი ნდობა დაიმსახურეს.

სამი მათგანი — მფრინავი აპარატის პილოტები არიან, ერთმა კაცმა და ქალმა დედამიწის ენები იციან. მათ პირველებს შეუსწავლიათ და სისტემატიზაცია გაუკეთებიათ კოსმოსში რადიოთი დაჭერილი ინგლისური და რუსული სიტყვებისათვის და მიწისმვილთა სიტყვარი შეუდგენიათ. ჩვენი შეხვედრისდროისთვის უკვე ორი ათას ხუთასზე მეტი სიტყვისა და ტერმინის მნიშვნელობა იცოდნენ. ამ ლინგვისტიკური მარაგის წყალობით დაიწყო კიდეც ჩვენი ურთიერთობა. თვითონ ისინი, ცხადია, ჩვენთვის სრულიად გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ელექტრონული ეფექტით იგი ესპანურს ჩამოჰგავს.

„პარიტეტიდან“ გაფრენის თერთმეტი საათის შემდეგ მზიური სისტემის საზღვრებს გავცდით.

ერთი გალაქტიკიდან მეორეში გადასვლა შეუმჩნეველად მოხდა, უჩვეულო არაფერი ყოფილა. სამყაროს მატერია ყველგან ერთნაირია. მაგრამ წინ, კურსის მიხედვით (ეტყობა, ასეთი იყო იმ წუთის მდებარეობა და მდგომარეობა სხვასისტემური სხეულებისა) თანდათან გამოასხივა ალისფერმა დაფიონმა. დაფიონი ნელ-ნელა გაიზარდა და შორს უსაზღვრო სინათლის სივრცედ გაიშალა. ამასობაში ჩავუარეთ რამდენიმე პლანეტას, იმ დროს ერთ მხარეს ჩაბნელებულს და მეორე მხარეს განათებულს. უთვალავი მზე და მთვარე მიქროდა თვალმისაწვდომ სივრცეებში.

ჩვენ თითქოს ღამიდან დღეში გადავდიოდით. და უცბად — თვალისმომჭრელად კამკამა და უნაპირო სინათლეში შევფრინდით, რომელსაც აქამდე უცნობელ ცაზე დიდი და ძლიერი მზე ასხივებდა.

— ეს ჩვენი გალაქტიკაა! აგერ ჩვენი მპყრობელი ანათებს! მალე გამოჩნდება ჩვენი ტყისგულეთიც! — გვაუწყა ლინგვისტმა ქალმა.

მართლაც ახალი სამყაროს განუსაზღვრელ სიმაღლეზე დავინახეთ ჩვენთვის ახალი მზე, მპყრობელად წოდებული. გამოსხვების სიმძაფრით და მოცულობითაც მპყრობელი ჩვენს მზეს აღემატება. სწორედ აქაური მნათობის ამ

თვისებით და კიდევ იმით, რომ ტყისგულეთის პლანეტაზე დღე-ღამე ოცდაოთხ საათს შეადგენს. შეიძლება აიხსნას, ჩვენი აზრით, აქაური სამყაროს მთელი რიგი გეობიოლოგიური განსხვავებანი ჩვენი სამყაროსაგან.

მაგრამ ყოველივე ამაზე ჩვენ შევეცდებით შემდგომი „გადმოცემისას ან „პარიტეტზე" დაბრუნების მერმე გიამბოთ. ახლა კი მხოლოდ ფაქტიურად გადმოგცემთ რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას. ტყისგულეთის პლანეტა მაღლიდან ჩვენს დედამიწას ჰგავს, ასევე შემოჰხვევია ატმოსფერული ღრუბლები. მაგრამ ახლოდან, ხუთი-ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე ზედაპირიდან — ტყისგულელებმა საგანგებოდ ჩვენ გაბო შემოუფრინეს ირგვლივ — ლამაზი სახეობანია: ხასხასა მწვანით არის მოსილი მთები, ქედები და გორაკები. ძათ შორის მდინარეები, ზღვები და ტბებია, ხოლო პლანეტის ზოგიერთ ნაწილში. ძეტწილად განაპირა კიდეებზე, პოლუსებზე — ვეებერთელა ლაქებად ჩახს უკაცრიელი უდაბნოები, სადაც თურმე მტვრის ქარბუქები ბობოქრობს. მაგრამ ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩვენზე ქალაქებმა და დაბებმა მოახდინა. ტყისგულეთის ლანდშაფტის შუაგულ ეს კონსტრუქტორული ნაგებობანი ურბანიზაციის საოცრად მაღალ დონეზე მოწმობს. მანჰატანიც კი ვერ შეედრება ამ პლანეტის ცისფერთმიან ბინადართა ქალაქების მშენებლობას.

თვით ტყისგულელები, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ფენომენებს წარმოადგენენ სამყაროს გონიერ არსებათა შორის. ორსულობის ხანა — თერთმეტი ტყისგულეთის თვე გრძელდება. ცხოვრების ხანგრძლივობა დიდია, თუმცა საზოგადოების უმთავრეს გადასაჭრელ ამოცანად და არსებობის მიზნად თვითონ მათ სიცოცხლის გახანგრძლივება დაუსახავთ. საშუალოდ ას ოცდაათი — ას ორმოცდაათი წელი ცხოვრობენ. ზოგი ორას წლამდეც აღწევს. პლანეტაზე ათ მილიარდზე ეტი მოსახლეობა ითვლება.

ჩვენ არ ძალგვიძს ახლა თანამიმდევრულად მოგითხროთ ყველაფერი, რაც ცისფერთმიანთა ცხოვრებასა და მათი ცივილიზაციის მიღწევებს შეეხება. ამიტომაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოგცემთ იმას, რამაც ყველაზე მეტად გაგვაოცა ამ ქვეყანაში.

ისინი აბერხებენ ენერგია მზიდან ან, უფრო სწორად, მპყრობელისგან მიიღონ, ამ ენერგიას კი სითბურ და ელექტროენერგიად აქცევენ მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტით, რაიც ჩვენს ჰიდროტექნიკურ საშუალებებს ბევრად აჭარბებს. ამას გარდა, რაიც დიდად მნიშვნელოვანია, ენერგიის სინთეზირებას ჰაერის დღისა თუ ღამის ტემპერატურის სხვაობიდანაც აბერხებენ.

მათ დაიმორჩილეს ჰავაც. როცა პლანეტას დასათვალიერებლად ირგვლივ შემოვუფრინეთ, მფრინავი აპარატი გამოსხივების გზით თვალის დახამხამებაში ფანტავდა დაგროვილ ღრუბლებსა და ნისლს. ჩვენ ისიც შევიტყვეთ, რომ მათ შეუძლიათ ჰაერის მასებისა და ზღვასა თუ ოკეანეებში წყლის ნაკადთა. დინებაზე გავლენა მოახდინონ და ტენიანობა და ტემპერატურა პლანეტის ზედაპირზე ამის წყალობით მოაწესრიგონ.

მაგრამ მათ წინაშე დგას ძალზე დიდი პრობლემა, როგორსაც, რამდენადაც ვიცით, ჯერ არ შეეჯახებივართ მიწაზე. მათ არ იციან, რა არის გვალვა, რამეთუ ჰავა უკვე დაიმორჩილეს, ჯერჯერობით არ განიცდიან საკვების ნაკლებობას, თუმცაღა მოსახლეობა ძალზე დიდია, ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე დედამიწაზე. მაგრამ პლანეტის საკმაოდ დიდი ნაწილი თანდათანობით უვარგისი ხდება სიცოცხლისათვის, იმ ადგილებში ვერა სულიერი

ველარ ბოგინობს. ამ მოვლენას ეგრეთ წოდებული შიდა გამოშრობა ჰქვია. ამ პლანეტის ირგვლივ შემოფრენისას ჩვენ დავინახეთ მტვრის ქარბუქები ტყისგულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. რაღაც საშიშ რეაქციათა შედეგად პლანეტის წიაღში — იქნებ ჩვენი ვულკანური პროცესების დარად, თუმცა ეს უფრო გაბნეული სხივური გამოფრქვევის რაღაც ფორმას ჰგავს — ზედაპირული ნიადაგი იშლება, თავის სტრუქტურას ჰკარგავს, ხდება გადაწვა ნიადაგის ყველა წარმომშობ ნივთიერებათა. ტყისგულეთის ამ მხარეში საჰარის ოდენა უდაბნო ყოველწლიურად ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს და ცისფერთმიან უცხოპლანეტელთ სასიცოცხლო სივრცეს ართმევს. ეს მათი ყველაზე დიდი უბედურებაა. ჯერ კიდევ ვერ შეუსწავლიათ, როგორ დაიმორჩილონ პლანეტის წიაღში მომხდარი პროცესები. ამ საშიშ მოვლენასთან საბრძოლველად უკვე ამოქმედებულია საუკეთესო ძალები, უზარმაზარი სამეცნიერო თუ მატერიალური საშუალებანი. მათ გალაქტიკურ სისტემაში მთვარე არ არის, მაგრამ ჩვენი მთვარის ამბავი იციან და ნამყოფნიც არიან იქ. მათი ვარაუდით ჩვენი მთვარეც შესაძლოა იგივე მოვლენის მსხვერპლი გახდა. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, ჩვენც შეგვაფიქრიანა — მთვარე ხომ არც ისე შორსაა დედამიწიდან. მზად ვართ კია ასეთი შეხვედრისათვის? ან საგარეო თუ შინაგანი ხასიათის რა შედეგი მოჰყვება? ხომ არ იფიქრებს კაცობრიობა, თუ რა ბევრი დაკარგა ინტელექტუალურ განვითარების საქმეში დედამიწაზე გაუთავებელი შეუთანხმებლობის მიზეზით?

ამჟამად ტყისგულეთის სამეცნიერო წრეებში საყოველთაო საპლანეტო დავა-კამათი მიმდინარეობს — მართებულია თუ არა მთელი ძალისხმევის დახარჯვა შინაგანი გამოშრობის საიდუმლოების ამოსახსნელად და ამ პოტენციალური უბედურების შესაჩერებლ საშუალებათა ძიება, თუ სჯობს წინასწარ მოიძიონ სამყაროში ახალი პლანეტა, მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს რომ დააკმაყოფილებს, და დაიწყონ დროთა განმავლობაში მასობრივი გადასახლება ახალ ადგილ-სამყოფელზე ტყისგულეთის ცივილიზაციის გადატანისა და აღორძინების მიზნით. ჯერ კიდევ გარკვეული არაა, სად, რომელი პლანეტისაკენაა მიმართული მათი მზერა. ყოველ შემთხვევაში ახლანდელ პლანეტაზე ჯერ კიდევ მილიონობით წლები მოუწევთ ცხოვრება. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ახლავე ფიქრობენ ამ ეგზომ შორეულ მერმისზე და ისეთი გატაცებითა და მოქმედების წყურვილით არიან შეპყრობილნი, თითქოს ეს პრობლემა უშუალოდ ახლანდელ მოსახლეობას შეეხებოდეს. ნუთუ არავის გაუელვა თავში სულმდაბალმა ფიქრმა: „ჩვენ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო...“ შეგვრცხვა კიდევაც ჩვენი თავისა, მსგავსი რამ რომ გავიფიქრეთ იმის გაგებისას, ტყისგულელთა საერთო საპლანეტო ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი წიაღის შინაგან გამოშრობის აცილებას ხმარდებაო. ისინი ცდილობენ ბარიერები შექმნან მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზე. ნელინელ მომცოცავ უდაბნოს მთელ გაყოლებაზე ბურღავენ ზელრმა ღრმულებს, ასხამენ შიგ ისეთ ხანგრძლივად მომქმედ გამანეიტრალებულ ნივთიერებებს, რაც მათი აზრით სათანადო გავლენას მოახდენს პლანეტის შინაგან ბირთვულ რეაქციებზე.

რა თქმა უნდა, აქაც არის და უნდა იყოს კიდეც საზოგადოებრივი ყოფის პრობლემები, ის, რაიც ყველთაგანვე აწამებს გონებას და მძიმე ტვირთად ქცეულა მისთვის, — პრობლემები ზნეობრივი, მორალური, ინტელექტუალური ხასიათისა. თავისთავად ცხადია, არც ისე იოლად მიმდინარეობს ალბათ ათ მილი-

არდზე მეტი ადამიანის ერთად ცხოვრება, რა დიდი კეთილდღეობისთვისაც არ მიეღწიათ. მაგრამ ყველაზე საკვირველი ამასთან ის არის, რომ მათ არ იციან, რა არის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ იციან, რა არის იარაღი, არ იციან, რა არის ომი. ძნელია იმის თქმა, ჰქონდათ თუ არა ისტორიულ წარსულში ომები, სახელმწიფოები, ფული თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა ნებისმიერ ლები კატეგორიები. იქნებ კი ჰქონდათ. მაგრამ ამჟამად წარმოდგენა არა აქვთ ძალადობის ისეთ ინსტიტუტზე, როგორიცაა სახელმწიფო, და ბრძოლის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ომი. საჭირო რომ გახდეს იმის ახსნა, რად ხდება ჩვენს დედამიწაზე გაუთავებელი ომები, ხომ არ მოეჩვენებათ უაზრობად ან, უფრო მეტიც, ხომ არ ჩათვლიან საკითხის ასეთ გადაჭრას ბარბაროსობად?

მთელი მათი ცხოვრება სულ სხვა, ჩვენთვის არც ისე გასაგებ და არც ისე მისაწვდომ საწყისებზეა დაფუძნებული, ჩვენი აზროვნების მიწიერი სტერეოტიპის გამო.

მათ მიაღწიეს ერთობლივი პლანეტარული შეგნების ისეთ დონეს, რაიც გადაჭრით გამორიცხავს ომს, ვით ბრძოლის საშუალებას, ისე რომ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ — ცივილიზაციის ეს ფორმა იქნებ ყველაზე მოწინავე იყოს სამყაროს გარემოს მთელი მოაზროვნე სივრცის საზღვრებში. იქნებ მათ მიაღწიეს მეცნიერული განვითარების ისეთ საფეხურს, როცა დროისა და სივრცის ჰუმანიზაცია გონიერ არსებათა ცხოველმოქმედების მთავარ მიზნად და ამის შედეგად სამყაროს ევოლუციის გაგრძელებად ქცეულა მის ახალ, უმაღლეს, უსაზღვრო ფაზაში.

ჩვენ არ ვაპირებთ შეპირისპირებას შეუპირისპირებელ საგანთა. დროთა ვითარებაში ჩვენს მიწაზედაც მიაღწევენ ადამიანები ესოდენ დიდ პროგრესს. საამაყო ჩვენ ახლაც ბევრი გაგვაჩნია, და მაინც არ გვასვენებს დაშთრგუნველი ფიქრი: იქნებ ტრაგიკული შეცდომაა, როცა დედამიწაზე კაცობრიობა თავის თავს ირწმუნებს, ვითომდა ისტორია — ეს ომების ისტორიაა? იქნებ გზა განვითარებისა დასაბამითვე მცდარი და ჩიხში მომქცევი იყო? თუ ასეა, საით მივდივართ და სად მიგვიყვანს ეს გზა? თუ ასეა, მოასწრებს კია კაცობრიობა ვაჟკაცობა გამოიჩინოს და ეს აღიაროს, რათა თავიდან აიცდინოს ტოტალური კატაკლიზმი? აღმოვჩნდით რა განგების ნებით მიწისმიღმიერი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწმენი, ჩვენ რთულ გრძნობებს განვიცდით — ერთი მხრივ შიში გვიტანს მიწის შვილთა მერმისის გამო და ამასთან იმედიც გვეძლევა, რამეთუ მსოფლიოში მაგალითი გვაქვს დიადი ერთად ცხოვრებისა, რომლის წინსვლითი ძრაობა წინააღმდეგობათა იმ ფორმების გარე მდებარეობს, ომებით რომ გადაიჭრება...

ტყისგულეთის უცხოპლანეტელებმა იციან, რომ მათი სამყაროს შორეულ საზღვრებს მიღმა არსებობს დედამიწა. ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის გარდა მათ დიდი სურვილი აქვთ მიწისშვილთ იმიტომაც დაუკავშირდნენ, რომ ეს გონების ფენომენის გამარჯვება იქნება, როგორც ისინი თვლიან, ეს ცივილიზაციათა გამოცდილების გაზიარება იქნება, ეს ახალი ერა იქნება ამ სამყაროში ინტელექტის მატარებელთა აზრისა და სულის განვითარებაში.

ყოველივე ეს, მათი აზრით, გაცილებით დიდ შედეგს მოიტანს, ვიდრე ქაცმ შეიძლება იფიქროს. მიწისშვილთადმი მათი ინტერესი კიდევ იმითაცაა ნაკარნახევი, რომ მსოფლიო გონების ამ ორი შტოის საერთო ძალისხმევათა შეერთება, მათი ფიქრით, ძირითადი გზაა ბუნებაში სიცოცხლის უსასრულო

გახანგრძლივების უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებენ რა, რომ ყოველი ენერგია გარდუვლად განიცდის დეგრადაციას და ყოველ პლანეტას დროთა ვითარებაში დაღუპვა ელის... მათ უკვე ახლა აფიქრებთ „სამყაროს აღსასრულის“ პრობლემა, მილიარდი წლების შემდეგ რომ მოელის სამყაროს და უკვე ამუშავებენ კოსმოლოგიურ გეგმებს სამყაროს ყოველი ტოლფერი არსებისთვის ურთიერთკავშირის ახალი ბაზის ჩამოსაყალიბებლად...

მათ შეუძლიათ უკვე ახლაც ეწვიონ ჩვენს დედამიწას, რაღაი სინათლის სიჩქარის მქონე მფრინავი აპარატები აქვთ. მაგრამ არა სურთ დედამიწაზე მიწისშვილთა თანხმობისა და მოწვევის გარეშე ჩამოვიდნენ, არა სურთ დაუპატიჟებელი სტუმრებივით შემოიჭრნენ. იმასაც მიგვახვედრეს, რომ ჩვენს გასაცნობად დიდი ხანია საბაბს ეძებდნენ. მას აქეთ, რაც ჩვენი კოსმიური სადგურები ორბიტაზე ხანგრძლივად მყოფ ობიექტებად იქცა, მათთვის ნათელი გახდა, რომ შეხვედრის ჟამი მოახლოვდა და თაოსნობა მათ უნდა იკისრონ. ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ, მოხერხებულ შემთხვევას ელოდნენ. ეს შემთხვევა ჩვენ გვხვდა წილად, რამეთუ შუალედ გარემოში — ორბიტალურ სადგურზე აღმოვჩნდით...

რა გასაკვირია, რომ ჩვენმა ჩასვლამ მათ პლანეტაზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამასთან დაკავშირებით ეთერში ჩართეს გლობალური ტელეკონტრაქტირება, რაიც მხოლოდ დიდი დღესასწაულებისას ხდება ხოლმე. გასხივოსნებულ ჰაერში ჩვენ ირგვლივ თვალნათლივ ვხედავდით იმ სახეებსა და საგნებს, ათასობით კილომეტრის დაშორებით რომ იყვნენ, და იმავე დროს ერთმანეთს შევღიმოდით, ხელს ვართმევდით, აღტაცებითა და სიცილით ველაპარაკებოდით, თითქოსდა უშუალო კავშირში ვიმყოფებოდით. უნდა ნახოთ, რა ლამაზები არიან ტყისგულელები, რა სხვადასხვანაირნი. ცისფერი თმაც კი სხვადასხვა ფერს იკრავს მუქი ლურჯიდან ლაჟვარდით გათავებული, იმათ მოხუცებს ისევე უჭაღარავდებათ თეთრმე თმა, როგორც ჩვენებს. ანტროპოლოგიური ტიპებიც სხვადასხვანაირნი არიან, ვინაიდან და რადგან სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს წარმოადგენენ.

ყოველივე ამასა და კიდევ ბევრ არანაკლებ გასაოცარ ამბებს მოგითხრობთ „პარიტეტსა“ თუ მიწაზე დაბრუნების შემდეგ. ახლა კი ყველაზე მთავარი რაცაა. ტყისგულელებმა გვთხოვეს გადმოგვეცა თქვენთვის „პარიტეტის“ კავშირის სისტემით, რომ სურთ ჩვენს პლანეტას მაშინ ეწვიონ, როცა ეს მიწისშვილთ მოეხერხებათ. მანამდე კი გვთავაზობენ შევთანხმდეთ საგალაქტიკათაშორისო სადგურის მოწყობის პროგრამაზე, რომელიც ჯერ პირველი წინასწარი შეხვედრების ადგილად, შემდეგ კი მუდმივ ბაზად გადაიქცევა ურთიერთთან მიმოსვლის ჟამს. ჩვენც შევპირდით ჩვენს თანაპლანეტელთა ყურამდე მივაწვდინოთ ეს წინადადებანი. მაგრამ ამასთან დაკავშირებით უფრო მეტად სხვა რამ გვაღელვებს.

მზად ვართ კი ჩვენ, მიწისშვილები, ასეთ საგალაქტიკათაშორისო შეხვედრებისათვის, ვართ კი საკმაოდ მომწიფებულნი საამისოდ მოაზროვნე არსებათა კავლობაზე? შევძლებთ კი ჩვენ გათიშულობისა და არსებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე ერთპიროვნულობა გამოვიჩინოთ, ვიკისროთ ეს, ასე ვთქვათ, მთელი კაცობრიობის, მთელი დედამიწის სახელით? ჩვენი მუდარაა, მეტოქეობის, უსიდი პრიორიტეტისათვის ბრძოლის თავიდან ასაცდენად ამ საკითხის

გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიენდოთ. ჩვენი თხოვნაა, ამასთან, ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ვეტოს უფლება და, თუ შესაძლებელია, გამონაკლისის სახით ამჯერად გაუქმდეს კიდეც ეს უფლება. ჩვენთვის მეტად მწარე და მძიმეა ასეთ ამბებზე ფიქრები სამყაროს მილმიერ გალაქტიკაში ყოფნისას, მაგრამ ჩვენც მიწისშვილები ვართ და კარგად ვიცნობთ ჩვენს სამყოფელ პლანეტას.

და ბოლოს ისევ ჩვენს თავზე, ისევ ჩვენი საქციელის თაობაზე მოგახსენებთ. ჩვენ ვიცით, რაოდენ გაოცებასა და, ამის შედეგად, რა სასწრაფო ღონისძიებებს გამოიწვევდა ორბიტალური სადგურიდან ჩვენი გაუჩინარება. ჩვენ დიდად ვწუხვართ, რომ ესოდენ შეგაშფოთეთ. მაგრამ ეს ის უნიკალური შემთხვევა იყო მსოფლიო პრაქტიკაში, როცა ჩვენ არ შეგვეძლო, უფლება არ გვქონდა უარი გვეთქვა ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდ საქმეზე. ჩვენ მკაცრი რეგლამენტის ხალხი ვართ და ამიტომ მოვალენი ვიყავით ასეთი მიზნის გამო ამ რეგლამენტის პირუკუ მოვქცეულიყავით.

დაე, ეს ჩვენს სინდისზე იყოს, დაე, მოგვეზღოს ამისათვის ღირსი სასჯელი. მაგრამ ჯერჯერობით დაივიწყეთ ეს ამბავი. გვისმინეთ! ჩვენ გადმოგეცით სიგნალი სამყაროდან. ჩვენ გადმოგეცით ნიშანი აქობამდე უცნობ გალაქტიკურ სისტემიდან — მპყრობელს მნათობიდან. ცისფერთმიანმა ტყისგულელებმა უდიდესი თანამედროვე ცივილიზაცია შექმნეს. მათთან შეხვედრამ შეიძლება ძირფესვიანად შეატრიალოს მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელი კაცობრიობის ბედი. გავბედავთ კი ამას, პირველ ყოვლისა, დედამიწის ინტერესებიდან გამომდინარე?..

უცხოპლანეტელების მხრიდან ჩვენ არა საფრთხე არ მოგველის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია. მაგრამ მათ გამოცდილებას თუ ვეზიარებით, შეგვიძლია გადატრიალება მოვახდინოთ ჩვენს ყოფიერებაში, შეგვეძლება სამყაროს მატერიალური გარემოცვიდან ენერგიის მიღება და უიარაღოდ, ძალადობის, ომების გარეშე ცხოვრება. ეს უკანასკნელი შესაძლოა მოსმენითაც კი დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიცავართ მთელი არსებით, რომ სწორედ ასე აქვთ ცხოვრება მოწყობილი ტყისგულეთის პლანეტის გონიერ არსებათ, რომ სწორედ ასეთ ნანატრ სრულყოფისთვის მიუღწევიათ მათ, რომელნიც ისეთივე სიდიდის მქონე გეობიოლოგიურ სამყოფელზე სახლობენ, როგორიც დედამიწაა. სამყაროეულ, მაღალცივილიზებულ აზროვნების მატარებელი ეს მკვიდრნი მზად არიან ლია კონტაქტი იქონიონ გონებით თავიანთ მოძმე მიწისშვილებთან ,ისეთი ყაიდისა და ხასიათის კავშირი, რაიც შეესაბამება ორივე მხარის მოთხოვნილებებსა და ღირსებებს.

მიწისმილმიერი ცივილიზაციის აღმოჩენით გატაცებულთ და სულის სიღრმემდე შეძრულთ ჩვენ ძაინც გვწყურია ჩქარა დაბრუნება, რათა ვამცნოთ ადამიანებს ყოველივე ის, რისი მოწმენიც გავხდით ჩვენი სამყაროს მილმა მყოფ გალაქტიკაში მპყრობელ მნათობის სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე.

ჩვენ განზრახული გვაქვს რადიოკავშირის ან სეანსიდან ოცდარვა საათის ანუ ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ უკანვე გამოვფრინდეთ „პარიტეტზე". ხოლო „პარიტეტზე" ჩამოსვლის შემდეგ ცენტრის წინაშე წარვსდგეთ.

ჯერჯერობით კი ნახვამდის. მზის სისტემისკენ გამოფრენის წინ გაცნობებთ „პარიტეტზე" ჩვენი ჩამოსვლის დროს.

ამით ვამთავრებთ ჩვენი პირველი ცნობების გადმოცემას ტყისგულეთის პლანეტიდან. მალე შევხვდებით ერთმანეთს. ძალიან გთხოვთ, გადასცეთ ჩვენს ოჯახებს, ნუ იღელვებენ.

პარიტეტ-კოსმონავტი 1-2
პარიტეტ-კოსმონავტი 2-1".

ავიოსანი „კონვენციაზე" განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიების ცალ-ცალკე ახდომა, რაიც ორბიტალურ აადგურ „პარიტეტზე" საგანგებო შემთხვევის გამოკვლევის თაობაზე შედგა, იმით დამთავრდა, რომ ორივე კომისიის მთელი შემადგენლობა ზემდგომ ინსტანციებთან საკონსულტაციოდ გაფრინდა. ერთმა თვითმფრინავმა, ავიოსანის გემბანიდან აფრენის შემდეგ, სან-ფრანცისკოსკენ აიღო გეზი, მეორე რამდენიმე წუთის შემდეგ საპირისპირო მხარეს — ვლადივოსტოკისკენ გაფრინდა.

ავიოსანი „კონვენცია" კვლავაც თავის მუდმივ სამყოფელ ადგილას — წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით იმყოფებოდა... ავიოსანზე მკაცრი წესრიგი მეფობდა. ყველა თავის საქმეს ადგა, ყველა ფხიზლად იყო... ყველა დუმდა..

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა ამ მხარეში უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

აგერ მესამედი გზაც გაილია ანა-ბეიითისკენ. სწრაფად ამოგორებული მზე თითქოს ერთ ადგილას მიეყინა საროზეკის ცას. მაშასადამე, დღე უკვე დადგა და სიცხემაც დღის საკადრისად დააჭირა.

ბურანელი ედიღეი ხან საათს, ხან მზეს უყურებდა, ხან წინ გადაშლილ ტრამალის ტრიალ მიდამოებს. ყოველივე ისე მიედინებოდა, როგორც ჯერ არს. ისევე მიჩინდრიკობდა ყარანარი, ისევ უკან მიპყვებოდა მისაბძელიანი ტრაქტორი, ტრაქტორის კვალდაკვალ — ბორბლიანი ექსკავატორი „ბელარუსი"; ცოტა განზე კი ჟოლბარსი მიძუნძულებდა.

„თურმე ადამიანს წამით არ შეუძლია ფიქრის გარეშე. აბა უყურე, რა სულელურადაა მოწყობილი — გინდა არ გინდა, ფიქრს ფიქრი მოსდევს დაუსრულებლივ. ვინემდე ალბათ არ მოკვდები!" ეს აღმოაჩინა დამცინავად ედიღეიმ. როცა საკუთარ თავს შეასწრო, რომ გაუთავებლივ რაღაცას ფიქრობს გზაში, ფიქრი ფიქრს ეტორღიალება, ვით ტალღას ტალღა ზღვაში, პატარა ბიჭობაში საათობით გაპყურებდა არალის ზღვას, როცა ქარი შორს თეთრ ფურთუნებს წამორეკავდა. ქეჩოაფაფრული ნაპირს უახლოვდებოდა და ტალღას ტალღზე შობდა. ასე იბადებოდა, ნადგურდებოდა, ისევ იბადებოდა და კვდებოდა ზღვის ცოცხალი სხეული. და ნატრობდა ბიჭი თოლიად გადაქცეულიყო, გადაფრენოდა ამ ტალღებს, ამ მოელვარე შხეფებს, რა არის მაღლიდან დაეხედა, როგორ ცოცხლობს და სულდგმულობს ეს დიადი წყალი.

შემოდგომის პირისეული, გამჭვალავი ჭმუნვით მოსილი ხალვათი საროზეკი, აქლემის ერთფეროვანი ბაკაბუკი ბურანელ ედიღეის ფიქრის გუნებაზე აყენებდა და ისიც აღარ ეწინააღმდეგებოდა, ნებდებოდა ამ ფიქრებს,

რამეთუ წინ დიდი გზა ედო და არც არაფერი აფერხებდა ამ გზაზე. ყარანარი, როგორც სჩვეოდა ხოლმე დიდ გზაზე სიარულისას, ნელ-ნელა შეხუბრდა სიარულში და მუშკის მძაფრი სუნი ასდინდა კისრიდან ჯიდაომდე. „აბა, აბა, — კმაყოფილებით ილიმოდა ედიღეი გულში — მაშასადამე, ბაყვებში უკვე ოფლი ხვითქად გადაგდის! ჰაიტ, შე ნადირო, ჰაიტ, შე მართალ[illegible] ფინთი ხარ, ფინთი!"

გააახსენდა ედიღეის წარსული დღენი და საქმენი, როცა ყაზანგაპი ჯერ კიდევ ჯანიანად და ყოჩაღად იყო; მოგონების გალამ ყოვლად უადგილოდ ადდრინდელი მწარე ნაღველიც ამოატივტივა. ვერც ლოცვებმა უშველა, რომლებსაც ჩურჩულით იმეორებდა ისევ და ისევ, რომ გადეყარა, განერინა, მიეჩქმალა კვლავაც დაბრუნებული გულისტკივილი. მაგრამ ტკივილი არ ცხრებოდა. მოიჟამა ბურანელი ედიღეი, ქუსლებს უმიზეზოდ სცემდა წამდაუწუმ ბეჯითად მოჩინდრიკე აქლემს, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და აღარც გაუხედავს უკან რახრახით მომავალი ტრაქტორისაკენ. გაუშვი, კვალდაკვალ მოჰყვნენ, არ ჩამორჩნენ, რაში ენაღვლებათ ამ ჯერ უმწიფარ ყმაწვილებს ის ძველი ამბავი, რაზედაც მასა და მის ცოლს კრინტი არ დაუძრავთ, მაგრამ რაიც ყაზანგაპმა, როგორც ყოველთვის, ბრძნულად და ნამუსიანად განსაჯა. მარტო მან შესძლო ამის განსჯა, თორე ედიღეი ბორანლი-ბურანს კაი ხნის წინათ მიატოვებდა...

იმ წელს, ორმოცდათერთმეტი წლის დამლევს, ზამთარში ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ერთი ოჯახი ჩამოვიდა — ცოლი, ქმარი და ორი ბავშვი. უფროსი ბუთი წლისა იყო და დაული ერქვა, მეორეს, სამი წლისას — ერმექი. ოვითონ აბუტალიფი ედიღეის კბილა იქნებოდა. ვინემ ომი დაიწყებოდა, აულის სკოლაში ერთი წელი მასწავლებლობდა ჯერ სულ ყმაწვილი აბუტალიფი, ხოლო ორმოცდაერთის პირველ დღეებში ფრონტზე გაგზავნეს. მაშასადამე, ზარიფასა და მას ომის დასასრულს თუ ცოტა უფრო გვიან მოუწერიათ ხელი. ზარიფაც აქ ჩამოსვლამდე უმცროს კლასებში მასწავლებლობდა. ბედმა მდევარმა კი აქ, საროზეკში, ამ ბორანლი-ბურანზე მოაგდო ისინი.

დალხენილ ცხოვრებას რომ არ გამოქცევია ეს ცოლ-ქმარი ამ გადაკარგულ საროზეკში, თავიდანვე ნათელი იყო, ბუტალიფი და ზარიფა სხვაგანაც მშვენივრად მოეწყობოდნენ. არადა, ეტყობა, ისე წავიდა საქმე, სხვა გამოსაყალი აღარ ჰქონდათ. პირველ ხანებში ბორანლელებს ეგონათ, ესენი აქ დიდხანს ვერ გაძლებენ, ვერ შესძლებენ, სადმე სხვაგან გადასახლდებიანო. მისიანები ბევრი ჩამოსულა და წასულა უკან ბორანლი-ბურანიდან. ამასვე ფიქრობდნენ ედიღეიცა და ყაზანგაპიც, თუმცა აბუტალიფის ოჯახს მაინც ყველა დიდ პატივს სცემდა. წესიერი, განათლებული ხალხი იყო. ცხოვრებისაგან შეჭირვებულნი, ცოლიცა და ქმარიც სხვებივით მუშაობდნენ, განძელებს საკუთარი ზურგით ათრევდნენ. გზის ნამქერებიდან გაწმენდისას სხვებივით იყინებოდნენ. მოკლედ, რაც რკინიგზის მუშებს ევალებოდათ, ისინი იმას აკეთებდნენ. თანაც შეკრული, შეხმატკბილებული ოჯახი იყო, თუმცა გატანჯული იმის გამო, რომ აბუტალიფი გერმანელების ტყვეობაში იყო ნამყოფი. მართალია, ომის წლების ენებანი იმ ხანებში ისე აღარ ბობოქრობდა; ყოფილ ტყვეებს მოღალატეებად და მტრებად უკვე აღარავინ თვლიდა. რაც შეეხება ბორანლელებს, იმათ ტვინი ამაზე არც უჭყლეტიათ. რა მოხდა მერე, კაცი ტყვედ იყო, ომი გამარჯვებით დამთავრდა. მსოფლიოს ამ საშინელ ორომ-

ტრიალში განა ცოტა ვაება ნახა ხალხმა. ზოგი აგერ დღემდე დაწანწალებს, ფეხი ვერსად მოუკიდია. ომის აჩრდილი კვლავაც ფეხდაფეხ დასდევს ადამიანებს... ამიტომაც კითხვებით სული ალარ შეუწუხებიათ ჩამოსულებისათვის, ან რატომ უნდა შეაწუხო და მოშხამო ადამიანები, რომლებმაც ალბათ ისედაც ბევრი მწარე იგემეს...

გავიდა ხანი და ედიღეი და აბუტალიფი შეუშინებლად [illegible] ალოვდნენ. ჭკვიანი კაცი იყო აბუტალიფი. რომ შავი დღე ადგა, თავს მაინც არ ისაწყლებდა, ლირსებას არ ჰკარგავდა, წარამარა ბედზე არ წუწუნებდა. ანგარიშს უწევდა, ქვეყნად რაც ხდებოდა, მიხვდა ალბათ, რომ ასეთი ხვედრი არგუნა განგებამ. ზარიფაც, როგორც ჩანს, ასევე ფიქრობდა. ორივენი შეურიგდნენ იმას, რომ პასუხისგება, ზღვევა გარდუვალი იყო და ცხოვრების აზრად ერთმანეთისადმი რაღაც გასოცარი სიხაზე და სიახლოვე იქცა მათთვის. მერე მიხვდა ედიღეი, რომ ეს ასულდგმულებდათ, ასე იცავდნენ თავს, ერთიმეორესა და შვილებს ასე იფარავდნენ დროის მძვინვარე ქროლვისაგან. მეტადრე აბუტალიფი ერთ დღესაც ვერ ძლებდა ცოლ-შვილის გარეშე. სულს ერჩივნა თავისი ბიჭები. როგორც კი მოიცლიდა, სულ მათთან იყო, წერა-კითხვას ასწავლიდა, ნაირ-ნაირ გამოცანას. თამაშს უგონებდა. ცოლ-ქმარი რომ საამუშაოდ წავიდოდა, ყმაწვილები მარტო რჩებოდნენ ბარაკში. მაგრამ უჭუბალა ამას მშვიდად ვერ უყურებდა, ბიჭები თავისთან მოძყავდა ხოლმე. მათ სახლში უფრო თბილოდა. მათი ცხოვრება იმ დროისათვის უფრო უკეთ იყო მოწყობილი, ვიდრე ახალჩამოსულთა. ამ ამბავმა დაახლოვა ეს ორი ოჯახი. იმხანად ხომ ედიღეისაც ჰყავდა შვილები, ორი გოგო, აბუტალიფის ბიჭების კბილა.

გადასარბენზე მუშაობიდან რომ მობრუნდა ერთხელ აბუტალიფი და თავისი პატარა ბიჭების წასაყვანად ედიღეის შეუარა, ასე უთხრა:

— ბარემ შენს გოგოებსაც ვამეცადინებ, ედიღეი, იმიტომაც ვარ სულ ბალღებთან, რომ საქმე არა მაქვს. ბალღები დაამხანაგდნენ, ერთად თამაშობენ. დღისით თქვენთან იქნებიან. საღამოს ჩვენთან. ამას რატომ ვამბობ, იცი? აქ, ამ გადაკარგულში, ისედაც მწირია ცხოვრება, იმიტომაც ზრუნვა უნდა ყმაწვილებს. ახლა ისეთი დრო დადგა, ცოდნას პატარაობითვე უნდა დაეწაფონ. ამისთანა ცეროდენებმა იმდენი უნდა იცოდნენ, რაც წინათ კაცგა მოზრდილებმა. თორემ ისე განათლების მიღება გაუჭირდებათ.

მისი ესოდენი მოწადინების მიზეზსაც მოგვიანებით მიხვდა ბურანელი ედიღეი, როცა უბედურება მოხდა. მაშინ იაზრა, რომ აბუტალიფის დღეში მყოფ კაცს მხოლოდ ამის გაკეთება შეეძლო შვილებისათვის ბორანლი-ბურანის პირობებში საკუთარი ძალითა და უნარით. თითქოსდა იცოდაო, ისე ეშურებოდა რაც შეიძლება მეტი მიეცა თავისი შვილებისთვის, თითქოს ამით უნდოდა უფრო მეტად დაემახსოვრებინა თავი მათთვის, თავის შვილებში გაენგრძო ცხოვრება. აბუტალიფის სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ მათი სახლი სკოლა-ბალად გადიქცეოდა ხოლმე მისი და ედიღეის შვილებისთვის. ბალღები სწავლობდნენ ასოებს, მარცვლებს, თამაშობდნენ, ხატვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, უსმენდნენ, რასაც მშობლები უკითხავდნენ. ერთად სწავლობდნენ სიმღერებსაც. მეცადინეობა იმდენად სახალისო იყო, ედიღეიც ხშირ-ხშირად მიაკითხავდა ხოლმე. უჭუბალაც მალიმალ მორბოდა. ეითომ რაღაც საქმეზე, სინამდვილეში კი თავისი გოგოების დასახედად. გულზე ეფონებოდა ხოლმე ბურანელ ედიღეის, სული ტკბებოდა მისი. აი, რას ნიშნავს განათლე-

ბული. მასწავლებელი ხალხი! ან ბალღებს როგორ ექცევიან, ან თვითონაც როგორ გაბალღდებიან ხოლმე და ამასთან უფროსის სიდინჯეს არ კარგავენ. ედიღეი თავისთვის ჩუმად მიდგებოდა კუთხეში, ხელი რომ არ შეეშალა. შემოსვლისას კი ზღურბლზეკე მოიშვლებდა ქუდს.

— საღამო მშვიდობისა! აგერ მეხუთე შეგირდიც გეახლათ.

ყმაწვილებიც მიეჩვივნენ ედიღეის სტუმრობას. მისი გოგოები ხომ სიხარულით ცას ეწეოდნენ. მამასთან უფრო მეტად მუყაითობდნენ. ედიღეი და უქუბალა რიგრიგობით ახურებდნენ ღუმელს, რომ საღამოობით აბუტალიფის ბარაკში ძეტი სითბო და სიმყუდროვე ეგრძნოთ ბალღებს.

აი, რა ოჯახი შეეკედლა იმ წელს ბორანლი-ბურანს, მაგრამ საოცარია და, ასეთ ადამიანებს ბედი რატომღაც არც მაინცდამაინც სწყალობთ.

აბუტალიფ ქუთიბაევის მთელი უბედურება ის იყო, რომ არა მარტო გერმანელებთან მოხვდა ტყვედ, მისდა ჭირად თუ ბედად საკონცენტრაციო ბანაკიდან ტყვეების ჯგუფთან ერთად გამოიქცა სამხრეთ ბავარიიდან და ორმოცდასამში იუგოსლაველ პარტიზანთა რიგებში ამოჰყო თავი. იუგოსლავიის განმათავისუფლებელ ჯარში აბუტალიფი ომის დასრულებამდე იბრძოდა. იქ დაჭრეს კიდეც და უმკურნალეს. დაჯილდოებული იყო იუგოსლავური ორდენებით. მისი ამბავი პარტიზანულ გაზეთებში გაწერეს, სურათებიც კი გამოაქვეყნეს. ეს ამბავი ძალიან დაეხმარა, როცა სამშობლოში დაბრუნებისას ორმოცდასუთ წელს საკონტროლო-საფილტრაციო კომისიაში განიხილეს მისი საქმე. საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული თორმეტი კაციდან ოთხილა გადაურჩა სიკვდილს. ამ ოთხს ბედმა იმაშიც გაუმართლა, რომ საბჭოთა საკონტროლო კომისია უშუალოდ იქ ჩავიდა, სადაც იუგოსლავიის განმათავისუფლებელი ჯარის ქვეგანაყოფი იმყოფებოდა. იუგოსლაველმა მეთაურებმა წერილობითი დახასიათება მისცეს, ყოფილმა საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა რა საბრძოლო და ზნეობრივი თვისებები გამოიჩინეს, რა მონაწილეობა მიიღეს ფაშისტთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში.

ერთი სიტყვით, მთელი ორი თვე გაგრძელდა შემოწმება, დაკითხვა თუ მოწმეთა პირისპირ წაყენება, მთელი ეს ორი თვე ხან იმედი და ხან უიმედობა ენაცვლებოდა ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა აბუტალიფ ქუთიბაევი თავის ყაზახსტანში. მართალია, უფლებები არ ჩამოართვეს, მაგრამ არც ის უპირატესობა მისცეს, რაიც ჩვეულებრივ დემობილიზებულთ ეკუთვნოდა. აბუტალიფ ქუთიბაევს გულში წყენა არ ჩარჩენია. ომამდე გეოგრაფიას ასწავლიდა სკოლაში და ახლაც იმავე საქმეს დაუბრუნდა. იქ, რაიცენტრის ერთ-ერთ სკოლაში შეხვდა იგი დაწყებითი კლასების ახალგაზრდა მასწავლებელ ზარიფას. არც ისე ხშირად, მაგრამ ხანდახან მოიგუნებებს ხოლმე ბედი ორივე მხარე ერთნაირად გააბედნიეროს, არც უამისობაა ამქვეყანაზე.

ამასობაში გადაიქუხა გამარჯვების პირველმა წლებმა. ზეიმსა და სიხარულს ფეხადაფეხ მოჰყვა „ცივი ომის" პირველი ნიშან-ამბები. მერე თანდათან იმატა სუსხმა. შეიკუმშა შეგნების ზამბარები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მტკივან წერტილში.

გეოგრაფიის ერთ გაკვეთილზე ეს ზამბარა კიდევაც ამოქმედდა. ადრე თუ გვიან, აქ თუ სხვაგან ეს მაინც მოხდებოდა, მას თუ არა, სხვას მაინც დააჭყდებოდა თავს.

მერვე კლასის მოსწავლეებს უყვებოდა აბუტალიფი მსოფლიოს ევრო-

პულ ნაწილზე. ისიც მოპყვა, როგორ წარეკეს ერთხელ ტყვეები კონცენტრაციო ბანაკიდან სამხრეთ ბავარიის ალპების ქვის სამტეხლოებში, სადაც მოახერხეს ყარაულის განიარაღება და იუგოსლავიის პარტიზანებთან გაღწევა. უამბო, როგორ გაიარა მან ომის დროს ნახევარი ევროპა [illegible] ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე. კარგად იცნობს იქაურ [illegible] ადგილთა ყოფას, რისი აღწერაც სახელმძღვანელოებში შეუძლებელია, ხოლო ამ ამბების მოწმის მონაყოლი უფრო ცოცხალს გახდიდა გაკვეთილს მისი აზრით.

მასწავლებლის ჯოხი სასკოლო დაფაზე დაკიდებულ ევროპის ლურჯ-მწვანე-ყავისფერ რუკაზე დასრიალებდა, მაღლობებს, ვაკეებს, მდინარეებს ხაზავდა, წარამარა იმ ადგილებზე ჩერდებოდა, ახლაც რომ ღამღამობით ესიზმრებოდა, სადაც ყოველ ცისმარე დღე წლების მანძილზე ზამთარ-ზაფხულ ბრძოლები იყო. იქნებ ჯოხი იმ წერტილსაც შეეხო, სადაც მან სისხლი დაღვარა, როცა გვერდიდან მოულოდნელად მტრის ავტომატის ჯერმა დასერა. ნელა დაგორდა მერე ფერდობზე, სისხლით შეღება ჯოყარი და ქვები, ის ალისფერი სისხლი მთელ ამ სასწავლო რუკას შეღებავდა. წამით მოეჩვენა კიდეც, როგორ გაიდღაბნა ალისფერი სისხლი რუკაზე, როგორ დაესხა მაშინ თავბრუ და თვალთ დაუბნელდა, ყველაფერი აუჭრელდა თვალებში, როგორ გადმოყირავდა და ჩამოემხო მთები და იყვირა, საშველად უხმო თავის პოლონელ მეგობარს, რომელთან ერთად შარშან ზაფხულს გამოიქცა ბავარიის სამტეხლოებიდან: „კაზიმირ! კაზიმირ!“ მაგრამ ვერ კი გააგონა, ან როგორ გააგონებდა, როცა თვითონ ეგონა, ვყვირივარო, თორემ ხმაც კი არ დაუძრავს. გონზე მხოლოდ პარტიზანულ ჰოსპიტალში მოვიდა, სისხლის გადასხმის მერე.

აბუტალიფს თავადაც უკვირდა, ამდენი გადატანილი ტანჯვის შემდეგ როგორ საქმიანად, მიუკერძებლად ჰყვებოდა მხოლოდ იმ ამბებს, ელემენტარულ სასკოლო გეოგრაფიას რაც ეხებოდა.

უცბად წინა მერხზე ვილაცამ ასწია სწრაფად ხელი და ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— ალაი[1], მაშ თქვენ ტყვედ იყავით?

ცივად, ნათლად შეჰყურებდა აბუტალიფს მოსწავლის მკაცრი თვალები. ბიჭს თავი ოდნავ უკან გადაეწია, „სმენაზე“ იდგა. რატომღაც სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში ბიჭის ტუჩ-პირი, წინ წამოყრილი ზედა კბილები.

— კი, რატომ მკითხე?

— რატომ არ მოიკალით თავი?

— რად უნდა მომეკლა? მე ხომ ისედაც დაჭრილი ვიყავ.

— იმიტომ, რომ არ შეიძლება მტერს ტყვედ ჩაუვარდე, აკი ბრძანებაც ასეთი იყო!

— ვისი ბრძანება?

— ვისი და ზემოდან!

— შენ საიდან იცი?

— მე ყველაფერი ვიცი. ალმა-ატიდან ჩამოდის ხოლმე ჩვენთან ხალხი, მოსკოვიდანაც ჩამოდიან. მაშასადამე, ბრძანება არ შეასრულეთ?

— მამაშენი თუ იყო ჯარში?

— არა, მას მობილიზაციის საქმე ებარა.

---

1 მასწავლებელი.

— მაშინ არა მგონია ერთმანეთს გავუგოთ. იმას კი ვიტყვი, რომ სხვა გამოსავალი არ დამრჩენოდა.

— და მაინც უნდა შეგესრულებინათ ბრძანება.

— რას ჩააცივდი? — წამოხტა მეორე მოწაფე. — ჩვენი მასწავლებელი იუგოსლაველ პარტიზანებთან იბრძოდა, მეტი რა გინდა?

— სულ ერთია, ბრძანება მაინც უნდა შეესრულებინა, [illegible] ბრძანებდა პირველი.

მაშინ კი დაირღვა სამარისებური სიჩუმე, აზუზუნდა, ახმაურდა მთელი კლასი: „უნდა მოეკლა თავი!“ „არა, არ უნდა მოეკლა!“ „შეეძლო მოეკლა!“ „არ შეეძლო!“ „სწორია!“, „არაა სწორი!“. მასწავლებელმა ბოლოს მუშტი დაახეთქა მაგიდაზე.

— შეწყვიტეთ ლაბარაკი! ახლა გეოგრაფიის გაკვეთილია! როგორ ვიბრძოდი, ან რა გადამხდა, იქ იციან, სადაც და ვინც უნდა იცოდეს. დავუბრუნდეთ რუკას!

კლასში არც ახლა დაუნახავს არავის ის ძნელად გასარჩევი წერტილი რუკაზე, საიდანაც ხელახლა იჭექა ავტომატის ჯერმა. დაფასთან ჯოხით მდგარი მასწავლებელი ნელ-ნელა დაგორდა ფერდობზე, მისმა სისხლმა შეღება ევროპის ლურჯ-მწვანე-ყავისფერი რუკა...

რამდენიმე დღის შემდეგ მასწავლებელი რაიონის განათლების განყოფილებაში დაიბარეს. იქ მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ უთხრეს, განცხადება დაწერეთ, რომ საკუთარი სურვილით გნებავთ სამსახურიდან წასვლათ: ყოფილ სამხედრო ტყვეს ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა მოზარდი თაობა გაეზარდა.

მეტი რა გზა იყო, სხვა რაიონში გადაბარგდნენ აბუტალიფი და ზარიფა თავისი პირმშო დაულით, რაც შეიძლება შორს საოლქო ცენტრიდან. ერთი აულის სკოლაში მოეწყვნენ. თითქოს მოეკიდნენ იქაურობას, ჭერიც იშოვეს, ზარიფა ნიჭიერი მასწავლებელი იყო და სასწავლო ნაწილის გამგე გახდა. მაგრამ დადგა ორმოცდარვა წელი, დაიწყო იუგოსლავიასთან დაკავშირებული ამბები. ახლა აბუტალიფი არა მარტო ნატყვევარი, არამედ საეჭვო პიროვნებაც გახდა. იუგოსლავიაში დიდხანს ნამყოფი. ბევრი ამტკიცა, იუგოსლაველ ამხანაგებთან ერთად მხოლოდ ვპარტიზანობდით, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ყველა თანაუგრძნობდა, ყველას ესმოდა მისი ამბავი, პასუხისმგებლობა კი არავინ იკისრა, ვერავინ გაბედა. ისევ გამოიძახეს რაიონის განათლების განყოფილებაში, ისევ დააწერინეს განცხადება, ჩემი ნება-სურვილით გამათავისუფლეთო...

ასე და ამგვარად, ადგილიდან ადგილზე ხეტიალის შემდეგ ამოჰყო თავი აბუტალიფის ოჯახმა ორმოცდათერთმეტი წლის შუა ზამთარში საროზექში, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე...

დიდი ცხელი ზაფხული დადგა ორმოცდათორმეტში. მიწა ისე გამოახმი და გაავარვარა პაპანებამ, საროზექელმა ხვლიკებმაც კი აღარ იცოდნენ, რა ექნათ. სად წასულიყვნენ, ადამიანების შიში დაკარგეს და ზღურბლს მოაწყდებოდნენ ხოლმე პირდაღებულნი და აქლოშინებულნი, ოღონდაც კი მზეს დამალოდნენ. ძერები ისე მაღლა იკარგებოდნენ ცაში სიგრილის საძებრად, ჩვეულებრივი თვალი ვეღარც სწვდებოდა. მხოლოდ დროდადრო თუ დაიჩხავლებ-

და რომელიმე და მერე კარგა ხნით ყუჩდებოდნენ ხოლმე ამ გავარვარებულ ჰაერში.

მაგრამ სამსახური სამსახური იყო. მატარებლები აღმოსავლეთიდან დასავლეთით, დასავლეთიდან კი აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ. ბორანლი-ბურანზე ხვდებოდნენ და შორდებოდნენ ერთმანეთს. ვერა სიცხე, ვერ შეუშლიდა ხელს მატარებლების მოძრაობას ამ დიდ სახელმწიფო მაგისტრალზე.

ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. რკინიგზაზე ხელჯაგებით უნდა გემუშავა, შიშველ ხელს ვერც ქვას დააკარებდი და მით უმეტეს ვერც რკინას. მზე გავარვარებულ ტაფასავით ეკიდა ცაზე. წყალი, როგორც ყოველთვის, ცისტერნით მოჰქონდათ და, ვინემ მოიტანდნენ, ლამის უკვე დუღდა. ტანისამოსი ორ დღეში უკვე ტანზე გეწვოდა. მგონი, ზამთრის უწყალო ყინვებიც კი უფრო ადვილი ასატანი იყო საროზეკში, ვინემ ეს ხვატი.

ბურანელი ედიღეი აბუტალიფის გამხნევებას ცდილობდა იმ დღეებში.

— განა ყოველთვის ასეა ზაფხულში, წელსაა მხოლოდ ასე,— ისე იმარჯლებდა თავს, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, — კიდევ თხუთმეტი, ჰა, ჰა, ოცი დღე — და აგრილდება, დაიკლებს სიცხე. დასწყევლოს ღმერთმა, სული ამოგვხადა, გაგვაწამა ყველა. ასე იცის ჩვენს საროზეკში, ზაფხულის ბოლოს გატყდება ხოლმე სიცხე, ხელად იცვლება ამინდი. მაშინ ზამთრამდე სამოთხესავით შემოდგომაა — გრილა, საქონელი ხორცს ისხამს. წელს სწორედ ასეთი პირი უჩანს, ამის ნიშნებიც ჩანს. ისე რომ გაუძელით, შემოდგომა კარგი იქნება.

— მაშასადამე, პირობას იძლევი? — გაეღიმა აბუტალიფს.

— შეიძლება ითქვას, კი.

— მაგაზედაც მადლობელი ვარ. ასე მგონია, აბანოში ვარ-მეთქი ახლა. მაგრამ ჩემი დარდი არა მაქვს, მე და ზარიფა როგორმე გავძლებთ, ასეთები მოგვითმენია! ბალღები მეცოდება... ვერ მიცქერია...

გაწამდა ბორანლელი გოგობიშობა, გახდნენ, შეიფერთხნენ, ამ ბულსა და ვამასავათებელ სიცხეს ვერსად დამალოდნენ. ერთი ხე არ ხარობდა ირგვლივ, ერთი წყარო არ მირაკრაკებდა ყმაწვილების გულის გასახარად. გაზაფხულზე რომ გამოცოცხლდა საროზეკი და ირგვლივ მცირე ხნით გადამწვანდა ხეები და ფერდობები, გაიხარეს და მოილხინეს ბალღებმა. ბურთიც ითამაშეს, დამალობანაც, ტრამალში ზაზუნებს დასდევდნენ. გულს უხაროდა მათი ჟრიამული, მთელ არემარეს სძრავდა მათი ჟივილ-ხივილი.

ზაფხულმა მოსრა ყველაფერი. დაუდევარ ყმაწვილებსაც სიჭა გააცალა უსაშველო ხვატმა, რომელსაც სახლების კედლების ჩრდილში ემალებოდნენ. მხოლოდ მაშინ გამოჰყოფდნენ თავს, როცა მატარებლები ჩაივლიდნენ. მათი გართობა იყო — დაეთვალათ, რამდენი მატარებელი ჩაივლიდა აქეთ და რამდენი იქით, რამდენი იყო სამგზავრო ვაგონი და რამდენი სატვირთო. ხოლო როცა სამგზავრო მატარებელი ასაქცევზე სვლას შეანელებდა, ყმაწვილებს ეგონათ, ეს მატარებელი მაინც გაჩერდებაო აქ, და ქლოშინ-ქლოშინით მისდევდნენ უკან, მზისგან ხელმოჩრდილულნი. ვინ იცის, გულუბრყვილოდ ეჯერათ, რომ ამ ოორნედან შორს გააქროლებდათ ეს მატარებელი. გული მოგიკვდებოდა იმის შემხედვარეს, რა შურითა და არაბავშვური ნაღველით გასცქეროდნენ ბორანლელი გოგო-ბიჭები მიმავალ ვაგონებს. მგზავრებსაც დაეღოთ ვაგონის კარფანჯრები და ისინიც ლამის ჭკუიდან შეშლილიყვნენ სიცხის, სიმყრალისა და

ბუზებისაგან, მაგრამ იმედი მაინც ჰქონდათ, რომ ორიოდე დღის შემდეგ იქ ჩავიდოდნენ, სადაც გრილი მდინარეები და მწვანით მოსილი ტყეები იყო.

იმ ზაფხულს ყველას გული უკვდებოდა ბალღების შემყურე, დედებსაც და მამებსაც. მაგრამ რა დღეში იყო აბუტალიფი, ზარიფას გარდა ვერავინ, მარტო ედიღეიმ იცოდა. სწორედ ზარიფას გაესაუბრა იგი პირველად [illegible] მაშინ კიდევ სხვა რაღაცეებიც შეიტყო ამ ორი ადამიანის ბედზე.

იმ დღეს რკინიგზაზე მუშაობდნენ, ხრეშს ცვლიდნენ ვაგონზე, ლოლს ყრიდნენ განძელებისა და რელსების ქვეშ. ჩამოშლილ მიწაყრილს გამაგრება სჭიროდა. მატარებლები რომ ჩაივლიდნენ, მაშინ ანახლებდნენ ისევ მუშაობას. დიდი დრო სჭიროდა ამ საქმეს. პაპანება არაქათს აცლიდა ყველას. ნაშუადღევის პირი იყო, როცა აბუტალიფმა ცარიელი ბიდონი აიღო და ჩიხში მდგარ ცისტერნიდან გაცხელებული წყლის მოსატანად გასწია. თან ბავშვებსაც დავიყოლიებ, თქვა.

სწრაფი ნაბიჯით გაუყვა განძელებს, თუმცა მზე უმოწყალოდ აჭერდა. შვილებისკენ მიიჩქაროდა, თავისი თავი აღარ ედარდებოდა. გახუნებული, ჭუჭყისფერი მაისურა გაძვალტყავებულ მხრებზე ჩამოჰკიდებოდა, თავზე გახუნებული ჩალის ქუდი ეხურა, შარვალი ფომფლოდ ადგა გამხდარ ტანზე, ფეხზე გაცვეთილი სამუშაო წაღები ეცვა უზომოებოდ. მიდიოდა განძელებზე, ლანჩებს მიაშლაპუნებდა და ყურადღებას არაფერს აქცევდა. უკნიდან რომ მატარებელი გამოჩნდა, არც მაშინ მოუხედავს.

— ჰეი, აბუტალიფ, დაყრუვდი? ლიანდაგიდან გადადი! — დაუძახა ედიღეიმ.

მაგრამ აბუტალიფს არც ეს გაუგონია, მხოლოდ მაშინ ჩავიდა მიწაყრილის ფერდობზე, როცა ორთქლმავალმა საყვირი ააკივლა. მაგრამ არც მაშინ მიუხედავს ჩაქროლილი მატარებლისაკენ და არ დაუნახავს, მემანქანე მუშტებს რომ ულერდა.

კაცმა ომი მოიარა, ტყვეობაც იგემა და ჭალარა არ გარევია. ახალგაზრდა იყო და, ცხადია, ამიტომ. ფრონტზე ცხრამეტი წლისა წავიდა, უმცროს ლეიტენანტად. იმ ზაფხულს კი თეთრი გაერია თმაში. ასე იცის საროზექმა. უცბად გაერია, შავი, გრუზა თმა გადაუთეთრა. მეტადრე საფეთქლებზე იძალა ჭალარამ. კაი ცხოვრება ყოფილიყო, იცოცხლე, ლამაზი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იქნებოდა: ვანიერი შუბლი, არწივივით ცხვირი, ძლიერი ტუჩ-პირი, მოგრძო, დაკვირვებული თვალები. ტანადიც იყო. მაღალი, ზარიფა მწარედ გაეხუმრებოდა ხოლმე: „ბედმა გიმუხთლა, აბუ. საცა სიმართლეა, სცენაზე ოტელო უნდა გეთამაშა". აბუტალიფი ჩაიცინებდა: „ძალიან გინდა, რეგვენივით სცენაზე მიგახრჩო!".

ედიღეი მართლა შეაშინა იმან, რომ აბუტალიფმა მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო.

— უნდა უთხრა, ასე როგორ იქნება, — უსაყვედურა მან ზარიფას. მემანქანე პასუხს არ აგებს, ლიანდაგზე სიარული აკრძალულია. ესეც რომ არა, სიკვდილთან თამაში ვის გაუგია?

ზარიფამ მძიმედ ამოიოხრა, დანახშირებული, გაოფლილი სახე სახელოთი მოიწმინდა.

— მაშინებს, ძალიან მაშინებს მაგის ამბავი.

— რა იყო ასეთი?

— შიშით აღარ ვარ, ედიღეი, შენთან რა გვაქვს დასამალი. ჩემი და ბავ-

შვების გამო იტანჯება ასე. მშობლებს არამც და არამც არ უნდოდათ მაგას გავყოლოდი. ჩემი უფროსი ძმა გაგიჟდა, მიყვირა და მიყვირა: „შენი წუთისოფელი თითებს დაიჭამ სიმწრით, ჩერჩეტო! ეს გათხოვება კი არა, თავის გაუბედურებაა. შენი შვილები და შენი შვილთა შვილები, ჯერ ისევ არ გაჩენილან, ისინიც კი სატანჯველად განწირულნი არიან. მაგ შენმა მიჯნურმა თუ ჭკუა აქვს, ოჯახს მოეკიდოს კი არა, თავი უნდა ჩამოიხრჩოს. [illegible] ყველაფერს აჯობებს!“ ჩვენ კი მაინც ჩვენი გავიტანეთ. იმედი გვქონდა: ომი დამთავრდა, ცოცხლებსა და მკვდრებს ანგარიშს ვინ გაუსწორებს! არავის ვეკარებოდით, არც მაგისა და არც ჩემს ნათესავებს. უკანასკნელად კი, იცი, ჩემმა ძმამ რა ქნა? თვითონ დაწერა განცხადება: მე ადრევე გავაფრთხილე ჩემი და, არ მინდოდა ამ კაცს მისთხოვებოდაო. მე მათთან საერთო არაფერი მაქვს, მით უმეტეს, ისეთ პიროვნებასთან, როგორიც აბუტალიფ ქუთიბაევია, იუგოსლავიაში დიდხანს ნაცხოვრებიო. მას შემდეგ ისევ აირია ყველაფერი. სადაც არ წავედით, ყველგან ზურგი გვაქციეს, ახლოს არ გაგვიკარეს. ახლა კი აგერ აქ მოვხვდით, აქედან წასასვლელი გზა აღარც გვაქვს.

ზარიფა დადუმდა, ისევ საქმეს დაუბრუნდა — განძელების ქვეშ გამწარებით ჰყრიდა ხრეშს. ამასობაში ხელახლა გამოჩნდა მატარებელი. მათაც წამოკრიფეს ნიჩბები და ჯინები და ლიანდაგს გაეცალნენ.

გრძნობდა ედიღეი, ადამიანს როცა უჭირს, უნდა დაეხმარო, უშველო რამე. მაგრამ ედიღეის რისი შველა შეეძლო, უბედურება შორიდან მოდიოდა, საროზეკის საზღვრებს იქიდან.

— ჩვენ აქ კარგა ბლომა წელია ვცხოვრობთ. თქვენც მიეჩვევით, შეეგუებით. რას იზამ, ცხოვრება თავისას ითხოვს, — ხაზგასმით თქვა მან და ზარიფას შეხედა: „ეეჰ, მწარეა, მწარე საროზეკული პური. ზამთარში რომ ჩამოვიდნენ, თეთრყირმიზა იყო, ახლა კი მიწისფერი გაუხდა სახე, — გაიფიქრა და დაენანა თვალსა და ხელს შუა გამქრალი სილამაზე. —თმაც გამოუხუნდა, არადა, რა თმა ჰქონდა, წამწამებიც გამოუწვა მზემ, ტუჩები დაუსქდა. უმძიმს, ძალიან უმძიმს, არაა მიჩვეული გაჭირვებას... მაგრამ არ იმჩნევს, არ ტყდება, უძლებს. მოდი და ნუ გაუძლებ — ორი შვილის დედაა... მაინც ბარაქალა, ქალო...“

მატარებელმა ავტომატის ჯერივით ჩაიგრიალა, შეხუთული, ცხელი ჰაერის ბუღი დააყენა. ისინი ისევ ავიდნენ ლიანდაგზე იარაღებით — მუშაობა უნდა განეგრძოთ.

— გამიგონე, ზარიფა, — შეეცადა ედიღეი ქალის გამხნევებას, სინამდვილესთან მის შეგუებას. — ბალღებს აქ რომ გაუჭირდებათ, არ გედავები, ამას ლაპარაკი არ უნდა. ჩვენი გოგო-ბიჭების შეხედვაზე მეც გული მიკვდება. მაგრამ სიცხე ხომ მუდამ არ იქნება. დაცხრება. თანაც აქ ხომ მარტონი არა ხართ, ირგვლივ ხალხია, ჩვენც აქა ვართ ბოლოს და ბოლოს. რას იზამ, თავს ხომ ვერ მოიკლავ.

— მეც მაგას არ ვეუბნები, ედიღეი. მე ხომ ყოველნაირად ვცდილობ ზედმეტი არაფერი დამცდეს. განა არ მესმის, რა დღეშია.

— სწორსაც შვრები. ამის თქმა მინდოდა კიდევაც შენთვის, ზარიფა, შემთხვევას ველოდი. თვითონაც იცი ყველაფერი. სიტყვამ მოიტანა და ამიტომ გითხარი. მაპატიე.

— ხოგჯერ ასე მგონია, გული გამისკდება-მეთქი. ჩემი თავიც ვეცოდება

და ისიც, შვილები ხომ უფრო მეტად. რა მაგის ბრალია, მაგრამ თავს კი დამნაშავედ გრძნობს, რომ აქ ჩამოგვიყვანა. შეცვლა კი არაფრის შეუძლია. რა თქმა უნდა, ჩვენს მხარეში, ალათაუში, სადაც მთები და მდინარეებია, ცხოვრებაც სხვაა და ჰავაც სხვა. ბიჭები შეიძლებოდა ზაფხულში მაინც იქ გავეგზავნა. მაგრამ ვისთან? მშობლები აღარ გვყვანან, ადრე გარდაიცვალნენ. და-ძმები ნათესავებიდა დაგვრჩა... მაგრამ არც იმათ გაემტყუნებათ, ჩვენ გამო რატომ გაიმწარებენ სიცოცხლეს. ადრეც გაგვირბოდნენ. ახლა კი მით უმეტეს. რაში ენაღვლებათ ჩვენი შვილები? ჰოდა, ჩვენც ვეწამებით, ვაითუ მთელი ცხოვრება აქ ჩავრჩეთ. თუმცა ხმამაღლა ვერ ვამბობთ. არადა, ხომ ვხედავ, როგორ იტანჯება... წინ რა გველის, ღმერთმა იცის მარტო...

გაჩუმდა ორივე, მძიმე იყო ეს სიჩუმე. მერე აღარ დაბრუნებიან ამ საუბარს; მუშაობა განაგრძეს, ჩაატარებდნენ დროდადრო მატარებლებს და ისევ და ისევ მუშაობდნენ. სხვა რა ექნა? ნუგეში რითი ეცა, რითი ეშველა მათი გაჭირვებისათვის ედიღეის? „სამათხოვროდ მაინც არ ექნებათ საქმე, — ფიქრობდა ედიღეი. — ლუკმაპურს იშოვნიან, ორივე მუშაობს. თითქოსდა ძალით არავის დაუმწყვდევია, არადა, აქედან არც წაესვლებათ სხვაგან, არც ხვალ და არც ზეგ".

•

თავისი თავისაც უკვირდა ედიღეის, ასე რად აწუხებდა ამ ოჯახის ამბავი, თითქოსდა პირადად მას ეხებოდა. ვინაა ეს ხალხი მისთვის? ხომ შეეძლო ეთქვა თავისი თავისთვის — რა შენი საქმეა, ნეტა რა განაღვლებსო? ვინაა ბოლოს და ბოლოს ედიღეი, რომ ის განსაჯოს, რაც მისი განსასჯელი არაა? მისთანა ტრამალის მუშა ამქვეყნად ურიცხვია. რა მისი საქმეა ალშფოთდეს, სიხდისის ქენჯნა იგრძნოს, თავი იმტვრიოს, რაა უსამართლო თუ სამართლიანი ამ ქვეყანაზე. იქ, საიდანაც ეს ყველაფერი მოდის, უთუოდ ბურანელ ედიღეიზე ათასჯერ მეტი იციან, იქ უფრო საჩინოა ალბათ ყველაფერი, ვიდრე აქ, ამ საროზექში. რა მისი საქმეა, რატომ იტკივებს თავს? და მაინც ვერ დამშვიდებულიყო ედიღეი. რატომღაც ზარიფა უფრო ეცოდებოდა. აოცებდა და ხიბლავდა ამ ქალის ერთგულება, გამძლეობა, გასაჭირთან შეუპოვარი ბრძოლა. დედა ჩიტს ჰგავდა, ფრთებით რომ გადაეფოფრება ხოლმე ბუდეს, ქარიშხალმა არ დამინგრიოსო. მის ადგილზე სხვა იტირებდა, ივიშვიშებდა და ისევ ნათესავებს მიადგებოდა დაჩოქილი. ის კი ქმარს მხარში ედგა, მასთან ერთად ეწამებოდა ნარსულის გამო. იმიტომაც წუხდა ყველაზე მეტად და ყველაფრის მიუხედავად ედიღეი, თავად რომ არ შეეძლო მისი ქმარ-შვილის დაცვა. შემდეგში ბევრჯერ ინანა მწარედ, რად გადმოაგდო ბედმა ეს ოჯახი ბორანლი-ბორანზე, რად გაუჩინა ეს საწუხარი? არ ექნებოდა ეს განცდები და იცხოვრებდა ადრინდელივით არხეინად...

VI

წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით, ნაშუადღევის შემდეგ ზღვამ ღელვა იწყო, ტალღები წამოიქოჩრა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარმა, ამერიკის დაბლობებიდან დაძრულმა, ნელინელ მოიცა ძალა და ნელინელ გარკვეული მიმართულება მიიღო. უზარმაზარ სივრცეზე ამოძრავდა, მძიმედ ატორტმანდა წყალი, ზვირთი ზვირთზე აგორდა. ეს კი თუ ქარიშხლის არა, ხანგრძლივი ღელვის მაუწყებელი იყო.

ავიოსან „კონვენციას“ გაშლილ ოკეანეში ასეთი ზვირთები საშიშს არას უქადდა. სხვა დროს არც შეიცვლიდა მდებარეობას. მაგრამ, რაკიღა წუთი წუთზე იყო მოსალოდნელი სასწრაფოდ დაბრუნებულ განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიების თვითმფრინავთა გემბანზე დაჯდომა, ზემდგომ ინსტანციებთან გათათბირების შემდგომ, ავიოსანმა ქარის საწინააღმდეგოდ შებრუნება არჩია, რათა გემი ისე ადარ ერწია ზღვას. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჯერ სან-ფრანცისკოს, მერე კი ვლადივოსტოკის ლაინერი დაჯდა.

კომისიები უკლებლივ დაბრუნდნენ, ერთნაირად მდუმარენი და შეურვებულნი. თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ყველა საიდუმლო სათათბირო მაგიდას უჯდა. კომისიის მუშაობის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ ქიმიდან, მპყრობელის გალაქტიკაში მყოფ 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისთვის გადასაცემად სასწრაფო დაშიფრული რადიოგრამა გაიგზავნა: „ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ 1-2 და 2-1 კოსმონავტ-კონტროლიორებს, გააფრთხილეთ მზის სისტემის საზღვრებს მიღმა მყოფი 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტები, რომ არაფერი მოიმოქმედონ და ადგილიდან არ დაიძრან მართვის საერთო ცენტრის საგანგებო მითითებამდე“.

ამის შემდეგ განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთი პოზიციებისა და წინადადებების განხილვას კოსმიური კრიზისის გადასაწყვეტად...

ავიოსანი „კონვენცია“ წყნარ ოკეანეში იდგა ქარის პირისპირ, ზვირთი ზვირთზე ეხლებოდა გაუთავებლივ. მსოფლიოში კი არავინ უწყოდა, რომ ავიოსანის ქიმზე ამ დროს პლანეტის გლობალური ბედი წყდებოდა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ანა-ბეიითის სამარხამდე ორი საათის გზაღა დარჩენილიყო. სამგლოვიარო პროცესია კვლავ ისეთივე რიგით იძროდა. წინ ბურანელი ედიღეი მიუძღოდა გზის მაჩვენებლად, მისი ყარანარი ისევე დაუღლელად მიალაჯებდა. უკან მისდევდა მისაბმელიანი ტრაქტორი, სადაც მიცვალებულს მოთმინებით ეჯდა გვერდით აიზადას ქმარი. ტრაქტორს ექსკავატორი „ბელარუსი“ მიჰყვებოდა. განზე კი კვლავ ისევე საქმიანად და დაბეჯითებით მკერდგანიერი წითურა ჟოლბარსი მიძუნძულებდა, რომელიც ხან წინ უსწრებდა, ხან უკან რჩებოდა ფრიად მნიშვნელოვან მიზეზთა გამო.

მზე აცხუნებდა, ზენიტს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. უკან დარჩა გზის უმეტესი ნაწილი. ხოლო დიადი საროზეკი ყოველი მაღლობის მიღმა ახალ და ახალ უკაცრიელ მიწებს აჩენდა, დასალიერამდე გადაჭიმულს. ხალვათად გადაშლილიყო ტრამალები. ოდესღაც ამ ადგილებში ის ღვთისგან წყეული ეუანჟუანები სახლობდნენ. თითქმის მთელი საროზეკის მხარის კარგა ხნით

ღამეყრობი გადამთიელნი. აქ იყვნენ სხვა მომთაბარე ტომებიც. გაუთავებლივ რომ ეომებოდნენ ერთმანეთს საძოვრებისა და ჭების გამო. გამარჯვებულ სასწორი ხან ერთი მხრისკენ იხრებოდა, ხან მეორისკენ. მაგრამ გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც შაინც ისევ აქ რჩებოდნენ. ერთნი შევიწროებულნი, მეორენი კი გაფართოებულნი. ელიზაროვი ამბობდა, საროზეკი, როგორც ყაზოვრებელი ადგილსამყოფელი, დასტურ ღირდა ამ ომებადო. მაშინ აქ თურმე უფრო ხშირად მოდიოდა წვიმები გაზაფხულ-შემოდგომობითა და საძოვრებიც სამყოფი იყო მსხვილ თუ წვრილფეხა საქონლისათვის. მაშინ აქ დადიოდნენ ვაჭართა ქარავნები და ვაჭრობაც იყო. მაგრამ მერმე თურმე მკვეთრად შეცვლილა ჰავა — აღარ მოდიოდა წვიმები, დაშრა ჭები, გადახმა ბალახი. ჰოდა, დატოვა საროზეკი მოსულმა ხალხმა და ტომებმა, ალმა-დალმა გაიფანტნენ ყველანი. ქუანქუანები კი სულაც გაქრნენ, ედილიასკენ დაიძრნენ. მაშინ ასე იწოდებოდა ვოლგა, ედილიასპირა მხარეში შთაინთქნენ უგზოუკვლოდ. არავინ უწყოდა, საიდან იყვნენ მოსულნი და არავინ უწყოდა, სად გაქრნენ ახლა, ამბობენ, წყევლამ უწიათო გზაში — ზამთარში გროვა-გროვად რომ გადადიოდნენ ედილიაზე, ჩატყდა მდინარეზე ყინული და თავიანთ რემებ-ფარეებიანად თან ჩაიტანაო...

ძირეულ, მკვიდრ საროზეკელებს — ყაზახთა ნომადებს იმ ხანებშიაც არ მიუტოვებიათ თავიანთი მხარე, იმ ადგილებში იკიდებდნენ ფეხს, სადაც ხელაბლა გათხრილ ჭებში წყალს ალმოაჩენდნენ. მაგრამ ყველაზე გაცხოველებული ხანი საროზეკს ომის შემდგომ წლებში დაუდგა. წყლისმომტანი მანქანები რომ გამოჩნდა. ერთ ასეთ წყლის მანქანას, თუ მძღოლმა იქაური არემარე კარგად იცოდა, სამი-ოთხი ალაჩოყის მომსახურეობა შეეძლო. საროზეკის საძოვართა მოიჯარენი — მომიჯნავე ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე ფიქრობდნენ. საროზეკში მუდმივი ბაზები მოეწყოთ გადასარეკი მესაქონლეობისათვის. ანგარიშობდნენ, ზომავდნენ, როგორ და რამდენი დაუჯდებოდათ მეურნეობებს ამ ბაზების აშენება. კიდევ კარგი, რომ არ იჩქარეს. შეუმჩნეველად და შეუნიშნავად გაჩნდა ანა-ბეიითის მიდამოებში უსახელო ქალაქი — საფოსტო ყუთი. ასედაც ლაპარაკობდნენ ერთმანეთში —საფოსტო ყუთში მიკდივარო, საფოსტო ყუთში ვიყაგიო, საფოსტო ყუთში ვიყიდეო, საფოსტო ყუთში ვნახეო... თანდათან გაიზარდა. აშენდა საფოსტო ყუთი და გარეშე ხალხისათვის გზაშეკრული აღმოჩნდა. ასფალტიანი გზა აკავშირებდა ერთი მხრივ კოსმოდრომსა და მეორე მხრივ — რკინიგზის სადგურს. აქედან დაიწყო საროზეკის ახალი, ინდუსტრიალური დასახლება. იმ მხარეში წარსულის ხსოვნად მარტო ანა-ბეიითის სამარხი დარჩა, აქლემის ყუზებივით აყუდებული ორ ტყუპ გორაკ ეგიდ-თუბეზე შეფეხილი. ეს იყო ყველაზე საპატიო სამარხი მთელ საროზეკის მხარეში. ძველად ზოგჯერ იმ სიშორიდან ჩამოპყავდათ მიცვალებული, ხალხს ტრამალში უწევდათ ღამისთევა. სამაგიეროდ ანა-ბეიითზე დამარხულთა შთამომავალნი კანონიერად ამაყობდნენ, თავიანთ მამა-პაპებს რომ ასეთი დიდი პატივი დასდეს. აქ იმარხებოდა ყველაზე საპატიო და ცნობილი ხალხი, რომლებსაც დიდხანს ეცხოვრათ, ბევრი ენახათ და ქველი საქელიც მოეპოვებინათ სიტყვით თუ საქმით. ელიზაროვმა ხომ ყველაფერი იცოდა. იმიტომაც ამ ადგილს საროზეკის პანთეონს ეძახდა.

ამ ადგილს უახლოვდებოდა სწორედ იმ დღეს უცნაური სამგლოვიარო პროცესია. ძაღლის თანხლებით, ბორანლი-ბურანის რკინიგზის ასაქცევიდან

ანა-ბეიითს თავისი ისტორია ჰქონდა. გადმოცემა იუწყებოდა, რომ წინა საუკუნეებში საროზექის დამპყრობი ჟუანჟუანები სასტიკად და დაუნდობლად ექცეოდნენ თურმე ტყვედ ჩავარდნილ მეომრებს. ბედნიერი იყო ის ტყვე, ვისაც მეზობელ მხარეში გაჰყიდდნენ მონად, ვინაიდან ბედნიერ მონას მაინც შეეძლო ადრე თუ გვიან გაქცევა და თავის სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ვაი მას, ვისაც ჟუანჟუანები თავის მონად დაიტოვებდნენ. საშინელი წამებით — თავზე შირის ჩამოცმით — მეხსიერებას ართმევდნენ მონას. მეტწილად ასეთი ხვედრი ტყვედ ჩავარდნილ ჭაბუკებს ელოდა. ჯერ პირწმინდად გადახოტრიდნენ თმას, ღერი რაა, ღერს არ დაუტოვებდნენ თავზე. იმ დროისათვის, როცა თმის პარსვა ძოთავდებოდა. გამოცდილი ჟუანჟუანელი ყასბები იქვე ახლოს უზარმაზარ აქლემს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და პირველ ყოვლისა ყველაზე მკვრივ ქედის ნაწილს გამოაცლიდნენ. მერე დაჭრიდნენ კისრის ტყავს და ცხლად დაადებდნენ ხოლმე ტყვეს გადაპარსულ თავზე. ტყავი მყისვე მიეკვრებოდა სალბუნის დარად. როგორც თანამედროვე საცურაო ქუდი. ამას ერქვა შირის ჩამოცმა, ვისაც კი შირს ჩამოაცვამდნენ, ის ან კვდებოდა, წამებას ვერ უძლებდა, ან სამუდამოდ ჰკარგავდა მეხსიერებას, აღარ ახსოვდა თავისი წარსული და იქცეოდა მონა მანქურთად. ერთი აქლემის კისრის ტყავიდან ხუთი-ექვსი შირი გამოდიოდა. შირის ჩამოცმის შემდეგ განწირულს კისერზე ფიცრის ბორკილს დაადებდნენ, რომ თავი მიწისთვის არ ეხალა. მერე საცხოვრებელი ადგილიდან კარგა შორს გაიყვანდნენ, რათა გულისმომკვლელ ბღავილს ხალხი ტყუილუბრალოდ არ შეეწუხებინა, და ხელფეხშებორკილს შუა მინდორზე, თაკარა მზეზე დაჰყრიდნენ ალალელ-საქმელის გარეშე. წამება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მხოლოდ მზირთა მოზრდილი გუნდი დარაჯობდა გარკვეულ ადგილში მისასვლელ გზებს. ტყვეთა თვისტომებს რომ მათი გამოხსნა არ ეცადათ. მაგრამ ასეთი ცდა იშვიათი იყო. — გაშლილ ტრამალში შეუმჩნევლად ვერავინ გაიჭაჭანებდა. ხოლო თუ ხმა მოვიდოდა, მავანი და მავანი ჟუანჟუანებმა მანქურთად აქციესო. ახლო ნათესავებიც კი აღარ ცდილობდნენ მის გადარჩენასა თუ გამოხსნას, ვინაიდან ეს უკვე ქაცი კი არა, ფიტული იყო. მხოლოდ ერთი ნაიმანელი დედა, ვისი ხსოვნაც თქმულებამ ნაიმან-ანას სახელით შემოინახა, არ შეურიგდა თავისი შვილის ასეთ ბედს. ასე ჰყვებოდა საროზექელი ლეგენდა. მისი წყალობით დაერქვა სასაფლაოსაც ანა-ბეიითი — დედის სამარხი.

ენით უთქმელ ტანჯვა-წამებაზე განწირულ, მზისგულზე დაყრილ ტყვეებიდან მეტი წილი იხოცებოდა. ხუთი-ექვსი ქაციდან ერთი ან ორი მანქურთი თუ რჩებოდა ცოცხლად. იხოცებოდნენ არა იმდენად შიმშილისა და უწყლობის გამო, რამდენადაც გაუსაძლისი არაადამიანური წამებისაგან. აქლემის მოუქნელი ტყავი, თაკარა მზეზე თანდათან დაპატარავებული, რკინის სალტესავით ეპირებოდა მონას თავზე. გადაპარსული თმა იზრდებოდა, აზიური თმის სწორი, ჯაგარა ღერები ზოგჯერ შირს ეხორცებოდა, მეტწილად კი უკანვე, თავის კანში ჩადიოდა, რაც კიდევ უარესი წამება იყო, და მონას საბოლოოდ უბინდავდა გონებას. მეხუთე დღესღა მოაკითხავდნენ ჟუანჟუანები ტყვეებს, აბა ვინ დარჩა ცოცხალი. თუ წამებულთაგან ერთს მაინც ედგა სული, მაშასადამე, მიზანი მიღწეული იყო. ცოცხლად დარჩენილს წყალს დაალევინებდნენ, ბორკილს ახსნიდნენ და შემდეგ კარგი მოვლით ფეხზედაც დააყენებდნენ. ეს უკვე მეხსიერება-დაკარგული მონა მანქურთი იყო. ათ ხელ-სალამათ მონაზე უფრო

ბვირად ფასებული, დაწესებულიც იყო — თუ შინაური ბრძოლებისა და შეტაკებისას ვისმე მონა მანქურთი შემოაკვდებოდა, ასეთი ზარალისთვის სამჯერ მეტი გამოსასყიდი უნდა გაეღო, ვინემ მისივე თვისტომის მოკვლის გამო.

მანქურთმა არ იცოდა, ვინ იყო, ვისი გვარისა და ტომისა, არ იცოდა თავისი სახელი, არ ახსოვდა თავისი ბავშვობა, დედ-მამა, — ერთი სიტყვით, ადამიანადაც არ გრძნობდა თავს. პატრონის თვალში მანქურთს მეტი წონა და ლირსება ჰქონდა, რაღაი საკუთარი „მეობა" დაკარგვოდა. იგი უენო პირუტყვს უდრიდა და ამ პირუტყვივით მორჩილი და უვნებელი იყო. გაქცევის სურვილი ფიქრადაც არ მოუვიდოდა. პატრონისათვის კი ყველაზე საშიში მონის ამბოხია, რადგან ყოველი მონა პოტენციალური მეამბოხეა. მანქურთი ერთადერთი გამონაკლისი იყო, მის გულს ამბოხისა თუ ურჩობის სურვილი არასოდეს ეკარებოდა, ასეთი ვნებანი არ აწუხებდა. ამიტომაც არ სჭირდებოდა არც მზირი და არც ყარაული, არც შიში გქონდა გულში, რაღაც ზრახვას მალავსო. ერთგული ძაღლივით მანქურთი მხოლოდ პატრონს სცნობდა, სხვებს არ იკარებდა. მთელი მისი ფიქრი და აზრი მუცლის ამოყორვას მოეცვა, სხვა არაფერი ანაღვლებდა. სამაგიეროდ ყველაფერს ბრმად, ბეჯითად, სიტყვასიტყვით ასრულებდა. მანქურთს ებარა ყველაზე ბინძური, მძიმე საქმეები, ყველაზე გამაბეზრებელი სამუშაოები, ჩლუნგ მოთმინებას რომ მოითხოვდა. მხოლოდ ის თუ გაუძლებდა მარტოობას საროზექის უკაცრიელ, მიყრუებულ და თვალუწვდენელ ველებში, როცა აქლემებს ედგა დღედაღამ დარაჯად. ის ერთი სწევდა ამ სიშორეზე მრავალი მუშის მაგიერობას. ოღონდ საქმელს ნუ მოაკლებდი და ზამთარ-ზაფხულ შეუნაცვლებლივ გააკეთებდა თავის საქმეს, არც მარტოობა შეაწუხებდა და არც სხვა რაიმე გასაჭირი. პატრონის ბრძანება მანქურთისთვის კანონი იყო. ოღონდაც საქმელი და ძონძები ჰქონოდა, სიცივით რომ არ გაყინულიყო, სხვა არაფერს დაგიდევდათ...

ბევრად ადვილია ტყვეს წააცალო თავი, ან სხვა რამ ზიანი მიაყენო დასაშინებლად, ვინემ ადამიანს მეხსიერება, გონება დაუკარგო, ის ამოძირკვო მისი სულიდან, რაიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან დაჰყვება ადამიანს, რაიც მისი ერთადერთი შენაძენია, სხვათათვის მიუწვდომელი, და მასთან ერთად გამქრალი: მაგრამ მომთაბარე ჟუანჟუანებს მათმა საშინელმა წარსულმა ყველაზე დაუნდობელი, ყველაზე ულმობელი ბარბაროსობა ჩაგონა, ადამიანის ყველაზე სანუკვარის ხელყოფა აკისრებინა. მათ შეძლეს მონებისათვის ცოცხალი მეხსიერება წაერთმიათ, რაიც ადამიანის ბუნებისათვის ყველა დასაშვებ თუ დაუშვებელ ბოროტებათა შორის ყველაზე დიდი ბოროტებაა. ტყუილად კი არ მოთქვამდა სასოდაკარგული ნაიმან-ანა თავის მანქურთად ქცეულ შვილზე:

„როცა მეხსიერება წარგტაცეს, შვილო, კაკლის სამტვრევ მარწუხივით თავის ქალაზე ნელინელ გამხმარი აქლემის ტყავი შემოგიჭირეს, როცა უხილავი სალტე თავზე ისე ჩამოგაცვეს, შიშის ზარწყალით სავსე თვალები ლამის ბუდიდან გადმოგცვენოდა. როცა საროზექის უკვამლო ცეცხლზე იხრაკებოდი და წყურვილი გკლავდა, ცამ კი შენთვის წვეთი წყალი არ გაიმეტა — ხომ არ შეგძულდა მზე. ყოვლის სიცოცხლის მიმნიჭებელი, ხომ არ იქცა იგი შენთვის ბრმა და ყველაზე შავ მნათობად ამ ქვეყანაზე ყველა სხვა მნათობთა შორის?

როცა ტკივილებით გაწამებული შემზარავი ღრიალით სძრავდი უდაბნოს, როცა მთელი დღეები და ღამეები ბორგავდი და ღმერთს შეჰლალადებდი, ცარიელ ზეცას შველას შესთხოვდი, როცა გატანჯულ სხეულიდან ამონთხეულ

ნარწყევში იხრჩობოდი, ბილწ განავალში იკლაკნებოდი, სიმყრალეში სული გხდებოდა, გონი გეკარგებოდა, ბუზები გჭამდა — ხომ არ დასწყევლე ღმერთი უკანასკნელად მოკრებილ ძალით, ღმერთი, რომელმაც მის მიერვე დატოვებულ ქვეყანაზე ჩვენ გაგვაჩინა?

როცა ბინდი ეფინებოდა წამებით სამუდამოდ დასასრულებულ მენს გონებას, როცა ძალით გაგიგლიჯეს ის ჯაჭვი, მეხსიერებას წარსულთან რომ აკავშირებდა, და სამარადისოდ დაგიკარგეს ხსოვნა, როცა გაშმაგებულ ბორგვაში გავიწყდებოდა დედის თვალები, წყაროს ჩუხჩუხი იმ გორასთან, სადაც ზაფხულის დღეებში თამაშობდი, როცა სახელი შენი და სახელი მამაშენისა დაივიწყა შენმა განადგურებულმა მეხსიერებამ, როცა იმ ადამიანთა სახეები, რომელთა შორის იზრდებოდი, დავიწყების ნისლმა დაფარა, ბნელმა მოიცვა იმ ასულის სახელიც, მორცხვად რომ გიღიმოდა, — უგონობის უფსკრულში შთავარდნილმა ნუთუ არ დასწყევლე და შეაჩვენე დედაშენი საზარი კრულვით, რად ჩაგსახა თავის საშოში და რად გაგაჩინა ქვეყანაზე ამა დღისათვის?..“

ეს გადმოცემა იმ დროებიდან მოდიოდა, როცა მომთაბარე აზიის სამხრეთ საზღვრებიდან გამოდევნილმა ჟუანჟუანებმა ჩრდილოეთს მიაშურეს, საროზეკში კარგა ხნით გაბატონდნენ და სამფლობელოთა და მონათა შესაძენად გაუთავებელი ომები გააჩაღეს. პირველ ხანებში, უეცარი შემოსევის წყალობით, საროზეკის მიმდებარე მიწებზე უამრავი ტყვე იგდეს ხელთ, მათ რიცხვში ქალებიც და ბავშვებიც, და ყველანი მონებად გარეკეს. მაგრამ უცხოთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან გახურდა, დაიწყო გამძვინვარებული შეტაკებანი. ჟუანჟუანები არ აპირებდნენ საროზეკიდან წასვლას, პირიქით, ესწრაფებოდნენ მესაქონლეობისათვის ამ ვრცელ, ხალვათ ტრამალიან მხარეში მტკიცედ მოეკიდათ ფეხი. ადგილობრივი ტომები კი ვერა და ვერ შერიგებოდნენ მათ პარპაშს და თავის უფლებად და მოვალეობად მიაჩნდათ ადრე თუ გვიან განედევნათ დამპყრობელნი. შეტაკებისას გამარჯვების სასწორი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს იხრებოდა. მაგრამ ეს დამაოსებელი, ქანცის გამწყვეტი ბრძოლებიც დროდადრო ჩაცხრებოდა ხოლმე.

სწორედ ერთი ასეთი ჩაცხრომის ჟამს ნაიმანთა მიწა-წყალზე ჩამოსულმა მექარავნე ვაჭრები ჩაის სმისას მოჰყვნენ, როგორ გაიარეს საროზეკის ტრამალები, ისე რომ ჟუანჟუანების მხრიდან სასმელ ჭებთან დაბრკოლებას არ წაწყდომიან. ისიც ახსენეს, საროზეკში ერთი ჯეელი მწყემსი ვნახეთ, აქლემის დიდ ჯოგს ედგაო. გამოველაპარაკეთ, ის კი თურმე მანჭურთი ყოფილაო. ერთი შეხედვით ამ ჯანიან ჭაბუკზე ვერც იფიქრებდი, მის თავს თუ ასეთი უბედურება იყოო. თავის დროზე სხვებზე ნაკლები ბიჭი არ იქნებოდა, ჭკუაც უჭრიდა ალბათ და ენაც, ხნითაც სულ ყმაწვილი ჩანდა, ულვაში ახლა აბიბინებოდა. შეხედულადაც კაი თვალადი იყო, მაგრამ დაელაპარაკები — გეგონება, გუშინ დაიბადა ამქვეყნად, არ ახსოვს საწყალს არც თავისი, არც დედისა და მამის სახელი, არც ის, რა უყვეს ჟუანჟუანებმა; არც ის, სადაურია და რომელი მხრიდანო. რასაც არ ჰკითხავ, დუმს, მხოლოდ „კი“ ან „არაო“ გეტყვის, ხელი კი სულ ქუდზე უჭირავს, თავზე მუდამ რომ ჩამოცმიაო. სულო ცოდვილო, და სახიჩარსაც დასცინის ხოლმე ხალხი. ჰოდა, კიდევაც გაიცინეს. ზოგ მანჭურთს თურმე აქლემის ტყავი თავზე სამუდამოდ ეხოროცებაო. ასეთ მანჭურთს ყველაზე დიდ თავზარს მაშინ დასცემ, თუ დაეჭადები: ქუდს მოგაგლეჯო... ურა ცხენივით აყრის ტლინკებს, თავზე კი ხელს არ მიგაკარებინებს. ასეთები არც

დღე, არც ღამე ქუდს არ იხდიან, ქუდშივე სძინავთ.. მაგრამ სულელი დაუძახე შენ, განაგრძეს სტუმრებმა. თავისი საქმე კი არ ეშლება — ვინემ იმ ადგილს საკმაო მანძილზე არ გაშორდნენ მექარავნენი, სადაც მისი აქლემების ჯოგი ბორიალობდა, თვალი არ მოუშორებია მანქურთს. დამშვიდობებისას [illegible] მეხრე თურმე გაეხუმრა:

— ჩვენ დიდი გზა უნდა გავიაროთ. ვის გადავცეთ შენი მოკითხვა, რომელ ტურფას რომელ მხარეში? თქვი, ნუ მალავ. გესმის? იქნებ ხელმანდილს გავვატან მასთან?

კარგა ხანს მდუმარედ შეჰყურებდა მანქურთი მეხრეს, მერე წაილაპარაკა:

— მე ყოველდღე შევეცქერი მთვარეს, ის კი მე შემომცქერის. მაგრამ ერთმანეთისა არ გვესმის.. იქ ვიღაცა ზის...

ამ საუბრისას იურტაში ერთი ქალი ტრიალებდა, ვაჭრებს ჩაის უსხამდა. ეს ქალი ნაიმან-ანა იყო. საროზექელ ლეგენდას იგი ამ სახელით შემორჩა.

ნაიმან-ანას არა გაუმჟღავნებია რა ჩამოსულ მგზავრებთან. კაციშვილმა ვერ შეამჩნია, რარიგ შეაკრთო ამ ამბავმა, რაზომ ეცვალა ანაზდად ფერი. კი უნდოდა უფრო წვრილად გამოეკითხა ვაჭრებისათვის იმ ჭაბუკი მანქურთის ამბავი, მაგრამ გულმა არ უქნა — ვაითუ იმაზე მეტი გავიგო, რაცა თქვესო. ამიტომაც გაჩუმდა, გულში ჩაიხშო შიშ[illegible]ვით დაჭრილი ჩიტის წივილი.. ამასობაში საუბარმა სულ სხვა საგანზე გადაინაცვლა, ვის რაში ენაღვლებოდა უბედური მანქურთი, ცოდვა-ბრალს ამქვეყნად რა გამოლევს. ნაიმან-ანა კი კვლავ ებრძოდა შიშს, იოკებდა ხელების კანკალს, თითქოსდა მართლა მოეგუდა თავის გულში აწივლებული ჩიტი. ოღონდაც უფრო დაბლა ჩამოიწია შავი მანდილი, დიდი ხანია გათეთრებულ თმას რომ უფარავდა.

ვაჭართა ქარავანი მალე გაუდგა თავის გზას. ის ღამე თეთრად გაათენა ნაიმან-ანამ და მიხვდა, მოსვენებას მანამ ვერ ჰპოვებს, ვინემ იმ მწყემს მანქურთს არ მოსძებნის საროზექში და არ დარწმუნდება, მისი ვაჟი რომ არაა. ამ საზარელმა, ამ საშინელმა ფიქრმა კვლავ გააღვივა დედის გულში დიდი ხანია უკვე ჩაბუდებული ყრუ ეჭვი, მისი შვილი რომ ომის ველზე დაეცა.. ამ წამებას, ამ განურინებელ შიშსა და ტკივილს, ამ მოუშორებელ ეჭვს ერჩივნა მეორედაც გამოეტირა შვილი.

მისი ბიჭი ჟუანჟუანებთან ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს საროზექის მხარეში. ქმარი, ნაიმანთა შორის სახელმორჭმული კაცი, ერთი წლით ადრე დაელუპა. მამის სისხლის ასაღებად პირველსავე ლაშქარს გაჰყვა მისი ვაჟი. ნაიმანთა ადათის [illegible] მოკლულის ცხედარს ომის ველზე არ ტოვებდნენ ნათესავები, თან ჩ[illegible] ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა. იმ დიდ ბრძოლაში ბევრს დაენახა თავისი თვალით, როგორ შეება მისი ვაჟი მტერს, როგორ გადმოემხო მერე ცხენის ფაფარს, ომის ყიჟინითა და ხმაურით დამფრთხალმა ფიცხმა ტაიჭმა როგორ გაიტაცა იგი შორს. ჭაბუკი ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ ფეხი უზანგში გაეჩხირა, ჰოდა, სულ მთლად დაფეთებულ ტაიჭს მიწაზე თრევა-თრევით გაუქანებია მისი უსულო სხეული, თითქოსდა ჯიბრზე, მტრის მხარეზე. მიუხედავად ხელჩართული სისხლისმღვრელი ბრძოლისა, ორი ნაიმანი უკან დადევნებია, რომ აწყვეტილი ცხენი დროზე შეეჩერებინათ და დალუპულის ცხედარი წამოეღოთ. მაგრამ ხევში ჩასაფრებული ჟუანჟუანების რაზმიდან რამდენიმე კიკინიანმა მხედარმა ყიჟინით ყველა გზა გადაუჭრა მათ. ერთი ნაიმანი ისრით გაგმირეს, მეორემ, მძიმედ დაჭრილმა, ცხენი მოატრიალა და, თავისია-

ნების მწკრივს რომ მოაღწია, იქ მოადინა ზღარბთანი მიწაზე. ამ შემოხვევამ დროზე აღმოაჩენინა ნაიმანებს, რომ ხევში ჟუანჟუანთა რაზმი იყო ჩასაფრებული და გადამწყვეტ წუთს ფლანგიდან უპირებდა დარტყმას. ნაიმანებმა სარჩეროდ დაიხიეს უკან, რათა გადაჯგუფება მოეხდინათ და ისევ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ცხადია, აღარავის გახსენებია, რა დაემართა მათ ჭაბუკ ნაიმან-ანას ვაჟს... ის დაჭრილი ნაიმანი, თავისიანებთან რომ მოასწრო ცხენით მოჭენება, ყვებოდა მერე, როცა კვალდაკვალ დავედევნეთ ცხენს, ჭაბუკის გვამს რომ მიათრევდა, იგი მალე მიეფარა თვალს გაურკვეველი მიპართულებითო...

რამდენიმე დღე ზედიზედ მიდოდნენ ცხენოსანი ნაიმანები გვამის საძებრად. მაგრამ ვერც მის ცხედარს, ვერც ტაიჭსა და ვერც იარაღს ვერსად მიაგნეს. მისი დაღუპვა საეჭვოდ უკვე აღარავის მიაჩნდა. თუნდაც დაჭრილი ყოფილიყო, ამ ხანში ან უწყლობა მოჰკლავდა ტრამალზე ან სისხლისაგან დაიცლებოდა. იგლოვეს, ივიშვიშეს ნაიმანებმა, ჭაბუკი ნათესავი რომ უკაცრიელ საროზექში დაუმარხავი დარჩათ, ეს კი ყველასათვის დიდი სირცხვილი იყო. იურტაში შეყრილი ნაიმან-ანას ნათესავი დედაკაცები მოთქვამდნენ და ქმრებსა და ძმებს ასე საყვედურობდნენ:

— ორბებმა დაკორტნეს იგი, ტურებმა დაიტაცეს მისი ძვლები. რა სინდისით გხურავთ ამის შემდეგ ვაჟკაცის ქუდი!..

და მიეწყო ერთმანეთს გამოცარიელებული დღეები ამ გამოცარიელებულ მიწაზე. იცოდა ნაიმან-ანამ, რომ ადამიანები ომში იღუპებიან, მაგრამ იმაზე ფიქრმა, მისი ვაჟი ომის ველზე უპატრონოდ გდია, მიწას ვერ მიაბარეს, სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგა. დღედაღამ გაუთავებლივ აწამებდა, ან ვისთვის ეთქვა, ვისთვის შეეჩივლა დარდის შესამსუბუქებლად, ვინ ჰყავდა სხვა, თუ არ ღმერთი...

ამაზე რომ არ ეფიქრა, თავისი თვალით უნდა დარწმუნებულიყო დედა, მისი ვაჟი რომ მართლა მკვდარია. ღმერთის ნებას განა ვინმე შედავებია? ყველაზე მეტად ის უმღვრევდა ტვინს, ვაჟის ცხენიც რომ უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცხენი ხომ არ მოკლეს, ცხენი შეშინებული გაიქცა. ჯოგის ცხენი კი ადრე თუ გვიან უკან, მშობლიურ მხარეში უნდა მობრუნებულიყო და პატრონის ცხედარიც თან მოეთრია უზანგით. ხომ მეხი, ხომ ელდა იქნებოდა მისთვის, მაგრამ იკივლეადა, იწივლებდა, ცრემლს დააფრქვევდა შვილის ცხედარს, სახეს დაიხოკავდა, ივიშვიშებდა თავის კრულსა და უბედურ ბედზე, ივიშვიშებდა ისე, ცაზე ღმერთიც კი შეძრწუნდებოდა, თუკი ნართაულისა რამე გაეგებოდა. სამაგიეროდ ეჭვი არ ჩარჩებოდა დედას გულში, სიკვდილს აუღელვებლად, ცივი შეგნებით დაელოდებოდა, არ ინდომებდა ფიქრშიაც კი თუნდაც წამით მობლაუჭებოდა ამ წუთისოფელს. მაგრამ მისი ვაჟის ნეშტი ვერა და ვერ იპოვეს, არც მისი ტაიჭი დაბრუნებულა. ეჭვებმა გატანჯა დედა, თუმცაღა თვისტომებმა თანდათან დავიწყებას მისცეს ეს ამბავი, დრო ხომ ყველა ტკივილს აყუჩებს და ყველაფერს ავიწყებს ადამიანს... მხოლოდ დედა ვერ დამშვიდდა, დედამ ვერ დავიწყა. მისი ფიქრები სულ ამ ამბავს დასტრიალებდა. რა დაემართა ტაიჭს, სად დარჩა აკაზმულობა, საჭურველი, რომ ამით მაინც ნაწილობრივ გამოერკვია, რა მოუვიდა მის ბიჭს. ხომ შეიძლება ჟუანჟუანებს ჩაეგდოთ ხელთ ტაიჭი საროზექში, როცა ცხენს არაქათი გამოელია, კარგად აკაზმული ტაიჭიც ხომ კარგი დაელია. როგორ მოექცნენ მაშინ მის ვაჟს, ვისაც ცხენი უზანგით მოათრევდა— მიწას მიაბარეს თუ ტრამალში დაგდეს ნადირთ საჭიჭვნად? ვაითუ ცოცხალი

იყო, ვაითუ სული ედგა კიდევ რაღაც სასწაულით? მოჰკლეს და ტანჯვა-წამებისაგან იხსნეს, თუ ტრიალ მინდორში ამოხდა სული უპატრონოდ? ან იქნებ?.. ან ვაითუ?..

ალარ და ალარ ილეოდა ეჭვები. ხოლო როცა მგზავრმა ვაჭრებმა ჩაის სმისას ახსენეს, საროზეკში ერთი მანჭურთი ვნახეთო, რა იცოდნენ, თუ რა ცეცხლი დაანთეს ნაიმან-ანას დატანჯულ გულში. შეშინებულმა წინაგრძნობამ როგორ გაუწურა გული. ჭაბუკი რომ შეიძლება მისი უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟი ყოფილიყო, ეს ფიქრი უფრო და უფრო დაეინებით, უფრო და უფრო ძლიერ ეუფლებოდა მის სულსა და გულს. დედა მიხვდა, რომ მოსვენება არ ექნება, ვინემ იმ მანჭურთს არ მოძებნის და არ დარწმუნდება, რომ მისი შვილი არაა.

ნაიმანებს საზაფხულო სადგომები იმხანად მთების ძირას ედგათ, სადაც კბოდოვანზე პატარა ნაკადულები მოჩუხჩუხებდა. მთელი ღამე უსმენდა ნაკადულების რაკრაკს ნაიმან-ანა. რას ეუბნებოდა წყალი, ესოდენ არათანხმიერი მისი შეძრული სულისა? გულს დამშვიდება უნდოდა, ყურს გაძღომა მოჩუხჩუხე წყლის ხმებით, ვინემ უდაბურ, მდუმარე საროზეკის გზას დაადგებოდა. დედამ იცოდა, რარიგ საშიშია საროზეკში მარტო მგზავრობა, მაგრამ არ სურდა ვისმესთვის გაენდო თავისი ზრახვა. მაინც ვერავინ გაუგებდა. ყველაზე ახლობლებიც არ მოუწონებდნენ ამ განზრახვას. ვის გაუგია დიდი ხნის მოკლული ვაჟის საძებრად წასვლა? ხოლო თუ რაღაც განგებით ცოცხალი დარჩა და მანჭურთად იქცა, მით უფრო არა აქვს აზრი მის მოძებნას, ტყუილუბრალოდ გულის გახეთქვას. ვინაიდან მანჭურთი მხოლოდ გარეგნული გარსია, მხოლოდ ფიტული იმისა, რაც ადრე იყო კაცი...

წასვლის წინა ღამეს დედა რამდენჯერმე გამოვიდა იურტიდან. დიდხანს გაჰყურებდა მიდამოს, უსმენდა ღამეულ ხმებს, რათა გულისყური, ფიქრები მოეკრიბა. ნაშუაღამევის მთვარე კარგა მაღალზე იდგა ულრუბლო ცაში და დედამიწას რძისფერ შუქს აღვრიდა. ფერდობების ძირას მიმოფანტული იურტები მორაკრაკე ნაკადულების ნაპირებზე ღამის სათევად დაფრენილი დიდრონი ფრინველების გუნდი გეგონებოდა. აულის ახლოს, სადაც ცხვრის ბაკები იყო, და შორს, ხევებში, სადაც ცხენების რემები ბალახობდნენ, ძაღლის ყეფა და ადამიანთა გაურკვეველი ხმები ისმოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ნაიმან-ანას გულზე ეფონა მომღერალ გოგოების გადაძახ-გადმოძახება, აულის მახლობლად, ბაკებთან რომ ფხიზლობდნენ. ოდესღაც თვითონაც უმღერია ეს ღამის სიმღერები... მას აქეთ, რაც ბატარძალი ჩამოიყვანეს, ყოველ ზაფხულს ამ მხარეში იდგა ხოლმე მათი ალაჩოყები. მთელმა მისმა ცხოვრებამ ამ მიდამოებში გაიარა. მაშინაც, როცა ოჯახში ბევრნი იყვნენ და ერთბაშად ოთხ იურტას დგამდნენ — ერთს სამზადად, ერთს — სასტუმროდ, ორს კი — საცხოვრებლად — და მერეც, როცა ჟუანჟუანების შემოსევის შემდეგ სულ მარტო დარჩა...

ახლა ისიც სტოვებდა თავის ეულ იურტას... გუშინღამიდან გაემზადა უკვე სამგზავროდ, მოიმარაგა საჭმელი და უფრო მეტი წყალი... ორი თულუხით მიჰქონდა წყალი, იქნებ საროზეკში უცბად ვერ მიეგნო ჭისათვის... წუხელვე დააბა იურტას ახლოს ჯამა აქლემი აქმაია, მისი იმედი და თანამგზავრი. ვერც გაბედავდა ამ უკაცრიელ საროზეკში მგზავრობას, აქმაიას ლონისა და სიმარდის იმედი არ ჰქონოდა! იმ წელს ბერწად იყო აქმაია, ორჯერ მშობიარობის შემდეგ ისვენებდა და მშვენივრად გამოიყურებოდა. უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებდი. ლართხა ტანი, ლონიერი გრძელი ფეხები. გაკაჟებული ფეხისგუ-

ლები, სიმძიმის თრევასა და სიბერეს რომ ჯერ არ გაეცვითა, ორი მკვრივი კუზი, დაკუნთულ კისერზე ლამაზად დადგმული ხმელი კოხტა თავი, ბებლის ფრთებივით გამოყვანილი ნესტოები, ჰაერს რომ ხარბად ისრუტავდა სიარულისას. ეს თეთრი ჯამა აქლემი დიდი ფასი ღირდა. მთელ ჯოგს [illegible] მისთანა ფეხმარდ მოწიფულ ჯამაში ათ ახალ მოზარდს მოგცემდნენ [illegible] მისი შთამომავლობა ჰყოლოდათ. ამ დიდებულ სანაშენო ჯამას გარდა სხვა სიმდიდრე აღარ დარჩა ნაიმან-ანას, დანარჩენი ხელის მტვერივით გაქრა, წავიდა, ორმოცისა თუ წლისთავის აშებმა — დაღუპულთა სულის მოსახსენებელმა ალაპებმა — ჩანთქა ყველაფერი. ამ ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ალაპი გადაუხადა თავის ბიჭს, ვის საძებრადაც მიჰყავდა ახლა წინათგრძნობას, უსაზღვრო კაეშანსა და მწუხარებას. უამრავი ხალხი ჰყავდა იმ ალაპზე, ახლომახლო მიდამოებიდან ყველა ნაიმანი დაესწრო.

გამთენიისას გამოვიდა უკვე სამგზავროდ მომზადებული ნაიმან-ანა იურტადან. ზღურბლს რომ გადმოაბიჯა, შედგა, კარს მიეყრდნო, გამგზავრებამდე ჩაფიქრებით მოავლო თვალი მძინარე აულს. ჯერ ისევ მოქნილი ტანი ჰქონდა ნაიმან-ანას, ჯერ კიდევ შერჩენოდა ადრინდელი სილამაზე. წელზე სარტყელი ერტყა, როგორც შორ გზაზე მიმავალს შვენოდა, ეცვა ჩექმები, შარვალი, კაბის ზემოდან უსახელო ახალუხი, მხრებზე თავისუფლად ჩამოშვებული მოსასხამი. თავზე თეთრი მანდილი წაეკრა, მანდილის წვერები უკან, კეფაზე გაესკვნა. ასე გადაწყვიტა იმ თეთრად გათენებულ ღამეების ხანს— თუ იმედი აქვს შვილის ცოცხლად ნახვისა, ძაძა რად უნდა, ხოლო იმედი თუ გაუცრუვდა, მერეც მოასწრებს სამუდამო შავი მანდილის მოხვევას. დილის ბინდბუნდში აღარ უჩანდა დედას გაჭაღარავებული თმა და ღრმა მწუხარების დალი — ნაოჭების ღარი ნაღვლიან სახეზე. თვალები დაენამა იმ წუთს და ღრმად ამოიოხრა. განა ოდესმე იფიქრებდა, ამასაც რომ მოესწრებოდა. მაგრამ თავს მოერია, გამხნევდა. „აშვადან ლა ილა ალა“,— წაიჩურჩულა ლოცვის პირველი სტროფი (არ არს ალაჰი თვინიერ ალაჰისა) და მერე მტკიცედ გაემართა ჯამა აქლემისაკენ, მუხლებზე წამოაჩოქა. ჩვეულებრივ ახლაც შეიღრინა აქმაიამ, ხმადაბლა დაიბღავლა რამდენჯერმე, მერე დინჯად დაწვა მკერდით მიწაზე. სწრაფად გადაჰკიდა უნაგირზე ხურჯინი ნაიმან-ანამ, თვითონაც შეაჯდა აქლემს, ადექით, უბრძანა და აქლემიც წამოდგა, ფეხები გამართა, თავისი პატრონი მაღლა აიტაცა. მიხვდა აქმაია — შორი გზა უწევდა...

არავინ იცოდა აულში ნაიმან-ანას გამგზავრების ამბავი, გარდა მისი ნათესავი მსახური ქალისა, წამდაუწუმ რომ ამთქნარებდა. მან გააცილა მხოლოდ ნაიმან-ანა. წუხელვე უთხრა მას ნაიმან-ანამ, რომ თავის თორქუნებთან — ნათესავებთან — მიემგზავრება სტუმრად, ხოლო იქიდან, თუ მოლოცველები ნახა. მათთან ერთად წავა ყივჩაღთა მიწაზე წმინდა იასავის ტაძარში სალოცავად...

იგი ადრიანად გაემგზავრა, რომ კითხვებით არავის გაებეზრებინა. აულს გაშორდა და სარიზექისკენ აიღო გეზი ნაიმან-ანამ, შორს, უმოძრაო სიცარიელეში ბნდუდ რომ მოჩანდა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გალმა-გამოლმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე — სარი-ოზეკი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმართულებით ისაზღვრებოდა...

ნატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით სიგრიალებდნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკიოსან „კონვენციის" ქიმიდან კიდევ ერთი დაშიფრული რადიოგრამა გაეგზავნა „პარიტეტის" ორბიტალურ სადგურზე კოსმონავტ-კონტროლიორებს. ეს რადიოგრამა კატეგორიულად აფრთხილებდა მათ, ჰზის - ციატემის ბილმა მდებარე მყოფ 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებთან რადიო-კავშირი არ ჰქონოდათ ორბიტალურ სადგურზე მათი დაბრუნების დროისა და საშუალებათა განსასჯელად, ვინემ მართვის საერთო ცენტრიდან მითითებებს არ მიიღებდნენ.

ოკეანეზე ქარიშხალი ქროდა, თუმცა მთელი ძალით არა. ავიოსანს შესამჩნევად ატორტმანებდა ტალღებზე. წყნარი ოკეანის წყალი ფეთქავდა. უზარმაზარი გემის ქიმებს ეტყლაშუნებოდა. მზე ისევ ისე დაჰკაშკაშებდა ზღვის სივრცეს, რომელზეც გაუთავებლივ მოგორავდა და მოგორავდა თეთრაფიანი ტალღები. ქარი თანაბარი ძალით ქროდა.

ავიოსან „კონვენციაზე", ავიოფრთისა და სახელმწიფო ინტერესთა უშიშროების ჯგუფების ჩათვლით, ყველანი ფხიზლად, სრულ მზადყოფნაში იყვნენ...

უკვე რამდენიმე დღეა ერთფეროვანი ზუზუნ-ზუზუნით და ოდნავ გასაგონი ფლარტუნით მიჩინდრიკებდა თეთრი ჯამა აქმაია დიდი საროზექის ხევხუვებსა თუ სწორეზე, პატრონი კი მაინც მიდენიდა და მიერეკებოდა მას უდაბნოს გახურებულ მიწაზე. მხოლოდ ღამით შეჩერდებოდნენ ხოლმე ჭასთან; ჭები ამ მხარეში იშვიათი იყო. დილიდან კი ისევ და ისევ მიეშურებოდნენ საროზექის უთვალავ ველებში დაკარგულ აქლემების დიდი ჯოგის საძებრად. აქ, საროზექის ამ მიდამოებში, მრავალ კილომეტრზე გაჭიმულ მალაყუმდიჩაფის მოწითალო ქვიშიან ხრამთან შეხვედრიათ ამას წინ იმ მგზავრ ვაჭრებს მწყემსი მანქურთი, ვისაც ახლა ნაიმან-ანა დაეძებდა. აგერ უკვე მეორე დღეა მალაყუმდიჩაფის ირგვლივ დაწრიალებდა. აკვირდებოდა შორეთს, ხან იქით გაუხვევდა, ხან აქეთ, თუმცა ეუანეუანებთან შეფეთებისა კი ეშინოდა. მაგრამ ყველგან ტრამალი იყო, ტრამალი და მაცდური მირაჟები. ერთხელ მართლაც მოტყუვდა, კარგა ხანი იარა მიხვეულ-მოხვეული გზით იმ ჰაეროვან, მეჩეთებიან და ციხეგალავნიან ქალაქამდე. იქნებ იქ ჰყავდათ წაყვანილი მისი ბიჭი მონების ბაზარზე გასაყიდად? მაშინ უკან შემოისვამდა თავის შვილს აქმაიაზე და აბა ეცადა ვისმე მათი დაწევა... ძნელი, ძნელი ყოფილა უდაბნოში მგზავრობა, მიტომაც მოელანდა ასე.

არაა, არაა იოლი საროზექში ადამიანის პოვნა, რალა კაცი და რალა ქვიშის მარცვალი აქა. მაგრამ თუ დიდ ჯოგს უდგას საძოვარზე, კარგა დიდ ადგილზე გაშლილს, ადრე თუ გვიან ერთ პირუტყვს მაინც მოჰკრავ თვალს საძოვრის კიდეზე. მერე სხვებს დაინახავ. ჯოგთან კი მწყემსსაც აღმოაჩენ. ამ იმედით იყო სწორედ ნაიმან-ანა.

მაგრამ ჯერხნობით არსაით არაფერი ჩანდა. უკვე შიშიც შეეპარა, ვაითუ სხვა ადგილზე გადარეკეს ჯოგი, უფრო მეტიც — ვაითუ ეს აქლემები ეუანეუანებმა ყველა ერთად ხივაში ან ბუხარაში წალალეს გასაყიდად. დაბრუნდება კი მაშინ მწყემსი იმ გადაკარგული მიწებიდან?.. ნაიმან-ანა დარდითა და

ეჭვებით გულგამოჭმული წამოვიდა აულიდან, იმასღა ნატრობდა, ოღონდაც ცოცხალი ვნახო ჩემი ბიჭი და გინდაც მანჭურთი თუ რაც უნდა იყოს, გინდაც არ ახსოვდეს არაფერი, არ ჰქონდეს გონი, ოღონდ პირში სული ედგასო... განა ეს ცოტაა! მაგრამ რაც უფრო შეღრმავდა საროზეკში და იმ ადგილებს მიუახლოვდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ქარავნით ჩავლილ ვაჭრებს [illegible] მწყემსი, დედას უფრო და უფრო ზარავდა ის ფიქრი, ვაითუ [illegible] ვნახო შვილიო. ეს შიში უწურავდა და უმძიმებდა გულს. და მაშინ ღმერთს ვედრიდა, ოღონდ მისი შვილი ნუ იქნება, ოღონდაც სხვა ვილაც უბედური იყოს, ხმასაც არ ამოიღებს, უსიტყვოდ შეურიგდება ამ აზრს, რომ მისი ბიჭი ცოცხლებში არ წერია და არც შეიძლება ეწეროს, ხოლო თუ მიდის, მხოლოდ იმიტომ, მანჭურთს შეხედოს, დარწმუნდეს, რომ მისი იჭვი მცდარია, და მაშინვე უკან გამობრუნდეს. გულს აღარ გამოუჭამს დარდი, თავის დარჩენილ წუთისოფელს ისე გალევს, როგორც განგება ინებებს... მაგრამ მერე ისევ და ისევ აიტანდა დარდი, ისევ და ისევ იმორჩილებდა სურვილი. საროზეკში სხვა კი არა, სწორედ თავისი შვილი ენახა, რა შემზარავიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის ეს ამბავი...

ამ გრძნობათა ჭიდილში იყო, როცა ანაზდად, დამრეცი გორის გადავლისას, აქლემების მრავალრიცხოვანი ჯოგი დაინახა. ასობით აქლემი თავისუფლად ძოვდა განიერ ველზე. ნაპატიები მურა ფერის პირუტყვები დაბალ ჯაგებსა და ეკლიანებს მოდებოდნენ, ნეკერს აკვნეტდნენ ბუჩქებს. ნაიმან-ანამ ქუსლი ჰკრა და სწრაფად გააქანა იქით აქმაია. ჯერ ლამის დაახრჩო სიხარულმა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც იპოვა ჯოგი. მერე კი შიშმა აიტანა, თავით ფეხამდე აკანკალდა, ისე შეზარა იმ ფიქრმა, რომ ახლა მანჭურთად ქცეულ თავის შვილს ნახავდა. მერე ისევ სიხარულმა სძლია და უკვე თვითონაც აღარ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს.

ჯოგი აქ იყო, მაგრამ მწყემსი რომ არ ჩანდა? ალბათ სადმე აქ იქნება. საძოვრის მეორე თავში მართლაც კაცი იდგა, ვინ იყო, შორიდან ვერ გაარჩევდი. კომბალი და უკან მდგარი საპალნიანი საჯდომი აქლემის სადავე ეპყრა. ჩამოფხატული ქუდიდან მშვიდად გასცქეროდა მოახლოებულ ქალს.

რომ მიუახლოვდა და შვილი იცნო ნაიმან-ანამ, აღარც ახსოვს, როგორ ჩამოცურდა აქლემის ზურგიდან. მგონი, კიდეც დაეცა. მაგრამ ტკივილი ვის ახსოვდა!

— ჩემო შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო! მე კი ირგვლივ დაგეძებ! — ისე გაექანა შვილისკენ, თითქოს უსიერი ტყე აშორებდა მისგან. — მე დედაშენი ვარ!

მაგრამ იმწამსვე მიხვდა ყველაფერს და მწარედ, საზარლად აქვითინდა, სულ ფეხები ურტყა მიწას, აკანკალებული, მოღრეცილი ტუჩები დაიჭამა, თავს რომ მორეოდა, მაგრამ ვერ მოერია. არ წავიქცეო, გულგრილად აყუდებულ შვილს მოეჭიდა, მწუხარებით ზარდაცემული ტიროდა და ტიროდა. ეს უბედურება დიდი ხანია ელოდა და ჰა, დაატყდა კიდეც თავზე. გათელა და მიწაში ჩაიტანა. მტირალი მისჩერებოდა შვილს, სველი თმის ბღუჯებიდან, აკანკალებული თითებიდან უპვრეტდა, გზის მტვერს რომ უდღლაბნიდა სახეზე, აცქერდებოდა ნაცნობ ნაკვთებს და ცდილობდა შვილის მზერა დაეჭირა, იმედი მაინც უბჟუტავდა, იქნებ მიცნოსო — განა რა უნდა საკუთარი დედის ცნობას.

მაგრამ მის ნახვას შვილზე არა გავლენა არ მოუხდენია, თითქოს ეს ქალი

სულ აქ იყო და ყოველდღე მოდიოდა მასთან. ისიც კი არ ჰკითხა, ვინა ხარ ან რა გატირებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მწყემსმა ქალის ხელი მოიცილა და წავიდა, თან გაიყოლა თავისი განუყრელი საპალნიანი საჯდომი აქლემი. წავიდა ჯოგის მეორე მხარეს იმის სანახავად, შორს ხომ არ გაიქცნენ [illegible] გატაცებული ახალმოზარდი აქლემებიო.

ნაიმან-ანა კი ისევ იქ დარჩა, ჩაცუცქდა, სახეზე ხელები მიიფარა. ასე იჯდა ერთხანს თავაუღებლივ. მერე მოიკრიფა ძალა და შვილისკენ გასწია ნაძალადევი სიმშვიდით. მანქურთმა შვილმა კი, ვითომ აქაც არაფერია, უაზროდ, უნდილად შეხედა მჭიდროდ ჩამოფხატული ქუდიდან და თითქოს მკრთალმა ლიმილმა გადაურბინა გალეულ, მზისა და ქარისგან გარუჯულ, გატლანქებულ თავპირზე. თუმცა თვალები კი, ამქვეყნად ყველაფრისადმი უხალისოდ მზირალი თვალები კვლავინდებურად გულგრილი, გაუცხოებული დარჩა.

— დაჯე აქ, ვილაპარაკოთ, — მძიმე ოხვრით უთხრა ნაიმან-ანამ.

ორივენი მიწაზე დასხდნენ.

— მიცანი თუ არა? — ჰკითხა დედამ.

მანქურთმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რა გქვია?

— მანქურთი. — უპასუხა შვილმა.

—ახლა გქვია ასე, ძველად კი რა გქონდა? აბა გაიხსენე შენი ნამდვილი სახელი.

მანქურთი დუმდა, დაძაბვისაგან ცხვირის კეხზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა, თვალები დაებინდა, თითქოს რაღაც აუციმციმდა შიგ. ხედავდა დედა, გახსენებას ცდილობდა მისი შვილი, მაგრამ წინ ალბათ ყრუ კედელი აემართა და ვერ დაეძლია იგი.

— მამაშენს რა ერქვა? შენ თვითონ ვინა ხარ, სადაური, ვისი შვილი? ის მაინც თუ იცი, სად დაიბადე?

არა, არაფერი ახსოვდა, არაფერი იცოდა მანქურთმა.

— ეს რა გიყვეს! — წაიჩურჩულა დედამ და ისევ აუკანკალდა უნებურად ტუჩები. ბრაზმა, რისხვამ და მწუხარებამ ლამის დაახრჩო, ისევ აუტყდა ქვითინი, ვერა და ვერ დაიოკა. დედის ტანჯვა ახლოს არ გაჰკარებია მანქურთის გულს.

— შეიძლება მიწა მოსტაცო, სიმდიდრე, სიცოცხლეც კი წაართვა ადამიანს,— ამოილაპარაკა დედამ ხმამაღლა, — მაგრამ ვის მოაფიქრდა, ვინ გაბედა მეხსიერება დაუკარგოს ადამიანს?! ჰოი, ღმერთო, თუ სადმე ხარ, ასეთი რამ რად ჩააგონე ადამიანს?! განა ისედაც ცოტა ცოდვა და ბოროტება ტრიალებს წუთისოფელში?

მაშინ თქვა სწორედ, მანქურთი შვილის შემყურემ, ის განთქმული გლოვის ზარი მზეზე, ღმერთზე, თავის თავზე, ახლაც რომ ჰყვება მცოდნე ხალხი, როცა კი საროზექის ისტორიაზე ჩამოვარდება სიტყვა...

მაშინ დაიწყო ის თავისი ტირილი, ახლაც რომ იხსენებენ მცოდნეები:

— მენ ბოთასი ოლგენ ბოზ მაია, თულიბინ ქელიფ ისქეგენ[1]...

მაშინ ალმოჰხდა სულიდან მოთქმა, ხანგრძლივი უნუგეშო გოდება დუმილით მოცულ უკიდეგანო საროზექში...

---

[1] მე ცრემლით გალტობილი დედა აქლემი ვარ. მოსული ულოსვად ჩალით დატენილი ჩემი კოზაკის ტყავისა...

მაგრამ არა გაჰკარებია რა მისი მანქურთი შვილის გულს. მაშინ გადაწყვიტა ნაიმან-ანამ აღარაფერი ეკითხა, ჩაგონებითღა ეცადა გაეგო ამის შვილს, ვინც იყო იგი.

— შენი სახელი ჟოლამანია: გესმის, შენ-ჟოლამანი ხარ, მამაშენს კი დონენბაი ერქვა. ნუთუ არ გახსოვს მამაშენი? აკი მან გაგზავნა მშვიდ-ისრის სოფლა ბავშვობაში. მე კი დედა ვარ შენი, ხოლო შენ ჩემი შვილი. შენ ნაიმანების ტომისა ხარ, გაიგე? შენ ნაიმანი ხარ...

მანქურთი უგულისყუროდ უსმენდა დედის ამ სიტყვებს, თითქოს ლაპარაკი მასზე არ იყო. ალბათ ასევე მოუსმენდა კუტკალიას ტკაცანს ჯოყარში.

მაშინ ჰკითხა ნაიმან-ანამ თავის მანქურთ შვილს:

— მანამდე რა იყო, ვინემ აქ მოხვედი?

— არაფერი არ იყო.

— დღე იყო თუ ღამე?

— არაფერი არ იყო.

— ვის გინდა ხოლმე ელაპარაკო?

— მთვარეს. მაგრამ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის... იქ ვიღაცა ზის.

— კიდევ რა გინდა?

— ჩემი პატრონისთანა კიკინა მჭონდეს.

— აბა მაჩვენე, რა გიყვეს თავზე, — შვილისკენ გადაიხარა ნაიმან-ანა.

მანქურთი უკან გახტა, ქუდზე იტაცა ხელი, დედისთვის აღარ შეუხედავს. მიხვდა ნაიმან-ანა, რომ შვილთან თავზე სიტყვა არ უნდა დასცდეს.

ამ დროს შორით ვიღაც კაცი გამოჩნდა. აქლემზე შემჯდარი მათკენ მოემართებოდა.

— ეგ ვინაა? — ჰკითხა ნაიმან-ანამ.

— ჩემთვის საჭმელი მოაქვს ხოლმე, — მიუგო შვილმა.

ნაიმან-ანა შეშფოთდა — უნდა მალე მიმალულიყო, ვინემ ეს უდროო დროს გამომტყვრალი ჟუანჟუანი დაინახავდა. მან წამოაჩოქა თავისი ჯამა მიწაზე და უნაგირზე შეჯდა.

— შენ არაფერი უთხრა, მე მალე მოვალ, — დაარიგა შვილი ნაიმან-ანამ.

შვილმა არაფერი უპასუხა, მისთვის სულ ერთი იყო.

მიხვდა ნაიმან-ანა. [illegible] აქლემზე შემჯდარს არ უნდა გაეარა ჯოგში, მაგრამ რაღა დროს იყო. [illegible] ჟუანჟუანი ალბათ შეამჩნევდა ჯამაზე შემჯდარ ქალს. ფეხ[illegible] [illegible] ძოვით გართულ პირუტყვებს უნდა ამოფარებოდა.

კარგა შორს გაშორდა იმ ადგილს ნაიმან-ანა, ღრმა ხევში ჩავიდა, რომლის კიდეებზე აბზინდა ამოსულიყო. აქ ჩამოქვეითდა, აქმაია ხეობის ფსკერზე დააწვინა. აქედან დაუწყო თვალთვალი. ჰო, ასეც იყო, იმ ჟუანჟუანმა მაინც მოჰკრა თვალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდა, აქლემს ჩორთით მოერეკებოდა. შუბითა და ისრებით იყო აღჭურვილი. გაოცებული ჩანდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ვერ გაეგო, სად გაქრა თეთრ აქლემზე შემჯდარი მხედარი, შორიდან რომ დალანდა, არ იცოდა, საით წასულიყო. ჯერ იქით მხარეს გააქანა აქლემი, მერე აქეთ. დაბოლოს სულ ახლოს ჩაუარა ხეობას. კიდევ კარგი, ნაიმან-ანამ მოისაზრა, აქმაიას მანდილით აუკრა პირი, უცბად არ დაიბღავლოსო. აბზინდის ნაყარიდან ნაიმან-ანამ კარგად გაარჩია ის ჟუანჟუანი. ბანჯგვლა აქლემზე იჯდა, აქეთ-იქით იხედებოდა, გაფიქვინებული სახე ჰქონ-

და, დაძაბული, თავზე შავი ნავივით ქუდი ეხურა, ბოლოებაწკეპილი. ზურგზე შავი პრიალა ყიკინა უკონწიალებდა, ორკბილად დაწნული. უზანგებზე შემდგარიყო ჟუანჟუანი. შუბი მოემარჯვებინა, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ოვალებს აბრიალებდა. ერთი იმ დუშმანთაგანი იყო, ვინაც საროზეკი დაიპყრო. ბევრი ნაიმანი წაასხა მონად და მის ოჯახს ამდენი უბედურება დაატეხა. მაგრამ რა უნდა გაეწყო უიარაღო ქალს ამ მძვინვარე ჟუანჟუანელ ბელადთან? წინააღმდეგ:— ან ისეთი რა გადახდა ცხოვრებაში, ისეთი რა შეემთხვა ამ ხალხს, ესოდენ ველური, ესოდენ უწყალო სისასტიკე რომ აკისრებინათ —მონას მეხსიერება სამუდამოდ ამოუძირკვონ...

იქაურობა რომ მოირბინა ჟუანჟუანმა, ისევ ჯოგისკენ გამოაბრუნა აქლემი.

მოსალამოვდა. მზე ჩაესვენა, მაგრამ დაფიონი კიდევ დიდხანს გიზგიზებდა ტრამალის თავზე. მერე ერთბაშად დაბნელდა და უკუნი ღამე დადგა.

მარტოდმარტომ გაატარა ის ღამე ნაიმან-ანამ ტრამალში, თავისი ბედშავი მანჭურთი შვილის შორიახლო, ვერ გაბედა მასთან დაბრუნება, იმის შიშით, წელანდელი ჟუანჟუანი იქნება ამაღამ ჯოგთან დარჩაო.

მაშინ გადაწყვიტა, არამც და არამც არ დაეტოვებინა მონობაში შვილი, ყველაფერი ეღონა, ოღონდ თან წაეყვანა. დაე, მანჭურთი იყოს, დაე, არაფერი გაეგებოდეს, მაინც თავის სახლში, თავისიანებში იქნება, ჟუანჟუანებს მწყემსად არ ედგება ამ უდაბურ საროზეკში. ამას უკარნახებდა დედის გული. ის ვერ შეურიგდება იმას, რასაც სხვები ურიგდებიან, თავის სისხლსა და ხორცს მონობაში ვერ დააგდებს. იქნებ მშობლიურ მხარეში დაუბრუნდეს გონი, იქნებ იქ გაიხსენოს თავისი სიყრმე...

დილით ისევ შეჯდა აქმაიაზე ნაიმან-ანა. ბევრი იარა შორი გზებით და ისე მიუახლოვდა ჯოგს, რომელიც იმ ღამით კარგა მანძილზე წასულიყო. დიდხანს აკვირდებოდა შორიდან, ჟუანჟუანებიდან იქ ხომ არავინ არისო, როცა დარწმუნდა, არავინ იყო, სახელით უხმო თავის შვილს:

— ჟოლამან! ჟოლამან! გამარჯობა შენი!

ვაჟმა მოხედა და დედამაც სიხარულით შეჰკივლა. მაგრამ მაშინვე მიხვდა, მხოლოდ ხმაზე მოიხედა შვილმა.

კვლავაც შეეცადა ნაიმან-ანა შვილისთვის გაეხსენებინა წარსული, გაელვიძებინა წართმეული მეხსიერება.

— გაიხსენე რა გქვია, გაიხსენე შენი სახელი! — ვედრებით ჩასჩიჩინებდა ვაჟს. — განა არ იცი, მამაშენი რომ დონენბაი იყო? შენ კი ჟოლამანი[1] ხარ და არა მანჭურთი. ასე იმიტომ დაგარქვით, რომ გზაში დაიბადე, როცა ნაიმანები დიდ სადგომებისკენ მიეშურებოდნენ. შენ რომ დაიბადე, იმ ადგილს სამი დღე სულ ნადიმი გვქონდა.

დედა უყვებოდა და უყვებოდა შვილს მის წარსულზე, არ ჩერდებოდა, იმედი ჰქონდა —ეგებ ანაზდად რაღაც გაუკრთესო ჩამქრალ მეხსიერებაში, მაგრამ მის მანჭურთ შვილზე არაფერი ჭრიდა, დედა ყრუდ დაკეტილ კარს ეხეთქებოდა და მაინც თავისას იმეორებდა:

— აბა, გაიხსენე რა გქვია? მამაშენი დონენბაი იყო!

მერე ასვა, აჭამა შვილს თავისი საგზლიდან და იავნანაც უმღერა.

---

[1] ჟოლამანი ორი სიტყვისგან წარმოსდგება: „ჟოლ" — გზა, „ამან" — ჯანმრთელობა. ნიშნავს: ჯანი არ მოგკლებოდეს გზაში.

მანქურთს ძალიან მოეწონა სიმღერა. სიამოვნებით მოუსმინა. თითქოს გაუცოცხლდა, გაუთბა გაყინული, ნახშირად ქცეული სახე. მაშინ ჩაგონება დაუწყო დედამ: დატოვე აქაურობა, ყუანყუანები, მე წამომყევი შენს მშობლიურ მხარეში. მანქურთს ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ადგეს და წავიდეს სადღაც — ჯოგს რა უყოს? არა, პატრონმა დააყალა, ჯოგს წამიყვანს, ასეთ ... ასე თქვა პატრონმა. ამიტომ ჯოგს ვერამც და ვერამც ვერ [illegible].

ბევრი, ბევრი ეცადა ნაიმან-ანა განადგურებული მეხსიერების დახშულ კარში შეეღწია.

— გაიხსენე, ვისი შვილი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! — ჩასჩიჩინებდა ისევ და ისევ.

ასე გაუფრინდა დრო ამ ამაო, ფუჭ წადილში, მაშინღა გამოერკვა ნაიმან-ანა, როცა ჯოგის ბოლოში კვლავ გამოჩნდა აქლემიანი ყუანყუანი. ამჯერად უფრო ახლოს მოსულიყო და აქლემსაც გამალებით მორეკავდა. ნაიმან-ანა მყისვე შეაჯდა აქმაიას და იქაურობას გაეცალა. მაგრამ მეორე ბოლოდან ახლა სხვა აქლემიანმა ყუანყუანმა უყელა გზა. მაშინ კი ჰკრა ქუსლი ნაიმან-ანამ თავის აქმაიას და შუაში გაუარა ყუანყუანებს. ფეხმალმა თეთრმა ჯამამ სწრაფად გააქანა იგი წინ, ყუანყუანები კი ყვირილითა და შუბების ქნევით დაედევნენ. მაგრამ ვინ იყო აქმაიას დამწევი, თანდათან უკან მოიტოვა მდევრები, რომლებსაც ბანჯგვლა აქლემები უმოწყალოდ აჯიყჯიყებდნენ. თეთრმა ჯამამ უხშირა სუნთქვას, ჰაერი ბლომად დაიგუბა და სწრაფად გაჰქროლა. გაჰქროლა და ნაიმან-ანა სიკვდილს გააცალა.

რა იცოდა ნაიმან-ანამ, რომ უკან დაბრუნებულმა, გაბოროტებულმა ყუანყუანებმა მანქურთი სცემეს. მაგრამ გინდ სცემე და გინდ არა, რა ჭკუა მოეკითხება მანქურთს.

— ასე თქვა, დედაშენი ვარო,— ამასღა გაიძახოდა.

— სადაური დედაშენი ეგ არი! დედა სადა გყავს! არ იცი, რისთვის მოვიდა? არ იცი? ქუდი უნდა წაგაძროს და თავი მოგაცალოს! — აშინებდნენ ისინი საწყალ მანქურთს.

მანქურთი გაყვითლდა, ნახშირივით სახე გაუნაცრდა, თავი მხრებში ჩარგო, ხელები ქუდზე იტაცა და ნადირივით დააცეცა თვალები.

— წენ ნუ გეშინია! აბა, დაიჭი! უფროსმა ყუანყუანმა შვილდ-ისარი ჩაუდო ხელში.

— აბა ესროლე! — უმცროსმა ქუდი მაღლა ააგდო. ისარმა ქუდი გახვრიტა. — აბა უყურე, მკლავს მაინც შერჩენია მეხსიერება! — განცვიფრდა ქუდის პატრონი.

ბუდიდან დამფრთხალი ჩიტივით ირგვლივ უყურდა ნაიმან-ანა იმ არემარეს. არ იცოდა, რა ექნა, ან ყუანყუანები რას განიზრახავდენ. გადარეკავენ მთელ ჯოგს სხვა ადგილას, დიდი ურდოს ახლოს, და მის ბიჭს თან წაიყვანენ, სადაც ნაიმან-ანა ველარ მივა, თუ ნაიმან-ანას დასაჭერად ჩაუსაფრდებიან? ამ ფიქრებით დაბნეული დედა მოფარებული გზებით მიიწევდა წინ და, რა დაინახა, იმ ორმა ყუანყუანმა ჯოგი დატოვა და გზას გაუდგნენ გვერდიგვერდ, უკანმოუხედავად, სიხარულით ცას ეწია. დიდხანს გასცქეროდა იმ ორს ნაიმან-ანა, და, როცა თვალს მოეფარენ, შვილთან მობრუნება გადაწყვიტა. არა, თავს მოიკლავს და ახლა თან წაიყვანს თავის შვილს. როგორიც არ უნდა იყოს — რა მისი ბრალია, ასე უკულმართად რომ წაუვიდა ბედი, ასე უწყალოდ რომ დააბე-

ჩავეს მტრებმა, დედა მაინც არ დატოვებს მონობაში თავის შვილს. დაე, თავისი თვალით ნახონ ნაიმანებმა, როგორ ასახიჩრებენ, ამცირებენ და გრწმ, ართმევენ მომხვდური გადამთიელნი ტყვე ჯიგიტებს, ნახონ და აღშფოთებულმა იარაღზე იკრან ხელი. განა მიწაზეა საქმე, მიწა ყველას ეყოფა, მაგრამ ეუანეუანებს ეს არაკაცობა შორმა მეზობლებმაც კი არ უნდა აპატიონ.

ამ გადაწყვეტილებით მიდიოდა ნაიმან-ანა თავის შვილისკენ და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა, როგორ დაეყოლიებინა ამ საღამოსვე გაქცეულიყვნენ...

უკვე ბნელდებოდა. წითელი ბინდბუნდი მოჰყვებოდა ხევებს და ველებს. დიდ საროზექზე კიდევ ერთი ღამე ეშვებოდა, კიდევ ერთი ღამე გარდასულ თუ მომავალ ურიცხვ ღამეთა შორის. თეთრ ჯამას მჩატედ, ლაღად მიჰყავდა თავისი პატრონი დიდი ჯოგისკენ. ჩამავალ მზის სხივებზე მკაფიოდ ჩანდა ნაიმან-ანა აქლემის კუზებშუა. ფერი გაკრთობოდა ნაიმან-ანას, შეწუხებული მიდიოდა, ფხიზლად, გოროზად იყურებოდა აქეთ-იქით. ჭალარა თმა, ნაოჭებით დაღარული, დაფიქრებული სახე, თვალებში კი, საროზექის ამ ბინდბუნდივით, განურინებული ტკივილი... აგერ, მიაღწია კიდეც ჯოგს, საძოვარზე მიმობნეულ პირუტყვებში გაიარა, აქეთ-იქით მიმოიხედა. მაგრამ შვილს ვერსად ჰკრა თვალი. საჯდომი საპალნიანი აქლემი რატომღაც თავისუფლად ძოვდა, სადავე მიწაზე მისთრევდა... მაგრამ თვითონ კი არ ჩანდა. ხომ არაფერი დაემართა?

— ჟოლამან! შვილო ჟოლამან, სადა ხარ? — დაუძახა ნაიმან-ანამ. არავინ გამოჩენილა, არავინ გაეხმიანა.

— ჟოლამან! სად ხარ? ეს მე ვარ, დედაშენი! სადა ხარ?

აქეთ-იქით მიმოიხედა შეშფოთებულმა დედამ, ის კი ვერ შეამჩნია რომ მისი მახვერტი შვილი, აქლემის ჩრდილს მოფარებული, უკვე ჩამუხლულიყო და მშვილდზე მოჭიმულ ისარს უმიზნებდა. მზის ათინათი უშლიდა და მარჯვე წამს ელოდა.

— ჟოლამან! ჟოლამან, შვილო! — ეძახდა ნაიმან-ანა შეშინებული, ხომ არაფერი დაემართოთ. უნაგირზე შებრუნდა — არ ისროლო! — ესლა მოასწრო ეყვირა და ის იყო თეთრ აქმაიას ქუსლი ჰკრა შვილისაკენ მისაბრუნებლად, რომ ისარმა გაიზუზუნა და მარცხენა ბეჭში, მკლავს ქვემოთ ჩაესო.

ეს იყო სასიკვდილოდ ნასროლი ისარი. ნაიმან-ანა გადმოიხარა, აქლემის ყელს მოეჭიდა და ნელ-ნელა ჩამოცურდა ძირს. მანამდე კი თავიდან მანდილი წასძვრა. ჰაერში ფრინველად იქცა და ძახილ-ძახილით გაფრინდა: „გაიხსენე, ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაია! დონენბაია!“

ამბობენ, მას აქეთ დაფრინავს ღამღამობით დონენბაი ჩიტი. მგზავრს რომ დაინახავს, ახლოს მიჰყვება და გასძახის: „გაიხსენე. ვისი ხარ? ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაი, დონენბაი!...“

ადგილს, სადაც ნაიმან-ანა დამარხეს საროზექში, ანა-ბეიითი — დედის საშარხი დაერქვა...

თეთრ ჯამა აქმაიას მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მისი ჯიშის დედა აქლემები მასავით თეთრთავა იბადებოდნენ და იმ არემარეში განთქმულნი იყვნენ, ხოლო ლიონები, პირიქით, შავთავა და ლონიერნი იყვნენ, ახლანდელი ყარანარის მსგავსად.

განსვენებული ყაზანგაპი, ვისაც ახლა ანა-ბეიითზე მიასვენებენ, მუდამ

ამტკიცებდა. ბურანელი ყარანარი უბრალო ჯიშის არ გეგონოთ. იგი ნაიმან-ანას დალუპვის შემდეგ საროზექში დარჩენილი აქმაიას, განთქმული თვთრი ჯაბა აქლემის ჩამომავალიაო.

სჯეროდა ყაზანგაპის ეს ნათქვამი ედიღეის. ან რატომ არ უნდა დაეჯერებინა... ბურანელი ყარანარი დიახაც იმსახურებდა ამ[illegible] ლხინში მუდამ მხარში ედგა ყარანარი თავის პატრონს, გაჭირვებ[illegible] ყოფილ[illegible] ყო მისთვის... ოლონდაც ახურების დროს ხდებოდა აუტანელი, მუდამ ყინვებში მოსდიოდა ეს. იცოცხლე, მაშინ მძვინვარებდა, ზამთარი და ის ერთად მძვინვარებდნენ, ორი ზამთარი გამოდიოდა რაღა. ეერაფერს გააწყობდი მასთან ამ დროს... ერთხელ ცუდი საქმე უყო ედიღეის, ერთობ ცუდი. კაცი კი არა, ვთქვათ, სხვა გონიერი არსება ყოფილიყო, თავის დღეში არ აპატიებდა ბურანელი ედიღეი ამ ამბავს ბურანელ ყარანარს... მაგრამ ახურების ხანს გამოოაყვანებელ აქლემს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, რა მისი ბრალია... განა პირუტყვზე შეიძლება გულის მოსვლა, უბრალოდ სიტყვამ მოიტანა, თორემ ბედია დამნაშავე ყველაფერში, ბედმა ინება ასე, ბურანელი ყარანარი რა შუაშია? აი, ყაზანგაპმა კარგად იცოდა ეს ამბავი. მანვე განსაჯა, თორემ. ვინ იცის, რანაირად დატრიალდებოდა ყველაფერი.

VII

1952 წლის ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს ბედნიერების საოცარი გრძნობით იხსენებდა ბურანელი ედიღეი. ჯადოქარივით აუხდა ნაწინასწარმეტყველები. იმ საშინელი ხვატის შემდეგ, როცა საროზექის ხვლიკებიც კი სახლის ზღურბლს აწყდებოდნენ, ოლონდ კი მზეს დამალოდნენ, უკვე აგვისტოს ნახევარში ამინდმა უეცრივ იცვალა პირი. დაცხრა გაუსაძლისი სიცხე, ნელ-ნელა დაჰბერა სიგრილემ, ყოველ შემთხვევაში, ღამე მაინც მოსვენებით ეძინა კაცს. საროზექშიც იცის ხოლმე ასეთი დალოცვილი ამინდი. ყოველ წელს არა. მაგრამ შიგადაშიგ მაინც ზამთარი მუდამ ზამთარს ჰგავს, მუდამ მკაცრია, სასტიკი, ზაფხული კი ზოგჯერ სულს მოგათქმევინებს, გაგანებივრებს ადამიანს. ეს მაშინ არისო, ამბობდა ელიზაროვი, როცა საჰაერო დინების ზედა ფენებში დიდი ძვრები ხდებაო, ჰაერის ნაკადები მიმართულებას იცვლიანო. ელიზაროვს უყვარდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი, ამბობდა ხოლმე, რომ ზემოთ ვეებერთელა უხილავი მდინარეები მიედინება, თავისი ნაპირები აქვს და ადგებაც იცისო. ეს მდინარეები განუწყვეტლივ მიმოიქცევიან დედამიწას ირგვლივო. ჰოდა, ქარებით გარემოცული ვალს დედამიწაც და სიგრძგვალესა თვისსა გარემოიქცევს, დროის დინებაც ამას ჰქვიაო. არაფერი სჯობდა ელიზაროვის მოსმენას. სანთლით საძებარია ასეთი ხალხი. იშვიათი კაცი იყო. დიდად აფასებდა ბურანელი ედიღეი ელიზაროვს და ისიც ასევე პატივსა სცემდა. ჰოდა. მაშასადამე, ის ციური მდინარე, ხანდახან რომ საროზექში სიგრილე და შვება მოაქვს, თაკარა სიცხეში დაბლა ჩამოდის და ჰიმალაის ეჯახება. ჰიმალაი კი ხომ, ღმერთმა იცის, რა სიმაღლეზეა. მაგრამ მიწიური საზომით მაინც არც ისე შორია. ჰაერის მდინარე ჰიმალაის რომ დაეჯახება, უკანვე იქცევს პირს; ინდოეთსა თუ პაკისტანში ვერ ხვდება. სიცხე იქ სიცხედ რჩება, საროზექის თავზე კი გაიშლება ხოლმე, ვინაიდან საროზექი, ზღვის დარად, გაშლილი სივრცეა. სადაც არაფერი ეღობება და სიგრილე მოაქვს ჰიმალაიდან...

ასეა თუ ისე, გაგიხარია, ისეთი ამინდი გამოვიდა იმ წელს ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს. წვიმები იშვიათი მოვლენაა საროზეკში. ყოველი წვიმა დიდხანს გამახსოვრდება კაცს. მაგრამ ის წვიმა სამიდღემჩიოდ დაამახსოვრდა ბურანელ ედიღეის. ჯერ ღრუბლები მოიყარა ცაზე, უჩვეულოც კი იყო, რომ საროზეკის თაკარა, სულ ერთნაირი ცის ნიადაგ ცარიელი სივრმე ღრუბლებმა დამალა. ისე შეიხუთა ჰაერი, ისეთი სიცხის ბუღი დადგა, სულს ვერ მოითქვამდი. ედიღეი იმ დღეს გადამბმელად მუშაობდა. ასაქცევის ჩიხში კიდევ სამი ბაქანი ხრეში და ფიჭვის განძელები დარჩა გადმოსატვირთი. დანარჩენი წინადღეს გადმოტვირთეს. სულ ასეა ხოლმე. გაჩქარებენ, ცეცხლს გიკიდებენ, ჩქარა, ჩქარა, სასწრაფოა, მერე კი აღმოჩნდება, რომ არც ისე სასწრაფო ყოფილა. გადმოტვირთვის შემდეგ ნახევარი დღე იდგა ის ბაქნები ჩიხში. გადმოტვირთვაზე ყველა მიასიეს — ყაზანგაპი, აბუტალიფი, ზარიფა, უქუბალა, ბუქეი, ვინც რკინიგზის ხაზზე არ იყო, ყველა ამ საქმეზე დააყენეს. მაშინ ხომ ყველაფერი ხელით უნდა გეკეთებინა. არადა, რა სიცხით იწვოდა ყველაფერი! რაღა მაინცდამაინც ამ სიცხეში მოაყენეს ეს ბაქნები ასაქცევს. მაგრამ რახან საჭიროა, სხვა რა ჩარაა. დაიწყეს მუშაობა. უქუბალას პირსაქმეზა აუტყდა, გაფისული ცხელი განძელების სუნზე სულ ასე მოსდიოდა. ჰოდა, შინ გაუშვეს ქალი. მერე ყველა ქალი დაითხოვეს — სახლში ბალღებს აცლიდა სიქას სიცხე. მარტო კაცები დარჩნენ, თავი მოიკლეს და მაინც მოათავეს საქმე.

მეორე დღეს, გაწვიმებამდე, ცარიელი ვაგონები სატვირთო მატარებლისოვის უნდა გაეყოლებინათ ქუმბელში. ვინემ ლიანდაგზე გადაიყვანდნენ, ვინემ ვაგონებს ერთმანეთს გადააბამდნენ, კინალამ გაგუდა ედიღეი სიცხემ. თავი სალდათურ აბანოში ეგონა. მზეს ეცხუნებინა, ათასჯერ ერჩივნა. მემანქანეც ისეთი ზოზინა გამოდგა, აღარ დააყენა საშველი, წამალივით ჩაის კოვზობით იზოგავდა საქმეს. შენ კი ამ დროს სამად მოკეცილი ვაგონების ქვეშ იყავი შემძვრალი. გიყვარდეს, დედა აგინა ედიღეიმ იმ მემანქანეს. იმანაც კარგები შემოუკურთხა თავის მხრივ. არც იმას ადგა კაი დღე ორთქლმავლის საცეცხლურთან. სიცხემ გადარია ორივე. ღვთის მადლით, როგორც იქნა, წავიდა სატვირთო, ცარიელა ბაქნები წაარიხინა.

და უცბად დასცხო, მაგრამ რა დასცხო წვიმამ. ცამ გახსნა პირი, რაც წვიმები არ მოსულიყო, ახლა მოვიდა. შეცახცახდა დედამიწა, მყის ბუშტუკუნებითა და გუბეებით დაიფარა. გახელებით, გაშმაგებით ასხამდა წვიმა, რაც ჰიმალაის თოვლიან მთებიდან სიგრილე და ტენი წამოელო — თუ მართალი იყო, რასაც ამბობდნენ — ახლა გადმოაფრქვია ერთიანად. ბარაქალა, ჰიმალაი! ძალა იმას ჰქონია! ედიღეი შინისკენ გაიქცა. თუმც ვერ იტყოდა, რატომ. უბრალოდ ისე, როცა გზაში გაუწვიმდება, ადამიანი ან შინ მირბის, ან სადმე აფარებს თავს. რას იზამ, ჩვეულებაა, თორემ ამისთანა წვიმას რად უნდა დამალვოდა კაცი? ამას მაშინ მიხვდა, როცა დაინახა, ქუთიბაევების მთელ ოჯახს — აბუტალიფს, ზარიფას და მათ ორ ბიჭს, დაულსა და ერმეკს, ერთურთისთვის ხელი ჩაეკიდათ და თავიანთი ბარაკის გვერდზე ხტოდნენ და ცეკვავდნენ. გაოცდა ედიღეი და შეყოვნდა. განა იმიტომ, რომ ხტუნავდნენ, წვიმას შეხაროდნენ. წვიმა არც წამოსულიყო, აბუტალიფი და ზარიფა რომ შინისკენ გაეჩქარენ, განძელებზე ფართო ნაბიჯით მიაბოტებდნენ. ახლალა მიხვდა, რატომაც. თავის შვილებთან უნდოდათ ყოფილიყვნენ ამ წვიმაში. ედიღეის ასეთი რამ ფიქრადაც არ მო-

უვიდოდა. ისინი კი ამ კოკისპირულ წვიმაში ცეკვავდნენ, ყვიროდნენ, როგორც არალის ზღვაზე დაფრენილი გარეული ბატების გუნდი! ეს მათი ზეიმი იყო, ციდან მოვლენილი შვება და მადლი. თურმე რარიგ მონატრებოდათ, მოწყურებოდათ საროზეკში წვიმა. გაეხარდა და გაეცინა კიდეც ედიღეის, შეეცოდა ეს ბედისაგან გარიყული ადამიანები, წუთიერ სიხარულსაც რომ ვერ ეღირსებლაუჭებოდნენ ბორანლი-ბურანის ასაკცევზე.

— ჩვენთან მოდი, ედიღეი! — გამოსძახა ამ თავსხმიდან აბუტალიფმა და ხელები მოცურავესავით აიქნია.

— ედიღეი ძია! — სიხარულით გამოიქცნენ მისკენ ბიჭებიც.

უმცროსს, სამი წლის ერმექს, ხელები გაეშალა და ისე მირბოდა მისკენ. პირი ღია ჰქონდა და წვიმა შიგ ესხმოდა. ედიღეის გამორჩევით უყვარდა ეს ბიჭი. აუწერელი სიხარულით, გმირობის გრძნობითა და ეშმაკობით გაბრწყინებოდა ერმექს თვალები. ედიღეიმ ხელში აიტაცა, დააბზრიალა ბიჭი, სხვა რა ექნა, ალარ იცოდა. სულაც არ აპირებდა ამ ოჯახურ ფერხულში ჩაბმას. მაგრამ ამ დროს სახლის კუთხიდან ჭყივილით გამოცვივდნენ საულე და შარაფათი, ედიღეის გოგოები. ქუთიბაევების ქრიამული გაეგონათ. ისინიც ბედნიერები ჩანდნენ. „მამა, ვირბინოთ, ვირბინოთ!“ — მოსთხოვეს შვილებმა ედიღეის და იმასაც ალარ უყოყმანია, ახლა უკვე ყველანი ერთად გიჟობდნენ კოკისპირული წვიმის ქვეშ.

ედიღეის ძირს ალარ ჩამოუშვია პატარა ერმექი, ამ აურზაურში გუბეში არ ჩავარდეს და არ დაიხრჩოსო. აბუტალიფს კი მისი პატარა გოგო შარაფათი შეესვა ზურგზე. ასე დარბოდნენ ისინი და ბალღებს ართობდნენ. ერმექი ხტუნავდა, მთელი ხმით კიოდა და, სუნთქვა რომ შეეკვრებოდა, მაშინვე ედიღეის ჩაახუტებდა კისერში სველ თავპირს. ედიღეიმ რამდენჯერმე დაიჭირა აბუტალიფისა და ზარიფას მადლიერი მზერა ამ გულის ამაჩუყებელ სურათზე. უხაროდათ, მათი ბიჭუკელა რომ ასე კარგად გრძნობდა თავს ძია ედიღეისთან. მაგრამ ედიღეიმ და მისმა გოგოებმაც ძალზე მოილხინეს. მაშინ შეამჩნია მისდა უნებურად ედიღეიმ, რა ლამაზი იყო თურმე ზარიფა. წვიმას გაეწუწა მისი თმა, თავკისერზე, მხრებზე ჩამოეყარა, თავით ფეხამდე გალუმპულს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა მკვრივ ახალგაზრდა სხეულზე. გამოეკვეთა ყელი, მკლავები, თეძოები, შიშველი ფეხის ქუსლები. თვალები სიხარულით, გამომწვევად უბრწყინავდა. თეთრი კბილები უელავდა.

საროზეკისთვის წვიმა დიდი ბედენა არაა. თოვლი ნელ-ნელა გააჟიჟინებს, გაუჯდება ხოლმე მიწას. წვიმა კი, როგორიც არ უნდა იყოს, ხელისგულზე აგორებული ვერცხლისწყალივით ზედაპირიდან მყის ხევხუვებსა და ღარტაფებში ჩახრიალდება, აბუყბუყდება, აჩუხჩუხდება — და გაქრება. თითქოს არც ყოფილაო.

იმ თავსხმა წვიმაში კი რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე სწრაფი, აქაფებული ღელეები და ნაკადები აჩხრიალდა. ბორანლელებმა ახლა ღელეებში იწყეს სირბილი და ხტუნვა, ტაშტები და ვარცლები ააცურეს წყალზე. უფროსები, დაული და საულე, უკვე ტაშტებით დასეირნობდნენ ღელეებში. მერე უმცროსებიც ჩასვეს ვარცლებში და ისინიც ააცურეს...

წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. ტაშტებით ცურვამ ისე გაიტაცა ყველა, მალე რკინიგზის მიწაყრილის ძირას ამოჰყვეს თავი, ასაკცევის დასაწყის-

ში. ამ დროს ბორანლი-ბურანზე სამგზავრო მატარებელმა ჩაიარა. ვაგონების ფართოდ დაღებულ სარკმლებსა და კარებიდან მგზავრები ლამის მთელი ტანით გადმოწოლილიყვნენ, უდაბნოს ამ უბედურებს გადმოსცქეროდნენ და „ჰეი, არ დაიხრჩვეთო!“ — მგონი, ამას უყვიროდნენ. თან ისე ხარხარებდნენ, ფსტვენდნენ, იცინოდნენ, ალბათ მართლაც უცნაური სანახავნი იყვნენ. ჩაიარა მატარებელმა, წურწურით რომ ჩამოსდიოდა წვიმის ნაკადები, ჩაიარა და თან წაიყვანა ისინი, ვინც ერთი თუ ორი დღის შემდეგ იქნებ მოჰყვეს და ხალხი გააცინოს ამ სურათზე, რისი მოწმეც იყო.

ეს არც მოაფიქრდებოდა ედიღეის, რომ არ დაენახა, ზარიფა ტირისო. ადამიანს რომ თავპირზე წყალი წურწურით ჩამოსდის, ძნელია თქმა, ტირის თუ იცინის. მაგრამ ზარიფა კი მართლა ტიროდა. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს იცინის, ძალიან მხიარულობსო, თვითონ კი ტიროდა, სლუკუნს ძლივს იკავებდა, ტირილის მიჩქმალვას კისკისით და შეძახილებით ლამობდა. აბუტალიფმა შეშფოთებით დაუჭირა ხელი:

— რა იყო? ცუდად ხომ არ ხარ? შინ წავიდეთ.

— არა, არა, მასლოკინებს, სხვა არაფერი, — მიუგო ზარიფამ და ისევ განაგრძო ცოლ-ქმარმა ბავშვების გართობა, რომ თავსხმის შეწყვეტამდე შემთხვევითი წვიმის მადლით დამტკბარიყვნენ. ედიღეის გული შეეკუმშა. ალბათ რა ძნელია ამ ორისათვის იმის შეგრძნება, რომ არსებობს სხვა ცხოვრება, სადაც არავისთვის უჩვეულო არაა წვიმა, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და ბანაობენ სუფთა, კამკამა წყალში, სადაც სხვა პირობებია, სხვა გასართობები, შვილებზე სულ სხვაგვარი ზრუნვა. ისინი კი ამ ცხოვრებას მოწყვეტილნი არიან. აბუტალიფი და ზარიფა ბავშვების ხათრით იმხიარულებდნენ ახლა თავს. ედიღეიმაც, გული არ ვატკინოო, ისევ განაგრძო მათთან ერთად მხიარულება...

იანცეს, გული იჯერეს და მერე შინისაკენ გასწია ყველამ. წვიმა კი ისევ ასხამდა და ასხამდა. ედიღეი თანაგრძნობით გაჰყურებდა ქუთიბაევების ოჯახს, გაჰყურებდა, როგორ მირბოდნენ ერთად დედა, მამა და შვილები, თავით ფეხამდე გაწუწულები. ეს ერთი ბედნიერი დღე მაინც ელირსათ საროზექში.

უქუბალამ შიშით გაასავსავა ხელები, როცა ზღურბლზე ედიღეიმ გადმოაბიჯა. პატარა გოგო ატატებული მოჰყავდა, უფროსი კი — ხელჩაკიდებული.

— ვაიმე, რა მოგსვლიათ? რას ჰგავხართ?

— ნუ გეშინია, — სიცილით დაამშვიდა ედიღეიმ ცოლი, — ათანი რომ დათვრება, თავის თაილაკებს მაშინ ათამაშებს[1].

— განა არ ვხედავ, — გაეღიმა უქუბალას საყვედურით. — აბა გაიხადეთ, რას დგახართ გაწუწული ქათმებივით.

წვიმამ გადაიღო, მაგრამ სადღაც, საროზექის განაპირა მხარეებში, გათენებამდე მოდიოდა თქეში, მთელი ღამე შორიდან ყრუ გრგვინვის ხმა ისმოდა. ედიღეი რამდენჯერმე გაღვიძა ამ გრუხუნმა, გაუკვირდა კიდეც. არალის ზღვაზე ხანდახან ლამის თავზე დაგრუხუნებდა ხოლმე ჭექა-ქუხილი და ძილი არ გაკრთობია, თუმცა იქ ავდარი ხშირად იცის. ედიღეი თვალდახუჭული გრძნობდა, როგორ განათდებოდა და აციალდებოდა ხოლმე წამიერად ფანჯრები, როცა შორს, ხან აქ და ხან იქ, ელვა გასერავდა ტრამალის ცას.

იმ ღამეს სიზმარი ნახა ბურანელმა ედიღეიმ: თითქოს ფრონტზეა და მი-

[1] ათანი — ლიონი, მამალი აქლემი, თაილაკი — კოზაკი.

წაზე წევს, ზემოთ კი უხმაუროდ სკდება ჭურვები. აფეთქებული მიწა ისევე უხმაუროდ ადის მაღლა და, შავ ტალღებად გართხმული, ნელა/ მძიმე-მძიმედ ცვივა დაბლა. ერთმა ასეთმა აფეთქებამ ისიც ააგდო ჰაერში და,გულგაწურული, დიდხანს, დიდხანს ვარდებოდა ძირს, საზარელ სიცარიელეში. მერე იერიშზე გაიქცა ბევრ, ძალიან ბევრ რუხმაზარიან ჯარისკაცებთან ერთად, თუმცა სახე ვერც ერთისა ვერ გაერჩია, თითქოსდა ავტომატმომარჯვებული მაზარები თავისთავად მირბოდნენ .ხოლო როცა მაზარებმა „ვაშაო" სჭექეს, ედიღეის წვიმისაგან გაწუწული, მოკისკისე ზარიფა გადაუდგა წინ. ეს საოცრება იყო. ჩითის კაბა ეცვა, თმა ჩამოშლოდა, წვიმა ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა თავზე, ის კი კისკისებდა და კისკისებდა, არ ჩერდებოდა. ედიღეის არ ეცალა გასაჩერებლად, ახსოვდა, იერიშზე რომ მიიჩქაროდა. „ასე რა გაცინებს, ზარიფა? ეს კარგს არაფერს მოასწავებს", — უთხრა ედიღეიმ. „კი არ ვიცინი — ვტირი", — მიუგო ზარიფამ და ისევ განაგრძო კისკისი იმ თავსხმაში...

მეორე დღეს დააპირა ეს სიზმარი აბუტალიფისა და ზარიფასთვის ეამბნა, მაგრამ გადაიფიქრა, ცუდად ენიშნა. ზედმეტად რად უნდა მოუშხამოს გუნება ადამიანებს...

იმ დიდი წვიმის შემდეგ მოტყდა სიცხე საროზექში, ყაზანგაპის თქმით, ნასესხი დღეები ამოეწურა ზაფხულს. კი, ზოგჯერ ცხელოდა კიდევ, მაგრამ აღარც ისე, კაცს ვერ გაეძლო. ნელინელ გამეფდა საროზექული შემოდგომის დალოცვილი დამდეგი. სიცხე აღარ აოსებდა ბორანლელ გოგობიჭობას. აერიამულდნენ, დაირხა ისევ მათი წკრიალა ხმები. ამასობაში კი ქუმბელიდან ცნობა მოვიდა: ყიზილორდული საზამთროები და ნესვები მივიღეთ სადგურზე, ბორანლელებს რა გირჩევნიათ — თქვენი წილი გამოგიგზავნოთ თუ თვითონ ჩამოხვიდეთ და წაიღოთო. ედიღეიმაც იხელთა დრო, ასაქცევის უფროსი დაარწმუნა, ჩვენ თვითონ უნდა წავიდეთ, თორემ იმას გამოგვიგზავნიან, რასაც თვითონ დაიწუნებენო. უფროსიც დათანხმდა ,ეგრე იყოს, შენ და ქუთიბაევი წადით. აარჩიეთ და წამოიღეთო. ედიღეისაც ეს უნდოდა. აბუტალიფსა და ზარიფას ბავშვებიანად ერთი დღით მაინც გააცლიდა აქაურობას და არც მასა და მის ოჯახს აწყენდა გასეირნება. ჰოდა, ერთად გაჰყვა ორი ოჯახი დიდ-პატარიანად დილით ადრე ქუმბელში მიმავალ მატარებელს, ჩაცმულნი და გამოწყობილნი. რა დიდებული დღე იყო. ბალღებს ეგონათ, ზღაპრულ ქვეყანაში მივდივართო. მთელი გზა მოლხენით იყვნენ, სულ იძიებდნენ: ხეები თუ იზრდება იქ? იზრდება, მაშ მწვანე ბალახი თუა? მწვანე ბალახიცაა და ყვავილებიც. სახლები დიდებია? მანქანები დარბიან ქუჩაში? საზამთროები და ნესვები იმდენია, რამდენიც გინდა? ნაყინიც არის? ზღვა არის იქა?

ქარი ბერავდა სატვირთო ვაგონში, საამოდ ქიქინებდა ლია კარიდან, განიერი ფიცრებით რომ გადაღობეს, ბავშვები არ გადაცვივდნენო. თუმცა ზედ გასასვლელთან ედიღეი და აბუტალიფი ისხდნენ ცარიელ ყუთებზე. თან ბაასობდნენ ათას რამეზე და თანაც ყმაწვილებს აძლევდნენ კითხვებზე პასუხს. ქმაყოფილი იყო ბურანელი ედიღეი; ყველანი ერთად მიემგზავრებოდნენ, ამინდიც ჩინებული შეესწროთ, ყმაწვილებმაც გაიხარეს, მაგრამ ყმაწვილებზე უფრო აბუტალიფისა და ზარიფას შეხედვა ახარებდა ედიღეის. გაუნათდა ადამიანებს სახე, ცოტა ხნით მაინც შვება იგრძნეს, თავი აიხსნეს, გადაიყარეს მუდმივი სადარდელი. ისიც კი იფიქრა გახალისებულმა ედიღეიმ, იქნებ ნება

მისცენ აბუტალიფს საროზექში იცხოვროს, როგორც შეიძლებს და რამდენ ხანსაც შეიძლებს. ღმერთმა ქნას!

ზარიფაც და უქუბალაც გულითადად ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს საოჯახო საქმეებზე, ბედნიერები ჩანდნენ. განა ასე არ უნდა იყოს, განა რა ბევრი უნდა ადამიანს... სულით და გულით ეწადა ედიღეის გადავწყვეტილებიდან ყველა უბედურება ქუთიბაევებს, ძირი გაედგათ, შეგუებოდნენ თავიანთ ყოფას ბორანლი-ბურანში, რაღაი სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. ისიც ეამაყებოდა, რომ აბუტალიფი გვერდით უზის, მხარზე ეხება, რომ იცის. ედიღეის შეიძლება დაენდოს კაცი, რომ კარგად ესმით ერთმანეთისა ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, არ ლაპარაკობენ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებზეც არც ღირს ამაო და ჰაიჰარა ლაპარაკი. მოსწონდა აბუტალიფის გონიერება და თავშეკავება. ყველაზე მეტად კი ცოლ-შვილისადმი ერთგულება და სიყვარული. მათთვის სულდგმულობდა, მათ გამო არ უტყდებოდა ბედს, ეს აძლევდა ძალას. აბუტალიფის სჯა-ბაასს რომ უგდებდა ყურს, რწმუნდებოდა ედიღეი, ყველაზე კარგი, რაც შეიძლება ადამიანმა სხვებისთვის გააკეთო, ისაა, რომ ღირსეული შვილები გაზარდო, გაზარდო არა სხვისი შემწეობით, არამედ შენ თვითონ, ყოველდღე, ყოველ ნაბიჯზე, მთელი სული და გული ჩააქსოვო ამ საქმეს, სანამდეც შეიძლებ, დიდხანს იყოს შენი შვილების გვერდით.

აგერ სად არ ასწავლეს საბითჟანს, არ დააკლეს არც ინტერნატები, არც ინსტიტუტები, არც სხვადასხვა ცოდნის ასამაღლებელი კურსები. საცოდავი ყაზანგაპი რასაც შოულობდა, ყველაფერს შვილს ახარჯებდა. მის საბითჟანს სხვებზე ნაკლებ არ ეცხოვრა ამა თუ იმ ქალაქში. გიყვარდეს, ყველაფერი იცის, მაგრამ რა? არარაობა დარჩა მაინც.

სწორედ მაშინ, საზამთროებისა და ნესვებისთვის ქუმბელში ერთად მგზავრობისას იფიქრა ედიღეიმ, თუ სხვა გამოსავალი არაა, ისევ ბორანლი-ბურანში უჯობს აბუტალიფ ქუთიბაევს დარჩეს, მეურნეობას მოეკიდოს, საქონელი გაიჩინოს, საროზექში წამოზარდოს თავისი ბიჭები, როგორც შეიძლებს და სანამდე შეიძლებს. თქმით კი არაფერი უთქვამს, არ დაუწყია ჭკუის სწავლება, მაგრამ საუბრიდან გაარკვია, რომ აბუტალიფიც ამასვე ფიქრობს, ასევე აპირებს. გამოჰკითხა ედიღეის, როგორ უნდა მოიმარაგოს კარტოფილი. სად უყიდოს ცოლ-შვილს თექის ფეხსამოსი, თვითონ ჩექმებითაც იოლას გავალო. ისიც ჰკითხა, ქუმბელში თუა ბიბლიოთეკა და ბორანლი-ბურანის ასაქცევზე თუ გამოატანენ იქიდან წიგნებს.

იმ საღამოსვე უკან გამოჰყვნენ სატვირთო მატარებელს, საზამთროები და ნესვები წამოიღეს ბურანელებისათვის. დაიღალნენ გოგო-ბიჭები, ვაგრამ ძალიან ნასიამოვნები კი დარჩნენ. ნახეს ქვეყანა, იყიდეს სათამაშოები, მიირთვეს ნაყინი და სხვა და სხვა. თუმცა ერთი უსიამო ამბავი კი შეემთხვათ სადგურის საბარიკმახეროში, სადაც ბავშვები შეიყვანეს თმის გასაკრეჭად. ერმექის რიგმა რომ მოაწია, ისეთი კივილი და ტირილი ატეხა, ვერაფრით ვერ გაჩერეს ბიჭი. გასავათდნენ ყველანი, ბიჭი კი ვერ დასვეს. ხელიდან სხლტებოდა. მამას ეძახდა საშველად. აბუტალიფი ამ დროს იქვე, მაღაზიაში შესულიყო. ზარიფამ აღარ იცოდა, რა ექნა. სირცხვილისაგან ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა. თავს იმართლებდა წარამარა, რაც დაიბადა, არ გაგვიკრეჭია, გვენანებოდა, ისეთი ლამაზი ხუჭუჭი თმა ჰქონდათ. მართლაც საუცხოო

თმა ჰქონდა ერმექს, გრუზა და ხვეული დედასავით, ზარიფას ჰგავდა ისედაც: თმას რომ დაბანდნენ და დავარცხნიდნენ — თვალს ვერ მოწყვეტდა.

უქუბალა იმაზედაც კი წავიდა, საულესთვისაც დაამოკლებინა თმა: აბა შეხედე, გოგოა და მაინც არ ეშინიაო. ამან თითქოს გაჭრა, მაგრამ როგორც კი საპარსი მანქანა ხელში აიღო პარიკმახერმა, ისევ კივილი და ტირილი ატეხა ერმექმა, ხელიდან დაუსხლტა პარიკმახერს .ამასობაში აბუტალიფი გამოჩნდა კარებში და ერმექი მამას მივარდა. მამამ აიყვანა და გულში ჩაიხუტა ბიჭი, მიხვდა, არ ღირდა ბავშვის წამება.

— გვაპატიეთ, როგორმე სხვა დროს მოვალთ, — უთხრა მან პარიკმახერს, — გამბედაობას მოვიკრებთ და მოვალთ... მანამდე კი მოვითმენთ. ჯერ-ჯერობით იაროს ასე. საჩქარო არაფერია... როგორმე სხვა დროს...

განსაკუთრებულ უფლებებმოსილ რწმუნებათა მქონე კომისიების საგანგებო სხდომაზე ორივე მხარის შეთანხმებით ავიოსან „კონვენციიდან" „პარიტეტის" ორბიტალურ სადგურზე კიდევ ერთი დაშიფრული რადიოგრამა გაიგზავნა მიწისმიღმიერ ცივილიზაციის მქონე პლანეტაზე 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისთვის გადასაცემად — არამც და არამც არ მოემოქმედათ არაფერი და ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, ვიდრე მართვის საერთო ცენტრიდან საგანგებო მითითებას არ მიიღებდნენ.

სხდომა კვლავინდებურად ერთობ საიდუმლოდ მიმდინარეობდა. ავიოსანი „კონვენცია" კვლავინდებურად თავის ადგილზე, წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით იმყოფებოდა. ზუსტად ერთნაირ მანძილზე საჰაერო გზით როგორც სან-ფრანცისკოდან ,ისე ვლადივოსტოკიდან.

კვლავინდებურად არავინ იცოდა მსოფლიოში, რა უდიდესი საგალაქტიკათაშორისო შემთხვევა მოხდა — მპყრობელ მნათობის სისტემაში მიწისმიღმიერი ცივილიზაციის მქონე ახალი პლანეტა აღმოჩნდა, რომლის გონიერი არსებანი მიწისშვილთ ურთიერთკავშირის დამყარებას სთავაზობდნენ.

საგანგებო სხდომაზე ორივე მხარე არჩევდა და კამათობდა ესოდენ უჩვეულო და მოულოდნელი პრობლემის ყველა დადებითსა და უარყოფით მხარეზე. კომისიის ყველა წევრს, სხვა დამხმარე მასალების გარდა, მაგიდაზე წინ ედო დოსიე, 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების გადმოცემათა მთლიანი ტექსტით. ირჩეოდა ამ საბუთების ყოველი წინადადება და ყოველი სიტყვა. ყოველი წვრილმანი, მოყვანილი იმის დასტურად, თუ როგორაა მოწყობილი ტყისგულეთის პლანეტაზე გონივრული ცხოვრება, პირველ ყოვლისა იმ მოსალოდნელ შედეგთა თვალსაზრისით განიხილებოდა, ეთავსებოდა თუ არა იგი ცივილიზაციის დედამიწისეულ გამოცდილებას და პლანეტის წამყვანი ქვეყნების ინტერესებს... ასეთ პრობლემებს ადამიანთა შორის ჯერ არავინ გადაწყდომია. საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

წყნარ ოკეანეში კვლავინდებურად დაქროდა ქარიშხალი, თუმც მთელი ძალით არა.

რაღაი ქუთიბაევებმა საროზექის ამ საშინელ ბაბანაქებას გაუძლეს და სასოწარკვეთილები თავიანთი ბარგი-ბარხანით ბორანლი-ბურანიდან უკანმოუხედავად არ გაიქცნენ, სადაც გინდა, ოღონდ აქ არა, ბორანლელები მიხვდნენ, რომ ეს ოჯახი აქ დარჩებოდა და ცხოვრებას შეეცდებოდა. შესამჩნევად გახა-

ლისდა, უფრო სწორედ, ბორანლელთა ჭაბანში ჩაება აბუტალიფ ქუთიბაევი. რა ლაპარაკი უნდა, შეეგუა, შეეჩვია ასაქცევზე ცხოვრების პირობებს. როგორც ყველა და ყოველ კაცს, მასაც შეეძლო ეთქვა, ბორანლისთანა დაქცეული ადგილ ქვეყნად მეორე არაა, თუკი წყალიც, გინდ დასალევი, გინდ სახმარი, ცისტერნით უნდა ჩამოიტანოს მატარებელმა, ხოლო ვისაც ... მოესურვება, აქლემი შეკაზმოს და თულუხებით ცხრა მთას იქიდან მოზიდოს, რაიც ედიღეისა და ყაზანგაპის მეტს ვერავის ეკისრა.

დიახ, ბატონო, ასე გახლდათ ორმოცდათორმეტიდან სამოც წლამდე, ვინემ ასაქცევზე სიღრმის ელექტრო-საქარო წყლის საქაჩი არ დადგეს. მაგრამ იმხანად კი ოცნებითაც ვერავინ ოცნებებდა ასეთ რასმეზე. მიუხედავად ამისა, აბუტალიფს თავის დღეში არ დაუწყეველია და უგინებია არც ბორანლი-ბურანის ასაქცევი და არც საროზექის ეს კედარო. კარგი კარგად მიაჩნდა, ცუდი ცუდად. ბოლოს და ბოლოს ეს მიწა არაფერში და არავის წინაშე დამნაშავე არ იყო, კაცმა შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, გეცხოვრება თუ არ გეცხოვრება აქ...

ამ მიწაზედაც ცდილობდა ხალხი უკეთ მოწყობილიყო. როცა ქუთიბაევებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ მათი ადგილი აქ, ბორანლი-ბურანზეა, რომ წასასვლელი გზა სხვაგან არსად აქვთ და ამიტომ მკვიდრად უნდა მოიკიდონ ფეხი, საოჯახო საქმეებს ველარ და ველარ აუვიდნენ. რა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველდღეობით თუ ყოველ ცვლაზე თავისი წილი სამუშაო უნდა ეკეთებინათ, მაგრამ თავისუფალ დროსაც საზრუნავი საკმარისზე მეტი ჰქონდათ. რეტი დაესხა, ოფლში გაიღვარა აბუტალიფი, ვინემ სადგომს საზამთროდ მოამზადებდა — ღუმელს ამოაშენებდა, კარს დაათბუნებდა, ფანჯრის ჩარჩოებს წესრიგში მოიყვანდა. ეს საქმეები მაინცდამაინც არ ემარჯვებოდა, მაგრამ ედიღეი ხან იარაღით, ხან მასალით ხელს უმართავდა, მარტო არ ტოვებდა. ხოლო როცა ფარდულის გვერდით სარდაფი ამოთხარეს, ყაზანგაპიც წაეხმარათ. პატარა სარდაფის ორმო ძველი გახძელებით, ჩალით, თიხით დახურეს. სახურავიც მკვიდრი გაუკეთეს, რომ ვისმე საქონელი ანაზდად შიგ არ ჩავარდნილიყო. მაგრამ რა საქმესაც არ ადგნენ, აბუტალიფის ბიჭები გვერდიდან არ სცილდებოდნენ, სულ იქ ტრიალებდნენ, ზოგჯერ ხელსაც კი უშლიდნენ. სამაგიეროდ ართობდნენ და ამხნევებდნენ. ედიღეიმ და ყაზანგაპმა ბევრი იფიქრეს, აბუტალიფს როგორ დახმარებოდნენ მეურნეობის მოწყობაში და კიდევაც მოიფიქრეს. გაზაფხულიდან მეწველ ჯამა აქლემს მიუჩენდნენ. თავიდათავია, აბუტალიფი წველას მიეჩვიოს. აქლემი ძროხა არაა, იგი ფეხმდგომელამ უნდა მოწველო, ტრამალში უკან სდიო და კოზაკსაც გაუფრთხილდე, დროზე მიუშვა დედის ცურთან და დროზე მოაშორო. კოზაკს ცოტა ზრუნვა როდი სჭირდება. უნდა იცოდე, როდის რა გაუკეთო...

ყველაზე მეტად კი ეს აბარებდა ბურანელ ედიღეის: ხომ ამდენი საქმე ჰქონდა აბუტალიფს, მეურნეობასაც მისდევდა, თავისა და ედიღეის შვილებსაც ხან ათამაშებდა, ხან ზარიფასთან ერთად წერა-კითხვასა და ხატვას ასწავლიდა, ამ მიყრუებულ, ამ მივარდნილ ბორანლიში საკუთარ თავსაც არ ივიწყებდა. აბუტალიფი ხომ ნასწავლი კაცი იყო. წიგნების კითხვა, რალაცების ჩაწერა-ჩანიშვნა ღმერთს დაედგინა მისთვის. გულში კიდეც ამაყობდა ედიღეი, რომ ასეთი მეგობარი ჰყავდა. იმიტომაც მიუწევდა მისკენ გული, ელიზაროვსაც, საროზექის გეოლოგს, ამ ადგილებში ხშირად რომ ჩამოდიოდა, გახა შემ-

თხვევით დაუძმაკაცდა. ნასწავლსა და ბევრის მცოდნე ხალხს დიდად აფასებდა ედიღეი. აბუტალიფმაც ხომ ბევრი რამ იცოდა, ოღონდაც ერიდებოდა ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრები. მაგრამ ერთხელ კი დიახაც საგულისხმო საუბარი ჰქონდათ.

რკინიგზის სამუშაოდან მოდიოდნენ მწუხრისას. მეშვიდე კილომეტრზე, სადაც მუდამ ნამქერების საუფლო იყო, თოვლის საწინააღმდეგო დარაკები დადგეს იმ დღეს. მერე რა, რომ შემოდგომის პირი იყო, ზამთრის თადარიგი წინდაწინ უნდა დაიჭირო კაცმა. ისა და აბუტალიფი ერთად გამობრუნდნენ შინ. ჩინებული, ნათელი საღამო იყო, ლაპარაკის საღერღელს აგიშლიდა კაცს. მისთანა საღამოებში საროზეკის მიდამოები ბნდუდ იმზირებოდა დაისის თხელ ბურუსიდან არალის ზღვის ფსკერის დარად, როცა წყნარ ამინდში ნავიდან ჩახედავ.

— აბუ, საღამოობით, როცა კი თქვენ წინ ჩავიკლი, რაფიდან სულ შენი თავი ჩანს, ლამპა გინთია გვერდით. წერ თუ კირკემალაობ რამეს? — ჰკითხა ედიღეიმ.

აბუტალიფმა ბარი მეორე მხარზე გადაიტანა და პასუხი არ დააყოვნა:

— საქმე სულ უბრალოა. ხომ იცი, საწერი მაგიდა არა მაქვს. ჰოდა, ჩემი ყაჩაღანები რომ დაწვებიან, ზარიფა კი რაღაც წიგნს კითხულობს, მეც მივჯდები და ვწერ ჩემთვის ომისა და, რაც მთავარია, იუგოსლავიაში გატარებული წლების ამბებს, ვინემდე კიდევ რამე მახსოვს. დრო მიდის, ნამყო თანდათან გვშორდება. — აბუტალიფმა მცირე ხანს იყუჩა. — სულ იმაზე ვფიქრობ, ჩემს შვილებს რა გავუკეთო. ჭამა-სმას, გაზრდას — ცხადია, ვიდრემდე შემიძლია, არ დავაკლებ. მე იმდენი გადამიტანია და განმიცდია, ღმერთმა სხვას ასი წელი ნუ განაცდევინოს. მაგრამ მაინც ვცოცხლობ და ვსუნთქავ. ალბათ განგებამ ტყუილად არ ინება ასე. ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა ჩემს შვილებს რაღაც ვუთხრა, მათ ჩავაბარო ჩემი ცხოვრების ანგარიში, რადგან მე გავაჩინე ისინი ქვეყნად. ჩემი გაგებით ასეა. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება ყველასთვის ერთია, საყოველთაო, მაგრამ გაგება კი ყველას ჩვენ-ჩვენი გვაქვს და ჩვენვე მიგვყვება მიწაში. როცა ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ტრიალებს მსოფლიო ძალთა შეჯახებისას და ცოცხალი რჩება, თუმცა შეიძლებოდა, სულ ცოტა, ასჯერ მაინც მოეკლათ, იგი ბევრ რასმე შეიცნობს — შეიცნობს სიკეთესა და ბოროტებას, სწორსა და მრუდს...

— დაიცა, ეს გამაგებინე, — გაოცებით გააწყვეტინა ედიღეიმ. — იქნებ სწორიც იყო, მაგრამ შენი ბიჭები ხომ პატარებია, ცინგლიანები, თმის საკრეჭისაც კი ეშინიათ — იმათ რა უნდა გაიგონ?

— იმიტომაც ვწერ, რომ მათ დავუტოვო, შემოვუნახო. წინდაწინ არავინ იცის, ცოცხალი იქნება თუ არა. აგერ ამ სამი დღის უკან გზაში ფიქრებმა ისე გამომაშტერა, მატარებელს კინაღამ ჩავუვარდი. კიდევ კარგი, ყაზანგაპმა მოასწრო და ხელი მკრა, ლიანდაგიდან გადამაგდო. მერე კი შავი დღე მაყარა, შენმა შვილებმა დღეს ღმერთს უნდა დაუჩოქონ და მადლობა შესწიროონ.

— სწორიც უთქვამს. მე ადრევე გითხარი, ზარიფასაც ვუთხარი, — აღშფოთდა ედიღეი და კვლავაც გააფრთხილა. — ასე რად დაალაჯებ ლიანდაგებზე, თითქოს მატარებელმა რელსებიდან უნდა გადაუხვიოს და გზა გიტიოს? ხომ არსებობს მოძრაობის წესები. წიგნიერი კაცი ხარ, რამდენჯერ უნდა გაგი-

მეორო ერთი და იგივე? ახლა რკინიგზელი კაცი ხარ, ისე კი დიდიხარ, გეგონება, ბაზარში იყო. შენ ნუ ეხუმრები, მართლაც შეიძლება დაგეჯახოს.

— თუ დამეჯახა, ჩემი ბრალი იქნება, — მოლუშვით დაეთანხმა აბუტალიფი. — მაგრამ ჯერ მომისმინე, მერე დამარიგე ჭკუა.

— სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი. განაგრძე.

— წინათ ხალხი შვილებს ქონებას, სიმდიდრეს უტოვებდა. ვის ავად შეერგებოდა ეს სიმდიდრე, ვის — კარგად, როდის როგორ. ბევრი წიგნი დაწერილა, ბევრი, ბევრი ზღაპარი შექმნილა, ბევრი პიესა დადგმულა იმაზე, როგორ ნაწილდებოდა იმ ხანებში მემკვიდრეობა და რა მოსდიოდათ მერე მემკვიდრეებს, მერედა რატომ? იმიტომ, რომ ეს ქონება მეტწილად უსამართლო გზით იყო შეძენილი, სხვისი უბედურებისა და შრომის ხარჯზე, სხვისი მოტყუების გზით, იმიტომაც თავიდანვე ბოროტება, ცოდვა, უსამართლობა სდევდა სიმდიდრეს. ჩემთვის დიდი ნუგეშია, რომ, ღვთის მადლით, ჩვენ ეს არ მოგველის. ჩემი სამკვიდრო არავის ავნებს. ეს მხოლოდ ჩემი სული იქნება, ჩემი ნაწერები, ის, რასაც მე ომმა მიმახვედრა და რაც ომიდან გამოვიტანე, სხვა სიმდიდრეს ჩემს შვილებს მე ვერ ვუტოვებ. აქ, ამ საროზეკის უდაბნოში, მივედი ამ დასკვნამდე. ცხოვრება სულ უკან და უკან მხევდა, სულ აქეთ მიბიძგებდა, რომ აქ დავკარგულიყავ, გავმქრალიყავ. მე კი ჩავიწერ ჩემი შვილებისთვის ყველაფერს, რასაც ვფიქრობ და ვაზროვნებ, რომ შემდეგ ჩემს შვილებში განვაგრძო ოდესმე არსებობა. რაიც მე ვერ შევძელ, იქნებ მათ შეძლონ და მიაღწიონ... მათ კი ჩვენზე ძნელი ცხოვრება ელის. ამიტომ სიყრმიდანვე უნდა ისწავლონ ჭკუა...

რამდენიმე ხანს ჩუმად მიდოდნენ, თავ-თავისას ფიქრობდა ორივე. ეუცნაურა ედილეის ეს სიტყვები. გაუკვირდა, რომ კაცმა შეიძლება ასეც გაიგოს ამქვეყნად თავისი არსებობის აზრი. მაინც შეეცადა უფრო ნათლად გაერკვია ის, რამაც ესოდენ გააკვირვა.

— ყველას ჰგონია და რადიოშიაც ამას ამბობენ, ჩვენს შვილებს ჩვენზე უკეთესი და იოლი ცხოვრება მოელითო. შენ კი ამბობ, ჩვენზე უფრო გაუძნელდებათო. ატომურ ომს ხომ არ გულისხმობ?

— არა, მარტო მაგიტომ არა. იქნებ ომი არც იყოს, ხოლო თუ იქნება, არც ისე მალე. მე ლუკმაპურს არ ვგულისხმობ. უბრალოდ, დროის ჩარხი თანდათან უფრო სწრაფად ბრუნავს. ჩვენს შვილებს მოუწევთ ყველაფერს თავისი ჭკუით, თავისი ფიქრით ჩასწვდნენ და ნაწილობრივ ჩვენ მაგივრადაც აგონ პასუხი. ფიქრი კი ყოველთვის სამძიმოა, იმიტომაც ჩვენზე უფრო გაუძნელდებათ.

ედილეი ალარ ჩაძიებია, რატომ ჰგონია აბუტალიფს, ფიქრი ყოველთვის სამძიმოაო. არადა, ტყუილად არ ჩაეძია, შემდეგში ძალიანაც ინანა, ამ საუბარს რომ იგონებდა. უნდა გამოეკითხა, გამოერკვია, რას გულისხმობდა აბუტალიფი.

— მე იმიტომ ვამბობ, — განაგრძო აბუტალიფმა, თითქოს ედილეის ეჭვებს უპასუხაო, — რომ პატარებს უფროსები მუდამ ძალიან ჭკვიახები ჰგონიათ. დიდი ავტორიტეტის მქონენი. წამოიზრდებიან, ხედავენ, მასწავლებლები, მაშასადამე, ჩვენ, არც ისე ჭკვიანები ვყოფილვართ და არც ისე ბევრი გვცოდნია, როგორც ეგონათ. სასაცილო და ზოგჯერ კი საცოდავებიც ეჩვენებათ თა-

ვიანთი დაბერებული გამზრდელები. დროის ჩარხი თანდათან უფრო სწრაფად ტრიალებს. ისე რომ საბოლოო სიტყვა საკუთარ თავზე ისევ ჩვენ უნდა გთქვათ. ჩვენი წინაპრები თქმულებებით ცდილობდნენ ამას, რათა შთამომავლებისთვის დაემტკიცებინათ, რა დიდი ადამიანები იყვნენ. სწორედ [illegible] ვსჯით ახლა ჩვენ იმათ. მეც ამასვე ვაკეთებ, ჩემი შეძლებისდა მიხედვით, ჩემი შვილებისათვის. ჩემი თქმულებები ჩემი ომის წლებია. მათთვის ვწერ ამ ჩემს პარტიზანულ რვეულებს. რა იყო და როგორ იყო, რა ვნახე და რა გამოვიარე. გაიზრდებიან და გამოადგებათ. გარდა ამისა, სხვა ჩანაფიქრიც მაქვს. ისინი საროზექში უნდა გაიზარდონ. ხოლო რომ წამოიზრდებიან, არ იფიქრონ, ცარიელ-ტარიელ ადგილზე ვცხოვრობდითო. ამიტომაც ჩვენს ძველ სიმღერებს ვიწერ, მათ ხომ მერე ველარც მოძებნი. ჩემი გაგებით სიმღერა— წარსულიდან მოსული ცნობაა. შენს უქუბალას თურმე ბევრი სიმღერა სცოდნია. დამპირდა, კიდევ სხვებსაც გავიხსენებო.

— აბა როგორ! არალელი ქალია წარმოშობით! — მყის სიამაყე იგრძნო ედიღეიმ. — ზღვის პირას მცხოვრებ ყაზახთა ქალი! ზღვაზე სიმღერას კი რა სჯობია. ზღვას ყველაფერი ესმის. ყველაფერს იგებს. რასაც არ იტყვი — ყველაფერი გულით ნათქვამი და თანხმიერი გამოდის ზღვაზე.

— ეგ კი მართალი თქვი. ამას წინ გადავიკითხე ჩანაწერები და მე და ზარიფამ კინაღამ ვიტირეთ. რა ლამაზი სიმღერები ჰქონიათ ჩვენს ძველებს! ყოველი სიმღერა — მთელი ისტორიაა. თვალწინ გიცოცხლდება ეს ხალხი. გინდა სულში ჩაუძვრე, შეუხმატკბილდე, ეზიარო. გიყვარდეს და იტანჯო მათსავით. აი, რა ხსოვნა დაგვიტოვეს. ყაზანგაპის ბუქეიც დავიყოლიე უკვე — შენი ყარაყალპაკეთის სიმღერები გაიხსენე და ცალკე რვეულში ჩავიწერ-მეთქი, ყარაყალპაკური რვეულიც გვექნება-მეთქი...

ასე ტაატ-ტაატით მიჰყვებოდნენ რკინიგზის ხაზს ისინი. დღის საოცარი ხანი იყო. ვით ნაზი ოხვრა, ისე ნელინელ ილეოდა შემოდგომის პირისეული დღე. ხომ არც ტყეები, არც მდინარეები, არც მინდვრები გააჩნდა საროზექს, ჩამავალი მზე დედამიწის გადაშლილ პირზე, შუქ-ჩრდილის თვალშეუსწრები ციგლიგის წყალობით, მაინც სავსედ აჩენდა ტრამალს. ბნდუ, მოძრავი საილურჯე ამ ვეებერთელა სივრცისა ამაღლებულ ფიქრებს ბადებდა, სურვილს გიძრავდა დიდხანს გეცოცხლა და ბევრი ფიქრის დრო მოგცემოდა ამ საწუთროში...

— გამიგონე, ედიღეი, — დაიწყო ისევ აბუტალიფმა. გაიხსენდა, რაღაც რომ უნდა ეკითხა და შემთხვევასლა ელოდა. — სულ მინდა გკითხო, როგორ გგონია, ბუნებაში თუა ისეთი ჩიტი, დონენბაი რომ ჰქვია? ან გინახავს სადმე ასეთი ჩიტი?

— ეს ხომ ლეგენდაა.

— ვიცი, მაგრამ ლეგენდა ხშირად ნამდვილი ამბავია. დასტურ მომხდარი. მაგალითად, ერთი ჩიტია, მოლალური ჰქვია ჩვენთან. სემირეჩიეში მთელი დღე გალობს მთის ბაღ-ბალჩებში და სულ კითხულობს: „ჩემი საქმრო ვინაა?“ ეს მხოლოდ ბგერათა თამაშია, ბგერათა თანხმიერება. მაგრამ ზღაპარიც არის, თუ რად მოსძახის ასე. ჰოდა, მეც ვფიქრობ: ასეთი თანხმიერება ხომ არ არის ამ ამბავშიც? იქნებ ბუდობს ტრამალზე ისეთი ფრინველი, რომელიც დონენბაის მსგავს რაღაცას იძახის და ლეგენდაშიაც იმიტომ მოხვდა?

— არა, არ გამიგია, არც მიფიქრია, ასე თუა, — დაეჭვდა ედიღეი. —

თუმცა ეს მიდამოები სიგრძივ თუ განივ შემოვლილი მაქვს და ასეთი ფრინველი არ შემხვედრია. ალბათ არც არის.

— შესაძლოა, — ჩაფიქრებით წაილაპარაკა აბუტალიფმა.

— ხოლო თუ ასეთი ფრინველი არაა, მაშასადამე, არც ეს ლეგენდაა მართალი? — შეშფოთდა ედიღეი.

— რატომ არა, რაკილა ანა-ბეიითის სამარხი დგას, მაშ აქ რაღაც მომხდარა. და მაინც მგონია, რომ ასეთი ფრინველი არის და ვინმე ოდესმე მაინც ნახავს. შვილებისთვის სწორედ ასე ჩავიწერ.

— ჰო, თუ შვილებისთვის ჩაიწერ, — ყოყმანით ჩაილაპარაკა ედიღეიმ. — მაშინ რა უშავს...

რაც თავი ხასოვს ედიღეის, მხოლოდ ორმა კაცმა ჩაიწერა თავის დროზე ნაიმან-ანას საროზექული თქმულება ქაღალდზე. ჯერ აბუტალიფმა თავის ბიჭებისათვის, რომ წამოიზრდებიან, წაიკითხავენო. ეს კი ორმოცდათორმეტი წლის მიწურულს იყო. ის ხელნაწერი დაიკარგა. იმდენი მწუხარება შეხვდათ მას შემდეგ, ამისთვის ვისლა ეცალა! ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, ორმოცდაჩვიდმეტ წელს, ეს ლეგენდა ელიზაროვმა, აფანასი ივანოვიჩმა, ჩაწერა. ახლა აღარც ელიზაროვია. ხელნაწერი ალბათ მის ქაღალდებში დარჩა ალმა-ატაში... ერთმაც და მეორემაც მეტწილად ყაზანგაპის მონაყოლით ჩაწერეს. ედიღეიც იქ ესწრებოდა, მაგრამ უფრო მოკარნახე-მომგონებლისა და, ასე ვთქვათ, კომენტატორის კვალობაზე.

„ესეც შენი წლები! ღმერთო ჩემო, როდის იყო ეს ყველაფერი!" — ფიქრობდა ბურანელი ედიღეი, როცა ყაჯრით მორთული ყარანარის კუზებშუა მიირწეოდა. ახლა თვითონ ყაზანგაპს მიასვენებდა იგი ანა-ბეიითის სამარხზე. წრე თითქოს შეიკრა. ლეგენდის მთქმელს ახლა თვითონ ეპოვნა სამუდამო განსასვენებელი იმ სამარხში, რომლის ამბავს ასე სასოებით ინახავდა გულში და სხვებს გადასცემდა.

„ჩვენ ორიღა დავრჩით — მე და ანა-ბეიითი. თუმცა მეც მალე მომიწევს აქ მობრძანება და ადგილის დაკავება. ასე უჩანს პირი", — ნაღვლიანად ფიქრობდა ედიღეი, რომელიც კვლავ წინ მიუძღოდა ყარანარით უცნაურ სამგლოვიარო პროცესიას. უკან მისაბმელიანი ტრაქტორი მისდევდა, ტრაქტორის უკან ბორბლიანი ექსკავატორი „ბელარუსი". მარტოოდენ წითურა ძაღლი ჟოლბარსი, დაკრძალვაზე თვითნებურად წამობრძანებული, თავიადა გუნების მიხედვით ხან თავში მოექცეოდა პროცესიას, ხან კუდში, ხან გვერდით მისდევდა და ხან კი სულაც მცირე ხნით სადღაც გატყვრებოდა... კუდი დიდგულად აეპრიხა და აქეთ-იქით საქმიანად იყურებოდა...

მზე უკვე მაღალზე იდგა, შუადღე ახლოვდებოდა. ანა-ბეიითის სამარხამდე არც ისე დიდი გზა დარჩენოდათ...

VIII

ორმოცდათორმეტი წლის დამლევი, უფრო სწორად, მთელი შემოდგომა და დაგვიანებით, მაგრამ უქარბუქოდ შემობრძანებული ზამთარი, მგონი, ყველაზე საუკეთესო ხანი იყო ბორანლი-ბურანის ასაქცევის მაშინდელ ერთი მუჭა მცხოვრებთათვის. ედიღეი მერე კიდევაც შენატროდა იმ დღეებს.

ბორანლელთა პატრიარქი ყაზანგაპი, ფრიად თავდაჭერილი, სხვის საქმეში

თავის დღეში ომამ არ ჩაერეოდა, მაშინ ჯანზედაც იყო და ძალაც მოსდევდა. მისი საბითქანი უკვე ქუმბელის ინტერნატში სწავლობდა. ქუთიბაევების ოჯახმა იმ დროისათვის მკვიდრად მოიკიდა ფეხი საროზექში. ბარაკი საზამთროდ დათბუნეს, კარტოფილი მოიმარაგეს, ზარიფასა და ბიჭებს თექის ჩექმები უყიდეს. ერთი ტომარა ფქვილი თვითონ ედიღეიმ ჩამოუტანა ქუმბელის მუშათა მომარაგების განყოფილებიდან. იმხანად უკვე მომძლავრებული ანალგაზრდა ყარანარით, აბუტალიფი ნამუსიანად აკეთებდა თავის საქმეს და მთელ თავისუფალ დროს ყმაწვილებთან ატარებდა, საღამოს კი რაფაზე ლამპას შემოდგამდა და მუყაითად წერდა.

ნადგურის მუშების კიდევ ორი-სამი ოჯახიც იყო ასაქცევზე. მაგრამ იმათ აქ დარჩენის პირი არ უჩანდათ. ასაქცევის მაშინდელი უფროსი აბილოვიც კაი კაცი ჩანდა. ბორანლელებიდან არავინ ავადმყოფობდა. ყველა თავის საქმეს უძღვებოდა. ბალღები იზრდებოდნენ. ზამთრისეული სამუშაოები — დარაკების დადგმა იყო ეს თუ გზის შეკეთება — არ გვიანდებოდა.

მშვენიერი დარი იდგა საროზექისთვის — პურის ქერქივით ყავისფრად დაბრაწული შემოდგომა! მერე ზამთარიც ჩამოდგა. თოვლი მაშინვე დადო. ესეც ლამაზი იყო, თეთრად გადაეთქათდა იქაურობა. ამ თეთრ მდუმარე მიწაზე შავი ძაფივით გაჭიმულიყო რკინიგზა და დღენიადაგ გრიალით მიქროლდნენ ზედ მატარებლები. ამ მოგრიალე გზის გვერდით კი თოვლის ბორცვებთან პაწია დაბა— ბორანლი-ბურანის ასაქცევი მიყუჟულიყო, სულ რამდენიმე სახლი და სხვადასხვა ნაგებობანი... მგზავრები გულგრილად გადმოხედავდნენ ხოლმე ვაგონებიდან ამ სახლებს, ვის წამიერი სიბრალულიც გაუკრთებოდა ასე ეულად მცხოვრებ ადამიანებისადმი...

მაგრამ წამიერად შესაბრალისიც კი არაფერი ჰქონდათ ბორანლელებს. მათთვის ეს ჩინებული წელი გახლდათ, თუ ზაფხულის იმ არნახულ პაპანაქებას არ ჩავთვლით, რომელმაც უკვე განვლო. ცხოვრება ომის შემდეგ ყველგან მძიმე-მძიმედ, მაგრამ მაინც უკეთ ეწყობოდა. ახალი წლისთავის ისევ ფასების დაკლებას ელოდებოდნენ სანოვაგესა თუ სამრეწველო საქონელზე. მართალია, მაღაზიებში ყველაფერი უხვად არ ეყარა, მაგრამ წლითი-წლობით მაინც უმჯობესდებოდა მდგომარეობა.

ჩვეულებრივ ბორანლელებს დიდად არაფრად მიაჩნდათ ახალი წელი, გულის ფანცქალით არ ელოდნენ შუაღამეს. სამუშაო სამუშაო იყო, საქმე საქმე, მატარებლები მიდი-მოდიოდნენ, სულაც არ ანაღვლებდათ, სად და როდის მოუსწრებდათ გზაში ახალი წელი. თანაც ზამთრის ხანს ოჯახში საქმემ იმატა. ღუმელს დანთება უნდოდა, საჩეხეებსა თუ საძოვარზე საქონელს მიხედვა. მთელი დღე იქანცებოდა კაცი, დასვენება და ადრე დაძინება ყველაფერს ერჩივნა.

ასე მისდევდა წელი წელს... მაგრამ ორმოცდაცამეტის ახალი წელი ჭეშმარიტი დღესასწაული გამოდგა ბორანლი-ბურანში და, რა თქმა უნდა, ქუთიბაევების ოჯახის წყალობით. საახალწლო სამზადისში ედიღეი სულ ბოლოს ჩაება. ქუთიბაევებმა გადაწყვიტეს ბავშვებისთვის ნაძვის ხე მოეწყოთ. საროზექში კი ნაძვის ხეზე უფრო ადვილად დინოზავრის კვერცხს მოძებნიდი კაცი, აკი აღმოაჩინა ელიზაროვმა საროზექში მილიონობით წლების უკან ნამარხი დინოზავრის კვერცხები გეოლოგიურ ბილიკებზე ხეტიალისას. ქვად

ქცეულიყო ვეებერთელა, საზამთროს ოდენა კვერცხები .ისინი ალმა-ატას მუზეუმში წაიღეს. გაზეთებშიაც გაწერეს ეს ამბავი.

სხვა რა გზა იყო, იმ ყინვაში ქუმბელში გაემგზავრა აბუტალიფ ქუთიბაევი. იქაური ადგილკომი ძლივს დაითანხმა, რომ ამ დიდ სადგურზე გამოგზავნილ ხუთი ნაძვის ხიდან ერთი ბორანლი-ბურანისთვის გამოეყოფინა. [illegible] დაიწყო ყველაფერი.

სწორედ საწყობთან იდგა ედიღეი. ასაქცევის უფროსისგან ახალ სამუშაო ხელჯაგებს იბარებდა, როცა ღრჭიალითა და ყინულის ლაწალუწით ჩამოდგა პირველ ლიანდაგზე ტრამალის ქარებისაგან დაღრეკილი გრძელი სატვირთო მატარებელი, ოთხღერძიანი დაპლომბილი ვაგონებით. ბოლო ვაგონის ლია ბაქნიდან რის ვაივაგლახით ჩამოძვრა აბუტალიფი, ჩექმები ყინულად ქცეოდა, გაფიჩხულ ფეხებს ძლივას ადგამდა. ბაქანზე ამ მატარებლის გამყოლი იდგა, უზარმაზარი ტყაპუჭი ეცვა, ბეწვის ქუდი გულდაგულ ჩამოეფხატა, ტანს ძლივს ატრიალებდა. აბუტალიფს რაღაც დიდი შეხვეული ჩამოაწოდა. ნაძვის ხე იქნებაო, მიხვდა ედიღეი და მართლა გაოცდა.

— ჰეი, ედიღეი ბურანელო! აქ მო, მოეხმარე ამას! — დაუძახა გამყოლმა, რომელიც მთელი თავისი ვეებერთელა ტანით ვაგონის კიბეზე გადმოყუდებულიყო.

ედიღეი საჩქაროდ გაიშურა მათკენ. აბუტალიფის დანახვაზე შეშინდა კიდეც. წარბებამდე თოვლს დაეფარა აბუტალიფი, ისე გათოშილიყო, ტუჩებს ვეღარ ატრიალებდა, ხელებს ვეღარ ამოძრავებდა. გვერდით ნაძვის ხე ედგა. ის ეკლიანი ხე, რომლის გამოც ლამის იმ ქვეყანას გაემგზავრა.

— ასე როგორ იქნება ადამიანის გაშვება! — უკმაყოფილოდ ჩაიხრიწინა გამყოლმა .— უკანა ბაქანზე ლამის სული გააფრთხობინა ქარმა. ჩემი ტყაპუჭი მინდოდა მიმეცა, მაგრამ მეც რომ გავიყინებოდი!

აბუტალიფმა ძლივას აამოძრავა ტუჩები:

—უკაცრავად, ასე მოხდა. აქვე ვცხოვრობ, ხელად გავთბები.

— განა არ ვუთხარი, — ბუზღუნით მიუბრუნდა კონდუქტორი ედიღეის. — მე აგერ ტყაპუჭი მაცვია, ტყაპუჭის შიგნით დაბამბული ტანსაცმელი, თექის ჩექმები, ქუდი და მაინც, ვინემ გადასარბენს მოვითავებ და ცვლას ჩავაბარებ, ლამის თვალები გადმომცვივდეს. ასე როგორ იქნება!

ედიღეიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— კარგი, კარგი, ტროფიმ. გავითვალისწინებთ! მადლობელი ვართ. აბა, მშვიდობით გემგზავროს! — უთხრა ეს და ნაძვის ხეს დაავლო ხელი. დიდი ხე არ იყო, კაცის სიმაღლე იქნებოდა. სიცივე და ზამთრის ტყის სუნი დააყენა ნაძვის წიწვებმა. გულმა რეჩხი უყო ედიღეის — გაახსენდა ფრონტი, იქაური ტყეები. ჰაუ, რა ნაძვნარი იყო! ტანკებით ზედ გადადიოდნენ, ჭურვებით ძირფესვიანად თხრიდნენ. განა ოდესმე იფიქრებდა, ნაძვის სურნელი თუ ასე ეძვირფასებოდა.

— წავიდეთ, — ედიღეიმ ნაძვის ხე მხარზე შეიგდო და აბუტალიფს შეხედა.

სახე განაცრისფერებოდა აბუტალიფს. გათოშილ ლოყებზე ცრემლები შეყინვოდა, წარბები გათეთრებოდა, მაგრამ თვალები სიხარულითა და ზეიმით უბრწყინავდა. ედიღეი ანაზდად შიშმა აიტანა: დაუფასებენ კია შვილები

ასეთ ერთგულებას? ხშირად ხომ პირიქით ხდება. მადლიერებას გულგრილობა და ხანდახან სიძულვილიც ცვლის. „ღმერთმა დაიფაროს ამისაგან. სხვა უბედურებაც ეყოფა“, — გაიფიქრა გულში.

ნაძვის ხე პირველად ქუთიბაევების პირმშო დაულმა დაინახა, დაინახა და სიხარულით შეჰყვირა, ბარაკის კარიდან გამოსხლტა, ზარიფაც [illegible] ერმექიც ზედა ჩასაცმელის გარეშე გამოცვივდნენ.

— ნაძვის ხე, ნაძვის ხე! შეხე, შეხე, რა ნაძვის ხეა! — ზეიმობდა დაული და ასკინკილას უვლიდა გარშემო.

ზარიფა არანაკლებ ხარობდა:

— მაინც იშოვე! აი, ყოჩაღ!

ერმექს თურმე ნაძვის ხე არასოდეს ენახა, ამიტომაც თვალს ვერ აშორებდა ძია ედილეისა და მის ტვირთს.

— ესაა ნაძვის ხე, დედი? კარგია, ხომ? ჩვენთან იცხოვრებს?

— ამ დაწყევლილი ნაძვის გამო ქმარი კინაღამ გაგეყინა, ზარიფა, — უთხრა ედილეიმ. — ჩქარა შინ შეიყვანე და გაათბე. პირველ ყოვლისა ჩექმები გახადე.

ჩექმები ისე გაყინულიყო, როცა ყველა ერთად დაექაჩა გასახდელად, აბუტალიფს სიმწრისაგან სახე დაემანჭა, პირმოკუმული კვნესოდა. მეტადრე ბიჭები ბეჯითობდნენ, პაწია ხელებით ებღაუჭებოდნენ მძიმე ჩექმებს. ყინვას ქვად და რკინად ექცია ისინი.

— ხელს ნუ მიშლით, ბავშვებო, მე გავხდი! — იშორებდა შვილებს დედა.

მაგრამ ედილეიმ ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— თავი გაანებე, ზარიფა, დაე გაიჭირვონ.

გუმანით მიხვდა ედილეი, რომ ყველაზე დიდი ჯილდო — შვილების სიყვარული და თანაგრძნობა იყო აბუტალიფისთვის. მაშასადამე, უკვე ადამიანები არიან, მაშასადამე, უკვე რაღაც ესმით. ყველაზე სასაცილო მაინც უმცროსი ჩანდა. რატომღაც მამუკის ეძახდა ერმექი მამას. ასე თავისებურად გადააკეთა ერთ-ერთი ის სიტყვა, დაბადებიდან ყველაზე პირველად რომ წარმოთქვამს ხოლმე ადამიანი, არც არავის გაუსწორებია ერმექისათვის მერე, ასე არ უნდათ.

— მამუკი! მამუკი! — ფაციფუცობდა გულმოდგინებისაგან ლოყებდაწითლებული ბიჭი. კულულები აფუშფუშებოდა, თვალებში სურვილი უბრწყინავდა, მამას მიხმარებოდა, სახე კი ისე დადინჯებოდა, უნებურად გაგეცინებოდა.

არა, რაღაც უნდა მოეფიქრებინა ედილეის, ბიჭები რომ მიზანს სწვდნენ, — და მოიფიქრა კიდეც. ჩექმები უკვე გამლხვალიყო, ისე რომ შეიძლებოდა თითქმის უმტკივნეულოდ გაეძრო აბუტალიფისათვის.

— აბა, ბიჭებო, უკან მომისხედით, ვითომ მატარებელი ვართ. დაულ, შენ მე მომეჭიდე, ერმექ, შენ — დაულს.

აბუტალიფი მიუხვდა ზრახვას ედილეისა და მოწყენებით დაუქნია თავი. სითბოში ცრემლები მოსდგომოდა თვალებზე.

ედილეი აბუტალიფის წინ დაჯდა, უკან ბიჭები ჩარიგდნენ ვაგონებივით.

— აბა, ბიჭებო, ერთად დავეჭიდოთ, აბა ლონივრად! — დაიწყო ედილე-

იმ, — თორემ მე მარტო ვერას გავხდები, ამდენი ძალა ვინ მომცა, მიდით, დაულ, ერმეკ! რაც ძალი და ღონე გაქვთ!

ბიჭები ერთი ჩვენეშა-ხვნეშით ცდილობდნენ დახმარებას. ზარიფა გულშემატკივროობდა. ედიღეის ვითომ ძალიან უჭირდა, ვერ ერეოდა ჩექმას, და როცა ბოლოს ცალი ჩექმა წააძრეს აბუტალიფს, ბიჭებმა გამარჯვების ალიანა დასცეს. ზარიფა უმალ მიიჭრა ქმართან და შალის ნაქსოვით ფეხისგულის ზელა დაუწყო. მაგრამ ედიღეიმ შეაჩერა:

— ეგ როგორ იქნება, აბა რას აკეთებთ დედა-შვილები? მეორე ჩექმა ვინ უნდა გააძროს? კაი იქნება ასე დავტოვოთ მამა, ცალი შიშველით და ცალი კი გაყინული ჩექმით?

რატომღაც ყველას კისკისი აუტყდა. სიცილისაგან დიდხანს იკოტრიალეს იატაკზე. მეტადრე ბიჭებმა და აბუტალიფმა იცინეს ბევრი.

შემდეგში, როცა იმ საშინელი ამოცანის ამოხსნა უცდია, ბევრჯერ უფიქრია ბურანელ ედიღეის: სადღაც, ბორანლი-ბურანიდან ძალიან შორს, იქნებ სწორედ იმ წუთას ამოტივტივდა კვლავაც აბუტალიფ ჭუთიბაევის სახელი ქალალდებში და ხალხი, ვისაც ეს ქალალდი ედო წინ, მისი მიხედვით წყვეტდა საკითხს, რომელიც არც ამ ოჯახსა და არც ასაქცევზე მცხოვრებთ სიზმარში თუ ცხადში არ დაესიზმრებოდათ და მოაფიქრდებოდათ.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი. თუმცა ამ საქმეებში უფრო გამოცდილი და უფრო ეშმაკი კაცი რომ ყოფილიყო ედიღეი, მიხვედრით თუ ვერ მიხვდებოდა, გაურკვეველ შიშს მაინც უნდა აეტანა.

მაგრამ შიშს მაშინ რად უნდა აეტანა? წლის ბოლოსათვის ასაქცევზე მუდამ ჩამოდიოდა უბნის რევიზორი. გრაფიკის მიხედვით ჩამოივლიდა ხოლმე ყოველ ასაქცევსა და სადგურს, გაჩერდებოდა ორიოდე დღე, შეამოწმებდა, ხელფასი როგორ დარიგდა, მასალები როგორ გაიხმარეს და სხვა და სხვა, დასწერდა რევიზიის აქტს ასაქცევის უფროსსა და რომელიმე მუშასთან ერთად და ისევ ერთ-ერთ მატარებელს გაჰყვებოდა. განა რა დიდი საქმეები იყო ასაქცევზე! ედიღეისაც ბევრჯერ მოუწერია ხელი რევიზიის აქტზე. ამჯერად სამი დღე დაჰყო რევიზორმა ბორანლი-ბურანში. ღამეს ასაქცევის მთავარ შენობაში ათევდა, სადაც ტელეფონი იდგა და აიდევ უფროსის ოთახი იყო, კაბინეტად რქმეული. ასაქცევის უფროსი აბილოვი წამდაუწუმ შერბოდა და ჩაი შეჰქონდა ხოლმე ჩაიდნით. ედიღეიმაც მიაკითხა რევიზორს. ქალალდებს ჩაჰკირკიტებდა კაცი და თუთუნს აბოლებდა. იქნებ ვინმე ნაცნობთავანი იყოსო, იფიქრა ედიღეიმ, მაგრამ არა, ამას არ იცნობდა. ლოყებლაქლაქა კაცი იყო, სათვალიანი, მეჩხერებილება, თმაში ჭალარა გარეოდა. უცნაური, თითქო ლორწო ღიმილი უკრთოდა თვალებში.

გვიან საღამოს ისევ შეხვდა. ცვლიდან მოდიოდა ედიღეი. დაინახა სამორიგეო შენობის წინ, ფარნის ქვეშ ბოლთას სცემდა რევიზორი. კრაველის საყელო აეწია, კრაველისავე ქუდი ეხურა, სათვალე ეკეთა, ჩაფიქრებული აბოლებდა. ჩექმებს დააჭრიჭინებდა ხვინჭაზე.

— საღამო შშვიდობისა. გასაბოლებლად გამობრძანდით? დაიღალეთ? — უთანაგრძნო ედიღეიმ.

— მაშ როგორ, — ოდნავ გაიღიმა იმ კაცმა. — ადვილი კი არაა, — და ისევ მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა პირზე.

— ცხადია, ასე იქნება, — ზრდილობის ხათრით წაილაპარაკა ედიღეიმ.

— ხვალ დილას მივემგზავრები, — აუწყა რევიზორმა. — მეჩვიდმეტე ჩამოვლის, გაჩერდება და იმას გავყვები. — ისევ ოდნავ გაიღიმა კაცმა. მოგუდული ხმა ჰქონდა, თითქოს ლაბარაკი უჭირდა. თვალები კი მოწკურვით გიცქერდნენ. — მაშ თქვენ ბრძანდებით ედიღეი ქანგელდინი? — ჰკითხა რევიზორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ. მე გახლავარ.

— ასედაც მეგონა. — რევიზორმა თავდაჯერებით გამოაბოლა მეჩხერი კბილებიდან. — ყოფილი ფრონტელი. ასაქცევზე ორმოცდაოთხიდან ცხოვრობთ. რკინიგზის მუშაკები ბურანელს გეძახიან.

— მართალს ბრძანებთ, — მიამიტად მიუგო ედიღეიმ. ეამა, ამ კაცმა რომ ამდენი რამ იცოდა მასზე ,თუმცა კი გაუკვირდა, ნეტა რაში დასჭირდა ამ ამბების გამორკვევა, რამ დაამახსოვრაო.

— მე კარგი მეხსიერება მაქვს, — ისევე ოდნავი ღიმილით განაგრძო რევიზორმა, მიხვდა ალბათ, რაც გაიფიქრა ედიღეიმ. — ამ თქვენი ქუთიბაევივით მეცა ვწერ, — თავი გაიქნია და განათებული ფანჯრისკენ გაუშვა ბოლი რევიზორმა, სადაც, როგორც ყოველთვის, რაფიდან აბუტალიფის თავი ჩანდა, თავის ჩანაწერებს მისჯდომოდა. — მესამე დღეა ვუყურებ, სულ წერს და წერს. მესმის, მე თვითონაც ვწერ, ოღონდ ლექსებს. დეპოს გაზეთში თითქმის ყოველთვე ვიბეჭდები, იქ ჩვენ ლიტერატურული წრე გვაქვს. მე ვხელმძღვანელობ. საოლქო გაზეთებშიც დამიბეჭდეს რვა მარტის ლექსი. წლეულს კი — პირველი მაისის.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ედიღეი ის იყო უნდა დამშვიდობებოდა და წასულიყო, რომ რევიზორმა ისევ ჰკითხა:

— იუგოსლავიაზე წერს, ხომ?

— მართალი გითხრათ, კარგად არ ვიცი, — მიუგო ედიღეიმ. — მგონი. კი. ეგ ხომ იქ დიდხანს პარტიზანობდა. თავისი შვილებისთვის სწერს.

— ვიცი. აბილოვს გამოვკითხე, თურმე ტყვეობაშიც ყოფილა. თითქოს რომელიღაც წლებში უმასწავლებლია კიდეც. ახლა კი კალმით გადაუწყვეტია თავის გამოჩენა, — ისე ჩაიცინა, თითქოს კბილები გააღჭრიალაო რევიზორმა, — თუმცა ეს არც ისე იოლია, როგორც ჩანს. მეც ვფიქრობ დიდი რაღაც დავწერო ფრონტზე, ზურგზე, შრომაზე. მაგრამ ჩვენს ძმას დრო ვინ მისცა. სულ მივლინებებში გვაგზავნიან...

— ეგეც საღამოობით იცლის ხოლმე, დღე მუშაობს, — ჩაურთო ედიღეიმ.

ისევ დადუმდნენ. ედიღეიმ ვერც ახლა მოასწრო გაცლა.

— აბა უყურე, სულ წერს და წერს, თავს ზევით არ იღებს, — ისევ ცალყბად გაიღიმეა რევიზორი და აბუტალიფის ჩრდილს დააკვირდა ფანჯარაში.

— რაღაც ხომ უნდა აკეთოს კაცმა, — მიუგო ამაზე ედიღეიმ. — წიგნიერი კაცია. ირგვლივ არავინაა და არაფერია. ჰოდა, ეგეც სწერს.

— ოჰო, ეგ სწორი თქვით. ირგვლივ არავინაა და არაფერია, — თვალები მოწკურა და ჩაფიქრებით ჩაიბურტყუნა რევიზორმა. — კაცი შენს ნებაზე ხარ, ირგვლივ არავინაა და არაფერია. ეგ კარგი აზრი მომაწოდეთ... შენ კი შენს ნებაზე ხარ...

ამ სიტყვებზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს შემდეგ დღეებში სულ ფიქ-

რობდა ედიღეი, არ დამავიწყდეს, რევიზორთან ის შემთხვევითი საუბარი აბუტალიფს ვუთხრაო, მაგრამ როგორღაც დრო ვერ იხელთა, მერე კი სულ გადავიწყდა.

ზამთარი ახლოვდებოდა, საქმე ბევრი იყო. რაც მთავარია, ყარანარმა სულ აიშვა და აიწყვიტა. შავ დღეში ჩააგდო პატრონი. ორი წლის უკან მომწიფდა, როგორც ათანშა[1], ყარანარი. მაგრამ იმ ორ წელს კიდევ შეიძლებოდა მისი დამორჩილება, დაშინება, თუკი დაუყვირებდი. თანაც ბორანლელთა ჯოგის ბებერი ლიონი — ყაზანგაპის ნარაქლემი ფრთებს არ აშლევინებდა, წიჩლავდა და კბენდა, დედლებს ახლოს არ აკარებდა. მაგრამ ტრამალი დიდია. ერთი კიდიდან რომ გააგდებდნენ ყარანარს, მეორიდან შემოუტევდა. მთელი დღე ასე დაარბენინებდა ბებერ ათანს ახალგაზრდა ფიცხი ათანი, ვინემ სიქმა არ გააცლიდა, მერე კი მაინც გაჰქონდა თავისი.

მაგრამ როცა ზამთრის ყინვები გამეფდა და აქლემებს კვლავ ძველებურად სისხლი აუჩქროლა ბუნებამ, ბორანლელთა ჯოგის ბელადად ყარანარი იქცა. ძლიერმა. უკვე ყოვლისშემმუსვრელი ძალის მქონე ყარანარმა სულ ოლად მიიმწყვდია ყაზანგაპის ათანი ხრამის კიდეზე უკაცრიელ ტრამალში და ისე სცემა, დაწიხლა და დაკბინა. სიკვდილის პირამდე მიიყვანა ბებერი აქლემი, რამეთუ გამშველებელი ირგელივ არავინ იყო. ბუნება თანამიმდევრულად მისდევდა თავის ულმობელ კანონს — ახლა ყარანარის ჯერი დადგა შთამომავლობა გაეჩინა.

ამის თაობაზე მაშინ პირველად წაიკინკლავეს ყაზანგაპმა და ედიღეიმ, გულმა არ მოუთმინა ყაზანგაპს, როცა ეს საცოდავი სურათი — ხრამის ქვეშ თავის დაწიხლული და გათელილი ათანი ნახა. საძოვრიდან მოქამული დაბრუნდა და ედიღეის უთხრა:

— ეს როგორ დაუშვი? ეგენი თუ პირუტყვებია, ჩვენ ხომ კაცნი ვართ! შენმა ყარანარმა ხომ მკვლელობა ჩაიდინა. შენ კი არხეინად უშვებ ტრამალში!

— მე არ გამიშვია, ყაზაქე, თვითონ წავიდა. მითხარი, როგორ გავაჩერო? ჯაჭვით დავაბა? ეგ ჯაჭვსაც აწყვეტს. თვითონაც იცი. ტყუილად არ უთქვამთ ძველად: „ყიუშ ათასინ თანიმაიდი“[2]. მაგისი ქამიც დადგა.

— შენ კი გიხარია! მაგრამ დაიცა, ჯერ სადა ხარ: გეცოდება. არ გინდა ნესტოები გაუხვრიტო და შიში[3] გაუყარო, მაგრამ ცხარე ცრემლებით გატირებს, უკან დევნით ღღინს გაგაცლის. მისთანა პირუტყვი ერთ ჯოგს არ იკმარებს, მთელი საროზექის ტრამალებს მოირბენს და ყველას შეებმება. ვერც დააკავებ და დაიმორჩილებ. მაშინ გაიხსენებ ჩემს სიტყვებს...

აღარ დაუწყო დავა, აღარ გააჯავრა ყაზანგაპი ედიღეიმ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო. ამიტომ ესლა ჩაიბურტყუნა:

— შენ თვითონ არ მაჩუქე, როცა ძუძუმწოვარა იყო. ახლა კი მეჩხუბები. კარგი, რამეს მოვიფიქრებ, რაღაცას გავახერხებ, ქედი რომ მოვადოკინო.

მაგრამ ნესტოები გაეხვრიტა, ხის შიში გაეყარა, ყარანარისთანა ლამაზი

---

[1] ახალგაზრდა ათანი, ლიონი.

[2] ძალა მამასაც არ ინდობს.

[3] ხის ნაჭერი, ზედა ტუჩზე რომ უყრიან აქლემს.

აქლემი დაემახინჯებინა, ეს ველარ გააკეთა ედიღეიმ, გულმა არ უქნა. შემდეგში, ვინ მოთვლის, მართლაც რამდენჯერ გაიხსენა ყაზანგაპის ნათქვამი, გაცოფებულმა რამდენჯერ დაიფიცა, აღარაფერს აღარ მივხედავო, და მაინც ხელი არ ახლო აქლემს. ერთი პირობა კიდეც გადაწყვეტილ[illegible]ვო, მაგრამ ვერ გაბედა, ვერ მოერია თავს. წლები კი მიდიოდ[illegible] წელს ზამთრის ყინვების დადგომისთანავე იწყებოდა ისევ ტრამალებში ხეტიალი ვნებისგან გაგიჟებული და გააფთრებული ყარანარის საძებრად...

იმ ზამთრიდან დაიწყო ყველაფერი. ეს კარგად ახსოვს ედიღეის. ვინემ ყარანარა მოარჯულებდა, ვინემ საჩეხეს გააკეთებდა მის დასამწყვდევად, ახალმა წელმაც მოაღწია. ქუთიბაევებმა ნაძვის ხის მოწყობა განიზრახეს. ბოიანლელი გოგო-ბიჭებისთვის ეს დიდზე დიდი დღესასწაული გამოდგა. უქუბალა თავისი გოგოებით ლამის ქუთიბაევების ბარაკში დასახლდა. მთელი დღე ნაძვის ხის მოტანის სამზადისში იყვნენ. სამსახურში წასვლამდე და იქიდან მობრუნებისას ედიღეიც პირველად ქუთიბაევებს შეაკითხავდა იმის სანახავად, ნაძვის ხის საქმე როგორაა. თანდათან ლამაზდებოდა და ირთკებოდა ნაძვი ლენტებით, ხელით ნაკეთები ნაირ-ნაირი სათამაშოებით. მართლა იყოჩაღეს ქალებმა — ზარიფამ და უქუბალამ თავი გადადეს, პატარებისთვის მთელი თავისი ოსტატობა აჩინეს. მარტო ნაძვის ხის გამო არ იყო ეს ყველაფერი, ამ ახალი წლისგან ბევრ რასმე გამოელოდნენ, ანგაოიშმიუცემლად ყველას იმედი ჰქონდა, მალე იქნება ცვლილებები, ბედნიერი ცვლილებებიო.

აბუტალიფი ნაძვის ხეს აღარ დასჯერდა, მთელი გოგობიჭობა გარეთ გამოიყვანა, თოვლის დიაცი გააკეთებინა. ედიღეის ჯერ ეგონა, უბრალოდ ერთობიან, თავს იქცევენო, მერე კი თვითონაც მოეწონა. უზარმაზარი, სასაცილოზე სასაცილო, თითქმის ადამიანის სიმაღლე თოვლის დიაცი, ნახშირის თვალებითა და წარბებით, წითელი ცხვირით, თავზე ყაზანგაპის გაქუცული მალახაით, მოლიმარი იდგა ასაქცევის წინ და მატარებლებს ეგებებოდა. ცალ „ხელში" რკინიგზელის მწვანე ალამი ეჭირა — გზა ხსნილიაო, მეორეში კი — ფიცარი, რომელზედაც ეწერა: „მოგილოცავთ ახალ 1953 წელს!" ზორბაღ კი გამოვიდა მართლა! ახალი წლის მერმეც დიდხანს იდგა ეს თოვლის დიაცი...

მიმავალი წლის 31 დეკემბერს მთელი დღე დაბინდებამდე თამაშობდნენ ბოიანლელი გოგო-ბიჭები ხან ნაძვის ხის ირგვლივ და ხან ეზოში. ასევე ერთობოდნენ მოზრდილებიც. ვინც იმ დღეს არ მორიგეობდა. დილას უამბო აბუტალიფმა ედიღეის. გათენებისას როგორ შემოუძვრნენ საწოლში ბიჭები, ქსუტუნებდნენ, წრიალებდნენ. აბუტალიფმა კი თავი მოიმძინარა თურმე.

„— ადექი, ადექი, მამუკი! — მაჯანჯლარებს ერმეკი, — თოვლის ბაბუა მალე ჩამოვა და უნდა შევხვდეთ.

— კარგი, — მე ვუთხარი, — ახლავე ავდგებით, დავიბანთ, ჩავიცვამთ და წავალთ. ხომ შეგვპირდა თოვლის ბაბუა. ჩამოვალო.

— რომელი მატარებლით? — მკითხა ახლა უფროსმა.

— რომლითაც უნდა, — ვუთხარი, — თოვლის ბაბუას ჩვენს ასაქცევზე ყველა მატარებელი გაუჩერებს.

— მაშინ ჩქარა უნდა ავდგეთ!

დიდი ამბით მოვემზადენით.

— დედა არ წამოვა? — მკითხა დაულმა, — დედასაც ხომ უნდა თოვლის ბაბუას ნახვა?

— აბა როგორ, — ვუთხარი, — დედასაც დაუძახეთ.

ყველანი ერთად გამოვედით სახლიდან. ბიჭებმა გაგვაცილეს, სამორიგეოსკენ გაიქცნენ. ჩვენ უკან მივყევით. დარბიან ჩემი ბიჭები, ირგვლივ უვლიან, თოვლის ბაბუა კი არა ჩანს და არა.

— მამუკი, სადაა თოვლის ბაბუა?

ხომ იცი, რა თვალები აქვს ერმექს, აფახულებს, ისე მიყურებს.

— ნუ ჩქარობთ, ახლავე გავიგებ მორიგესთან.

სამორიგეოში კი წინადღითვე მქონდა დამალული თოვლის ბაბუას წერილი და საჩუქრების პარკი. გამოვედი თუ არა იქიდან, მომცვივდნენ:

— რაო, მამუკი?

— თოვლის ბაბუას თურმე წერილი დაუტოვებია თქვენთვის. აი, რასა გწერთ: „ჩემო ძვირფასო ბიჭუნებო — დაულ და ერმექ! თქვენს განთქმულ ბორანლი-ბურანზე ძალიან ადრე, დილის ხუთ საათზე ჩამოვედი, როცა თქვენ გეძინათ. ძალიან ცივდა. მეც ხომ ცივი ვარ, წვერი ყინულის მატყლისა მაქვს. მატარებელი მხოლოდ ორი წუთით შეჩერდა. ისლა მოვასწარი, წერილი დამეწერა და საჩუქრები დამეტოვებინა თქვენთვის. მაგ პარკიდან თითო-თითო ვაშლი და ორ-ორი კაკალი ასაკცევის ყველა გოგო-ბიჭს ჩამოურიგეთ. ნუ შემიწყრებით, წინ ძალიან ბევრი საქმე მაქვს. სხვა ბავშვებთან უნდა წავიდე. ისინიც მიმელიან. თქვენთან კი მომავალ ახალ წელს ჩამოვალ და უთუოდ გნახავთ. ახლა ნახვამდის. თქვენი თოვლის ბაბუა აიაზ-ათა“. დაიცათ, აქ რაღაცაა კიდევ მიწერილი, ჰაიჰარად მიუჯლაბნია, ვერ გაარჩევ. ალბათ მატარებელი უკვე დაიძრა. ჰოო, გავარჩიე: „დაულ, შენს ცუგას ნუ სცემ, გავიგონე, ერთხელ კალოზე რომ დაარტყი, როგორ აწკმუტუნდა. მაგრამ მეტჯერ არ გამიგია. ალბათ ახლა უკეთ ექცევი. ესაა და ეს. ისევ და ისევ თქვენი თოვლის ბაბუა აიაზ-ათა“. დაიცა, დაიცა, კიდევ რაღაც მიუწერია. ჰოო, მივხვდი: „თოვლის დიაცი ძალიან მომეწონა. ყოჩაღ თქვენ, მე მას ხელი ჩამოვართვი“.

იცი, როგორ გაეხარდათ. თოვლის ბაბუას წერილმა მაშინვე ყველაფერში დაარწმუნა ბიჭები. გული არ დაწყვეტიათ: ოლონდაც კამათი დაიწყეს. არა მე წავიღებ საჩუქრების პარკს და არა მეო. მაშინ დედამ მოარიგა ერთმანეთში:

— პირველ ათ ნაბიჯზე დაული წაიღებს, იმიტომ რომ უფროსია, მეორე ათ ნაბიჯზე კი შენ, ერმექ, რადგან უმცროსი ხარ...“

გულიანად იცინა ედიღეიმ: „აბა უყურე, თუმცა მაგათ ადგილზე მეც დავიჯერებდი“.

სამაგიეროდ დღისით ყველაზე დიდი სახელი ძია ედიღეიმ მოიხვეჭა გოგო-ბიჭებში. მარხილით ასეირნა ისინი. ყაზანგაპს ჰქონდა ძველი მარხილი. შეუბეს მარხილს ყაზანგაპის თვინიერი აქლემი. მკერდზე ცალუღს რომ არ უცბოობდა — ყარანარს ასეთი რამ არ ენდობოდა. შეაბეს აქლემი და ყველანი ერთად წავიდნენ. რა ჭრიამული და ჟივილ-ხივილი იდგა! ედიღეი მეეტლედ იჯდა. ბავშვები ზედ ეხვეოდნენ, ყველას მის გვერდით უნდოდა ჯდომა, ყველა ეხვეწებოდა: „გააქანე, გააქანე მარხილი!“ აბუტალიფი და ზარიფა ხან ნელა, ხან სირბილით მისდევდნენ, დალმართებზე კი თვითონაც ჩამოსხდებოდნენ ხოლმე

მარხილის კიდეზე. ასაქცევს ორ კილომეტრზე რომ გაშორდნენ, გორაზე მოატრიალეს მარხილი და ქვემოთ დაეშვნენ. დაიღალა აქლემი, ცოტა ხანს შესვენება დასჭირდა.

მშვენიერი დარი იდგა. თეთრად მოქათქათე უსაზღვრო სივრცეზე პირველქმნილი მდუმარება სუფევდა. გარშემო ტრამალი გადაეფარა, მის მალლობებს, ბორცვებს და ვაკეებს თოვლის იდუმალი საბანი [illegible] ცა მკრთალად აშუქებდა, ნაშუადღევის წყნარს სითბოს ღვრიდა [illegible] ელამუნებოდა ყურს. წინ, რკინის ლიანდაგზე, გრძელი წითელი მატარებელი მიდიოდა, ორ შავ ორთქლმავალს მიჰყავდა. მილებიდან რგოლ-რგოლად ამოდიოდა კვამლი და ჰაერში ნელა დნებოდა. სემაფორთან მიახლოებისას ორთქლმავალმა ხანგრძლივად დაჰკივლა. დაჰკივლა ორჯერ — მოვდივარო, აუწყა. მატარებელი არ შეჩერებულა, სვლა არ შეუნელებია, ისე ჩაუგრიალა ასაქცევს. ჩაუარა სემაფორებს, რკინიგზის ხაზს უშნოდ მიწებებულ ექვსიოდე პატარა სახლს. თუმცალა ირგვლივ ამოდენა სივრცე იყო. ჩაიარა მატარებელმა და ისევ მიწყნარდა, მიჩუმდა ყველაფერი. ირგვლივ არაფერი არ მოძრაობდა. მხოლოდ ბორანლელთა სახურავებიდან იკლაკნებოდა იისფერი კვამლი. ყველა ჩუმად იყო. სეირნობით გახურებული გოგო-ბიჭებიც წამით გაირინდნენ. ზარიფამ ხმადაბლა, მარტო ქმრის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— რა კარგია და თან რა საზარო!

— მართალი ხარ, — ასევე ხმადაბლა მიუგო აბუტალიფმა.

ედიღეის თავი არ მოუბრუნებია, ისე გახედა ცალი თვალით ცოლ-ქმარს. როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს. ზარიფას ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ნათქვამმა გული ატკინა ედიღეის, თუმცალა მის გასაგონად არ იყო თქმული. უეცრივ მიხვდა, რა შიშსა და გულისწუხილს ჰგვრიდა ქალს ეს პატარა სახლები, კვამლი რომ ბოლქვებად ასდიოდა. მაგრამ რა უნდა ეშველა ედიღეის, რკინიგზასთან მიყუჟული ეს სახლები ხომ ერთადერთი თავშესაფარი იყო ყველასთვის.

მათრახი გადაჰკრა აქლემს ედიღეიმ, ასაქცევისკენ გააქანა...

ახალი წლის წინა ღამეს ყველა ბორანლელი ედიღეისთან შეიყარა, ასე გადაწყვიტეს რამდენიმე დღის წინ ედიღეიმ და უქუბალამ.

— ქუთიბაევები ახლა ჩამოვიდნენ, მთელ გოგო-ბიჭებს კი ნაძვის ხე მოუწყვეს, ჩვენ მით უფრო არ გვმართებს სიძუნწე, — თქვა უქუბალამ.

ედიღეი ძალზე გაახარა ამ ამბავმა. თუმცა ყველა ვერ დაესწრებოდა — ზოგი ხაზზე იყო მორიგე, ზოგს საღამოდან უნდა ემორიგეა. მატარებლებს რაში ენაღვლებოდა, უქმე იყო თუ საქმე დღე. ყაზანგაპი მხოლოდ დასაწყისს დაესწრო, საღამოს ცხრა საათიდან ისართან უნდა მდგარიყო. ედიღეისაც, გრაფიკის მიხედვით, პირველი იანვრის ექვსი საათიდან ხაზზე უწევდა მორიგეობა. რას იზამ, ასე ითხოვდა სამსახური. და მაინც დიდებულად გაატარეს დრო. ყველა მშვენიერ გუნებაზე იყო, შორიდან ჩამოსულ სტუმრებივით მორთულიყვნენ, თუმცალა დღეში ათჯერ მაინც ხედავდნენ ერთმანეთს. უქუბალამ თავი გამოიჩინა — ნაირ-ნაირი საჭმელი დაამზადა. დაალევეც ჰქონდათ — არაყი, შამპანური. მსურველებს ზამთრის შუბათი მიართვეს, ყაზანგაპის დაუღალავი ბუქეი ზამთარშიაც ახერხებდა ხოლმე დედა აქლემების მოწველას.

ჭეშმარიტი ლხინი მაშინ გაიმართა, როცა წაისაუზმეს, პირველი ჭიქები დაცალეს და სიმღერა დაიწყეს, როცა მასპინძლებმა მოათავეს ფაციფუცი და

სტუმრებმაც თავი ლაღად იგრძნეს. ახლა შეიძლებოდა აუჩქარებლად, წვოილმანებისთვის ყურადღების მიუქცევლად, იშვიათ სიამოვნებას მისცემოდი, დაგელია და დრო გეტარებინა იმათ წრეში, ვისაც ყოველდღე ხვდებოდი, კარგად იცნობდი. და მაინც რაღაც ახალი თვალით ხედავდი, ვინაიდან ასე მოსდგამს დღესასწაულს, ადამიანებს სულ გადააცხვაფერებს ხოლმე. ბოგანი — ცუდი მხრითაც. ოღონდ არა აქ, ბორანლელთა შორის. ისღა გაკლია, საოროხეში იცხოვრო და უქმური თუ ჩხუბისთავი კაცი იყო... ედიღეი ცოტა შეზარხოშდა. მაგრამ ზარხოშიც ძალიან დაშვენდა.

უქუბალამ მშვიდად, შეუშფოთებლად გაახსენა:

— არ დაგავიწყდეს, ხვალ ექვსისთვის სამუშაოზე უნდა იყო.

— გასაგებია, უქუ, ყველაფერს მივხვდი.

ედიღეი უქუბალას გვერდით იჯდა, ხელი ყელზე გადაეხვია და მღეროდა. მერე რა, რომ შიგადაშიგ ეშლებოდა. სამაგიეროდ თავისი გულმოდგინებით კარგა ძლიერ ხმაურს ქმნიდა. მშვენიერ გუნებაზე იყო. ისეთზე, როცა თავიც ნათლად გიმუშავებს, გრძნობებიც მოგრევია, მაგრამ აღარ ერთი ეოთმანეთს ხელს არ უშლის. მღეროდა და თან გრძნობით შეჰყურებდა თავის სტუმრებს, მხიარულად, გულიანად ულიმოდა ყველას, სწამდა, რომ ყველა ასეთსავე კარგ გუნებაზე იყო. მაშინ ლამაზი ვაჟკაცი გახლდათ ედიღეი. შავწარბა და შავულვაშა, ბრჭყვიალა თაფლისფერი თვალები ჰქონდა, თეთრი ჩაწიკწიკებული კბილები. კაცი ვერ იფიქრებდა, სიბერე თუ ასე შეცვლიდა. უყურადღებოდ არავინ რჩებოდა ედიღეის. სისრულეში შესულ ბუქეის მხარზე უთათუნებდა ხელს და ბორანლელთა დედას ეძახდა. მისი სადღეგრძელო შევსვათო, იძახდა, მისი სახით მთელ ყარაყალპაკეთელ ხალხს გაუმარჯოსო, ამურდარიის ნაპირებზე მცხოვრებთო, აამეიდებდა, არ დაღონდე, ყაზანგაპმა რომ სუფრა მიატოვა და სამუშაოზე წავიდაო.

— მაგან შინაც მომაბეზრა თავი! — ხუმრობით ჰასუხობდა ბუქეიც.

თავის უქუბალასაც სრულად ეძახდა სახელს ედიღეი — ჩემი უქუბალასიო, რაიც ბუს მართვეს ნიშნავდა. ყველასათვის ალმოაჩნდა ტკბილი სიტყვა ედიღეის, ამ ვიწრო წრეში ყველა მისი და-ძმები იყვნენ. ასე გასიბჯენთ, ასაქცევის უფროსი აბილოვიც კი. თავისი ადგილი რომ ეპატარავებოდა საოროხეში, და მისი ფერმკრთალი, ოსული ცოლი საქენიც, რომელსაც სულ მალე ქუმბელის სამშობიარო სახლში მოუწევდა გამგზავრება. გულწრფელად სწამდა, რომ ირგვლივ ძალზე ახლობელი ხალხი ეხვია, სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, საკმარისია თვალი დახუჭო სიმღერის დროს, რომ წუთში წინ დაგიდგეს საოროხეში ვეებერთელა დათოვლილი უდაბნო და მის სახლში ერთი ოჯახივით შეყრილი ეს ერთი მუჭა ხალხი. მაგრამ ყველაზე მეტად აბუტალიფსა და ზარიფას შეჰხაროდა ედიღეი. ალალიც იყო მათზე. ზარიფა მანდოლინაზე უკრავდა და მღეროდა, რა სიმღერაც არ უნდა წამოეწყოთ, ხელათვე ააყოლებდა მანდოლინას. ზარივით წარიალა ხმა ჰქონდა ზარიფას. ნელა, გაბმით მიჰყავდა სიმღერა აბუტალიფის მოგუდულ ბანს, შეწყობილად, ტკბილად ქღერდა მათი სიმღერა, მეტადრე თათრული ყაიდისა, ალმაქ-სალმაქის დარად — ერთმანეთის გაპასუხებით. სხვები ხმას აყოლებდნენ. ბევრი სიმღერები იმღერეს უკვე, ძველიცა და ახალიც. მაგრამ არავინ დაღლილა. პირიქით, უფრო და უფრო ეშხში შევიდნენ. მაშასადამე, სტუმრები მოლხენით იყვნენ. ედიღეი თვალს ვერ აცილებდა მის პირდაპირ მჯდომ ზარიფასა და აბუტალიფს. გრძნო-

ბაძორევით უყურებდა — სულ ასე უნდა ყოფილიყვნენ, ამ წყეულ ბედს რომ სული მოეთქმინებინა მათთვის. იმ გაუსაძლისმა პაპანაქებამ ზაფხულში დაწვა და დახრუკა ზარიფა, როგორც ნორჩ ხეს დაწვავს ხანძარი. ძირებამდე გამოუხუნა თმა, ტუჩ-პირი გაუნახშირა და დაუხეთქა. ახლა კი ველარ იცნობდი, ისეთი ლამაზი იყო, ისე უციმციმებდა შავი თვალები, გადატაცებოდა პირისკანი, როგორც ცხელ დიაცებს მოსდგამთ. მოქნილი წარბები ყველაზე უკეთ ამჟღავნებდა მის განწყობას. წარბები მღეროდნენ, ხან შეიჭმუხნებოდნენ, ხან გაიშლებოდენ და ზე აფრინდებოდნენ დიდი, დიდი ხნის წინათ შექმნილი სიმღერების კვალობაზე. აბუტალიფი აქეთ-იქით ირწეოდა და ისე აძლევდა ბანს, დიდი გრძნობით გამოჰყავდა ყოველი სიტყვა:

...ვერა წაშლის რა სიყვარულის გარდასულ დღეებს
ტაიჭის ფერდზე დარჩენილი მოსართავის კვალისდა დარად...

კვნესოდა და წკრიალებდა ზარიფას თითებქვეშ მანდოლინა. იმ ახალი წლის ღამეს შეყრილ სტუმრების პატარა წრეში. იასამნისფერი ნაქსოვი ზედაწელი ეცვა ზარიფას, თეთრი საყელო გადაეკეცა, სიმღერის ხმებთან ერთად მიცურავდა თითქოს. და ედიღეისაც ისე ეჩვენებოდა. რომ სადღაც შორს, შორს წასულიყო ზარიფა, ლაღად, თავისუფლად მირბოდა საროზექის გადათოვლილ ველებზე, წკრიალებდა მანდოლინა, უკან იხევდა წყვდიადი, თანდათან ნისლს ერეოდა ქალი, მხოლოდ მანდოლინას ჟღერა ისმოდა, მაგრამ რა გაახსენდებოდა, ბორანლის ასაქცევზეც ცხოვრობს ხალხი, ვისაც უიმისოდ გაუჭირდება. კვლავ უკან, სუფრაზე ბრუნდებოდა ზარიფა და კვლავ მღეროდა და მღეროდა...

მერე აბუტალიფმა აჩვენა ბორანლელებს, როგორ ცეკვავდნენ პარტიზანები ხელიხელგადახვეულნი. მერე ზარიფამ დაუკრა, აბუტალიფმა კი დაამღერა მხიარული სერბიული სიმღერა. ყველანი წრეში დადგნენ, ერთმანეთს მხრებზე ხელი გადახვიეს, ცეკვავდნენ და „ჰოპლა", „ჰოპლაო..." დასძახოდნენ.

შემდეგ ისევ იმღერეს, დალიეს, ჭიქების ჭახუნით ერთმანეთს ახალი წელი მიულოცეს. ზოგი წავიდა, ზოგი მოვიდა... ასაქცევის უფროსმა და მისმა ფეხმძიმე ცოლმა ცეკვებამდე დატოვეს სუფრა. ასე გაიარა ღამემ.

ზარიფა გარეთ გავიდა, სუფთა ჰაერზე. აბუტალიფიც უკან გაჰყვა. უქუბალამ შილიფად არავინ გაუშვა, გაოფლიანებული ხართ. გაცივდებითო. ზარიფამ და აბუტალიფმა დაეგვიანეს შემობრუნება. ედიღეიმ გადაწყვიტა წასულიყო და შემოეყვანა ისინი, ლხინს უიმათოდ ლაზათი აკლდა.

— ჩაიცვი, ედიღეი, — დაუძახა უქუბალამ. — თორემ გაცივდები.

— ახლავე მოვბრუნდები. — ედიღეი გარეთ გავიდა. ცივი. კამკამა ღამე იყო. ირგვლივ მიმოიხედა და დაიძახა, — აბუტალიფ, ზარიფა!

ხმა არავინ გასცა. სახლის უკნიდან ლაპარაკი შემოესმა. შეყოყმანდა ედიღეი, აღარ იცოდა, შინ შებრუნებულიყო თუ, პირიქით, მისულიყო და ისინიც წამოეყვანა. რაღაც ამბავი იყო იქა.

— არ მინდოდა შენ დაგენახა, — სლუკუნებდა ზარიფა. — მაპატიე. რა ვქნა, ძალიან დამიმძიმდა გული. მაპატიე. გეთაყვა.

— მესმის, განა არ მესმის, — ამშვიდებდა აბუტალიფი. — ყველაფერი მესმის. მარტო მე ვიყო ამ დღეში, მარტო მე მეხებოდეს, არაფერს ვიტყოდი. ღმერთო ჩემო, ერთ ქაცს გინდ უცოცხლია, გინდ არა. ასე აღარც მოვებლაუჭებოდი სიცოცხლეს. — ორივე დადუმდა, აბუტალიფმა ისევ

განაგრძო: — მაგრამ ჩვენს შვილებს ხომ მაინც ეშველება... ეს იმედილა მრჩება...

ნელა, ფეხაკრეფით დაიხია უკან ედიღეი. მთლიანად ვერ ჩახედა, რაში იყო საქმე. უხმაუროდ შებრუნდა შინ. შემცივნული ათამაშებდა ბეჭებს. დღესასწაული ალარ ეჩვენა დღესასწაულად, ეშხი დაკარგოდა. ყველაფერს ახალი წელი ახალი წელია, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია, ყველაფერს ბოლო უნდა ჰქონდეს.

1953 წლის 5 იანვარს, დილის ათ საათზე ბორანლი-ბუერანის ასაქცევზე სამგზავრო მატარებელი ჩამოდგა, თუმცა გზა ხსნილი იყო და შეუჩერებლივ შეეძლო ჩავლა. მატარებელი წუთ-ნახევარს იდგა, ალბათ მეტხანს არც იყო საჭირო. ერთ-ერთი ვაგონის კიბიდან სამი კაცი ჩამოვიდა, სამივეს შავი ქრომის ერთნაირი ჩექმები ეცვა. ჯიქურ სამორიგეო შენობისკენ გასწიეს. აქეიქით არც გაუხედავთ, მტაიცედ, უხმოდ მიაბიჯებდნენ. ესაა, წამით შეჩერდნენ თოვლის დიაცის წინ, უხმოდ დახედეს ფიცარზე მისალოც წარწერას. შეათვალიერეს დიაცის თავზე ჩამოფხატული ყაზანგაპის გაქუცული ძველი მალახაი და სამორიგეოში შევიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სამორიგეოს კარიდან ასაქცევის უფროსი აბილოვი გამოვარდა, კინალამ თოვლის დიაცს დაეტაკა, შეიკურთხა და თითქმის სირბილით განაგრძო გზა. ეს კი თავის დღეში არ უქნია. ათიოდე წუთის შემდეგ ქოშინ-ქოშინით დაბრუნდა აბუტალიფ ქუთიბაევის თანხლებით, რომელიც სასწრაფოდ მოეძებნა და სამუშაოდან წამოეყვანა. აბუტალიფი გაფითრებული ჩანდა, ქუდი ხელში ეჭირა. აბილოვი და ის სამორიგეოში შევიდნენ. სულ მალე აბუტალიფი ორი ქრომისჩექმებიანი, ჩამოსული კაცის თანხლებით უკანვე გამოვიდა და თავის ბარაკისკენ გასწია მათთან ერთად იქიდანაც მალე გამობრუნდნენ რაღაც ქაღალდებით. აბუტალიფს ფეხდაფეხ მოსდევდნენ ის კაცები.

მერე ყველაფერი მიწყნარდა. არავინ გამოსულა და არავინ შესულა სამორიგეოში.

მომხდარი ამბავი უქუბალამ შეატყობინა ედიღეის. აბილოვის დავალებით მეოთხე კილომეტრზე მიიჭრა სირბილით. იმ დღეს იქ სარემონტო სამუშაოებზე იყვნენ წასულნი. ედიღეი გინზე გაიხმო:

— აბუტალიფი დაჰკითხეს.

— ვინ დაკითხა?

— არ ვიცი. ვილაცები ჩამოვიდნენ. აბილოვმა დამაბარა, თუ არ ჩაგაცილებენ, არ დაგცდეთ, ახალ წელს აბუტალიფსა და ზარიფასთან ერთად რომ შევხვდითო.

— ვითომ რატომაო?

— არ ვიცი, ასე კი დამაბარა შენთან. შემოგიოვალა. ორ საათზე შინ იყავიო. აბუტალიფის თაობაზე შენც უნდა გკითხონ რაღაცაო.

— რა უნდა მკითხონ?

— მე საიდან ვიცი. აბილოვი შეშინებული დამიდგა თავზე და ასეა და ასეო, მითხრა. მე კი შენთან გამოვქანდი.

ორ საათზე ისედაც საღილად ბრუნდებოდა შინ ედიღეი. ჯერ გზაში და მერე სახლში სულ თავს იმტვრევდა, რა მოხდაო, პასუხი კი ვერ მოეძებნა.

ვითომ წარსულის გამო, ტყვეობაში რომ იყო აბუტალიფი? კი მაგრამ, რა ხანია შემოწმდა და გაირკვა ყველაფერი. მეტი რა ბრალი ჰქონდა ნეტა? გუნება მოეშხამა, შიშმა აიტანა ედილეი. ორიოდე კოვზი ვერმიშელის სუპი შესრუპა და თეფში განზე გადგა. საათს დახედა. ორს ხუთი წუთი აკლდა. რახან ორზე დაიბარეს, მაშასადამე, ორზე უნდა იყოს. სამორეგეოს წინ აბილოვი დახვდა, საცოდავად მობუზული, დათრგუნვილი, წინ და უკან ბოლთას სცემდა.

— რა მოხდა?

— ძალიან ცუდი ამბავი, ედიქე, — აბილოვმა შიშით შეხედა, ტუჩები აუთრთოლდა. — ქუთიბაევი ჩასვეს.

— რისთვის?

— რაღაც აკრძალული ნაწერები უნახეს. განა არა, მთელი საღამოები იჯდა და რაღაცას წერდა, ყველამ გაიგო. ყველაფერი მაგ წერამ უქნა.

— ეგ ხომ თავის ბიჭებისთვის წერდა.

— მე არ ვიცი, ვისთვის წერდა. არაფერი არ ვიცი. შედი, შენ გელოდებიან.

ასაქცევის უფროსის კაბინეტში ედილეის დაახლოებით მისი ხნის კაცი დახვდა, ოცდაათიოდე ან ცოტა უფრო ნაკლები წლისა. ჩაცხმული კაცი იყო, დიდი თავი და მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა. რაღაცას კითხულობდა დაძაბული, ხოროციანი, დაჩვრეტილი ცხვირი გაოფლიანებოდა. მძიმე, მაღალი შუბლი შეეჭმუხნა. ედილეის შესვლისას და მერეც, როცა ლაპარაკობდნენ, ცხვირსახოცით წარამარა იმშრალებდა ცხვირს. წინ „ყაზბეგის“ კოლოფი ედო. კარებში მდგარ ედილეის დანახვაზე გრძელი პაპიროსი ამოიღო, თითებში შეატრიალა, გააბოლა, სონღულივით კრიალა-მოყვითალო თვალები მიაჩერა:

— დაჯექი, — უთხრა მოკლედ.

ედილეი მაგიდის წინ ტაბურეტზე დაჯდა.

— აი, ეჭვი რომ არ გქონდეს, — თქვა სონღულისთვალებამ, სამოქალაქო კიტელის გულის ჯიბიდან რაღაც ყავისფერი წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და მაშინვე შეინახა. თან რაღაც ჩაიბურტყუნა, თუმცა „თანსიქბაევი“ თუ „თისიქბაევი“, ედილეიმ კარგად ვერ გაარჩია.

— გასაგებია? — ჰკითხა სონღულისთვალებამ.

— გასაგებია, — აბა სხვა რა უნდა ეთქვა ედილეის.

— მაშინ საქმეს შევუდგეთ, როგორც მითხრეს, შენ ქუთიბაევის დიდი ძმაკაცი ყოფილხარ?

— გინდაც ეგრე იყოს, მერე რა?

— გინდაც ეგრე იყოს, — გაიმეორა სონღულისთვალებამ და ნაფაზი დაარტყა, თითქოს ნათქვამის აზრს კარგად უნდა ჩასწვდესო, — გინდაც ეგრე იყოს. დავუშვათ. გასაგებია. — უცებ მოულოდნელად ჩაიცინა და შუშასავით გამჭვირვალე თვალებში წინასწარი სიამის გრძნობა გაუკრთა. — მაშასადამე. ჩემო კარგო, ვწერთ და ვწერთ?

— რას ვწერთ? — დაიბნა ედილეი.

— მეც სწორედ ეგ მინდა გავიგო.

— არ მესმის, რაზეა ლაპარაკი.

— ნუთუ? აბა დაფიქრდი! ჰა?

— არა, არ მესმის.

— რასა სწერს ქუთიბაევი?

— არ ვიცი.

— არ იცი? ყველამ იცის, შენ კი არ იცი?

— ვიცი, რომ რაღაცას წერს, მაგრამ რას, საიდან უნდა ვიცოდე ჩემი საქმეა? კაცს თუ წერა უნდა, გაუშვი, წეროს. ვის რა ესაქმება.

— როგორ თუ რა ესაქმება? — გაკვირვებით შეტოკდა სონღულისთვალება და ტყვიასავით გამბურღავი გუგები მიაჩერა. — მაშასადამე, ვისაც რა მოესურვება, ის უნდა წეროს? ასე დაგარწმუნა?

— არაფერიც არ დამარწმუნა.

სონღულისთვალებას ყურში არ შეუშვია მისი პასუხი, ისე იყო აღშფოთებული:

— მტრის აგიტაციაც ამას ჰქვია! ის კი არ გიფიქრია, რა იქნება, ყველამ რომ ჯღაბნა. დაიწყოს? არ გიფიქრია, ჰა? მერე ადგეს და რაც თავში მოუვა, ის ილაპარაკოს? ასეა ხომ, შენი აზრით? საიდანა გაქვს ეს უცხო აზრები? არა, ჩემო ძვირფასო, ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ! ასეთი კონტრრევოლუცია არავის გაუვა!

ედიღეი შეწუხებული, დათრგუნული ჩუმად უსმენდა სიტყვების ამ ნიაღვარს. გაოცდა კიდეც, ირგვლივ რომ არაფერი შეიცვალა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ფანჯრიდან დაინახა, როგორ ჩაიგრიალა ტაშკენტის მატარებელმა. წამით თვალწინ დაუდგა: თავის საქმეებზე მიემგზავრება ამ მატარებლით ხალხი, ჩაისა თუ არაყს სვამენ, ერთმანეთს ებაასებიან და არავის ენაღვლება, რომ ამ დროს ბორანლი-ბურანში ედიღეი, კაცმა არ იცის, საიდან გამომტყვრალ ამ სონღულისთვალებას წინ ზის. გამწარებით მოუნდა გამოვარდნილიყო სამორიგეოდან, მიმავალ მატარებელს დასწეოდა და თუნდაც გადასაკარგავში გაჰყოლოდა, ოღონდ ამწუთს აქ არ მჯდარიყო.

— ჰა, რას იტყვი? ჩახვდი, რას გეკითხები? — განაგრძო სონღულისთვალებამ.

— ჩავხვდი, ჩავხვდი, — მიუგო ედიღეიმ. — ოღონდ ეს მინდა გავიგო. ის თავისი შვილებისთვის წერდა მოგონებებს, რა გადახდა თავს, ვთქვათ, ფრონტზე, ტყვეობაში, პარტიზანობის დროს. რაა აქ ცუდი?

— შვილებისათვის! — შეჰყვირა იმ კაცმა. — მაგას ვინ დაიჯერებს! აბა ვინა სწერს შვილებისთვის, რომლებსაც ჯერ, მგონი, კბილებიც არ მოუცვლიათ! ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი! აი, როგორ მოქმედება გამოცდილი მტერი! გადმოიხვეწა ამ მივარდნილ ადგილას, სადაც ირგვლივ კაცი არაა, ვერავინ უთვალთვალებს, და მოგონებების წერა დამიწყო აქ!

— რას იზამ, თუკი ასე მოუნდა კაცს, — თქვა ედიღეიმ, — მოუნდა ყველაფერი პირადად ეთქვა, თავისი ეთქვა, თავისი აზრები გამოეთქვა. რომ მის შვილებს, როცა წამოიზრდებიან, წაეკითხათ.

— თავისი ეთქვაო! ეს რას ნიშნავს? — საყვედურით გააქნია თავი სონღულისთვალებამ და ამოიოხრა. — რა თავისი აზრები აქვს, რა პირადი სათქმელი? საკუთარი შეხედულება ხომ არა? არავითარი პირადი სათქმელი არ არსებობს, რაც ქაღალდზე დაიწერება, უკვე პირადი აღარ არის. კალმით დაწერილს ნაჯახიც ვეღარ ამოკვეთს. ყველამ რომ კალმით თავისი აზრი გამოთქვას, კაი დახლი დაგვიდგება. აგერ მისი ეგრეთ წოდებული „პარტიზანული ტეტრადები", აგერ ქვესათაურად სწერია — „იუგოსლავიაში გატარებული

დღეები", აი, ესენი! — სონღულისთვალებამ მაგიდაზე დაყარა მუშამბისყდიანი სქელი საერთო რვეულები. — ეს რასა ჰგავს! შენი ძმაკაცი გინდა დაიხსნა, ის კი ჩვენ უკვე გამოვიჭირეთ!

— რაში გამოიჭირეთ?

სონღულისთვალება ისევ შეტოკდა სკამზე და ისევ [illegible] ლიმილით, წინასწარი სიამისა და ნიშნისმოგების იერით დაუხამხამებლად მიაჩერა ედიღეის მოკრიალებული შუშა თვალები.

— ეს ჩვენ ვიცით, რაშიაც გამოვიჭირეთ, — ნეტარებით და ზარ-ზეიმით დამარცვლა თვითეული სიტყვა: — ეს ჩვენი საქმეა. ყველას ვერ მოვახსენებთ.

— რახან ასეა, რას იზამ, — დაბნევით წაილაპარაკა ედიღეიმ.

— ეს მტრული მოგონებები ამაოდ არ ჩაუვლის, — თქვა სონღულისთვალებამ და გამალებით დაიწყო რაღაცის წერა. — მე მეგონა, ჩვენი კაცი იყავი, მეტი ჰკუა გქონდა. მოწინავე მუშაა, ყოფილი ფრონტელი, დაგვეხმარება-მეთქი, მტერი ვამხილოთ.

ედიღეი აიქოჩრა, ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ, მტკიცედ წაილაპარაკა:

— მე ხელს არაფერს მოვაწერ, ახლავე მითქვამს.

სონღულისთვალებამ თვალებით ლამის გაანადგურა:

— არც გვჭირდება შენი ხელმოწერა. ხომ არ გგონია, თუ ხელს არ მოაწერ, საქმე ჩაიშლება? ძალიან ცდები. მასალა საკმაოდ გვაქვს, შენი ხელმოწერის გარეშეც სასტიკ პასუხს მოვთხოვთ.

გაჩუმდა ედიღეი, დამცირების მწვავე გრძნობამ აიტანა, დაუცარიელდა სული. ალის ზღვა რომ აზვირთდება, ისე იმძლავრა თანდათან აღშფოთებამ, ვერა და ვერ შერიგებოდა იმას, რაც ხდებოდა. ანაზდად სურვილმა მოუარა— ცოფიანი ძაღლივით წაეხრჩო ეს სონღულისთვალება, ძალა დიახაც ეყოფოდა. აი, ის ფაშისტი ხომ საკუთარი ხელით დაახრჩო, რადგან სხვა გზა არ დარჩენოდა. ძარღვიანი, მაგარი კისერი ჰქონდა და მაინც მოერია. როცა პოზიციაზე გამაგრებულ მტერს შეუტიეს, ფლანგიდან შემოუარეს, სანგარში ხელყუმბარები ისროლეს, ხოლო გასაქცველები ავტომატების ჯერით დაცხრილეს, ხაზი თითქმის გაწმინდეს და ბრძოლით განაგრძეს გზა, სანგარში უეცრივ პირისპირ შეეტაკა ედიღეი იმ ფაშისტს. ეტყობა, მეტყვიამფრქვევე იყო, მანამ არ წავიდა, ვინემ ტყვიამფრქვევი არ დაცალა. კი ჯობდა ტყვედ ჩაეგდო. ასეც გაუელვა თავში ედიღეის, მაგრამ იმან მოასწრო და დანა ამართა, თავში უნდა ჩაერტყა ედიღეისთვის. მაშინ კასკიანი თავი აძგერა სახეში, ორივენი ძირს გაგორდნენ. ჰოდა, სხვა რაღა დარჩენოდა, ორივე ხელი ყელში წაუჭირა. ფაშისტი იკლაკნებოდა, ხროტინებდა, თითებს აფათურებდა. ხელიდან გაგდებული დანა რომ ეპოვა. ყოველ წამს ელოდა ედიღეი, დანას როდის დასცემდნენ ზურგში, ამიტომაც არაადამიანური, მხეცური ძალითა და ღმუილით უჭერდა თითებს კბილებდაკრეჭილ, გაშავებულ მტერს ხრტილიან კისერში. მაშინღა გახსნა დაკრუნჩხული თითები, როცა მტერი დაახრჩო და შარდის მძაფრი სუნი ეცა. იმავე წუთს გული აერია, საკუთარ ნარწყევში ამოსვრილმა, თვალებდაბინდულმა ხოხვა-ხოხვით, კვნესით განაგრძო გზა. ეს ამბავი არავისთვის უამბნია არც მაშინ და არც შემდეგ. მხოლოდ ხანდახან ესიზმრებოდა კოშმარივით, მეორე დღეს ადგილი ვერ მოენახა, სიცოცხლე ალარ უნდოდა... ზიზღით, ძრწოლვით გაიხსენა ახლაც ეს ამ-

ბავი ედიღეიმ. გრძნობდა, სონღულისთვალება ეშმაკობით, ჭკუით ჯაბნიდა და აღელდა, გული მოუვიდა: ვინემ ის წერდა, ედიღეი ცდილობდა სონღულისთვალებას მტკიცებაში სუსტი ადგილი მოეძებნა. მისი ნათქვამიდან ერთმა გააკვირვა ედიღეი, ალოგიკური, საოცრად შეუსაბამო ეჩვენა: „ვინ შეიძლება ადამიანს „მტრული მოგონებანი" დააბრალო? ვის გაუგია, მოგონებანი მტრული ან არამტრული იყოს — ეს ხომ წარსულში მომხდარი ამბავია, ის, რაც აღარაა, რაც ნამყოს ეკუთვნის. მაშასადამე, ადამიანი იმას იგონებს, რაც სინამდვილეში იყო.

— მე მინდა ვიცოდე, — ედიღეის აღელვებისაგან ყელი გაუშრა. მაგრამ თავს სძლია, რომ ეს სიტყვები მშვიდადაც კი ეთქვა. — აი, შენ ამბობ... — დაე, მიხვდეს სონღულისთვალება, რომ ედიღეის არც სალაქუცო და არც საშიში არაფერი აქვს — საროზეკზე შორს სადღა გადაკარგავენ! იმიტომაც მიმართა შენობით, — მტრული მოგონებებით. ეს როგორ გავიგო? განა შეიძლება მოგონებები მტრული თუ არამტრული იყოს? ჩემი აზრით, კაცი იმას იგონებს, რაც მოხდა და როგორც მოხდა ოდესღაც, რაც დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ან იქნებ კარგი უნდა მოვიგონოთ მარტო, ცუდი კი დავიწყებას მივცეთ? ასე არასოდეს ყოფილა. მაშასადამე, სიზმარი რომ ნახო, ის სიზმარი უნდა მოიგონო თუ არა? ვთქვათ ღა, ცუდი სიზმარი ნახო, ვისმე არ ეჭაშნიკოს შენი სიზმარი?

— აი, თურმე ვინ ყოფილხარ! ჰმ, ეშმაკმა დალახვროს! — გაოცდა სონღულისთვალება. — მსჯელობა, კამათი გყვარებია. აქაურ ფილოსოფოსად მოგაქვს თავი. ბატონი ბრძანდები, ვიკამათოთ, — სონღულისთვალება დადუმდა, თითქოს ნახტომისთვის მოემზადაო, — ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს ისტორიული თვალსაზრისით. მაგრამ მერე რა! მთავარია, ის მოიგონო, ზეპირად და მით უმეტეს წერილობით წარსული ისე დახატო, როგორც ახლაა ჩვენთვის საჭირო, როგორც ამჟამად დრო მოითხოვს. ხოლო რაც ჩვენ ხელს არ გვაძლევს, არც უნდა მოიგონო, ამას თუ არ მისდევ, მაშასადამე, მტერი ხარ ჩვენი.

— მაგაზე ვერ დაგეთანხმები, — უთხრა ედიღეიმ, — ეგრე არ შეიძლება იყოს.

— შენ არც არავინ გეკითხება თანხმობას. სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი. მკითხე და ჩემი კეთილი გულით გიპასუხე. ისე კი სულაც არ მევალება შენთან სჯა-ბაასი გავაბა. აბა, საქმეზე გადავიდეთ. მითხარი, გულახდილად რომ გელაპარაკებოდა, ვთქვათ, ერთად რომ სვამდით, ინგლისური სახელები არ უხსენებია შენთან?

— ეგ რა საჭიროა? — გულწრფელად გაოცდა ედიღეი.

— აი, რატომ. — სონღულისთვალებამ აბუტალიფის „პარტიზანული რვეულებიდან" ერთი გადაშალა და წითელი ფანქრით ხაზგასმული ადგილი წაიკითხა: „27 სექტემბერს ჩვენს ნაწილში ინგლისელების მისია ჩამოვიდა — პოლკოვნიკი და ორი მაიორი. ჩვენ საზეიმო მარშით ჩავიარეთ მათ წინ, ისინი მოგვესალმნენ. მერე მეთაურების კარავში საერთო სუფრა გაიშალა. იქ რამდენიმე უცხოელი პარტიზანიც მიგვიწვიეს, იუგოსლავთა შორის ვინც ვიყავით. პოლკოვნიკი გამაცნეს და მანაც დიდი თავაზით ჩამომართვა ხელი, თარჯიმნის პირით წვრილად გამომკითხა, საიდან ვიყავ და აქ როგორ მოვხვდი. მეც მოკლედ ვუამბე. ღვინო დამისხეს და ერთად შევსვით. მერე დიდ-

ხანს ვისაუბრეთ კიდევ. მომეწონა ინგლისელები, უბრალო, გულახდილი ხალხი ყოფილა. პოლკოვნიკმა თქვა, ბედი ანუ, როგორც გამოთქვა, განგების ძალა დაგვეხმარა, მთელი ევროპა რომ ფაშიზმის წინააღმდეგ გაერთიანდაო. უამისოდ ჰიტლერთან ომი გაჭირდებოდა ან იქნებ დაქსაქსული ერებისთვის უფრო ტრაგიკულად დამთავრებულიყო" და ა. შ. — სონღულისთვალებამ რვეული განზე გადადო, პაპიროსს მოუკიდა, ერთხანს იყუჩა, ნაფაზი ნაფაზზე დაარტყა, და მერე განაგრძო: — მაშასადამე, ქუთიბაევს არ უთქვამს ინგლისელ პოლკოვნიკისათვის, სტალინის გენიის გარეშე გამარჯვებას ვერ მივაღწევდით, რამდენიც არ უნდა ეპარტიზანათ ევროპაში და რაც არ უნდა ექნათო. მაშასადამე, ამხანაგ სტალინზე არ უფიქრია, არც გახსენებია ამხანაგი სტალინი! ჩახვდი ახლა?

— იქნებ კიდევაც უთხრა, — გამოესარჩლა აბუტალიფს ედიღეი. — მაგრამ დაწერა დააკიწყდა.

— ეს საიდან ჩანს? ვერ დაამტკიცებ! უფრო მეტიც, ჩვენ შევამოწმეთ ქუთიბაევის ჩვენებანი. ორმოცდახუთში რომ მიუცია საკონტროლო კომისიისთვის იუგოსლავიის პარტიზანული შენაერთიდან დაბრუნებისას. იქ ინგლისელთა მისია ნახსენებიც არა ჰყავს. მაშასადამე, აქ მთლად წმინდად არაა საქმე. ვინ დაუდგება თავდებად, რომ ინგლისელთა დაზვერვასთან არ ჰქონდა კავშირი!

გული ჩაწყდა და დაუმძიმდა ედიღეის. ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, საით უმიზნებდა სონღულისთვალება.

— აბა მოიგონე, ქუთიბაევს რამე ხომ არ უთქვამს, ინგლისელებიდან ვინმე ხომ არ დაუსახელებია? ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ იყო იმ ინგლისელთა მისიაში.

— რა სახელები აქვთ მათ?

— მაგალითად, ჯონი, კლარკი, სმიტი, ჯეკი...

— ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია.

ჩაფიქრდა, მოიკამა სონღულისთვალება, ეტყობა, ედიღეის დაკითხვამ მაინცდამაინც ვერ დააკმაყოფილა. ცოტა ხნის შემდეგ შემპარავად ჰკითხა:

— რა, აქ სკოლა-ინტერნატი გახსნა, ბავშვებს ასწავლიდა?

— ამას თუ სკოლა ჰქვია! — უნებლიეთ გაეცინა ედიღეის. — მისი ორი ბიჭი და ჩემი ორი გოგო, ესაა და ეს მთელი სკოლა. უფროსები ხუთი წლისა, უმცროსები კი სამისა არიან. ირგვლივ უდაბნოა, რა ქნან გოგო-ბიჭებმა. ამიტომაც ამეცადინებენ, ართობენ ბავშვებს. ეგა და მისი ცოლი ხომ მასწავლებლები არიან. უკითხავენ, ახატინებენ, წერას, ანგარიშს ასწავლიან. ესაა და ეს სკოლა.

— რა სიმღერებს მღეროდნენ?

— ყველანაირს, საბავშვო რაცაა. ალარც მახსოვს.

— რას ასწავლიდა? რას წერდნენ?

— ასოებს, ჩვეულებრივ სიტყვებს.

— მაგალითად, რა სიტყვები იყო?

— რა უნდა ყოფილიყო! ველარც მომიგონია.

— აი, ამას წერდნენ! — სონღულისთვალებამ ქაღალდებიდან მოსწავლის რვეულის ფურცელი გამოათრია, რაზედაც ბავშვის ხელით ეწერა: „ჩვენი სახლი", — ხედავ, პირველი სიტყვა, რასაც ბავშვი წერს — „ჩვენი სახ-

ლია". რატომ „ჩვენი გამარჯვება", არა? გაიხსენე, რა სიტყვა უნდა ეცეროს ახლა ყველას პირზე? რა და „ჩვენი გამარჯვება", ხომ კი? იმას კი რატომ არ მოუვიდა თავში? გამარჯვება და სტალინი ერთმანეთისაგან განუყოფელია.

შეკრთა, დაიბნა ედიღეი. ისე დამცირებულად იგრძნო [illegible] შეებრალა აბუტალიფი და ზარიფა, ამდენ ძალასა და დროს რომ [illegible] ბატარა, უგუნური ბალღებისათვის, ბრაზს ველარ სძლია და გაბედულად შეუტია:

— რაღაი ასეა, მაშინ პირველად „ჩვენი ლენინი" უნდა დაიწეროს. რაც უნდა იყოს, ლენინი მაინც პირველ ადგილზე დგას.

სონღულისთვალებას სუნთქვაც კი შეეკრა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ეს სიტყვები, ერთხანს ნაფაზს ნაფაზზე ირტყამდა. მერე წამოდგა, ალბათ გავლა-გამოვლა მოუნდა, მაგრამ ამ პატარა ოთახში რა გავლა-გამოვლა შეიძლებოდა.

— ვამბობთ სტალინს, ვგულისხმობთ ლენინს! — წარმოთქვა მოკლედ და მკაფიოდ. მერე ისე მოითქვა სული, თითქოს ბევრი ერბინოს. — კარგი, ჩავთვალოთ, რომ ეს ლაპარაკი არ ყოფილა, —თქვა შერიგების კილოზე და დაჯდა. აუმღვრეველი, შუშასავით გამჭვირვალე მოყვითალო სონღულის თვალები კვლავ მკაფიოდ იმზირებოდნენ გაქვავებულ სახეზე.

— ჩვენ გვითხრეს, რომ ქუთიბაევი წინააღმდეგი ყოფილა ბავშვების ინტერნატში სწავლებისა. რას იტყვი? ამ საუბარს თურმე შენც დასწრებიხარ.

— ვინ გითხრათ? საიდან მოიტანეთ? — გაოცდა ედიღეი და მყის თავში გაუელვა: აბილოვი ეტყოდა, იმან დაასმინა, ვინაიდან ისიც ესწრებოდა ამ საუბარს.

ედიღეის პასუხმა ახლა მართლა გააბრაზა სონღულისთვალება:

— გამიგონე, მე უკვე გითხარი: ვინ თქვა, საიდან გავიგეთ — ეს ჩვენი საქმეა. ანგარიშს ჩვენ ორავის ვაბარებთ. კარგად დაიხსომე. აბა გადმოალაგე. რა თქვა?

— რა თქვა? უნდა მოვიგონო. ჰოო, მაშასადამე, ჩვენს ძველ მუშას, ყაზანგაპს ბიჭი ჰყავს, ქუმბელის ინტერნატში სწავლობს. ბიჭი, გესაგებია, ცელქობს, იტყუება ხანდახან. პირველ სექტემბერს ისევ უნდა გაეგზავნათ საბითქანი სასწავლებლად. მამამ აქლემით წაიყვანა. დედამ კი, ყაზანგაპის ცოლმა ბუქეიმ ტირილი და ჩივილი დაიწყო — დავიღუპე, რაც ინტერნატში წავიდა. თითქოს გაუცხოვდა, გაგარეულდაო. გული აღარ მოუწევს შინ. დედა. მამა, ოჯახი ისე აღარ უყვარსო. რას იზამ, გაუნათლებელი ქალია. ესეცაა, შვილს თუ გინდა ასწავლო, ნება-უნებლიეთ შორს უნდა იყოლიო შენგან.

— კარგი, კარგი, — შეაწყვეტინა სონღულისთვალებამ. — ქუთიბაევმა რაღა თქვა ამ დროს?

— ეგეც ჩვენთან იყო. ასე თქვა, დედის გული ცუდს მაშინვე გრძნობსო. იმიტომ რომ ინტერნატში ბავშვის გაგზავნა კაი ცხოვრებით არ ხდებაო. ინტერნატი, ასე ვთქვათ, შვილს გართმევს, არა, კი არ გართმევს, დედ-მამას აშორებს ყმაწვილსო. ეს ძალიან მძიმე საკითხიაო. ყველასათვის მძიმე, მაგრამ რას იზამ, როცა სხვა გზა არ არისო. მე მესმის მისი. ჩვენც გვეზრდება შვილები. ახლავე გული მტკივა, როგორ იქნება, რა გამოვა, რა თქმა უნდა, ცუდია...

— ეგ მერე იყოს, — შეაჩერა სონღულისთვალებამ, — მაშასადამე, ასე თქვა საბჭოთა ინტერნატი არ ვარგაო?

— „საბჭოთა" იმას არ უთქვამს. უბრალოდ, ინტერნატიო, თქვა. ჩვენი ინტერნატი ქუმბელშია. არ ვარგა-მეთქი, ეს მე ვთქვი ახლა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქუმბელიც საბჭოთა კავშირშია.

— როგორ არა აქვს მნიშვნელობა! — აღშფოთდა [illegible], სონღულისთვალება თავგზას უბნევდა, მახეს უგებდა. — [illegible] უნდა მიაწეროს ის, რაც არ უთქვამს? მეც ეგრე ვფიქრობ. სხვაგან რომ მეცხოვრა, არც მე გავუშვებდი შვილებს ინტერნატში. დიახ, მეც ასე ვფიქრობ. რა, გამოდის?..

— იფიქრე, იფიქრე! — წაილაპარაკა სონღულისთვალებამ და ლაპარაკი შეწყვიტა. ცოტა ხნის მერე ისევ განაგრძო. — ჰოო, მაშასადამე, დასკვნა გავაკეთოთ. გამოდის, რომ ის კოლექტიური აღზრდის წინააღმდეგია, ხომ?

— სულაც არაა წინააღმდეგი! — ვერ მოითმინა ედილეიმ. — ცილს ტყუილად რად სწამებთ ადამიანს! ასე როგორ იქნება?

— მორჩი, მორჩი, შეწყვიტე ლაპარაკი, — ხელი აუქნია სონღულისთვალებამ, საჭიროდ არ მიიჩნია ახსნა-განმარტება, — ახლა ის მითხარი, ეს რა რვეულია, „დონენბაი ჩიტი" რომ აწერია? ქუთიბაევი ამტკიცებს, ყაზანგაპისა და ნაწილობრივ შენი ნათქვამით ჩაუწერია. ასეა მართლა?

— ზუსტად ეგრეა. — გამოცოცხლდა ედილეი, — აქაური, საროზექული ლეგენდაა. აქედან არც ისე შორს ნაიმანების სასაფლაოა. ოდესღაც მარტო მათი იყო, ახლა კი ყველასია, ანა-ბეიითი ჰქვია. იქ მარხია ნაიმან-ანა, მანქურთმა შვილმა რომ მოჰკლა...

— კმარა, წავიკითხავთ, ვნახავთ, რა იმალება ამ ჩიტის მიღმა, — სონღულისთვალება თან რვეულს ფურცლავდა, თან ხმამაღლა ამბობდა, რასაც ფიქრობდა. — დონენბაი ჩიტი, ჰმ, უკეთესს ვერ მოიგონებ. ადამიანის სახელი დაუდვია. ეგეც მწერალი მყავს რაღა, მუხტარ აუეზოვი ვითომ, ფეოდალური წარსულის მწერალი. მაშ, მაშ. დონენბაი ჩიტიო, ჰმ. გგონია, ვერ გამოვარკვევთ... დამიწყო აქ ჩუმ-ჩუმად წერა, ყმაწვილებისთვისო. ეს კი რაა? ესეც. შენი აზრით, ყმაწვილებისათვისაა? — ცხვირთან მიუტანა სონღულისთვალებამ კიდევ ერთი მუშამბისყდიანი რვეული ედილეის.

— რაზე ამბობთ? — ვერ მიხვდა ედილეი.

— რაზე? შენ უნდა იცოდე. აგერ აწერია: „რაიმალ-ალას სიტყვა თავის ძმა აბდილხანისადმი".

— ჰო, ეგეც ლეგენდაა. — დაიწყო ედილეიმ. — თქმულება. მოხუცებმა იციან ეგ ამბავი...

— ნუ გეშინია, მეც ვიცი. — შეაწყვეტინა სონღულისთვალებამ. — ყური მომიკრავს. გამოტვინებული ბებერი ცხრამეტი წლის გოგოს შეიყვარებს. მერე და რა არის აქ კარგი? ეგ ქუთიბაევი მარტო მტერი კი არაა, გარყვნილი ზნისაც ყოფილა. აბა უყურე, რა წვრილად ჩაუწერია მთელი ეს მარაზმი.

ედილეი გაწითლდა, მაგრამ სირცხვილით არა, წყრომით აევსო გული. ამაზე მეტი უსამართლობა აბუტალიფის მიმართ არ იქნებოდა. ძლივს შეიკავა თავი:

— მე არ ვიცი, შენ რისი უფროსი ხარ ან ვისი, მაგრამ მის სინდისს ამ მხრივ ნუ შეეხები. ღმერთმა ქნას, ყველა მაგისთანა ქმარი და მამა იყოს. აქ ყოველი კაცი გეტყვის, ვინც აროს და რაც არის. ჩვენ აქ თითებზე დავითვლებით, ისე რომ ერთმანეთისა ყველაფერი ვიცით.

— კარგი, კარგი, დაწყნარდი, — უთხრა სონღულისთვალებამ, — ყველას ტვინი დაგიბნელათ მაგან. მტერი მუდამაც თავს იკატუნებს, ნიღაბს იფარებს. ჩვენ კი ამ ნიღაბს ჩამოვხსნით მაგას. მოოჩა, შეგიძლია წახვიდე.

ედიღეი წამოდგა, ქუდი დაიხურა, ფეხი აითრია.

— რას უზამთ ახლა? რა მოელის? ნუთუ ამ რაღაც ნაწერების გამო ჩასვამთ კაცს?

მაგიდიდან მკვახედ წამოიწია სონღულისთვალება.

—გამიგონე, კიდევ გიმეორებ: ეს შენი საქმე არაა! მტერი რატომ უნდა დაიჭირო, როგორ მოექცე, რა სასჯელი დაადო — ჩვენ თვითონ ვიცით! თავს ტყუილად ნუ აიტკივებ. წადი, შენს გზაა დაადექ. გასწი-მეთქი!

გვიანღამ, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ერთხელ კიდევ გაჩერდა სამგზავრო მატარებელი, ოღონდ საპირისპირო მხარეს მიმავალი. არც ახლა მდგარა დიდხანს. სამოოდე წუთზე მეტს.

მატარებელს პირველ ლიანდაგზე იმ ბნელ ღამეში ის სამი ქრომის ჩექმებიანი კაცი ელოდა, აბუტალიფ ქუთიბაევი მიჰყავდათ. ზურგებით ჩამოფარებოდნენ აბუტალიფს განზე მდგომ ბორანლელებისაგან. ესენი იყვნენ ზარიფა, მისი ბიჭები, ედიღეი, უქუბალა და კიდევ ასაქცევის უფროსი აბილოვი. წინ და უკან რომ დარბოდა არარა კაცუნასავით და გულისამრევად ფაციფუცობდა — მატარებელი ნახევარი საათით იგვიანებდა. მაგრამ რა მისი ბრალი იყო, ვერ დაეტეოდა თავისთვის? ყაზანგაპი. ვინც აბუტალიფის სახლში აღმოჩენილ იმ უკულმართი ლეგენდების გამო ასევე დაჰკითხეს, ამ დროს ისართან იდგა: თავისი ხელით უნდა გადაეყვანა და გაეტარებინა მატარებელი იმ ლიანდაგზე, აბუტალიფს რომ წაიყვანდა საროზექიდან შორა. ბუჭეი ედიღეის გოგოებთან დარჩა შინ.

იმ სამ ჩექმიან კაცს, აბუტალიფი თავიანთი ზურგებით რომ განეცალკევებინათ, აყელოები აეწიათ და დაძაბულად დუმდნენ. აბუტალიფის გამცილებელი ბორანლელებიც ჩუმად იდგნენ.

ქარი ქროდა, ქვემოდან ბერავდა შრიალ-შრიალით და ოდნავ გასაგონი ზუზუნით. ეტყობა, ქარბუქს ეპირებოდა. ყივდებოდა, იძაბებოდა წყვდიადი საროზექის თვალგაუტან ცაზე. მჭმუნვარედ, ცივად, უცბოდ ანათებდა მთვარე, ფერმილეულ, ეულ ლაქად ჩანდა. ყინვა ლოყებს სუსხავდა.

ზარიფა უხმოდ იცრემლებოდა. ფუთა ეჭირა აბუტალიფის გასაატანებელი ტანსაცმლითა და საჭმლით. უქუბალას ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან, ეტყობა, მძიმედ ოხრავდა. ქურქის ქვეშ დაული შეეფარებინა. როგორც ჩანს, რაღაცას გრძნობდა ბიჭი და შეშინებული დუმდა. უქუბალა დეიდას ეხუტებოდა. ყველაზე დიდ გასაჭირში ედიღეი იყო — ერმექი ეჭირა ხელში და ქარისგან იფარავდა. პაწია ვერაფერს მიმხვდარიყო.

— მამუკი, მამუკი! — ეძახდა იგი მამას. — აქ მო, ჩვენთან, ჩვენც წამოგყვებით!

მისი ხმის გაგონებაზე აბუტალიფი კოთებოდა, უნებურად შემოტრიალება უნდოდა, შვილს გაპასუხებოდა, მაგრამ ის სამი ნებას არ აძლევდა. ბოლოს ერთმა ველარ მოითმინა:

— აქ ნუ დგახართ! გესმით? წადით აქედან. მერე მოდით, ბოლოს.

რა გზა იყო, უკან მიდგნენ ბორანლელები.

აგერ, შორიდან მოანათა ორთქლმავლის ბრდღვიალა შუქმა. ყველა შე-

ტოკდა, ამოძრავდა ადგილზე. ზარიფამ ველარ მოითმინა და ხმამაღლა ასლუკუნდა. ატირდა უქუბალაც. მოდიოდა მატარებელი და განშორება მოჰქონდა თან. მისმა შუქმა გაჰკვეთა სქელი, სუსხიანი წყვდიადი. მრისხანედ ახლოვდებოდა, ბურუსიდან ნელ-ნელა იკვეთებოდა რახრახითა და გრიალით მისი ვეება ტანი. რაც უფრო ახლოვდებოდა, ზევით და ზევით იწყვდა ორთქლმავლის ბრდღვიალა შუქი. სინათლის ზოლში უფრო და უფრო გარკვევით ჩანდა რელსებს შუა ქარისგან აყენებული მტვერი, უფრო და უფრო გარკვევით და შემაშინებლად ისმოდა მრუდმხარეებისა და დგუშების ქანცმილეული დგანდგარი. აჰა, გამოჩნდა მატარებელიც.

— მამუკი, მამუკი! შეხე, მატარებელი მოდის! — ყვიროდა ერმექი და გაკვირვებული, მამა რატომ ხმას არ მცემსო, ისევ ჩუმდებოდა. მერე ისევ აყვირდებოდა, იქნებ ახლა მაინც გავაგონოო: — მამუკი, მამუკი!

ასაქცევის აწრიალებული უფროსი იმ სამს მიადგა:

— საფოსტო ვაგონი მატარებლის თავშია, თუ შეიძლება, წინ წამობრძანდით, აგერ იქ.

ყველანი იმ მხარეს გაემართნენ საკმაოდ სწრაფად. მატარებელი უკვე ახლოვდებოდა. წინ სონღულისთვალება მიაბიჯებდა პორტფელით ხელში, თავს არ ატრიალებდა. მის უკან მიმავალ აბუტალიფს სონღულისთვალებას ორი ბეჭებგანიერი თანაშემწე მისდევდა, ცოტა მოშორებით ზარიფა მიიჩქაროდა, უქუბალას დაულისთვის ჩაევლო ხელი და ზარიფას მიჰყვებოდა. ედიღეი განზე მიდიოდა, ცოტა უკან, ერმექი მკლავზე ესვა. თავს ებრძოდა, ქალებთან და ბავშვებთან არ ატირებულიყო, ყელში ბურთივით გაჩხეროდა რაღაც.

— შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ერმექ? შენ ხომ ჭკვიანი ხარ და არ იტირებ, ხომ? — უაზროდ ბუტბუტებდა იგი და გულში იკრავდა პაწიას.

ამასობაში მატარებელმა თანდათან შეანელა სვლა და გაჩერებას მიუახლოვდა. როცა ორთქლმავალი ედიღეისა და ერმექს გაუსწორდა და ცოტაზე კიდევაც გაასწრო, შიშინით გამოუშვა ორთქლი. მკვახედ დასტვინა კონდუქტორმა.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, — უთხრა ედიღეიმ შიშით შემხტარ ბიჭს. — ნურაფრის გეშინია, ვინემ ჩემთან ხარ. მე კი მუდამ შენთან ვიქნები.

მატარებელი ხრჭიალ-ღრჭიალით გაჩერდა. თოვლის მტვერით შეთოთვილული ვაგონები, რომლის ფანჯრები ყინულის თხელ ფენას დაებრმავებინა, ადგილს მიეყინა. ირგვლივ სიჩუმე დადგა, მაგრამ ორთქლმავალმა მაშინვე ისევ შიშინით გამოაბოლქვა ორთქლი, ისევ უნდა განეგრძო გზა. საფოსტო ვაგონი საბაგაჟოს შემდეგ იყო, ფანჯრები ხარიხით ჰქონდა აჭედილი, კარი შუაში დატანებული. შიგნიდან გამოღებული კარიდან ქალმა და კაცმა გამოიხედეს. ორივეს საფოსტო უწყების ჭუდები ეხურათ, დაბამბული შარვლები და ჭურთუკები ეცვათ. ქალს, ეტყობა, უფროსს, ფარანი ეჭირა. ზონზროხა იყო, დიდი მკერდი ჰქონდა.

— თქვენა ხართ? — თქვა ქალმა და ფარანი თავთან ისე დაიჭირა, შუქი ყველას დასცემოდა. — გელით, ადგილი მზადაა.

სონღულისთვალება თავისი ვეება პორტფელით პირველი ავიდა ვაგონში.

— აბა სწრაფად, სწრაფად, დაუჩქარეთ! — აწრიალდა მაშინვე ის ორი.

— მე მალე დავბრუნდები! აქ რაღაც გაუგებრობაა! — ჩქარ-ჩქარა იძახდა აბუტალიფი.—მალე დავბრუნდები, მელოდეთ!

უქუბალამ ვეღარ მოითმინა, ხმამაღლა ატირდა, როცა [illegible] შვილები გულში ჩაიკრა, კოცნიდა და შეშინებულ, დაბნეულ [illegible] ჩასჩურჩულებდა. ორთქლმავალი კი წასასვლელად ემზადებოდა. ამ სურათს ხელის ფარანი ანათებდა. უეცრივ ვაგონების გასწვრივ ელექტროობასავით გასხლტა ყურისა და სულის გამაყრუებელი სასტვენის ხმა.

— აბა, ჩქარა, ჩქარა, ადი ვაგონში! — კიბისკენ წაათრია იმ ორმა აბუტალიფი.

ედიღეი და აბუტალიფი სულ ბოლოს გადაეხვივნენ ერთმანეთს, სველი, გაუპარსავი ლოყა ლოყას მიადეს, მთელი გულით, არსებით, გონებით ესმოდათ ყველაფერი.

— ზღვაზე მოუყევი! — ჩასჩურჩულა აბუტალიფმა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მიხვდა ედიღეი, მამა თხოვდა, ჩემს ბიჭებს არალის ზღვაზე უამბეო.

— აბა, გეყოფათ აქ, ადი, ადი ზევით, ადი ჩქარა! — გააშორეს ისინი.

აბუტალიფი იმ ორმა მხრებით შეაგდო ვაგონში. ახლალა მიხვდნენ ბიჭები, მამას რომ შორდებოდნენ. ორივე ერთად ატირდა. ერთად იყვირეს:

— მამუკი! მამა! მამუკი! მამა!

ედიღეი ერმეჭით ხელში ვაგონისკენ გაიჭრა.

— სად მოდიხარ? სად? რას შვრები! — გააფთრებით ჰკრა ფარნიანმა ქალმა მკერდში ხელი, უშველებელი მხრებით ჩამოეფარა ვაგონის კარს.

არავინ იცოდა, რომ იმ წუთას ედიღეი მზად იყო აბუტალიფის ნაკვლად თვითონ წასულიყო, ოღონდაც გზაში მოეხრჩო ის სონღულისთვალება, ისე დაუსერა გული ბავშვების კივილმა.

— აქ ნუ დგახართ! წადით წადით აქედან! — ღრიალებდა ის ფარნიანი ქალი. პირიდან თამბაქოსა და ხახვის მძაფრი სუნი ამოსდიოდა.

ზარიფას გაახსენდა, ფუთა რომ ხელში შერჩა.

— ეს გადაეცით, აქ საჭმელია! — შეაგდო ფუთა ვაგონში.

საფოსტო ვაგონის კარი მიიკეტა. ხმაური მიწყდა. ორთქლმავალმა დაჭკივლა და ადგილიდან ღრჭიალ-ღრჭიალით დაიძრა, ნელ-ნელა უმატა სვლას.

უნებლიეთ დაიძრნენ ბორანლელებიც, ვაგონის ყრუდ დახშულ კარს გასდიეს. პირველი უქუბალა მოეგო გონს, ზარიფას ხელი სტაცა, გულში ჩაიკრა, არ გაუშვა.

— არ წახვიდე, დაულ! აქ დადექ! დედას ჩაჰკიდე ხელი! — ხმამაღლა დაუძახა ბიჭს თანდათან აჩქარებული ბორბლების რახრახში.

ედიღეიც ერმეჭიანად სირბილით გაჰყვა ცოტაზე მატარებელს. მაშინლა გაჩერდა, როცა ბოლო ვაგონმა ჩაუარა. აგერ მიიმალა მატარებელი, თანდათან მიწყდა ბორბლების ხმაური, ნელ-ნელა გაქრა შუქიც... უკანასკნელად დაჭკივლა ორთქლმავალმა...

გამობრუნდა უკან ედიღეი, დიდხანს ვერა და ვერ დააწყნარა ატირებული ბიჭი...

შუალამემდე დარეტიანებული იჯდა ღუმელთან. მაშინლა გაახსენდა აბი-

ლოვი და ნელა წამოდგა, ჩაცმას შეუდგა. უქუბალა უმალ მიუხვდა და ქმარს ხელი სტაცა.

— სად მიდიხარ? ხელი არ ახლო, თითის დაკარება არ გაბედო! ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს. შენ ვინ გკითხავს? რით დაუმტკიცებ?

— ნუ გეშინია, — დინჯად უთხრა ედიღეიმ, — ხელს არ ვახლებ, მაგრამ იცოდეს, რომ მისთვის ჯობია აქედან გაგვეცალოს, სხვაგან წავიდეს. პირობას გაძლევ, ღერი თმა არ დააკლდება. დამიჯერე! — ხელი გამოსტაცა ცოლს და გარეთ გავიდა.

აბილოვის ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა. მაშასადამე, არ ეძინათ.

დათოვლილ ბილიკს ჭრიჭინი გაჰქონდა ფეხქვეშ. ედიღეი ცივ კარს მიადგა, დააკაკუნა, კარი აბილოვმა გაალო. ედიღეი რომ დაინახა, დაფრთხა.

— ოჰო, ედიქე, შემო, შემო, — უთხრა და ფერდაკარგული უკან მიდგა.

ედიღეი უხმოდ შევიდა, ყინვის ოხშივარი შეიტანა. ზღურბლზე დადგა, კარი მიხურა.

— რატომ დაიობლე ის უბედურები? — ნაძალადევი სიმშვიდით ჰკითხა მან.

აბილოვი მუხლებზე დაეცა, ხოხვა-ხოხვით მივიდა ედიღეისთან, ტყაპუჭის კალთებზე მოეგლაუჭა.

— ღმერთმანი, მე არაფერ შუაში არა ვარ, ედიქე! აი, ჩემს ცოლს არ ელირსოს მოლოგინება! — დაიფიცა მან და შიშით გარინდულ ცოლისკენ მიიხედა. მერე ჩქარ-ჩქარა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო: — ღმერთმანი. მე არა, ედიქე, ამას როგორ ვიზამდი! ეს იმ რევიზორის ბრალია! აბა მოიგონე. სულ მეკითხებოდა და მეკითხებოდა, რას სწერს და რატომ სწერსო. ამ რევიზორმა ქნა ყველაფერი. ამას მე როგორ ვიკადრებდი! აი, იმას არ მოელოგინოს, თუ ვტყუი! წელან მატარებელთან აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავ, ლამის მიწაში ჩავმძვრალიყავ, ოღონდ არ მეცქირა! მაგ რევიზორმა სული ამომართვა შეკითხვებით, ყველაფერს იძიებდა, აბა მე რა ვიცოდი... რომ მცოდნოდა...

— კაი, გეყოფა, — შეაწყვეტინა ედიღეიმ, — ადე, ადამიანურად ვილაპარაკოთ. აგერ შენი ცოლის წინ. ღმერთმა მშვიდობით მოალოგინოს. მაგრამ შენთვის ხომ სულ ერთია, სადაც იქნები, ჩვენ კი იქნებ სიკვდილამდე აქ დავრჩეთ. ისე რომ დაფიქრდი. ალბათ გიჯობს შემდეგ სადმე სხვა სამუშაოზე გადახვიდე. მე ასე გირჩევ. მორჩა და გათავდა. ამაზე ნუღა ვილაპარაკებთ. ეს მინდოდა მეთქვა. სხვა არაფერი...

ედიღეი გამოვიდა და კარი გაიხურა.

დასასრული შემდეგ ნომერში

□

ვასილ შუკშინი

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

პორტრეტის შტრიხები

ნ. ნ. კნიაზევის, ადამიანისა და მოქალაქის, ზოგიერთი კონკრეტული მოსაზრება

1. „სახელმწიფოს შესახებ"

ვატარა რაიონულ ქალაქ №-ში ჩამოვიდნენ ისინი, ვერტიკალურ კედელზე მოტოციკლებით რომ დადიან. ყოფილი ბაზრის მოედანზე ფარებისა და ბრეზენტისგან გამართეს დიდი ბალაგანი და ატყდა ერთიდ ტრახტრახი და რახრახი მცირეოდენი პაუზებით. მოედნის თავზე მთელი დღეები იწვა ცისფერი ბოლი და იდგა ბენზინის მძაფრი სუნი. ტრახტრახი 11 საათზე იწყებოდა და 19-ზე მთავრდებოდა. კედელზე მოტოციკლებს დააქროლებდა ცოლ-ქმარი კაიგოროდოვები — ასე იუწყებოდა აფიშა.

კაიგოროდოვები აქაურ სასტუმროში დაბინავდნენ.

როგორლაც, საღამოთი, იმათ კარზე მიაკაკუნეს.

ლოგინზე წამოწოლილი კაიგოროდოვი გაზეთს კითხულობდა, მისი ცოლი კი, მოსული, სახემრგვალი სპორტსმენი, კაბას აუთოვებდა.

— შემოდით, — გამოსძახა კაიგოროდოვმა. გაზეთი გადადო, წამოჯდა, საწოლიდან შორს წაჰყარა შიშველი ფეხები, — მობრძანდით!

შემოვიდა შუატანის, ასე ორმოცდახუთი წლის, ცისფერთვალება, ჰალსტუხიანი, დამცინავად ღიმილიანი, მოთავხედო მამაკაცი.

— გამარჯობათ! — მხიარულად მიესალმა დამხვდურთ მოსული. — ნება მომეცით გაგეცნოთ: კნიაზევ ნიკოლაი ნიკოლაევიჩ. თქვენ მე გიცნობთ: თქვენს მუშაობას თვალს ვადევნებდი.

კაიგოროდოვმა, ლონიერმა, ლამაზმა მამაკაცმა, სტუმარს ხელზე ხელი მოუჭირა მისალმებისას. სტუმარმაც მსუბუქად მოუჭირა ხელი კაიგოროდოვს და თავი ოდნავ დაუკრა მის მეუღლეს.

— დაბრძანდით, — შესთავაზა კაიგოროდოვმა.

— გმადლობთ. — კნიაზევი დაჯდა და სპორტსმენების ადგილსამყოფელი მიათვალიერ-მოათვალიერა, — ისე, თქვენი ნომერი მაინცდამაინც... ჰა?

კაიგოროდოვმა მხრები აიჩეჩა:

— რა უჭირს. აქ ხო დროებითა ვართ...

— რისთვის მოვედი მე: მინდოდა თქვენი მიპატიჟება ჩემთან, სახლში, — თქვა კნიაზევმა. და ჯერ კაიგოროდოვს შეხედა კითხვის თვალით, მერე კაიგოროდოვას.

— რისთვის? — ჰკითხა გულალალმა კაიგოროდოვმა.

— ისე, მინდა მესტუმროთ, ჩაის დავლევდით... — კნიაზევი მასპინძლებს მხიარულად, მოურიდებლად უყურებდა. მე აქ ახლოს ვცხოვრობ... ხატები თუ გაინტერესებთ?

— ხატები? არა. რატომ მეკითხებით?

— ბიცოლაჩემს იშვიათი ხატები აქვს. ეგ, რასაკვირველია, დაჰკანკალებს იმ ხატებს, მაგრამ როცა მცოდნე კაცები ჩამოდიან, კი უჩვენებს. ამას გარდა, კაცი ჭიქა არაყსაც თუ შესთავაზებს — ხომ უჩვენებს და უჩვენებს.

— არ გვაინტერესებს, ბატონო.

— მაშინ, უბრალოდ, ისე წავიდეთ.

— კი, მაგრამ რისთვის? — ვერაფერი გაეგო მასპინძელს.

— სტუმრად-მეთქი, ღმერთო ჩემო! — იყვირა კნიაზევმა, — რა არი ამაში ისეთი?....

ცოლმა ქმარს გამოხედა... ქმარმაც შეხედა. ვერაფერი გაეგოთ.

— რას იტყვით? — თავისას მირეკავდა კნიაზევი, — რა გადახედ-გადმოხედვა აგიტყდათ? სამმა საზიაროდ ერთი ბოთლი არაყი დავლიოთ-მეთქი, ხომ არ გთავაზობთ?

— მომისმინეთ, — შეაწყვეტინა კაიგოროდოვმა. ის პირდაპირი, თავშეუკავებელი კაცი იყო, — მაინც ვერ გამიგია: რა გინდათ თქვენ რა?

— სუ-სუ-სუ, — ღიმილით, მშვიდად უთხრა მასპინძელს კნიაზევმა. — ასე ერთბაშად განაწყენება რა ამბავია... წყენა რა შუაშია? სტუმრად გეპატიჟებით. ესაა და ეს. რა საწყენი ესაა?

— მერე, როდის მწყინს... — სპორტსმენი რამდენადმე შეცბა. — მაგრამ მეორეს მხრივ... მე ვერ გამიგია...

— მე კიდევ აგიხსნით: წამობრძანდით ჩემთან სტუმრად, — ისევ აღუშფოთველად, დათმენით აუხსნა კნიაზევმა, — და ეს სწორედ იმ მხრით იქნება, რომლიდანაც...

— არ წამოვალ, — გადაჭრით, ასევე, რაც კი შეეძლო, მშვიდად მიუგო კაიგოროდოვმა. იგი ისევ გაბრაზდა, საბოლოოდ გააბრაზა სტუმრის ამგვარმა თავხედურმა სიმშვიდემ, მისმა რაღაცნაირმა საძაგელმა სიმხიარულემ. — გაიგეთ, თუ არა? არ წამოვალ. არ მინდა ჩაის დალევა, არა.

კნიაზევმა გულიანად გაიცინა:

— მაინც რატომ, ვერ იტყვით?!

კაიგოროდოვმა სულელურ დღეში იგრძნო თავი. მსხვილი ლამაზი ცხვირის ნესტოები შეუთამაშდა.

— გრიშა, — ცოლმა სიფრთხილისაკენ მოუწოდა ქმარს.

კაიგოროდოვი წამოდგა... სტუმრისთვის თვალმოუცილებლად საწოლქვეშ ფეხით მოსძებნა ბაჩუჩები და კარისკენ გაემართა.

— წავიდეთ, — უბრძანა მან ჩუმად კნიაზევს.

— გრიშა, — ისევ შეახსენა თავი ცოლმა.

— ყველაფერი რიგზეა, — ზღურბლზევე გამოტრიალდა კაიგოროდოვი, — რა გინდა? — მკაცრად ჰკითხა კნიაზევს, რომელიც ჯერ ისევ იჯდა. და ერთხელაც უთხრა: — წავიდეთ.

— სად? — ჰკითხა კნიაზევმა.

— დერეფანში გავიდეთ. იქ ამიხსნით, რა გინდათ.

— აქ აგიხსნით, დერეფანში გასვლა რა საჭიროა? — სტუმარი, ეტყობა, შეშინდა, იმიტომ, რომ გუნება წაუხდა. და ახლა უკვე უფრო დიასახლისს მიმართავდა: — არ იფიქროთ, თუ ღმერთი გწამთ, თითქოს, მე აქ რამე... მიზანს ვისახავდე... უბრალოდ, მომინდა ჩამოსულ ხალხთან ლაპარაკი... ჩვენთან ხომ ასე იშვიათად ჩამოდიან... მაინც რატომ გეწყინათ, ვერ გავიგე? — კნიაზევმა ალალად, თვინიერად შეხედა მასპინძელს. — მე სულაც არ მინდოდა თქვენი წყენინება. მაპატიეთ, თუ ასე ცუდად მოგხვდათ გულზე, რომ დაგპატიჟეთ... — კნიაზევი წამოდგა. — როგორც შემეძლო, ისე დაგპატიჟეთ...

კაიგოროდოვმა ისევ უხერხულად იგრძნო თავი, — არ უნდა გავფიცხებულიყავით. კარიდან გამობრუნდა, სკამზე ჩამოჯდა. სტუმრისკენ არც იხედებოდა.

— გრიშა, — ხმა ამოიღო ცოლმა, — შენ ხომ თავისუფალი ხარ... მე კიდე არ შემიძლია, — უთხრა მან სტუმარს. — ხვალ მივემგზავრებით, თადარიგი უნდა დავიჭირო...

— ეიცი, რომ ხვალ მიემგზავრებით და ამიტომაც მოვედი, — თქვა კნიაზევმა, — მაპატიეთ, თუ ასე უხეიროდ გამომივიდა თხოვნა... რაც შეიძლება, უკეთ მინდოდა გამომსვლოდა. თქვენ, ალბათ, ჩემი ხითხითი გეჩოთირათ, არა? — მიუბრუნდა კაიგოროდოვს, — უხერხულობას ვგრძნობდი და ამიტომ ამიტყდა ხითხითი. თქვენ, ხომ, რაც არ უნდა იყოს... ცნობილი ხალხი ხართ.

— კარგით, ერთი, რას ამბობთ! — შეაწყვეტინა კაიგოროდოვმა და ცოლს გახედა. — შეიძლება წავიდეთ, კაცმა რომ სთქვას...

— შენ წადი, მე კი წასვლის სამზადისს დავიჭერ.

— წავიდეთ! — სიტყვა არ გააციებინა კნიაზევმა, — წამოდით, ნახეთ როგორ ცხოვრობენ პროვინციელები... ისედაც წამოწოლილები ხართ.

კაიგოროდოვი, რომელიც თითქოს, საბოლოოდ მორეოდა თავს, ისევ შეყოყმანდა. ახლაც კითხვის თვალით მიაჩერდა კნიაზევს, რომელმაც მას ისევ მხიარული და რაღაცნაირად იდუმალი, აუხსნელი თავხედური მზერა შეაგება. კაიგოროდოვი ამან გააშტერა.

— წავიდეთ, — გადაჭრით თქვა მან და წამოდგა.

— აგაშენა ღმერთმა, — შვებით, თითქოს თავისთვის ალმოხდა კნიაზევს, — თორემ დერეფანში მოვილაპარაკოთ, ესაო, ისაო.

კაიგოროდოვს ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება ჩქარა გასულიყო აქედან კნიაზევთან ერთად და გაეგო, ბოლოს და ბოლოს, რა კაცი იყო ეს კაცი და რა უნდოდა მისგან. აქ რომ რაღაც მთლად ასე უბრალოდ არ იყო, ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ მაინც რა ხდებოდა, ძალიან აინტერესებდა. კაიგოროდოვი იმდენად ძლიერი და გაბედული კაცი კი იყო, რომ თავისი თავის იმედი ჰქონდა, სამაგიეროდ, მისი ცოლი აშკარად აწრიალდა.

— იქნებ, ჯობდეს... — დაიწყო ქალმა, მაგრამ ქმარმა აღარ დაასრულებინა:

— მე მალე მოვალ, გალია.

— მალე მოვალთ, — თქვა კნიაზევმაც.

კაიგოროდოვსაც ყოველგვარმა კრთომამ გადაუარა [illegible] ბოლოცვა და კნიაზევთან ერთად გავიდა ნომრიდან. გამიმშვიდობებისას კნიაზევმა ისევ ოდნავ დაუკრა თავი კაიგოროდოვას და ლამე ნებისა უსურვა.

უკვე ბნელოდა. ქალაქის ქუჩები თითქმის არ იყო განათებული, მხოლოდ სასტუმროს შესასვლელთან მიწაზე იწვა ნათელი წრე. იმას იქით კი ისევ შემაშფოთებლად ბნელოდა.

— ჩემი სახლი, აი, იქაა, — უთხრა კაიგოროდოვს კნიაზევმა, — სამასიოდე მეტრი იქნება.

ნათელი წრიდან რომ გამოვიდნენ და სიბნელეში შეყვინთეს, კაიგოროდოვი პაპიროსის მოსაკიდებლად შეჩერდა.

— აბა, მითხარით, რაშია საქმე? — იკითხა მან, როცა მოუკიდა: ის კნიაზევის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა მის მხიარულ, თავხედურ მზერას, ამიტომ იყო, რომ ასე პირდაპირ და უხეშად ელაპარაკებოდა.

— თქვენი მამის სახელი? — ჰკითხა კნიაზევმა.

— რა გინდა-მეთქი, გეკითხები!

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

— გავგიჟდები ახლა! — დაცინვით წამოიძახა კნიაზევმა, — შეგეშინდათ, თუ რაა?

— რა გინდა-მეთქი?! — მესამედ ჰკითხა კაიგოროდოვმა. — მე, იცოდე, ამისთანა ოინებს ჭირის დღესავით ვერ ვიტან...

— ფუ! — მართლა გაბრაზდა და განცვიფრდა კნიაზევი, — რა დღეში ხართ, ერთი! კი, ბატონო, სპორტსმენები ხართ... ჩაიზე გეპატიჟებით, სტუმრად გიწვევთ, მეტი ხომ არაფერი! აი, ჩემი სახლიც აქვეა, ხელის გაწვდენაზე. შინ ცოლი მყავს, ცოლი და ოჯი შვილი... ბიცოლაც... გვერდით თთახში... ეს სპორტსმენები რა ხალხი ყოფილა! რა გემართებათ?

— აბა, ეს რანაირი... უცნაური მანერაა... — თქვა კაიგოროდოვმა. — რა ხა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი აგიტყდა?

— მანერაო? — კნიაზევმა წაიფშლუკუნა, — შენიშნეთ, ხომ? იგი სიბნელისკენ დაიძრა. კაიგოროდოვიც მიჰყვა. — ესაა მანერა, რომელიც მუშავდება, ყალიბდება, როცა ადამიანთა უმეცრებას... ამ უმეცრების კედელს ეხლები და ეხლები თავით და... ხითხითს დაიწყებ, აბა, რა იქნება, — კნიაზევი ლაპარაკობდა სერიოზულად, ხმადაბლა, ნაღვლიანად. — თავიდან, იცით, გინდა იყვირო, ილანძღო, შემდეგ უკვე გეცინება.

კაიგოროდოვმა არ იცოდა, რა ეთქვა. ლაპარაკიც ახლა ძეტისმეტად არ უხერხდებოდა: სიბნელეში ალალბედზე მიიწევდა წინ, რამდენჯერმე წაჰკრა ფეხი კნიაზევს, რომელიც უკან ხელს აშველებდა და ეუბნებოდა:

— თრთხილად.

— ბნელა, როგორც...

— სპინოზაზე რამე თუ გაგიგონიათ? — ჰკითხა კნიაზევმა.

— გამიგონია... — მოაზროვნე იყო.

— მოაზროვნე იყო, სავსებით სწორი ბრძანებაა. ერთხელ, ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა, ვილაცის ოჯახში აიღო ბინა... მთელი დღეები იჯდა და რაღაცას წერდა და წერდა. იმათ კიდე, უბრალო ხალხმა, რა გგონია, სასაცილოდ აიგდეს, შეხეთ, შეხეთ, რა უსაქმურია, არაფერს აკეთებს, მხოლოდ წერსო. რა უნდა ექნა სპინოზას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეკითხებით, თუ...

— ჰო, გეკითხებით. რა უნდა ექნა მოაზროვნეს?

— რა უნდა ექნა? რა უნდა ექნა და რასაც აკეთებდა — უნდა ეწერა.

კნიაზევი ერთხანს ჩუმად იყო, მერე ნაღვლიანად თქვა:

— ეგ სათქმელად იოლია... სამასი წლის შემდეგ. მაგრამ ის ხომ ცოცხალი ადამიანი იყო და მის, როგორც თქვენ ბრძანებთ... ოინებსაც ხომ ხალხი მოთმინებიდან გამოჰყავდა. აი, მოვედით კიდეც, — თქვა კნიაზევმა, — მინდა გაგაფრთხილოთ... — ჭიშკართან შეჩერდა:—ჩემი ცოლი, აბა, როგორ გითხრათ, დიდი შუბლგახსნილი ქალი ვერაა. თქვენ ყველაფერს გამიგებთ. მთავარია, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თუკი ეგ... თუკი უსიამოვნებას გამოავლენს, მაგალითად.

კაიგოროდოვი ძალიან ნანობდა, ეშმაკმა ეცის ვის და სად მივყვებიო.

— იქნებ, სჯობდეს, თუ არ სიამოვნებს, არც ავიდე.

კნიაზევმა — კაცი გაიგონებდა — ჩუმად შეიგინა.

— სპინოზა კი როგორ იქცეოდა? თქვენ თვითონ არა თქვით? მეტი სითამამე გმართებთ, სპორტსმენო! დაე, ჩვენ მერე გამოგვიტანონ განაჩენი, მერე, თუ შთამომავალნი ისტორიულად ჩვენზე გონიერნი აღმოჩნდებიან. — კნიაზევი, ეს იგრძნობოდა, თავს ძალას ატანდა. ყინჩობდა, მაგრად უნდა ვიყო, ეს რა ვქენი, ამ უცნობ ხალხს ასე სუსტი რად ვეჩვენეო, — ნუ გეშინიათ.

— შიში, არა! არაფრისაც არ მეშინია! — გაგულისდა კაიგოროდოვი, — მაგრამ სუ ტყუილად რო აგყევით, წყალი არ გაუვა.

— ეგ ჯერ კაცმა არ იცის, — უთხრა კნიაზევმა და თან დერეფნის კარი გამოაღო. — აქ ცოტა ფრთხილად, შეიძლება თავი აარტყათ.

ფართო, ნათელი ოთახი ტელევიზორებით იყო სავსე. მაგიდაზეც ტელევიზორები იდგა, სკამებზეც... შემდეგ კაიგოროდოვმა დაინახა ღუმელთან მიმდგარი გამხდარი ქალი, კარტოფილს ფცქვნიდა. კაიგოროდოვი შეაძრწუნა მისმა გამოხედვამ: ქალს მტრული ცნობისწადილით სავსე, ძალზე ჭკვიანი, მაგრამ ბოლმიანი თვალები ჰქონდა.

— გამარჯობათ, — კაიგოროდოვის სალამს ქალმა ბრაზიანი თვალი შემოაგება.

— ეს ამხანაგი სახკირკიდანაა, — აუხსნა ცოლს კნიაზევმა. — ჩაი გაგვიმზადო უნდა. ჩვენ კიდე აქ წავისაუბრებთ... აქეთ გამოიარეთ, ამხანაგო კაიგოროდოვ...

ოთახში შევიდნენ — ესეც დიდი ოთახი იყო, წიგნებით, უამრავი წიგნით სავსე, შუაში დიდი საწერი მაგიდა იდგა და არც იქ იყო ტელევიზორების ტევა.

— ამდენი ტელევიზორი რად გინდათ? — ჰკითხა კაიგოროდოვმა.

— ვარემონტებ, — მიუგო კნიაზევმა, მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ყუ-

თიდან რაღაც ქაღალდების ამოლაგებას შეუდგა. — სპინოზა შუშას ხეხავდა, მე კიდევ... ვჩრჩილავ და ამით ვშოულობ პურს არსებობისას. ჩვენი სახელოსნო პატარაა, ამიტომ სამუშაოს შინ წამოღება მიწევს. რვეულები, — რამდენიმე საერთო რვეული გამოიღო ქაღალდებიდან, დააცქერდა. არ იღიმებოდა, ფიქრდარეული სახე ჰქონდა, ჩვეულებრივად ფიქრდარეული, თუნიერი კაცის სახე. — დაბრძანდით გეთაყვა. ჩაი შესაძლოა არც მოგვართვან... თუმცა რა ვიცი, იქნებ ინამუსონ და მოგვართვან. ეგ არაფერი. დაბრძანდით, არ მიყვარს, ფეხზე რომ დგანან. — კნიაზევი ისე ლაპარაკობდა და იქცეოდა, თითქოს ასე უკვე ბევრჯერ ელაპარაკოს და მოქცეულიყოს, ჩქარობდა, არ აინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ მის სიტყვებს. იგი მთელი არსებით იყო შთანთქმული რვეულებში, რომლებიც ხელში ეჭირა. — აქ, — განაგრძო კნიაზევმა და რვეულები გააქნ-გამოაქნია, — მრავალი წლის შრომის შედეგია თავმოყრილი, მე თქვენ ძალიან გთხოვთ... — კნიაზევმა კაიგოროდოვს შეხედა და მისი თვალები... მის თვალებში უსაშველო ვედრება და შიში იდგა. — ესაა ფიქრები სახელმწიფოზე.

— სახელმწიფოზე? — უნებურად ჩაეკითხა კაიგოროდოვი.

კნიაზევმა მისი განცვიფრება ვითომ ვერც შენიშნა.

— მე თქვენი დროის საათნახევარი მჭირდება... — ამ დროს კნიაზევის მახვილმა სმენამ დაიჭირა რაღაც ისეთი, რამაც შეაშფოთა და გააგულისა. წამოხდა და სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიიჭრა კართან, გამოაღო და ხმამაღლა გაჰყვირა:

— მე გთხოვთ! ძალიან, ძალიან გთხოვთ! შენი ჩაი არც არაფერში გვინდა, ოღონდ ნუ რახარუხობ მანდ, ჰო, ნუ რახარუხობ და ნუ ფსიხობ!

იმ ოთახიდან რაღაც ხმადაბლა უპასუხეს, რაზეც კნიაზევმა კიდევ ერთხელ გარკვევით, დამარცვლით, რამდენადმე სასოწარკვეთილად, მაგრამ გაავებით გაუმეორა:

— მე შენ ძალიან გთხოვ! ძა-ლი-ან! — და კარი მიუჯახუნა. მოვიდა, დაჯდა, სადაც იჯდა, ისევ აიღო რვეულები ორივე ხელით და უკმაყოფილოდ ჩაიდუდღუნა: — ვფსიხობთ.

კაიგოროდოვი გაშტერებით მისჩერებოდა ამ უცნაურ ადამიანს.

კნიაზევმა რვეულები მაგიდაზე ჩამოსდო, მერე ერთი აიღო და მუხლებზე გაიშალა... ხელი გადაუსვა გადაჭრელებულ ფურცლებს. ხელი ოდნავ უთრთოდა.

— სახელმწიფო, — დაიწყო მან, მაგრამ ჯერ კითხვას არ შესდგომია, ჯერ მხოლოდ ისე ლაპარაკობდა, კითხვის დაწყებისთვის ნიადაგს ამზადებდა, — დიახ, სახელმწიფო ძალზე რთული ორგანიზმია. მისგან სარგებლობის მისაღებად საჭიროა... ეს საკითხის მთლიანობაში გააზრებას მოითხოვს. არა ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია... — თვალით კარისკენ უჩვენა. — მაგრამ.... რა გინდა ქნა. ეს უკვე ჩემი შეცდომაა: აი, ჩემი თავი კი არ შევიცოდე. მაგრამ ამას ისე ვამბობ, ეს პრელუდიაა. აი აქაა, ა, სახელმწიფოს გააზრება მოცემული. — კნიაზევმა ისევ გადაუსვა ხელი ფურცლებს, ჩაახველა და კითხვა დაიწყო: — „თავი პირველი: მიზანშეწონილი სახელმწიფოს აგების სქემა. სახელმწიფო — ესაა მრავალსართულიანი ნაგებობა, რომლის სართულებიც კიბეებითაა ერთმანეთს შეკოორდინირებულ-შეკავშირებული, თანაც სართულები თანდათან ვიწროვდება და ვიწროვდება, ვიდრე სულ ზემოთ არ დარჩება ერთი ოთახი,

რომელშიცაა მოთავსებული სწორედ მართვის პულტი. ასეთი სახელმწიფოს აზრი შემდეგში მდგომარეობს..." მობილიზაცია გაუკეთეთ თქვენს ფანტაზიას და დავადგეთ გზას, გავსწიოთ... წარმოვისახოთ, ვჭვრიტოთ ის მოვლენები, რომლებსაც ხელით ვერ შევეხები. — კნიაზევმა რვეულიდან თავი აიღო. კაიგოროდოვს აჰხედა და საჭიროდ ჩათვალა ესეც დაემატებინა: „ეს ადამიანს უყვარს ხელით შეეხოს ყველაფერს — მაშინ კი გებულობს, რა ხდება და რისთვის. კატეგორიებით აზროვნებას ის ჯერ ვერაა შეჩვეული. თუა თქვენთვის გასაგები იმის აზრი, რასაც გიკითხავთ?

კაიგოროდოვმა თვალი თვალში მიაცივა კნიაზევს, პასუხის გაცემას არ ჩქარობდა.

— თუა-მეთქი გასაგები?

— გასაგებია, — მიუგო კაიგოროდოვმა.

— „წარმოვიდგინოთ, — განაგრძო კითხვა კნიაზევმა, — ეს უზარმაზარი ნაგებობა ჭრილში, კვეთილში, სართულების მკვიდრნი კი ფიგურებად, რომლებსაც ეს სართულები მხრებით უმაგრიათ. საერთო სურათის დასარღვევად წარმოვიდგინოთ, რომ რამდენიმე ფიგურამ რომელიღაც „X" სართულზე თავისი მოვალეობა არ შეასრულა: ზედა სართული არ დაიჭირა. რა მოხდება? შენობა ჩამოინგრევა. ანდა სხვა ფიგურები, რომლებიც პატიოსნად იმაგრებენ თავიანთ სართულებს, დამატებით დატვირთვას მიიღებენ: სამართლიანობის კანონი ირღვევა. დარღვეულია წონასწორობის კანონიც. — მართვის პულტზე განგაშის სიგნალი გაისმის. იქიდან კითხულობენ: რომელი სართული ჩაიზნიქაო? დაუყოვნებლივ რეკავენ ყველა სართულზე... კეთილი ნების ხალხს ბლუს თანამედროვე ტექნიკა — წინ რა დაუდგება — დადგენილია: ჩამოიზნიქა „Y" სართული. მართვის პულტიდან..."

— თქვენ ყველაფერ ამას სერიოზულად ამბობთ? — ჰკითხა კაიგოროდოვმა.

— ვერ გავიგე... — ვერ გაიგო კნიაზევმა.

— თქვენ სერიოზულად ფიქრობთ ამეებზე?

კნიაზევმა რვეული დახურა, სხვა რვეულების დასტაზე შემოდო... ცოტა ხანს იფიქრა და ყველა ერთად მაგიდის უჯრაში შემალა. წამოდგა და ხმაწასულმა უთხრა სტუმარს:

— ნახვამდის.

კაიგოროდოვს უცებ შეეცოდა კნიაზევი.

— მომისმინე. — უთხრა მან კნიაზევს თანაგრძნობით, — რეებს სულელობ ერთი. თუ კაცი ხარ? დავიჯერო, შენთვის არავის უთქვამს, რომ...

— მესმის, განა არ მესმის,— ხმადაბლა შეაწყვეტინა კნიაზევმა, — მოტოციკლის ირავა კონკრეტული, ხელშესახები რამაა. მესმის, კი, მესმის, ცენტრიდანული ალაც ბოლოს და ბოლოს შეიძლება კაცმა... წარმოიდგინოს. ასეა, ხომ. მაგრამ აქ სულ სხვა რამეა. — კნიაზევმა შეუტრიალებლად მიადო ხელი მაგიდის უჯრას. კაიგოროდოვს ნაღვლიანად, დამცინავად შესცქეროდა. — ნახვამდის.

კაიგოროდოვმა თავი გადააქნია. წამოდგა.

— ეჰე! — თქვა მან და კარისკენ გაემართა.

— მანდ, წინკარში, ფრთხილად, არ დაიმტვრეთ, — შეახსენა კნიაზევმა.

ისეთი ნაწყენი ხმა ჰქონდა, ისეთი ტკივილი და ნაღველი სჭვიოდა ამ ხმიდან, რომ კაიგოროდოვი უნებლიეთ შეჩერდა.

— ჩემთან ხომ არ წავიდეთ? — მიიპატიჟა კნიაზევმა, — ბუფეტი თორმეტამდე მუშაობს... დავლევდით ცოტას.

კნიაზევს გაუკვირდა, მაგრამ ნაღველი არ გადაჰყრია გულიდან და სწორედ ამის, ამ ნაღველის გამო უნდოდა კიდევ გაეღიმა.

— გმადლობთ.

—ჰო, ჰო! წავიდეთ! აბა მარტოკას რა დაგსვამს ასე? გულს გადავაყოლებთ ცოტას... — კაიგოროდოვმა თავადაც არ იცოდა, ასეთი საწყალი გული თუ ჰქონდა, გული აუჩვილდა კაცს. კნიაზევისკენ წადგა ბიჯი. — გეყო ახლა, მორჩი ბუტიაობას — წავედით? აბა!

კნიაზევი ყურადღებით მიაჩერდა მას. ეტყობა, მაინცდამაინც ბევრჯერ არ უთანაგრძნიათ მისთვის ასე. ერთი გზობა ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ მეთვალთმაქცებაო. კაიგოროდოვი მიუხვდა.

— რა გქვია შენ? არ გითქვამს...

— ნიკოლაი ნიკოლაევიჩ.

— ნიკოლაი... მე გრიგორი მქვია. მიკოლა, წამო ჩემთან, მოეშვი ამეებს, თუ კაცი ხარ! უჩვენოდაც გაერკვევიან...

— აი, ხომ ხედავთ, ყველანი ასე ვმსჯელობთ, ყველანი, მაგრამ თქვენ ხომ ბოლომდე არც კი მოგისმენიათ, რაც მიწერია აქ. ასე როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება? — კნიაზევს იმედის სხივი გაუკრთა, იქნებ ბოლომდე მომისმინონ, იქნებ გამიგონონ, — მოგესმინათ... ორი თავი მაინც... ჰა? რას იტყვით?

კაიგოროდოვს ხმა არ გაუღია. იდგა და შესცქეროდა კნიაზევს... იგრძნო, რომ ამ კაცის მიმართ სიბრალულის გრძნობა უნელდებოდა.

— არა, რას ამბობ! ტყუილად იბტვრევ თავს, ღმერთმანი, ტყუილად. დამერწმუნე, კარგი ძინდა შენთვის... ხალხის დასაცინად ნუ იხდი თავს. ისე, რა განათლება გაქვს?

— რაცა მაქვს, სულ ჩემია.

— ნახვამდის, აბა.

— ნახვამდის.

ერთმანეთს საკმაოდ უხეშად „დაენახვამდისნახვამდისნენ".

კაიგოროდოვი წავიდა. კნიაზევი კი მაგიდას მიუჯდა და, ფიქრებში წასული, კედელს მიაშტერდა. დიდხანს იჯდა ასე, იჯდა და მაგიდაზე აკაკუნებდა თითებს... სკამიანად შებრუნდა, უჯრიდან ოქეუულების დასტა ამოიღო, ერთი, ბოლომდე შეუვსებელი, გადაშალა, დაიკუზა და წერა დაიწყო.

ქალმა შემოიხედა. დაინახა, რომ მისი ქმარი ისევ წერდა — ჩუმი, ფესვგადგმული ბოლმით უთხრა:

— ივახშმე.

— მუ ვმუშაობ. — ბოლმითვე, შეჩვეული, გულსგადაუყრელი, უხმაურო ბოლმით უპასუხა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა წერის შეუწყვეტლად, — მოხუცე კარი.

2. „სიცოცხლის აზრის შესახებ"

კნიაზევმა ივლისში შვებულება აიღო და ცოლ-შვილთან ერთად სოფელში ჩავიდა დასასვენებლად. იქ მისი სიდედრ-სიმამრი ცხოვრობდა, სიტყვაძუნწი, ხარბი ხალხი. კნიაზევს ისინი არ უყვარდა, მაგრამ სხვაგან წასასვლელი არსაღ ჰქონდა და ამიტომ ჩადიოდა მათთან. ისე, ყოველ ჩასვლაზე [illegible] ცოლს. სოფელშიც უნდა ვიმუშავო — უნდა ვწეროო. მის ცოლს, ალევტინას ზაფხულობით სოფელში ყოფნა ყველაფერს ერჩივნა და არც თათხავდა და არც დასცინოდა.

— ვინ გიშლის, მერე.. რო დაღუნავ მაგ თავს, თუ გინდა, სულ ნუ აწევ.

— ჰოდა, ეგრე. იცოდე, მერე არ გავიგონო: „ისევ ჩაუჯდაო!" იცოდე, არ გავიგონო

— მიდი, წერე, წერე. — ნაღვლიანად ეუბნებოდა ალევტინა. ქალი ძალიან განიცდიდა, რომ მისი ქმარი წერის უსაშველო, დაუოკებელ, გაუნელებელ ენს ჰყავდა ატანილი — სულ წერდა და წერდა; სძაგდა ამის გამო, ესირცხვებოდა, ეშინოდა, ნუ წერ, ნუო! ვერაფერს გახდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ამ თავის რვეულებს იყო გადაგებული, ჩამოხმა და დაილია, ხალხს გული შეუწუხა, რამდენჯერ არ უთხრეს. სისულელეა და ბოდვა, რასაც წერ. მოეშვი, თუ კაცი ხარო. აბა! ვერა და ვერ მოაშლევინეს.

კნიაზევს სოფელში ნაცნობები ჰყავდა და ჩასვლისთანავე წავიდა მათ მოსანახულებლად. პირველსავე ოჯახში წააწყდა ერთ ისეთ კაცს, როგორ კაცთან შეხვედრასაც ასე დღეიადაგ ესწრაფვოდა მისი დაუდგრომელი სული. იმ ოჯახს ქალაქიდან ესტუმრა. ისიც კნიაზევსავით დასასვენებლად ჩამოვიდა — ვინმე სილჩენკო, ისიც კნიაზევსავით სიძეკაცი იყო და რამდენადმე, მასავით, ზოგად საკითხებზე ტვინნაჭყლეტი გახლდათ.

ეს ამბავი ასე მოხდა.

კნიაზევმა სოფელში აიარ-ჩაიარა, გუნებიერად იყო, თვალს წყალი დაალევინა, უყურებდა, როგორ ბრუნდებოდნენ სამუშაოდან შინ „მეურნეკოლმეურნეები" (ასე ეძახდა სოფლელებს), მავანსა და მავანს მიესალამჭალაშა... ყველას ეჩქარებოდა, ამიტომ არავინ გაუჩერდა, მხოლოდ ერთმა სთხოვა, იქნებ ჩემი ტელევიზორი ნახოო.

— ჩართავ და ისეთი თეთრია, ისეთი, თითქო თოვსო...

— კარგი, ახვა დროს მოვალ როგორმე, — შეჰპირდა კნიაზევი.

ჰოდა, აგერ მივიდა იმ ოჯახში... კნიაზევი იცნობდა ამ ოჯახის უფროსს. ბერიკაცს, — ძუსაიფობდნენ ხოლმე. უფრო სწორად, ჩვეულებრივ კნიაზევი ლაპარაკობდა. ბერიკაცი კი უსმენდა, მას შეეძლო ყურის დაგდება. შეეძლო რომელია, უყვარდა კიდეც. თავის კანტურ-კანტურით უსმენდა და უსმენდა. ოღონდ დროდადრო ხმადაბლა, გაკვირვებით ჩაურთავდა:

— ერთი შეხე, შეხე! ეგ ხუმრობა ამბავი არაა.

ბერიკაცი ეზოში გამოსულიყო, ის კაციც, სილჩენკო, იქ იდგა, ანკესს აწყობდნენ.

— ა-ა! — მხიარულად შეხვდა ბერიკაცი. — ანკესის სროლის გუნებაზე ხომ არა ხართ? აგერ ბე და იური ვიქტოროვიჩი ვემზადებით.

— ანკესობია არ მიყვარს, — უპასუხა კნიაზევმა. მაგრამ თქვენთან ერთად ნაპირზე კი სიამოვნებით ჩამოვჯდები.

— თევზაობა არ გიყვართ? — ჰკითხა სილჩენკომ, ასე, კნიაზევის კბილა, ორმოციოდე წლის ხმელ-ხმელმა კაცმა. — რატომ?

— დროის დაკარგვაა და იმიტომ.

სილჩენკომ კნიაზევი აათვალიერ-ჩაათვალიერა, [illegible] მანჟეტების ყვითელ საკინძეებზე შეატყო, აქაური რომ არ იყო [illegible] კილოთი უთხრა:

— დასვენება დასვენებაა, სულ ერთი არაა, როგორ გაიყვან დროს?

— არსებობს აქტიური დასვენება, — კნიაზევმა სცადა გაექარწყლებინა მისთვის ჭკუის სწავლების ეს ცდა, — და არსებობს პასიური დასვენება. აქტიური დასვენება დასვენებასთან ერთად რაიმე მიზანშეწონილ ღონისძიებასაც ითვალისწინებს.

— ეს თქვენი ღონისძიებები ისედაც ყელში გვაქვს ამოსული, ა! — გაეცინა სილჩენკოს.

— „ეს თქვენი ღონისძიებები" რა შუაშია? მე სულ სხვაგვარ, მიზანშეწონილ ღონისძიებებზე მოგახსენებთ, — ხაზი გაუსვა კნიაზევმა. ხაზი გაუსვა და სილჩენკოს მშვიდად, თამამად შეაჩერდა, — განსხვავებას ხვდებით ალბათ...

არც სილჩენკოს მოეწონა, ჭკუას რომ ასწავლიდნენ. არც ეგ იყო სხვისი ჭკუის მოიმედე კაცი:

— ვერ ვხვდები. იქნებ ამიხსნათ, ბატონო ჩემო...

— თქვენ პროფესიით ვინა ხართ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— მაინც, ისე...

— მხატვარ-გრიმიორი ვარ.

ახლა კნიაზევი მთლად გათამამდა. ცისფერ თვალებში დამცინავი ნაპერწკლები აუთამაშდა. კადნიერად შემწყნარებლური გაუხდა კილო.

— თქვენ ალბათ კურსში ხართ, რანაირად ხდება საფლავის ყორღანების აზვინვა? — იკითხა მან. იგრძნობოდა, როგორი კმაყოფილების გრძნობით იწყებდა იგი თავისი აზრების გინვითარებას.

სილჩენკო ამ ყორღანებს კი არაფრით არ ელოდა, და შეცბა:

— ყორღანები აქ რა შუაშია?

— თქვენ თუ გიყურებიათ როდისმე მათი აზვინვისთვის?

— თქვენ გიყურებიათ?

— კინოში მაინც არ გინახავთ?

— დავუშვათ... რომ მინახავს.

— ესე იგი, წარმოდგენა გაქვთ. მე მინდა, რომ გონების თვალით წარმოისახოთ ეს სურათი: როგორ ზვინავენ ყორღანებს. მოდის ხალხი, მოდის, მოდის... და ყველა. ვინც მოდის, თითო მუჭა მიწას ყრის. ჯერ ორმო ამოივსება, მერე კი ბორცვაკიც ამოიზრდება... ხომ წარმოიდგინეთ?

— დავუშვათ.

კნიაზევი სულ უფრო და უფრო შედიოდა ეშხში — ეს მისი ცხოვრების ნეტარი, ძვირფასი წუთები იყო: შენ ლაპარაკობ და გისმენენ, მართალია, ეს მსმენელი ცოტას კი ხტუნაობს, მაგრამ მაინც ყურს გიგდებს.

— თუ ასეა, ყურადღება მიაქციეთ აი, რას: უზარმაზარი ბორცვისა და მუჭა

მიწის სიდიდეთა შეუსაბამობას. რა მოხდა? შეხედეთ — აქეთ ხომ ეს ერთი მუჭა მიწაა, იქით კი იმხელა ბორცვი. რა მოხდა? სასწაულია? არავითარი სასწაულიც არ მომხდარა: რაოდენობრიობის დაგროვებაა ეს. მეტი ოფერი, ასე იქმნებოდა სახელმწიფოები — ურარტუდან მოკიდებული აქამომდე. გასაგებია? რისი გაკეთება შეუძლია ადამიანის სუსტ ხელს?.. კნიაზევმა ძიხედ-მოიხედა, თვალში ბერიკაკის ანკესი მოხვდა, ჩამოართვა და ოლივეს ძეახედა. — ა, ანკესი. ესეც, ეს ანკესიც ადამიანის ნახელავია. ხომ მართალია? — ადამიანი თუ მარტოა, სხვას ვერაფერს იზამს. მაგრამ როცა ზღვა ხალხი მოდის და მოდის და ერთ ადგილზე მუჭა მიწას ჰყრის და ჰყრის, ბორცვი, გორა აღიმართება. ა — ანკესი და ა — ბორცვი. — კნიაზევმა გამარჯვებულის მზერა ესროლა სილჩენკოს და ბერიკაკსაც, მაგრამ უფრო სილჩენკოს, — განსხვავებას ამჩნევთ?

— ვერ ვამჩნევ, — უპასუხა სილჩენკომ გამომწვევად. კნიაზევი გამარჯვებული კაცის სახით უყურებდა და ეს ნერვებს უშლიდა. — ან ერთი რა შუაშია აქა, ან მეორე? ჩვენ ვლაპარაკობდით, თუ როგორ უნდა გაატაროს კაცმა თავისუფალი დრო... მე გამოვთქვი აზრი, რაც გინდა, ის აკეთე, ოღონდ, თუ ეს სიამოვნებას განიჭებს. კარგად დაგისვენია-მეთქი...

— ბოდეაა, ვალიმათიაა, — პირქუშად და მხიარულად თქვა კნიაზევმა, — ქვის ხანის დონეზე მსჯელობთ. როგორც კი დაიწყებთ ამგვარად განსჯას, მაშინვე, თავისთავად, ავტომატურად ეთიშებით კაცობრიობის განვითარების იმ უწყვეტ ჯაჭვს, რომელიც რაოდენობრიობას აგროვებს და აგროვებს. მე ხომ თქვენ იალზე თვალსაჩინო მაგალითი შემოგთავაზეთ, ბორცვის აღმართვის პროცესი რომ გიჩვენეთ! — კნიაზევი აღტკინებული, აღგზნებული კი იყო, მაგრამ მომთმენიც გახლდათ. — ამდენმა ხალხმა გაიარა, ყველამ დაყარა თითო მუჭა მიწა... თქვენ კი ისე გაიარეთ! არ დაგიყრიათ! ჰოდა, მე გეკითხებით ახლა: რაში ხედავთ თქვენი ცხოვრების აზრს, რაში?

— სისულელეებს ჩმახავთ... აი, ეს უკვე მართლა გალიმათიაა... რა ბორცვი, რის ბორცვი? მე თქვენ გეუბნებით: ჩამოვედი თუ არა მე, რომ... ბუნებაში დავისვენო? ჩამოვედი, ჰოდა, რაკი თევზაობა მიყვარს... ვითევზაკებ კიდეც. რას იტყვით, რა მოხდა ამისთანა?

— მეც დასასვენებლად ჩამოვედი.

— მერე?..

— რა მერე?

— რა და ბორცვის აზვინვას ხომ არ აპირებთ აქა?

კნიაზევმა გულმოწყალედ გაიცინა, მაგრამ არც მთლად მშვიდად და გაუაზებლად.

— ხან ვერაფერს ვგებულობთ, როცა კატეგორიებით აზროვნებენ. ხან ხელს არ გვაძლევს... არადა, ისეთი თვალსაჩინო მაგალითი მოგიყვანეთ! — თვითონ კნიაზევს ეს ბორცვის მაგალითი, ეტყობა, ძალიან მოსწონდა, სულ შემთხვევით მოუვიდა თავში და უხაროდა — ეს რა უბრალო, გასაშტერებლად თვალსაჩინო რამაა. — ერთი ეს მიბრძანეთ, საერთოდ, რა წარმოადგენს ჩვენი არსებობის აზრს? — ტყვიასავით ახალა კითხვა სილჩენკოს.

— გააჩნია, ვინ გყავთ მხედველობაში, — თავი აარიდა პირდაპირ პასუხს სილჩენკომ.

— არა, არა, კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ, რაში ხედავთ სიცოცხლის საყოველთაო აზრს? — კნიაზევი პასუხს ელოდებოდა, მაგრამ ცოტალა აკლდა, რომ მოთმინების ძაფი გაწყდომოდა. — რაში და საყოველთაო სახელმწიფოებრიობაში. სახელმწიფო თუ ყვავის, ჩვენც ვყვავივართ ასეა? არა, ასეა თუ არა?

სილჩენკომ მხრები აიჩეჩა... მაგრამ დაეთანხმა. დაიცა, დაველოდო, ნეტა საით უმიზნებსო.

— ასე იყოს.

— ასეა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენ, ყველას, ჩვენ-ჩვენი გარკვეული ტვირთი გვადევს ზურგზე და ვეზიდებით... აი, წარმოიდგინეთ, — კნიაზევი ამ ახალმა თვალსაჩინო მაგალითმა კიდევ უფრო ააღელვა. — ჩვენ სამნი, აი, მე, თქვენ და ეს პაპაკაცი მორს მივათრევთ. — ას მეტრზე უნდა გადავიტანოთ. ორმოცდაათ მეტრზე უკვე გადავიტანეთ და ამ დროს თქვენ თავს გვანებებთ, გვერდზე დგებით და გვეუბნებით: „მე შვებულებაში ვარ და ვისვენებო“.

— ესე იგი, თქვენის აზრით, შვებულება არ სჭირდება ადამიანს? — ანერვიულდა სილჩენკოც. — ეს ხომ გიჟის ბოდვაა, მეტი არაფერი.

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში შვებულება დასაშვებია, ოღონდ, ჩვენ რომ ამ მორს გათვალისწინებულ ას მეტრზე გადავიტანთ და მიწაზე ჩამოვდებთ, ა, მაშინ დაისვენეთ.

— არ მესმის, რისი თქმა გინდათ, — გაბრაზდა სილჩენკო, — ეს ბორცვი, ეს კიდევ რაღაც მორია... თქვენ აქ დასასვენებლად ხომ ჩამოხვედით?

— დასასვენებლად ჩამოვედი.

— აბა, ეს მორია თუ რაღაც ოხერია რისთვის დაგიგდიათ გზაზე? თუ... თქვენის აზრით... ა, რას იტყვით?

კნიაზევი ერთხანს გამგმირავი თვალით მისცქეროდა სილჩენკოს.

— რაო, არა და არა, განგებ არ გინდათ გაიგოთ, რასაც გეუბნებით?

— ნამდვილად არ მესმის, რას მეუბნებით! რაღაც სისულელეებს ბოდავთ და როშავთ, სისულელეებს! აბდაუბდაობთ რაღაცას! — სილჩენკო რაღაცამ ძალიან გაანერვიულა და მეტი მოსდიოდა. — ამაზე მეტი აბდაუბდაობა იქნება?! სინდისს გეფიცებით, რამე, აი, ბეწვისოდენაზე თუ მესმოდეს რამე. შენ თუ გესმის რამე, პაპა, თქვი, თუ კაცი ხარ!

ბერიკაცი გარინდული უსმენდა ამათ ჭკვიანურ კითხვა-პასუხს. არ ელოდა, მასაც თუ რამეს ჰკითხავდნენ.

— რაო? — შეტოკდა ბერიკაცი.

— თუ გესმის-მეთქი რამე, რასაც ეს... ამხანაგი ახურებს აქ?

— მე გისმენთ, — გარკვევით არაფერი თქვა ბერიკაცმა.

— მე კიდე არაფერი მესმის, არა-ფე-რი მესმის.

— თქვენ მანდ დამშვიდდით, დამშვიდდით, — ლმობიერად და ავისქადილით ურჩია კნიაზევმა. — დამშვიდდით-მეთქი. ნერვიულობა რა საჭიროა?

— აბა, რეებს ჩმახავთ აქ?!

— თქვენ ხომ ჯერ იოტისოდნავადაც არ ჩაწვდომიხართ საქმის არსს. ჰოდა, რა ბოდავთ და ჩმახავთ აგიტყდათ?.. ისე, როდის ვისწავლით, საინტერესოა, ლოგიკურად მსჯელობას...

— თქვენ თვითონ...

— რაკი თქვენ ვერაფერი გაგვიგეთ... თურმე, ვბოდავთ და ვჩმახავთ! დიდე-ბუ-ლი ლოგიკაა, ღმერთმანი!

— კარგით, ჰო, — თავს მოერია სილჩენკო. ბერიკაცის დაზგაზე ჩამოჯდა კიდეც. — მოდით ერთი, ნათლად, უბრალოდ, გასაგებად მითხარით — რა გინდათ? ნორმალური ენით მითხარით, გისმენთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენ სად ცხოვრობთ? — ჰკითხა კნიაზევმა.

— ტომსკში.

— არა, უფრო ფართო გაგებით... მთლიანობაში. — კნიაზევმა ხელებით წრე შემოხაზა.

— არაფერი მესმის, არა, თქვენი ვერაფერი გავიგე! — ისევ ანერვიულდა სილჩენკო. — რომელ „მთლიანობაში" ვცხოვრობ, ვერ მეტყვით?

— სახელმწიფოში ცხოვრობთ, სახელმწიფოში, — თავიანად გახაგრძობდა კნიაზევი. — რაშია ჩაბუდრებული თქვენი მთავარი ინტერესები? რას ემთხვევა ისინი?

— არ ვიცი.

— რას და, სახელმწიფოს ინტერესებს. დიახ, თქვენი ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს ემთხვევა. ახლა თუ ვლაპარაკობ გასაგებად?

— მერე, მერე, მერე?

— თუ ასეა, რა ყოფილა თქვენი ცხოვრების აზრი?

— მერე, მერე, მერე?

— „მერე" კი არა, უკვე საჭიროა გამოიკვეთოთ: რა წარმოადგენს ყოველი მოქალაქის ცხოვრების აზრს?

— რა წარმოადგენს, რა?.. რადა, ის, რომ იმუშაოს, პატიოსანი იყოს, — დაიწყო ჩამოთვლა სილჩენკომ. — დაიცვას სამშობლო, როცა ამის საჭიროება დადგება...

კნიაზევი თავის ქნევით ეთანხმებოდა. მაგრამ კიდევ რაღაცას ელოდა, რას — სილჩენკო ვერა და ვერ ხვდებოდა.

— რაცა თქვი, სულ სწორია, — თქვა კნიაზევმა, — მაგრამ ყველაფერი ეს ტოტებია. მთავარი აზრი რაა? სადაა მთავარი, ასე ვთქვათ, ტანი.

— სადაა?

— მე თქვენ გეკითხებით.

— მე კიდე არ ვიცი, არ ვიცი და რაც გინდა ის მიყავი! სულელი ხარ, ვიღაცა ხარ, სულელი, შტერი! — და სილჩენკომ შეიკურთხა. შეიკურთხა და დაზგიდან წამოხტა. — რა გინდა ჩემგან, რა? ირრიალა. — რა გინდა-მეთქი?! მეტყვი პირდაპირ თუ არ მეტყვი? მითხარი, თორემ გაგიხეთქე თავი და ესაა! ...სულელი ხარ, ვიღაცა ხარ, სულელი, შტერი!..

კნიაზევი ასეთ ნერვიულ ხალხს სხვა დროსაც შესჯახებია. თვით ამ ფსიხოპათისა არ შეშინებია. მაგრამ იმისი კი შეეშინდა, მოცვივდება ახლა ხალხი, დაჭყეტენ თვალებს და დაიწყებენ... ფუ!

— ჩუმად ,ნუ ღრიალებ, ჩუმად, — თან აჩუმებდა, თან უკან-უკან იხევდა და ნაღვლიანად, ხელჩაქნეულად უყურებდა ნევრასტენიკ გრიმიორს. — აბა, რა გაღრიალებს, რო ღრიალებ?

— რა გინდათ ჩემგან, რა?! — ვერა და ვერ ჩერდებოდა, ისევ ისე ღრიალებდა სილჩენკო. — რა გინდათ-მეთქი?

საბლის კართანაზე ხალხი გადმოდგა...

კნიაზევი შეტრიალდა და ეზოდან გავიდა.

სილჩენკო რაღაცას მისძახოდა ზურგში.

კნიაზევი უკან არ იხედებოდა, ფეხაჩქარებით მიდიოდა და თვალებში ნაღველი და ტკივილი ედგა.

— ეგ ვირი, ეგა, — ხმადაბლა, თავისთვის თქვა, — ვირია, ვირია, ... დაუბჩენია ხახა და ყროყინებს. — ერთხანს ჩუმად მიდიოდა, მერე ხმამაღლა გაჯავრდა: — რაც ჩვენ არ გვესმის, სიშტერე და სისულელეაო, აბა! ჩვენა. ის აჯობებს, ვილრიალებთ და ვიყროყინებთო. ვირია, მა რა ჩემი ფეხებია!

მეორე დღეს, დილაუთენია დაადგა თავზე ნეხოროშევებს (კნიაზევის სიმამრიანთ) სოფლსაბჭოს თავმჯდომარე. მოხუცი ნეხოროშევები და კნიაზევი ცოლითურთ საუზმობდნენ.

— კაი მადა, ხალხნო, კაი მადა, — ფეხზე მდგარი თავმჯდომარე გულისყურით დააცქერდა კნიაზევს, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

— გმადლობთ, — მადლობა კი მოახსენა კნიაზევმა ,მაგრამ გულმა ცუდი წინათგრძნობისგან რეჩხი უყო. — ჩვენთან... ხომ არ ისურვებდით?

— არა, ნასაუზმევი ვარ. — თავმჯდომარე დაზგაზე ჩამოჯდა და ისევ კნიაზევს მიაჩერდა.

კნიაზევი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მასთან ჰქონდათ საქმე. გამოჩოჩდა სუფრიდან და ქუჩაში გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ თავმჯდომარეც გამოჰყვა.

— გისმენთ, — უთხრა კნიაზევმა და სევდიანად გაიღიმა.

— მაინც რა მოხდა, რა დაგემართათ თქვენ და იმას, ვერ მეტყვით? — ჰკითხა თავმჯდომარემ. ერთხელ (შარშან, მაშინაც ზაფხული იყო) თავმჯდომარეს რაღაც ამნაირი საქმის გარჩევა უკვე მოუხდა. კნიაზევს მაშინაც უჩივლეს, ეგაო „პროპაგანდას ეწევაო“. — ახლაც მითხრეს რაღაც, რაღაცები... ესაო, ისაო...

— ნეტა, რა იყო თქვენთვის საათქმელი?! — შეიცხადა კნიაზევმა. — ღმერთო ჩემო! რა ხალხია, რა მოხდა ამისთანა! მინდოდა ამხანაგისთვის ჩამეგონებინა, რომ... მინდოდა მას ნათელი წარმოდგენა...

— ამხანაგო კნიაზევ, — ცივ, ოფიციალურ ტონს მიმართა თავმჯდომარემ, — კი მეუხერხულება ეს ,მაგრამ იძულებული ვარ...

— რა იძულებული ხარ, რა! რაო, ვითომ? არ მესმის თუ, რაც გავაკეთე? უბრალოდ, მინდოდა ამეხსნა მისთვის, რომ... ეგა კიდე აყროყინდა! არ ვიცი, ეგა, ეგ თქვენი სილჩენკო, საერთოდ, ნორმალურია?

— ამხანაგო კნიაზევ...

— კარგი, პო, კარგი, — კნიაზევმა ნერვიულად გადააპურჭყა. — მეტად არ ვიზამ. ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ. ხალხს თუ ასე სურს იცხოვროს. ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, რა ჩემი საქმეა, ერთი! — ვერა და ვერ მშვიდდებოდა კნიაზევი. — რა ვუთხარი ამისთანა, რა?! მინდოდა ბიძგი მიმეცა, რომ მას თავისი ცხოვრებისეული ამოცანები უფრო გარკვევით, ცხადად გაეაზრებინა!.. რა არის ამაში ისეთი?

— კაცი დასასვენებლად ჩამოვიდა.... რატომ შევაწუხოთ. არ გინდათ, ამხანაგო კნიაზევ, არ გინდათ, გთხოვთ.

— კეთილი, კეთილი, როგორც უნდათ, ისე... კი მაგრამ, ეგ ხომ გრიმია!

— მერე?

— მე მინდოდა მისთვის შემეგონებინა, რომ კლუბში გამოსულიყო და თავის მუშაობაზე ესაუბრა...

— რისთვის? რატომ?

— საინტერესოა და იმიტომ! მე თვითონაც სიამოვნებით ... ალბათ არტისტებს უკეთებს გრიმს... არტისტებზე მოუყვებოდა ხალხს...

— კი, მაგრამ... ცხოვრებისეული ამოცანები რა შუაშია აქ?

— ეგ ხომ ამით სასარგებლო საქმეს გააკეთებდა! მეც აქედან დავუწყე გუშინ: მოდის და მოდის ზღვა ხალხი, და ვინც მოდის, ყველა თითო მუჭა მიწას ყრის-მეთქი და მალე ბორცვი აღიმართება-მეთქი, თუ დავუშვებთ, რომ ყოველი მოქალაქის ცხოვრების აზრი ისაა, ხატოვნად რომ ვთქვათ...

— ამხანაგო კნიაზევ. — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ, — მე ახლა არა მცალია: ცხრა საათზე თათბირი მეწყება... მე, როგორმე, გამოვნახავ დროს და სიამოვნებით მოგისმენთ. მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გთხოვოთ...

— ჰო, კარგი, — შეაწყვეტინა კნიაზევმა და ხმა ისევ დაუნალვლიანდა. — წადით, წადით თათბირზე. ნახვამდის. მე თქვენი მოსმენა არც არაფერში მჭირდება.

თავმჯდომარემ გაოცებისაგან პირი დააღო, მაგრამ არაფერი უთქვამს. თათბირზე წავიდა.

კნიაზევმა თვალი გააყოლა... და ჩუმად, როგორც სჩვეოდა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დიდი სიამოვნებით მომისმენს ეგა, გესმით! არ გამახარა, კაცო! წადი, წადი ითათბირე! რა პატივი დამდო, თუ გესმით — მოგისმენო, აბა!..

3. „თავისუფალი დროის პრობლემის შესახებ"

ერთხელ ნიკოლაი ნიკოლაევიჩ კნიაზევა საოლქო ცენტრში მოუხდა ყოფნა ტელევიზორების სახელოსნოს საქმეებთან დაკავშირებით — ეგ ხომ ტელევიზორების სპეციალისტი იყო. ისე მოხდა, რომ მთელი ერთი თავისუფალი დღე მორჩა — დილიდან და გვიან ღამემდე, მატარებლის გასვლამდე. კნიაზევმა იფიქრა — იფიქრა სად და როგორ მოეკლა ეს დღე და — ზოოპარკს მიაშურა. კარგა ხანია უნდოდა ცოცხალი მახრჩობელა გველის ნახვა.

ზოოპარკში მახრჩობელა არ აღმოჩნდა. კნიაზევი დაუყვა მხეცების რიგს და ლომის გალიასთან შეყოვნდა... შემდეგ ბავშვების წკრიალა ხმები შემოესმა და გვერდზე გადგა. მაგთულის ბადით შემოზღუდულ დიდ ეზოში ... ნის ეტლებით სეირნობდნენ. ბალის იოგვლივ ხალხი ფუტკარივით ირეოდა. სეირნობით ძირითადად ბალღები სეირნობდნენ. ერთი გნიასი იდგა. გაისმოდა შეძახილები!... კნიაზევიც შეჩერდა და უყურებდა. განსაკუთრებული არაფერი იყო, მაგრამ საყურებლად, რაც მართალია, მართალია, არა უშავდა. კნიაზევს წინ კიდევ შლაპიანი ედგა და პონის ეტლით მგზავრობისადმი დიდ ინტერესს აფრქვევდა.

— შეხეთ, შეხეთ, რასა შვრებიან! — ხმადაბლა იკვირვებდა შლაპიანი. — არა, შეხეთ, შეხეთ, როგორ უხარიათ!

კნიაზევს ერთი სული ჰქონდა ეთქვა, რომ ეს იყო, რაც იყო, ეს იყო

კარგი და დიდებული ამბავი: ხალხიც ხარობს და მთავრობაც სარგებელს ნაბულობს: მოზრდილთა ბილეთი — 20 კაპიკი, ბავშვებისა — 10 კაპიკი. ეს სწორედ მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დასვენების გონივრულად ორგანიზება. აბა ვინ იქნება, რომ თავისთვისა და ბავშვებისთვის 30 კაპიკის დახარჯვა დაენანოს! კნიაზევს გული დაწყდა კიდეც, ჩემი ბავშვები რატომ აქ არა მყვანანო.

— შეხეთ, როგორ... ემშვიდობებიან ერთმანეთს... ემშვიდობებიან, აბა! — აიჩემა შლაპიანმა. სხვას არავის, თავის თავს ელაპარაკებოდა. — გეგონებათ დედამიწის გარშემო მოგზაურობაში მიდიანო!

— ფსიქოლოგიურად ეს მათთვის დედამიწის ირგვლივ მოგზაურობაა, — უთხრა კნიაზევმა.

შლაპიანმა შოიხედა... და კნიაზევს არყის სუნი ეცა. ხალისიანი, ძალზე თბილი ახალგაზრდა კაცი იყო.

— არა, შეხეთ, როგორ უხარიათ, როგორ!

— ეგრეა, ეგრე, — უგუნებოდ დაეთანხმა კნიაზევი შლაპიანს და... გაეცალა. იგი ფიზიკურად ვერ იტანდა მთვრალებს, გული ერეოდა.

ერთხანს კიდევ უყურა, როგორ დარბოდნენ აკაზმული პონები, როგორ ხარობდნენ ბავშვები... შემდეგ ფრინველებსა და მაიმუნებს ჩამოუარა. ერთმა ტუტუცმა მაიმუნმა ყველა და ყველაფერი ფეხზე დაიკიდა და უბოდიშოდ გააკეთა ისეთი რალაც, რაც არ ეკადრებოდა. ქალებს შერცხვათ და არ იცოდნენ, თვალები საით წაელოთ, კაცები კი უყურებდნენ ამ ამბავს და იცინოდნენ. კნიაზევმაც წაუხითხითა, თან მალულად ქალებს უყურებდა და ზოოპარკიდან გამოვიდა — მობეზრდა აქაურობა.

იქვე, ახლოს, კუთხეში, კაფე იყო და კნიაზევი წასახემსებლად შევიდა.

რძიანი ყავა და ფუნთუშა აიღო და მარმარილოს მაღალ მაგიდასთან ფეხზე მდგარი თან ილუკმებოდა და თან ადამიანებსა და მაიმუნებზე ფიქრობდა: არა, ნუთუ, ადამიანები მარდელა მაიმუნებისგან წარმოიშვნენო?

— შეიძლება? — ჰკითხეს კნიაზევს.

კნიაზევმა თავი ასწია და დაინახა სწორედ ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ ათიოდე წუთის წინათ ასეთი ხმაურიანი ალტაცებით ადევნებდა თვალს პონის ეტლებით ბავშვების სეირნობას — კნიაზევის წინ ის ახალგაზრდა იდგა და ხელში ლანგარი ეჭირა.

— შეიძლება, — მიუგო კნიაზევმა. ან სხვა რა უნდა ეთქვა, როცა მაგიდასთან ადგილი ნამდვილად თავისუფალი იყო.

ახალგაზრდა კაცმა მაგიდაზე ჩამოდგა ყავის ჭიქები, თეფშებით ბლინი, პური და ლაბა მოიტანა... ლანგარი უკანვე წაიღო, მობრუნდა და მრავლისმეტყველად, გუნებიერად მიაჩერდა კნიაზევს და ჰკითხა:

— დალევ... ნახევარ ჭიქას...

კნიაზევმა ენერგიულად გააქნია თავი:

— არა, არა.

— რა-ო? — პირი დააღო ახალგაზრდა კაცმა, როცა ახალი პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ბოთლს იღებდა, მაგიდას დაეყრდნო, ჭიქა მოაპიპინა, ბოთლს თაკი დაუცო და ისევ ჯიბეში ჩაიდო. — არ სვამ, თუ?

— ალბა ვსვამ, — პირმოქუფრულად მიუგო კნიაზევმა.

ახალგაზრდამ ჭიქა დაცალა, ჰუო, ხმაურით ამოისუნთქა და ლუკმას მიეტანა.

— თავისუფალი დროის პრობლემა გადაჭერით და ესაა, — არცთუ უირონიოდ თქვა კნიაზევმა: ბოთლს გულისხმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა-ა? — ვერ გაიგო ახალგაზრდამ.

— თურმე, რა იოლად წყდება პრობლემა!

—რა წყდება იოლადო?

— რა და თავისუფალი დროის პრობლემა.

ახალგაზრდა იღეჭებოდა, მაგრამ კნიაზევს გულისყურით უსმენდა.

— რომელი თავისუფალი დროის?

— ხალხი ხმაურობს, კამათობს... ჩვენთვის კიდე, — თვალით გამობერილ პიჯაკზე ანიშნა, — ყველაფერი დღესავით ნათელია.

კნიაზევის თანამესუფრე ხალისიანი და იშვიათად დამთმენი ჯეელი იყო. მას ვერ გაეგო, რას ეუბნებოდა კნიაზევი, მაგრამ არც გალიზიანება გამოუხატავს და არც არაფერი. და თან კნიაზევს თვალს არ აცილებდა. მეტიც, სიამოვნებდა კიდეც, რომ ელაპარაკებოდნენ და სმენა დაძაბა. უნდოდა გაეგო, რას ეუბნებოდნენ, უნდოდა მუსაიფში შეჰყოლოდა კაცს.

— ვინ კამათობსო, რა ბრძანეთ? — მოთმინებით, თავაზიანად იკითხა მან.

კნიაზევი უკვე ნანობდა, რატომ გამოველაპარაკეო.

— რაზე კამათობენ და თავისუფალი დროის პრობლემაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა თავისუფალი დრო. აი, თქვენთვის... ყველაფერი დღესავით ნათელია.

ახალგაზრდამ ვერც ახლა გაიგო რამე, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია:

— დიახ, დიახ...

— ცხოველები ნახეთ, არა? — ჰკითხა კნიაზევმა.

— აქეთ ჩამოვიარე და უცბად, ზოოპარკში ხომ არ შემევლო-მეთქი, გავიფიქრე, მახსოვს, პატარა რომ ვიყავი... ისე, მაგათი შენახვა ძვირი ჯდება, არა? დღე-ღამეში ეგ იმდენს შეჭამს, იმდენ...

— ვინა?

— აი, თუნდაც სპილო,

კნიაზევმა მხრები აიჩეჩა.

— ეშმაკმა იცის.

— მაგრამ სარგებელს რომ არ ნახულობდნენ, არც იყოლიებდნენ, — მაშინვე დააყოლა ახალგაზრდამ. — სარგებელს, რასაკვირველია, ნახულობენ. ხო ესეა?

კნიაზევს გული ეტკინა, სახელმწიფოზე ასე რომ ლაპარაკობდნენ: გადაკვრით გააგონეს, სახელმწიფოს სულ მოგებაზე უჭირავს თვალი, სხვას არაფერს აკეთებსო.

— სწორია... მაგრამ თქვენ შემეცნებითი პროცესი გამოგრჩათ მხედველობიდან. ყველა იმიტომ ხომ არ დაიარება ზოოპარკში, რომ საქმე გამოლეული აქვს. იმისთვის მოდიან, რომ რამე შეიმეცნონ.

— რას ბრძანებთ? — გაურკვევლად შეაწყვეტინა ახალგაზრდამ. მან ლუკმა დაღეჭა, გადაყლაპა და სათქმელი დაამთავრა: „რა არის ერთი აქ შესაძე-

ცნებელი? იქნებ სპილოზე ბრძანებთ? სპილო, თორე... რა ჩემი ფეხებია, — მიიხედ-მოიხედა, ისევ მაგიდას დააწვა და ისევ ბოთლს წაეტანა.

კნიაზევი გააცოფა მისმა მშვიდმა თვითდაჯერებამ, იმან, თუ რა აკურატულად ატარებდა ეს ახალგაზრდა ვირიშვილი თავის საძაგელ ოპერაციას: ჭიქას წვეთის დაუქცევლად აპიპინებდა.

— წავალ ახლა და განვაცხადებ, სადაც საჭიროა, — დაიქადნა კნიაზევმა.

ახალგაზრდა იმდენად გაოგნდა, რომ პირიც კი დააბჩინა. გაოგნებით კი გაოგნდა, მაგრამ გალიმებამდეც ცოტა აკლდა — კნიაზევის ეს დაქადნება იმდენად ჰგავდა ხუმრობას.

— რაო? — ჰკითხა კნიაზევმა, — გაგიკვირდათ? არადა, საჭირო კი იყო.

ახალგაზრდამ ხმაზე შეატყო კნიაზევს, რომ ის ნამდვილად დაბოლმილი იყო და დარწმუნდა, ეტყობა, ეს კაცი მართლა აპირებს ვიღაცები მომიყვანოსო, დარწმუნდა და თვითონაც დაიბოლმა... მაგრამ ჯერ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო... დიდხანს დაძაბულად უყურებდა კნიაზევს.

— რა იყო? — ისევ ჰკითხა კნიაზევმა.

— არაფერი, — ფიქრგარეული ხმით მიუგო ახალგაზრდამ. მისი ლამაზი, შავგვრემანი სახიდან გულითადობა და სითბო გამქრალიყო.

კნიაზევმა იჩქარა, ფუნთუშა გაათავა და გასასვლელისკენ გაემართა. ახალგაზრდას თვალი არ მოუცილებია კნიაზევისთვის, ვიდრე იგი კაფედან არ გავიდა.

— პირუტყვები, — ხმამაღლა მოიოხა გული კაფედან გამოსულმა კნიაზევმა, — ზოოპარკში რომ შემოეთრა, რას შემოეთრა! მიუჯექ, ძმაო, კასრს, მიუჯექ და.. სვი გასკდომამდე.

კნიაზევს უნდოდა ქუჩის იმ მხარეს გადასულიყო, მაგრამ მანქანებს მწვანე შუქი ჩაურთეს; იდგა ტროტუარის კიდეზე და თავისთვის, გულში უწყრეზოდა იმ მთვრალ ახალგაზრდას. შემდეგ მანქანებს სული მოათქმევინეს, კნიაზევიც, სხვებთან ერთად, ქუჩის იმ მხარეს გადავიდა და დინჯად დაუყვა გზას— არსაითაც არ ეჩქარებოდა. მატარებლის გასვლამდე კარგა დიდი დრო რჩებოდა. ის მთვრალი ახალგაზრდა სულ დაავიწყდა, ცოტაც და სულ სხვა საფიქრალზე გადაერთვებოდა — საერთოდ ქალაქზე ფიქრს აპირებდა, რომ ამ ოროს ღილაცამ მხარზე მოჰქაჩა... კნიაზევი შეჩერდა და მოიხედა: ის შლიაპიანი არ არის! ჰოდა, იდგა და სახეში უყურებდა.

— რა გინდა?! — მკვახედ ჰკითხა კნიაზევმა. შეეშინდა.

— მინდოდა მეკითხა... — მშვიდად ჰკითხა ახალგაზრდამ, — წელან ვერ გავიგე: თქვენ მართლა გინდოდათ, რომ...

— რა „მინდოდა მართლა?"

— გინდოდათ მოგეყუჩებინეთ?

— მე არაფერიც არ მინდოდა... მაგრამ ჭკუის სწავლება არ გაწყენდათ! — კნიაზევი მოულოდნელად გათამამდა. თვალი თვალში გაუყარა მთვრალს. ახალგაზრდა, ეტყობა, არცთუ ძალიან იყო მთვრალი, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა და სუნი ამოსდიოდა.

— მოდი, მერე, მასწავლე, — დაეთანხმა ახალგაზრდა.

კნიაზევმა მიიხედ-მოიხედა... იქვე, პატარა სკვერში, სკამები იდგა .იქითკენ გაემართა, ახალგაზრდაც მიჰყვა.

ჩამოსხდნენ.

— იცით, რაშია საქმე, — დაიწყო კნიაზევმა დინჯად. — პირველად ერთ ვთქვათ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ საჭიროა ადამიანთა გონივრულად ორგანიზება და ამგვარ ორგანიზებას სახელმწიფოს [illegible] აი, თქვენ წარმოიდგინეთ, სად წავა, სახელმწიფოში ყველამ [illegible]...

— მე ხომ სამუშაოზე არა ვარ, — მშვიდადვე შეეკამათა ახალგაზრდა, — მე ჩემი დასვენების დღეს ვსვამ.

— მეც მანდა ვარ! — სიტყვაზე გამოიჭირა კნიაზევმა. იგი უფრო და უფრო შედიოდა ეშხში. — აი, ამაზეა ლაპარაკი საჭირო. დასვენების დღეო... რა არის დასვენების დღე? დავუშვათ, ჩვენ, მე და თქვენ ვაგებთ რაიმეს... დავუშვათ, რომელიღაც ფოლადის კონსტრუქციას ვამონტაჟებთ...

— მე ელექტრიკოსი ვარ.

— ჩინებულია! წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ძალიან რთული ქსელი გაგვყავს. გამოსასვლელ დღეს ჩვენ დავთვერით... გამოვფხიზლდით, მთელი კვირა ვიმუშავეთ და ისევ დავთვერით...

— მე თქვენ ლოთი ხომ არა გგონიეართ.

— აი, მე რისი თქმა მინდა: სახელმწიფო ჩვენ გვაძლევს დასასვენებელ დღეს... ახლა უკვე ორ დღესაც კი გვაძლევს... რისთვის გვაძლევს, თქვენი აზრით, რისთვის?

ახალგაზრდა დუმდა. იჯდა და შესცქეროდა კნიაზევს.

— იმისთვის, რომ, — განაგრძობდა კნიაზევი, — იმისთვის, რომ, ჯერ ერთი, დავისვენოთ, მეორეც, იმისთვის, რომ განვითარებას არ ჩამოვრჩეთ. აი თუნდაც თქვენ: დასვენების დღე გაქვთ და არ იცით, როგორ გამოიყენოთ იგი. ზოოპარკს ჩაუარეთ და გაიფიქრეთ: „ხომ არ შევიდეო?“ ახლა... აფთიაქთან რომ ჩაგვევლოთ, გაიფიქრებდით, „ხომ არ შევიდე და სასაქმებელი ზეთი ხომ არ ვიყიდოო?“ ასეა, არა?

ახალგაზრდამ კბილი კბილს დააჭირა. იგი ისევ ისე შესცქეროდა კნიაზევს. მაგრამ კნიაზევს არ შეუმჩნევია, რომ ახალგაზრდამ კბილი კბილს დააჭირა. კნიაზევს გაეცინა: ეს სასაქმებელი ზეთი რამ გამახსენა, გაიცინა და უფრო კეთილგანწყობით განაგრძო.

— ხომ არ შეიძლება, რომ... არ შეიძლება ასე, მორიგით მივყვეთ მდინარეს, ჯანდაბას, სადაც მიგვახლის, იქ მიგვახალოსო. ადამიანს თავისუფალი დრო იმისთვის ეძლევა, რომ რაღაც თავისთვის სასარგებლო გაიგოს, შეიმეცნოს. სასარგებლო-მეთქი, ხომ გეამით! და რაც უფრო მაღალია მისი გონებრივი დონე, მით უფრო გონიერია იგი, როგორც მუშაკი. ჰოდა, რას ვაპირებთ ახლა: გაუთავებლად ვწრუპოთ და ვწრუპოთ არაყი? — კნიაზევმა შეხედა ახალგაზრდა კაცს. მაგრამ ვერც ახლა შეამჩნია, როგორ შეიცვალა იგი. — გეყოთ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდავ, გეყოთ, რაც წრუპეთ. დროა, რომ ლირსების გრძნობაზეც იფიქროთ. სახელმწიფო რიტმს აჩქარებს. იგი უკვე [illegible] ფიცრანი ალარაა, ლაინერია, ლაინერი! ჩვენ კიდე ამ ლაინერს ფეხით მივაბოხინებთ... წელში მოხრილნი ჭიქებს ვაპიპინებთ და ვაპიპინებთ. ფუ! რა ეროვნებაზე, წინსვლაზე შეიძლება ლაპარაკი ამ კვითარებაში! აწითლებული, აბიჟვინებული თვალებით რა გვინდა ამ ლაინერზე, სად გვინდა მიგვიყვანოს? თუ იქაც ვარწყიოთ და ვარწყიოთ?...

— დამპალო, დამპალო ვირიშვილო, — აცახცახებული ხმით, ჩუმად უთხრა კნიაზევს ახალგაზრდამ, — რაო, ჩემით გინდა კარიერა გაიკეთო? — და ცოტა ხნის წინათ მაგიდისკენ რომ იხრებოდა, ისევ დაიხარა კნიაზევისკენ...

კნიაზევი თავიდან ვერ მიხვდა, რას აპირებდა ახალგაზრდა, და, როცა ფერდში მაგრად მოარტყეს, ვერც მაშინ მიხვდა, რომ სცემდნენ — ალბათ მეშინოდა მიხვდა, როცა კიდევ რამდენჯერმე მოარტყეს — და მაგრადაც მოარტყეს — თეძოსა და მუცელში. მაგრამ მას ეს აგურივით მუშტები კი არა, ახალგაზრდის ბოროტი, რაღაცნაირად შეშლილი, აგერ, ამ სიახლოვეს დატრიალებული თვალები ზარავდა.

— რას შვრები! — კნიაზევს უნდოდა წამომხტარიყო, მაგრამ შლაპიანი მას ერთი ხელით იმაგრებდა, მეორით ფერდებში უბრაგუნებდა და უბრაგუნებდა. და ეს მას რაღაცნაირად უდავიდარაბოდ, უხმაუროდ გამოსდიოდა, შორიდან თითქმის არაფერი შეიმჩნეოდა.

— მიშველეთ!... — იყვირა კნიაზევმა. თავი დააღწია, წამოხტა და თავისი მძიმე პორტფელი, რომელშიც ტელევიზორის ნაწილები ეყარა, შლაპიანს ზედ თავში დურთა. — მიშველეთ, ხალხნო, მიშველეთ!.. — ყვიროდა იგი და პორტფელი მეორედაც დაუშვა ახალგაზრდის თავზე.

ახალგაზრდაც წამოხტა და უკვე ყველას დასანახავად გლიჯა ყბაში. კნიაზევი აფრინდა, მაგრამ ჰაერშივე ესმოდა, რომ მათკენ უკვე მორბოდნენ.

...შემდეგ მილიციაში მათ ვინაობას იძიებდნენ. კნიაზევი სულ იწევდა, უნდოდა დაწვრილებით მოეყოლა, რაც მოხდა და როგორც მოხდა, მაგრამ მორიგე ოფიცერი აჩერებდა: იგი ჯერ ანკეტას ავსებდა.

— სად მუშაობთ? — ჰკითხა მან ახალგაზრდას.

— სარეპუტო კანტორაში, — მიუგო მან და მოისწრო დაეყოლებინა, — სადაც შეგხვდება, იქ არწყევო...

— გაჩერდით! — მკაცრად უბრძანა მორიგემ. — რაზე მუშაობთ?

— მე შენზე ვამბობდი, თუ ?! — პირში ეცა კნიაზევი თავის მტერს.

— არა, ბიჭო, პუშკინზე ამბობდი!

— დებილო! მე ზოგად აზრს ვანვითარებდი პრობლემაზე, რომელიც...

— ჩუმად-მეთქი! — გაბრაზდა მორიგე. — თუ შეგიძლიათ ჩუმად იყოთ?! რაზე მუშაობთ?

— ელექტრიკოსად.

— შე ბოთე, შენა! — კნიაზევი ყბას იწმენდდა, — შენ ელექტრიკოსი კი არ უნდა იყო, ურიოს უნდა ურტყამდე... ორ ცვლაში თანაც. ვირიშვილო მაიმუნო! რომ ირტყმევინები, რას ირტყმევინები...

— თქვენა? — მორიგე კნიაზევზე გადავიდა.

...კნიაზევი გამოუშვეს. მაგრამ თბუთმეტი მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს. ლიდად არ შელონებულა, რადგან თავისი თვალით ნახა, როგორ წაიყვანეს შლაპიანი დერეფნით სადღაც. — ჩასასმელადო, დაასკვნა კნიაზევმა. ნახვამდისო, — ასეც კი დაემშვიდობა მორიგეს. დაემშვიდობა და სადგურისკენ გაემართა. იჯდა თავისთვის, ჩუმად მოსაცდელში იმდენი ხანი და ელოდა მატარებლის ჩამოდგომას, ლაპარაკი არავისთან გაუბამს. უბრალოდ იჯდა. იჯდა და უყურებდა დარბაზში ბიზუზუნე, ბოფუოფუთე ხალხს. ყბაც ატკიოდა. დროდადრო ხელს იკიდებდა, თავს აქნევდა და ჩურჩულებდა:

— მაიმუნო ვირიშვილო! ხელსაც რომ ირტყმევინება!... მამაძაღლი!

4. ფიქრების დასასრული

შესაძლოა, ეს მთლად დასასრული არ იყოს. მაგრამ ~~ბიზანტიელ~~ ქალის რალაცნაირი წყვეტება მაინც უდაოდაა.

აი, რა მოხდა.

კნიაზევმა გააარულა თავისი შრომა: „ფიქრები სახელმწიფოზე“. დიდ ხანია მიხვდა, რომ აქ, თავის პატარა რაიონულ ცენტრში ვერავის ნახავდა, ვინც მის დიდ ნაშრომს სათანადოდ შეაფასებდა. ისევ გაოცებისგან მხრებს აიჩეჩავენ, ისევ გააბამენ, „თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგო კნიაზევო...“ ვაი თქვენს პატრონს, ჭკუათხელებო! რა გინდათ ამ ხალხთან გააწყო?!

კნიაზევმა თავი მოუყარა რვეულები (რვა საერთო რვეული) და ფოსტა მიადგა — ცენტრში უნდოდა გადაეგზავნა. რალაც პატარა ამანათივით გამოდიოდა. კნიაზევმა არ იცოდა, როგორ გადაეგზავნა რვეულები. პატარა აირჩელისკენ დაიხარა — უნდოდა გაეგო, ყუთში უნდა ჩაედო ამანათივით, თუ...

იქ, შიგნით, ნაცნობი ქალი იჯდა, მისი ცოლის დაჭალი. კნიაზევს ხშირად უნახავს ის თავისთან, სახლში. ამიტომ თავაზიანად მიესალმა და ახსნა დაუწყო. აგერ, რვა საერთო რვეული მაქვს და მინდა გადავგზავნოთ... ვიდრე ამას უხსნიდა, უნებლიეთ ყურადღება მიექცია, რომ ქალი შაა კი უკვეთოდა. მაგრამ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. არამცდა არაფრის მისი რვეულების გადაგზავნაზე, მეტიც, კნიაზევმა ქალის თვალებში დაიჭირა გულისამრევი იბრალულობა, გრძნობა, — სხვათა შორის, სავსებით გულწრფელი. რაც კნიაზევს ყველაზე მეტად აცოფებდა. ჰოდა, ახლაც ამ გრძნობას არ შეეფეთა! და ეს სწორედ მაშინ, როცა ნაშრომი უკვე გასრულებულია, როცა ამდენი უძილო ღამე, ამდენი მღელვარება უკან დარჩა... ახლაც კი, ახლაც კი ეს ეროვნული ზის და იბრალულით შემოსცქერის. მაგრამ კნიაზევი ახლაც მოითმენდა, ახლაც გადაყლაპავდა შეურაცხყოფას. ეს ქალი, ეს... არ გატლეკილიყო. ენა არ გადმოეგდო.

— ნიკოლაი ნიკოლაევიჩ. ძვირფასო... იქნებ დაგვეცადა და ამახანაგი არ გადაგვეგზავნა, ა? რასაკვირველია, ეს ჩემი საქმე არაა. მაგრამ ~~ბაიც~~ გთხოვთ. ყურად იღოთ ჩემი კეთილი რჩევა: დაიცადეთ, ამას ხომ ყოველთვის მოასწრებთ, ან იქნებ, სულაც გადაიფიქროთ... რას იტყვით?

კნიაზევს შემდეგ გაახსენდა: ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეცადებოდად, სადღაც ზევით აეზიდოთ. მაგრამ უბრალოდ მაღლა კი არ ეზიდებოდნენ. თითქოს უნდოდათ თავდაყირა დაეყენებინათ და ფეხებით აეტაცათ.

კნიაზევის სხეულში ავბოროტულმა პროტესტის გრძნობამ შეძრა ყველაფერი, მთელ მის სხეულს ძრიესხანებია ტალღებმა დაუარა და იგი ~~ირასაკადრისად~~ აღრიალდა:

— ტუტუცო! შე თვალებგადმოკარკლულო ჩერჩეტო. შენა... რას ხიბა მანდ და ყიყინებ?! რას?! შენ სიტყვა „სახელმწიფოს“ სწოლად დაწერა მაინც თუ შეგიძლია? შენ ხომ „სახენწიფოს“ დაწერ. მე ვიცი!

— არ გაბედოთ! რო ღრიალებთ, რა გაღრიალებთ, — არც ქალი დარჩა ვალში, — სერგეი ნიკოლაიჩ! სერგეი ნიკოლაიჩ-მეთქი!

— სერგეი ნიკოლაიჩ! — კნიაზევიც აპყვა მის ძახილს. — მოდით, მოდით და ერთად გადმოვკარკლოთ თვალები: აქ ვინცხა რაცხას ახურებს სახენწიფოზე. მოდით, მოდით, სერგეი ნიკოლაიჩ!

სერგეი ნიკოლაევიჩი მართლაც გამოვიდა შორებელ[illegible] და სწრაფად გამოემართა კნიაზევისკენ.

— რა ამბავია? რა ხდება აქა?!

— აქ ვინცხა რაცხას ახურებს სახენწიფოზე. — შურისძიების ღვარძლს შეეპყრო კნიაზევის სხეულის ყოველი უჯრედი. — მოდი, სერეი ნიკოლაიჩ, მოდი და გაარკვიე, რა ხდება, იქნებ იმ შენს გოგრა თავში ერთნახევარი ხვეული მაინც იყოს წამლად...

ფოსტაში ვინც იყო, ყველა გაკვირვებით შესცქეროდა კნიაზევს. სერგეი ნიკოლაევიჩი კი ტიხარიდან გამოვიდა და კნიაზევს უახლოვდებოდა. სერგეი ნიკოლაევიჩს სახეზე ეწერა, რომ მზად იყო, ვისიც გნებავთ, იმის გასაკოჭად.

— რაშია საქმე?

— რაშია და შლაპაში. — კნიაზევს უნდოდა აებოჭა თავისი რვეულები, მაგრამ სერგეი ნიკოლაევიჩმა მათ მაგრად დააჭირა ხელი.

— ხელი აიღე! — უყვირა კნიაზევმა და უნდოდა მისი მურდალი ხელი გვერდზე გაეწია. — ხელი აიღე-მეთქი! — უფრო ხმამაღლა იღრიალა კნიაზევმა და სერგეი ნიკოლაევიჩს გულში ჰკრა მჯიღი. — გაიწი-მეთქი, შე ბრიყვო, შენა!

სერგეი ნიკოლაევიჩმა კნიაზევს ხელები გაუკავა და მაგრად მოუჭირა.

— აბა, მომეშველოს ვინმე, — დაიძახა სერგეი ნიკოლაევიჩმა, — ვერა ხედავთ, გალეშილია!

მოხალისენი გამოჩნდნენ. მოირბინეს, კნიაზევს ხელები ზურგს უკან გაუკავეს და ასე ეჭირათ. საოცარია, რომ კნიაზევი სწორედ ასეთ ვითარებაში ალაპარაკდა უფრო დალაგებულად, უფრო აზრიანად.

— ვაშა!... — წამოიძახა მან. — გავიმარჯვეთ. აბა, გავიმარჯვეთ! მოდით, გამთოკეთ, გამთოკეთ, ჰო. შე ბაყაყო-ბაყაყუნა!.. არა, მთვრალი არა ვარ, ეგ ნომერი არ გაგივათ... ჩემს თავს უფლება მიეეცი ჩემი ნაშრომი ფოსტით გამეგზავნა, არა!... ვისია ეს ფოსტა?! — გაბოროტებით ჰკითხა მან სერგეი ნიკოლაევიჩს, — ეს შენი ფოსტაა? ჩემი ფოსტაა, ჩემი, შე კრეტინო?..

— ილაპარაკე, ილაპარაკე, — მშვიდად უთხრა სერგეი ნიკოლაევიჩმა, თან კნიაზევს ხელები ქამრით გაუთოკა. — მოდი, იყვირე. მთლად შეიშალე, მორჩა?

— კრეტინებო. — ყვიროდა კნიაზევი, — არადა, მოსწონთ ეს კრეტინობა! რამდენიც გინდა ეჩიჩინე, არაფერს შეუშვებენ თავში. მოსწონთ კრეტინობა და მორჩა, რა გინდა, რა.

კნიაზევი წინ წაიგდეს... ქუჩაში გამოიყვანეს და მილიციის განყოფილების გზას დაადგნენ. უკან რვეულები მოჰქონდათ. გამვლელები ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. კნიაზევი... კნიაზევი „ამალას“ გამოეყო — ხმამაღლა, მოურიდებლად ღრიალებდა. და რაღაცნაირ საამო გრძნობას შეემჭვალა მისი

არსება: ადამიანებს ჩემი ყვირილით მათ ცხოვრებაზე მწარე სიმართლეს ვაგებინებო. იშვიათი გრძნობა, საამური გრძნობა, ძვირფასი გრძნობა...

— სპინოზა მიჭყავთ! — ყვიროდა ის. — სპინოზა არ გინახავთ? სპინოზა — აგერ, მე ვარ! — კნიაზევი იცინოდა. — უკან კი [illegible] ვინცხას რაცხა ნააზრევი მოაქვთ. გასაოცარია, არა? გასაოცარია და მეტი არა? კიდე რა მინდაო ბიჭმა!... ჩვენ რომ არა ვწერთო! ჰოდა, წერას მოგცემთ შენა, აგერ ნახავო!

კიდევ კარგი, რომ მილიციის განყოფილება ყურისძირში იყო, თორემ კნიაზევი კიდევ ბევრ რამეს იღრიალებდა, გულს იჯერებდა.

განყოფილებაში იგი როგორღაც მიყუჩდა, მიცხრა, ალბათ დაიღალა, კითხვებზე მოკლე პასუხებს იძლეოდა, არაფრისაც არ ეშინოდა, ეგ იყო, შუბლი შეეჭმუხნა, აქედან ჩქარა გაღწევა და შინ წასვლა უნდოდა.

— კარგი, ვიხმაურე, ჰო... მე ხომ მთვრალი არა ვარ, საერთოდ არა ვსვამ. შეურაცხყოფა ხომ არავისთვის მიმიყენებია?

როდესაც კაკალ-კაკალ ჩამოუყარეს, ესენი და ესენი შეურაცხყავი და ასეთნაირად და ასეთნაირადო, კიდევ უფრო შეიკრა შუბლი და ჩუმად თქვა:

— თავი მტკივა, მოდით, საავადმყოფოში მიმიყვანეთ. დიდი ამბავი, კრეტინები თუ დავუძახე, კრეტინები არიან, აბა, ვინ ოხრები ყრიან?

არ იცოდნენ, რა ექნათ მისთვის, ვიდრე რამეს გადაწყვეტდნენ, კამერაში ჩასვეს და საავადმყოფოდან ექიმი გამოიძახეს. იმან კნიაზევთან ათი წუთი დაჰყო, გამოვიდა და განაცხადა:

— საკვლევით ნორმალური ადამიანია. რა დააშავა?

— რა და, არავინ დაგვიტოვა, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, — დაუწყეს ახსნა ექიმს, — გვლანძღა და მერე როგორ გვლანძღა, რა არ გვიძახა...

— ჰო, თუ ეგრე იყო... ეგ უკვე რაღაც ამბავია. ეგ სრულ ჭკუაზეა, საკვლევით ნორმალური ადამიანია.

მილიციის უფროსი პირადად იცნობდა კნიაზევს. ისევ შემოაყვანინა კაბინეტში, კარი ჩაიკეტა.

— მაინც რა მოხდა, კნიაზევ?

— ერთი მაგათი! — ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა კნიაზევს. — ისე, ავფეთქდი... ადამიანთა სისულელე მეტად ველარ ავიტანე. მე იმ ქალს ერთს ვეუბნები, ეგა კიდე: „მოდით, ჯერ ნუ გავაგზავნით — ჯერ დავფიქრდეთო". ეგა და ფიქრი! ეგ კრუხი მამაძაღლი! ეგა!

— აბა, შეურაცხყოფა რა საჭიროა?

— იმან მე უფრო არ შეურაცხმყო? მე იმას იდიოტი ვგონივარ, აბა! იმაა ხომ აქ სტრიქონიც კი არ წაუკითხავს, — რვეულები უფროსის მაგიდაზე ეწყო, — ჰო, არ წაუკითხავს და ისე როშავს რაღაცას! ვიცი, ვიცი, რატომაც: ჩემმა ცოლმა უთხრა, ესაო, ისაო... ეგა ჩემ ცოლთან დაიარება, ჰოდა, ჩემმა ცოლმაც... დაუხასიათა ეს ჩემი ნაშრომები — სისულელეაო, ბოდვაოო, წყლის ნაყვაოო... და ათასი ამისთანა ოხრობა.

— მაინც რა არის ამაში?

— ფიქრებია სახელმწიფოზე. შვიდი წელი ვწერდი.

უფროსმა რვეულების დასტას დახედა... მერე კნიაზევს შეაცქერდა. და ამასაც ის წყეული განცვიფრება, შეცბუნება დაეწერა სახეზე...

კნიაზევი შეიჭმუხნა:

— ოლონდ ახლა არაფერი არ... ახლა არა...

— დამიტოვეთ, გადავხედავ.

— გადახედეთ, — კნიაზევი წამოდგა. — შემიძლია წავიდე, თუ...

— შეგიძლიათ, კი... შეგიძლიათ... შემდეგ ფოსტის მუშაკებთან ბოდიშის მოხდა მოგიწევთ. უნდა მოიხადოთ, კნიაზევ. — უფროსი [illegible] თვალთ შესცქეროდა. — უნდა მოიხადოთ თუ არა, რას იტყვით?

— კარგით, — უთხრა კნიაზევმა, — მოვიხდი. — ძალიან უნდოდა შინ წასვლა. თავში გამაყრუებელ სიცარიელეს გრძნობდა. სიცარიელეს და სიცივეს. სიმშვიდე, სიმყუდროვე სწყუროდა. — მოვიხდი ბოდიშს...

— აგაშენათ ღმერთმა. ახლა წადით და ამ რვეულებს მერე მოგცემთ.

კნიაზევი კართან, ზღურბლზე შედგა, უფროსს მოხედა და უთხრა:

— იქ რვა რვეულია.

უფროსმა თვალი შეავლო რვეულებს.

— ჰო, რვაა... მერე რა?

— იაე გეუბნებით, რამე რომ არ მოხდეს. ხომაა რვა?

— კი, რვაა.

— ჰოდა, სადმე არ მიიკარგოს რომელიმე.

— დარდი ნუ გაქვთ.

— ამ რვეულებში ხომ... — კნიაზევმა კარიდან უკან წადგა ფეხი და რვეულებზე მიუთითა. — ამათში იქნებ... —ისევ რაღაცნაირი სასოწარკვეთილებით შეიჭმუხნა, ხელი ჩააქნია და გავიდა.

უფროსმა ერთი რვეული აიღო, გადაშალა.

სწორედ პირველი რვეული გადაშალა. ასევე იყო აღნიშნული:

„რვეული № 1", შემდეგ მოდიოდა შესავალი, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „მოკლედ ავტორზე". ეს იყო „ნ. ნ. კნიაზევის ცხოვრების მოკლე აღწერა", თვით ავტორის მიერ შესრულებული.

„მე დავიბადე ლარიბი გლეხის ოჯახში. რიგით მეცხრე შვილი ვიყავი. თავისთავად იგულისხმება, რომ რაიმე განათლებაზე საუბარი გამორიცხული იყო. ეგევე ითქმის აღზრდაზეც. ჩვენ გვზრდიდა შრომა, აგრეთვე ქუჩა და ბუნება. და თუ მე მაინც ჩემს თავზე წამოწოლილი ცხოვრების ეს შრეები გავარღვიე, ეს მე ჩემით, თვითონ შევძელი, ფილოსოფიური ცნობიერების ნაპერწკლები ჩემში ბავშვობის დროიდანვე შეიმჩნეოდა. როცა ბრიგადირი დამიყვირებდა, ცოტა ხნის შემდეგ მე ვფიქრობდი: „რატომ მიყვირის-მეთქი?" ჩემს გონებას ჯერ კიდევ არ შეეძლო ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ იგი (ჩემი გონება) ჯიუტად, გაკერპებით ცდილობდა დაკეტილ კარში შეღწევას. კითხვა როცა ვისწავლე, ბევრს ვკითხულობდი, თუმცა ამის გამო ბევრი უსიამოვნება მიწვნევია. მამაჩემი ჩემს გატაცებას მხარს არ უჭერდა და მაიძულებდა მეტი მემუშავა. მაგრამ მე მაინც ვახერხებდი დროის გამოზოგვას და ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ყველაფერს ვკითხულობდი მიყოლებით, და რაც უფრო მეტს ვკითხულობდი ,უფრო და უფრო იხსნებოდა ჩემს თვალწინ აქამდე ჩემთვის დახშული კარი, მეტად და მეტად ვგრძნობდი მოუსვენრობას. ირგვლივ რომ ვიხედებოდი, რამდენი რამაა დაყრილ-დაზვინული-მეთქი, დამრია ფიქრმა ხელი. ასე, თანდათან მთელი ჩემი არსება დაიპყრო ფიქრ-

მა სახელმწიფოზე. და მალე გულშეურვებულმა, გაოცებულმა ვკითხე ჩემს თავს: როგორ წარიმართებოდა საქმე, ჩვენ, ჭიანჭველების მსგავსად, სახელმწიფოს მაქსიმუმი რომ მივცეთ-მეთქი! — აბა, ერთი ისე, უბრალოდ დაფიქრდით: არავინ ქურდობს, არავინ სვამს, არავინ მუქთახორობს — ყველა თავის ადგილზე დებს თავის აგურს ამ გრანდიოზული შენობის ამართვის პროცესში... როცა ყოველივე ამას ჩავუღრმავდი, როცა ფიქრით შემოვავლე თვალი ჩვენს სიერცეებს, სული შემიგუბდა. ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე, — რას ჩავდივართ, რას! ჩვენ ხომ შეგვეძლო, მაგალითად, რომ მთელი დედამიწა ჭოგვეასფალტებინა! მეტრო ვლადივოსტოკამდე მიგვეყვანა! მთვარისთვის კიბე შეგვედგა! — მე აქ უტრირებას ვახდენ. მაგრამ მე ამას განზრახ ვაკეთებ, რათა ჩემი აზრების მასშტაბურობას გავუსვა ხაზი. მე მივხვდი, რომ სახელმწიფოს შესახებ გლობალურმა აზრმა უნდა დაიქვემდებაროს ყველა სხვა კონკრეტული აზრი, რომლებიც ჩვენს ყოფასა და ჩვენს ყოველგვარ საქციელს შეეხება.

და მე, იგულისხმება, წერა დავიწყე. არ შემეძლო, არ მეწერა — თავი გამისკდება დაძაბულობისგან, თუ ჩემს აზრებს სადინარს არ მივცემ".

უფროსმა შესავალი წაიკითხა და ჩაფიქრდა. მერე რვავე რვეული გვერდზე გადადო — გადაწყვიტა შინ წაეღო და წაეკითხა.

□

ეფიმ პიანიხის ოპერაცია

ეფიმ პიანიხი ამას ღამე მიხვდა. მიხვდა და ცოლს მხარი გაჰკრა.

— რა ამბავია? — ჰკითხა იმან უკმაყოფილოდ.

— რა და... ჭურვის ნამსხვრევი გამოდის გარეთ. დანასავით ჭრის და მოდის, მაგის...

— სადა?

— სადაო?.. სადაც მიდევს, არ იცი, რო?

— იქა?! — პირი დააღო სონიამ.

— ჰო, იქა.

— ოცი წელი ზედ ეჯექი, შე დალოცვილო, და აქამდე არაფერი გიგრძვნია? რანაირად მოხდა ასე?

— აქამდე არ გაუხსენებია, და! იცი, რამხელაა?... რამხელაა და დ..დიდია, ერთი სიტყვით! — ეფიმმა დაიკვნესა. — გამაწამებს ეს გაფუჭებული.

სონიას გაეცინა.

— როგორ გინდა აწი იჯდე? გვერდულად ლბათ...

— იცინე, ჰო, იცინე! შენ რომ გქონდეს იქა... ვნახავდი, როგორც იცინებდი.

გაჩუმდნენ.

— რა ვქნა ახლა, ვერაფერი მომიფიქრებია, — გაოგნებას ვერ მალავდა ეფიმი.

სონიამ თავი ვერ შეიკავა, ხარხარი აუტყდა და სახე ბალიშში ჩარგო.

— რა სიცილად იქეცი, ქალო? — გაბრაზდა ეფიმი, — სულელია ეს ოჯახქორი...

— ნუ ბრაზობ, ეფიმ. ძაან საინტერესო ადგილას კი გიზის ის შენი ნამსხვრევი. რამ შეგაშინა ამხელა კაცი? უნდა იმშობიარო, თუ რა ამბავია? გამოდის და გამოვიდეს. ეგენი რა, თავისით გამოდიან?

— ქალი უფრო ადრე მოასწრებს მშობიარობას, ვიდრე ეგ გამოვიდოდეს. უნდა ამოიჭრას ეგა. ჰოსპიტალში ბიჭებს...

— შენც ადექი და ამოიჭერი.

ეფიმს ამაზე ხმა არ გაუცია. გულში კი გაიფიქრა, ასეც მომიწევსო, მაგრამ გაახსენდა, რომ იმათ საავადმყოფოში არც ერთი მამაკაცი ექიმი არ მუშაობდა, ის კი არადა, ქირურგი მთლად ახალგაზრდა ქალი იყო. ოცი წლის წინათ ჰოსპიტალში, ვისაც გინდოდა, იმას დაუწვებოდა პირქვე დაუფიქრებლად — მაშინ სირცხვილით თავა არ იკლავდა. ახლა ამის გაფიქრებაზეც კი ტანში აჟრიალებდა.

— ვნახოთ, — თქვა მან, — ახლავე დაიძინე.

თვითონ კი დიდხანს ფიქრობდა, რა გზას დასდგომოდა.

მთელი მეორე დღე ცდილობდა სულ ფეხზე მდგარიყო — ვერ ჯდებოდა. ტკიოდა. კაბინეტში (ეფიმი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო), ხალხის მიღების დროს, ბოლთას სცემდა, ნერვიულობდა... უკურთხებდა და უკურთხებდა „იმ ჯოჯოს“, რომელმაც კურსკთან უკან, ზურგს დაბლა რკინის კამფეტები ბლუჯა-ბლუჯა დააყარა. ჰოსპიტალში ბევრი დღე და ღამე გახეხა კვნესა-კვნესით. მაგრამ მაშინდელი ყოფა რა სალაპარაკოა! შენ ახლა თქვი, ახლა, როგორ გინდა, სახელგანთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მოწიფულმა კაცმა, ახალწამოჩიტული გოგუცუნების თვალწინ მარვალი ჩაიხადოს... ეგენი ალბათ ერთმანეთის თვალის ჩაპაჭუნებას დაუწყებენ. ის კი არადა, რომელიმე მათგანი, შესაძლოა, მოგელაზღანდაროს კიდეც: „მორჩა, ეფიმ სტეპანიჩ, ახლა პრეზიდიუმში ჯდომა ისევ შეგიძლიათო“.

შინ ადრე მივიდა. ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. ცოლს გამოუცხადა, მწიფდებაო.

— წადი, ადამიანო, საავადმყოფოში, წადი! — უყვირა სონიამ. — რას დაგაქვს ის შენი ნამსხვრევია თუ რაღაც ჯანდაბაა აქეთ-იქით... იმასავით... არ ვიცი, რასავით...

— საავადმყოფოში წადიო! — ეფიმმა პაპიროსს მოუკიდა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. — ჩვენთან საავადმყოფო კი არა, დედათა მონასტერია, გაიგე! მაინც ვინ მორეკა ამდენი ქალი, ეშმაკმა იცის. ამდენი ქალი ერთად როგორ ძლებს მაინც!

— შენ რას გიშლიან ნეტა?

— მე რას მიშლიან! არაფერს... არა, ნემსის ყუნწში ძვრები კაცი, რომ ავტორიტეტი მოიპოვო, წლიდან წლამდე რაღაცას აღწევ და ახლა დედიშობილა უნდა დაუწვე ვიღაც-ვიღაც გოგუცუნებს... ხო საპნის ბუშტივით გასკდა წუთში მთელი შენი ავტორიტეტი. მაგათი ენის ამბავი მე ხომ ვიცი.

— ფუ! რას სულელობს ეს კაცი, — გაბრაზდა სონია, — რაო, ი, ავტორიტეტია თუ რაცხაა, იმ შენი უკანალით მოიპოვე თუ რა?! რა უკანალი გაქვს ამისთანა, ხალხი რო მაგისი ნახვის ღირსი არ იყოს.

— ჩვეულებრივი მაქვს, ჩვეულებრივი. მაგრამ, იცი, რა გითხრა: ნუ კნავი და ჩხავი, რაკი არაფერი გაგეგება. სუ ხუთიოდე წუთში მთელ სოფელს ეცოდინება ჩემი გაშიშვლების ამბავი, რომ დაიწყებენ, კი არ გაათავებენ. მე ხო ვიცი, ეგენი ვინცაა! მერე დაუწყებ იმათ საუბარს საქმეზე, ესენი კი გიყურებენ და თვალწინ ის უდგათ... ჩემი მტერი ჩავარდა ამათ ყბაში. [illegible] ბრაზობდა, ესმოდა, რომ ეს სისულელე იყო, მაგრამ მაინც ბრაზობდა. [illegible] არ იცოდა, რა ექნა. იქნებ ქალაქში წავიდეს, მაგრამ იქამდე კაი ასი ვერსია. ჩახვალ და გეტყვიან, რაო, საავადმყოფო ადგილზე არა გქონდათო? გგონია, მიგიღებენ? არაფერსაც არ მიგიღებენ. თანაც როგორ გინდა იმგზავრო, ფეხზე დამდგარმა?

ღამე ყველაფერი გაირინდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, ეფიმი კბილებს აღრჭიალებდა, კვნესოდა.

— ღმერთო, რამხელა სულელია! — გადარევას იყო სონია. — რო იტანჯება, რაღას იტანჯება? ავტორიტეტის დაკარგვისა ეშინია ბიჭს! ვინც გაიგებს, ხომ მოკვდა სიცილით. ცოტანი წვანან, ადამიანო!

— წვანანო! კიბო მქონდეს, მირჩევნია ამას. ვინმე რიგითი, უბრალო კაცი რომ ვიყო, კი, ბატონო: ცოტას წავიანგლებდი სხვებთან ერთად, გავიცინებდით და ამით მორჩებოდა ყველაფერი. ახლა კი რა გინდა ქნა. ხომ გავხდი გოგო-ბიჭების სამასხარო და სალაზღანდარო...

— ეგ მაშინ უნდა გცოდნოდა, უკანალი რომ შეუშვირე იმ შობელძაღლებს!

— ერთი შენ ყოფილიყავი იქ... სუ ერთი წუთით მანახა შენი თავი იმ ყოფაში, სუ ერთი წუთით. ძალიან მაინტერესებს, შენ რას შეუშვერდი, ერთი!

— შევუშვერდი და... ამდენს კი არ ვივიშვიშებდი ახლა შენსავით...

— ჰოდა, სულელი ხარ და რა უნდა გელაპარაკო.

ტკივილმა ზურგი და ფეხი გაუერთიანა. დროდადრო ეჩვენებოდა, რომ ჰურვის ნამსხვრევი უკვე გამოდიოდა სხეულიდან. კრიჭაშეკრული ეფიმი დიდხანს ისვამდა ხელს მუწუკზე, მაგრამ შიგნით თითებით რამე წვეტიანს ან მაგარს ვერ გრძნობდა. მუწუკი გაუწყლიანდა.

— ექიმების დედა ვატირე, ექიმების! რამდენი ნამსხვრევიც არ უნდა ამოგიღონ, ერთი მაინც უნდა ჩაგიტოვონ!...

დილით ეფიმისთვის ცხადი გახდა, რომ საავადმყოფოში წაუსვლელად ვერ გადარჩებოდა. ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გაწამდა.

თითქოს ჯვარცმისთვის ემზადებაო, აგვიანებდა, დროს წელავდა.

— კანტორიდან თუ მოვლენ, რაიონში წავიდა-თქო. არაფერი წამოგცდეს, იცოდე.

— ოღონდ შენ წადი, თუ ღმერთი გწამს, ოღონდ წადი და...

რაც უფრო უახლოვდებოდა ეფიმი საავადმყოფოს, მით უფრო იზაფრებოდა. წახდა კაცი, ალარ იყო შიშისგან. ცხადად წარმოიდგინა, როგორ შევიდოდა საავადმყოფოში, მიადგებოდა მორიგე ექიმის კაბინეტს... იქ, რაღა თქმა უნდა, დედაბრები ისხდებიან. დილიდანვე ელოდებიან ალბათ. დაინახავენ ეფიმს თუ არა, თავის კანტურს მორთავენ:

— შენც აქა ხარ, სტეპანიჩ? შენც ვერა ხარ კარგად, საყვარელო?

კარგით, დავუშვათ და ურიგოდ შეუშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, შიგნით, ახალგაზრდა, თავმომწონე ქალი დახვდება.

— რა გჭირთ?

— ნამსხვრევი მაქვს.

— სად?

— იქ.

— სად „იქ"?

— სად და იქ...—იქნებ აქ ერთი გაცინება ურიგო არ იყოს, ყოველი შემთხვევისათვის, — ხა-ხა-ხა... სადა და, იქ, ყველაზე საინტერესო ადგილას, რომელიც კი დედამ დამაყოლა სხეულზე.

— მაჩვენეთ.

ღმერთო! რა დავაშავე ასეთი, რისთვის მსჯი ასე სასტიკად?! იმ სულკატიანმა ფრიცმა ცოტა ზევით ვერ დამიმიზნა?

საავადმყოფოს ეზოში ეფიმი ფეხაკრეფით შევიდა.

„ასე დილაადრიან აქ მამაკაცების ჭაჭანება არ იქნება, რასაკვირველია, — ჭირის ოფლი ასხამდა, — გავაბოლებდით მაინც ერთად, სულს შევიბრუნებდი, ვიდრე... ვიდრე შარვალს ჩავიხდიდი კაბინეტში".

კაცები მართლაც არ იდგნენ დერეფანში. სამაგიეროდ, ქალების ტევა არ იყო. ისხდნენ თეთრ სკამებსა და დივანზე — ყველას დაღლილი, ცოტათი მოზეიმე გამოხედვა ჰქონდა. ჩუმად ბაასობდნენ, ხვნეშით, ახალგაზრდებიც იყვნენ. ერთი ახალგაზრდა მეორეს, მასზე უფროსს, ელაპარაკებოდა:

— აი, აქ რომ მომაწვება, მომაწვება, მორჩა, ყველაფერი გათავდა-მეთქი, ვფიქრობ. აი, აქ, პირდაპირ აქ, ისე მაწვება ხოლმე...

უფრო ხნიერი თანაგრძნობით, ოდნავ წარბშეკრული, აქნევს თავს აქეთ-იქით და მკაცრი სახით იყურება ფანჯარაში.

ორი სხვაც ჩურჩულებს. ერთი ჩუმად ვიშვიშებს, მეორე კი მუხლებზე ადებს ხელებს და ჩქარობს, რომ სათქმელი მოამთავროს:

— ...მე-მეთქი, შენა, შე ყურუმსალო, რასა შვრები-მეთქი, ა? რაო, ეგ შენი მუშტი ბამბისა ხომ არა გგონია-მეთქი?

ეფიმ სტეპანიჩს თვალი ჰკიდეს თუ არა, მაშინვე მორჩნენ ზუზუნს, ცნობისწადილით მიაჩერდნენ.

„ვერაა კარგად ჩემი საქმე, — შებარბაცდა ეფიმი. — წუთში გაარკვევენ, რა ამბავიცაა ჩემს თავს და უკვე სადილისთვის მთელი სოფლის სამასხარაო ვიქნები".

რიგს მიადგა და ხალხი დამცინავად შეათვალიერა.

— კარგა ბლომადა ხართ, ისე! უქმეებში რატომ არავინა ხართ აქ, ეს გამაგებინა და მომკლა. უქმეებში არაფერი გტკივათ, დავიჯერო? — თვითონ ვერ გაეგო, რას ემართლებოდა ამ ხალხს, მაგრამ ახლა ამდენი ფიქრის თავი არ ჰქონდა.

— ჩვენ უქმეებში ისედაც არ გვაკლია გაწამაწია, — შემოეხმიანა რომელიღაცა.

— არა, გიყურებთ, გიყურებთ და ვფიქრობ: ე რამდენი ავადმყოფი მოქუჩებულა-მეთქი. ამათი მთავარი სადაა აქა?

— მთავარი ექიმი?

— ჰო.

— აგე კაბინეტი. აი, მუშამბით როა გადაწებილი.

ეფიმი მითითებული კაბინეტისკენ გაემართა, თან ცდილობდა, არ ეკოჭლა.

მთავარი არ მოსულიყო.

კაბინეტში იჯდა ლამაზი, მსუქანი, ყელზეხალიანი ქალი (ეფიმი ვერ ვერ ამჩნევდა, არ იცნობდა — ეგენი ჩამოსულები იყვნენ).

— მთავარი არაა. რა გნებავთ? — თავაზიანად ჰკითხა ქალმა.

— მე აქასური თავმჯდომარე ვარ. ამაა წინათ შეშა მთხოვა და...

— დიახ, დიახ, მე საქმის კურსში გახლავართ. შეშა ძალიან გვიჭირს — ზამთარი კარზეა.

„თითქო თვითონ არ ვიცოდე, ზამთარი კარზეა თუ არა", — გულში გაიქილიკა ეფიმმა.

— შეგიძლიათ წამოიღოთ. ოღონდ ტრანსპორტი არა მყავს.

— აბა, ჩვენ როგორ წამოვიღოთ?

— ეგ უკვე არ ვიცი. სოფლის საბჭოს მიმართეთ. ჩემი საქმე შეშის მოცემა იყო.

საავადმყოფოდან ეფიმი დაბოლმილი მოდიოდა. „სამოცი კუბომეტრი შეშა წყალში გადავყარე, ვითომ არცა მქონია. რა ბუზანკალი შემიჯდა, ენა ვერ გავაჩერე! ნუთუ ახვა ვერაფერი მოვისაბაბე".

საავადმყოფოში შეშის მიტანას მაინც ვერ აიცდენდა. მაგრამ მთლად ასე — იქით ეახლო შენი ფეხით და მობრძანდით და რამდენიც გნებავდეთ, წაიღეთო, რომ იძახო, ანეგდოტია პირდაპირ. ასე ყველაზე ბეჩავი, ყველაზე დაბრიყვებული თავმჯდომარეკაც კი არ იქცევა.

„მთლად გამოვთაყვანდი".

უკანალი კი ისე სტკიოდა, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმა კეფის ძვალში ურტყამდა.

„ავდგები და ჩემით გავიკეთებ ოპერაციას", — გადაწყვიტა ეფიმმა.

სონია გახარებული შემოეგება:

— ასე ჩქარა მორჩი? შენა კიდე გეშინოდა...

— ნუ გააყრუე ქვეყანა. ახლა ჩვენ თვითონ გავჭრით იმას... წყალი აადუღე, შიგ დანა ჩააგდე... ერთი სიტყვით, მე გიკარნახებ რა და როგორ უნდა ქნა.

— რაო, ხო არ გადაირიე, ეფიმ!.. — წამოიწყო სონიამ და გააბამდა კიდეც, მაგრამ ეფიმმა ერთი ისეთი შეხედა, ქალს ენა ჩაუვარდა.

— მორჩა! მეყო, რაც ველოლიავე. ბალღები სკოლაში არიან?

— ჰო.

— კარი შიგნიდან ჩარაზე და... საველე ლაზარეთი გავმართოთ, სონია ქალო...

— მე ვერა, ეფიმ, მეშინია, გესმის?

— რისი ეშინია?

— გაჭრისა მეშინია; ხო არ გადაირიე?

— საშიში რაა, ერთი?!

— ვერ ვიზამ, — გაკერპდა სონია, — ძოიწამლები, წყალი არ გაუვა.

— დანას ისე გამოვხარშავთ, არც არაფერი მომეწამლება. ომში ასე ვჭრიდით და ვკერავდით! პირდაპირ სანგარში, აბა!

— ექიმთან არა ყოფილხარ?

— არ წავალ ექიმთან, ვერ წავალ. შენ უნდა გაჭრა, გაუსვი, გამოუსვი და მორჩა!

— ნუ სულელობ, ეფიმ, თუ გინდა, მე თვითონ ჩავალ საავადმყოფოში და მოვიყვან ვინმეს — პირდაპირ აქვე გაგიჭრიან, არც [illegible].

— ისევ შენსას ამბობ, ქალო?! — იფეთქა ეფიმმა. — გეუბნები, არ შემიძლია-მეთქი, არა, შენ კიდე შენსას გაიძახი! მოდი, წყალი ააღულე-მეთქი.

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა. სონიაც კაი თავისნათქვამი ქალი იყო.

— ნუ სულელობ, ნუ, გინდა ასე თქვი, გინდა ისე, შენზე სულელი მაინც არა ვარ... ალბათ, ალბათ, ამ ჩემი ბალღებიანად რა გზას დავადგე, რატომ არ ფიქრობ? მარტო შენი თავი უნდა გახსოვდეს? შენ კი არა, ისეთი ხალხია ავად, ყველანი ექიმებთან არ მოდიან? შენა კიდე რა წითელი კოჭი შყევხარ, რომ ეგ შენი უკანალი ექიმისთვის ვერ დაგინახვებია? ვის რა ოხრად უნდა ეგ შენი!... ვინ რას შეხედავს, ან რაა მანდ დასანახი? არაფერი!..

ეფიმმა რაღაცნაირად, თვითონაც რომ გაეგო, ისე მშვიდად უთხრა ცოლს:

— გადი, სონია, ხუთი წუთით გარეთ. სარკეში მინდა შევათვალიერო ერთი გულიანად.

სონია, თავის მხრივ, ეჭვშედგომით მიაჩერდა ქმარს:

— რა ჩაიდე ახლა მაგ თავში?

— გადი, შევხედო მინდა-მეთქი! რაო, ძაან გინდა უყურო, თუ?

— ფუ! — სონია გავიდა.

ეფიმმა სკივრიდან სუფთა ზეწარი ამოიღო, იატაკზე დააფინა, შარვალი ჩაიძრო... შეჩერდა... იფიქრა, იფიქრა და... რამდენიმე ნაბიჯი უკან წადგა, გამოქანდა და მოწყვეტით დაასჯდა უკანალით ზეწარს. ცოტაზე მერეც წაცურდა...

სონიამ წინკარში გაიგო ქმრის ყრუ ყვირილი და ქოხში შეფეთდა.

ეფიმი გვერდზე იწვა. შარვალი ხელით ეჭირა და ხმადაბლა იგინებოდა.

— წადი საავადმყოფოში და დაუძახე ვინმეს. არ გამომივიდა. გავჭეჭყე, კი, მარა ძეტი არაფერი..

სონია გავარდა.

1970

□

ვლადიმერ სოკოლოვი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ნიკო რეხვიაშვილმა

* *

„გამოგონებულ სამყაროში, — მითხრეს რიდებით, —
შესაძლო არის ვიარსებოთ“ — თურმე მე და შენ,
ვიცხოვროთ, ვიყოთ ისე, როგორც ბერძნულ მითებში,
როგორც პოეტის ხუმრობაში ან ლეგენდაში.

ეს შესაძლოა სულ არ იყოს რთული სრულიად,
ასეთ სამყაროს თამაშობით ქმნიან ბავშვები,
რომ გავიზრდებით — გაცილებით უფრო რთულია —
კი არ ვთამაშობთ — სინამდვილეს ვეთამაშებით.

როცა არავინ არ გაკითხავს და სიწყნარეში
სახლის კარებთან ოდენ ქარი დაქრის ლაღობით —
შეძლებ იტირო გამოგონილ ამ სამყაროში
მოგონილ ცრემლით, მოგონილი შეურაცხყოფით!...

მე საკუთარ თავს კარგად ვიცნობ, იაფ გართობებს
ვუხმობ ხშირად, ვით ბავშვობაში ლამაზ თქმულებებს,
მაგრამ ოცნების დაძახილზე მყის მივატოვებ
ყველა საქმეებს ამქვეყნიურს და მაცდუნებელს.

გამოგონილი ქალაქის რიტმს შევუერთდები,
ვმარცვლავ ბაღების, ხეივნების შეთხზულ სტრიქონებს,
გამოგონებულ ტბაზე გნიასს ვუსმენ გედების...
და ეს გედებიც, ეს ტბაც ხომ მე გამოვიგონე.

გამოვიგონე ირგვლივეთი და ის შორეთიც,
ძმაც, სიყვარულის ჯადოსნური დღესასწაულიც,
გამოვიგონე ჩემი მტრებიც და მეგობრებიც...
— შენ, რა თქმა უნდა არ მიგიძღვის დანაშაული.

თუმც შევამჩნიე — სული ჩემი დაცარიელდა,
არამიწიერ ზმანებათა კვლავ მომიძიეს,
გამოგონებულ ფოთლებიდან უეცარ ელდად
ჩრდილი ეცემა არსებობას ჩემსას მიწიერს...

ჰყვაოდნენ ციმბირს — თქმა ამისა ჯერ უაზროა —
სოხუმის ვარდებს ციმბირის ცა ეუცხოვებათ...
ო, არ იფიქროთ... ეს ისე ვთქვი... მწამს — შესაძლოა —
გამოგონებულ სამყაროში ჩვენი ცხოვრება!

* *

როცა ზურგს უკან ვინმე იცინის...
მე დამცინიან თითქოს ისინი.

რამეზე, რაიც ცხადზე ცხადია.
როცა ბრიყვულად ბჭობენ ბრიყვები —
მორჩილად თავის დახრა მწადია
და ვგრძნობ ,სახეზეც როგორ ვწითლდები.

თუ ხვავრიელად, თვალსასეიროდ
თოვს, ბუქში გასვლას არვინ აპირებს,
ველარ მივდივარ თუ სასეირნოდ —
მინდა ყველასთან ვთქვა — მაპატიეთ!

მაგრამ ცბიერად მე უწინარეს
იმის შეგნებას გულში ვსახავდი,
რომ აქვე ახლოს მოსკოვ-მდინარის
დგას მისი სახლი მკვეთრი ფასადით.

ამაყად, განა მზერა დახრილი,
როცა ქარბუქი თოვლს მიაშვავებს —
ის მოვა ჩემთან, წყნარად ამიხსნის:
მე არაფერში ვარ დამნაშავე!

* *

გთხოვ, დამიჭირო მასზე, რაზეც გვიჭერენ ხშირად —
გაუფრთხილებელ, უმნიშვნელო სიტყვა-ქცევაზე,
სცადე დამტყუო საიდუმლო, რაც ფასობს ძვირად
სიტყვაძვირიც ვარ და ამავ დროს ყბედიც ყველაზე.

და ჩაიწერე მოძებნილი სიმღერა ესე,
— რომელს ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვეძებ და ვეძებ!

* *

გმადლობ, მუსიკავ, ო, მოკრძალებით!..
თუნდაც იმისთვის — მარტო არ მტოვებ,
სახეს ნიღაბით არ იმარტივებ
და არავისგან არ იმალები!

გმადლობ, მუსიკავ, სულის ხარ აფრა,
შენ ერთადერთი ხარ სასწაული,
სული ხარ, განა ჟინი, ხმაური...
გმადლობ! — ულირხარ ზოგსაც არაფრად.

გმადლობ, მუსიკავ, აზრის ჭკვიანის —
არა სიყალბის რომ ხარ მფარავი,
რა მოგიხერხოს ადამიანმა —
ჯერაც არ იცის ქვეყნად არავინ!

* *

ნუ აჩქარდები, მოცდა ინებე!
მალე გაივლის თავსხმა წვიმები...
სულაც სხვა ვინმე მეტყვის ისედაც —
რის თქმაც შენ თვითონ ვერ გაგიბედავს!

ჩუმად, დუმილით იუჩინარე,
ჯერ ხომ ცხოვრება ისევ წინ არი.

გზა გაილევა, ჟამი გვაწვალებს,
ვიდგე ხიფათის ზღურბლთან, მაცალე!

* *

დრო გაივლის და უდაოდ
წარმოთქმული ნალველით —
გაცივდება სამუდამოდ
შენთვის ჩემი სახელი.

დაივიწყებ: შევხვალოდით
ჩვენ ერთმანეთს ოდესღაც...
რას იქმ: უცებ „ქალოდა"
— რომ ვინმესგან მოგესმას!..

* *

მილმა ყველა პარნასთა
და ამაო წვრილმანთა —
ისევ აფანასი ფეტს
და ნეკრასოვს მივმართავ.

ჩემთან ღამეს ათევენ —
ჩემს ყრუ სოფელს წყალობენ,
კლასიკური ლექსებით
აქიმობენ, მწამლობენ.

კვლავ დევნიან ქიმერებს
ფუჭი, უქმი კითხვების,
მჭვირვალე საზომებით
ჩვეულებრივ სიტყვების.

და შვებას ვგრძნობ... ტრამალში
დაფრენს ყინვის ბუმბული,
მთვარის ცივი ნათელით
ვზივარ სულშეგუბული.

* *

შემიბრალე, ნიჭის გარდა
არა მაქვს რა თუკი,
შენ კი ტყავის პალტოცა გაქვს
და ძვირფასი ქურქიც.

შემიბრალე, საარსებოს
ძლივს ვშოულობ სახსარს,
შენ კი მუდამ კმაყოფილი
და მაძღარი ჩანხარ.

შემიბრალე, თავმოდრეკით
გევედრები ამას —
რაც შენა გაქვს — იმისათვის —
ანუ, რაც მე არ მაქვს...

შემიბრალე?... გმადლობ დიდად!
ახლა საცოდავი—
გასწი შენთვის, შეიბრალე
საკუთარი თავი!

* *

დიახ, მე ვცხოვრობ, შენახული ვით მშრალად დენთი,
და სულ მგონია, სადაცაა ვიფეთქებ უცებ,
საკუთარ თავზე ვლებულობ და მოთმენით ვუძლებ —
სიბრიყვეს სხვათა — დამებედა ასეთი ბედი!

ვაფურთხებ მათ კუდს ფარშევანგულს, ამაყად მზრდიდა,
— ეს საუკუნე მეძიძავა კუშტი და მკაცრი,
სალოცავს წმინდას ვეჭვრეტ ყოველთვის წმიდათაწმიდად,
როგორც ყოველი უწმინდური, ცოდვილი კაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

სრულყოფილებას მარად რომ ელტვის —
თავს დამნაშავედ ჩავთვლი ყოველთვის.

ვგრძნობ დანაშაულს: — გუმანს ვენდობი,
— ბედნიერების ან უბედობის,
საქმის — ბრძენთაგან გამონარჩევის —
არცა გვიანის, არც ნაადრევის.

ვგრძნობ დანაშაულს: მონისტირანის,
სენით ძლეულის და ტიფიანის.
იმ ცოდვა-ბრალსაც ჩემად ვასაღებ,
თითქოს ეს ომიც მე გავაჩაღე
განადგურებად ადამიანის.

ვგრძნობ დანაშაულს ყოველთვის ცხადად,
ულონობაა ეს თუ ლონეა! —
როდესაც შენი ტანჯვა და განცდა
ჩემი ტანჯვა და განცდა მგონია!

* *

ახლა, ვით წინათ, არ მაქვს ხალისი
შენთან საუბრის, სულო ცოდვილო,
გიზრახო სიტყვა დასაძრახისი
და კეთილ სიტყვას დავემორჩილო.

შენ შემოგწირე სული, სხეული
და ბოლო დღემდე შემოგახვეწე,
ეს რა მიყავი! — მიტოვებული,
სად გადამკარგე, სად გადამხვეწე!..

ხედავ? — ცირცელის ვიწრო ფურცლები
დაისს ეკვრიან წითელ ლოყებით,
და ჩამოშვავდნენ ჩვენზე ღრუბლები,
ვით ნანგრევები ციურ კოშკების.

* *

ბედნიერებას მეტს სად დაეძებ:
რომ გაგალვიძებს წვიმა-მეკობრე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დააკაკუნებ ნაცნობ კარებზე,
ხოლო გაუღებ შენსას მეგობრებს.

უცხო ქალიშვილს, რომლით ბრუვდები,
რომ ვერ ჰპატიჟებ შენთან სადილად,

მიემგზავრები შორს, კვლავ ბრუნდები,
და გწამს არსებობ, ცხოვრობ ნამდვილად!

კანით თაკარა მზეს რომ შეიგრძნობ
და გულმკერდს ნდომით ნიავს შეუშვერ,

ქვეყნად ყველაფერს თუკი შეიძლებ —
საუკეთესო სახელს შეურჩევ!

□

ფრანც კაფკა

პროცესი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა

თავი პირველი

დაპატიმრება.
საუბარი ფრაუ გრუბახთან.
ფროილაინ ბიურსნერი.

ეტყობა, ვილაცამ ცილი დასწამა იოზეფ კ-ს, რადგან არაფერი დაუშავებია და ერთ მშვენიერ დილას მაინც დააპატიმრეს. ბინის პატრონის, ფრაუ გრუბახის მზარეული ქალი, რომელსაც ყოველდღე, დილის რვა საათზე საუზმე მოჰქონდა მისთვის, ამჯერად არ გამოჩენილა. ამგვარი რამ არასოდეს მომხდარა. კ. მცირე ხანს მოთმინებით აღიჭურვა და ბალიშზე თავმიდებული უყურებდა მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ დედაბერს, რომელიც რაღაცნაირი უჩვეულო ცნობისმოყვარეობით ფანჯრიდან უმზერდა, შემდეგ კი გაოგნებულმა და მოშიებულმა დარეკა ზარი. კარზე იმწამსვე დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა უცხო მამაკაცი, რომელიც ამ ბინაში არასოდეს ენახა. სტუმარი ტანადიც იყო და ძვალმსხვილიც. ტანთ ეცვა შავი, მორგებული კოსტიუმი, რომელსაც გარდა ქამრისა, იმდენი ნაკეცი, ჯიბე, ბალთა და ღილი ჰქონდა, რომ სამგზავრო ტანსაცმელს უფრო ჰგავდა. თუმცა ერთბაშად ვერც მიხვდებოდა კაცი, რა დანიშნულება ჰქონდა ყოველივე ამას, მაგრამ სახმარად ძალზე პრაქტიკული ჩანდა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა კ-მ და საწოლიდან ნახევრად წამოიწია.

მამაკაცმა ყურიც არ შეიბერტყა, თითქოს მისი სტუმრობა ჩვეულებრივ ამბად უნდა მიეჩნიათ და კ-ს მხოლოდ ეს უთხრა:

— თქვენ დარეკეთ?

— ანამ საუზმე უნდა მომიტანოს, — თქვა კ-მ და შეეცადა ჯერჯერობით ხმის ამოუღებლად დაკვირვებოდა და ალღოთი მიმხვდარიყო, ვინ უნდა ყოფი-

ლიყო ეს ვაჟბატონი. მაგრამ ახალმოსულმა თვალი აარიდა მის ხანგრძლივ მზერას, კარისკენ შეტრიალდა, ოდნავ გამოაღო და კარს უკან ვილაცას უთხრა:

— მას სურს, ანამ საუზმე მოუტანოს.

მეზობელ ოთახში სიცილი გაისმა და მაშინვე შეწყდა. ხმის მიხედვით ძნელი მისახვედრი იყო, ერთი კაცი იცინოდა თუ რამდენიმე, და თუმცა უცხო მამაკაცს ისეთი რა უნდა შეეტყო, რაც ადრევე არ იცოდა კ-ს მანამ, თფიციალურ კილოზე მოახსენა:

— ეს შეუძლებელია.

— აი, ახალი ამბავი, — ჩაილაპარაკა კ-მ, საწოლიდან წამოხტა და სწრაფად ჩაიცვა შარვალი. — მინდა ვნახო, ვინ არიან მეზობელ ოთახში და რით გაამართლებს ფრაუ გრუბახი, მყუდროება რომ დამირღვიეს.

ეს კი თქვა, მაგრამ მაშინვე გაუელვა აზრმა, ამგვარი რამ ხმამაღლა არ უნდა დასცდენოდა, რადგან ამით თითქოს ზედამხედველობის უფლებას აძლევდა უცხო მამაკაცს. თუმცა ამჯერად მისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. უცხო მამაკაცმა მაინც სწორად გაიგო მისი აზრი და უთხრა:

— უმჯობესია აქ დარჩეთ.

— მე არც აქ დარჩენა მსურს და არც თქვენთან ლაპარაკი. ვიდრე არ მეტყვით ვინა ხართ.

— თქვენთვის კარგი მინდა, — უთხრა უცნობმა და თვითონვე გაუღო კარი.

მეზობელ ოთახში, სადაც კ. უფრო ნელა გავიდა, ვიდრე სურდა, ერთი შეხედვით ყველაფერი თითქმის ისე გამოიყურებოდა, როგორც წინა საღამოს. ეს გახლდათ ფრაუ გრუბახის საერთო ოთახი. შეიძლება ავეჯით, გადასაფარებლებით, ფაიფურითა და ფოტოსურათებით გამოტენილ ოთახში დღეს ოდნავ მეტი ხალვათობა იყო, ვიდრე სხვა დროს, მაგრამ ამას მაშინვე ვერ შეამჩნევდა კაცი, რადგან გადასხვაფერება უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ ოთახში ღია ფანჯარასთან ვილაც მამაკაცი იჯდა, ჩომელსაც ხელში წიგნი ეჭირა და კ-ს ქვემოდან შესცქეროდა.

— თქვენს ოთახში უნდა დარჩენილიყავით! განა ფრანცმა არ გაგაფრთხილათ?

— გამაფრთხილა, მაგრამ გამაგებინეთ, რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა კ-მ, ახალ ნაცნობს თვალი მოარიდა და ახლა იმას შეხედა, ვისაც ფრანცს ეძახდნენ და კარებში იდგა, მერე კი ისევ სავარძელში მჯდომს მიაპყრო მზერა. ღია ფანჯრიდან ისევ მოჩანდა დედაბერი. ჭეშმარიტად ბებრული ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს ახლა მეორე ფანჯარასთან გადაენაცვლებინა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა ოთახში.

— ფრაუ გრუბახის ნახვა მინდოდა, — თქვა კ-მ და თუმცა მასა და მამაკაცებს შორის საკმაო მანძილი იყო, ისე გაიწია კარისაკენ, თითქოს უნდოდა ხელიდან დასხლტომოდა ორივეს, მაგრამ ამ დროს ფანჯარასთან მჯდარმა მამაკაცმა დაუყვირა:

— არ შეიძლება, — შემდეგ წიგნი მაგიდაზე დააგდო და ფეხზე წამოდგა. —აქედან გასვლის უფლება არა გაქვთ, დაპატიმრებული ბრძანდებით.

— ეტყობა, ასეა, — თქვა კ-მ და იკითხა: — კი მაგრამ, რისთვის?

— ამის ახსნა ჩვენთვის არავის დაუვალებია. შედით თქვენს ოთახში და მოთმინებით აიჭურვეთ. თქვენ წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამარ-

თლის საქმე და თავის დროზე ყველაფერს შეიტყობთ: ისედაც ზედმეტი უფლება მივეცი ჩემს თავს ასე მეგობრულად რომ გელაპარაკებით. მაგრამ, იმედია, ფრანცის გარდა არავინ გვისმენს, ფრანცი კი წესდებას ანგარიშს არ უწევს და თავაზიანად გეპყრობათ. თუ ბედმა კვლავაც ისე გაგიღიმათ, როგორც მცველების შერჩევაში, შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ.

კ-ს უნდოდა დამჯდარიყო, მაგრამ მთელ ოთახში ფანჯრასთან დადგმული სავარძლის გარდა დასაჯდომი ვერაფერი აღმოაჩინა.

— თქვენ არაერთხელ დარწმუნდებით, რომ მართალს გეუბნებით, — თქვა ფრანცმა და ორივე ერთდროულად მიიჭრა კ-სთან. მეორე მამაკაცი კ-ზე ბევრად მაღალი იყო და წამდაუწუმ ხელს ურტყამდა მხარზე. მცველებმა კ-ს ღამის პერანგს დაუწყეს სინჯვა და თან ეუბნებოდნენ, ამიერიდან ბევრად უარესი პერანგის ჩაცმა მოგიწევთ, ამ პერანგს და საერთოდ თქვენს საცვლებს კი შევინახავთ და თუ საქმე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, უკანვე დაგიბრუნებთთ.

— უმჯობესია ჩვენ მოგვცეთ, ვიდრე საწყობში ჩააბაროთ, — განაგრძობდნენ ისინი. — საწყობში ხშირად ნივთებს იპარავენ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, სულ ერთია საქმე დამთავრდება თუ არა, ყველაფერს ყიდიან. ამგვარი პროცესები დიდხანს გრძელდება, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. მართალია, საბოლოოდ საწყობი აგინაზღაურებთ ნივთების საფასურს, მაგრამ, ჯერ ერთი, თანხა თავისთავად უმნიშვნელოა, რადგან ნივთის შეფასებისას გადამწყვეტია ქრთამი და არა მისი ნამდვილი ფასი, მეორეც, გამოცდილებით ვიცით, რომ ფული ყოველწლიურად ხელიდან ხელში გადადის და ილევა.

კ. ყურადღებას არ აქცევდა კაცების ლაპარაკს, განა სულ ერთი არ იყო, ვინ დაეპატრონებოდა თეთრეულს, ჯერჯერობით ვითომც მის საკუთრებად რომ ითვლებოდა? ახლა მთავარი იყო გარკვეულიყო იმ ამბავში, რაც თავს დაატყდა. მაგრამ უცხო მამაკაცების თანდასწრებით ფიქრსაც კი ვერ ახერხებდა ხეირიანად. მეორე მცველი — სხვა ვინ უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა მცველები! — თითქოსდა მეგობრულად წამდაუწუმ მუცლით ეჯახებოდა, მაგრამ როცა კი ახედავდა, თვალში ხვდებოდა სქელი ტანისათვის სრულიად შეუფერებელი ჩამომხმარი გაძვალტყავებული სახე, მსხვილი, გვერდზე მოქცეული ცხვირი. იმასაც ამჩნევდა, თვალით რომ ანიშნებდა რაღაცას მეორე მცველს. მაინც ვინ არიან, რა ხალხია? რაზე ლაპარაკობენ? რომელ უწყებას ეკუთვნიან? კ. ხომ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრობს, ირგვლივ სიმშვიდე სუფევს, ყველა კანონი ძალაშია, ვინ ბედავს თავს დაესხას საკუთარ ბინაში? იგი იმთავითვე როგორღაც იოლად უყურებდა ცხოვრებას და მხოლოდ მაშინ აღიარებდა, საქმე ცუდადაა, როცა უარესი ძნელი წარმოსადგენი იყო. მომავლის დარდი არ ჰქონდა, მაშინაც კი, როცა ყოველმხრივ საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ ახლა გული ეუბნებოდა, ამჯერად ასე არ ივარგებსო. თუმცა მთელი ეს ამბავი იქნებ უხეში ხუმრობაც იყო, რაც ღმერთმა იცის, რისთვის მოიგონეს კოლეგებმა, მასთან ერთად რომ მსახურობენ ბანკში; იქნებ იმიტომ იმასხრეს, რომ დღეს ოცდაათი წელი შეუსრულდა? ნამდვილად ასე იქნება. მცველებს სიცილით რომ შეგებებოდა, მათაც გაეცინებოდათ; ან იქნებ სულაც მებარგულები არიან, ქუჩის კუთხეში რომ დგანან ჩვეულებრივ? ჰგვანან კიდეც მათ. მიუხედავად ამგვარი ფიქრებისა, როგორც კი თვალი შეავლო ფრანცს, გადაწყვიტა ხელიდან არ გაეშვა სულ მცირე უპირატესობაც კი, რაც შეიძლება ამ ადამიანებთან შედა-

რებით ჰქონდა. კ-ს ყველაზე ნაკლებად აფრთხობდა ის ამბავი, რომ შემდეგ ამხანაგები უსაყვედურებდნენ, ხუმრობა არ გცოდნიაო, სამაგიეროდ კარგად ახსოვდა — თუმცა საერთოდ არ სჩვეოდა შეძენილი გამოცდილების ხარჯზე პაუა ესწავლა — ისეთი თავისთავად უმნიშვნელო შემთხვევებიც — როცა მეგობრებისაგან განსხვავებით შეგნებულად არ უწევდა ანგარიშს მოსალოდნელ შედეგებს, დაუდევრად იქცეოდა და ამის გამო საბოლოოდ ისჯებოდა. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, ამჯერად მაინც და თუ ეს კომედიაა, იგი მათ მხარს აუბამს.

მაგრამ ჯერ ხომ თავისუფალია.

— გამატარეთ, — თქვა მან, მცველებს შორის სწრაფად გაიარა და თავის ოთახში შევიდა.

— ეტყობა, გონიერი კაცია, — მოესმა უკნიდან ერთ-ერთი მცველის სიტყვები.

ოთახში შესულმა სწრაფად გამოსწია საწერი მაგიდის უჯრები, სადაც სანიშნო წესრიგი სუფევდა, მაგრამ მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა, აღელვებულმა ვერაფრით ვერ იპოვა საბუთები. ბოლოს მიაგნო ველოსიპედის ფლობისა და ტარების მოწმობას და უკვე აპირებდა მცველებისათვის ეჩვენებინა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ვერაფერი საბუთიაო, კვლავ მიუბრუნდა უჯრებს და მანამდე იქექებოდა, სანამ დაბადების მოწმობა არ აღმოაჩინა. როცა კ. კვლავ დაბრუნდა მეზობელ ოთახში, მოპირდაპირე კარი გაიღო და ზღურბლზე ერთი წამით გამოჩნდა ფრაუ გრუბახი, რომელიც შემოსვლას აპირებდა, მაგრამ როგორც კი კ-ს თვალი მოჰკრა, უმალ შეცბა, ბოდიში მოიხადა, უკან დაიხია და ძალზე ფრთხილად დახურა კარი.

— მობრძანდით, — კ-მ მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. შუა ოთახში გაჩერებულს ხელში საბუთები ეჭირა და შეჰყურებდა კარს, რომელიც აღარ ღებოდა. იგი მცველების შეძახილმა მოიყვანა გონს. ისინი ლია ფანჯარასთან მაგიდას მისხდომოდნენ და კ. იმწამსვე მიხვდა, რომ მის საუზმეს მიირთმევდნენ.

— რატომ არ შემოვიდა? — იკითხა კ-მ.

— უფლება არა აქვს. — უპასუხა მაღალმა მცველმა. — თქვენ ხომ დაპატიმრებული ხართ.

— რას ჰქვია დაპატიმრებული, განა დაპატიმრება ასე ხდება?

— დაიწყეთ ისევ თქვენებური, — თქვა მცველმა და კარაქიანი პური თაფლის ქილაში ამოავლო. — ასეთ კითხვებზე ჩვენ პასუხს არ ვიძლევით.

— პასუხის გაცემა მაინც მოგიწევთ, — უთხრა კ-მ, — აი, ჩემი პიროვნების დამადასტურებელი საბუთები, ახლა კი თქვენი მაჩვენეთ, პირველ რიგში დაპატიმრების ორდერი.

— ღმერთო ჩემო! — თქვა მცველმა, — რატომ ვერ ეგუებით თქვენს მდგომარეობას, რატომ დაგისახავთ მიზნად ტყუილუბრალოდ გაგვაღიზიანოთ ქვეყანაზე ამჟამად თქვენთვის ალბათ ყველაზე ახლობელი ადამიანები!

— ასეა, ასე, დაგვიჯერეთ, — თქვა ფრანცმა და ყავის ფინჯანი, ხელში რომ ეჭირა, პირთან აღარ მიიტანა, ხანგრძლივი, მრავლისმეტყველი, მაგრამ უცნაური მზერა კ-ს მიაპყრო. კ-მ მისდა უნებურად ამგვარივე მზერით უპასუხა ფრანცს, მცირე ხნის შემდეგ კი ისევ თავის საბუთებს დაუბრუნდა და თქვა:

— აი, ჩემი საბუთები.

— რა თავში ვიხლით თქვენს საბუთებს? — წამოიძახა ახლა მესამემ მცველმა. — ბავშვზე უარესად იქცევით. რა გინდათ? ნუთუ გგონიათ, რომ ისეთი დიდი, საშინელი პროცესი, როგორიც თქვენია, მალე დამთავრდება თუ რაღაც მოწმობებზე და დაპატიმრების ორდერზე დაგვიწყებთ დავას? ჩვენ დაბალი რანგის მოხელეები ვართ, მოწმობებისა არაფერი გაგვეგება და თქვენს პროცესთანაც არაფერი გვესაქმება. ჩვენი მოვალეობა მხოლოდ ისაა, დღეში ათი საათი გიდარაჯოთ, ამ საქმისთვის გვიხდიან ფულს. ამის მეტი არაფერი გვეკითხება. თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ ვემორჩილებით, სანამ ვინმეს დააპატიმრებს, ზუსტად ადგენს დაპატიმრების მიზეზსაც და დაპატიმრებულის ვინაობასაც. ამ საქმეში შეცდომა გამორიცხულია. ჩვენი უწყება, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია,— მე კი იქ მხოლოდ ყველაზე დაბალი რანგის მოხელეებს ვიცნობ, — თავად კი არ ეძებს დანაშაულს მოსახლეობაში, არამედ, როგორც ეს კანონში წერია, დანაშაული თვითონ იზიდავს მას და ამის გამო უწყებას ჩვენი, მცველების, დაგზავნა უხდება. ასეთია კანონი. რა შეცდომა შეიძლება იყოს აქ?

— მე ასეთ კანონს არ ვიცნობ, — თქვა კ-მ.

— მით უარესი თქვენთვის, — უთხრა მცველმა.

— ამგვარი კანონი მხოლოდ თქვენს თავში არსებობს, — მიუგო კ-მ. მას სურდა როგორმე ჩასწვდომოდა მცველთა აზრებს, თავის სასარგებლოდ წარემართა, ან თვითონაც გამსჭვალულიყო ამ აზრებით, მაგრამ ამ დროს მცველმა აგდებით უთხრა:

— ამ კანონის ძალას საკუთარ ტყავზე გამოსცდით.

— აი, ხომ ხედავ, ვილემ, მან აღიარა, კანონს არ ვიცნობო და ამავე დროს ამტკიცებს, უდანაშულო ვარო, —ჩაერია საუბარში ფრანცი.

— მართალს ამბობ, მაგრამ ამას ვერაფერს გააგებინებ, — მიუგო ვილემმა.

კ-ს მათთვის ხმა აღარ გაუცია. ნუთუ, ფიქრობდა იგი, ამ უმდაბლეს მოხელეებს — ისინი ხომ თვითონ აღიარებენ უმდაბლესნი ვართო — თავიანთი ლაყბობით უნდა ავაბნევინო თავგზა? ისინი ხომ აშკარად ისეთ ამბებზე ლაპარაკობენ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. თავდაჯერებულნი კი მხოლოდ სიბრიყვის გამო არიან. ჩემი წრის კაცს ორიოდე სიტყვაც რომ ვუთხრა, ყველაფერს გავაგებინებ, ამათთან კი დღედაღამ ლაპარაკითაც ვერაფერს გახდები. კ-მ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მოპირდაპირე სახლში დაინახა დედაბერი, რომელსაც მასზე უფრო ხანდაზმული ბერიკაცი მოეთრია ფანჯარასთან და რომ არ წაქცეულიყო, ხელი მოეხვია. დრო იყო, ბოლო მოღებოდა ამ სანახაობას.

— წამიყვანეთ თქვენს უფროსთან, — მიმართა კ-მ მცველებს.

— მხოლოდ მაშინ, როცა თავად მოისურვებს, მანამდე ვერა, — უპასუხა მცველმა, რომელსაც ვილემი ერქვა და დასძინა:—ახლა კი გირჩევთ თქვენს ოთახში შეხვიდეთ, დამშვიდდეთ და დაელოდოთ უფროსების განკარგულებას. გირჩევთ აგრეთვე უსარგებლო ფიქრით ნუ დაიღლით თავს, ჯობია გონიერებას მოუხმოთ, რადგან დიდ მოთხოვნებს წამოგიყენებენ. თქვენ ისე არ მოგვექეცით, როგორც ჩვენი თავაზიანობით დავიმსახურეთ. ეტყობა, დაგავიწყდათ, ვინც არ უნდა ვიყოთ, ახლა თქვენთან შედარებით მაინც თავისუფალი ადამიანები

ვართ, ეს კი მცირე უპირატესობა როდია. მიუხედავად ამისა, თუ ფული გაქვთ, შეგვიძლია ქუჩის მეორე მხარეს მდებარე კაფედან საუზმე მოგიტანოთ.

კ-ს პასუხი არ გაუცია და ერთხანს ჩუმად იდგა. იგი რომ მეზობელ ოთახში ან წინკარში შევიდეს, შეიძლება მცველებმა ვერც გაბედონ [illegible] ებ. იქნებ ესაა ყველაზე მარტივი გადაწყვეტა ამ ამბისა, ასე [illegible], მაგრამ ხომ შეიძლება ხელი სტაცონ და თუ ერთხელ მოთოკავენ მაშინ იმ უპირატესობასაც დაკარგავს, რასაც გარკვეული თვალსაზრისით მათთან შედარებით ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ამიტომ ამჯობინა კვანძის უფრო საიმედო გახსნას დალოდებოდა, რაც მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას უნდა მოჰყოლოდა. კ. ისე შევიდა თავის ოთახში, რომ არც მას დასცდენია სიტყვა და არც მცველებს.

იგი საწოლზე წამოწვა და პირსაბნიდან ლოყაწითელი ვაშლი აიღო. ვაშლი წუხელის მოიმარაგა საუზმეზე დასაყოლებლად. ახლა მხოლოდ ეს იყო მისი საუზმე. კ-მ ვაშლი მაგრად ჩაკბიჩა და საკუთარი თავი დაარწმუნა, ბინძურ ლამის კაფეში ნაყიდ და მცველების სამადლოდ მოტანილ საუზმეს ისევ ეს ვაშლი სჯობიაო. თავს კარგად, მხნედ გრძნობდა. მართალია, დღის პირველი ნახევარი გააცდინა, ვერ წავიდა ბანკში, სადაც მსახურობდა, მაგრამ მას, საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და დაგვიანებას ადვილად აპატიებდნენ, თუმცა იქნებ უმჯობესია, თავის გასამართლებლად დაგვიანების ნამდვილი მიზეზი თქვას? გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო. ხოლო თუ არ დაუჯერებდნენ, რაც ამ შემთხვევაში გასაგები იქნება, შეუძლია მოწმედ ფრაუ გრუბახი ან მოპირდაპირე სახლში მცხოვრები მოხუცები დაასახელოს, ახლა ალბათ მეორე ფანჯრისაკენ რომ ინაცვლებენ ადგილს. კ-ს უკვირდა, უფრო სწორად, მცველებისა ვერაფერი გაეგო, როგორ მოუვიდათ აზრად, რომ საკუთარ ოთახში შეაგდეს და მარტო დატოვეს, აქ ხომ მას თავისუფლად შეეძლო თავის მოკვლა, მაგრამ იმწამსვე აწონ-დაწონა მდგომარეობა და გაიფიქრა: რა მჭირს თავის მოსაკლავი. ნუთუ ის, რომ გვერდით ოთახში ორი კაცი ზის და ჩემს საუზმეს მიირთმევს? ამის გამო თავის მოკვლა ისეთი უაზრობა იქნებოდა, რომ სდომოდა კიდეც, ამ განზრახვაზე თვითონ უაზრობა აიღებინებდა ხელს; მცველების გონებრივი შეზღუდულობა რომ ცხადზე ცხადი არ ყოფილიყო, შეეძლო ევარაუდა, ისინიც ამ დასკვნამდე მივიდნენ და არავითარ საფრთხეს არ ხედავენ, მარტო რომ დატოვეს. თუ მოისურვებდნენ, შეეძლოთ დაენახათ, როგორ მივიდა იგი კედლის კარადასთან, სადაც საუცხოო არაყი ჰქონდა გადანახული, როგორ გადაჭრა ჯერ ერთი პატარა ჭიქა საუზმის მაგივრად, ხოლო მეორე გასამხნევებლად, მერე მესამეც მიაყოლა, — სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, ვაითუ სიმხნევე დამჭირდესო, თუმცა ასეთი შემთხვევა დაუჯერებელი ეჩვენებოდა.

უეცრად გვერდით ოთახიდან ძახილი მოესმა: „ზედამხედველი გიხმობთ!“ კ-ს ისე შეეშინდა, კბილებს კაწკაწი აუტეხა ჭიქაზე. იგი მხოლოდ შეძახილმა შეაკრთო, მოკლე, წყვეტილმა, ჯარისკაცურმა შეძახილმა, რასაც არაფრით არ მოელოდა მცველი ფრანცისაგან, თვით ბრძანებამ კი პირიქით, დიდად გაახარა.

— როგორც იქნა! — გასძახა მან პასუხად, კედლის კარადა დაკეტა და იმწამსვე გაეშურა მეორე ოთახისაკენ. კართან ორივე მცველს გადააწყდა და ისევ უკან, თავის ოთახში შეაგდეს, თითქოს ასე იყო საჭირო.

— როგორ ბედავთ! — უყვირეს მათ. — პერანგის ამარა გინდათ გამოეცხადოთ ზედამხედველს? იგი თქვენს თავსაც მიაბეგვინებს და არც ჩვენ დაგვაყრის კარგ დღეს!

— დალახვროს ეშმაკმა, გამიშვით! — წამოიძახა კ-მ, რომელიც ამასობაში ტანსაცმლის კარადასთან მიეგდოთ. — კაცს ლოგინში ესხმიან თავს და ახლა იმასაც მოითხოვენ, საზეიმოდ გამოეწყვეო.

— სხვა გზა არ არის, — უთხრეს მცველებმა, რომლებიც კ-ს ყოველ აყვირებაზე შესამჩნევად მშვიდდებოდნენ, სევდაც კი ერეოდათ, რაც ცუ თავგზასაც უბნევდა და გონზეც მოჰყავდა.

— სასაცილო ცერემონიაა! — ჩაიბუზღუნა კ-მ, მაგრამ მაინც დაავლო ხელი სკამზე გადაკიდებულ პიჯაკს და ერთხანს ისე ეჭირა გაშლილი, თითქოს მცველების აზრის გაგება სურდა, თუ ივარგებსო. მათ უარის ნიშნად თავი გაიქნიეს.

— შავი პიჯაკია საჭირო, — უთხრეს მცველებმა. კ-მ ამ სიტყვების გაგონებაზე პიჯაკი იატაკზე დააგდო და თვითონაც არ იცოდა, რა აზრი ჩადო ამ სიტყვებში: „კი მაგრამ, ახლა ხომ არ ირჩევა საქმე“.

მცველებს გაელიმათ, მაგრამ მაინც დაჟინებით გაუმეორეს: შავი პიჯაკია საჭირო.

— რა გაეწყობა, თუ ეს საქმეს დააჩქარებს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — თქვა კ-მ, გააღო ტანსაცმლით გამოტენილი კარადა; დიდხანს იქექებოდა, ბოლოს შეარჩია საუკეთესო შავი კოსტიუმი, რომელიც ისე ადგა ტანზე, რომ ნაცნობების საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. შემდეგ ახალი პერანგიც გამოიღო და გულმოდგინედ შეუდგა ჩაცმას. თან გუნებაში გაივლო, ახლა მე მგონი, აღარაფერი დამაყოვნებს, რაკი მცველებს დაავიწყდათ და არ მაიძულებ მებანავაო. იგი თვალყურს ადევნებდა მათ, იქნებ უეცრად გაახსენდეთო, მაგრამ მცველებს ამგვარი რამ აზრადაც არ მოსდიოდათ, სამაგიეროდ ვილემს არ დავიწყებია ფრანცი ზედამხედველთან გაეგზავნა იმის მოსახსენებლად, კ. იცვამსო.

როცა ჩაცმა მოათავა, კ. ოთახიდან გავიდა და ვილემიც ფეხდაფეხ მიჰყვა უკან. მათ ცარიელი ოთახი გაიარეს და მომდევნო ოთახში შევიდნენ, სადაც უკვე ფართოდ გაეღოთ კარი. კ-მ დანამდვილებით იცოდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ ოთახში ვიღაც მემანქანე, ფროილაინ ბიურსთნერი დასახლდა. ქალიშვილი ძალიან ადრე მიდიოდა სამსახურში, შინ გვიან ბრუნდებოდა და ამიტომ მათ შორის სალამისა და მოკითხვის მეტი არაფერი თქმულა. ახლა კი ფროილაინ ბიურსთნერის პატარა მაგიდა, რომელიც აქამდე საწოლთან იდგა, შუა ოთახში გადაედგათ დაკითხვისათვის და მაგიდასთან ზედამხედველი დამჯდარიყო, ფეხი ფეხზე გადაედო, ცალი მკლავი კი სკამის ზურგზე გადაეკიდა.

ოთახის ერთ კუთხეში სამი ახალგაზრდა კაცი იდგა და ფროილაინ ბიურსთნერის ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ, კედელზე გაკრულ ჭილობში რომ იყო ჩამაგრებული. ღია ფანჯრის სახელურზე ქალის თეთრი კოფთა ეკიდა. მოპირდაპირე ფანჯარას უკვე მოსდგომოდნენ მოხუცები, მაგრამ მათ კიდევ შემატებოდა ერთი მაყურებელი, მათზე ბევრად მაღალი მკერდგაღეღილი მამაკაცი, რომელიც მოხუცების ზურგს უკან იდგა და ყელალ, წაწვეტებულ წვერს ბღუჯავდა და იგრეხდა.

— იოზეფ კ. ბრძანდებით? — ჰკითხა ზედამხედველმა ალბათ უფრო იმიტომ, რომ ყურადღებაგაფანტულ კ-ს მისთვის შეეხედა. კ-მ თავი დაუქნია.

— თქვენ ალბათ ძალიან გაგაკვირვათ ამდილანდელმა ამბავმა? — უთხრა

ზედამხედველმა და ორივე ხელით ისე მისწია თავისკენ მაგიდაზე დალაგებული ნივთები — სანთელი, ასანთი, წიგნი და ნემსების დასაბნევი ბალიში, თითქოს დაკითხვისათვის სჭირდებოდა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ და სასიამოვნო [illegible] შეიპყრო; როგორც იქნა, ჭკვიანი კაცი შეხვდა და შეუძლია საქმეზე ელაპარაკოს. — რა თქმა უნდა, გაკვირვებული ვარ, თუმცა არც ისე ძლიერ.

— არც ისე ძლიერ? — ჰკითხა ზედამხედველმა და ახლა სანთელი შუა მაგიდაზე დადგა, სხვა ნივთებს კი მის ირგვლივ მოუყარა თავი.

— ეტყობა სხვაგვარად გაიგეთ ჩემი სიტყვები, — აჩქარებით დასძინა კ-მ. — მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა... — მაგრამ მან ლაპარაკი შეწყვიტა და თვალით სავარძელს დაუწყო ძებნა. —ხომ შეიძლება დავჯდე? — იკითხა მან.

— წესი არ არის, — უპასუხა ზედამხედველმა.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, — განაგრძო კ-მ სხაპასხუპით, — მართალია, ძლიერ გაკვირვებული ვარ, მაგრამ როცა ქვეყანაზე ოცდაათ წელიწადს ბოგინებ და მარტოს გიხდება თავის გატანა, როგორც ეს მე მარგუნა ბედმა წილად, ძალაუნებურად ეჩვევი ყოველგვარ მოულოდნელობას და გულთან ახლოს არ მიგაქვს; განსაკუთრებით ისეთი ამბები, როგორიც დღევანდელია.

— რატომ მაინცდამაინც ისეთი, როგორიც დღევანდელია?

— მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ყველაფერი რაც მოხდა, ხუმრობად მიმაჩნია! სად გაგონილა ხუმრობით ამდენი დავიდარაბის ატეხა. პანსიონის მდგმურები და თქვენ ყველანი თუ აწრიალდით, ეს ხომ ყოველგვარი ხუმრობის საზღვრებს სცილდება. ამიტომაც არ მინდა იმის თქმა, რომ ეს ხუმრობაა.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა ზედამხედველმა და ასანთის კოლოფში ჩაიხედა, რამდენი ღერი დარჩა შიგო.

— მეორე მხრივ, — განაგრძო კ-მ ყველას გასაგონად, — მას უნდოდა იმ სამი ახალგაზრდა კაცის ყურადღებაც მიეპყრო, ფოტოსურათებს რომ ათვალიერებდნენ, — მეორე მხრივ არ შეიძლება ეს საქმე დიდად მნიშვნელოვანი იყოს. ამ დასკვნამდე იმიტომ მივედი, რომ რაღაცაში მადანაშაულებენ, მაგრამ არაფერი დამიშავებია ისეთი, რის გამოც შეუძლიათ ბრალი დამდონ. თუმცა არსებითი არც ესაა. მთავარია, ვინ მდებს ბრალს, რომელი უწყება აწარმოებს ჩვენს საქმეს? თქვენ მოხელეები ხართ? — მაშინ რატომ არ გაცვიათ ფორმა, თუ ფორმად არ ჩაგთვლით, — მიმართა მან ფრანცს, — თქვენს ტანსაცმელს. რომელიც სამგზავრო ტანსაცმელს უფრო ჰგავს. ამიტომ მე ამ საკითხების გარკვევას ვითხოვ და დარწმუნებული ვარ, როგორც კი გაირკვევა, ჩვენ გულთბილად დავშორდებით ერთმანეთს.

ზედამხედველმა ასანთის კოლოფი მაგიდას დაჰკრა. — მწარედ ცდებით,— თქვა მან, — არც ამ ბატონებს და არც მე არავითარი კავშირი არა გვაქვს ამ საქმესთან, უფრო მეტიც, ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ნამდვილი ფორმაც რომ გვცმოდა, თქვენი საქმე ამის გამო ოდნავადაც არ გაუარესდებოდა. მე იმასაც კი ვერ დაგიდასტურებთ, ბრალს გდებენ თუ არა თქვენ რამეში და საერთოდ არც ვიცი, ხართ თუ არა ბრალდებული. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ დაპატიმრებული ხართ. მეტი მე არაფერი ვიცი. შესაძლოა მცველებმა აქ რაღაც მოჩმახეს. მაგრამ მათ ლაყბობას ყურს ნუ დაუგდებთ. მართალია, კითხვებზე პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ერთ რამეს გირჩევთ — ნაკლებად იფიქრეთ

ჩვენზე და იმაზე, რაც გელით, უმჯობესია მეტი იფიქროთ საკუთარ თავზე. თანაც რატომ ტეხთ ამდენ აურზაურს თქვენი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, გრძნობების აყოლა აფუჭებს იმ საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას, სეერთოდ რომ ახდენთ. ერთი სიტყვით, მეტი თავდაჭერა გმართებთ ლაპარაკის დროს. თითქმის ყველაფერი, რაც აქამდე თქვით, მაინც გასაგები ტენდენციური ქცევის მიხედვით, ორიოდე სიტყვაც რომ გეთქვათ. გარდა ამისა ისეთი არაფერი წამოგცდენიათ, თქვენთვის რომ სახეირო ყოფილიყო.

კ. ზედამხედველს მიაშტერდა. მოწაფესავით ჭკუას აიგებდა კაცი, რომელიც შეიძლება მასზე უმცროსიც კი იყო. გულახდილობისათვის საყვედური დაიმსახურა. ამავე დროს ვერაფერი გაიგო ვერც დაპატიმრების მიზეზსა და ვერც იმ კაცზე, ვინც ამგვარი ბრძანება გასცა. კ. აღშფოთებამ მოიცვა, ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ხელს არავინ უშლიდა. შემდეგ მანჟეტები სახელოებს ქვეშ შემალა, გულისპირი გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა, და როცა სამ ახალგაზრდას ჩაუარა, ჩაილაპარაკა: „რამხელა უაზრობაა!“ ამ სიტყვების გაგონებაზე სამივე ახალგაზრდა მისკენ შემობრუნდა და თანაგრძნობით, მაგრამ მკაცრად შეხედეს. ბოლოს ისევ ზედამხედველის მაგიდის წინ გაჩერდა.

— პროკურორი ჰასტერერი ჩემი კარგი მეგობარია, — თქვა მან, — შეიძლება დავურეკო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ზედამხედველმა, — მაგრამ თუ პირად საქმეზე არაფერი გაქვთ სალაპარაკო, არ მესმის, რა აზრი აქვს დარეკვას.

— რა აზრი? — წამოიძახა კ-მ უფრო გაოგნებულმა, ვიდრე გაბრაზებულმა. — ბოლოს და ბოლოს ვინა ხართ? ეძებთ აზრს და ისეთ უაზრობას სჩადიხართ, წარმოდგენაც კი ჭირს! მოდი და ნუ გაცეცხლდები! ეს ვაჟბატონები ჯერ თავს დამესხნენ, ახლა კი დამსხდარან აქ და უნდათ თავიანთ ჭკუაზე მატარონ. გამომიცხადეთ, დაპატიმრებული ხართო და ახლა მეუბნებით, რა აზრი აქვს პროკურორთან დარეკვასო? კარგი, არ დავრეკავ.

— რატომ, — უთხრა ზედამხედველმა და ხელი გაიშვირა წინკარისაკენ, სადაც ტელეფონი ეკიდა, — დარეკეთ, თუ გნებავთ!

— არა, აღარ მინდა, — თქვა კ-მ და ფანჯარასთან მივიდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრასთან კვლავ შეჯგუფულიყვნენ დედაბერი და მისი ამალა, მაგრამ კ-ს ფანჯარასთან მისვლამ ხელი შეუშალა მშვიდად ეცქირათ. მოხუცები წამოდგომას აპირებდნენ, მაგრამ ისინი მათ უკან მდგარმა მამაკაცმა დააშოშმინა.

— შეხედეთ ერთი, რას გვიყურებენ, — მიმართა კ-მ მეტისმეტად ხმამაღლა ზედამხედველს და მოპირდაპირე ფანჯარაზე მიუთითა. — მოსცილდით ფანჯარას, — გასძახა შემდეგ მოთვალთვალეთ.

სამივემ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მოხუცები მამაკაცის ზურგს ამოეფარნენ და მანაც თავისი დიდი სხეულით ისინი თითქმის მთლიანად დაფარა. მამაკაცს ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ ამ სიშორიდან აბა რას გაიგონებდი! წასვლით მაინც არსად წასულან, თითქოს იმ წამს ელოდნენ, როდის მიეცემოდათ საშუალება, კვლავ შეუმჩნეველად მიახლოვებოდნენ ფანჯარას.

— რა აბეზარი, რა მოურიდებელი ხალხია, — თქვა კ-მ და ოთახისაკენ შემობრუნდა.

ზედამხედველი თითქოს დაეთანხმა, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა

კ-ს, როცა ალმაცერად გახედა. თუმცა, შეიძლება სულაც არ უსმენდა, რადგან ცალი ხელი ისე ბრტყლად დაედო მაგიდაზე, თითქოს თითებს ატარებსო ერთმანეთს. ორივე მცველი ფარდაგადაფარებულ სკივრზე ჩამომჯდარიყო და მუხლებს იზელდნენ. სამი დოინჯშემოყრილი ახალგაზრდა უმიზნოდ იცქირებოდა აქეთ-იქით. ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, როგორიც მიგდებულ დაწესებულებაში იცის.

— ბატონებო! — წამოიძახა კ-მ და ერთი წუთით მოეჩვენა, ყველაფერი მე დამაწვა მხრებზეო. — სახეზე გეტყობათ, ჩემი საქმე დამთავრებულია. ჩემის აზრით, ჯობს ნულარ ჩავუფიქრდებით, თქვენი საქციელი გამართლებულია თუ გაუმართლებელი. ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და მშვიდობიანად დავასრულოთ ეს საქმე. თუ ჩემს აზრს იზიარებთ, მაშინ... — იგი მაგიდას მიადგა და ზედამხედველს ხელი გაუწოდა.

ზედამხედველმა თავი ასწია და გამოწვდილ ხელს ტუჩების კვნეტით შეხედა. კ-ს ერთხანს ეგონა ხელს ჩამომართმევსო, მაგრამ ზედამხედველი წამოდგა, ფროილაინ ბიურსთნერის საწოლზე დაგდებული გახევებული, მრგვალი ქუდი აიღო და ორივე ხელით ისე ფრთხილად დაიხურა, როგორც ეს ახალი ქუდის მორგების დროს იციან.

— რა მარტივად წარმოგიდგენიათ ყველაფერი, —უთხრა კ-ს ზედამხედველმა, — თქვენ ბრძანეთ, საქმე მშვიდობიანად დავამთავროთო? არა, არა. აქედან არაფერი გამოვა. თუმცა არც იმის თქმა მინდა, გული გაიტეხეთ-მეთქი. პირიქით, რა გჭირთ ასეთი? ჯერჯერობით დაპატიმრებული ხართ და მეტი არაფერი. მე მხოლოდ ამის შეტყობინება მევალებოდა. შეგატყობინეთ და ისიც ვნახე, როგორ მიიღეთ ეს ამბავი. დღეისათვის კმარა, შეგვიძლია დროებით გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს. თქვენ ალბათ ბანკში წასვლას მოისურვებთ?

— ბანკში? — იკითხა კ-მ, — მე ხომ დაპატიმრებული ვარ. — კ-მ ეს სიტყვები გამომწვევად წარმოთქვა: თუმცა გააწბილეს და ხელი არ ჩამოართვეს, ამ ადამიანებისაგან სულ უფრო დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზედამხედველი წამოდგა. იგი მათ ეთამაშებოდა. ის კი არადა, განიზრახა, როცა წავიდოდნენ, ალაყაფის კარებამდე გაჰკიდებოდა და ეთხოვა, დამაპატიმრეთო, ამიტომაც გაიმეორა:

— როგორ უნდა წავიდე ბანკში, თუკი დაპატიმრებული ვარ?

— აი, თურმე რა, — უთხრა კართან მისულმა ზედამხედველმა, — ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ. დაპატიმრებული კი ხართ, მაგრამ ხელი არ უნდა შეგეშალოთ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში და საერთოდ თქვენი ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა მიმდინარეობდეს.

— თუ ასეა, პატიმრობა არც ისე ცუდი ყოფილა, — თქვა კ-მ და ზედამხედველს მიუახლოვდა.

— სხვანაირად არც მე მიფიქრია, — უპასუხა ზედამხედველმა.

— მაშინ არც იმის შეტყობინებას ჰქონია აზრი, რომ დაპატიმრებული ვარ, — უთხრა კ-მ და კიდევ უფრო მიუახლოვდა ზედამხედველს. მათ დანარჩენებიც შეუერთდნენ, ყველა ერთ ადგილას, კართან შეჯგუფდა.

— ეს იყო ჩემი მოვალეობა, — თქვა ზედამხედველმა.

— სულელური მოვალეობაა, — უთხრა კ-მ ჯიუტად.

— შეიძლება, —უპასუხა ზედამხედველმა, — მაგრამ არ ღირს ასეთ საუბარზე დროის დაკარგვა. მეგონა, ბანკში გინდოდათ წასვლა. რადგან ყველა

სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებთ, დავსძენ: ბანკში წასვლას არ გაძალებთ, მეგონა თვითონ გინდოდათ წასვლა, ხოლო ამ ნაბიჯის გადადგმა რომ გამეადვილებინა თქვენთვის და ბანკში თქვენი მისვლაც შეუმჩნეველი დარჩენილიყო, აი, ეს სამი ახალგაზრდა კოლეგა აქ მოგგვარეთ.

— როგორ? — იყვირა კ-მ და სამ ახალგაზრდას გაკვირვებულ [illegible] ეს უსახური, უხერხემლო ახალგაზრდები წელან ჯგუფად [illegible] ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ, სინამდვილეში მისი ბანკის მოხელეები აღმოჩნდნენ და არა კოლეგები; კოლეგობას ბევრი უკლდათ, ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ვითომდა ყოვლისმცოდნე ზედამხედველმა ყველაფერი როდი იცოდა. საკვირველია, როგორ ვერ იცნო კ-მ ისინი. როგორ შეიყოლიეს ზედამხედველმა და მცველებმა ისე, რომ ამ სამ ახალგაზრდას ყურადღება არ მიექცია? როგორ ვერ იცნო სარგადაყლაპული რაბენშთაინერი, ხელებს რომ იქნევს წარამარა, ან ეს თვალებჩაცვენილი ქერა ქულიჰი, და ან კიდევ ქამინერი, რომელსაც სახის კუნთები განუწყვეტლივ უთამაშებს და ამის გამო საძაგელი ფიმილი აქვს.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა მათ კ. მცირე ხნის შემდეგ და სამივე ვაჟბატონს ხელი გაუწოდა. მათ თავაზიანად დაუკრეს თავი. — სულ ვერ გიცანით, მაშასადამე, ერთად წავალთ სამსახურში, არა?

ვაჟბატონებმა გაიცინეს და ისეთი მონდომებით დაუკრეს თავი, თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე ამის თქმას ელოდნენო, ხოლო როცა კ-მ ქუდი მოიხადა, ისინი ქუდის მოსატანად მის ოთახში ფაცხაფუცხით გაცვივდნენ, რაც მათ ერთგვარ დაბნეულობაზე მეტყველებდა. კ. ჩუმად იდგა და ორივე მოლიავებულ კარში შეეძლო თვალი გაეყოლებინა მათთვის. ბოლოში, რა თქმა უნდა, გულგრილი რაბენშთაინერი მოექცა, იგი ელეგანტურად მითოხარიკობდა. ქამინერმა ქუდი მოართვა და კ-მ გაიფიქრა, — ეს აზრი ბანკშიც ხშირად სწვევია, — ქამინერი განზრახ კი არ იღიმებოდა ასე, არამედ სხვაგვარად გაღიმება საერთოდ არ შეეძლო. წინკარში ფრაუ გრუბახმა, რომელსაც სრულიად არ ჰქონდა დამნაშავე ადამიანის გამომეტყველება, მთელ ჯგუფს კარი გაუღო და კ-მ ჩვეულებისამებრ თვალი შეავლო მისი წინსაფრის თასმას, რომელიც ყოველთვის ღრმად იყო შეჭრილი ქალის მსუქან სხეულში. ქუჩაში კ-მ დახედა საათს, ხელში რომ ეჭირა და გადაწყვიტა ტაქსი გაეჩერებინა, რათა ნახევარი საათით ისედაც დაგვიანებულს კიდევ უფრო არ დაეგვიანებინა. ქამინერი ქუჩის კუთხისაკენ გაიქცა მანქანის დასაჭერად, დანარჩენი ორი კი აშკარად ცდილობდა კ-. გაერთო. უეცრად ქულიჰმა ხელი გაიშვირა მოპირდაპირე სახლის ალაყაფის კარისაკენ, საიდანაც ის იყო გამოვიდა მაღალი, ჟღალწვერა მამაკაცი და ოდნავ შემცბარმა იმის გამო, რომ მთელი ტანით გამოჩნდა, უკან დაიხია და იქვე კედელს მიეყრდნო. მოხუცები. ეტყობა, ჯერ კიდევ კიბეზე ჩამოდიოდნენ. კ. გაბრაზდა, ქულიჰმა რომ ყურადღება მიექცევინა მამაკაცზე, რომელიც წელან თვითონ დაინახა ფანჯარაში და რომლის გამოჩენას ელოდა კიდეც.

— ნუ იყურებით იქით! — წამოიძახა მან ისე, რომ არ გაუთვალისწინებია, რა გამომწვევია ასეთი კილო მოზრდილ ადამიანებთან ურთიერთობაში. მაგრამ არაფრის ახსნა აღარ დასჭირდა, რადგან ამ დროს ავტომანქანა გაჩერდა, ყველანი ერთად ჩასხდნენ და წავიდნენ. მხოლოდ ავტომანქანაში გაახსენდა კ-ს, რომ ზედამხედველისა და მცველების წასვლა ვერ შეამჩნია, ჯერ იყო და ზედამხედველის გამო ბანკის სამი მოხელე ვერ იცნო. ახლა კი სამი მოხელეს გამ-

ზედამხედველი გაეპარა თვალსა და ხელს შუა. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ სულის სიმხნევე აკლდა და კ-მ გადაწყვიტა უფრო ყურადღებით დაკვირვებოდა საკუთარ თავს. მიუხედავად ამისა, მაინც მოტრიალდა, მანქანიდან თავი გამოყო და ერთხელ კიდევ სცადა თვალი მოეკრა ზედამხედველისა და მცველებისათვის. მაგრამ იმწამსვე გასწორდა, მოხერხებულად მოიკალათა მანქანის კუთხეში და აღარავის მოძებნა აღარ უცდია. გარეგნულად თითქოს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სწორედ ახლა სჭირდებოდა ყველაზე მეტად ვინმე გამოლაპარაკებოდა. ბანკის მოხელეები დაღლილი ჩანდნენ, რაბენშთაინერი მარჯვნივ იყურებოდა, ჭულიჰი მარცხნივ, ლაპარაკის ხასიათზე თითქოს მხოლოდ ულაზათოდ მომღიმარი ქამინერი იყო, მაგრამ კაცთმოყვარე ადამიანი ხომ ვერ იკადრებდა მის აბუჩად აგდებას, აქაოდა, სულ იკრიჭებაო.

ამ გაზაფხულზე კ. საღამოებს ჩვეულებრივ ასე ატარებდა: სამსახურის შემდეგ ხშირად ცხრა საათამდე ბანკში რჩებოდა, ხოლო როცა მოიცლიდა, მარტო ან რომელიმე თანამშრომელთან ერთად სეირნობდა, ბოლოს კი ლუდხანაში შედიოდა და იქაურ თანამეინახეებთან, ხანში შესულ მამაკაცებთან ერთად ღამის თერთმეტ საათამდე უჯდა მაგიდას, ხანდახან ამ განრიგს არღვევდა: ზოგჯერ ბანკის დირექტორი, რომელიც ძალიან აფასებდა კ-ს შრომისმოყვარეობას და მისდამი ნდობით იყო განწყობილი, ავტომანქანით გასეირნებას შესთავაზებდა ან საკუთარ აგარაკზე მიიწვევდა ვახშმად. გარდა ამისა, კ. კვირაში ერთხელ ერთ ქალთან, ელზასთან დადიოდა, რომელიც მთელი ღამე გათენებამდე ღვინის სარდაფში ოფიციანტად მუშაობდა, დღისით კი მხოლოდ საწოლში ღებულობდა სტუმრებს.

მაგრამ ამ საღამოს — მთელმა დღემ დაძაბულ მუშაობაში, ქებასა და მეგობრულ მოლოცვებში სწრაფად ჩაიარა — კ-მ გადაწყვიტა მაშინვე შინ წასულიყო. როგორც კი მუშაობის დროს მცირე ხნით შეისვენებდა, სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა, თვითონაც არ იცოდა, რას გულისხმობდა, მაგრამ რატომღაც ეჩვენებოდა, თითქოს დილით მომხდარმა ამბავმა ფრაუ გრუბახის ბინა ყირაზე დააყენა. და წესრიგსაც მის გარდა ვერავინ აღადგენდა. თუ წესრიგის აღდგენა სახელდახელოდ მოხერხდებოდა, მაშინ დილით მომხდარი ამბის ყოველგვარი კვალი წაიშლებოდა და ყველაფერი ძველი გზით წარიმართებოდა. იმ საძი მოხელისა არ ეშინოდა, რადგან ბანკის მრავალრიცხოვან თანამშრომლებში გაითქვიფნენ და საეჭვოდაც არ იქცეოდნენ. იმ დღეს კ-მ დაკვირვების მიზნით, ისინი რამდენჯერმე გამოიძახა კაბინეტში ცალ-ცალკე და ერთადაც, მაგრამ ყოველთვის კმაყოფილი ისტუმრებდა.

საღამოს ათის ნახევარზე, როცა კ. თავის სახლს მიადგა, ალაყაფის კარებში შეეჩეხა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ფეხები ფართოდ გაედგა და ჩიბუხს ეწეოდა.

— ვინა ხართ? — — ჰკითხა კ-მ იმწამსვე, ყმაწვილს მიუახლოვდა და სახეში შეაშტერდა. ნახევრად ბნელ შესასვლელში ძნელი იყო რაიმეს დანახვა.

— მე ამ სახლის მეკარის ვაჟი ვარ, ბატონო, — უპასუხა ყმაწვილმა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გადადგა.

— მეკარის ვაჟი? — ჰკითხა კ-მ და მოუთმენლად დაჰკრა ჯოხი მიწაზე.

— ბატონო ჩემო, იქნებ რამე გსურთ? მამას დავუძახებ.

— არა, არა, — თქვა კ-მ და მის ხმაში რაღაც შემწყნარებლობის მაგვარი გაისმა, თითქოს ყმაწვილმა რაღაც დააშავა, მან კი აპატია.

— ყველაფერი რიგზეა, — დასძინა კ-მ და გზა განაგრძო, მაგრამ სანამ კიბეზე ავიდოდა, კიდევ ერთხელ შემობრუნდა.

მას შეეძლო პირდაპირ თავის ოთახისაკენ წასულიყო, მაგრამ რადგან ფრაუ გრუბახთან საუბარი სურდა, კარზე დაუკაკუნა. ფრაუ გრუბახს ხელით ნაქსოვი წინდა ეჭირა და მაგიდას მისჯდომოდა. მაგიდაზე ძველი ყელიანი წინდების ვროვა ეყარა. კ-მ დაბნეულად მოიხადა ბოდიში გვიანი სტუმრობისათვის. მაგრამ ფრაუ გრუბახი ძალზე თავაზიანად შეხვდა და არავითარი ბოდიშის გაგონება არ უნდოდა. სასაუბროდ მაშინ მობრძანდით, როცა გნებავთ, კარგად იცით, რომ ჩემი საუკეთესო და უსაყვარლესი მდგმური ბრძანდებითო, უთხრა ფრაუ გრუბახმა. კ-მ ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი ძველებურად ყამოიყურებოდა. ის ჭურჭელიც აელაგებინათ, რითაც დილით საუზმე მოუტანია და ფანჯარასთან პატარა მაგიდაზე დატოვეს. „რას არ გააკეთებს ქალის ხელი", გაიფიქრა კ-მ, თვითონ ალბათ მარტო გატანასაც ვერ მოახერხებდა და მთელ ჭურჭელს დაამსხვრევდა. კ-მ მადლიერების გრძნობით შეხედა ფრაუ გრუბახს და ჰკითხა:

— რატომ მუშაობთ ასე გვიანობამდე? — ახლა ორივენი მაგიდასთან ისხდნენ, კ. დროდადრო წინდების გროვაში აფათურებდა ხელს.

— ბევრი საქმე მაქვს, — თქვა ქალმა, — მთელი დღე მდგმურებს ვუნდები, საკუთარი საქმეების მოსაწესრიგებლად კი მხოლოდ საღამო მრჩება.

— დღეს მე ალბათ ზედმეტი საქმე გაგიჩინეთ, არა?

— როგორ? — ჰკითხა ოდნავ გამოცოცხლებულმა ფრაუ გრუბახმა და წინდა მუხლებზე დაიდო.

— იმ მამაკაცებზე მოგახსენებთ, ამ დილით რომ იყვნენ აქ.

— აი, თურმე რა, — თქვა ქალმა და ისევ დამშვიდდა. — ამ ამბის გამო ზედმეტი საქმე სულაც არ გამჩენია.

კ. მდუმარედ უყურებდა, ფრაუ გრუბახმა ხელახლა როგორ აიღო წინდა ხელში. „მგონი, გაკვირვებულია, ამ ამბავზე რომ ჩამოვუგდე საუბარი, — გაიფიქრა კ-მ — და მგონი, უადგილოდაც მიაჩნია ამაზე ლაპარაკი. თუ ასეა, დიახაც მართებულად ვიქცევი. მხოლოდ ასეთ ხანდაზმულ ქალს შემიძლია ვუთხრა სათქმელი".

— რას ბრძანებთ, საქმე როგორ არ გაგიჩინეთ? — თქვა კ-მ. — მაგრამ ამგვარი რამ ალარ განმეორდება.

— დიახ, — ამგვარი რამ არ შეიძლება განმეორდეს,—დაუდასტურა ფრაუ გრუბახმა თავგამოდებით და კ-ს ოდნავ ნაღვლიანად გაულიმა.

— თქვენ მართლა ასე ფიქრობთ? — ჰკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა ქალმა ჩუმად, — მაგრამ მთავარია, ეს ამბავი გულთან ახლოს არ მიიტანოთ. ქვეყანაზე რა არ ხდება! რადგან ასე გულახდილად მესაუბრებით, გამოგიტყდებით, ბატონო კ., კართან მიყურადებულმა ცოტა რამ გავიგონე, ზოგიც მცველებმა მიამბეს. საქმე თქვენს ბედს ეხება, მე კი თქვენზე მართლა შემტკივა გული. შეიძლება იმაზე მეტადაც, ვიდრე უფლება მაქვს. მე ხომ მხოლოდ დიასახლისი ვარ თქვენი. ჰოდა, რაღაც-რაღაცებს მოვკარი ყური და ვერ ვიტყვი, საქმე ძალიან ცუდადაა-მეთქი. არა, მართალია, დაპატიმრებული ბრძანდებით, მაგრამ ჭურდივით კი არ დაგაპატიმრეს. საქმე მაშინაა ცუდად, როცა ჭურდივით გიჭერენ, მაგრამ თქვენი დაპატიმრება... ამ ამბავში არის რაღაც მეცნიერული, მაპატიეთ თუ სისულელეს ვროშავ, აქ მართლაც არის რაღაც

მეცნიერული. შეიძლება მე ამისა არაფერი გამეგება, მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაგები.

— რაც თქვენ ბრძანეთ, სისულელე როდია, ფრაუ გრუბახ, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მეც ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ ამ ამბავს მე თქვენზე მკაცრად ვუყურებ. ამ საქმეში არათუ მეცნიერულს, საერთოდ ვერაფერს ვერ ვხედავ. მოულოდნელად დამესხნენ თავს, ესაა და ეს. გაღვიძებისთანავე, რომ ლოგინიდან ავმდგარიყავი, თანაც თავგზა არ დამბნეოდა, ანამ საუზმე არ მომიტანა-მეთქი, არ მიმექცია ყურადღება იმათთვის, ვინც გზა გადამიღობა, პირდაპირ თქვენთან მოვსულიყავი და ამ ერთხელ მაინც სამზარეულოში მესაუზმა, თქვენთვის კი მეთხოვა, ჩემი ოთახიდან ტანსაცმელი გამოგეტანათ, ერთი სიტყვით, გონივრულად რომ მოვქცეულიყავი, არაფერი მოხდებოდა, ყველაფერი ჩანასახშივე ჩაიხშობოდა. მაგრამ წინასწარ არავინ არაფრისთვის არ არის მომზადებული. მაგალითად, ბანკში ვაგლახად არავის დავეჩავკრინები, შეუძლებელია, იქ ასეთი რამ დამემართოს, მყავს საკუთარი შიკრიკი, მაგიდაზე ქალაქისა და შიდა ტელეფონი მიდგას. ყოველ წუთს მომდიან და გადიან როგორც კლიენტები, ასევე ბანკის თანამშრომლები. გარდა ამისა, ჩაფლული ვარ საქმეში, რაც სულის სიმტკიცეს მოითხოვს, იქ რომ ასეთი ამბავი დამმართოდა, უბრალოდ სიამოვნებას მომანიჭებდა, მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა, აღარც კი მსურს ამაზე ლაპარაკი, მე მხოლოდ თქვენი აზრის გაგება მინდოდა, გონიერი ქალის აზრისა და ძალიან მიხარია, რომ ამ ამბავზე ჩვენ ერთნაირი შეხედულებისა ვართ. ახლა კი მინდა ხელი გამოგიწოდოთ. ასეთი ერთსულოვნება ხელის ჩამორთმევით უნდა განმტკიცდეს.

„საინტერესოა, გამომიწვდის ხელს თუ არა? ზედამხედველმა ხომ არ გამომიწოდა", — გაიფიქრა კ-მ და დიასახლისს სხვაგვარი, გამომცდელი თვალით შეხედა. ფრაუ გრუბახი წამოდგა, რადგან მასზე ადრე კ. ადგა. ქალი ოდნავ დარცხვენილი ჩანდა იმის გამო, რომ კ-ს ნათქვამიდან ბევრი რამ ვერ გაეგო. ამგვარმა დაბნეულობამ კი ათქმევინა რაღაც ისეთი, რის თქმაც სრულიად არ უნდოდა და ამიტომ მისი ნათქვამი, ძალზე უადგილო აღმოჩნდა:

— ნუ მიიტანთ ყოველივე ამას ასე ახლოს გულთან, ბატონო კ., — თქვა ქალმა ცრემლმორეული ხმით და, რა თქმა უნდა, ხელის ჩამორთმევა დაავიწყდა.

— თითქოს არც მიმაქვს არაფერი გულთან, — თქვა კ-მ., უეცრად დაღლილობა იგრძნო და მიხვდა, ამ ქალის მხარდაჭერას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის.

— ფროილაინ ბიურსთნერი თუა შინ? — იკითხა კართან მისულმა კ-მ.

— არა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა და ეს მშრალი ცნობა დაგვიანებული, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი გონივრული ღიმილით შეარბილა. — თეატრშია, იქნებ გჭირდებათ? გადავცე რამე?

— არა, მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა მისთვის.

— სამწუხაროდ, არ ვიცი, როდის დაბრუნდება, თეატრიდან ჩვეულებრივ გვიან მოდის.

— არა უშავს, — თქვა კ-მ და თავდახრილი შებრუნდა კარისაკენ, — მე მხოლოდ მინდოდა ბოდიში მომეხადა იმის გამო, რომ დღეს მის ოთახში შევიჭერი.

— რა საჭიროა ბოდიშის მოხდა, ბატონო კ., თქვენ მეტისმეტად მორიდებული ბრძანდებით, ფროილაინ ბიურსთნერმა ხომ დილანდელ ამბავზე არა-

ფერი იცის, ადრე გასული ჯერაც არ დაბრუნებულა შინ. გარდა ამისა, ოთახში ყველაფერი მილაგებულია, თუ გნებავთ, თვითონ ნახეთ, უთხრა ფრაუ-გრუბახმა და ფროილაინ ბიურსთნერის ოთახის კარი საკუთარი ხელით გაუღო.

— გმადლობთ, თქვენი ისედაც მჯერა, — უპასუხა კ-მ, მაგრამ, მაინც მივიდა ღია კართან. მთვარე მშვიდად ანათებდა ბნელ ოთახს. რამდენადაც ამის დანახვა შესაძლებელი იყო, ოთახში მართლაც ყველაფერი თავის ალაგას იყო, კოფთაც კი აღარ ეკიდა ფანჯრის სახელურზე. განსაკუთრებით აკოკოლავებული ჩანდა საწოლზე დაწყობილი ბალიშები, რომელთაც მთვარის შუქი ნაწილობრივ ეცემოდა.

— ფროილაინ ბიურსთნერი ხშირად ბრუნდება შინ გვიან? — თქვა კ-მ და ისე შეხედა ფრაუ გრუბახს, თითქოს მდგმურის წასვლა-მოსვლა მას ეკითხებოდა.

— ასე ცხოვრობს ყველა ახალგაზრდა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა ისე, თითქოს ქალიშვილს ამართლებდა.

— გასაგებია, გასაგებია, — თქვა კ-მ., მაგრამ ასე შეიძლება შორს შეტოპოს.

— ადვილი შესაძლებელია, — თქვა ფრაუ გრუბახმა, — იცით, ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდებით, ბატონო კ. რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არა მაქვს, ცილი დავწამო ფროილაინ ბიურსთნერს, იგი კარგი, საყვარელი, თავაზიანი, წესიერი, გულმოდგინე, შრომისმოყვარე ქალიშვილია, მის ამ თვისებებს ძალიან ვაფასებ, მაგრამ ერთ რამეში მართალი ბრძანდებით, მეტი სიამაყე, მეტი თავდაჭერილობა მართებს. ამ თვეში უკვე მეორეჯერ ვნახე მიყრუებულ ქუჩებში და ორჯერვე სხვადასხვა ვაჟბატონთან. ღმერთს გეფიცებით, ძალიან არ მსიამოვნებს ეს ამბავი, ბატონო კ., ყოველივე ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით, მაგრამ, ეტყობა, მასთან ლაპარაკიც არ ამცდება,თუმცა მარტო ამის გამო არ ვუყურებ ეჭვის თვალით.

— რა ძალიან ცდებით, — კ. ისე გაცხარდა, რომ თავს ძლივს იკავებდა, — და საერთოდ თქვენ ძრასწორად გაიგეთ ჩემი სიტყვები ფროილაინ ბიურსთნერზე, სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა. გულწრფელად გაფრთხილებთ, ფროილაინ ბიურსთნერს ნურაფერს ეტყვით. როგორ მოტყუვდით; მე ძალიან კარგად ვიცნობ მას, თქვენს ნათქვამში სიმართლის ნატამალიც კი არ ურევია. თუმცა, იქნებ ბევრის უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, ვინ მეკითხება, უთხარით, რაც გნებავთ, ღამე მშვიდობისა.

— ბატონო კ., — მუდარით გაეკიდა ფრაუ გრუბახი კ-ს, რომელსაც უკვე თავისი ოთახის კარი გამოეღო, — სულაც არ ვაპირებ ახლავე დაველაპარაკო ფროილაინ ბიურსთნერს, რა თქმა უნდა, ჯერ თვალყური უნდა ვადევნო, მე ხომ მხოლოდ თქვენ გაგიმხილეთ ის, რაც ვიცი. ბოლოს და ბოლოს ყველა მდგმურს სურს, პანსიონში სისუფთავე სუფევდეს და მეც მხოლოდ ეს სურვილი მამრძავებს.

— სისუფთავე? — იკითხა კ-მ ახლა უკვე კარის ღრიჭოდან, — თუ მართლა გინდათ თქვენს პანსიონში სისუფთავე სუფევდეს, ყველაზე ადრე მე უნდა დამითხოვოთ. — კ-მ კარი მიაჯახუნა და მორიდებულ კაკუნს ყურადღება აღარ მიაქცია.

კ-ს სულაც არ ეძინებოდა, ამიტომ გადაწყვიტა არ დაწოლილიყო და ამჯერად მაინც დაედგინა, როდის დაბრუნდება ფროილაინ ბიურსთნერი შინ.

იქნებ ამ უდროო დროს მაინც მოახერხოს და გამოელაპარაკოს ქალიშვილს. როცა ფანჯარაში გადაეყუდა და დაღლილი თვალები მოჭუტა, ერთი წუთით ისიც კი გაიფიქრა, ფრაუ გრუბახი დაესაჯა და ფროილაინ ბიურსთნერი დაეყოლიებინა, ერთად გადასულიყვნენ ამ სახლიდან. მაგრამ [illegible] ეჩვენა, რომ ყველაფერს მეტისმეტად აზვიადებს და ეჭვიც კი შეეპარა [illegible] გამოცვლა ამ დილით მომხდარი ამბის გამო მსურს ალბათო. ამაზე უფრო უაზრო და რაც მთავარია, უსარგებლო და უხამსი რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

როცა ცარიელი ქუჩის თვალიერება მობეზრდა, დივანზე წამოწვა, მაგრამ მანამდე კარი ოდნავ გამოაღო, რათა დივანიდან წამოუდგომლად დაენახა ბინაში ყველა შემომსვლელი. დაახლოებით თერთმეტ საათამდე მშვიდად იწვა და სიგარას ეწეოდა. მაგრამ შემდეგ მოუთმენლობამ შეიპყრო და წინკარში გავიდა, თითქოს ამით ფროილაინ ბიურსთნერის მოსვლას დააჩქარებდა. მაინცდამაინც დიდად არ სურდა მისი ნახვა, იმასაც კი ვერ იხსენებდა ხეირიანად, როგორ გამოიყურებოდა, ფროილაინ ბიურსთნერი, მაგრამ მასთან საუბარი უნდოდა და აღიზიანებდა ის ამბავი, რომ მისი დაგვიანების გამო დღის ბოლოც კი მოუსვენრობითა და უწესრიგობით იყო აღსავსე. ქალიშვილს იმასაც აბრალებდა, რომ დღეს ვერ ივახშმა და ვერ წავიდა ელზასთან; მასთან სტუმრობა ხომ დღეისათვის ჰქონდა გათვალისწინებული. თუმცა, იმის ანაზღაურება,რაც დააკლდა, არ გაუჭირდებოდა; ყოველ წუთს შეეძლო წასულიყო იმ ღვინის სარდაფში, სადაც ელზა მუშაობდა. სწორედ ასე მოიქცევა, როგორც კი ფროილაინ ბიურსთნერს დაელაპარაკება.

თორმეტის ნახევარი გადასული იყო, როცა კიბეზე ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა .დაფიქრებული კ. ისე მძიმედ დააბიჯებდა წინკარში, თითქოს მისი ოთახი ყოფილიყო, მაგრამ ფეხის ხმის გაგონებისთანავე საკუთარ ოთახში შეეარდა. ფროილაინ ბიურსთნერი შინ დაბრუნდა. სანამ ბინის კარს ჩაკეტავდა, შემცივნებული კიდევ უფრო მაგრად გაეხვია ვიწრო მხრებზე წამოსხმულ აბრეშუმის შალში. ერთი წუთიც და თავის ოთახში შევიდოდა, სადაც კ-ს ამ შუაღამისას შესვლის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ ახლავე უნდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ საუბედუროდ, ოთახში სინათლის ანთება დაავიწყდა და ახლა რომ ბნელი ოთახიდან გამოსულიყო, ეს თავდასხმას ემგვანებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქალიშვილს ძალიან შეეშინდებოდა. დაბნეულმა და დამფრთხალმა, დრო არ დაკარგოო, ქალიშვილს კარის ღრიჭოდან წასჩურჩულა: — ფროილაინ ბიურსთნერ! — მის ხმაში მუდარა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ძახილი.

— ვინა ხარ? — იკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა და ფართოდ გახელილი თვალებით ირგვლივ მიმოიხედა.

— მე ვარ, — უპასუხა კ-მ და ოთახიდან გამოვიდა.

— აჰ, ბატონო კ.! საღამო მშვიდობისა, — ღიმილით მიეგება ფროილაინ ბიურსთნერი და ხელი გაუწოდა.

— რამდენიმე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი, დამრთავთ ახლა ამის ნებას?

— ახლა? — იკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა,— მაინცდამაინც ახლა? ცოტა უცნაურია, არა?

— მე ცხრა საათიდან გელოდებით.

— თეატრში ვიყავი, აბა რა ვიცოდი, რა განზრახვა გქონდათ.

— საქმე ისა, რომ ჩვენი საუბრის საბაბი სწორედ დღეს წარმოიშვა.

— თუ ასეა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მხოლოდ ესაა, რომ ადგილ-ლობისაგან ძლივს ვდგავარ ფეხზე. შემოდით რამდენიმე წუთით ჩემს ოთახში. აქ არაფრით არ შეიძლება ლაპარაკი, ყველას გავაღვიძებთ, სხვებზე დიდად არ ვწუხვარ, ჩვენვე აღმოვჩნდებით უხერხულ მდგომარეობაში. ერთი წუთით დაიცადეთ, ჩემს ოთახში სინათლეს ავანთებ, შემდეგ კი ეს სინათლე ჩააქრეთ.

კ. ...ეც მოიქცა და მანამდე არ დაძრულა ადგილიდან, სანამ ფროილაინ ბიურსთნერმა კიდევ ერთხელ არ დაუძახა თავის ოთახიდაან ჩურჩულით, შემოდითო.

— დაბრძანდით, — უთხრა ქალიშვილმა და დივანზე მიუთითა, ხოლო თვითონ საწოლის საზურგესთან გაჩერდა, თუმცა სულ ახლახან თქვა, დაღლილი ვარო. ყვავილებით მორთულ-მოკაზმული პატარა ქუდიც არ მოუხდია. — აბა, ბითხარით ახლა, რა გინდათ? ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებ, — უთხრა ქალმა და ფეხები ოდნავ გადააჯვარედინა.

— ალბათ იტყვით, ეს საქმე არც ისეთი გადაუდებელი ყოფილა და შეიძლებოდა სხვა დროს გვემსჯელა ამაზეო, მაგრამ...

— შესავლის მოსმენა არ მიყვარს, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— ეს ამოცანას მიიოლებს, — უთხრა კ-მ. — ამ დილით, ნაწილობრივ ჩემი მიზეზი თქვენი ოთახი ცოტათი არივ-დარიეს, ეს მოხდა ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და ჩაიდინეს უცხო ადამიანებმა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ბრალი მე მიმიძღვის. სწორედ ამის გამო მინდოდა ბოდიში მოგეხადა.

— ჩემი ოთახი? — ჰკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა და ოთახი კი არა, კ. შეათვალიერა გამომცდელი თვალით.

— დიახ, — თქვა კ-მ და ამჯერად ორივემ პირველად შეხედა ერთმანეთს თვალებში, — მაგრამ იმაზე ლაპარაკი, რა როგორ მოხდა, არ ღირს.

— ყველაზე საინტერესო სწორედ ესაა, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— არა, საინტერესო აქ არაფერია, — უპასუხა კ-მ.

— რა გაეწყობა, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა,— თქვენს საიდუმლოებაში არ ჩავერევი, რაკი ამტკიცებთ, რომ ეს საინტერესო არაა, თქვენთან კამათს არ ვაპირებ. რადგან მთხოვთ, სიამოვნებით გაპატიებთ ყველაფერს, მით უმეტეს, რომ აქ არეულ-დარეულობის ვერავითარ კვალს ვერ ვხედავ.

ქალმა დოინჯი შემოიყარა, მთელი ოთახი შემოიარა და უეცრად ფოტოსურათებიან ჭილობთან შეჩერდა.

— შეხედეთ ერთი! — წამოიძახა მან. — ჩემი ფოტოსურათები მართლაც აურ-დაურევიათ, რა უხამსობაა ,ეტყობა, აქ ნამდვილად დაპარპაშებდა ვიღაც, რა უფლებით?

კ-მ თავი დაუქნია და გუნებაში შეაჩვენა ქამინერი იმის გამო, რომ ასეთი უნიათოა და ნიადაგ უთავბოლოდ, უაზროდ ფუსფუსებს.

— საოცარია, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა, — მე მიხდება აგიკრძალოთ ის, რაც თქვენ თვითონ უნდა აგეკრძალათ საკუთარი თავისთვის, კერძოდ, ჩემს აქ არყოფნის დროს ჩემს ოთახში არ უნდა შემოსულიყავით.

— აკი აგიხსენით, ფროილაინ, — თქვა კ-მ და ისიც მივიდა ფოტოსურათებიან ჭილობთან, — მე არ მოვპყრობივარ თქვენს ფოტოსურათებს უდიერად, მაგრამ რადგან ჩემი არ გჯერათ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ საგამომძი-

ებლო კომისიამ თან მოიყვანა ბანკის სამი მოხელე და ერთმა მათგანმა, პირველი შემთხვევისთანავე გავაძევებ ბანკიდან, — სურათებს დაუწყო თვალიერება. დიახ, აქ იყო საგამომძიებლო კომისია, — დასძინა კ-მ, რადგან ფროილაინ ბიურსთნერი ეჭვის თვალით უყურებდა.

— თქვენს გამო? — ჰკითხა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— დიახ, — უპასუხა კ-მ.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ფროილაინ ბიურსთნერმა და გ ცინა.

— რატომაა შეუძლებელი, — ჰკითხა კ-მ, — თქვენ გგონიათ უდანაშაულო ვარ?

— უდანაშაულო... აბა, რა გითხრათ, — უთხრა ქალიშვილმა, — არ მინდა ახლავე გამოვთქვა ჩემი აზრი, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. გარდა ამისა, არც ისე ახლოს გიცნობთ. კაცს მძიმე დანაშაული უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომ საგამომძიებლო კომისია კარზე მიაყენონ. მაგრამ რადგან თავისუფალი ხართ — ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდეზე გეტყობათ, ციხიდან არ გამოქცეულხართ — არ შეიძლება მძიმე დანაშაული გქონდეთ ჩადენილი.

— დიახ, — თქვა კ-მ, — მაგრამ საგამომძიებლო კომისიას ხომ შეეძლო დაედგინა, რომ დამნაშავე არა ვარ, ყოველ შემთხვევაში, არც ისეთი დამნაშავე, როგორც ეგონათ.

— რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელია, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა მეტისმეტად თავაზიანად.

— ხომ ხედავთ, — თქვა კ-მ, — მართლმსაჯულების დარგში თქვენ გამოცდილება გაქვთ.

— მართალია, მაქვს, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა, — და ხშირად ვნანობ კიდეც, რადგან მინდა ყველაფერი ვიცოდე, სასამართლო საქმეები კი ყველაზე მეტად მაინტერესებს. სასამართლოს თავისებური მიმზიდველობის ძალა აქვს არა? მე უსათუოდ შევივსებ ცოდნას ამ დარგში, რადგან მომავალი თვიდან ერთი ვექილის კანტორაში ვიწყებ მუშაობას კანცელარიის თანამშრომლად.

— ძალიან კარგი, — თქვა კ-მ, — ამ შემთხვევაში ცოტას მაინც დამეხმარებით ჩემი პროცესის წარმართვაში.

— ადვილი შესაძლებელია, — თქვა ფროილაინ ბიურთსნერმა, — რატომაც არა? ძალიან მიყვარს, როცა ცოდნას ვიყენებ ცხოვრებაში.

— მე სერიოზულად გელაპარაკებით, — თქვა კ-მ. — ან ყოველ შემთხვევაში, თქვენსავით ნახევრად სერიოზულად. ეს საქმე ისე უმნიშვნელოა, რომ ვექილის დაქირავება არ ღირს, მაგრამ მრჩეველი მართლაც შეიძლება დამჭირდეს.

— კი მაგრამ ,თუ თქვენი მრჩეველი ვიქნები, ხომ უნდა ვიცნობდე საქმის ვითარებას, — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, —უპასუხა კ-მ, — თავადაც რომ არაფერი ვიცი.

— მაშ, მასხარად მიგდებთ, — წამოიძახა ფროილაინ ბიურსთნერმა გულგატეხილი ადამიანივით, — რა საჭირო იყო ამისათვის ასეთი გვიანი დრო შეგერჩიათ. — ქალიშვილი მოშორდა ფოტოსურათებიან კედელს, სადაც აქამდე ერთად იდგნენ.

— რას ბრძანებთ, ფროილაინ, — თქვა კ-მ, — რა მეხუმრება, რატომ

არ გჯერათ? მე თქვენ ყველაფერი გითხარით, გითხარით იმაზე მეტიც, რაც ვიცი. სინამდვილეში არავითარი საგამომძიებლო კომისია არ მოსულა, ეს მე დავარქვი მათ ასე, რადგან სხვა ვერაფერი მოვიგონე. საერთოდ არავითარი გამოძიება არ ჩატარებულა, უბრალოდ, აქ რაღაც კომისია მოვიდა და დამაპატიმრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივანზე ჩამომჯდარ ფროილაინ ბიურსთნერს კვლავ გაეცინა.

— მაინც როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — ჰკითხა კ-ს.

— საშინელებაა! — თქვა კ-მ და მოეშვა იმაზე ფიქრს, რაც დილით მოხდა, რადგან ფროილაინ ბიურსთნერის გარეგნობამ მოხიბლა: ქალიშვილი იდაყვით დივანის ბალიშში ჩაფლულიყო, სახე იმავე ხელზე დაეყრდნო, ხოლო მეორე ხელს ნაზად ისვამდა თეძოზე.

— მეტისმეტად ზოგადი სურათი დამიხატეთ, — უთხრა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— მეტისმეტად ზოგადი? — გაიკვირვა კ-მ, შემდეგ რაღაც გაახსენდა და ჰკითხა: — გინდათ გაჩვენოთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — მას სურდა ემოძრავა, რაღაც გაეკეთებინა, ოღონდ აქედან არსად წასულიყო.

— მე ისედაც დაღლილი ვარ, — უპასუხა ფროილაინ ბიურსთნერმა.

— გვიან მობრძანდით, — უთხრა კ-მ.

— ეგღა მაკლდა. მსაყვედურობთ კიდეც, თუმცა ახია ჩემზე, არ უნდა შემომეშვით ოთახში, თანაც, როგორც გამოიცვა, ეს არც ისე აუცილებელი ყოფილა.

— რას ჰქვია აუცილებელი არ ყოფილა, ახლავე დაგანახვებთ, შეიძლება გადმოვდგა აი, ეს მაგიდა, საწოლთან რომ დგას?

— ეგ რამ გაფიქრებინათ? — თქვა ფროილაინ ბიურსთნერმა. — რა თქმა უნდა, არა!

— მაშინ ვერც ვერაფერს გიჩვენებთ, — თქვა კ-მ ისეთი გულისტკივილით, თითქოს დიდი უსიამოვნება მიაყენესო.

— აჰ, თუ თვალსაჩინოებისათვის გჭირდებათ, გადადგით მაგიდა, სადაც გნებავთ, — უთხრა ფროილაინ ბიურსთნერმა და მცირე ხნის შემდეგ მისუსტებული ხმით დასძინა: — ისე ვარ დაღლილი, რომ ზედმეტ უფლებას გაძლევთ და ეს არ ვარგა.

კ-მ მაგიდა შუა ოთახში დადგა და მიუჯდა.

— თქვენ სწორი წარმოდგენა უნდა შეგექმნათ. ვინ სად იჯდა ან იდგა, ეს ძალზე საინტერესოა. მე ზედამხედველი ვარ, იქ სკივრზე ორი მცველი ჩამომჯდარა, აქ ფოტოსურათებთან სამი ახალგაზრდა კაცი დგას, ფანჯრის სახელურზე, ამას სხვათაშორის ვამბობ, თეთრი კოფთა ჰკიდია და აი, იწყება. მართლა, სულ დამავიწყდა საკუთარი თავი, მთელი ამ ამბის მთავარი მოქმედი პირი, მე აქ, მაგიდის წინ ვდგავარ. ზედამხედველი მეტისმეტად მოხერხებულად ზის. ფეხზე ფეხზე გადაუდვია, ხელი სკამის ზურგზე გადაუკიდებია. ამგვარ ხეპრეს იშვიათად შეხვდებით. აი, ახლა კი მართლა იწყება ყველაფერი. ზედამხედველი ისეთი ხმით მეძახის, თითქოს უნდა გამაღვიძოს, ლამის ბღავის; სამწუხაროდ, რომ გაგაგებინოთ, რა როგორ იყო, მეც უნდა ვიყვირო. თუმცა უნდა ითქვას, იგი მხოლოდ ჩემს სახელს გაჰყვიროდა.

ფროილაინ ბიურსთნერმა საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა სიცილით და კ-ს ანიშნა, არ იყვიროთო, მაგრამ გვიანღა იყო, კ. ისე შევიდა როლში,

რომ ნელა და გაბმით დაიყვირა: „ეიოზეფ კ!“. მართალია, ეს ყვირილი არც ისე ხმამაღლა გამოუვიდა, როგორც იმუქრებოდა, მაგრამ მთელ ოთახს კი მოედო.

ამ დროს მეზობელი ოთახის კარზე რამდენჯერმე დააკაკუნეს ძლიერად, წყვეტილად და გაბმით. ფროილაინ ბიურსთნერი გაფითრდა, ხელი გულზე მიიდო. ამის გამო კ. კიდევ უფრო დაფრთხა, რადგან მთელი ამ ხნის მანძილზე დილანდელ ამბებზე ფიქრობდა და უნდოდა, რაც შეიძლება ზუსტად წარმოედგინა ქალიშვილისათვის. როგორც კი გონს მოეგო, ფროილაინ ბიურსთნერთან მიიჭრა, ხელში სწვდა და ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გეშინიათ! ყველაფერს მოვაგვარებ. მაგრამ ნეტავ ვინ დააკაკუნა? გვერდით საერთო ოთახია, სადაც არავინ არ იძინებს.

— როგორ არა, — ყურში ჩასჩურჩულა ფროილაინ ბიურსთნერმა კ-ს, — გუშინდლიდან საერთო ოთახში სძინავს კაპიტანს, ფრაუ გრუბახის ძმისწულს, სხვა ოთახი თავისუფალი არ აღმოჩნდა. მე ეს სულ დამავიწყდა. რა იყო, ასე რომ აყვირდით! რა მეშველება ახლა?

— შეშაშფოთებელი არაფერია, — თქვა კ-მ და ბალიშზე მისვენებულ ქალიშვილს შუბლზე აკოცა.

— მომშორდით, მომშორდით, — წამოიძახა ფროილაინ ბიურსთნერმა და სწრაფად წამოჯდა დივანზე. — გადით, გადით აქედან, რა გინდათ ჩემგან, იგი კართანაა ატუზული და ყველაფერი ესმის, ო, როგორ მაწამებთ!

— არ გავალ, სანამ ცოტათი მაინც არ დამშვიდდებით, — უპასუხა კ-მ.— გადავინაცვლოთ იმ კუთხეში, იქიდან ვერაფერს გაიგონებს.

ქალი მორჩილად გაჰყვა კუთხისაკენ.

— თქვენ არ გაითვალისწინეთ ერთი რამ, —უთხრა კ-მ, — შეიძლება უსიამოვნება არ აგცდეთ, მაგრამ ხიფათი კი ნამდვილად არ გელით. თქვენ ხომ იცით, ფრაუ გრუბახი, რომელსაც ამ საქმეში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, რამდენადაც კაპიტანი მისი ძმისწულია, ლამის თაყვანს მცემს და უყოყმანოდ სჯერა ყოველი ჩემი სიტყვა. ეგი სხვა მხრივაცაა ჩემგან დავალებული, საკმაოდ დიდი თანხა ვასესხე. მზადა ვარ მივიღო ყოველი თქვენი წინადადება ჩვენი ასე გვიან შეხვედრის ასახსნელად, თუ ოდნავ მაინც დამაჯერებელი იქნება და გპირდებით, იმდენს მოვახერხებ, რომ ფრაუ გრუბახი არა მარტო სხვების დასანახავად, არამედ გულწრფელადაც ირწმუნებს ამ ახსნა-განმარტებას. პირადად მე არაფერში დამინდოთ. თუ გსურთ, ქვეყანას მოსდეთ, რომ მოულოდნელად შემოგეჭერით ოთახში, მეც სწორედ ასე მოვახსენებ ფრაუ გრუბახს და ნათქვამს ისე დამიჯერებს, რომ ჩემდამი ნდობა არ შეერყევა, რადგან დიდად ერთგულია ჩემი.

მხრებში მოხრილი ფროილაინ ბიურსთნერი უხმოდ დასცქეროდა იატაკს.

— რატომ არ უნდა დაიჯეროს ფრაუ გრუბახმა, რომ მე მოულოდნელად შემოგეჭერით ოთახში? — დასძინა კ-მ და ქალიშვილის შუაზე გაყოფილ მოწითალო თმას შეხედა. მას ეგონა, ფროილაინ ბიურთსნერი თვალს გაუსწორებდა, მაგრამ ქალიშვილმა ისე მიმართა, არც, შერხეულა:

— მაპატიეთ, მოულოდნელმა დაკაკუნებამ შემაშინა, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა, რომ კაპიტანი კუდს გამოაბამს ამ ამბავს. თქვენი ყვირილის შემდეგ საშინელი სიჩუმე ჩამოწვა და სწორედ ამ დროს გაისმა კაკუნი, რამაც ძალზე შემაშინა. მე ხომ კართან ვიჯექი ახლოს და კაკუნი თითქმის ჩემ გვერდით გაისმა. თქვენი წინადადებისათვის მადლობას გწირავთ, მაგრამ ვერ მივიღებ.

იმაზე, რაც ჩემს ოთახში ხდება, მე ვაგებ პასუხს ყველას წინაშე. თქვენს ყოვლგანზრახვაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ საოცარია, ნუთუ არ გესმით, რა შეურაცხმყოფელია ჩემთვის თქვენი წინადადება. ახლა კი წადით, მარტო დამტოვეთ, ამ წუთში უფრო მჭირდება სიმარტოვე, ვიდრე აქამდე. თქვენ მხოლოდ რამდენიმე წუთი მთხოვეთ, ამასობაში კი ნახევარ საათზე მეტი გავიდა.

კ. ჯერ ქალის ხელს დასწვდა, შემდეგ კი მაჯას წაეპოტინა: — ხომ არ ვიწყრებით? — ჰკითხა ქალს.

ქალმა ხელი გამოსტაცა და უპასუხა:— არა, არა, მე არასოდეს არავის არ ეუწყრები.

კ-მ ისევ წაავლო მაჯაზე ხელი. ამჯერად ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ასე ხელჩაჭიდებულმა ვაჟი კართან მიიყვანა. კ-ს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასულიყო, მაგრამ კარის წინ ისე შეჩერდა, თითქოს არ იცოდა, რომ აქ გასასვლელი იყო. ფროილაინ ბიურსთნერმა ამით ისარგებლა, ხელიდან დაუსხლტა, კარი გამოაღო, წინკარში გაძვრა და კ-ს იქიდან უჩურჩულა:

— აბა, ჩემო კარგო, გამოდით, ხედავთ? — ქალმა მიუთითა კაპიტნის ოთახის კარზე, რომლის ქვემოდან სინათლის ზოლი გამოკრთოდა. — სინათლე აანთო, გვითვალთვალებს და ერთობა.

— მოვდივარ! — წამოიძახა კ-მ, ქალთან მიიჭრა, ხელი მოხვია, ტუჩებში აკოცა და უეცრად ისე დაუკოცნა მთელი სახე, როგორც მოწყურებული ნადირი ეწაფება წყაროს წყალს, რომელსაც ძლივს მიაგნო. ბოლოს ყელზე დააკვდა და დიდხანს არ მოუცილებია ტუჩები. კაპიტნის ოთახში ატეხილმა ხმაურმა თავი ააწევინა.

— ახლა კი მივდივარ, — თქვა კ-მ და უნდოდა ფროილაინ ბიურსთნერისათვის სახელით მიემართა, მაგრამ არ იცოდა, რა ერქვა. დაღლილმა ქალმა თავი დაუქნია, ნახევრად შებრუნებულმა ისე გაუწოდა ხელი საკოცნელად, თითქოს მისი ხელი არ ყოფილიყო და მხრებში მოხრილი თავის ოთახში დაბრუნდა. მალე კ. ლოგინში იწვა. სწრაფად ჩაეძინა, მაგრამ სანამ დაეძინებოდა, საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდა და კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ ერთი აკვირვებდა, კიდევ უფრო კმაყოფილი რომ არ იყო. უხზომოდ კი იმაზე წუხდა, კაპიტნის გამო ფროილაინ ბიურსთნერს რაიმე უსიამოვნება არ შეხვდესო.

თავი მეორე

პირველი დაკითხვა

კ-ს ტელეფონით აცნობეს, თქვენი საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო და მონავალ კვირა დღეს დაკითხვაზე გიბარებენო. თანაც გააფრთხილეს, დაკითხვაზე ხშირად გამოგიძახებენ, შეიძლება ყოველ კვირა დღეს არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირადო. ერთის მხრივ ყველა დაინტერესებულია, პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს, უთხრეს მას, მეორე მხრივ კი გამოძიება ყველა თვალსაზრისით საფუძვლიანად უნდა ჩატარდეს. და რადგან ასეთი გამოძიება დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვს, დაკითხვა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამიტომაც ნახეს ერთადერთი გამოსავალი—ხშირი, მაგრამ ხანმოკლე დაკითხვები. ხოლო კვირაობით დაკითხვები იმიტომ დანიშნეს, რომ კ-ს ხელი არ შეუშა-

ლონ აძსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში. ვარაუდობენ, რომ კ. ამ პირობებზე დათანხმდება, ხოლო თუ სხვა დღე ურჩევნია დაკითხვისათვის, შეძლებისდაგვარად გაუწევენ ანგარიშს. დაკითხვის ჩატარება შეიძლება მაგალითად ღამღამობითაც, მაგრამ ღამით კ. მთლად საღად ვერ იაზროვნებს. ერთი სიტყვით, სანამ კ-ს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, კვირა-დღე ბინაში რჩება. თავისთავად ცხადია, რომ იგი აუცილებლად გამოცხადდება დაკითხვაზე და შეხსენება არ დასჭირდება, ბოლოს აცნობეს იმ სახლის ნომერი, სადაც უნდა გამოცხადებულიყო. სახლი გარეუბანში რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე იდგა. ამ უბანში კ. აქამდე არასოდეს ყოფილა.

კ-მ მოისმინა ყველაფერი და უსიტყვოდ დაკიდა ყურმილი, გადაწყვიტა. კვირას აუცილებლად მისულიყო დანიშნულ ალაგას, პროცესი იწყებოდა, თავი უნდა დაეცვა, პირველი დაკითხვა უკანასკნელიც უნდა ყოფილიყო. იგი ჯერ კიდევ ჩაფიქრებული იდგა ტელეფონთან, როცა ზურგს უკან დირექტორის მოადგილის ხმა მოესმა. მოადგილეს დარეკვა უნდოდა, კ. კი ხელს უშლიდა ტელეფონთან მისულიყო.

— ცუდი ამბებია?— ჰკითხა დირექტორის მოადგილემ. უფრო იმიტომ, რომ კ. ტელეფონს მოშორებოდა.

— არა, არა, —უპასუხა კ-მ და გვერდზე გადგა, მაგრამ იქაურობას მაინც არ მოსცილებია.

დირექტორის მოადგილემ ყურმილი აიღო და სანამ დააკავშირებდნენ, კ-ს ყურმილის ზემოდან უთხრა:

— ერთი რამ მინდა გკითხოთ, ბატონო კ., ხომ არ ინებებდით კვირა დილით ჩემი იახტით გასეირნებას? დიდ სიამოვნებას მომანიჭებდით. დიდძალი საზოგადოება მოიყრის თავს, თქვენი ნაცნობებიც იქნებიან, მათ შორის პროკურორი ჰასთერერიც. მოხვალთ? მოდით აუცილებლად!

კ. თავს ძალას ატანდა ჩასწვდომოდა დირექტორის მოადგილის ნათქვამს, მისთვის ეს უმნიშვნელო ამბავი როდი იყო. ეპატიჟებოდა კაცი, ვისთანაც მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მოადგილემ შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, ეს კი იმაზე მეტყველებდა, თუ რარიგ საჭირო კაცი გახდა კ. ბანკში და რამდენად აფასებდა ბანკში თანამდებობით მეორე მოხელე მის მეგობრობას ან უკიდურეს შემთხვევაში, მის მიუკერძოებლობას. თუმცა კ. ტელეფონის ზარის მოლოდინში დაპატიჟეს და თანაც ყურმილის ზემოდან, დირექტორის მოადგილის მხრივ ეს მაინც თავის დამცირება იყო. ერთ დამცირებას მეორე მოჰყვა, როცა კ-მ უთხრა:

— დიდად გმადლობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კვირას არ მცალია, უკვე სხვას შევუთანხმდი.

— დასანანია, — თქვა დირექტორის მოადგილემ და ტელეფონზე ლაპარაკი დაიწყო, რადგან სწორედ ამ დროს დააკავშირეს.

მოადგილე დიდხანს ლაპარაკობდა. ყურადღებაგაფანტული კ. კი მთელი ეს ხანი იქვე იდგა, ხოლო, როცა დირექტორის მოადგილემ ლაპარაკი დაამთავრა, შეშინებულმა კ-მ, ტელეფონთან უქმად დგომა რომ გაემართლებინა, თქვა:

— ახლახან დამირეკეს, მთხოვეს, ერთ ადგილას მოდიო, მაგრამ დაავიწყდათ ვთქვათ, რომელ საათზე.

— დარეკეთ და დააზუსტეთ, — უთხრა დირექტორის მოადგილემ.

— ისეთი არაფერია, — თქვა კ-მ და ამით გადაშალა თავისი პირველი ისე-დაც უაზრო მობოდიშება.

სანამ წავიდოდა, დირექტორის მოადგილემ კიდევ რაღაც-რაღაცებზე ჩა-ბოუგდო ლაპარაკი. კ. თავს ძალას ატანდა, ეპასუხა, სულ იმაზე ფიქრობდა, კვირას სჯობს დილის ცხრა საათზე მივიდე დანიშნულ ადგილას, [illegible] მუ-შაო დღეებში ყველა სასამართლო ამ დროს იწყებს მუშაობას.

კვირა დღე მოლრუბლული გათენდა. კ-მ დროზე ვერ გაიღვიძა და კინალამ დააგვიანდა. შაბათს უზომოდ დაიღალა, რადგან ლუდხანის თანამეინახეებმა ქე-იფი გამართეს და გვიანობამდე არ დაიშალნენ. მან ისე სწრაფად ჩაიცვა, რომ ვერც კი მოასწრო გაეაზრებინა და დაეზუსტებინა მთელი კვირის მანძილზე მი-ფიქრებული სხვადასხვაგვარი გეგმები და ისე გაიქცა დასახელებული გარეუბ-ნისაკენ, რომ არც კი უსაუზმია. მართალია, აქეთ-იქით ყურების დრო არ ჰქონ-და, მაგრამ მისდა გასაოცრად გზაში მაინც დაინახა ის სამი მოხელე, მის საქ-მეში რომ მიიღეს მონაწილეობა — რაბენშთაინერი, ქულიჰი და ქამინერი. პირ-ველმა ორმა მის წინ ტრამვაით ჩაიქროლა, ხოლო ქამინერი კაფეს ტერასაზე იჯდა და კ-მ გვერდით რომ ჩაუარა, ცნობისმოყვარეობით გადმოაწვა მოაჯირს. სამივემ ალბათ თვალი გააყოლეს და გაუკვირდათ, რა მიარბენინებდა მათ უფ-როსს.

კ-ს რაღაცნაირმა სიჯიუტემ მოუარა და ტრამვაიში არ ჩაჯდა, ამ საქმეში გარეშე პირთა სრულიად უმნიშვნელო დახმარებაც კი ზიზღს გვრიდა, არც ის უნდოდა, ვინმესთვის მიემართა და ოდნავ მაინც გაერია რამეში; და ბოლოს არ სურდა, ზედმეტი სიზუსტით საგამომძიებლო კომისიის წინაშე დაემცირე-ბინა თავი. თუმცა ზუსტად ცხრა საათისათვის არავის დაუბარებია, მაინც გარ-ბოდა, რათა ამ დროისათვის ადგილზე გამოცხადებულიყო.

ეგონა, რაიმე ნიშნის მიხედვით შორიდანვე იცნობდა ამ სახლს, სადაც და-ბარეს, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ნიშანი. შეიძლება იმის იმედი ჰქონდა, რომ შესასვლელთან მოფუსფუსე ხალხს დავინა-ხავო. მაგრამ იულიუსშთრასეზე, სადაც ის სახლი უნდა მდგარიყო და რომლის დასაწყისშიც კ. ერთი წამით შეჩერდა, ქუჩის ორივე მხარეს თითქმის ერთნაირი, მაღალი, რუხი ფერის, ლატაკთა შენობები იყო ჩამწკრივებული. იმ კვირა დი-ლით ხალხი ფანჯრებში გამოფენილიყო. პერანგისამარა მამაკაცები პაპიროსს ეწეოდნენ, ზოგსაც პატარა ბავშვები ფრთხილად, სათუთად ეჭირათ ფანჯრის რა-ფასთან. აქა-იქ ფანჯრებზე ქვეშაგებელი დაეხვავებინათ, რომლის ზემოთ ხან-დახან ქალის გაჩეჩილი თავი გამოჩნდებოდა. ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს ვილაცები ერთმანეთს რაღაცას უყვიროდნენ. ერთმა ასეთმა შეძახილმა სწორედ კ-ს თავზე გადაუქროლა და გულიანი ხარხარი გამოიწვია. გრძელი ქუ-ჩის გასწვრივ, ნახევრად სარდაფებში, სადაც რამდენიმე საფეხურიანი კიბით ჩადიან, პატარა სასურსათო მაღაზიები იყო მოთავსებული. მაღაზიებში ქალები შედიოდნენ ან კიბეზე იდგნენ და ლაყბობდნენ. ერთმა კ-სავით დაბნეულმა გამყიდველმა, ფანჯრებში გამოფენილ ხალხს ხილს რომ სთავაზობდა, ურიკით კ. კინალამ წააქცია, სადღაც საშინლად აყვირდა გრამაფონი, რომელსაც თავისი დრო მოეჭამა ქალაქის მდიდარ უბნებში.

კ. ისე ნელა მიჰყვებოდა ვიწრო ქუჩას, თითქოს დრო თავსაყრელი ჰქონდ-და, ანდა თითქოს ერთ-ერთი ფანჯრიდან გამომძიებელმა დაინახა და მაშასა-

დამე იცოდა, რომ კ. გამოცხადდა. ცხრა საათი უკვე გადასული იყო. სახლი საქმაოდ შორს იდგა და არაჩვეულებრივად გრძელი და ფართო მოჩანდა, განსაკუთრებით მაღალი და განიერი აღმოჩნდა ეზოს გადახურული ჭიშკარი. ეტყობა, ჭიშკარი იმ ფურგუნებისათვის იყო გათვალისწინებული, საქონელი რომ გადააქვთ სხვადასხვა საწყობებში. ამჯერად ეზოში განლაგებულ [illegible] საწყობს ბოჭლომი ედო, მაგრამ აბრებზე კ-მ ამოიკითხა ზოგიერთი [illegible] დასახელება, მათ ბანკთან რომ აწარმოებდა საქმეს. კ-ს საერთოდ არ სჩვეოდა ასე ყურადღებით დაკვირვებოდა წვრილმანებს, მაგრამ ამჯერად ერთი წუთით ეზოს შესასვლელშიც კი გაჩერდა. შორიახლო ყუთზე ფეხშიშველი კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა, ხელის ურიკაზე ორი ბიჭი ქანაობდა, წყლის საქაჩავთან შილიფად ჩაცმული მისუსტებული ქალიშვილი იდგა და სანამ დოქი წყლით ივსებოდა, კ-სათვის თვალი არ მოუშორებია. ეზოს ერთ კუთხეში ორ ფანჯარას შორის თოკს ჭიმავდნენ, თოკზე უკვე ეკიდა გასაშრობი სარეცხი. ქვევით ვიღაც მამაკაცი იდგა და მთელ ამ საქმიანობას შეძახილებით ხელმძღვანელობდა.

კ. კიბესთან მივიდა, რათა გამომძიებლის კაბინეტში ასულიყო, მაგრამ ისევ შეჩერდა. ამ კიბის გარდა სახლს კიდევ სამი კიბიანი შესასვლელი ჰქონდა, ხოლო ეზოს ბოლოში ვიწრო გასასვლელი მოჩანდა, რომელიც, ეტყობა, მეორე ეზოში გადიოდა. კ. გაბრაზდა, რატომ უფრო ზუსტად არ ამიწერეს კაბინეტის ადგილსამყოფელი, საერთოდაც ძალიან უყურადღებოდ და გულგრილად მოექცნენ და ამიტომ გადაწყვიტა ხმამაღლა და გარკვევით განეცხადებინა პროტესტი. ბოლოს მაინც აჰყვა კიბეს და გაახსენდა ერთ-ერთი მცველის, ვილემის ნათქვამი — დანაშაული თვითონ იზიდავსო მართლმსაჯულებას, აქედან კი დაასკვნა, შემთხვევით არჩეულმა კიბემ გამომძიებლის კაბინეტამდე უნდა მიმიყვანოსო.

კიბეზე ასვლისას კ. ხელს უშლიდა იქ მოთამაშე ბავშვებს და ამიტომ ისინიც გაბრაზებული აყოლებდნენ თვალს.

— მეორეჯერ თუ მომიხდა აქ მოსვლა, ან ტკბილეული უნდა წამოვიღო მათი გულის მოსაგებად ან ჯოხი, მისაბეგვად. — ჩაილაპარაკა კ-მ. მეორე სართულზე ასულს ლოდინიც კი დასჭირდა, სანამ ბურთი დაგორდებოდა. ამასობაში შარვლის ტოტებში სწვდა ორი პატარა ბიჭი, რომელთაც პირწავარდნილი არამზადებივით კუშტი სახეები ჰქონდათ. მათი თავიდან მოცილება მხოლოდ ძალით შეიძლებოდა, მაგრამ კ-ს შეეშინდა, ვაითუ რამე ვატკინო და აბღავლდნენო.

საგამომძიებლო კომისიის ნამდვილი ძებნა მხოლოდ მეორე სართულიდან დაიწყო. პირდაპირ ხომ ვერ იკითხავდა, სად ზის გამომძიებელიო, ამიტომ მოიგონა, ვითომ დურგალ ლანცს ეძებდა — ეს გვარი იმიტომ ამოტივტივდა მის მეხსიერებაში, რომ ფრაუ გრუბახის ძმისწულის, კაპიტნის გვარი იყო—და გადაწყვიტა ყველა ბინაში ეკითხა, ხომ არ ცხოვრობს აქ დურგალი ლანციო, თან ამ საბაბით ოთახებშიც შეიხედავდა. მაგრამ ოთახში შეხედვა არც ისე ძნელი აღმოჩნდა, თითქმის ყველა კარი ღია იყო და ყველგან ბავშვები შერბოდნენ და გამორბოდნენ. ოთახები, როგორც წესი, პატარა და ერთფანჯრიანი იყო, საჭმელიც იქვე იხარშებოდა. ბევრ ქალს ცალ ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა, ხოლო მეორეთი ქურას დასტრიალებდა. ყველაზე დაუზარებლად დაფუსფუსებდნენ წამოჩიტული გოგოები, რომელთაც, გეგონებოდა, მხოლოდ წინსაფარი უფარავსო ტანს. ყველა ოთახში იდგა ჯერ კიდევ აულაგებელი საწოლები,

მობინადრეთაგან ზოგი ავად იყო, ზოგს ეძინა, ზოგიც ტანსაცმლიანად გაშოტილიყო. თუ ბინის კარი დაკეტილი იყო, კ. აკაკუნებდა და კითხულობდა, აქ ხომ არ ცხოვრობს დურგალი ლანცი.

უმეტეს შემთხვევაში კარს ქალი აღებდა და როგორც კი შეკითხვას გაიგონებდა, მიუბრუნდებოდა ვიღაც ოთახში მყოფს, რომელიც [illegible] საწოლიდან წამოიწევდა.

— ერთი ბატონი კითხულობს, დურგალი ლანცი ხომ არ ცხოვრობსო აქ.

— დურგალი ლანცი? — იკითხავდა საწოლიდან წამოწეული.

— დიახ, — ეუბნებოდა კ., თუმცა კარგად ხედავდა, რომ ოთახში არავითარი საგამომძიებლო კომისია არ იჯდა და ამ ბინაში აღარაფერი ესაქმებოდა. ბევრს ეგონა, კ-ს ძალიან სჭირდება დურგალი ლანცი და დიდხანს ფიქრობდნენ: ზოგი ამბობდა, ერთ დურგალს ვიცნობ, მაგრამ ლანცი არ არისო, გვარად. ზოგიც ირწმუნებოდა, ამ გვარს ჰგავს ერთი დურგლის გვარიო. ეკითხებოდნენ მეზობლებს, კარგა მანძილზე მიაცილებდნენ კ-ს, ეგებ მოშორებით მდებარე ოთახებში აქვს ამ დურგალს კუთხე დაჭირავებული, ან იქნებ ისეთი ვინმე ცხოვრობს, ჩვენზე უკეთ რომ იცნობს მეზობლებსო. ბოლოს კ-ს აღარაფერის კითხვა აღარ უხდებოდა, რადგან ამნაირად დაათრევდნენ სართულიდან სართულზე. კ. ნანობდა, რომ ასეთ დღეში აღმოჩნდა, არადა, ეს ხერხი თავიდან დიდად პრაქტიკული ეჩვენა. მეექვსე სართულზე ასულმა გადაწყვიტა საგამომძიებლო კომისიის ძებნას მოშვებოდა, დაემშვიდობა თავაზიან ახალგაზრდა მუშას, რომელსაც უნდოდა შემდეგ სართულზე აეყვანა, და კიბეზე დაეშვა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, მთელი ამ აურზაურით გაღიზიანებული, კიდევ ერთხელ ავიდა მეექვსე სართულზე და პირველივე კარზე დააკაკუნა. პირველი, რაც მან ოთახში დაინახა, დიდი ქედლის საათი იყო, ათს რომ უჩვენებდა.

— აქ ცხოვრობს დურგალი ლანცი? — იკითხა კ-მ.

— მობრძანდით, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც შავი, ბრიალა თვალები ჰქონდა. იგი გეჯაში ბავშვის საცვლებს რეცხავდა და სველი ხელით კ-ს მეზობელი ოთახის ღია კარზე ანიშნა.

კ-ს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს კრებაზე მოხვდა. სხვადასხვა ჯურის ხალხი — მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია — ირეოდა საშუალო ზომის, ორფანჯრიან ოთახში, რომელსაც ჭერთან ახლოს ქანდარა უვლიდა ირგვლივ და ისიც ხალხით იყო გაჭედილი. ქანდარაზე მყოფთ მხოლოდ წელში მოხრილებს შეეძლოთ დგომა — თავით და ზურგით ჭერს ებჯინებოდნენ. კ-ს სული შეეხუთა, უკან გამობრუნდა და ახალგაზრდა ქალს, რომელმაც მისი აზრით, სწორედ ვერ გაიგო შეკითხვა, ხელმეორედ მიმართა:

— მე ვეძებ დურგალ ლანცს.

— ვიცი, — უთხრა ქალმა, — გთხოვთ შებრძანდეთ.

შეიძლება კ-ს მისთვის არც დაეჯერებინა, ქალი რომ ჯიქურ არ დაძრულიყო ადგილიდან, კარის სახელურს არ ჩასჭიდებოდა და არ ეთქვა:

— თქვენს შემდეგ კარი უნდა დავკეტო, აღარავის შეშვება აღარ შეიძლება.

— უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდით, — უთხრა კ-მ, — იქაურობა ისედაც გაჭედილია. — მიუხედავად ამისა, ოთახში მაინც შევიდა.

კ-მ შუაში ჩაუარა ზედ კართან მოსაუბრე ორ მამაკაცს, ერთ-ერთი მათგანი

ისე ამოძრავებდა წინ გაწვდილ ხელებს, თითქოს ფულს ითვლისო. მეორე კ-ს თვალებში მიშტერებოდა. უეცრად კ-ს ვილაცამ ხელი წააღლო. მის გვერდით პატარა, ლოყებლაჟღაჟა ბიჭი იდგა.

— წამოდით, წამოდით, — უთხრა მან და კ-ც გაჰყვა.

არეულ-დარეულ ბრბოში მაინც გამოინახა ვიწრო გასასვლელიც ალბათ ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. [illegible] მოწმობდა, რომ კ-მ პირველ რიგებში ვერც ერთი მისკენ მობრუნებული სახე ვერ დაინახა. ადამიანები ზურგშექცეული იდგნენ და ყველანი სიტყვითაც და მოძრაობითაც მხოლოდ თავის ჯგუფის წევრებს მიმართავდნენ. უმეტესობას ეცვა მავი, ძველი, გახიერი და გრძელი საზეიმო სერთუკი. ამგვარი ტანსაცმელი რომ არა, კ-ს რა დააბნევდა, იფიქრებდა, რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაციის საორგანიზაციოებაზე მოუხვედით.

დარბაზის ბოლოში, სადაც კ. მიიყვანეს, მეტისმეტად დაბალ, ასევე ხალხით გაჭედილ ფიცარნაგზე ირიბად დაედგათ პატარა მაგიდა. ხოლო ამ მაგიდასთან, იქ, სადაც ფიცარნაგი თავდებოდა, იჯდა პატარა, ჩასუქებული, მქშინავი კაცი, იგი ელაპარაკებოდა მისი სავარძლის ზურგს იდაყვით დაყრდნობილ, ფეხებგადაჯვარედინებულ კაცს და ორივე გულიანად ხარხარებდა. ზოგჯერ ჩასუქებული ხელს ისე სწევდა მაღლა, თითქოს ვილაცას აჯავრებსო. კ-ს მეგზურ ბიჭს გაუჭირდა ჩასუქებულისათვის მოეხსენებინა, კ. მოვიყვანეო. ფეხის წვერებზე შემდგარმა ორჯერ სცადა რაღაც ეთქვა. მაგრამ ჩასუქებული ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს, როცა ფიცარნაგზე მყოფმა ერთმა კაცმა ბიჭზე მიუთითა, ჩასუქებული შემობრუნდა და იმისათვის, რომ მოსახსენებელი ჩუმად მოესმინა, ბიჭისაკენ დაბლა დაიხარა. შემდეგ საათი ამოიღო და კ-ს სწრაფად შეაყოლო თვალი.

— თქვენ ერთი საათისა და ხუთი წუთის წინ უნდა გამოცხადებულიყავით,— თქვა მან.

კ-ს უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ვერ მოასწრო; როგორც კი ჩასუქებულმა სათქმელი დაამთავრა, დარბაზის მარჯვენა ნახევარი ერთხმად აბუზღუნდა.

— თქვენ ერთი საათისა და ხუთი წუთის წინ უნდა გამოცხადებულიყავით, — გაიმეორა ჩასუქებულმა უფრო ხმამაღლა და სწრაფად გადახედა დარბაზს. ბუზღუნი კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ რადგან ჩასუქებულს აღარაფერი უთქვამს, ხმაური ხანდათან მიწყდა. ახლა დარბაზში გაცილებით მეტი სიწყნარე აუფეთქდა, ვიდრე კ-ს შემოსვლისას. მხოლოდ ქანდარაზე მყოფთა შენიშვნებიღა ისმოდა. რაძდენადაც კი შეიძლებოდა ამის გარჩევა მტვერში, ბოლსა და ნახევრად ბნელში, ისინი უარესად იყვნენ ჩაცმულნი, ვიდრე დაბლა მდგომნი. ბევრს თან მოეტანა ყურთბალიში და თავსა და ჭერს შორის დაეტანებინა, რომ მიხეთქებისას თავზე იარა არ გასჩენოდათ.

კ-მ გადაწყვიტა ნაკლები ელაპარაკა და კარგად დაკვირვებოდა ყველაფერს, ამიტომ დაგვიანების გამო თავი არ უმართლებია და მხოლოდ ეს თქვა: ეთქვათ და დავიგვიანე, მაგრამ ახლა ხომ აქ ვარ.

დარბაზის მარჯვენა ნახევარმა ტაში დაუკრა. რა ადვილი ყოფილა ამათი გულის მოგება, გაიფიქრა კ-მ. მას მხოლოდ დარბაზის მარცხენა ნახევრის, მის ზურგს უკან გაჩერებულთა დუმილი აწუხებდა, რადგან იქიდან კანტიკუნტად გაისმა ტაში. კ. ჩაფიქრდა, რა შეეძლო ეთქვა ისეთი, რომ ყველას გული ერთბა-

შად მოეგო. სოლო თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, დროებით მაინც გადმოებარებინა მეორე ნახევარიც.

— მართალია, — თქვა ჩასუქებულმა. — მაგრამ ახლა ვალდებული აღარა ვარ. დაგკითხოთ... — დარბაზში ისევ გაისმა ბუზღუნი. მაგრამ ამჯერად ეს გაუგებრობამ გამოიწვია, რადგან ჩასუქებულმა იქ ყოფთ ხელი [illegible] ჩუმდითო და განაგრძო: — დღეს გამოხაკლისს დავუშვებ და არ გაგაწბილებთ. მაგრამ მეორედ აღარ დაიგვიანოთ, აბა წინ გამობრძანდით.

ფიცარნაგიდან ვიღაც ჩამოხტა და კ-ს ადგილი დაუთმო. კ. ზევით ავიდა. მაგრამ შაწირვე მაგიდას მიაქეცუეს, მის უკან იმდენი ხალხი იდგა, რომ არ ემარჯვა. შეიძლება გამომძიებელი თავის მაგიდიანად ფიცარნაგიდან გადაეგდო.

მაგრამ გამომძიებელს ეს ამბავი სრულიად არ აწუხებდა, საკმაოდ მოხერხებულად იჯდა სავარძელში და როცა მის უკან მდგარ კაცთან ლაპარაკი დაიწყო, თავის მაგიდაზე დადებულ ერთადერთ ნივთს, უბის წიგნაკს დასწვდა. წიგნაკი სასკოლო რვეულს ჰგავდა და ხშირი ფურცელისაგან საკმაოდ გაცვეთილიყო.

— ამგვარად, — თქვა გამომძიებელმა, რვეული გადაფურცლა და კ-ს [illegible] ერთი [illegible] ბეწვი [illegible] კ. [illegible] ეპარებოდა. — თქვენ მღებავი ხართ, არა?

— არა, — უპასუხა კ-მ. — მე დიდი ბანკის პირველი პროკურისტი გახლავართ.

მისმა პასუხმა ქვემოთ, დარბაზში მარჯვენა ნახევრის ისეთი გულიანი ხარხარი გამოიწვია, რომ კ-საც კი გაეცინა. ხალხი ხელებს მუხლებზე იტყაპუნებდა, იაე თახთახებდნენ, როგორც გაუთავებელი ხველების დროს იცის. ყანტიკუნტად ჭანდარაზეც გაიცინეს, უზომოდ გაცოთებულმა გამომძიებელმა, რომელიც, ეტყობა, დარბაზში თავმოყრილთა წინააღმდეგ უძლური იყო, სცადა ჯავრი იმათზე ეყარა, ჭანდარაზე რომ წამოსკუპებულიყვნენ. ფეხზე წამოიჭრა, ბუშტით დაემუქრა და აქამდე შეუმჩნეველ წარბებს ახლა ბუჩქებივით მოუყარა თავი თვალებს ზემოთ.

მაგრამ დარბაზის მარცხენა ნახევარი ისევ დუმდა. ფიცარნაგისაკენ პირშექცეული ადამიანები რიგ-რიგად იდგნენ და ერთნაირი სიმშვიდით უსმენდნენ როგორც აქაქანებულ ჭანდარას, ასევე მარჯვენა მხარის ხმაურს. ისინი იმასაც კი ითმენდნენ, მათი რიგებიდან ზოგიერთი რომ მოწინააღმდეგეს ეჭერდა მხარს. მარცხენა ჯგუფი უფრო მცირერიცხოვანი იყო და შეაძლო მარჯვენა ჯგუფივით მასაც არ ჰქონდა დიდი წონა. მაგრამ მისი წარმომადგენლების დარბაისლობა კაცს აფიქრებინებდა, უფრო ანგარიშგასაწევნი არიანო. როცა კ-მ ხელახლა დაიწყო ლაპარაკი, დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმას ამბობდა, რაც მათ სულისკვეთებას შეესაბამებოდა.

— ბატონო გამომძიებელო, თქვენ მკითხეთ, ვარ თუ არა მღებავი, უფრო სწორად არც გიკითხავთ, პირდაპირ მომახალეთ, გინდა თუ არა, ასეთო. აი, ამგვარი მიდგომაა დამახასიათებელი მთელი იმ საქმისათვის, ჩემს წინააღმდეგ რომ აღძრეთ. შეგიძლიათ შემედავოთ, ჯერჯერობით არავითარი სისხლის სამართლის საქმის გარჩევა არ მიმდინარეობსო და მართალიც იქნებით, რადგან საქმის გარჩევა ბოლოდ მაშინ შეიძლება დაერქვას, თუ მე ამ ფაქტს ვცნობ. ეთქვათ და, ამ შემთხვევაში ერთგვარ თანაგრძნობას გიწევთ და პროცესს ვცნობ. ამგვარ ამბავს თანაგრძნობის გარეშე ვერც მიუდგები, თუკი გინდა ან-

გარიში გაუწია. არ ვამბობ, საქმეს მთლად უთავბოლოდ აწარმოებთ-მეთქი, მაგრამ მსურს გირჩიოთ ერთი რამ, იქნებ გაერკვეთ, რა ხდება.

კ. გაჩუმდა და დარბაზს გადახედა. მან მკაცრად ილაპარაკა, ბევრად უფრო მკაცრად, ვიდრე უნდოდა, მაგრამ ამჯერად სიმართლე ითქვა. წესით ან ერთი ან მეორე მხრიდან ტაშსაც კი იმსახურებდა, მაგრამ დარბაზი მეჩუმდა. ყველაზე დაძაბულობაში ყველა აშკარად ელოდა, რა მოხდებოდა. [illegible] ძალა სწორედ სიჩუმეში მწიფდებოდა ის ამაფეთქებელი ძალა, ყველაფერს რომ ბოლოს მოუღებდა. მყუდროება დაარღვია დარბაზის ბოლოში კარის გაღებამ. შემოვიდა ახალგაზრდა მრეცხავი ქალი, რომელმაც, ეტყობა, საქმე მოათავა და თუმცა ფეხაკრეფით მოიკვლევდა გზას, ზოგიერთების ყურადღება მაინც მიიქცია. კ-ს მხოლოდ გამომძიებლის გამომეტყველებამ მოჰგვარა სიხარული. ეტყობოდა, მისი სიტყვები გულზე მოხვედროდა. წელან ჭანდარის დასაშოშმინებლად წამოდგა, მაგრამ კ-ს სიტყვებმა გააოცა და აქამდე ფეხზე მდგომი უსმენდა. ახლა კი, ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში, ისე ნელა ჩაეშვა სავარძელში, თითქოს ცდილობდა შეუმჩნეველად დამჯდარიყო და აღელვება რომ არ გამოეჰქროვნებინა. ხელში კვლავ რვეული აიღო.

ველარაფერი გიშველით, — განაგრძო კ-მ, — ჩემს ნათქვამს, ბატონო გამომძიებელო, თქვენი რვეულიც ადასტურებს.

კ. კმაყოფილი იყო იმით, რომ ამ უცხო ხალხის თავყრილობაზე მხოლოდ საკუთარი მშვიდი სიტყვები ესმოდა და ისე გათამამდა, გამომძიებელს ბოლომდე ბლად გამოსტაცა რვეული ხელიდან, თითის წვერებით, თითქოს ეზიზღებაო, ეტა ფურცელით იმგვარად ასწია მაღლა, რომ ორივე მხარეს მიჯრით ნაწერი, დალაქავებული, კიდეებგაყვითლებული ფურცლები ჩამოეკიდა.

— აი, ამას ქვია გამომძიებლის დოკუმენტაცია, — თქვა მან და რვეული მაგიდაზე დააგდო. შეგიძლიათ მშვიდად განაგრძოთ ამ რვეულის კითხვა, ბატონო გამომძიებელო, დანაშაულობათა ასეთი ნუსხა მართლაც არ მაშინებს. მერწმუნეთ, მე ამ რვეულის შინაარსს არ გავეცნობი, რადგან აი, ასე ორი თითით თუ ავიღებ, თორემ ხელში რა დამაჭერინებს.

როგორც კი რვეული მაგიდაზე დავარდა, გამომძიებელი იმწამსვე დასწვდა. ფურცლები მიასწორ-მოასწორა და ისევ შეუდგა კითხვას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თავი აამინლად, დამცირებულად იგრძნო, ყოველ შემთხვევაში, მიაჩქცევა ასე აღიქვებოდა.

პირველ რიგში მდგარ ადამიანებს ისეთი დაძაბული სახეები ჰქონდათ, რომ კ. უნებურად დააკვირდა მათ. თითქმის ყველა მამაკაცი ხანში შესული იყო, ზოგს წვერი გაეშალარავებოდა. იქნებ სწორედ მათ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმის უფლება და შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მთელ კრებაზე; ისინი გამომძიებლის დამცირებამაც კი ვერ გამოიყვანა იმ უძრავი მდგომარეობიდან, კ-ს ლაპარაკისას რომ დაეუფლათ.

— რაც მე შემემთხვა, — განაგრძო კ-მ, ოღონდ უფრო ჩუმად, ვიდრე მანამდე ლაპარაკობდა და ამავე დროს თვალმოუშორებლად აკვირდებოდა პირველ რიგში მდგომთა სახეებს, რის გამოც მის სიტყვებს რიხი მოაკლდა, — რაც მე შემემთხვა, მხოლოდ კერძო შემთხვევაა, თავისთავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, და გულთან ახლოს არც მიმიტანია. მაგრამ ეს იმის სანიმუშო მაგალითია, თუ როგორ არჩევენ მრავალი ადამიანის საქმეს. ამჯერად მე იმათ ინტერესებს ვიცავ და არა საკუთარს.

კ-მ მისდა უნებურად ხმას აუწია. დარბაზში ვილაცამ ხელები ასწია, ტაში დაუკრა და წამოიძახა: „ვაშა! ესეც მაგათ, ვაშა! და კიდევ ვაშა!“

პირველ რიგში მდგომთა შორის ზოგი წვერს იწიწკნიდა, მაგრამ იქითკენ, საიდანაც გამამხნევებელი სიტყვები გაისმა, არც ერთს არ მიუბრუნებია თავი. ამ წამოძახილისთვის არც კ-ს მიუნიჭებია მნიშვნელობა, მაგრამ ტრიბუნაზე მყოფთ გამხნევდა: ახლა ალარც ის მიაჩნდა საჭიროდ, ყველას დაეკრა ტაში. მთავარი იყო, ხალხი ამ საქმეს ჩაკვირვებოდა, ზოგიერთი მაინც დაერწმუნებინა და თავის მხარეზე გადმოებირებინა.

— მე არ მაკვირდება ორატორის დიდება, — თქვა აწ მოსაზრებით გათამამებულმა კ-მ, — ეს ჩემთვის მიუწვდომელია. გარდა ამისა ბატონი გამომძიებელი ალბათ ჩემზე ბევრად უკეთ ლაპარაკობს, რადგან ეს მისი ხელობაა. ჩემი სურვილია მხოლოდ, საჯაროდ ვამხილო სოციალური უწესრიგობა. აბა, განსაჯეთ: დაახლოებით ათი დღის წინათ დანაპატიმრეს, თვით დაპატიმრების ფაქტი ჩემთვის სასაცილოა, მაგრამ ამჯერად ეს საქმეს არ ეხება. დილაადრიან ლოგინში ღამესხნენ თავს, ალბათ მართლაც მიიღეს ასეთი ბრძანება — თუ გამომძიებლის სიტყვებს ვირწმუნებთ, ამგვარი რამ გამორიცხული არ არის — დაეპატიმრებინათ ვილაც მღებავი, ისეთივე უდანაშაულო ადამიანი, როგორიც მე ვარ, მაგრამ დაპატიმრება მე მხვდა წილად. მეზობელი ოთახი დაიკავა ორმა უხეშმა მცველმა. მეტ წინდახედულებას ალბათ მაშინაც ვერ გამოიჩენდნენ, მე რომ საშინაო ბოროტმოქმედი ვყოფილიყავი. გარდა ამისა, მცველები სულით ხორცამდე გათახსირებული არამზადები აღმოჩნდნენ, ყბედობით ყურები გამომიჭედეს, ცდილობდნენ ჭრთამი წაეგლიჯათ, რაღაცას იმიზეზებდნენ და ჩემი საცვლებისა და ტანსაცმლის მითვისება სურდათ. ფულიც მომთხოვეს. საუზმეს მოგიტანთო. ამავე დროს კი ჩემი საუზმე ჩემს თვალწინ უტიფრად შეესახლეს. ესეც არ იკმარეს, ამის შემდეგ მესამე ოთახში გამიყვანეს ზედამხედველთან. ის ოთახი ეკუთვნის ერთ ბანოვანს, რომელსაც მე დიდად ვაფასებ. მაიძულეს მეყურებინა, როგორ წაიბილწა მისი ოთახი ჩემი მიზეზით ზედამხედველისა და მცველების იქ ყოფნის გამო, თუმცა ამაში მე არავითარი ბრალი არ მიძიძლოდა. ასეთ ვითარებაში ადვილი როდია სიმშვიდე შეინარჩუნოს კაცმა, მაგრამ მე თავი შევიკავე და სრულიად მშვიდად ვკითხე ზედამხედველს: აქ რომ იყოს, უთუოდ დამიდასტურებდა. რისთვის დამაპატიმრეთ-მეთქი? და იცით, რა მიპასუხა ზედამხედველმა, რომელიც ახლაც კი თვალწინ მიდგას ხსენებული ბანოვანის საეარაოელში გამოჭიმული, როგორც უჩლუნგეაი ქედმაღლობის განსახიერება? არა, ბატონებო, არაფერიც არ მიპასუხა, უბრალოდ დამაპატიმრა და ამით დაკმაყოფილდა. ეს კიდევ ცოტაა, მან იცით, რა გააკეთა? იმ ბანოვანის ოთახში ბანკის სამი დაბალი რანგის მოხელე მოიყვანა, რომლებიც იმით ირთობდნენ თავს, რომ ბანოვანის პირად საკუთრებას, მის ფოტოსურათებს ათვალიერებდნენ და არივ-დარიეს კიდეც. ამ მოხელეების მოყვანა, რა თქმა უნდა, სხვა მიზნითაც იყო განპირობებული. მათ, ისევე როგორც ჩემს დიასახლისს და მის მოსამსახურე გოგოს, უნდა გაევრცელებინათ ხმები ჩემი დაპატიმრების შესახებ, რათა საზოგადოებაში ჩემი რეპუტაცია შეელახათ და, რაც მთავარია, შეერყიათ ჩემი მდგომარეობა ბანკში, მაგრამ აქედან არაფერი, სრულიად არაფერი არ გამოვიდა, ჩემს დიასახლისსაც კი, ძალზე უბრალო პიროვნებას დიდი მოწიწებით დაგისახელებთ მის გვარს, ფრაუ გრუბახი გახლავთ, თვით ფრაუ გრუბახსაც ეყო საღი აზრი, მიმხვდარიყო, რომ ასეთ დაპატიმრებას თითქმის

ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბიჭების ქუჩაში ჩხუბს. ვიმეორებ, მთელმა ამ ამბავმა პირადად მე მხოლოდ უსიამოვნება მომაყენა და დროებით გამალიზიანა, მაგრამ შეიძლებოდა შედეგები ბევრად უარესი ყოფილიყო, განა აე არ არის?

კ-მ მცირე ხნით ლაპარაკი შეწყვიტა და დადუმებულ გამომძიებელს შეხედა. მან შეამჩნია, რომ გამომძიებელმა ქვემოთ მყოფთაგან ერთს ხელით რაღაცა ანიშნა. კ-ს გაეღიმა და თქვა:

— ეს წუთია ბატონმა გამომძიებელმა, რომელიც ჩემს გვერდით ზის, რომელიღაც თქვენგანს საიდუმლოდ რაღაც ანიშნა. მაშასადამე, თქვენს შორისაც არიან ადამიანები, რომელთაც აქედან, ზევიდან ხელმძღვანელობენ. არ ვიცი, ამ ნიშანს რა უნდა მოჰყოლოდა — სტვენა თუ ტაში, მაგრამ წინასწარ ვამხელ მათ შეთქმულებრივ მოქმედებას და ამით უგულებელყოფ ამ ნიშნის მნიშვნელობას. ჩემთვის სრულიად სულ ერთია რას მოიმოქმედებთ, ბატონ გამომძიებელს უფლებას ვაძლევ დაუფარავად უხელმძღვანელოს თავის დაქირავებულ დამქაშებს, მანდ, ქვემოთ რომ დგანან და იდუმალი ნიშნებით კი არა, ხმამაღლა, სიტყვიერად უბრძანოს; „დაუსტვინეთ!“ შემდეგ კი მოაყოლოს: „ტაში დაუკარით!“

უხერხულობისა და მოუთმენლობისაგან გამომძიებელი სავარძელში წრიალებდა. მის ზურგს უკან გაჩერებული მამაკაცი, რომელსაც ადრე ელაპარაკებოდა, კვლავ დაიხარა გამომძიებლისკენ, რათა გაემხნევებინა, ანდა რიგიანი რჩევა მიეცა. ქვევით მდგომნი ხმადაბლა, მაგრამ გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ორი ჯგუფი, რომელთაც ადრე თითქოს ვერაფერი მოარიგებდა, ერთმანეთში აირია, ზოგი კ-საკენ იშვერდა თითს, ზოგიც გამომძიებლისაკენ.

ოთახი ნისლივით სქელი ბოლით აივსო და კ-ზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ხელს უშლიდა გულდაგულ დაკვირვებოდა მოშორებით მდგომთ. განსაკუთრებით უჭირდა ქანდარაზე შესკუპულთ. ისინი გამომძიებლისკენ აპარებდნენ შემკრთალ მზერას და წამდაუწუმ ჩუმად ეკითხებოდნენ კრების მონაწილეებს, გაგვაგებინეთ, რა ხდებაო დარბაზში. მათ ასევე ჩუმად, ჰირზე ხელაფარებული უპასუხებდნენ.

— ახლავე დავამთავრებ, — თქვა კ-მ და რადგან ზარი არსად ჩანდა, მაგიდას დაჰკრა მუშტი. შეშინებული გამომძიებელი და მისი მრჩეველი იმავ წამს მოშორდნენ ერთმანეთს: — ეს საქმე მე არ მეხება და ამიტომ მშვიდად ვმსჯელობ, თქვენთვის კი დიდად სასარგებლო იქნება მომისმინოთ, ცხადია იმ პირობით, თუ თქვენთვის ეს ეგრეთ წოდებული პროცესი რაღაცას ნიშნავს. იმის განხილვა, რასაც ახლა მოგახსენებთ, გთხოვთ შემდეგისთვის გადაიდოს, რადგან მეტი დრო არა მაქვს და მალე უნდა წავიდე.

დარბაზში ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. კ-მ ამასობაში ისე დაიპყრო კრება, რომ აღარავინ ყვიროდა უთავბოლოდ, როგორც დასაწყისში, ტაშსაც კი აღარ უკრავდნენ, ეტყობა, რაღაცაში დარწმუნდნენ, ან ის იყო რწმუნდებოდნენ.

— უდავოა, — თქვა კ-მ ძალიან ჩუმად, რადგან ახარებდა, კრება დაძაბული ყურადღებით რომ უსმენდა; ამ სიჩუმეში იბადებოდა ზუზუნი, რაც აღტაცებულ ტაშისკვრაზე უფრო აგულიანებდა, — უდავოა, რომ სასამართლოს ღონისძიებების ანუ ამ შემთხვევაში ჩემი დაპატიმრებისა და დღევანდელი გამოძიების უკან დგას დიდი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას ემსახურებიან არა მარტო ქრთამის მოყვარული მცველები, უგუნური ზედამხედველები და გამომ-

ძიებლები. — რომლებიც, თუ ბედმა გაგვიღიმა, სანაქებო თავმდაბლობას იჩენენ, — არამედ კმაყოფაზე ჰყავს აგრეთვე, როგორც ეს მიღებულია, მაღალი და დაბალი რანგის მოსამართლეები მოსამსახურეების, მდივნების, ჟანდარმებისა და სხვა დამხმარე პერსონალის მთელი ამალით. იქნებ მათ შორის ჯალათებიც არიან, მე ამ სიტყვის არ მეშინია. რა აზრი აქვს ამოდენა ორგანიზაციას — ... ბობას, ბატონებო? ის, რომ დააპატიმროს უდანაშაულო ადამიანები, ან მათ წინააღმდეგ აღძრას უაზრო და შეტწილად უშედეგო აისხლის სამართლის საქმე, როგორც, მაგალითად, მე მომექცნენ. როცა მთელი სისტემა ერთიანად ასე უაზროა, როგორ შეიძლება ავიცდინოთ თავიდან მოხელეთა უსაშინელესი კორუფცია? ამას ვერსად გავექცევით, ასეთ შემთხვევაში უზენაესი მოსამართლეც კი ვერ დარჩება პატიოსანი. სწორედ ამიტომ ცდილობენ მცველები დაპატიმრებულს ტანსაცმელი წაგლიჯონ, ამიტომ იჭრებიან ზედამხედველები სხვათა ბინაში, ამიტომ ელის დამნაშავეს დაკითხვის ნაცვლად მთელი კრების წინაშე ღირსების შელახვა. მცველებმა მიამბეს იმ საწყობებზე, სადაც პატიმრების პირადი ნივთები ინახება. ერთი შემახედა ამ საწყობებში, სადაც პატიმართა გაჭირვებით მონაგარი ქონება ლპება, თუ ეს ქონება მანამდე საწყობებში მოკალათებულმა ჭურდებმა არ დაიტაცეს.

კ-ს სიტყვა შეაწყვეტინა დარბაზის ბოლოდან წამოსულმა კივილმა; კ-მ თვალები მოიჩრდილა, რადგან დღის მჭრეალი სინათლე ბუღს ანაკრისფერებდა და აბრმავებდა. ყვირილი იმ მხრიდან მოდიოდა, სადაც მრეცხავი ქალი იდგა; როგორც კი იგი დარბაზში შემოვიდა, კ. მიხვდა, ეს ქალი ხელს შეუშლიდა. მაგრამ ამჯერად კაცი ვერ გაიგებდა, დამნაშავე იყო იგი თუ არა. კ-მ მხოლოდ ის დაინახა, რომ ვიღაც მამაკაცს ქალი კართან, კუთხეში მიემწყვდია და მაგრად მიეკრა მკერდზე. მაგრამ ქალი კი არა, მამაკაცი კიოდა, მას პირი ფართოდ გაეღო და ჭერს მისჩერებოდა. მათ ირგვლივ პატარა წრე შეიკრა. ეტყობა, ჭანდარის იმ მხარეს, რომლის ახლოს ქალ-ვაჟი აღმოჩნდა, გაეხარდათ: ამ ამბავმა დააღლვია ის სერიოზულობა, რაც კ-მ კრებას თავს მოახვია. პირველი შთაბეჭდილების ზეგავლენით კ. ყინულამ გაიქცა იქითკენ, სადაც ჩოჩქოლი ატყდა, ამავე დროს იმასაც ვარაუდობდა, წესრიგის აღდგენას სხვებიც მოინდომებენ და ამ ქალსა და კაცს დარბაზიდან გააძევებენო, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა, პირიქით, პირველი რიგები მის წინ მჭიდროდ შეიკრა და გზა არ დაუთმეს. კ-მ ვერაფრით ვერ გააღლვია ეს კედელი, მოხუცმა მამაკაცებმა ხელებიც კი გაიშვირეს წინ, ვიღაცის ხელი კი — მოსაბრუნებელი დრო არ ჰქონდა — უკნიდან ჩაეჭიდა საყელოში. კ. აღარ ფიქრობდა იმ ქალ-ვაჟზე, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავისუფლებას ართმევდნენ, თითქოს მართლა აპატიმრებდნენ, იგი ანგარიშმიუცემლად გადმოხტა ფიცარნაგიდან და ბრბოს პირისპირ აღმოჩნდა. ნუთუ მან არასწორად შეაფასა ეს ადამიანები? ნუთუ ამაოდ იმედოვნებდა, სიტყვით მოვახდენ ზემოქმედებასო? ნუთუ სანამ ლაპარაკობდა, თვალთმაქცობდნენ, ახლა კი, როცა დასკვნების გამოტანის დრო მოვიდა, თვალთმაქცობა მობეზრდათ? ღმერთო, რა სახეები ერტყა გარს! წვრილ, შავ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ლოყები ლოთებივით ჩამოკიდებოდათ, გრძელი წვერი ერთი შეხედვით თხელი და ხეშეში უჩანდათ, მაგრამ თუ ჩაბღუჯავდი, აეე გეგონებოდა, ბრჭყალებს წავავლე ხელიო. წვერს ქვემოთ — კ-სთვის ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო — სერთუკის საყელოზე ნაირ-ნაირი სიდიდისა და ფერის სამკერდე ნიშნები უბრწყინავდათ. სადამდეც კი თვალი სწვ-

დებოდა, ნიშნები ყველას ექვთა. ეს კი იმის ნიშნავდა, რომ ყველანი ერთი ჯურისა იყვნენ. ხოლო გაყოფა მარცხენა და მარჯვენა ჯგუფებად მხოლოდ მოჩვენებითი იყო. კ. უეცრად შემობრუნდა და იგივე ნიშნები დაიხატა გამომძიებლის საყელოზეც. გამომძიებელს ხელები მუხლებზე დაეწყო და მშვიდად იყურებოდა ქვემოთ.

— აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე. — დაიყვირა კ-მ და ადგა. — ეს მაღლა ალმართა, რადგან თვალის უეცარ ახელას სულის მოსათქმელი დრო სჭირდებოდა. — როგორც ვხედავ, ყველანი მოხელეები ბრძანებულხართ. თქვენ განასახიერებთ იმ ბანდიტურ კორუფციას, რის წინააღმდეგაც მე აქ გავილაშქრე. თქვენ ერთდროულად მსმენელებიც ხართ და ჯაშუშებიც. თვალის ასახვევად დაიყავით ორ ჯგუფად და ერთი ჯგუფი მხოლოდ ჩემს გამოსაცდელად უკრავდა ტაშს. გინდოდათ გაგეგოთ, როგორ შეიძლება აცდუნოთ უდანაშაულო ადამიანი! იმედი მაქვს, უქმად არ დაგიკარგავთ დრო, თქვენ ან იმით გაირთეთ თავი, რომ უდანაშაულო ადამიანი თქვენნაირებისგან დაცვას ელოდა. ანდა... მომშორდი, თორემ გაგარტყამ.— შეუყვირა კ-მ ერთ-ერთ აკანკალებულ ბერიკაცს, რომელიც ზეტისმეტად ახლოს მიჩოჩებულიყო მასთან, — ანდა შეიძლება დღეს მართლაც იაწავლეთ რაღაც. წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

კ-მ აწრაფად დაავლო ხელი ქუდს, რომელიც მაგიდის კიდეზე იყო და სრულ სიჩუმეში, რაც იქ მყოფთა უკიდურეს გაოგნებას გამოხატავდა, კარისაკენ დაიძრა. მაგრამ, ეტყობა გამომძიებელმა დაასწრო, რადგან კართან დახვდა.

— ერთი წუთით, — უთხრა მან კ-ს, რომელსაც ხელი უკვე კარის სახელურზე ედო. კ. შეჩერდა და გამომძიებლის ნაცვლად კარს მიაჩერდა. — ჭე მხოლოდ იმისთვის მინდოდა მიმექცია თქვენი ყურადღება. — თქვა გამომძიებელმა. — რომ დღეს — ეს ალბათ ჯერ შეგნებულიც არა გაქვთ, — საკუთარ თავს წაართვით ის უპირატესობა, რასაც ასეთი დაკითხვა პატიმარს ყველა შემთხვევაში ანიჭებს.

კ-მ კარს გაუცინა: „არამზადებო, ყველა დაკითხვა თქვენთვის დამითმია!"— იყვირა მან, კარი გააღო და სირბილით დაეშვა კიბეზე. მის ზურგს უკან ხმაური ატყდა, ეტყობა, კრება ისევ გამოცოცხლდა და მომხდარ ამბებზე მოსწავლეებივით გააბეს მსჯელობა.

თავი მესამე

ცარიელ სხდომათა დარბაზში. სტუდენტი. კანცელარიები.

მთელი მომდევნო კვირა კ. ყოველდღე ელოდა გამომძიებელთან ხელმეორედ გამოძახებას. არ სჯეროდა, რომ მისი სიტყვები, დაკითხვაზე აღარ გამოვცხადდებიო, პირდაპირ გაიგეს, და რადგან შაბათიც ისე მიიწურა, რომ არავის გამოუძახებია, კ-მ ივარაუდა, ალბათ იმავე საათზე და იმავე სახლში ვარ მიწვეული გამოუძახებლადო. ამიტომ კვირას ისევ იქითკენ გასწია. ამჯერად მოურიდებლად აიარა კიბე; და დერეფნებს გაუყვა. კარებში გაჩერებული მდგმურებიდან ზოგმა იცნო და ესალმებოდა, მაგრამ კ-ს საკითხავი აღარაფერი ჰქონ-

და და მალე იმ ოთახის კარს მიადგა, რომელიც სჭირდებოდა. კარი დაკაკუნებისთანავე გაუღეს. კ. ისე ჩქარობდა მეზობელ ოთახში გასულიყო, რომ კარებში გაჩერებული ნაცნობი ქალისათვის ზედაც არ შეუხედავს.

— დღეს სხდომა არ ტარდება, — უთხრა ქალმა.

— როგორ თუ არ ტარდება? — ჰკითხა კ-მ ისე, თითქოს [illegible] სო.

ქალმა დასარწმუნებლად მეზობელი ოთახის კარი გააღო. ოთახი მართლაც ცარიელი იყო და ამის გამო კიდევ უფრო უბადრუკი ჩანდა. ვიდრე წინა კვირას. მაგიდაზე, რომელიც კვლავ ფიცარნაგზე იდგა, რამდენიმე წიგნი იდო.

— შეიძლება გადავხედო ამ წიგნებს? — ჰკითხა კ-მ ქალს არა იმ მიზნით, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, არამედ იმიტომ, რომ მისი აქ მოსვლა მთლად უსარგებლო არ ყოფილიყო.

— არა, —უპასუხა ქალმა და ისევ დახურა კარი. — წიგნების ხელის ხლება არ შეიძლება, ისინი გამომძიებლის საკუთრებაა.

— აჰ, ასეა საქმე? — თქვა კ-მ და თავი დაუქნია, — ეს წიგნები, ალბათ, კანონთა კრებულებია, აქაური მართლმსაჯულების დანიშნულება კი ისაა, რომ არა მარტო უდანაშაულო ადამიანს დასდონ მსჯავრი, არამედ უმეცარსაც.

— შეიძლება ეს მართლაც ასეა, — უპასუხა ქალმა, რომელმაც ხეირიანად ვერც გაიგო კ-ს ნათქვამი.

— რა გაეწყობა, თუ ასეა, მე წავალ, — უთხრა კ-მ ქალს.

— რას დამაბარებთ გამომძიებელთან? — ჰკითხა ქალმა.

— იცნობთ კი? — ჰკითხა კ-მ.

— რა თქმა უნდა, —უპასუხა ქალმა, — ჩემი ქმარი ხომ სასამართლოში შიკრიკად მუშაობს.

კ-მ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ოთახი, სადაც წინა კვირას მხოლოდ სარეცხის გეჯა იდგა, ახლა ნამდვილ საცხოვრებელ ოთახივით იყო მოწყობილი ქალმა კ-ს გაკვირვება შეამჩნია და უთხრა:

— დიახ, ჩვენ ეს ბინა უფასოდ დაგვითმეს. მაგრამ სხდომის დღეებში ოთახი უნდა დავცალოთ. ჩემი ქმრის თანამდებობას უსიამო მხარეებიც ახლავს.

— თქვენი ოთახი ისე არ მაკვირვებს, — უთხრა კ-მ და ქალს გაბრაზებულმა შეხედა, — როგორც ის, რომ გათხოვილი ბრძანდებით.

— თქვენ ალბათ იმ შემთხვევაზე მელაპარაკებით, უკანასკნელი სხდომის დროს რომ მოხდა დარბაზში და რის გამოც სიტყვის დასრულება ვეღარ შეძელით? — ჰკითხა ქალმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კ-მ, — მართალია, ეს ამბავი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მაშინ გაცოფებას აღარაფერი მაკლდა. ახლა კი თქვენი პირით მეუბნებით, გათხოვილი ვარო.

— სიტყვა რომ გაგაწყვეტინეთ, ამას თქვენთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, თქვენზე შემდეგ ბევრი არასახარბიელო რამ ითქვა.

— შეიძლება, — უპასუხა კ-მ ორჭოფულად, — მაგრამ თქვენ ეს არ გამართლებთ.

— მე ყველა მამართლებს, ვინც კი მიცნობს, — უპასუხა ქალმა. — ია კაცი, მაშინ რომ მეხვეოდა, დიდი ხანია დამდევს, შეიძლება სხვებისათვის მიმზიდველი არა ვარ, მაგრამ მას ჩემზე მზე და მთვარე ამოსდის. რას იზამ, ამ ამბავს ჩემი ქმარიც კი შეეგუა. თუ უნდა თანამდებობა შეინარჩუნოს, უნდა

მოითმინოს კიდეც, რადგან ის კაცი სტუდენტია და მალე ალბათ დიდ ძალაუფლებას მოიპოვებს. განუწყვეტლივ კუდში დამდევს. იგი ახლახან, თქვენს მოსვლამდე წავიდა.

— ეგ კაცი აქაურობისათვის ზედგამოჭრილია, — უთხრა კ-მ, და ამიტომ ეს ამბავი არც მაკვირვებს.

— ეტყობა, თქვენ აქ რაღაცების გაუმჯობესებას აპირებთ, — უთხრა ქალმა ისე წყნარად და გამომცდელად, თითქოს რაღაც საშიშს ამბობდა როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე კ-სთვისაც. — ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნა გამოვიტანე თქვენი სიტყვებიდან, რაც პირადად მე ძალიან მომეწონა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ თქვენი სიტყვის მხოლოდ ნაწილი მოვისმინე, დასაწყისს ვერ მოვუსწარი, ხოლო დასასრულის დროს სტუდენტთან ერთად ვიწექი იატაკზე. რომ იცოდეთ, რა გულისამრევია აქაურობა, — უთხრა ქალმა კ-ს მცირე ხნის დუმილის შემდეგ და ხელში სწვდა. — თქვენ გჯერათ, რომ აქ რაიმეს გამოაკეთებთ?

კ-მ გაიღიმა და ქალის ფაფუკ ხელებში მოქცეული ხელი ოდნავ შეათამაშა.

— მართალი რომ გითხრათ, — უთხრა კ-მ, — ჩემთვის არავის დაუვალებია, როგორც თქვენ ბრძანეთ, აქ რაიმე გამოვაკეთო, და თუ თქვენ ამას, მაგალითად, გამომძიებელს ეტყვით, ან დაგცინებენ ან დაგსჯიან. გარდა ამისა, ნებაყოფლობით არასოდეს ჩავერეოდი ამ საქმეში, არც იმის სურვილი მაქვს, რამე მოვიგონო ამნაირი სასამართლოს გასაუმჯობესებლად და ამისათვის ღამეები თეთრად ვათიო. მაგრამ იმის გამო, რომ ვითომც დამპატირეს, — მე ხომ დაპატიმრებული ვარ, — იძულებული გავხდი რაიმე მეღონა საკუთარი თავის დასაცავად. თუ რამეში თქვენც გამოგადგებით, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით და ამას მხოლოდ კაცთმოყვარეობა კი არ მკარნახობს, არამედ იმის იმედიც, რომ თქვენც დამეხმარებით.

— კი მაგრამ, რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა ქალმა.

— რით და, თუნდაც აი, ის წიგნები მაჩვენეთ, მაგიდაზე რომ დევს.

— კი ბატონო, — წამოიძახა ქალმა და სწრაფად გაუძღვა მაგიდისაკენ. წიგნები ძველი და დაფლეთილი აღმოჩნდა, ერთი წიგნის ყდა შუაზე იყო გადატეხილი და ორივე ნახევარი ძაფებზელა ეკიდა.

— რა ჩაბინძურებულია აქაურობა, — თავი გადააქნია კ-მ და სანამ იგი წიგნებს დასწვდებოდა, ქალმა წინსაფრის კალთით სწრაფად გადაწმინდა მტვერი, კ-მ ის წიგნი გადაშალა, ზემოდან რომ იდო და უხამსი სურათი დაინახა. დივანზე შიშველი მამაკაცი და ქალი ისხდნენ. მხატვრის უგვანო ჩანაფიქრი ადვილი ამოსახსნელი იყო, მაგრამ მისი უვიცობა მაინც ისე ცხადად მეჩვენებოდა, რომ სურათზე მამაკაცისა და ქალის სხეულების გარდა არაფერი ჩანდა. ისინი სარგადაყლაპულებივით ისხდნენ და მცდარი პერსპექტივის გამო ოდნავ იყვნენ ერთმანეთისაკენ შებრუნებულნი. კ. მოეშვა ამ წიგნის გადაფურცვლას და მეორე წიგნის მხოლოდ თავფურცელი გადაშალა. ეს იყო რომანი „რა წამებას ითმენდა გრეთე თავის ქმრის ჰანსისაგან".

— აი, თურმე რა კანონებს სწავლობენ აქ, — თქვა კ-მ, — და ასეთმა ხალხმა მე უნდა გამასამართლოს!

— თანახმა თუ იქნებით, მე დაგეხმარებით, — უთხრა ქალმა.

— ნუთუ მართლა შეგიძლიათ დამეხმაროთ ისე, რომ თავი საფრთხეში არ

ჩაიგდოთ? აკი წელან მითხარით, ჩემი ქმრის ბედი დიდადაა დამოკიდებული უფროსებზეო.

— მიუხედავად ამისა. მაინც დაგეხმარებით, — უთხრა ქალმა. — მოდი, აქ. ყველაფერზე უნდა მოვილაპარაკოთ. მელის თუ არა საფრთხე, ილაპარაკო არაა. მე მხოლოდ მაშინ მეშინია საფრთხისა, როცა [illegible] ნოდეს. მობრძანდით. — ქალმა კ-ს ფიცარნაგზე მიუთითა და სთხოვა. ძასთან ერთად ჩამომჯდარიყო საფეხურზე. — მშვენიერი შავი თვალები გაქვთ. — უთხრა ქალმა, როცა საფეხურზე ჩამოსხდნენ და კ-ს შეაჩერდა სახეში. — მეც მეუბნებიან. ლამაზი თვალები გაქვსო, მაგრამ თქვენ ბევრად უფრო ლამაზი გაქვთ. მაშინვე მომეწონეთ. როგორც კი პირველად შეგიდგით ფეხი. მე სწორედ თქვენი გულისათვის შემოვიპარე იმ დღეს მოგვიანებით სხლომათა დარბაზში. სხვა დროს მე ამგვარი რამ არასოდეს არ გამიკეთებია. მით უმეტეს, რომ აქ შემოსვლა აკრძალული მაქვს.

„აი, თურმე რა ყოფილა, — გაიფიქრა კ-მ, — თავის თავს ითავაზობს. აქაურებივით ესეც გარყვნილი ყოფილა. ეტყობა, მობეზრდა სასამართლოს მოხელეები, რაც გასაგებია, და აქ შემოსულ უცხო მამაკაცებს თვალებს უკრავს". — ისევ უხმოდ წამოდგა. თითქოს ეს აზრები ხმამაღლა გამოეთქვას და ქალს თავისი საქციელი აუხსნა.

— არა მგონია რითიმე დამეხმაროთ, — თქვა კ-მ, — ხამდვილად რომ დამეხმაროთ, მაღალი თანამდებობის პირებთან უნდა გქონდეთ საქმე. თქვენ კი, ალბათ, იცნობთ მხოლოდ დაბალი რანგის მოხელეებს, რომლებიც აქ ბლომად ირევიან. აი, მათ კი, ცხადია, კარგად იცნობთ და რაღაც-რაღაცებს გააკეთებინებთ კიდეც. მაგრამ თქვენთვის ნემსის ყუნწშიც რომ გაძვრნენ, ჩემი პროცესის დამთავრებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. თქვენ კი შეიძლება ამის გამო ზოგიერთი შეგობარი დაკარგოთ. მე არ მინდა ამგვარი რამ მოხდეს. ასე რომ, ნუ გაიფუჭებთ ურთიერთობას ძველ ნაცნობებთან, ჩემის აზრით, ისინი თქვენთვის საჭირონი არიან. გახა არ ვნანობ, რომ ამის თქმა მიხდება, მით უმეტეს, რომ თქვენი ქათინაურის საპასუხოდ მინდა კითხრათ, მეც მომწონხართ, განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთი სევდიანი თვალებით მიყურებთ, თუმცა ამისათვის არავითარი მიზეზი არა გაქვთ. თქვენ იმ საზოგადოებას ეკუთვნით, რომელსაც მე უნდა შევებრძოლო და ამავე დროს მათ გვერდით თავს კარგად გრძნობთ. თქვენ ის სტუდენტიც კი გიყვართ, და თუ არ გიყვართ, ქმარს მაინც ამჯობინებთ. ამაზე თვით თქვენი სიტყვები მეტყველებს ცხადად.

— არა! — იყვირა ქალმა და კ-ს ისე სწვდა ხელში, რომ ადგილიდან არც წამომდგარა. არც კ-ს უცდია სწრაფად გაეთავისუფლებინა ხელი. — თქვენ უფლება არა გაქვთ ახლავე გამეცალოთ. უფლება არა გაქვთ ისე წახვიდეთ, ცუდი წარმოდგენა დაგრჩეთ ჩემზე! ნუთუ მართლა შეგიძლიათ ახლა ადგეთ და წახვიდეთ? ნუთუ მართლა ისეთი არარაობა ვარ, რომ თავაზიანობის გამოც კი არ ეალგითთ მცირე ხანი მაინც დაჰყოთ ჩემს გვერდით.

— თქვენ ვერ გამიგეთ, — უთხრა კ-მ და ქალის გვერდით ჩამოჯდა. — თუ თქვენთვის მართლაც რამეს ნიშნავს ჩემი აქ დარჩენა, სიამოვნებით დავრჩები, დრო ბევრი მაქვს, დღეს აქ იმიტომ მოვედი, რომ მეგონა, დაკითხვა გაგრძელდებოდა. ყველაფერი რაც აქამდე გითხარით, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, მინდოდა მეთხოვა, თავს ნუ შეიწუხებთ ჩემი პროცესისათვისმეთქი. ეს არ უნდა გეწყინოთ, რადგან, დამიჯერეთ, ჩემთვის სულ ერთია რით

დამთავრდება პროცესი და თუ რამეს მომისჯიან, მხოლოდ გამეცინება. და ესეც ამ შემთხვევაში, თუ პროცესს ბოლომდე მიიყვანენ, რაშიც დიდად მეპარება ეჭვი. მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ საქმის წარმოება მოხელეთა სიზარმაცის, გულმავიწყობის ანდა სიმხდალის გამო უკვე შეწყდა ანდ [illegible] მომავალში შეწყდება. შესაძლოა, დიდი ქრთამის აღების იმედით ეს პროცესის წარმოება მოსაჩვენებლად განაგრძონ, მაგრამ ახლავე შემიძლია ვთქვა, ტყუილუბრალოდ გაირჯებიან, რადგან ქრთამს არავის არ ვაძლევ. და მაინც დიდ სამსახურს გამიწევთ, თუ გამომძიებელს ან სხვა ვინმეს, ვისაც ეხალისება ყოველგვარი ხმების გავრცელება, აცნობებთ, ვერასოდეს, ვერავითარი ხრიკებით, რასაც ეს ვაჟბატონები ალბათ ხშირად მიმართავენ, ვერ დამცინცლავენ ქრთამს. ამის მცირეოდენი იმედიც ნუ ექნებათ და შეგიძლიათ ეს მათ პირდაპირ უთხრათ, თუმცა იქნებ თვითონაც მიხვდნენ უკვე ამას, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, არც ეს მაღელვებს დიდად, ამ წუთშიც რომ გაიგონ ეს ამბავი, ამით მაგ ვაჟბატონებს მხოლოდ შრომას ვუადვილებთ და, ცხადია, მეც ნაკლები უსიამოვნება შემხვდება, თუმცა მზადა ვარ ყოველგვარი უსიამოვნება ავიტანო, ოღონდ მაგათაც მოხვდეთ და ეს რომ ალსრულდეს, ამისთვის როგორმე ვიზრუნებ. მართლა იცნობთ გამომძიებელს?

— რა თქმა უნდა. — უპასუხა ქალმა, — მე სწორედ გამომძიებელზე ვფიქრობდი, როცა დახმარება შემოგთავაზეთ. ის თუ დაბალი რანგის მოხელე იყო, ეგ არ ვიცოდი, მაგრამ რადგან თქვენ ბრძანეთ, ალბათ მართლაც ასეა. მიუხედავად ამისა, ჩემის აზრით, მოხსენებები, რომელთაც იგი ზევით აგზავნის, რაღაც გავლენას ახდენენ. იგი კი უამრავ მოხსენებით ბარათს წერს, თქვენ ბრძანეთ, ყველა მოხელე ზარმაციაო, ცხადია, ყველა ასეთი არაა, განსაკუთრებით აქაური გამომძიებელი. იგი სულ წერს და წერს. მაგალითად, გასულ კვირას სხდომა საღამომდე გაგრძელდა, ყველა წავიდ-წამოვიდა, გამომძიებელი კი დარბაზში დარჩა. ის კი არადა, ლამპაც მივუტანე. მე მხოლოდ პატარა, სამზარეულოს ლამპა მაქვს, მაგრამ გამომძიებელი ამითაც კმაყოფილი დარჩა. და მაშინვე შეუდგა წერას. ამასობაში ჩემი ქმარიც დაბრუნდა, იმ კვირა დღეს ივი თავისუფალი იყო. ჩვენ ავეჯი შემოვიტანეთ და ოთახი კვლავ მივალაგ-მოვალაგეთ. მალე მეზობლებიც გვესტუმრნენ, სახთლის შუქზე ვსაუბრობდით, ერთი სიტყვით, გამომძიებლის არსებობა ყველას დაგვავიწყდა და დასაძინებლად დავწექით. უეცრად, შუაღამე ალბათ გადაცილებული იქნებოდა, ვიღვიძებ და რას ვხედავ. საწოლის გვერდით გამომძიებელი დგას და ლამპის შუქს ხელს აფარებს, რათა სინათლე ჩემს ქმარს არ დასცემოდა. ამგვარი სიფრთხილე ზედმეტი იყო, ჩემმა ქმარმა ისეთი ძილი იცის, ვერავითარი სინათლე ვერ გააღვიძებს. ისე შემეშინდა, კინაღამ ყვირილი ავტეხე, მაგრამ გამომძიებელი მეტისმეტად თავაზიანად მომექცა, ჩუმად იყავითო, წამჩურჩულა, აქამდე ვწერდი, ახლა ლამპას გიბრუნებთ და არასოდეს დამავიწყდება, რა სანახავი იყავით მძინარეო. ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გამომძიებელი მართლაც ბევრ მოხსენებით ბარათს წერს, განსაკუთრებით თქვენზე. ეტყობა, გასული კვირის სხდომაზე თქვენი დაკითხვა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. ვერ დავიჯერებ, რომ მის გრძელ მოხსენებით ბარათებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. გარდა ამისა, ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ გამომძიებელს მოვწონვარ. მან ეს-ეს არის მომაქცია ყურადღება და ახლა, როგორც ახალ ცოცხს, მართლაც შემიძლია მოვახდინო მასზე დიდი გავლენა. მე რომ გულ-

ში ჩავუვარდი, ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთებიც მომეპოვება, გუშინ სტუდენტის ხელით, რომელიც მისი თანამშრომელია და დიდად ენდობა, საჩქაროდ ერთი წყვილი ამბრეშუმის წინდა გამომიგზავნა, თითქოსდა იმაზე სანაზღაურად, რომ მე სხდომათა დარბაზს ვალაგებ. მაგრამ ეს მხოლოდ საბიბად გამოიყენა, რადგან დარბაზის დალაგება ჩემი მოვალეობაა და ჩემს ქმარს ამისათვის ხელფასს უხდიან. წინდები კი მშვენიერია, აი, შეხედეთ! — ქალმა ფეხები წინ გაიშვირა, კაბა მუხლებამდე აიწია და თვითონაც დახედა წინდებს. — მშვენიერი წინდებია, მაგრამ მეტისმეტად თხელია და მე არ გამომადგება.

უეცრად ქალმა ლაპარაკი შეწყვიტა, კ-ს ხელზე ხელი ისე დაადო, თითქოს მისი დამშვიდება სურდა და წასჩურჩულა: — წყნარად, ბერტოლდი თვალს გვადევნებს.

კ-მ ნელა ასწია თავი. სხდომათა დარბაზის კარებში ტანდაბალი, ფეხებგოლრეცილი ახალგაზრდა კაცი იდგა და მოკლე, თხელ მწითურ წვერს წამდაუწუმ იწიწკნიდა. ალბათ ეგონა, წვერი კაცურ ღირსებას მმატებსო. კ-მ ცნობისმოყვარეობით შეხედა მოსულს, ეს იყო კ-სთვის უცნობი დარგის, იურიდიულ მეცნიერებას დაწაფებული პირველი სტუდენტი, ვისაც, ასე ვთქვათ, ადამიანისათვის საკადრის ვითარებაში შეხვდა, ვინც ალბათ როდისმე დიდ თანამდებობას დაიკავებდა. სტუდენტი კი პირიქით, თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კ-ს, იგი მხოლოდ ერთი წუთით მოეშვა წვერის წიწკნას, ქალი თითით მიიხმო და ფანჯარასთან მივიდა. ქალი კ-სკენ დაიხარა და წასჩურჩულა:

— ძალიან გთხოვთ, ნუ გამიწყრებით, ნურც ნურაფერს იფიქრებთ, ჩემზე ცუდს, მაგრამ ახლა ამ გულისამრევ კაცთან უნდა მივიდე: შეხედეთ ერთი, რა მოლრეცილი ფეხები აქვს. ახლავე დავბრუნდები და თუ წამიყვანთ, უთუოდ წამოგყვებით, წამიყვანეთ სადაც გნებავთ და შეგიძლიათ ისე მომექცეთ, როგორც მოგესურვებათ. ბედნიერი ქალი ვიქნები, ოღონდ აქაურობას გავეცალო რაც შეიძლება დიდი ხნით, უმჯობესი კი იქნება სამუდამოდ.

ქალი კ-ს ხელზე მიეფერა, შემდეგ წამოხტა და ფანჯრისაკენ გაიქცა. კ. უხებლიათ წაეპოტინა ქალის ხელს, მაგრამ მხოლოდ საცარიელე შერჩა. ამ ქალს ჰქონდა რაღაც უაღრესად მაცდუნებელი და კ-ს არაფრით არ შეეძლო ამ ცდუნებაზე გაქცეოდა. ერთი წუთით ასეთმა აზრმაც კი გაუელვა, იქნებ ეს ქალი სასამართლომ მომიჩინა სათვალთვალოდო, მაგრამ ეს აზრი ჭკუაში არ დაუჯდა. რაში უნდა გამოიჭიროს ამ ქალმა? კ. ხომ ჯერჯერობით სრულიად თავისუფალია და ძალაც შესწევს, ერთი ხელის მოსმით გააცამტვეროს მთელი მათი მართლმსაჯულება. ყოველ შემთხვევაში, მის საქმესთან დაკავშირებით მაინც. ნუთუ ოდნავადაც აღარ ენდობა საკუთარ თავს? ქალის ხმა გულწრფელად ჟღერდა, როცა დახმარებას სთავაზობდა და ეგებ მართლაც გამოადგეს. იქნებ გამომძიებელზე და მის დამქაშებზე შურისსაძიებლად არც არსებობს უკეთესი გზა, ვიდრე ამ ქალის წართმევა და დასაკუთრებაა? ხომ შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, კ-ზე ცრუ მოხსენებითი ბარათების წერით დაქანცული გამომძიებელი გვიან ღამით ქალის ოთახში შესულიყო და მისი საწოლი ცარიელი დახვედროდა. საწოლი კი იმიტომ დახვდებოდა ცარიელი, რომ ქალი კ-მ დაისაკუთრა, რომ ფანჯარასთან მდგარი ქალის უხეში ქსოვილის კაბაში გახვეული ფაშფაშა, მოქნილი, თბილი სხეული მისი საკუთრება გახდა.

როცა კ-მ თავი დაიშოშმინა, ტყუილად შემეპარა ეჭვი ამ ქალშიო, ფანჯარასთან გამართული ჩუმი საუბარი მეტისმეტად გაჭიანურებული მოეჩვენა,

და ჯერ თითებით დააკაკუნა ფიცარნაგზე, შემდეგ კი მუშტი დასცხო. სტუდენტმა კ-ს სხვათა შორის გამოხედა ქალის მხარს ზემოდან. მაგრამ სულაც არ შემცბარა, პირიქით, ქალს ხელი მოხვია და კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე. ქალმა თავი ისე დახარა, თითქოს სურდა ყურადღებით [illegible] მისი სიტყვები. ამ დროს სტუდენტმა ხმამაღლა აკოცა კისერში [illegible] ლაპარაკი. კ. დარწმუნდა, ქალმა ტყუილად როდი შესჩივლა. სტუდენტი ცუდად მეპყრობოთ. იგი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თანაც ალმაცერად ვადახედავდა ხოლმე სტუდენტს და იმაზე ფიქრობდა, როგორ გაებრძანებინა აქედან რაც შეიძლება სწრაფად ეს ვაჟბატონი, ხოლო როცა სტუდენტმა უთხრა: — თუ მოთმინება არ გყოფნით, შეგიძლიათ აქედან მიბრძანდეთო, — გაეხარდა კიდეც.

სტუდენტს, ეტყობა, აწუხებდა კ-ს ფეხის ხმა, მძიმე, მოუთმენელი.

— აქამდეც შეგეძლოთ გასცლოდით აქაურობას და თქვენს აქ არყოფნას ვერავინ შეამჩნევდა. დიახ, დიახ, უნდა წასულიყავით სწრაფად, იმ წუთშივე, ჩემი შემოსვლისთანავე. — დასძინა სტუდენტმა.

ამ სიტყვებში რისხვაც იგრძნობოდა და ქედმაღლობაც სასამართლოს მომავალი მოხელისა, რომელიც ათვალისწუნებულ ბრალდებულს ელაპარაკებოდა. კ. სტუდენტს მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა:

— დიახ, მართალი ბრძანდებით, მოთმინება არ მყოფნის. მაგრამ ჩემს მოუთმენლობას ყველაზე ადვილად იმით მოელება ბოლო, თუ თქვენ აქაურობას გაეცლებით. თუ თქვენ სამეცადინოდ მობრძანდით — მითხრეს, სტუდენტი ყოფილხართ, — მაშინ სიამოვნებით დაგითმობთ ადგილს და აქედან ამ ქალთან ერთად წავალ. სხვათა შორის, მოსამართლე რომ გახდეთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოთ. მართალია, თქვენს მართლმსაჯულებას ჯერჯერობით კარგად არ ვიცნობ, მაგრამ, ჩემის აზრით, მხოლოდ უხეში და უტიფარი ლაპარაკით, ასე კარგად რომ გემარჯვებათ, ფონს ვერ გახვალთ.

— ამ ვაჟბატონისთვის არ უნდა მიეცათ ასე თავისუფლად წანწალის უფლება, — უთხრა სტუდენტმა ქალს ისე, თითქოს ამით უნდოდა აეხსნა კ-ს ძეურაცხმყოფელი სიტყვების მიზეზი — შეცდომა დაუშვეს, ასეც მოვახსენე გამომძიებელს. იგი შინაურ პატიმრობაში უნდა აგვეყვანა, თუნდაც დაკითხვიდან დაკითხვამდე. მაგრამ ზოგჯერ გამომძიებელსაც ვერ გააგებინებ ხეირიანად ვერაფერს.

— ტყუილად ირჯებით, — უთხრა კ-მ და ხელი ქალისაკენ გაიწოდა. — წავიდეთ!

— აი, თურმე რა გსურთ, — წამოიძახა სტუდენტმა. — არა, არა, ამ ქალს ვერ დაისაკუთრებთ. — უეცრად მან ისეთი ლონე გამოავლინა, კაცი რომ ვერ იფიქრებდა, ქალი ცალი ხელით აიტაცა და მხრებში მოხრილი კარისკენ გაიქცა, თან ალერსიანად შესცქეროდა ქალს. ეტყობა, სტუდენტს მართლაც შეეშინდა კ-სი, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და მის გასაბრაზებლად თავისუფალი ხელით ქალს მკლავზე ეალერსებოდა. კ. ერთხანს გვერდიგვერდ მისდევდა, მზად იყო დაეჭირა და თუ დასჭირდებოდა, მიეხმარა კიდეც, მაგრამ ამ დროს ქალმა უთხრა:

რა გაეწყობა, გამომძიებელმა დაავალა ჩემი მიყვანა. ვერაფრით ვერ წამოგყვებით, ეს პატარა საფრთხობელა, — ქალმა სტუდენტს სახეზე გადაუსვა ხელი, — ეს პატარა საფრთხობელა არ გამოიშვებს.

— თვითონ არ გსურთ გათავისუფლდეთ! — იყვირა კ-მ და ძალზე ხელი დააადო სტუდენტს, რომელიც კინაღამ კბილებით ჩააფრინდა ხელში.

— არა! — წამოიძახა ქალმა და კ-ს ორივე ხელი ჰკრა. — არა, არა, ოღონდ ეს არა, ხომ არ გაგიჟდით, დამღუპავთ, დაანებეთ თავი. გემუდარებით, თავი დაანებეთ, იგი მხოლოდ გამომძიებლის ბრძანებას ასრულებს, მასთან ბრძოლა ვარ.

— თუ ასეა, სადაც უნდა, იქ წაეთრიოს, აღარც თქვენი დანახვა მსურს! — მიაძახა სასოწარკვეთილებისაგან გაცოფებულმა კ-მ ქალს და სტუდენტს ისე ჰკრა ხელი ზურგში, რომ მან ოდნავ წაიფორხილა. სტუდენტს გაეხარდა, რომ არ წაიქცა და თავის ტვირთიანად იმწამსვე კიდევ უფრო მაღლა ახტა.

კ. ნელი ნაბიჯით გაჰყვა მათ და მიხვდა, ამ ადამიანებმა პირველი სერიოზული დამარცხება აგემეს. თუმცა დიდად შესაშფოთებელი აქაც არაფერი იყო. დამარცხდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ეძებდა მათთან შეტაკების საბაბს. შინ რომ დარჩენილიყო და ჩვეულებრივი ცხოვრებით ეცხოვრა, ამ ხალხზე ათასჯერ მაღლა იდგებოდა და შეეძლო თითოეული მათგანი პანლურის კვრით ჩამოეცილებინა გზიდან. და მან წარმოიდგინა უჩვეულოდ სასაცილო სცენა, როგორიც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ეს უბადრუკი სტუდენტი, ეს გაფხორილი ყმაწვილი, ეს ფეხებმოღრეცილი წვეროსანი, ელზას საწოლის წინ დაჩოქილი აღმოჩნდებოდა და გულხელდაკრეფილი მისგან შეწყალებას ითხოვდა. კ. ისე აღაფოთოვანა წარმოდგენილმა სურათმა, რომ გადაწყვიტა, სტუდენტი წაეყვანა ელზასთან, როგორც კი ამის მცირედი შესაძლებლობა მაინც მიეცემოდა.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი კ. მაინც მიჰყვა მათ კარამდე, უნდოდა დაენახა საით წაიყვანდა სტუდენტი ქალს, ქუჩაშიც ხომ ასე ხელში ატაატებულს არ გაატარებდა, გზა გაცილებით უფრო მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. იქვე, ბინის პირდაპირ იწყებოდა ვიწრო ხის კიბე, რომელიც ალბათ სხვენზე ადიოდა, მაგრამ იქვე უხვევდა და მისი ბოლო არ ჩანდა. სტუდენტი სწორედ ამ კიბეს შეუდგა თავის ტვირთიანად. ამჯერად ნელა, ხვნეშით მიიწევდა ზევით, ეტყობა, წელანდელმა სირბილმა დაღალა. ქალმა კ-ს ხელი დაუჭირა და მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს თავს იმართლებდა, საკუთარ გატაცებაში ბრალი არ მიმიძღვისო. მაგრამ მაინცდამაინც დიდი წუხილი არ ეტყობოდა. კ-მ გულგრილად, უცხოსავით შეხედა ქალს. მას არც იმის გამომჟღავნება უნდოდა, რომ სასოწარკვეთილია და არც იმისა, რომ ამ სასოწარკვეთილების დაძლევა იოლად შეეძლო.

სტუდენტი და ქალი გაუჩინარდნენ, კ. კი ისევ კარებში იდგა. იგი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ქალმა არა მარტო იმედი არ გაუმართლა, არამედ მოატყუა კიდეც, როცა უთხრა, გამომძიებელთან მივყავარო. გამომძიებელი მის ლოდინში სხვენზე ხომ არ იჯდებოდა. ხის კიბეს კი რამდენიც არუნდა უცქირო, მაინც ვერაფერს გიხსნის. უეცრად კ-მ კიბესთან კედელზე გაკრული პატარა ქაღალდი შენიშნა, ახლოს მივიდა და გაუვარჯიშებელი ბავშვური ხელით ნაწერი წაიკითხა: „სასამართლოს კანცელარიებში შესასვლელი“. მაშ ამ მრავალბინიანი სახლის სხვენზე ყოფილა მოთავსებული სასამართლოს კანცელარიები? ამგვარი დაწესებულება დიდ პატივისცემას ვერ შთაუნერგავს ადამიანს და ბრალდებულზე ალბათ დამამშვიდებლად მოქმედებს ის გარემოება, რომ ასე მცირე თანხაა სასამართლოს განკარგულებაში, რაკი კანცელარიები იქ მოაწყვეს, სადაც ამ სახლის ღატაკი მდგმურები თავიანთ

ძველმანებს ყრიან, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ საკმარისი თანხის მფლობელნი არიან, მაგრამ სანამ ამ თანხას სასამართლოს მიზნებისათვის გამოიყენებენ, მოხელეები გვარიანად მოითბობენ ხელს, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც კ-ს აქამდე გადახდა თავს, ასეთი რამ მოსალოდნელიც იყო. და თუმცა სასამართლოს ამგვარი მორალური დაცემა ბრალდებულისთვის დამამცირებელია, მაინც უფრო დამამშვიდებლად მოქმედებს, ვიდრე სასამართლოს სილარიბე, ახლა კ-სთვის გასაგები იყო ისიც, თუ რატომ შერცხვათ პირველი დაკითხვის დროს სხვენზე გამოეძახებინათ და ამჯობინეს საკუთარ ბინაში დასცხრომოდნენ თავს. რაოდენ უკეთესი იყო კ-ს მდგომარეობა მოსამართლის მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც სხვენზე იჯდა, კ-ს კი ბანკში ჰქონდა დიდი ოთახი მისაღებით და შეეძლო ფართო ფანჯრებიდან ქალაქის ხალხმრავალი მოედანი დაენახა. მართალია, კ-ს არ ჰქონდა არავითარი დამატებითი შემოსავალი, არც მეკრთამე იყო, არც სხვისი ფულის მითვისება შეეძლო და ვერც დაბალი რანგის მოხელეს დაავალებდა, ატატებული ქალი შემომიყვანეო ოთახში, მაგრამ ამ ცხოვრებაში ამგვარ უპირატესობაზე სიამოვნებით იტყოდა უარს.

კ. ჯერ კიდევ კედელზე გაკრული ქალალდის წინ იდგა, როცა კიბეზე ვილაც კაცი ამოვიდა. ახალმოსულმა ღია კარიდან საცხოვრებელ ოთახში შეიხედა, საიდანაც სხდომათა დარბაზის დათვალიერებაც შეიძლებოდა, შემდეგ კი კ-ს ჰკითხა, ახლახან აქ ქალი ხომ არ დაგინახავთო.

— თქვენ სასამართლოს შიკრიკი ბრძანდებით, არა? — ჰკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა მამაკაცმა, — თქვენ კი ბრალდებული კ. ხომ? ახლა მეც გიცანით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — და კ-ს რომელიც ამას სრულიად არ მოელოდა, ხელი გაუწოდა, — მაგრამ დღეს სხდომა რომ არ არის დანიშნული? — დასძინა ბოლოს, რადგან კ. დუმდა.

— ვიცი, — თქვა კ-მ და შიკრიკის სამოქალაქო პიჯაკი შეათვალიერა. მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ერთადერთი ნიშანი იყო რამდენიმე ჩვეულებრივი ღილისაგან განსხვავებული ორი მოოქრული ღილი, რომლებიც, ეტყობა, ოფიცრის ძველ ფარაჯას ააწყვიტეს.

— ეს-ეს არის თქვენს ცოლს ველაპარაკე, მაგრამ აქ აღარ ბრძანდება, სტუდენტმა გამომძიებელთან წაიყვანა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა შიკრიკმა, — ყოველთვის მიჰყავთ სადღაც. დღეს კვირაა და ვალდებული არა ვარ ვიმუშაო. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მომიშორონ, რაღაც წვრილმანი, უმნიშვნელო დავალების აღსასრულებლად გამგზავნეს. თანაც აქვე, ახლოს და იმედი მქონდა, თუ ვიჩქარებ, დროზე დავბრუნდები-მეთქი უკან. მივრბივარ, მივქრივარ იმ დაწესებულებისაკენ, სადაც გამგზავნეს, კარის ღრიჭოდან სულმოუთქმელად მივაძახე ყველაფერი, რაც დამაბარეს, ხეირიანად ალბათ ვერც გაიგეს ვერაფერი, გამოვიქეცი უკან, მაგრამ სტუდენტმა მაინც მომასწრო, გზაც უფრო მოკლე ჰქონდა გასავლელი. მხოლოდ კიბე უნდა ჩამოერბინა სხვენიდან. სხვებზე რომ არ ვიყო დამოკიდებული, ამ სტუდენტს დიდი ხანია მივაჭყლეტდი კედელზე, აი აქ, წარწერის გვერდით. ეს არის ჩემი ერთადერთი ოცნება. სწორედ აქ, იატაკს ცოტა ზემოთ ჰკიდია მთლიანად გაჭეჭყილი სტუდენტი, ხელები განზე გადაუყრია, თითები გაუფარჩხავს, მოღრეცილი ფეხები უარესად მოუკაკვავს, ირგ-

ვლივ კი ყველაფერი სისხლითაა მოთხვრილი, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება.

— ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობს? — ჰკითხა კ-მ ლიმილით.

— ვერ ვხედავ, — უპასუხა შიკრიკმა. — მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება, აქამდე მხოლოდ თავის ოთახში მიათრევდა, ახლა ... ბელთანაც დაათრევს, რასაც მართალი რომ გითხრათ, დიდი ხანია ველოდი.

— განა თქვენი ცოლი თავად სულ არ არის დამნაშავე? — ჰკითხა კ-მ და ისიც ისე ძლიერ შეიპყრო ეჭვიანობამ, თავი ძლივს შეიკავა.

— როგორ არა, — თქვა შიკრიკმა, — ყველაზე მეტად სწორედ იგია დამნაშავე. თვითონ ჩამოეკიდა კისერზე. რაც შეეხება იმ ვაჟბატონს, ყველა დედაკაცს დასდევს კუდში. ამ სახლში იგი უკვე ხუთი ბინიდან გამოაძევეს. მართალია, მთელ სახლში ჩემი ცოლი ყველაზე ლამაზია, მაგრამ სწორედ მე არა მაქვს თავდაცვის უფლება.

— თუ საქმე მართლაც ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, საშველი არ ყოფილა, — თქვა კ-მ.

— არსებობს ერთი გამოსავალი, — უთხრა შიკრიკმა, — ეს ლაჩარი სტუდენტი ისე უნდა დაიჭეჭოს, რომ ჩემი ცოლის ხელის ხლება ველარ გაბედოს, მაგრამ მე ამის უფლება არა მაქვს, ჩემი ხათრით ამას არავინ გააკეთებს, რადგან მისი ძალაუფლებისა ეშინიათ. მხოლოდ თქვენისთანა კაცს შეუძლია ხელის გამოღება.

— მე რა შუაში ვარ? — გაუკვირდა კ-ს.

— თქვენ ხომ ბრალდებული ბრძანდებით, — უთხრა შიკრიკმა.

— დიახ, — დაუდასტურა კ-მ, — ამიტომ მე კიდევ უფრო მეტი საფუძველი მაქვს მეშინოდეს მისი, რადგან შეიძლება ამან პროცესის შედეგზე ვერ იქონიოს გავლენა, მაგრამ წინასწარ გამოძიებაზე უთუოდ მოახდენს.

— მართალი ბრძანდებით, — უთხრა შიკრიკმა ისე, თითქოს კ-ს აზრი მისას ემთხვეოდა, — მაგრამ ჩვენთან, როგორც წესი, უშედეგო პროცესები არ იმართება.

— მე კი ცოტა სხვაგვარად ვფიქრობ, — თქვა კ-მ, — მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის ერთ მშვენიერ დღეს თქვენს სტუდენტს შავი დღე ვაყარო.

— დიდად მადლობელი ვიქნები, — უთხრა შიკრიკმა ცოტა უფრო ოფიციალურად, რადგან არ სჯეროდა, რომ მისი უდიდესი სურვილი აღსრულდებოდა.

— მაგრამ, — განაგრძო კ-მ, — შეიძლება ამას თქვენი ზოგიერთი მოხელე და იქნებ ყველანიც იმსახურებენ.

— დიახ, დიახ, — უპასუხა შიკრიკმა ისე, თითქოს თავისთავად ცხად ამბებზე ყოფილიყო საუბარი. შემდეგ კ-ს ნდობით აღსავსე მზერა მიაპყრო, რაც მიუხედავად გულითადობისა, აქამდე არ უცდია და დასძინა: — რას იზამ, მეამბოხეებს რა გამოლევს ამქვეყნად.

შიკრიკმა უეცრად შეწყვიტა საუბარი, რადგან, ეტყობა, რაღაც არ ესიამოვნა და წამოიძახა:

— ახლა კანცელარიაში უნდა გამოვცხადდე, წამოხვალთ ჩემთან?

— რა საქმე მაქვს კანცელარიაში, — უპასუხა კ-მ.

— შეგიძლიათ კანცელარიები დაათვალიეროთ, ყურადღებას არავინ მოგაქცევთ.

— ღირს კი დათვალიერებაზ? — ჰკითხა კ-მ ყოყმანით, მაგრამ ამავე დროს დიდი სურვილი ჰქონდა თან წაჰყოლოდა.

— როგორც გნებავთ, — უთხრა შიკრიკმა, — ვიფიქრე, იქნებ დაინტერესდეს-მეთქი.

— თანახმა ვარ, მოვდივარ, — თქვა კ-მ ბოლოს და შიკრიკზე უფრო სწრაფად აირბინა კიბე.

კანცელარიების შესასვლელში კ. კინაღამ წაიქცა, რადგან კარს მიღმა კიდევ ერთი საფეხური აღმოჩნდა.

— ეტყობა, მომსვლელებს აქ არც ისე დიდ ანგარიშს უწევენ, — თქვა კ-მ.

— საერთოდ აქ არავის არ უწევენ ანგარიშს, — უპასუხა შიკრიკმა. — გადააავლეთ ერთი თვალი ამ მოსაცდელ ოთახს.

ეს იყო გრძელი დერეფანი, სადაც უხეშად გამოჩორკნილი კარები სხვენის სხვადასხვა ოთახში შეგიყვანდათ. სინათლის უშუალო წყარო არსად ჩანდა, მაგრამ იქაურობა ჩაბნელებული მაინც არ იყო, რადგან ზოგიერთ ოთახს დერეფნის მხრიდან ერთიანი ხის კედლის ნაცვლად ჭერამდე აწვდილი ხის გისოსები ჰქონდა დატანებული; იქიდან სუსტი სინათლე შემოდიოდა და რაღაცის გარჩევა შეიძლებოდა. გისოსებს მიღმა ზოგი მოხელე მაგიდას უჯდა და წერდა, ზოგიც ზედ გისოსს მოსდგომოდა და დერეფანში თავმოყრილ ხალხს აკვირდებოდა. კვირა დღე იყო და ამიტომაც დერეფანში ცოტა ხალხს მოეყარა თავი. გარეგნულად მეტისმეტად უბადრუკი ჩანდნენ. დერეფნის ორივე კედელთან გრძელი მერხები იდგა და ამ მერხებზე ადამიანები ჩამომსხდარიყვნენ ერთმანეთისაგან თითქმის თანაბრად დაშორებულ მანძილზე. ყველას ცუდად ეცვა, მაგრამ ბევრი მათგანი, თუ სახის გამომეტყველების, თავდაჭერის, მოვლილი წვერისა და მრავალი სხვა ძნელად შესამჩნევი წვრილმანის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი იყო. არსად არ ჩანდა ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელი, ქუდები ყველას მერხის ქვეშ დაეწყო. ეტყობა, ერთმა დადო იატაკზე ქუდი და მერე სხვებმაც მიჰბაძეს. კართან ახლოს მსხდომნი კ-ს და შიკრიკის დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ და მიესალმნენ, ამის დანახვაზე სხვებმაც იფიქრეს, ჩვენც უნდა მივესალმოთო და მოსულთა მიახლოვებისას სათითაოდ ფეხზე დგებოდნენ. წელში თითქმის არავინ იმართებოდა, იდგნენ მხრებში მოხრილნი, მუხლები უკანკალებდათ და მათხოვრებს ჰგავდნენ. კ-მ მოშორებით მომავალ შიკრიკს დაუცადა და უთხრა:

— რა დაბეჩავებულნი არიან.

— დიახ, — უპასუხა შიკრიკმა. — ესენი ბრალდებულები არიან, ყველა, ვისაც აქ ხედავთ, ბრალდებულია.

— ნუთუ? — იკითხა კ-მ, — მაშასადამე, ჩემი კოლეგები ყოფილან. — ამის შემდეგ კ-მ თავაზიანად მიმართა ყველაზე ახლო მდგომ, მაღალ, ტანწყობილ, თითქმის ჭაღარა მამაკაცს: — რას ელოდებით აქ?

მაგრამ მოულოდნელმა გამოლაპარაკებამ მამაკაცი შეაკრთო და ეს მით უფრო სავალალო იყო, რომ ცხოვრებისეული გამოცდილება აშკარად არ აკლდა და სხვაგან ალბათ თავის დაჭერაც იცოდა და ტოლსაც არ დაუდებდა ვინმეს, მაგრამ აქ კი უბრალო კითხვაზეც ვერ მოეხერხებინა პასუხის გაცემა და მეზობლებს ისე შესცქეროდა, თითქოს ავალდებულებდა, დამეხმარეთ, თო-

რემ უთქვენოდ ვერაფერს გავხდებით. ამ დროს მათ შიკრიკი მიუახლოვდა და მამაკაცს დასამშვიდებლად და გასამხნევებლად უთხრა:

— ეს ბატონი მხოლოდ იმას გეკითხებათ, რას ელოდებითო ამ უსაფუძვლოდ!

ეტყობა, შიკრიკის ნაცნობმა ხმამ მამაკაცზე უკეთ იმოქმედა:

— ველოდები, — დაიწყო მან და მაშინვე დაიბა ენა. ამ სიტყვებიდან ტომ დაიწყო, რომ აუდა ზუსტად ჩამოეყალიბებინა პასუხი, მაგრამ თქმა ველარ მოახერხა. მომლოდინეთაგან ზოგიერთნი გარს შემოეხვივნენ ამ პატარა ჯგუფს. შიკრიკმა მაშინვე ბრძანა.

— დაიშალეთ, დაიშალეთ, გაანთავისუფლეთ დერეფანი!

მათ ოდნავ დაიხიეს უკან, მაგრამ თავიანთ ადგილებზე არ დასხდნენ. ამ-სობაში იმან, ვისაც შეეკითხნენ, აზრი მოიკრიბა და ოდნავ შესამჩნევადაც გაიღიმა:

— ამ ერთი თვის წინათ განცხადება შემოვიტანე, ჩემს საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დამამტკიცებელი საბუთი მიეღოთ და ახლა გადაწყვეტილებას ველოდები.

— როგორც ვხედავ, თავს არ იზოგავთ, — უთხრა კ-მ.

— დიახ, —უპასუხა მამაკაცმა, — ეს ხომ ჩემი საქმეა.

— ყველა თქვენსავით როდი ფიქრობს, —უთხრა კ-მ, — მაგალითად, მეც ბრალდებული ვარ, მაგრამ ღმერთმანი, არც განცხადება შემოძიტანია დამამტკიცებელი საბუთების მიღების თაობაზე და არც სხვა რამ მსგავსი მომიმოქმედებია. ნუთუ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ?

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა მამაკაცმა ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ; მან, ეტყობა, გადაწყვიტა, კ. მასხარად მიგდებსო, ამავე დროს იმისაც ეშინოდა, რაიმე ახალი შეცდომა არ დავუშვაო და წელანდელი პასუხის გამეორება ამჯობინა, მაგრამ კ-ს თვალებში ისეთი მოუთმენლობა ამოიკითხა, რომ მხოლოდ ესლა თქვა:

— პირადად მე განცხადება შევიტანე. ჩემს საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დამატებითი საბუთი მიიღონ.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არ გჯერათ, რომ მეც ბრალდებული ვარ? — ჰკითხა კ-მ.

— რას ბრძანებთ, როგორ არ მჯერა, — უპასუხა მამაკაცმა და ოდნავ გვერდზე გადგა. მაგრამ მის პასუხში რწმენა კი არა, მხოლოდ შიში იგრძნობოდა.

— მაშ არ გჯერათ ჩემი, არა? — ჰკითხა კ-მ და მამაკაცის ბეჩავმა გამომეტყველებამ ქვეცნობიერად აიძულა მკლავში სწვდომოდა, თითქოს ძალით სურდა დაერწმუნებინა. კ. სატანჯველად როდი წაეპოტინა, მაგრამ მამაკაცმა ისე იყვირა, თითქოს ორი თითით კი არ შეეხენ მსუბუქად, არამედ გავარვარებული მარწუხი მოუჭირესო. ამ უაზრო ყვირილმა კ-ს საბოლოოდ დააკარგვინა მოთმინება: მით უკეთესი, თუ არ უჯერებენ, რომ იგიც ბრალდებული �რ ... ლაც მოსამართლე ეგონიეთო, გაიფიქრა მან და გამოშალა ... ერ ჰკრა იმ კაცს ხელი, რომ მერხზე მიაგდო და გზა გაიგრძო.

— ბრალდებულთა უმეტესობა ასეთი მგრძნობიარეა, — უთხრა კ-ს შიკრიკმა.

მათ ზურგს უკან თითქმის ყველა მომლოდინე ხელნაკრავი კაცის ირგვლივ შეჯგუფდა. ის ახლა აღარ ყვიროდა. აღბათ დაწვრილებით ეკითხებოდნენ

რა მოხდაო. კ-ს მოპირდაპირე მხრიდან უახლოვდებოდა მკველი. მისი განმასხვავებელი ნიშანი იყო მხოლოდ ხმალი. ოომლის ქარქაში, თუ ფერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალუმინისა უნდა ყოფილიყო. კ. გაკვირვებულ ... და ქარქაშს ხელიც კი შეაკლო. მკველია ყურადღება. ... მაშინვე იკითხა, რა მოხდაო. შიკრიკი შეეცადა რამდენიმე ... ... დებინა იგი. მაგრამ მკველმა განაცხადა, თავად უნდა შეეამოწმო ყველაფერი, მხედრულად გამოეშვიდობა მათ და ძალიან სწრაფი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით განაგრძო გზა. ეტყობა, ნიკრისის ქარები სტანჯავდა.

კ-ს არც მკველისა და არც დერეფანში მსხდომთა დარდი არ ჰქონდა. ნახევარი დერეფანი რომ გაიარა, დაინახა. კარია სიოდან მარჯვნივ შეეღლო გაეხვია და შიკრიკს ჰკითხა, სწორად თუ მივდივარო. შიკრიკმა თავი დაუქნია და კ-მ მართლაც გაუხვია მარჯვნივ. არ სიამოვნებდა, შიკრიკი რომ არ შორდებოდა და ორიოდე ნაბიჯზე უკან მოსდევდა. შეიძლება აქ ვინმეს ჰგონებოდა, პატიმარი მოჰყავთო. ამიტომ დროდადრო შიკრიკს უცდიდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ შიკრიკი კვლავ უკან რჩებოდა. ბოლოს კ-მ, რომელსაც სურდა თავი დაეღწია ამ უსიამო მდგომარეობისათვის, შიკრიკს უთხრა:

— მე უკვე დავათვალიერე აქაურობა, ახლა კი მირჩევნია წავიდე.

— არა, ჯერ ყველაფერი არ გინახავთ. — უთხრა შიკრიკმა ორაზროვნად.

— ყველაფრის ნახვა არც მინდა. — უპასუხა კ-მ, რომელიც უკვე მართლაც დაიღალა. — მინდა წავიდე აქედან, სადაა გასასვლელი.

— ნუთუ ასე მალე აგებნათ გზა? — ჰკითხა შიკრიკმა გაკვირვებით, — აი, იმ კუთხემდე მიხვალთ. შემდეგ მარჯვნივ გაჰყვებით დერეფანს და პირდაპირ კარს მიადგებით.

— წამომყევით. — უთხრა კ-მ. — გზა მაჩვენეთ, თორემ აქ იმდენი შესასვლელი და გასასვლელია, დავიბნევი.

ესაა ერთადერთი გზა. — უპასუხა შიკრიკმა საყვედურით. — ვერ წამოგყვებით. ჯერ პასუხი უნდა მივიტანო იქ, სადაც ჯერ არს, ისედაც ბევრი დრო დამაკარგვინეთ.

— წამომყევით! — გაიმეორა კ-მ ისე უკმეხად, თითქოს შიკრიკი ტყუილში გამოიჭირა.

— ნუ ყვირით, — წასჩურჩულა შიკრიკმა, — აქ ხომ ყველგან კანცელარიებია. მარტოკაა თუ არ გინდათ გაბრუნდეთ, მაშინ ცოტა ხანს კიდევ გამომყევით, ანდა აქ დამიცადეთ, სანამ საქმეს მოვრჩები.

— არა, არა, დაცდა არ შემიძლია, — უთხრა კ-მ, — ახლავე უნდა წამოვიდეთ.

კ-ს არც კი მიუთვალ-მოუთვალიერებია ის ადგილი, სადაც იდგნენ და მხოლოდ მაშინ მიაბრუნა თავი იქითკენ, როცა უამრავი ხის კარიდან ერთ-ერთი გაიღო. დერეფანში შემოვიდა ვიღაც ქალიშვილი, რომლის ყურადღება, ალბათ კ-ს ხმამაღალმა ლაპარაკმა მიიპყრო და ჰკითხა:

— რა გნებავთ, ბატონო? — ქალიშვილის ზურგს უკან, მოშორებით, ნახევრად ბნელში გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც მათ უახლოვდებოდა. კ-მ შიკრიკს შეხედა. აკი ამ კაცმა უთხრა, ყურადღებას არავინ მოგაქცევსო ,ახლა კი ორნი უახლოვდებოდნენ, კიდევ ცოტაც და სხვა მოხელეებიც შეამჩნევდნენ და მოსთხოვდნენ ახსნა-განმარტებას, აქ რა გინდათო. ერთადერთი გასაგები და

ანგარიშგასაწევი ახანა ის იქნებოდა, თუ იტყოდა, ბრალდებული კარ და აქ იმის გასაგებად მოვედი, როდის შედგება შემდეგი დაკითხვაო. მაგრამ სწორედ ასეთი ახსნა-განმარტების მიცემა არ შეეძლო, რადგან სიმართლეს არ შეესაბამებოდა; კ. ხომ აქ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა, უნდოდა [illegible] ყოფილიყო, რომ სასამართლოს შინაგანი მხარეც ისევე ამაზრზენი იყო, [illegible] ყარეგნული, მაგრამ ამის თქმა კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, მართლდებოდა, და ალარ სურდა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ამ დაწესებულებას; ისედაც ცუდ გუნებაზე დააყენა ნანახმა და სწორედ ახლა არ ჰქონდა იმის თაი, შეჰფეთებოდა უფრო მაღალი რანგის პოხელეს, რომელსაც შეეძლო ყოველი კარიდან გამომძვრალიყო. ერჩია შიკრიკთან ერთად გასცლოდა აქაურობას, ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა, მარტო წასულიყო.

მაგრამ მისი ერთ ადგილზე დგომა და დუმილი თავისთავად იქცევდა ყურადღებას და მართლაც შიკრიკმა და ქალიშვილმა ისე შეხედეს, თითქოს მათ წინ მდგომი კაცი სადაცაა უჩვეულოდ გარდაიქმნებოდა და არ უნდოდათ ამგვარი სანახაობა გამორჩენოდათ. კარებში სწორედ ის კაცი იდგა კ-ი რომ ადრევე შორიდან შეამჩნია. იგი დაბალი კარის ზედა წირთხლს ჩასჭიდებოდა და ფეხის წვერებზე შემდგარი მოუთმენელი მაყურებელივით ოდნავ ირწეოდა. ყველაზე ადრე ქალიშვილი მიხვდა, რომ კ. შეუძლოდ იყო და ამიტომ იქცეოდა ასე უცნაურად. ქალიშვილმა სწრაფად მოუტანა [illegible]ავარძელი და ჰკითხა:

— ხომ არ დაბრძანდებით?

კ. იმწამსვე დაჯდა და თითქოს საყრდენს ეძებსო, იდაყვები სავარძლის სახელურებს დააბჯინა.

— ცოტათი თავბრუ გეხვევათ, არა? — ჰკითხა ქალიშვილმა და სახე ძალიან ახლოს მიუტანა; მას ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, ზოგიერთი ქალიშვილისათვის ადრეულ სიყმაწვილეში რომ არის დამახასიათებელი.

— ნუ ღელავთ. — უთხრა ქალიშვილმა, — არაჩვეულებრივი აქ არაფერია, ამგვარი რამ თითქმის ყველას ემართება, ვინც კი პირველად მოხვდება ჩვენთან. თქვენც ხომ პირველად ხართ? დიახ, არაჩვეულებრივი მართლაც არაფერია. მზე საშინლად აცხუნებს ნივნივს, ხოლო გადახურებული ხისაგან ჰაერი იხუთება და მძიმდება. ამიტომ, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ეს შენობა ანცელარიებისათვის მაინც არ ეარგა. ხოლო რაც შეეხება ჰაერს, იმ დღეებში, როცა აქ უამრავი მომჩივანი იყრის თავს, — და ასეა თითქმის ყოველდღე, — სუნთქვა ჭირს. გარდა ამისა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ აქ ხშირად ფენენ სარეცხს — სულ ხომ ვერ ავუკრძალავთ მდგმურებს სხვენზე სარეცხის გაფენას, — მაშინ ალარ გაგიკვირდებათ, უქეიფოდ რომ შეიქენით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ასეთ ჰაერსაც მშვენივრად ეჩვევა კაცი. მეორე და მესამე მოსვლაზე სული ალარ შეგეჩუოებათ. ხომ უკეთ გრძნობთ თავს?

კ-ს პასუხი არ გაუცია. მეტისმეტად არ სიამოვნებდა. უეცარი სისუსტის გამო ამ ადამიანების ხელში რომ ამოჩნდა. თანაც როცა გაიგო, რამ გახადა ცუდად, უკეთესად კი არა, ცოტათი უარესადაც კი იგრძნო თავი. ქალიშვილმა ეს მაშინვე შენიშნა და შენობაში რომ სუფთა ჰაერი შემოეშვა, კედელზე მიყუდებულ ბარჯს ხელი დააკლო და ზუსტად კ-ს თავს ზემოთ საჰაერო სარკმელი გააღო. მაგრამ სარკმლიდან იმდენი ჭვარტლი ჩამოცვივდა, რომ ქალიშვილი იიულებული გახდა მაშინვე დაეხურა და კ-ს ჭვარტლიანი ხელები საკუთარი ცხვირსახოცით გაუწმინდა, რადგან კ. მეტისმეტად დაღლილი იყო და

არაფრის თავი არ ჰქონდა. იგი სიამოვნებით იჯდებოდა ამ სავარძელში, ძალონეს მოიკრებდა და მერე წავიდოდა, თანაც რაც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ, მით უფრო სწრაფად მოვიდოდა გონს, მაგრამ სწორედ ამ დროს ქალიშვილმა უთხრა:

— აქ დარჩენა არ შეიძლება, მოძრაობას ვაბრკოლებთ.

კ-მ თვალებით ჰკითხა ქალიშვილს, რომელ მოძრაობას ვაბრკოლებთო.

— თუ გნებავთ, საექიმო პუნქტამდე მიგაცილებთ. თუ შეიძლება, დამეხმარეთ. — უთხრა ქალიშვილმა კარებში გაჩერებულ მამაკაცს, რომელიც მაშინვე მიუახლოვდა მათ. მაგრამ კ-ს არ უნდოდა საექიმო პუნქტში აღმოჩენილიყო, სწორედ იმას ერიდებოდა. კიდევ სადმე წაეყვანათ, რადგან რაც უფრო შორს შეტოპავდა, მით უარესი იქნებოდა მისთვის.

— უკვე შემიძლია სიარული. — თქვა მან და თუმცა სავარძელში კარგად ერძნობდა თავს, კანკალით წამოდგა; მაგრამ ფეხზე გაჩერება გაუჭირდა. — არა, არ შემიძლია, — თქვა მან, თავი გააქნია, ამოიოხრა და ისევ ჩაეშვა სავარძელში. კ-ს გაახსენდა შიკრიკი, ვისაც მისი აქედან გაყვანა შეეძლო, მაგრამ, ეტყობა, იგი უკვე გამქრალიყო. კ-მ მის წინ მდგომ ქალიშვილსა და მამაკაცს შორის დარჩენილი ადგილიდან გახედა დერეფანს, მაგრამ შიკრიკი ვერსად დალანდა.

— ჩემის აზრით, — თქვა მამაკაცმა, რომელსაც საკმაოდ მოხდენილად ეცვა, განსაკუთრებით კალთებწაწვეტებული ნაცრისფერი ჟილეტი იყო მოსაწონი, — ეს ბატონი აქაურმა ატმოსფერომ გახადა ცუდად და ამიტომ ყველაზე გონივრული და მისთვის სასიამოვნო იქნება, საექიმო პუნქტში წაყვანის ნაცვლად, აქედან გავიყვანოთ.

— მართალს ბრძანებთ, — წამოიძახა უზომოდ გახარებულმა კ-მ და მამაკაცა ლაპარაკი აღარ აცალა, — ცხადია, მაშინვე უკეთ გავხდები, თუმცა არც ისე დასუსტებული ვარ, საკმარისია ოდნავ მომეხმაროთ, მხრებში ამომიდგეთ, დიდად არ შეგაწუხებთ, არც გზაა გრძელი, მხოლოდ კარამდე მიმიყვანეთ, შემდეგ ცოტა ხანს საფეხურზე ჩამოვჯდები და მაშინვე მოვითქვამ სულს. საქმე ისაა, რომ ამგვარი შეტევა არასოდეს მქონია, ეს ჩემთვისაც მოულოდნელია. მეც მოხელე გახლავართ და დაწესებულების ჰაერს შეჩვეული, მაგრამ აქ მეტისმეტად მძიმე ჰაერია, ამას ხომ არც თქვენ უარყოფთ. ჰქენით სიკეთე, გამაცილეთ ცოტაზე, თავბრუ მეხვევა და თუ მარტომ გადავდგი ნაბიჯი, ცუდად გავხდები. — ამ უცხო ხალხისთვის მხრებში ამოდგომა რომ გაეადვილებინა, კ-მ ხელები ასწია.

მაგრამ მამაკაცმა მის დაჟინებულ თხოვნას ყური არ ათხოვა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ხმამაღლა გაიცინა.

— ხედავთ, — უთხრა მან ქალიშვილს, — ხომ სწორად მივხვდი. ამ ბატონს საერთოდ არაფერი სჭირს, მხოლოდ აქ გრძნობს თავს ცუდად.

ქალიშვილს გაეღიმა, მაგრამ თითის წვერები მაინც დაჭერა მამაკაცს მკლავზე, აქაოდა, მეტისმეტად ხომ არ იგდებთ ამ კაცს სასაცილოდო.

— როგორ გეკადრებათ, — უთხრა მამაკაცმა ქალიშვილს სიცილით, — მე მართლა მინდა ეს ბატონი აქედან გავიყვანოთ.

— კარგს იზამთ, — უთხრა ქალიშვილმა და ერთი წამით ლამაზი თავი დახარა. — ამ სიცილს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, — მიმართა ქალიშვილმა მცირე ხნის შემდეგ კ-ს, რომელმაც ისევ მოიწყინა.

მზერა ერთ წერტილს მიაპყრო და არავითარი ახსნა-განმარტება არ აინტერესებდა. — ეს ბატონი — ხომ შეშიძლია თქვენი თავი წარვუდგინო? (აიძაკაცა ხელის მოძრაობით ნება დართო) — ეს ბატონი, ცნობათა ბიუროა, განაგებს. მომლოდინე ხალხს იგი აძლევს ყოველნაირ საჭირო ცნობას. მაგრამ რადგანაც ხალხი არ იცნობს ჩვენს სასამართლო პროცედურას, მეტისმეტად ბევრი ცნობის გაცემა უხდება. ამ კაცს შეუძლია გიპასუხოთ ყველა კითხვაზე. თუ ოდესმე მოგეხალისებათ, შეგიძლიათ გამოსცადოთ. მაგრამ ეს არ არის მისი ერთადერთი ღირსება. მეორე მისი ღირსება ის არის, რომ მოხდენილად აცვია. ჩვენ, ესე იგი, სასამართლოს მოხელეებმა, ერთხელ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ცნობათა ბიუროს გამგეს დაუსრულებლად და თანაც პირველს უწევს მომჩივან-მოპასუხესთან მოლაპარაკება, და იმთავითვე კარგი შთაბეჭდილება რომ მოახდინოს, მოხდენილად უნდა ეცვას. დანარჩენებს, როგორც თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ თუნდაც ჩემს მაგალითზე, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად. ძველმოდურად გვაცვია, თუმცა ტანსაცმელზე ფულის ხარჯვას აზრი არა აქვს. ჩვენ ხომ თითქმის მთელ დროს კანცელარიებში ვატარებთ და ხშირად ღამესაც აქ ვათევთ. მაგრამ, როგორც გითხარით, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ცნობათა ბიუროს გამგეს კარგად ეცვას. ჩვენი უფროსები ამ საკითხის მიმართ ცოტა უცნაურად არიან განწყობილნი და რადგან არაფერი გაიღეს, თანამშრომლებმა შევაგროვეთ ფული, ცოტაოდენი თანხა კლიენტებმაც შემოგვწირეს და მარტო ეს ლამაზი კოსტიუმი კი არა, სხვაც ვუყიდეთ. თითქმის ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს კაცი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდეს, მაგრამ თავისი სიცილით ყველაფერს აფუჭებს და ხალხს აფრთხობს.

— მართალია, — თქვა ცნობათა ბიუროს გამგემ, — მაგრამ ერთი რამ არ მესმის, ფროილაინ, რატომ უამბობთ ამ ბატონს მთელ ჩვენს შინაურულ ამბებს, ან უკეთ რომ ვთქვათ, თავს ახვევთ იმას, რაც მას სრულიად არ აინტერესებს. განა ვერ ხედავთ, რომ ახლა იგი მხოლოდ საკუთარ საქმეებზე ფიქრობს?

კ-ს არავითარი სურვილი არ ჰქონდა შეჰკამათებოდა მათ. ქალიშვილს ალბათ კეთილი სურვილები ამოძრავებდა, სურდა კ-ს ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, ხელი შეეწყო გონს მოსულიყო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

— ხომ უნდა ამეხსნა მისთვის, რატომ იცინოდით, — მიმართა ქალიშვილმა მამაკაცს, — ხომ შეიძლებოდა შეურაცხყოფად მიეღო.

იგი ალბათ მეტ შეურაცხყოფასაც აიტანს, ოღონდ აქედან გავიყვანო. უპასუხა მამაკაცმა.

კ-ს არაფერი უთქვამს, თავიც კი არ აუწევია. მოთმინებით იტანდა იმას, რომ ეს ორნი მასზე ისე მსჯელობდნენ, როგორც უსულო ნივთზე და არც აწუხებდა ეს ამბავი. უეცრად ცალ ხელში ცნობათა ბიუროს გამგემ წაავლო ხელი, მეორეში ქალიშვილმა.

— აბა წამოდექით, დასუსტებულო ადამიანო, — უთხრა ცნობათა ბიუროს გამგემ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ ორივეს, — უთხრა მათ გახარებულმა და გაოცებულმა კ-მ, შემდეგ ნელა წამოიწია და ისე მოიმარჯვა უცხო ხელები, რომ უფრო მოხერხებულად დაყრდნობოდა.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, — წასჩურჩულა ქალიშვილმა კ-ს, როცა ისინი დერეფანს უახლოვდებოდნენ, — რად დასჭირდა ამ ქალს ცნობათა ბიუროს

გამგის ცამდე აყვანაო, მაგრამ დამიჯერეთ, მართალი გითხარით, ეგენი ბოროტი გულის კაცი როდია. სულაც არ ეკალება, ავადმყოფი კლიენტები აქედან გაიყვანოს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამას მაინც აკეთებს. შეიძლება ჩვენ ყველანი არც ისე ბოროტნი ვართ, შეიძლება სიამოვნებითაც ვეხმარებოდით ყველას, მაგრამ ჩვენ ხომ სასამართლოს მოხელეები ვართ და ამიტომაც ყველას მივაჩნივართ გულქვა ადამიანებად, რომელთაც არ სურთ ვინმეს დახმარების ხელი გაუწოდონ. ამ ამბის გამო მე პირადად ძალზე ვიტანჯები.

— ხომ არ ინებებთ მცირე ხნით ჩამოჯდეთ აქ? — ჰკითხა ცნობათა ბიუროს გამგემ.

ისინი უკვე დერეფანში გასულიყვნენ და სწორედ იმ ბრალდებულის წინ იდგნენ, წელან რომ კ. გამოელაპარაკა. კ-ს ცოტათი შერცხვა მისი; აქ რომ შემოვიდა, თავდაჯერებული გამოეჭიმა, ახლა კი ორი ადამიანი ამოსდგომოდა მხრებში, მის ქუდს გაფარჩხული თითებით ათამაშებდა ცნობათა ბიუროს გამგე, თმა ასწეწოდა და ოფლიან შუბლზე ჩამოშლოდა. მაგრამ ბრალდებულმა თითქმის ვერაფერი შენიშნა, მორჩილად იდგა ცნობათა ბიუროს გამგის წინ, და ცდილობდა აეხსნა თავისი მოსვლის მიზეზი, მაგრამ გამგე მას თითქოს ვერც ამჩნევდა.

ვიცი, — თქვა ბრალდებულმა. — ჩემი განცხადება ჯერ არ იქნება განხილული, მაგრამ მაინც მოვედი. ვიფიქრე, დავიცდი-მეთქი, დღეს ხომ კვირაა, დრო მაქვს, აქ კი ხელს არავის ვუშლი.

— ტყუილად იხდით ბოდიშს, — უპასუხა ცნობათა ბიუროს გამგემ, — თქვენი თადარიგიანობა ქების ღირსია. მართალია, აქ ტყუილად გიჭირავთ ადგილი, მაგრამ სანამ ხელს არ მიშლით, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩვენ ისეთებიც გვინახავს, უტიფრად რომ უგულვებელყოფენ თავიანთ მოვალეობას და თქვენისთანა ადამიანებს როგორ არ უნდა მოეპყრას კაცი მეტი მოთმინებით, დაბრძანდით.

— ხედავთ როგორ ეხერხება კლიენტებთან ლაპარაკი, — წასჩურჩულა ქალიშვილმა კ-ს.

კ-მაც თავი დაუქნია და როცა ცნობათა ბიუროს გამგემ კვლავ ჰკითხა, ხომ არ გსურთ ჩამოჯდეთო, შეკრთა.

— არა, — უპასუხა კ-მ, — სულაც არ მჭირდება შესვენება.

მან სცადა ეს სიტყვები მტკიცედ წარმოეთქვა, მაგრამ ჩამოჯდომა უთუოდ ღიად შეებას მოჰგვრიდა. ასე ეგონა, ზღვის ავადმყოფობის მაგვარი რაღაც მჭირსო, თითქოს ძლიერ ღელვაში გემზე აღმოჩნდა, ტალღები ხის კედლებს ეხეთქებოდა, აქაფებული ღმუილით მოედინებოდა დერეფნის სიღრმიდან. იატაკი კედლიდან კედლამდე ქანაობდა, ხოლო ორივე მხარეს ჩამომჯდარი კლიენტები ხან მაღლა ადიოდნენ, ხან დაბლა ეშვებოდნენ. ამიტომ კიდევ უფრო გაუგებარი იყო მისთვის თანმხლები ქალიშვილისა და მამაკაცის სიმშვიდე. იკი მათ მიენდო, საკმარისი იყო ხელი გაეშვათ და, მოჭრილ ხესავით დაეცემოდა იატაკზე. ქალიშვილი და მამაკაცი წვრილ, გამჭრიახ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. კ. გრძნობდა, რა მწყობრად მიაბიჯებდნენ ისინი, თვითონ კი ფეხს ვერ უწყობდა, რადგან გაჭირვებით მიათრევედნენ. ბოლოს მიხვდა, რაღაცას ეუბნებიან, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, რას. მის ყურამდე მხოლოდ ხმაური აღწევდა. ყველაფრის დამტევი ხმაური, და ამ ხმაურს თითქოს აბობდა ერთი გაბმული, მაღალი, უცვლელი ბგერა. გეგონებოდა, სირენა კივისო.

— გამაგონეთ, რას ამბობთ, — ჩაიჩურჩულა მან და თავი ჩაქინდრა, რცხვენოდა, რომ საკმაოდ ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ, მას კი არაფერი ესმოდა. ბოლოს, თითქოს მის წინ კედელი გაიღღვაო, საიდანღაც სუფთა ჰაერი შემოიჭრა და გაიგონა, როგორ თქვა მამაკაცმა:

— თითქოს წასვლა უნდოდა, ახლა კი ასჯერ ვუმეორებ, [illegible] გასასვლელი-მეთქი და მაინც არ იძვრის ადგილიდან.

ბოლოს კ-მ დაინახა, რომ გასასვლელი კარის წინ იდგა. კარი ქალიშვილმა გაუღო. კ-ს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ძალ-ღონე ერთბაშად დაუბრუნდა და წინასწარ რომ დამტკბარიყო თავისუფლებით, მაშინვე კიბის საფეხურს დაადგა ფეხი და გამცილებლებს, რომლებიც მისკენ დაიხარნენ, კიბიდან გამოემშვიდობა:

— დიდად გმადლობთ, — იმეორებდა იგი, ორივეს მრავალგზის ჩამოართვა ხელი და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა შეატყო, კანცელარიის ჰაერს მიჩვეული ქალი და კაცი კიბიდან შემოჭრილი შედარებით სუფთა ჰაერისაგან ლამის ცუდად გახდნენ. მათ პასუხის თავი აღარ ჰქონდათ და ქალიშვილი ალბათ წაიქცეოდა, კ-ს რომ სწრაფად არ მიეხურა კარი. იგი ერთი წუთით შეჩერდა, ჯიბის სარკეში ჩაიხედა, თმა დაივარცხნა, კიბეზე დაგდებულ ქუდს დასწვდა, — ეტყობა, ცნობათა ბიუროს გამგემ დააგდო, — და ისე სწრაფად, ისეთი დიდი ნახტომებით დაეშვა კიბეზე, რომ ამ უეცარმა გარდატეხამ თითქოს შიშიც კი მოჰგვარა. ჯანმრთელ, გაკაჟებულ სხეულს ჯერ არასდროს გაუკვირვებია კ-ასე. ნუთუ სხეული აუჯანყდა და ახალი სასიცოცხლო პროცესისათვის ემზადება, რადგან ძველს გაუჭირვებლად იტანდა. როგორმე ექიმს უნდა ვეჩვენოო, გაიფიქრა მან და მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან კვირა დღის პირველი ნახევარი უკეთ გამოეყენებინა, ვიდრე დღეს — ამას სხვისი რჩევის გარეშეც გაართმევდა თავს.

თავი მეოთხე

ფროილაინ ბიურსთნერის მეგობარი ქალი

რამდენიმე დღე კ-მ ვერაფრით ვერ მოახერხა, ფროილაინ ბიურსთნერისათვის ორიოდე სიტყვა ეთქვა, ყოველნაირად ცდილობდა მცირე ხნით მაინც დაემარტოხელებინა ქალიშვილი, მაგრამ ფროილაინ ბიურსთნერი მოხერხებულად არიდებდა თავს. სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. პირდაპირ შინ ბრუნდებოდა, თავის ოთახში ტახტზე ჯდებოდა, სინათლეს არ ანთებდა და სხვა არაფერი საქმე ჰქონდა, წინკარში შემოსულთ თვალყურს ადევნებდა. თუ მოახლე გოგო ჩაივლიდა და კარს მიუხურავდა — გოგოს ალბათ ეგონა, ჩაბნელებულ ოთახში არავინ არისო, — კ. ცოტა ხნის მერე წამოდგებოდა და კარს ისევ აღებდა. დილით ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე დგებოდა, რათა სამსახურში მიმავალ ფროილაინ ბიურსთნერს მარტო შეხვედროდა, მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო იყო. ბოლოს წერილი მისწერა სახლშიც და კანტორაშიც, ცდილობდა კიდევ ერთხელ გაემართლებინა საკუთარი საქციელი, სთხოვდა, როგორც მოგესურვებათ, ისე მიმსახურეთო, პირდებოდა, არასოდეს არ გადავალ თქვენ მიერ დადგენილ ზღვარსო, ემუდარებოდა, ერთხელ მაინც მომეცით თქვენთან დალაპარაკების შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ფრაუ გრუ-

ბახს ვერ დაველაპარაკები, თუ წინასწარ თქვენ არ გკითხავთ რჩევასო. ბოლოს ატყობინებდა, მომავალ კვირას მთელი დღე ოთახში ვიჯდები და თქვენს ნიშანს დაველოდები, ყოველ შემთხვევაში, ან ჩემს სურვილს დააკმაყოფილებთ და შემხვდებით, ანდა იმას მაინც ამიხსნით, რატომ არ გსურთ ჩემთან შეხვედრა, მე ხომ პირობას გაძლევთ, მთლიანად თქვენს ნებას დავემორჩილებთ. კ-ს არც თავისი წერილები დაბრუნებია უკან და არც ფროილაინ ბიურსთნერის პასუხი მიუღია. სამაგიეროდ მომდევნო კვირას რაღაც ისეთი ანიშნეს, რაც ეჭვს არ იწვევდა. დილაადრიან კ-მ კარის ჭუჭრუტანიდან დაინახა, შემოსასვლელში დიდი ფუსფუსი იყო ამტყდარი, რის მიზეზიც მალე გაირკვა. ფრანგული ენის მასწავლებელი სხვათაშორის ეს სუსტი, ფერმკრთალი, ოდნავ კოჭლი ქალიშვილი გერმანელი იყო, გვარად მონთაგი — აქამდე ცალკე ოთახში ცხოვრობდა, ახლა კი ფროილაინ ბიურსთნერის ოთახში გადადიოდა. იგი რამდენიმე საათი დაჩანჩალებდა წინკარში, ხან საცვალი ავიწყდებოდა, ხან საბანი, ხან წიგნი, ყოველი ნივთისათვის საგანგებოდ ბრუნდებოდა უკან და ახალ ოთახში გადაჰქონდა.

როდესაც ფრაუ გრუბახმა საუზმე შემოუტანა — მას შემდეგ, რაც კ. გაუბრაზდა, დიასახლისი მოახლეს უმნიშვნელო წვრილმანის შესრულებასაც კი არ ანდობდა, — კ-მ ველარ მოითმინა და ხუთი დღის დუმილის შემდეგ, პირველად გამოელაპარაკა ქალს.

— რატომაა დღეს ასეთი ხმაური წინკარში? — ჰკითხა მან ფრაუ გრუბახს და ყავა დაისხა, — ნუთუ არ შეიძლება ამას ბოლო მოეღოს, ნუთუ მაინცდამაინც კვირა დღესაა აუცილებელი ბერტყვა-დალაგება?

თუმცა კ. ფრაუ გრუბახს არ უყურებდა, მაგრამ მაინც შენიშნა, რომ ქალმა შვებით ამოისუნთქა. ეს მკაცრი შეკითხვები პატიებად თუ არა, პატიებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მაინც მიიჩნია.

— არავინ არაფერს არ ალაგებს, ბატონო, კ., — უპასუხა ფრაუ გრუბახმა, — მხოლოდ ფროილაინ მონთაგი გადადის საცხოვრებლად ფროილაინ ბიურსთნერთან და თავის ბარგი-ბარხანა გადააქვს.

ქალს მეტი არაფერი უთქვამს, ელოდა, როგორ მიიღებდა მის სიტყვებს კ. და მისცემდა თუ არა უფლებას, განეგრძო საუბარი. მაგრამ კ-მ მისი ყამოცდა გადაწყვიტა, ერთხანს დაფიქრებული ურევდა კოვზით ყავას და დუმდა, შემდეგ კი თავი ასწია და ჰკითხა:

— ალარ უყურებთ ეჭვის თვალით ფროილაინ ბიურსთნერს?

ო, ბატონო, კ., — წამოიძახა ფრაუ გრუბახმა, რომელიც აშკარად ელოდა ამ კითხვას და მიტყუპებული ხელები კ-სკენ გაიშვირა, — თქვენ ძალიან ახლოს მიიტანეთ გულთან ამასწინანდელი სრულიად შემთხვევითი შენიშვნა. აზრადაც არ მომსვლია მეწყენინებინა თქვენთვის ან სხვა ვინმესთვის. თქვენ ხომ კარგა ხანია მიცნობთ, ბატონო კ., და უნდა დამიჯეროთ. არც კი იცით, როგორ ვიტანჯებოდი მთელი ეს ბოლო დღეები! ნუთუ მე შდგმურებს ცილს დავწამებ! ნუთუ თქვენ ეს დაიჯერეთ, ბატონო კ.! თანაც მითხარით, ბინიდან დამითხოვეთო! თქვენ როგორ გაკადრებთ ამას! — უკანასკნელი სიტყვები ცრემლებმა ჩაახშო, ქალმა სახეზე წინსაფარი აიფარა და ხმამაღლა აქვითინდა.

— ნუ ტირით, ფრაუ გრუბახ, — უთხრა კ-მ და ფანჯარაში გაიხედა. იგი მხოლოდ ფროილაინ ბიურსთნერზე და იმ ამბავზე ფიქრობდა, ოთახში რომ უცხო ქალი შეისახლა. — ნუ ტირით, — გაიმეორა მან, როცა მოიხედა და

დაინახა, ფრაუ გრუბახი კვლავ ტიროდა. — მაშინ არც მე არ გამივლია გულში არაფერი ცუდი, უბრალოდ ერთმანეთს ვერ გავუგეთ, ასეთი რამ ძველ მეგობრებს შორისაც ხდება.

ფრაუ გრუბახმა თვალებიდან წინსაფარი მოიშორა, სურდა დარწმუნებულიყო, კ. მართლა შემბრალდა თუ არაო.

— დიახ დიახ, ეს ასეა, — დასძინა კ-მ. ფრაუ გრუბახმა ქცევამ დაარწმუნა, რომ კაპიტანს ისინი არ გაუცია, ამიტომ გაბედა და უთხრა. ხუთუ მართლა დაიჯერეთ, რომ ვიღაც უცნობი ქალიშვილის გულისათვის წაგეჩხუბებოდით.

— საქმეც ეს არის, ბატონო კ., — უთხრა ფრაუ გრუბახმა, ამ ქალს ერთი უბედურება სჭირდა, როგორც კი შვებას იგრძნობდა, მაშინვე წაიოროშავდა სისულელეს, — წამდაუწუმ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ იცავს ასე თავგამოდებით ბატონი კ. ფროილაინ ბიურსთნერს, რატომ მეჩხუბება მის გამო, განა არ იცის, რომ ყოველი მისი მწარე სიტყვა ძილს მიფრთხობს-მეთქი? ფროილაინ ბიურსთნერზე მე ხომ მხოლოდ ისა ვთქვი, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

კ-მ არაფერი უპასუხა, ქალს კიდევ რომ ეთქვა რაძე, ოთახიდან უნდა გაეგდო, ეს კი არ უნდოდა. კ. მდუმარედ სვამდა ყავას, რითაც ფრაუ გრუბახს აგრძნობინა, ზედმეტი ხარო. გარედან ისევ მოისმა, როგორ დაფრატუნებდა ფროილაინ მონთაგი წინკარში.

— გესმით? — ჰკითხა კ-მ და ხელით კარზე ანიშნა.

— დიახ, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა და ამოიოხრა. მინდოდა მიეხმარებოდი, მოახლესაც მივაშველებდი, მაგრამ ჯიუტია. უნდა ყველაფერი თვითონ გადაზიდოს. მაკვირვებს ფროილაინ ბიურსთნერის საქციელი. მე ისიც კი არ მსიამოვნებს, ფროილაინ მონთაგი რომ ჩემი მდგმურია. ფროილაინ ბიურსთნერს კი თავის ოთახში ვადაჰყავს.

— თქვენ ეს არ უნდა გაწუხებდეთ, — უთხრა კ-მ და ფიხჯანში ჩარჩენილ შაქარს კოვზი მოუერია. — განა თქვენთვის ეს საზარალოა?

— არა, — უპასუხა ფრაუ გრუბახმა, — პირიქით, ხელსაც მაძლევს. ოთახი მინთავისუფლდება, და იქ ჩემს ძმისწულს, კაპიტანს გადავიყვან. უკვე კარგა ხანია არ მშორდება იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ძმისწული გაწუხებთ, რაკი ეს რამდენიმე დღეა საერთო ოთახში მივუჩინე კუთხე. დიდად მორიდებული არ ბრძანდება.

— ეს რამ გაფიქრებინათ! — უთხრა კ-მ და ფეხზე წამოდგა, — ეს რა სალაპარაკოა, თქვენ, ალბათ, მეტისმეტად მგრძნობიარე ბგონივართ, რაკი ფროილაინ მონთაგის წალმა-უკუღმა ტანტალს — ახლა იგი ისევ უკან ბრუნდება. ვერ ვითმენ.

ფრაუ გრუბახი უმწეოდ შესცქეროდა კ-ს.

— ხომ არ ვუთხრა, ბატონო კ., დანარჩენი ნივთების გადაზიდვა ხვალისათვის გადადეთ-მეთქი? თუ გნებავთ ახლავე ვეტყვი.

— მაინც ხომ უნდა გადასახლდეს ფროილაინ ბიურსთნერთან, — უპასუხა კ-მ.

— დიახ, — თქვა ფრაუ გრუბახმა, რომელსაც ხეირიანად ვერ გაეგო, რისი თქმა სურდა კ-ს.

— ამიტომ ჯობია თავისი ნივთები დღესვე გადაიტანოს, — უთხრა კ-მ.

ფრაუ გრუბახმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ქალის უსიტყვო უმ-

წეობა, რაც ყველაზე მეტად სიჯიუტეს ჰგავდა, კიდევ უფრო აღიზიანებდა კ-ს. მან დაიწყო ოთახში აქეთ-იქით სიარული კარიდან ფანჯრამდე, რის გამოც ფრაუ გრუბახს არაფრით არ შეეძლო ოთახიდან გასვლა, არადა, ძალიან უნდოდა გასულიყო.

კ. სწორედ იმ დროს მივიდა კართან, როცა დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა მოახლე გოგო და განაცხადა, ფროილაინ მონთაგს სტუმრად სიტყვა უთხრას ბატონ კ-ს და ამიტომ სთხოვს შევიდეს სასადილო ოთახში, სადაც ელოდებაო. კ-მ ყურადღებით მოუსმინა მოახლეს, შემდეგ კი მიუბრუნდა შეშინებულ ფრაუ გრუბახს და დამცინავად შეხედა. მისი მზერა იმაზე მეტყველებდა, თითქოს დიდი ხანია წინასწარ იცოდა, რომ ფროილაინ მონთაგი მის ნახვას მოისურვებდა და ესეც ერთ-ერთი იმ ტანჯვათაგანი იყო, რაც მას ამ კვირა დილას უნდა აეტანა ფრაუ გრუბახის მდგმურებისაგან. მან მოახლე უკან-ვე გაგზავნა და დაავალა ეთქვა ფროილაინისათვის, ახლავე მოვალო, მერე ტანსაცმლის კარადასთან მივიდა პიჯაკის გამოსაცვლელად, ხოლო ფრაუ გრუ-ბახს, რომელიც ჩუმად ბუზღუნებდა, რა აბეზარია ეს ქალიშვილი, სთხოვა პურჭელი საუზმიანად გაეტანა ოთახიდან.

— თითქმის არაფრისათვის არ გიხლიათ ხელი, — უთხრა ფრაუ გრუ-ბახმა.

— რაღას უყურებთ, წაიღეთ, — შეუყვირა კ-მ, რომელსაც ისეთი გრძნო-ბა ჰქონდა, თითქოს ფროილაინ მონთაგს რაღაც მანქანებით ყველაფერში ურევ-ია ხელი და ეს გულს უმღვრევდა.

როცა წინკარი გაიარა, ფროილაინ ბიურსთნერის ოთახის დაკეტილ კარს შეავლო თვალი, მაგრამ ძას ამ ოთახში კი არა, სასადილოში ეპატიჟებოდნენ, რომლის კარიც ჯიქურად, დაუკაკუნებლად შეაღო.

ეს იყო მეტისმეტად გრძელი, ვიწრო, ცალფანჯრიანი ოთახი, სადაც უაიდ-გილობის გამო მხოლოდ ორი კარადა ეტეოდა. კარადები ირიბად დაედგათ კარის მხარეს კუთხეებში, დანარჩენი ფართობი კი ეჭირა გრძელ სასადილო მა-გიდას, რომელიც კართან ახლოს იწყებოდა და თითქმის ფანჯარას ებჯინებოდა. ამის გამო ფანჯარასთან მისვლა ჭირდა. მაგიდა უკვე გაეწყოთ, თანაც ბევრ სულზე, რადგან კვირაობით თითქმის ყველა მდგმური ამ ოთახში სადილობდა.

როგორც კი კ. სასადილოში შევიდა, ფროილაინ მონთაგი ფანჯარას მოს-ცილდა და მაგიდის გასწვრივ სტუმრის შესაგებებლად გამოეშურა. ისინი უხ-მოდ მიესალმენ ერთმანეთს. შემდეგ ფროილაინ მონთაგმა, რომელსაც არაბუნებ-რივად სწორად ეჭირა თავი, კ-ს უთხრა:

— არ ვიცი, მიცნობთ თუ არა?

კ-მ თვალები ბოჭუტა, ქალიშვილა შეხედა და უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გიცნობთ, თქვენ უკვე კარგა ხანია ცხოვრობთ ფრაუ გრუბახთან.

— მე მეგონა სრულიად არ გაინტერესებდათ პანსიონის ცხოვრება, — უთხრა ფროილაინ მონთაგმა.

— მართალია, — უპასუხა კ-მ.

— ხომ არ დაბრძანდებით? — ჰკითხა ფროილაინ მონთაგმა.

ორივემ მდუმარედ გამოსწიეს საკარძლები და მაგიდის ბოლოში ერთმა-ნეთის პირისპირ დასხდნენ. მაგრამ ფროილაინ მონთაგი იმწამსვე წამოდგა.

რადგან ფანჯრის რაფაზე ბელჩანთა დარჩენოდა. მთელი ოთახი ფრატუნით ვაიარა, უკან გამობრუნებული ჩანთის ნელა მოაქანავებდა.

— ჩემმა მეგობარმა დამავალა ორიოდე სიტყვა მეთქვა თქვენთვის, თვითონ სურდა მოსვლა, მაგრამ დღეს ცოტა შეუძლოდ გახლავთ. გეხვეწებთ აპატიოთ და მის მაგივრად მე მომისმინოთ. თუმცა იმაზე მეტს ... ეტყვით, თავადაც ვერ გეტყოდათ. პირიქით, მეტის თქმაც კი შემიძლია, რადგან მასთან შედარებით, მიუკერძოებელი ვარ. ხომ გჯერათ ჩემი? — უთხრა ფროილაინ მონთაგმა კ-ს.

— საინტერესოა, რა გაქვთ სათქმელი? — უპასუხა კ-მ, რომელიც დაღალა იმან, რომ ფროილაინ მონთაგი თვალს არ აშორებდა მის ტუჩებს და წინასწარ ხვდებოდა, რისი თქმა უნდოდა. — მიუხედავად ჩემი თხოვნისა, ეტყობა, ფროილაინ ბიურსთნერს არ სურს პირადად ჩემთან ლაპარაკი.

— დიახ, ასეა, — თქვა ფროილაინ მონთაგმა. — უფრო სწორად, ასე არ არის, თქვენ მეტისმეტად მკაცრად ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი. საერთოდ კი, საუბარზე არც თანხმობას იძლევიან და არც უარს ამბობენ. მაგრამ ხდება ისიც, საუბარს უბრალოდ ზედმეტად თვლიან. აქ სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ახლა კი, თქვენი შეხიშვნის შემდეგ, შემიძლია გულახდილად მოგახსენოთ, თქვენ ჩემს მეგობარს სთხოვეთ სიტყვიერად ან წერილობით მოგლაპარაკებოდათ; მაგრამ ჩემი ვარაუდით, ჩემმა მეგობარმა იცის, რაზე გსურთ მასთან საუბარი და რადაც მიზეზების გამო, რაზედაც წარმოდგენა არა მაქვს, დარწმუნებულია, რომ ამგვარი საუბარი არც ერთ მხარეს არ მოუტანს სარგებლობას. თუმცა მან ეს გუშინ და ისიც გაკვრით მითხრა, ამავე დროს ამიხსნა, რომ ამ საუბარს არც თქვენთვის შეიძლება ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, რადგან ამგვარი აზრი მხოლოდ შემთხვევის წყალობით გაგიჩნდათ და თუ ახლაც არა, სულ მალე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიხვდებით თქვენი თხოვნის უაზრობას. მე მას ვუთხარი, შეიძლება ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაგრამ საკითხის ბოლომდე გასარკვევად საჭიროდ მიმაჩნია ამომწურავი პასუხი გასცე-მეთქი, ამასთანავე შევთავაზე, ამ საქმეს მე მოვაგვარებ-მეთქი. მცირე ყოყმანის შემდეგ ჩემი მეგობარი დამეთანხმა. ვიმედოვნებ, თქვენი გულისთქმის შესაბამისად ვმოქმედებ, რადგან ყოველგვარი გაურკვევლობა სრულიად უმნიშვნელო საქმეშიც კი მეტისმეტად გამაწამებელია და თუ ასე ადვილად შეიძლება მისი აღმოფხვრა, როგორც ამ შემთხვევაში, საქმე გადაუდებლად უნდა გაკეთდეს.

— დიდად გმადლობთ, —უთხრა კ-მ სწრაფად, შემდეგ ნელა წამოდგა. ჯერ ფროილაინ მონთაგს შეხედა, მერე მაგიდას, ბოლოს ფანჯარაში გაიხედა — მოპირდაპირე სახლი მზით იყო განათებული — და კარისაკენ წავიდა. ფროილაინ მონთაგი ისე გაჰყვა უკან, თითქოს ბოლომდე არ ენდობოდა. კართან მისულნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ამ დროს კარი გაიღო და ოთახში კაპიტანი ლანცი შემოვიდა. ასე ახლოს კ-მ პირველად დაინახა იგი. კაპიტანი მაღალი, ორმოცს წელს მიტანებული, მზემოკიდებული მამაკაცი იყო და ხორციანი სახე ჰქონდა. სალმის ნიშნად მან ოდნავ დახარა თავი, რაც კ-საც ეხებოდა, შემდეგ ფროილაინ მონთაგთან მივიდა და ხელზე მოწიწებით ეამბორა. მეტისმეტად მსუბუქი მიხრა-მოხრა ჰქონდა. კ-სგან განსხვავებით უაღრესად თავაზიანად ექცეოდა ქალიშვილს. მაგრამ ფროილაინ მონთაგი, ეტყობა, მაინც აღ იყო გულმოსული კ-ზე და, როგორც შეამჩნია, ქალიშვილს

ისიც კი უნდოდა, კ. კაპიტნისათვის გაეცნო. მაგრამ კ-ს არავის გაცნობა არ სურდა, სულ ერთია, ვერც ფროილაინ მონთაგს მოექცეოდა თავაზიანად და ვერც კაპიტანს. ოფიცრის ხელზე კოცნამ ქალიშვილი იმ ბანაკში გადაისროლა, რომელიც უკიდურეს უწყინარობას და მიუკერძოებლობას ~~ამრეკავებული~~, ცდილობდა კ. ფროილაინ ბიურსთნერთან არ მიეშვა. მაგრამ კ-მ ~~მარტო~~ ეს კი არ დაინახა, მან დაინახა ისიც, რომ ამ საქმისათვის ფროილაინ მონთაგმა თუმცა გონივრული, მაგრამ ორლესული ხერხი გამოიყენა. ქალი აზვიადებდა კ-სა და ფროილაინ ბიურსთნერს შორის დამყარებულ ურთიერთობას, უპირველეს ყოვლისა, აზვიადებდა იმ მოლაპარაკების მნიშვნელობას, რასაც კ. ითხოვდა და ამავე დროს ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს თვით კ. აზვიადებდა ყველაფერს. მაგრამ ფროილაინ მონთაგი ცდებოდა. კ. არაფერს არ აზვიადებდა, მან კარგად იცოდა, ფროილაინ ბიურსთნერი ერთი საცოდავი მემანქანე იყო და დიდხანს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. ამავე დროს, კ-მ განზრახ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რაც ფრაუ გრუბახისაგან ფროილაინ ბიურსთნერზე შეიტყო. ყოველივე ამან ერთბაშად გაიელვა კ-ს გონებაში, როცა ქალიშვილსა და კაპიტანს ოდნავ დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა. უნდოდა აირდაპირ თავის ოთახში შესულიყო, მაგრამ ამ დროს მის ზურგს უკან ფროილაინ მონთაგის სიცილი მოესმა და გადაწყვიტა კაპიტანი და ფროილაინ მონთაგი ძლიერ გაეკვირვებინა. მან ირგვლივ მიმოიხედა, შეამოწმა რომელიმე ოთახიდან ვინმე ხელს ხომ არ შემოშლისო, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ სასადილო ოთახიდან, ისმოდა საუბარი, სამზარეულოსაკენ მიმავალი დერეფნიდან კი – ფრაუ გრუბახის ხმა. უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ვერც ინატრებდა. იმწამსვე ფროილაინ ბიურსთნერის კართან გაჩნდა და ნელა დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ხმა ამჯერადაც არ გაუცია არავის. ნუთუ სძინავს, იქნებ მართლაც შეუძლოდაა, ან იქნებ გაჩგებ არ ძრავს კრინტს, გული უგრძნობს, ასე ჩუმად მხოლოდ კ-ს შეუძლია დააკაკუნოსო? განგებ მემალებაო, გაიფიქრა კ-მ და უფრო მაგრად დააკაკუნა. ბოლოს, როცა დაკაკუნებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, კარი ფრთხილად შეაღო, თუმცა გრძნობდა, უწესოდ და უაზროდ იქცეოდა, ოთახი ცარიელი დახვდა, თანაც არაფრით არ ჰგავდა ნაცნობ ოთახს. კედელთან ერთმანეთის მიყოლებით ორი საწოლი იდგა, კარის მახლობლად დადგმულ სამ სავარძელზე კაბები და საცვლები დაეხვავებინათ, კარადა ღია იყო. ფროილაინ ბიურსთნერი ალბათ მაშინ გავიდა სახლიდან, როცა სასადილო ოთახში ფროილაინ მონთაგი კ-ს ელაპარაკებოდა. მაგრამ ამ ამბავს კ. დიდად არ შეუწუხებია, არც უფიქრია, ადვილად მოვახერხებ ფროილაინ ბიურსთნერის ნახვასო. ეს ნაბიჯი მხოლოდ ფროილაინ მონთაგის ჯიბრზე გადადგა. მაგრამ როცა კარი გამოხურა, მეტისმეტად არ ესიამოვნა, სასადილო ოთახის კართან საუბარში გართული კაპიტანი და ფროილაინ მონთაგი რომ დაინახა. იქნებ ისინი მაშინაც იქ იდგნენ, როცა კ-მ კარი შეაღო. თუმცა სულ არ ეტყობოდათ, რომ კ-ს უთვალთვალებდნენ. ისინი ჩუმად საუბრობდნენ და კ-ს მოძრაობას ისე ადევნებდნენ თვალყურს, როგორც ჩვეულებრივი საუბრის დროს ხდება ხოლმე, უყურებ კაცს, მაგრამ ვერ ხედავ. და მაინც კ-ს მძიმედ აწვებოდა მათი მზერა. იგი კედელს გაჰყვა და სწრაფად შეაღწია თავის ოთახში.

თავი მეხუთე

გამოკვლევა

ერთ-ერთ უახლოეს საღამოს კ. მიჰყვებოდა დერეფანს, რომელიც მის კაბინეტს მთავარი კიბისაგან ჰყოფდა — ამჯერად იგი თითქმის ცარიელი ბრუნდებოდა შინ. მხოლოდ ორი შიკრიკიღა მუშაობდა ექსპედიციაში ნათურის მბჟუტავ შუქზე, — და უეცრად კვნესა მოესმა იმ კარს მიღმა, სადაც საკუჭნაო ეგულებოდა, თუმცა პირადად მას არასოდეს შეუხედავს შიგ. გაკვირვებული შეჩერდა და კიდევ ერთხელ მიაყურადა, ხომ არ მომეჩვენაო. ერთხანს კარს უკან სიჩუმე სუფევდა, მაგრამ შემდეგ კვლავ მოესმა კვნესა. კ-ს უნდოდა ერთ-ერთი შიკრიკისათვის დაეძახა, მოწმედ დაესწრო, მაგრამ მერე ისეთმა დაუოკებელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რომ იმწამსვე კარი ღონივრად გამოაღო. მისი ვარაუდი გამართლდა, ეს სწორედ საკუჭნაო იყო. ზღურბლს მიღმა დაეხვავებინათ ძველი, გამოუსადეგარი ნაბეჭდი პროსპექტები და თიხის ცარიელი სამელნე ბოთლები. საკუჭნაოში სამი კაცი იდგა, ჭერის სიდაბლის გამო წელში მოხრილიყვნენ. სამივეს თაროზე დამაგრებული სანთლის შუქი ეცემოდა.

— რას აკეთებთ აქ? — ჰკითხა მათ ადგილვებისაგან სულშეგუბებულმა კ-მ საკმაოდ ხმადაბლა. ერთ-ერთ მამაკაცს, რომელიც ეტყობა, თანამდებობით უფროსი იყო, და თავიდანვე იქცევდა ყურადღებას, უცნაური, ღრმად ამოჭრილი და უსახელო მუქი ტყავის ტანსაცმელი ეცვა, მკერდი და მკლავები შიშველი ჰქონდა. უფროსს მისი შეკითხვისთვის ყურადღება არ მიუქცევია. დანარჩენი ორნი კი აყვირდნენ:

— ბატონო, გაწკეპვლას გვიპირებენ, რადგან გამომძიებელთან გვიჩივლეთ.

კ-მ მხოლოდ ახლა იცნო მცველები ფრანცი და ვილემი, მესამეს კი ხელში წკეპლა ეჭირა და ცემას უპირებდა მათ.

— არა, — თქვა კ-მ და მცველებს თვალი გაუსწორა, — მე თქვენთვის არ მიჩივლია, მე მხოლოდ ის მოვყევი, რაც ჩემს ბინაში მოხდა. თუმცა სანიმუშოდ არც თქვენ მოქცეულხართ.

— ბატონო, — თქვა ვილემმა იმ დროს, როცა ფრანცი აშკარად ცდილობდა მის ზურგს უკან მესამეს დამალვოდა, — რომ იცოდეთ, რა ცოტას გვიხდიან, მაშინ უკეთესი აზრი შეგექმნებოდათ ჩვენზე. მე ოჯახი მყავს შესანახი, ფრანცს კი ცოლის შერთვა უნდა, ამიტომ ცდილობ წაღლიტო ყველას ყველაფერი, რისი წაღლეტაც კი შეიძლება. მარტო ხელფასით ვერ იცხოვრებ, თუნდაც დღე და ღამე გაასწორო. თქვენს ძვირფას საცვლებზე თვალი დაჰრჩა. მცველებს, ცხადია, ეკრძალებათ ამგვარად მოიქცნენ, ეს მართლაც საძრახისია, მაგრამ ტრადიციის თანახმად პატიმრის საცვლები მცველების საკუთრებაა. დამიჯერეთ, ეს წესი დიდი ხანია არსებობს და გასაგებიცაა: აბა დაფიქრდით, რაში სჭირდება ამგვარი ნივთები ისედაც გაუბედურებულ პატიმარს? მაგრამ თუ პატიმარი ამას საჯაროდ განაცხადებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, სასჯელი არ აგვცდება.

— რასაც ახლა ამბობთ, ეგ მე არ ვიცოდი, თქვენი დასჯა არ მომითხოვია. ჩემთვის ამას მხოლოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

— ფრანც, — მიმართა ვილემმა მეორე მცველს, — ხომ გითხარი, ეს ბატონი ჩვენს დასჯას არ მოითხოვდა-მეთქი, ახლა ხომ გესმის, არც კი სცოდნია, ჩვენ რომ უნდა დაგვსაჯონ.

— გულს ნუ აიჩუყებთ ამათი ლაყბობით, — უთხრა კ-ს მესამემ, — ორივეს დასჯა სამართლიანიცაა და გარდაუვალიც.

— ყურს ნუ უგდებთ, — უთხრა ვილემმა კ-ს, მაგრამ მაშინვე ჩაიწყვიტა ხმა და ტუჩებთან მიიტანა ხელი, რომელზეც წკეპლა მოხვდა.—მხოლოდ იმიტომ გვსჯიან, რომ დაგვაბეზღეთ, თორემ, რომ გაეგოთ კიდეც, ამგვარი საქციელისათვის თითსაც არ დაგვაკარებდნენ. ნუთუ ესაა სამართლიანობა? ჩვენ ორივე, განსაკუთრებით მე, დიდი ხანია ემსახურობთ და ამ ხნის მანძილზე, როგორც მცველებმა, თავი გამოვიჩინეთ — თუ ამ ამბავს ხელისუფლების თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა აღიაროთ, რომ კარგად გიცავდით. —იმედი გვქონდა, დაგვაწინაურებდნენ და მალე ისეთივე გამწკეპლავები გავხდებოდით, როგორიც, აი ეს კაცია, რომელსაც ბედმა გაუღიმა და არავის დაუბეზღებია, რადგან ამგვარი დაბეზღება მეტისმეტად იშვიათად ხდება. ახლა კი, ჩემო ბატონო, ყველაფერი დაიღუპა, ჩვენს კარიერას ბოლო მოელო. ყველაზე შავ სამუშაოს შევასრულებინებენ, მცველობა მოგვენატრება, გარდა ამისა, ახლა ამ საზარელი წკეპლით აგვიჭრელებენ ზურგს, რა გაუძლებს ამხელა ტკივილს.

— ნუთუ ეს წკეპლა ასე მწარეა? — იკითხა კ-მ და ხელით მოსინჯა წკეპლა, რომელსაც გამწკეპლავი მის ცხვირწინ იქნევდა.

— ჩვენ ხომ მთლიანად უნდა გავშიშვლდეთ, — უპასუხა ვილემმა.

— დავიჯერო, — თქვა კ-მ და დაკვირვებით შეათვალიერა გამწკეპლავი, რომელიც მეზღვაურივით იყო გარუჯული და გაველურებული, ჯანმრთელი კაცის სახე ჰქონდა. — ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს, ამ ორს გაწკეპვლა ასცდეს? — ჰკითხა კ-მ გამწკეპლავს.

— არა, —უპასუხა გამწკეპლავმა და სიცილით გაიქნ-გამოიქნია თავი. — გაიხადეთ! — უბრძანა მან მცველებს, ხოლო კ-ს უთხრა: — ამათ ყველაფერი კი არ დაეჯერებათ, გაწკეპვლის შიშით ცოტა ჭკუა დააკლდათ. მაგალითად, რასაც, აი, ეს — მან ვილემზე მიუთითა, — თავის კარიერაზე მიეთმოეთობდა, პირდაპირ სასაცილოა. შეხედე რა მსუქანია. წკეპლა მაგის ქონში პირველად ვერც გაატანს, მერე იცი, რატომ დაედო ამდენი ქონი? ჩვეულებად ექცა, ყველა დაპატიმრებულის საუზმე შესანსლოს. შენი საუზმეც ხომ შესანსლა? აკი გითხარი, ასეთი ფაშვიანი კაცი გამწკეპლავი გამხდარიყოს, ჯერ არასდროს მომხდარა.

— არიან ასეთი გამწკეპლავებიც, — თქვა დაბეჯითებით ვილემმა, რომელიც ამ დროს შარვლის ქამარს იხსნიდა.

— არ არიან, — უპასუხა გამწეკეპლავმა და წკეპლა იმნაირად დაჰკრა კისერში, რომ ვილემი შეკრთა, — შენ ჩვენ კი არ უნდა გვისმენდე, ტანსაცმელს უნდა იხდიდე.

— ფულს არ დავიშურებ, თუ ამათ გაანთავისუფლებ, — უთხრა კ-მ გამწკეპლავს და საფულე ისე ამოიღო, მისთვის არც შეუხედავს, ასეთ საქმეებს ორივე მხარე თავდახრილი მშვენიერად აკვარახჩინებს.

— არა, არა, შენ ალბათ გინდა მეც დამაბეზღო, — უპასუხა გამწკეპლავმა, — ჩემი თავიც გააწკეპლინო.

— ნუ სულელობ, — უთხრა კ-მ, — მე რომ მცველების დასჯა მდომოდა,

მათ გამოსყიდვას არ შევეცდებოდი, უბრალოდ კარს გავიჯახუნებდი, აღარაფერს დავინახავდი, აღარაფერს მოვისმენდი და შინ წავიდოდი. მაგრამ, როგორც ზედავ ასე არ ვიქცევი. პირიქით, ამათი განთავისუფლება მე მართლა მსურს, რომ მცოდნოდა, დასჯიდნენ, მათ სახელებს არასგზით არ ვახსენებდი. საქმე ისაა, რომ მე მათ სრულიად არ ვთვლი დამნაშავედ, დამნაშავე მთელი ორგანიზაციაა. დამნაშავენი არიან მაღალი რანგის მოხელეები.

— მართალია! — იყვირეს მცველებმა და მათ შიშველ ზურგზე წკეპლაც ასისინდა.

— შენ რომ აქ გავლენიან მოსამართლეს წკეპლავდე, — განაგრძო კ-მ და გამწკეპლავს შემართული წკეპლა ძირს დააშვებინა, — მაშინ ხელს კი არ შეგიშლიდი, პირიქით, ფულსაც კი მოგცემდი, რომ ამ სასიკეთო საქმისათვის მეტი ძალა მოგეკრიბა.

— რასაც ამბობ, ჭკუაში მიჯდება, — უთხრა გამწკეპლავმა, — მაგრამ თავს მაინც ვერ მოგასყიდვინებ. მიბრძანეს, გაწკეპლეო და გავწკეპლავ კიდეც.

მცველი ფრანცი, რომელიც აქამდე თავს იკავებდა იმის იმედით, ეგებ კ-მ გვიხსნასო, ახლა შარვლის ამარა მივიდა კართან, დაიჩოქა, კ-ს მკლავზე ჩამოეკიდა და ჩურჩულით უთხრა:

— თუ ორივეს დახსნა არ ძალგიძთ, იქნებ მარტო ჩემი გამოხსნა მაინც სცადოთ. ვილემი ჩემზე ხნიერია, ჩემთან შედარებით ნაკლებ მგრძნობიარეა და ამავე დროს ორი წლის წინათ ერთხელ უკვე დაისაჯა — მაშინ მსუბუქად გაწკეპლეს. მე კი ჯერ პატივაყრილი არა ვარ და თუ ასე მოვიქეცი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვილემმა წამაქეზა, მე ხომ კარგსაც და ცუდსაც მისგან ვსწავლობ ქვემოთ ბანკის წინ ჩემი საბრალო საცოლე მელოდება, ძალიან მრცხვენია.

ფრანცმა კ-ს პიჯაკის კალთით შეიმშრალა ცრემლით ერთიანად დასველებული სახე.

— მეტს ველარ დავიცდი, — თქვა გამწკეპლავმა, წკეპლას ორივე ხელი ჩაავლო და ფრანცს გადაუჭირა. ამ დროს ვილემი კუთხეში მიყუჟულიყო და ამ ამბავს ისე მალულად უყურებდა, რომ თავის მობრუნებას ვერ ბედავდა.

უეცრად ფრანცმა ისეთი გაბმული და ცივი ყვირილი მოროთო, თითქოს ეს ხმა ადამიანს კი არ ამოსდიოდა, არამედ რომელიღაც მუსიკალურ საკრავს აწვალებენო. ყვირილი მთელ დერეფანს მოედო, მთელ შენობაში ისმოდა.

— ნუ ღრიალებ! — დაუყვირა კ-მ, რომელიც დაძაბული იყურებოდა დერეფნისაკენ, საიდანაც შიკრიკებს უნდა მოერბინათ. ბოლოს თავი ვერ შეიკავა და ფრანცს დაეჯახა, თითქოს მსუბუქად, მაგრამ მაინც ისეთი ძალით, რომ ფრანცი მოცელილივით წაიქცა იატაკზე და დაკრუნჩხული ხელებით რაღაცას ეძებდა; მაგრამ დარტყმები მაინც ვერ აიცდინა, წკეპლამ იატაკზეც მონახა და სანამ იგი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა, წკეპლის წვერი გამოზომილად ადიოდა და ჩადიოდა. მოშორებით უკვე გამოჩნდა ერთი შიკრიკი, მას რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩებოდა მეორე. კ-მ სწრაფად მიაჯახუნა კარი, ეზოში გამავალ ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა და გამოალო. ღრიალი შეწყდა. შიკრიკები რომ ახლოს არ მიეშვა, კ-მ შორიდან გასძახა მათ:

— მე ვარ!

— სალამო მშვიდობისა, ბატონო პროკურისტო! — გამოსძახეს შიკრიკებმა. — მოხდა რამე?

— არა, არაფერი. — უპასუხა კ-მ. — ძაღლი ყეფს ეზოში. — მაგრამ რო-

ცა მათ ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცვალეს, დასძინა: შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა!

შიკრიკებთან რომ ლაპარაკი არ გაება, მან თავი ფანჯარაში გაჰყო და როცა მცირე ხნის შემდეგ ისევ დერეფნისაკენ შემობრუნდა, ისინი ადგილზე ალარ დახვდნენ. მაგრამ კ. მაინც არ მოსცილდა ფანჯარას, საკუჭნაოში შესვლა ველარ გაბედა, ალარც სახლში წასვლა უნდოდა. პატარა ეზო, რომელსაც იგი გადაჰყურებდა, ოთხკუთხა იყო. ირგვლივ განლაგებული სამუშაო ოთახების ყველა ფანჯარა ბნელს მოეცვა, მხოლოდ სულ ზემო ფანჯრებში ირეკლებოდა მთვარის შუქი. კ. დაძაბული იყურებოდა ეზოს ბნელი კუთხისაკენ, სადაც არეულად დაეხვავებინათ ხელის საზიდრები. კ-ს სინდისი ქენჯნიდა, მცველები გაწკეპლისაგან რომ ვერ იხსნა, თუმცა რა მისი ბრალი იყო. ფრანცი რომ არ აყვირებულიყო, — გასაგებია, ძალიან ეტკინა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კაცს უნდა შეეძლოს თავის შეკავება — ფრანცი რომ არ აყვირებულიყო, მაშინ ალბათ იპოვიდა გამოსავალს და გამწკეპლავს დაიყოლიებდა. თუ ყველა დაბალი რანგის მოხელე არამზადაა, გამონაკლისს რატომ უნდა წარმოადგენდეს გამწკეპლავი, რომელსაც ყველაზე არაადამიანური მოვალეობა აკისრია. კ-ს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, როგორ გაუბრწყინდა თვალები ფულის დანახვაზე. ფრანცს იმიტომ წკეპლავდა ასე თავგამოდებით, რომ უნდოდა კ-სათვის მეტი ფული დაეცინცლა. კ. ფულს არ დაიშურებდა, მცველების დახსნა მართლაც გულით სურდა. რაკი დაიწყო გახრწნილ მართლმსაჯულებასთან ბრძოლა, ამ მხრივაც უნდა გამოელო ხელი. მაგრამ როგორც კი ფრანცმა ყვირილი მორთო, ყველაფერი ჩაშალა. კ-ს სულაც არ უნდოდა, შიკრიკებს და ლმერთმა იცის კიდევ ვის, მოერბინათ და თავზე წასდგომოდნენ საკუჭნაოში იმ დროს, როცა ამ არამზადებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ასეთ თავგანწირვას მას ვერავინ მოსთხოვდა. თავგანწირვა რომ სდომოდა, გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა, თვითონ გაეხადა ტანზე და მცველების ნაცვლად საკუთარი ზურგი შეეშვირა გამწკეპლავისათვის. თუმცა გამწკეპლავი ასეთ შენაცვლებას არ მიიღებდა, რადგან ამით ვერაფერს მოიგებდა, თავის მოვალეობას კი დიდად უღალატებდა, უღალატებდა ორმაგად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სანამ კ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, სასამართლოს ვერც ერთი მოხელე ხელს ვერ ახლებდა, თუმცა არც სხვა განკარგულებების არსებობის გამორიცხვა შეიძლებოდა. ერთი სიტყვით კ-ს არაფერი არ შეეძლო ეღონა, გარდა კარის გამოჯახუნებისა, თუმცა იგი ვერც ამით იცილებდა თავიდან მოსალოდნელ საფრთხეს. სამწუხარო კიდევ ის იყო, რომ მან გასვლისას ფრანცს ხელი ჰკრა, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალი იყო, რომ აღელდა.

შორიდან შიკრიკების ნაბიჯების ხმა მოესმა. კ-ს არ უნდოდა მათი ყურადღება მიექცია. ამიტომ ფანჯარა დაკეტა და სადარბაზო კიბისაკენ წავიდა. საკუჭნაოს კართან მცირე ხნით შეჩერდა და მიაყურადა. ირგვლივ სრული სიჩუმე იყო გამეფებული. იმ ვაჟბატონს შეეძლო მცველები ცემით სიკვდილის პირას მიეყვანა, ისინი ხომ მთლიანად მის ხელში იყვნენ. კ-მ ხელი კარის სახელურისაკენ წაიღო, მაგრამ მაშინვე გამოსწია. დახმარებით მაინც ვეღარავის დაეხმარებოდა, ამასობაში კი შიკრიკები წამოეწეოდნენ. სამაგიეროდ მან აღუთქვა საკუთარ თავს, რომ ამ ამბის შესახებ საჯაროდ ილაპარაკებს, ეცდება მიაკვლიოს ნამდვილ დამნაშავეებს, მაღალი რანგის მოხელეებს, რომელთაგან ჯერ ვერავინ ბედავს მასთან პირისპირ შეხვედრას და რამდენადაც ამის ძალ-ღონე შეს-

წევს. საკადრისად დასჯის მათ. როცა კ. ბანკის გარეთა კიბეზე ჩადიოდა, ყუ-
რადღებით შეათვალიერა ყველა ვაბკელ-გამოძკელელი. მაგრამ არსად ჩანდა
ქალიშვილი, ვინმეს ლოდინში რომ ყოფილიყო. ამგვარად ფრანკის სიტყ-
ვები, საცოლე მელოდებაო, მისატყუებელი, მაგრამ მაინც ტყუილი აღმოჩნდა.
რომლის მიზანი ის იყო, კიდევ უფრო შეეებრალებინა თავი კ-სთვის.

მცველებზე ფიქრი კ-ს მეორე დღესაც გაჰყვა. მუშაობდა უგულისყუროდ
და საქმისათვის რომ თავი გაერთმია, კაბინეტში კიდევ უფრო დიდხანს დარჩა,
ვიდრე წინა დღეა. როცა შინ მიმავალმა ყველავ ჩაუარა საყუჭნაოს, კარი ახლაც
გაღო. იმან, რაც მოსალოდნელი სიბნელის ნაცვლად დაიხახა, სრულიად გა-
აოგნა. საკუჭნაოში ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც გუშინ საღამოს დატოვა.
ზღურბლს მიღმა ნაბეჭდი პროსპექტები, მელნის ბოთლები, წკეპლით შეიარა-
ღებული გამწკეპლავი და სრულიად გაშიშვლებული მცველები დაინახა, თა-
როზე კი ანთელი ენთო. მცველებმა ყველავ დაიწყეს ჩივილი და ყვირილი:
„ბატონო!" კ-მ მაშინვე მიაჯახუნა კარი და ჰუშტებიც კი დაუშინა, თითქოს ასე
უფრო მაგრად დაიკეტებოდა. ლამის ატირებული კ. მაშინვე გაიქცა შიკრიკები-
საკენ, რომლებიც მშვიდად მუშაობდნენ ასლების გასამრავლებელ მანქანებზე
და გაკვირვებულებმა მუშაობას თავი მიანებეს:

— ბოლოს და ბოლოს დაალაგეთ საკუჭნაო! — უყვირა კ-მ შიკრიკებს.—
ჭუჭყში ვიხრჩობით.

შიკრიკები დაპირდნენ, ხვალვე გავაკეთებთ ამასო. კ-მ თანხმობის ნიშნად
თავი დაუქნია, რადგან მეტისმეტად გვიან იყო და როგორც ნავარაუდევი ჰქონ-
და, აალა ვერ აიძულებდა მათ, საქმეს შესდგომოდნენ. მცირე ხნით მაინც რომ
გაეჩერებინა შიკრიკები, თვალის ასახვევად სკამზე ჩამოჯდა. რამდენიმე დედნის
პირი ისევ გადაატრიალ-გადმოატრიალა. თითქოს მათ ნამუშევარს ამოწმებდა და
როცა დარწმუნდა, შიკრიკები მასთან ერთად დაწესებულებიდან გასვლას ვერ
გაბედავდნენ, დაღლილმა და შინაგანად დაცარიელებულმა შინისაკენ გასწია.

თავი მეექვსე

ბიძა. ლენი.

ერთხელ ნაშუადღევს საქმეში ჩაფლული კ. წერილებზე მუშაობას ამთავ-
რებდა და ორმა შიკრიკმა საქმიანი ქაღალდები შემოუტანა, რომ უცებ შიკ-
რიკები იდაყვებით მისწი-მოსწია და ოთახში შემოვიდა კ-ს სოფელი ბიძა,
საშუალო შეძლების მემამულე ალბერთი. ბიძის დანახვაზე კ. ამჯერად ნაკლე-
ბად შეკრთა, ვიდრე ადრე კრთებოდა ხოლმე მხოლოდ იმის გაფიქრებაზე, რომ
ბიძამისი უნდა ჩამოსულიყო. ბიძა რომ უთუოდ ჩამოვიდოდა, კ-მ უკვე ერთი
თვის წინ იცოდა. ჯერ კიდევ მაშინ ხედავდა გონების თვალით, მხრებში ოდნავ
მოხრილ ბიძას როგორ უჭირავს მარცხენა ხელში დაჭმუჭნული პანამის ქუდი,
შორიდან გამოწვდილ მარჯვენას კი სწრაფად, ფუსფუსით მაგიდის ზემოდან
უწვდის ჩამოსართმევად და თან რაც გზაზე ხვდება, ყველაფერს აქეთ-იქით ფან-
ტავს. ბიძამისი ყოველთვის ჩქარობდა, რადგან ერთი უცნაური აზრი ჰქონდა
აკვიატებული. დედაქალაქში ჩამოსულს, ყველაფერი, რაც განზრახული ჰქონ-
და, ერთ დღეში უნდა მოეგვარებინა და ამავე დროს, თუკი შემთხვევა მიეცე-

მოდა, არ უნდა დაკლებოდა არცერთ საინტერესო საუბარს, საქმეს და გასართობს. კ. კი, რომელიც დიდად იყო მისგან დავალებული, როგორც პეურვისაგან, ყველაფერში უნდა დახმარებოდა, ხოლო ღამის გასათევად „სოფლის აჩრდილი" — ასე ეძახდა კ. მას გულში — შინ უნდა წაეყვანა.

მისალმების მერე კ-მ ბიძას სავარძელი შესთავაზა, მაგრამ ბიძაშეს დასაკარგი დრო არ ჰქონდა და ამიტომ კ-ს სთხოვა, სალაპარაკო მაქვს შენთან და მინდა მარტო დავრჩეთო.

— ეს აუცილებელია, — დასძინა მან და ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, — ჩემს დასამშვიდებლად ეს აუცილებელია. — კ-მ იმწამსვე გაისტუმრა ოთახიდან შიკრიკები და განკარგულება გასცა, მასთან არავინ შეეშვათ.

— ეს რა გავიგე, იოზეფ? — წამოიძახა ბიძამისმა, როცა მარტო დარჩნენ. შემდეგ მაგიდაზე დაჯდა და უკეთ რომ მოკალათებულიყო, ქვეშ ქაღალდები ისე ამოიდო, ზედაც არ დაუხედავს. კ. დუმდა, იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ და უეცრად, დაძაბული მუშაობისაგან განტვირთული სასიამოვნოდ მოდუნდა და ფანჯრიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გახედა. იმ ადგილიდან, სადაც კ. იჯდა, სივრცის მხოლოდ პატარა, სამკუთხა მონაკვეთი ჩანდა — მაღაზიის ორ ვიტრინას შორის მოქცეული სახლის ყრუ კედლის ნაწილი.

— როგორ, ფანჯარაში იყურები? — წამოიძახა ცისკენ ხელებაპყრობილმა ბიძამისმა, — ღვთის გულისათვის, მიპასუხე, იოზეფ, ნუთუ ეს მართალია, განა შეიძლება ეს მართალი იყოს?

— ძვირფასო ბიძაჩემო, — უპასუხა კ-მ, რომელმაც ძლივს დააღწია თავი გაოგნებას, — აბა რა ვიცი, რა გნებავს ჩემგან?

— იოზეფ, — უთხრა ბიძამ ისე, თითქოს აფრთხილებსო, — რამდენადაც ვიცი, შენ ყოველთვის სიმართლის თქმა გიყვარდა, ნუთუ შენი უკანასკნელი სიტყვები ცუდის მაუწყებელია?

— ახლა მივხვდი, რაც გაწუხებს, — უთხრა კ-მ თვინიერად. — შენ ალბათ ჩემი პროცესის ამბავს მოჰკარი ყური.

— დიახ, ასეა, — უპასუხა ბიძამ და დინჯად დაუქნია თავი, — სწორედ რომ შენი პროცესის ამბავს მოვკარი ყური.

— ვინ გაგაგებინა? — ჰკითხა კ-მ.

— ერნამ მომწერა, — უპასუხა ბიძამ, — მართალია, შენ სულ არ ეკარები, მისთვის თავს არ იწუხებ დიდად, მაგრამ მან მაინც ყველაფერი გაიგო, სწორედ დღეს მივიღე მისგან წერილი და, ცხადია, მაშინვე აქეთ გამოვემგზავრე. სხვა მიზეზი არ მქონია, მაგრამ ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზია. შემიძლია წაგიკითხო წერილის ის ადგილი, სადაც შენზე მწერს. — ბიძამ ჯიბიდან წერილი ამოიღო. — აქა მაქვს, აი, რას მწერს ერნა: „იოზეფი დიდი ხანია არ მინახავს, გასულ კვირას ბანკში შევიარე. მაგრამ ისე იყო დაკავებული, რომ მასთან არ შემიშვეს. თითქმის ერთი საათი ველოდე, შემდეგ კი შინ წავედი, რადგან მუსიკის გაკვეთილი მქონდა. სიამოვნებით ვისაუბრებდი მასთან, რა ვიცი, იქნებ სხვა დროს მოვახერხო. დღეობაზე დიდი კოლოფით შოკოლადი გამომიგზავნა, აი, რა საყვარელი და ყურადღებიანია იოზეფი. მაშინ დამავიწყდა ეს ამბავი მომეწერა თქვენთვის და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რადგან მეკითხებით, როგორაა. სხვათა შორის უნდა იცოდეთ, რომ შოკოლადი ჩვენს პანსიონში თვალის დახამხამებაში ქრება. ჯერ შეგნებულიც არა გაქვს კარგად, რომ შოკოლადი გაჩუქეს და უკვე გამქრალია. კიდევ ერთი რამ მინდა შეგატყო-

ბინით ოთხეულზე, როგორც ზემოთ ვწერეთ, ბანკში მასთან არ შემიშვეს, რადგან სწორედ ამ დროს ვიღაც ბატონს ესაუბრებოდა. ერთხანს მშვიდად, მოთმინებით ვუცდიდი, შემდეგ კი ერთ, შიკრიკს ვკითხე, დიდხანს გაგრძელდება-მეთქი საუბარი? მიპასუხა, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ალბათ საქმე ეხება იმ პროცესს, ბატონი პროკურორისტია წინააღმდეგ ოთახიდან აღძრულია, რა პროცესზე ლაპარაკობთ, ხომ არ სცდებით-მეთქი? მან კი მიპასუხა, არ ვცდები, მის წინააღმდეგ აღძრულია პროცესი, მძიმე პროცესი და ამ საქმის თაობაზე მეტი არაფერი ვიცი. პირადად იგი თურმე სიამოვნებით დაეხმარებოდა ბატონ პროკურორისტს, როგორც კარგ და სამართლიან კაცს, მაგრამ არ იცის, როგორ მოეკიდოს ამ საქმეს ხელი და იმასლა ნატრობს, ბატონი პროკურორისტისთვის იქნებ ვინმე გავლენიანმა პირმა შეიწყალოსო თავი. ალბათ ასეც მოხდება და ყველაფერი კარგად დამთავრდება, მაგრამ ჯერჯერობით, თუ ბატონი პროკურორისტის განწყობილების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქმე არც ისე კარგადაა. რა თქმა უნდა, მე არაფრად ჩავაგდე შიკრიკის სიტყვები, შევეცადე კიდეც დამემშვიდებინა ის ბრიყვი, ავეკრძალე ამ ამბავზე სხვებთან ლაპარაკი და, საერთოდ, რაც მითხრა, ნაღალბეკად მივიჩნიე. და მაინც, ძვირფასო მამა, კარგი იქნება, შემდეგ ჩამოსვლაზე თავად რომ გაიგებდე ყველაფერს დაწვრილებით და თუ საჭიროება მოითხოვს.. ეექვველად ჩარევდე ამ ამბავში შენს გავლენიან ნაცნობებს, ხოლო თუ შენი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა, და ეს ალბათ ასეც იქნება, მაშინ შენს ქალიშვილს კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცემა მოგვეხვიოს, რაც დიდად გაახარებს".

— რა კარგი გოგოა, — დასძინა ბიძამისმა, როცა ხმამაღლა კითხვა დაამთავრა და თვალზე მომდგარი რამდენიმე კურცხალი მოიწმინდა. კ-მ თავი დაუქნია, ბოლო დროს, სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზის გამო, ერნა სრულიად გადაავიწყდა, მისი ღღეობაც კი არ გახსენებია და ქალიშვილმა შოკოლადის ამბავი ეექვველად იმისთვის მოიგონა, ბიძისა და ბიცოლას თვალში როგორმე გაემართლებინა. ერნას საქციელმა იაე აუჩუყა გული, რომ გადაწყვიტა ამიერიდან სისტემატურად გაეგზავნა მისთვის თეატრის ბილეთები. ერნა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს იმსახურებდა. მაგრამ ახლა პანსიონში მისვლისა და თვრამეტი წლის გიმნაზიელ გოგონასთან საუბრის თავი არ ჰქონდა.

— ახლა რაღას იტყვი? — ჰკითხა ბიძამ, რომელიც წერილის წაკითხვის შემდეგ აღარც ფუსფუსებდა, აღარც ღელავდა და ეტყობა, ხელმეორედ კითხულობდა წერილს.

— დიახ, ბიძაჩემო — უთხრა კ-მ — ყველაფერი მართალია.

— მართალია? — წამოიძახა ბიძამისმა — როგორ შეიძლება მართალი იყოს ეს, რა პროცესია აღძრული შენს წინააღმდეგ, ნუთუ სისხლის სამართლის?

— დიახ, სისხლის სამართლის პროცესი, — უპასუხა კ-მ.

— და იმ დროს, როცა შენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესია აღძრული, შენ აქ მშვიდად ზიხარ? — წამოიძახა ბიძამისმა, რომელიც სულ უფრო და უფრო უწევდა ხმას.

— რაც უფრო მშვიდად ვიქნები, შედეგიც უკეთესი იქნება, — უპასუხა დაჯილილმა კ-მ, — ნურაფრისა ნუ გეშინია.

— ამით ვერ დამამშვიდებ! — აყვირდა ბიძამისი. — ძვირფასო იოზეფ, იფიქრე შენს თავზე, შენს სათესავებზე, ჩვენს შეუბღალავ სახელზე! აქამდე შენით ვამაყობდით და ახლა უფლება არა გაქვს საქვეყნოდ მოგვჭრა თავი. არა,

შენი ამ საქმისადმი დამოკიდებულება, — ბიძამისმა თავი გვერდზე გადახარა და ისე შეხედა, — არ მომწონს. უდანაშაულო ბრალდებული, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევს ძალ-ღონე, ასე არ იქცევა. მითხარი ერთი სწრაფად, როგორია საქმის ვითარება, რით შემიძლია დაგეხმარო, საქმე, რა თქმა უნდა ბანკს ეხება?

— არა, — უპასუხა კ-მ და ფეხზე წამოდგა, — მაგრამ შენ მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობ, ბიძაჩემო, შიკრიკი ალბათ კართან დგას და გვესმენს, რაც ძალიან არ მსიამოვნებს, ჯობია გავიდეთ აქედან და გიპასუხებ ყველა შენს კითხვაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მე მშვენივრად მესმის, რომ ოჯახის ინტერესებს ანგარიში უნდა გავუწიო.

— მართალია, — წამოიძახა ბიძაჩემმა, — უდავოდ მართალია, ოღონდ სწრაფად, იოზეფ, სწრაფად!

— მე მხოლოდ რამდენიმე განკარგულება მაქვს გასაცემი, — უთხრა კ-მ და ტელეფონით გამოიძახა მოადგილე, რომელიც რამდენიმე წამში გამოცხადდა, ბიძამ აღელვებით ანიშნა მოადგილეს, კ-მ გამოგიძახაო, რაც უამისოდაც არ იწვევდა ეჭვს. საწერ მაგიდასთან მდგომი კ. ხმადაბლა უხსნიდა ახალგაზრდა კაცს, რა უნდა გაეკეთებინა დღეს მის აქ არყოფნის დროს და თან სხვადასხვა ქაღალდს უჩვენებდა; მოადგილე ცივად, მაგრამ ყურადღებით უსმენდა. ბიძამისი მთელი ეს ხანი ცმუკავდა. ჯერ თვალებს ქაჩავდა, ტუჩებს იკვნეტდა და თუმცა მათ ყურს არ უგდებდა, ხელის შესაშლელად მარტო მისი დანახვაც კი კმაროდა. შემდეგ ოთახში დაიწყო წინ და უკან სიარული, ხან ფანჯარასთან ჩერდებოდა, ხან სურათს მიაჩერდებოდა და ამასთანავე დროდადრო რაიმე ამდაგვარს წამოიძახებდა: „მართლა ვერაფერი გამიგია!“ ან ერთი მითხარი, რა შეიძლება მოჰყვეს ამას! ახალგაზრდა კაცს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. კ-ს დავალებები მშვიდად, ყურადღებით მოისმინა ბოლომდე, ზოგი რამ ჩაინიშნა კიდეც. შემდეგ კ-სა და ბიძამისს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. კ-ს ბიძა კი ამ დროს მისკენ ზურგშექცეული იდგა, ფანჯარაში იყურებოდა და ხელებგაშლილი ფარდებს ჭმუჭნიდა.

კარი დაიხურა თუ არა, კ-ს ბიძამ წამოიძახა:

— როგორც იქნა ეს ტაკიმასხარა გავიდა აქედან, ახლა ჩვენც შეგვიძლია წავიდეთ. ძლივს არ ვეღირსე!

სამწუხაროდ, კ-მ ვერაფრით ვერ აიძულა ბიძამისი, არაფერი არ ეკითხა პროცესზე, სანამ დერეფანს მიჰყვებოდნენ, სადაც მოხელეები და შიკრიკები იდგნენ და სწორედ ამ დროს დირექტორის მოადგილე მოაბიჯებდა.

— აბა, იოზეფ, — დაიწყო ბიძამისმა და თან ყველას ზერელედ უკრავდა თავს მისალმებაზე, — მითხარი ახლა გულახდილად, რა პროცესზეა ლაპარაკი?

კ-მ ერთი-ორჯერ რაღაც წაიბურტყუნა, ერთხელ გაიცინა კიდეც და მხოლოდ კიბეზე აუხსნა ბიძამისს, სხვების თანდასწრებით გულახდილი საუბარი არ მსურსო.

— მართალია, — დაუდასტურა ბიძამისმა, — ახლა კი მიამბე.

— უპირველეს ყოვლისა, — უთხრა კ-მ ბიძას, რომელიც თავდახრილი უსმენდა და ხშირ-ხშირად აბოლებდა სიგარას, — ამ საქმეს ჩვეულებრივი საასამართლო როდი იხილავს.

— ეგ ცუდია, — თქვა ბიძამისმა.

— რატომ? — ჰკითხა კ-მ და ბიძას შეხედა.

— ჩემის აზრით, ეს ცუდია, — გაიმეორა ბიძამ. ისინი ქუჩაში გამავალ

აადარბაზო კიბეზე იდგნენ და რადგან მათ შვეიცარი ამკარად უგდებდა ყურს, კ-მ ბიძამისი ძირს ჩაიყვანა და ორივენი აყაყანებულმა ქუჩამ შთანთქა. ბიძამ კ-ს ხელკავი გაუკეთა და უწინდებური დაჟინებით აღარ ეკითხებოდა პროცესის ამბავს, ერთხანს ჩუმადაც კი იარეს.

— კი მაგრამ, როგორ მოხდა ეს ყოველივე? — ჰკითხა უეცრად ბიძამ და ისე მოულოდნელად შეჩერდა, რომ მათ უკან მომავალმა ხალხმა ძირით უკან დაიხია. — ამგვარი ამბები უეცრად არ ხდება. დიდი ხნის განმავლობაში მზადდება, უთუოდ იქნებოდა რაიმე ნიშანი ამისა, შენ კი არ მომწერე. ხომ იცი, შენთვის თავს არ დავზოგავ, ჯერაც შენს მეურვედ მიმაჩნია თავი და ამით დღემდე ვამაყობ. რა თქმა უნდა, ამჯერადაც დაგეხმარები, მაგრამ ახლა, როცა პროცესს მსვლელობა მიეცა, დახმარება უფრო გამიძნელდება. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად უმჯობესი იქნება, თუ მცირე ხნით შვებულებას აიღებ და ჩვენთან ჩამოხვალ. შენ ცოტათი გახდი, ახლალა შეგატყვე, სოფელში ძალას მოიკრებ, რაც შენთვის აუცილებელია, ჯერ ხომ ბევრი სიძნელე გაქვს გადასალახავი. გარდა ამისა, თავს აარიდებ სასამართლოს. აქ მათ იძულების ყოველგვარი საშუალება გააჩნიათ, რასაც, საჭიროების შემთხვევაში შენს წინააღმდეგ ავტომატურად გამოიყენებენ. სოფელში კი ან უწყებათა რწმუნებულებს გამოგზავნიან, ანდა ეცდებიან წერილებით, ტელეგრაფით ან ტელეფონით მოახდინონ შენზე გავლენა. ამგვარი რამ კი, რა თქმა უნდა, ზემოქმედების ძალას ასუსტებს და თუმცა მთლად თავისუფლად ვერ იგრძნობ თავს, ამოსუნთქვის საშუალება მაინც მოგეცემა.

— განა არ შეუძლიათ, ქალაქიდან გასვლა ამიკრძალონ? — უთხრა კ-მ, რომელიც ბიძის აზრთა დინების გავლენის ქვეშ მოექცა.

— არა მგონია, ასე მოიქცნენ, — უპასუხა ჩაფიქრებულმა ბიძამ, — სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც მათ ხელში იქნები.

— მე კი მეგონა, — უთხრა კ-მ და ბიძამისი რომ არ შეჩერებულიყო, მკლავში მოჰკიდა ხელი, — შენ ყოველივე ამას გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებდი, ვიდრე მე, მაგრამ ახლა ვხედავ, რა ახლოს მიგაქვს გულთან.

— იოზეფ, — წამოიძახა ბიძამისმა და შეეცადა ხელიდან დასხლტომოდა და შეჩერებულიყო, მაგრამ კ-მ ხელი არ გაუშვა, — სულ შეიცვალე, შენ ხომ ყოველთვის სალად აზროვნებდი, ნუთუ სწორედ ახლა გლალატობს ჭკუა, ნუთუ გინდა პროცესი წააგო? გესმის კი რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ ხაზი გადაგესვას, გარდა ამისა ჩირქს მოსცხებ მთელ ნათესაობას, ყოველ შემთხვევაში, უკიდურესად დაამცირებ მათ და შენს გამო მიწასთან გაასწორებენ. იოზეფ, გონს მოდი, შენი გულგრილობა ჭკუაზე მშლის. როცა გიყურებ, თითქმის მჯერა ანდაზისა: „თუ კი პროცესში გაგაბეს, საქმეს უთუოდ წააგებ“.

— საყვარელო ბიძავ, — უთხრა კ-მ, — აღელვება ჩემთვისაც უადგილოა და შენთვისაც. აღელვებით პროცესებს არ იგებენ. ცოტა ანგარიში ჩემს პრაქტიკულ გამოცდილებასაც გაუწიე, ისევე როგორც მე ვუწევდი შენსას ადრე, ვუწევ ახლაც და დიდად ვაფასებ მაშინაც კი, როცა ძლიერ მაკვირვებს. შენ ამბობ, ამ პროცესის გამო მთელ ჩვენს ოჯახს ჩაითრევენ გაწამაწიაშიო? მართალი გითხრა, პირადად მე ვერაფრით ვერ გამიგია, რა შუაშია ჩვენი ოჯახი, თუმცა მოვეშვათ ამას, თუ ასეა, მე სიამოვნებით მივიღებ ყველა შენს რჩევას, მაგრამ სოფელში გახიზვნა, იმ აზრითაც კი, შენ რომ გამოთქვი, საჭიროდ არ მიმაჩ-

ნია. ეს იქნებოდა გაქცევა, საკუთარი დანაშაულის აღიარება. გარდა ამისა, თუმცა აქ მეტად მდევნიან, ჩემს საქმეს მაინც უკეთ მივხედავ.

— მართალი ხარ, — უთხრა ბიძამ ისეთი კილოთი, თითქოს როგორც იქნა უკეთ გაუგეს ერთმანეთსო, — სოფელში გამგზავრება მხოლოდ იმიტომ შემოგთავაზე, მეგონა, თუ აქ დარჩები, შენი გულგრილობით საქმეს აფუჭებ და გადავწყვიტე, შენს მაგივრად მე დავტრიალდე, მაგრამ რაკილა თავად გსურს, ძალ-ღონე არ დაიშურო და შენს საქმეს მიხედო, რა თქმა უნდა, ეს ბევრად უკეთესი იქნება.

— მაშ ამაზე შევთანხმდით, — უთხრა კ-მ, — ახლა, თუ შეგიძლია მირჩიე, რა ვიღონო უპირველეს ყოვლისა?

— ჯერ უნდა ჩავუფიქრდე ამ საქმეს, — უპასუხა ბიძამ, — თავად განსაჯე, თითქმის ოცი წელია, ფეხმოუცვლელად ვცხოვრობ სოფელში და ცხადია, ასეთ საქმეებს ძველებურად ველარ ვართმევ თავს, გარდა ამისა, ნელ-ნელა დავკარგე ნაცნობები, რომლებიც ალბათ უკეთ ერკვევიან ამგვარ საქმეებში. ხომ იცი, სოფელში კაცი ცოტათი გარიყულია, მაგრამ თვითონ ამას მხოლოდ ისეთ ვითარებაში ამჩნევს, როგორიც ახლა დაგვიდგა. საერთოდ, ყველაფერი ეს ჩემთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო, თუმცა საოცარია, ერნაა წერილის შემდეგ რალაც ამდაგვარს უკვე მიგრძნობდა გული, ხოლო დღეს, როგორც კი დაგინახე, ამ ამბავში საბოლოოდ დავრწმუნდი. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ახლა მთავარია, დრო არ დავკარგოთ.

ბიძა ამ სიტყვებზე ფეხის წვერებზე შედგა, მანქანას ხელი დაუქნია, კ. მანქანაში შეაგდო და მძღოლს მისამართი ხმამაღლა უთხრა.

— ახლა ჩვენ ვექილ ჰულდთან მივდივართ, — უთხრა მან კ-ს, — ჩემი სკოლის ამხანაგია. შენ რა თქმა უნდა გაგიგონია ეს გვარი? არ გაგიგონია? საკვირველია ღმერთმანი, მას ხომ დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც ღარიბთა დამცველ ვექილს. პირადად მე ჰულდს დიდად ვენდობი, განსაკუთრებით როგორც ადამიანს.

— ყველაფერზე თანხმობას ვაცხადებ, რასაც კი საჭიროდ მიიჩნევ, — უპასუხა კ-მ, თუმცა ამ საქმეში ბიძამისის აჩქარება და თავგამოდება არ სიამოვნებდა. არც ის ახარებდა დიდად, ღარიბების დამცველ ვექილთან რომ მიემგზავრებოდა მანქანით როგორც ბრალდებული. — არ ვიცოდი, — თქვა მან, — ასეთ საქმეშიც თუ შეიძლებოდა ვექილის ჩაბმა.

— აბა, როგორ, — უპასუხა ბიძამ, — ეს თავისთავად ცხადია. რატომაც არა? ახლა კი მიამბე ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა. ყველაფერი დაწვრილებით უნდა ვიცოდე.

კ-მ იმწამსვე დაიწყო მოყოლა, არაფერი დაუმალავს, სრული გულახდილობა იყო მისი ერთადერთი პროტესტი ბიძამისის ნათქვამის წინააღმდეგ, შენი პროცესი სამარცხვინოაო, ამაზე მეტს ვერ შეჰბედავდა, ფროილაინ ბიურსტნერის გვარი მხოლოდ ერთხელ ახსენა და ისიც გაკვრით, მაგრამ ამის გამო თხრობას გულახდილობა არ მოკლებია, ფროილაინ ბიურსტნერს ხომ პროცესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თხრობის დროს კ. ფანჯარაში იყურებოდა და უეცრად შეამჩნია, რომ ისინი სწორედ იმ გარეუბანს უახლოვდებოდნენ, სადაც სასამართლოს კანცელარიები იყო. კ-მ ბიძას უთხრა კიდეც ეს ამბავი, მაგრამ ბიძამისმა ამ დამთხვევაში მნიშვნელოვანი ვერაფერი დაინახა. მანქანა ერთი ჩაბნელებული სახლის წინ გაჩერდა. ბიძამ ქვედა სართულის დერეფანში პირ-

ველი კარის ზარი დარეკა, სანამ პასუხს ელოდნენ, გაღიმებულმა მსხვილი კბილები დაკრიჭა და კ-ს წასჩურჩულა:

— საღამოს რვა საათი შეუფერებელი დროა ვექილთან სტუმრობისათვის, მაგრამ ჰულდი ამას არ მიწყენს.

სათვალთვალო ჭუჭრუტანაში გამოჩნდა ორი დიდი. შავი თვალი. ორმელთაც მოსულები შეათვალიერეს და ისევ გაქრნენ, მაგრამ კარი მაინც არ გაიღო. ბიძამ და კ-მ ერთმანეთს ანიშნეს, თვალები ნამდვილად დავინახეთო.

— ეტყობა, ახალი მოახლეა და უცხოებისა ეშინია, — უთხრა ბიძამ კ-ს და კიდევ ერთხელ დააკაკუნა.

თვალები ისევ გამოჩნდნენ, ახლა ეს თვალები სევდიანიც კი მოეჩვენებოდა კაცს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა შემცდარიყვნენ. მათ ზემოთ გაზის ხუფიანი სანათური ხმამაღლა შიშინებდა და ოდნავ ბჟუტავდა.

— გააღეთ! — იყვირა ბიძამ და კარს მუშტი დასცხო, — ბატონი ვექილის მეგობრები ვართ!

— ბატონი ვექილი ავადაა, — ჩაიჩურჩულა ვიღაცამ მათ ზურგს უკან, პატარა სადარბაზოს სილრმეში, შუა კარებში იდგა საშინაო ხალათში გახვეული ვიღაც მამაკაცი; მან ეს ამბავი მეტისმეტად ხმადაბლა აცნობა მოსულთ. ხანგრძლივი ლოდინით გაგულისებული კ-ს ბიძა მკვეთრად შებრუნდა და უყვირა:

— ავადაა? თქვენ ამბობთ, ავადაა? — და ისე მრისხანედ დაიძრა მამაკაცისაკენ, თითქოს ის ყოფილიყოს ავადმყოფობა.

— კარი უკვე გაგიღეს, — უთხრა მამაკაცმა და ვექილის კარზე მიუთითა, შემდეგ ხალათის კალთები აიკეცა და გაუჩინარდა. კარი მართლაც ღია იყო, ხოლო წინკარში იდგა გრძელ და თეთრ წინსაფრიანი ყმაწვილი ქალი, რომელსაც ხელში სანთელი ეჭირა. კ-ს მაშინვე ეცნო მისი შავი, ოდნავ გამოკუსული თვალები.

— სხვა დროს კარი უფრო სწრაფად გააღეთ ხოლმე! — უთხრა ბიძამ მისალმების ნაცვლად, როცა ქალიშვილი რევერანსით მიეგება. — წამოდით, იოზეფ, — მიუბრუნდა შემდეგ კ-ს, რომელიც ცდილობდა ქალიშვილისათვის გვერდი მოხერხებულად აევლო.

— ბატონი ვექილი ავადაა, — თქვა ქალიშვილმა, რადგან კ-ს ბიძა დაუყოვნებლივ გაეჭანა მეორე კარისაკენ. კ-მ აღტაცებით გააყოლა თვალი კარის დასაკეტად შებრუნებულ ქალიშვილს. მას თოჯინასავით მრგვალი სახე ჰქონდა. მარტო ფერმკრთალი ლოყები და ნიკაპი კი არა, საფეთქლებიც და შუბლიც მრგვალი ჰქონდა.

— იოზეფ! — დაუძახა ბიძამ და შემდეგ ქალიშვილს ჰკითხა: — ისევ გული აწუხებს?

— მე მგონი, გული, — უპასუხა ქალიშვილმა, მან უკვე მოასწრო სანთლით ხელში წინ გაძღოლოდა სტუმრებს და ოთახის კარი გააღო. ოთახის შორეულ კუთხეში, სადაც სანთლის შუქი ჯერ კიდევ ვერ აღწევდა, საწოლიდან წამოიწია გრძელწვერიანი პირისახე.

— ვინ არიან, ლენი? — იკითხა სანთლის შუქით დაბრმავებულმა ვექილმა, რადგან სტუმრები ვერ იცნო.

— შენი ძველი მეგობარი, ალბერთი ვარ, — უპასუხა კ-ს ბიძამ.

— აჰ, ალბერთი! — წამოიძახა ვექილმა და ისე დაეშვა ბალიშებზე, თითქოს ამგვარ სტუმრებთან თვალთმაქცობა აღარ სჭირდებოდა.

— მართლა ცუდად ხარ? — ჰკითხა ბიძამ ვექილს და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, — ვერ დავიჯერებ. ალბათ კვლავ გულმა შეგაწუხა. ნუ გეშინია, ისევე მალე გაგივლის, როგორც ადრე გაუვლია.

— შეიძლება, —უპასუხა წყნარად ვექილმა, — მაგრამ ახლა უფრო ცუდად ვგრძნობ თავს, ვიდრე ოდესმე მიგრძვნია, სუნთქვა მეჭირება, თქმის არ მძინავს და ყოველდღიურად მაკლდება ძალა.

— ასეა საქმე? — ჰკითხა ბიძამ და პანამის ქუდი ფართო ხელით მუხლზე დაიმაგრა, — ცუდად ყოფილხარ. მაგრამ კარგად თუ გიგლიან მაინც? აქაურობა ისეთი სევდითაა გამსჭვალული და ისე ბნელა... მართალია, დიდი ხანია შენთან ალარ ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ყველაფერი უფრო ხალისიანი მეჩვენებოდა. თუ თავს არ იკატუნებს, არც შენი მომვლელი ქალიშვილია მაინცდამაინც მხიარული.

ქალიშვილი ისევ ისე იდგა კართან სანთლით ხელში. მისი თვალების გაურკვეველი გამოხედვა მიგანიშნებდა, უფრო კ-ს უყურებდა, ვიდრე ბიძამისს, მაშინაც კი, როცა ბიძა პირადად ქალიშვილზე ლაპარაკობდა. კ-ს სავარძელი ქალიშვილისკენ მიეჩოჩებინა და ახლა მის საზურგეზე დაყრდნობილი იდგა.

— ჩემისთანა ავადმყოფი კაცისთვის ყველაფერზე უკეთესია სიმშვიდე, — თქვა ვექილმა და მცირე ხნის შემდეგ დასძინა: — სრულიად არა ვარ დანაღვლიანებული, ლენი კი ყოჩაღია, კარგად მივლის.

მაგრამ ამ სიტყვებმა ბიძამისი ვერაფერში დაარწმუნა. იგი აშკარად მომვლელი ქალიშვილის წინააღმდეგ იყო განწყობილი და თუ ავადმყოფს არ შეედავა, ქალიშვილს მკაცრ მზერას მაინც არ აცილებდა. ამ დროს ქალიშვილი საწოლთან მივიდა, სანთელი პატარა მაგიდაზე დადგა, ავადმყოფისაკენ დაიხარა და როცა ბალიშებს უსწორებდა, რაღაცა უჩურჩულა. ბიძამისს სულ დაავიწყდა ის ამბავი, რომ ავადმყოფს უნდა მოეფიდებოდა, წამოდგა და ისე დაიწყო მომვლელი ქალიშვილის ზურგს უკან სიარული, კ-ს სრულიად არ გაუკვირდებოდა, ქალიშვილს რომ სწვდომოდა და საწოლისათვის მოეშორებინა. თვითონ კ. ყველაფერს მშვიდად უყურებდა და ვექილის ავადმყოფობით კმაყოფილიც კი იყო. სხვაგვარად იგი ვერაფრით ვერ აღუდგებოდა წინ ბიძამისის დაუდგომლობას, რაკი მან მის საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ ეს დაუდეგრობა მის ჩაურევლადაც შესუსტდებოდა. უეცრად, ალბათ იმ მიზნით, რომ ქალიშვილისათვის ეწყენინებინა, ბიძამისმა მომვლელს უთხრა:

— ქალიშვილო, გთხოვთ ცოტა ხნით მარტო დაგვტოვოთ, ჩემს მეგობარს პირად საქმეზე უნდა მოველაპარაკო.

ქალიშვილი ამ დროს ავადმყოფისაკენ იყო დახრილი და კედლის მხარეს ზეწარს უსწორებდა, მან მხოლოდ თავი მოაბრუნა და ბიძისაგან განსხვავებით, სიბრაზისაგან რომ ჯერ ენა დაება, შემდეგ კი სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, ძალიან მშვიდად თქვა:

— ხომ ხედავთ, რა მძიმედაა ავად, განა ახლა ბატონ ვექილს შეუძლია, პირად საქმეზე გელაპარაკოთ?

ქალიშვილმა, ეტყობა, ბიძის სიტყვები ინერციით გაიმეორა, მაგრამ ეს ნათქვამი მიუკერძოებელ კაცსაც კი შეეძლო დაცინვად მიეღო, ხოლო ბიძა გველნაკბენივით წამოვარდა.

— აა, შე წყეულო! — წაიბურტყუნა მან გაურკვევლად, რადგან აღელვებისაგან პირველივე სიტყვა ყელში გაეხირა. თუმცა კ. ელოდა მისგან ამგვარ

გამოხდომას, მაინც შეშინებული მიიჭრა ბიძასთან იმ განზრახვით, რომ ორივე ხელი პირზე აეფარებინა. საბედნიეროდ, ავადმყოფმა. რომელიც საწოლიდან წამოიწია, ქალიშვილის ზურგს უკნიდან გამოიხედა. ბიძამისი ისე მოიქცა, თითქოს რაღაც საზიზღრობა გადაეყლაპოს და შემდეგ უფრო ბრაზიანად თქვა:

— ცხადია, ჯერჯერობით არც ჩვენ დაგვიკარგავს გონება [illegible] მოვითხოვ შეუძლებელი რომ იყოს, არც მოვითხოვდი. ახლა კი [illegible] მიბრძანდეთ!

მომვლელი ქალიშვილი წელში გასწორდა, მთელი ტანით ბიძისაკენ შებრუნებული იდგა საწოლთან და ცალი ხელით, როგორც კ-ს მოეჩვენა, ვექილის ხელს ეფერებოდა.

— ლენის თანდასწრებით ყველაფრის თქმა შეგიძლია, — უთხრა ვექილმა ბიძას და მის ხმაში დაჭინებული თხოვნა იგრძნობოდა.

— საქმე მე არ მეხება. ეს არ გახლავთ ჩემი საიდუმლოება, — უთხრა ბიძამ ვექილს და ისე მკვეთრად შებრუნდა, თითქოს არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა საუბარში ჩარეულიყო, მაგრამ მოსაფიქრებლად მცირე დროს იძლეოდა.

— აბა ვის ეხება? — იკითხა ვექილმა მისუსტებული ხმით და ბალიშზე დაეშვა.

ჩემს ძმისწულს, — უპასუხა ბიძამ, — მე იგიც თან მოვიყვანე, — და კ. ვექილს წარუდგინა: — პროკურისტი ოზეა, კ.

— ოჰ, — წარმოთქვა ავადმყოფმა ბევრად უფრო ბნელად და კ-ს ხელი გაუწოდა: — მაპატიეთ ვერ დაგინახეთ. ლენი, გადი! — უთხრა ვექილმა შემდეგ მომვლელ ქალიშვილს, რომელსაც ამჯერად არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია და თან ისე ჩამოართვა ხელი, თითქოს დიდი ხნით ემშვიდობებოდა. —ამგვარად შენ, — უთხრა ვექილმა მოგვიანებით ბიძას, რომელიც შერიგების ნიშნად საწოლს მიუახლოვდა,— ავადმყოფის სანახავად კი არა. საქმეზე მოსულხარ.

ეტყობა, აქამდე ვექილს ის აზრი ორგუნავდა, თითქოს ისე მოიქცეს როგორც ავადმყოფი, ახლა კი უეცრად მოლონიერდა და წამდაუწუმ იდაყვს ეყრდნობოდა, რაც საკმაოდ მომჭანცველი უნდა ყოფილიყო, თანაც განუწყვეტლივ ხელს ისვამდა წვერზე.

საკმარისი იყო ეს როკაპი აქედან გასულიყო და შენ შესამჩნევად გამომჯობინდი, — უთხრა ბიძამ ვექილს, მერე შეჩერდა და წასჩურჩულა: — საწამლეოს დავდებ, ყურს გვიგდებს! — და კართან მიირბინა. მაგრამ კარს უკან არავინ აღმოჩნდა და თუმცა ამან ვერაფერში დაარწმუნა, მაინც გაბოროტებული გამობრუნდა უკან, რადგან ქალიშვილის იქ არყოფნა ახლა კიდევ უფრო დიდ ბოროტებად მიიჩნია.

— ამ ქალიშვილის შეფასებაში სცდები, — უთხრა ვექილმა ბიძას, მაგრამ ქალიშვილის დასაცავად სიტყვა აღარ გაუგრძელებია. შეიძლება ამით იმის თქმა უნდოდა, ქალიშვილს დაცვა არ სჭირდებაო. შემდეგ კი მეტი თანაგრძნობით განაგრძო: — რაც შეეხება შენი პატივცემული ძმისწულის საქმეს, ბედნიერებად ჩავთვლი თავს, თუ აღმომაჩნდება იმდენი ძალა, რომ ამ მძიმე ამოცანას თავი გავართვა. მეტისმეტად ვშიშობ, რომ ძალა არ მეყოფა, ყოველ შემთხვევაში ცდას არ დავაკლებ და თუ უძლური აღმოვჩნდი, შეგვიძლია სხვა ვინმე მოვიწვიოთ. გულწრფელად რომ გითხრა. ეს საქმე მეტისმეტად მაინტერესებს და ამიტომ არ შემიძლია თავს ძალა დავატანო და საერთოდ უარი ვთქვა ამ

საქმეში ყოველგვარ მონაწილეობაზე, ხოლო თუ ამას ჩემი გული ვერ გაუძლებს, ძნელია მის გასაჩერებლად უფრო ლირსეული მიზეზი გამონახოს კაცმა. კ. დარწმუნებული იყო, ვექილის ნათქვამიდან ვერაფერი გავიგეო. ბიძამისს მიაჩერდა და მისგან ელოდა ახსნა-განმარტებას, მაგრამ ბიძა [illegible] ოთახში საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე იჯდა — საიდანაც ერთ [illegible] უკვე ხალიჩაზე გადმოგორებულიყო — და თავის ქნევით ვექილს ყველაფერში ეთანხმებოდა, ხოლო დროდადრო კ-ს ისე გამოხედავდა, თითქოს მასაც სთხოვდა, შენც დაეთანხმეო. შეიძლება ბიძამისმა ადრევე უამბო ვექილს მისი პროცესის შესახებ. მაგრამ ამგვარი რამ დაუშვებლად მიაჩნდა, რადგან ყველაფერი, რაც მანამდე მოხდა, ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა ბოლოს კ-მ.

— არა, ეტყობა, მე ვერ გაგიგეთ, — შეაწყვეტინა სიტყვა კ-სავით გაოცებულმა და დარცხვენილმა ვექილმა. — იქნებ ავჩქარდი. მაინც რა საკითხზე გინდოდათ ჩემთან საუბარი? ჩემის აზრით, საქმე თქვენს პროცესს ეხება, არა?

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ბიძამისმა და შემდეგ კ-ს ჰკითხა: რა ვერ გაიგე?

— საინტერესოა, საიდან გაიგეთ რამე ჩემზე და ჩემს პროცესზე? — ჰკითხა კ-მ ვექილს.

— აი, თურმე რა ყოფილა, — უპასუხა ვექილმა ღიმილით, — მე ხომ ვეჩილი ვარ, სასამართლოს მოხელეთა წრეში ვტრიალებ, ვისმენ მათ ლაპარაკს სივადასტვა, რიოიმე გამორჩეულ პროცესზე, ხოლო რაც საყურადღებოა, განსაკუთრებით მეგობრის ძმისწულს თუ ეხება, ძალაუნებურად ჩაგრჩება ზონებაში, საკვირველი აქ არაფერია.

— კი მაგრამ, რა გაწუხებს? — ჰკითხა კვლავ კ-ს ბიძამისმა, — რალაცნაირი აწრიალებული ჩანხარ.

— თქვენ იმ სასამართლოს მოხელეებს შორის ტრიალებთ? — ჰკითხა კ-მ ვექილს.

— დიახ, — უპასუხა ვექილმა.

— რა ბავშვურ კითხვებს აძლევ, — უთხრა კ-ს ბიძამ.

— აბა ვის წრეში უნდა ვიტრიალო, თუ ჩემი პროფესიის ადამიანებს შორის არა? — განაგრძო ვექილმა. მისი სიტყვები ისე დამაჯერებლად ეღერდა, რომ კ-ს პასუხი არ გაუცია.

ალბათ უნდოდა ეკითხა: რომელ სასამართლოში მუშაობთ, იუსტიციის სასახლეში რომაა თუ სხვენზეო? მაგრამ თავი ვერ აიძულა ამგვარი რამ ეკითხა.

— თავად განსაჯეთ, — განაგრძო ვექილმა ისეთი კილოთი, თითქოს ყველაფერი ისედაც ცხადი იყო და არავითარ ახსნას არ საჭიროებდა. — თავად განსაჯეთ, მე ხომ მათ ნაცნობობას ჩემი კლიენტების სასარგებლოდ ვიყენებ მოვალმხრივ, თუმცა ეს რა სალაპარაკოა. რა თქმა უნდა, ავადმყოფობამ ცოტათი ხელი შემიშალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი კარგი მეგობრები, სასამართლოში რომ მსახურობენ, შინ მესტუმრებიან ხოლმე და რალაც-რალაცებს მეც ვგებულობ, შეიძლება იმათზე მეტსაც, სრულიად ჯანსაღნი რომ არიან და მთელ დღეებს სასამართლოში ატარებენ. აი, მაგალითად ახლაც მყავს ძვირფასი სტუმარი. — და მან ხელი ოთახის ბნელი კუთხისაკენ გაიშვირა.

— აბა სად? — იკითხა კ-მ ოდნავ უხეშად რადგან მეტისმეტად გააკვირვა ამ ამბავმა. მერე გაუბედავად მიმოიხედა.

სანთლის სუსტი შუქი მოპირდაპირე კედლამდე ვერ აღწევდა. მაგრამ იმ კუთხეში მართლაც შეინძრა ვიღაც. სანთლის შუქზე, ბიძას რომ ახლა მაღლა ეპირა, მართლაც დაინახეს პატარა მაგიდასთან მჯდომი ხანში შესული მამაკაცი. იგი ალბათ სუნთქვაშეკრული იჯდა, ასე დიდხანს რომ ვერ შეამჩნიეს, ახლა კი მოურიდებლად წამოდგა, აშკარად უკმაყოფილო იყო იმით, რომ ყურადღება მიაქციეს. მოკლე ფრთების მაგვარი ხელები ისე აამოძრავა, თითქოს ფრენდა აეცდინა ახალი ნაცნობობა და ყოველგვარი სალამ-ქალამი, თითქოს სურდა მისი აქ ყოფნით არავინ შეწუხებულიყო და დაჟინებით ითხოვდა, ისევ ბნელში დამტოვეთ და დაივიწყეთ ჩემი არსებობაო. მაგრამ მის თხოვნას არავინ გაუწია ანგარიში.

— საქმე ისაა, რომ თქვენ მოულოდნელად დაგვადექით თავზე, — აუხსნა ვექილმა სტუმრებს და ამავე დროს ხანში შესული მამაკაცი ხელით მოიხმო. მამაკაცი ნელა, გაუბედავად, თვალების ცეცებით, მაგრამ მაინც დიდი ღირსებით წამოვიდა მათკენ. — ბატონო კანცელარიის დირექტორო, მაპატიეთ, რომ ერთმანეთი არ გაგაცანით, ეს გახლავთ ჩემი მეგობარი ალბერთ კ., ეს მისი ძმისწული, პროკურისტი იოზეფ კ.-ა, ხოლო ეს ბატონი კანცელარიის დირექტორია. მან იმდენი ყურადღება გამოიჩინა, რომ შენ მესტუმრა. მხოლოდ საქმეში ჩახედულმა კაცმა შეიძლება გაიგოს ამგვარი სტუმრობის ფასი. მხოლოდ იმან, ვინც იცის, რამდენი საქმე აქვს ბატონ კანცელარიის დირექტორს. მიუხედავად ამისა მაინც მესტუმრა. რამდენადაც ჩემი განმრთელობა ამის საშუალებას მაძლევს, ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით. მართალია, ლენისათვის სტუმრების მიღება არ აგვიკრძალავს, რადგან არავის ველოდით, მაგრამ მაინც ის გვერჩია, რომ მარტო ვყოფილიყავით. ამ დროს შენ, ალბერთ, მუშტები დაუშინე კარს და ამიტომ კანცელარიის დირექტორმა თავის სავარძელ-მაგიდიანად კუთხისაკენ დაიხია. მაგრამ ახლა ირკვევა, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი გვაქვს, რომ შეგვიძლია ერთად ვიმსჯელოთ ამ საქმეზე, ხოლო ამისათვის საჭიროა ყველამ ერთად მოვიყაროთ თავი. ბატონო კანცელარიის დირექტორო! — მიმართა ვექილმა მას თავის დახრითა და მაამებლური ღიმილით და საწოლის მახლობლად მდგარ სავარძელზე მიუთითა.

— სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე წუთი შემიძლია შემოგწიროთ, — თქვა კანცელარიის დირექტორმა თავაზიანად; მოხერხებულად ჩაეშვა სავარძელში და საათს დახედა, — საქმეები მელოდება, მაგრამ არ მინდა ხელიდან გავუშვა ჩემი მეგობრის მეგობრის გაცნობის შესაძლებლობა.

მან ძლივს დაუკრა თავი კ-ს ბიძას, რომელიც, ეტყობა, მეტისმეტად კმაყოფილი იყო ამ კაცის გაცნობით, მაგრამ სიცეტის გამო ვერ შეძლო მადლიერების გრძნობის გამოხატვა და ამიტომ კანცელარიის დირექტორის სიტყვებს მორიდებული, მაგრამ მაინც ხმამაღალი სიცილით შეეგება. პირდაპირ საზარელი სანახავი იყო! კ. მშვიდად აკვირდებოდა ყველაფერს, რადგან მას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. კანცელარიის დირექტორმა, რაკი იგი საქმეში გარიეს, ჩვეულებისამებრ, თვითონ დაიწყო ლაპარაკი. ვექილი, რომელმაც ავადმყოფობა იმისთვის მოიგონა, რომ სტუმრები თავიდან მოეშორებინა, ხელი ყურზე მიიდო და გულმოდგინედ უსმენდა კანცელარიის დირექტორს, ბიძა კი, — რომელმაც უკვე სძლია მორცხვობას და რომელსაც გამნათებლის როლი ჰქონდა დაკისრებული და სანთელს მუხლზე ათამაშებდა, რის გამოც ვექილი შეშფოთებული იყურებოდა მისკენ, — აღტაცებული იყო არა მარტო კანცელარიის

დირექტორის სიტყვებით, არამედ ლაპარაკისას მისი ფრთებივით ხელების მოქნილი ტალღისებური მოძრაობითაც. საწოლის თავზე დაყრდნობილ კ-ს კანცელარიის დირექტორი განგებ არ აქცევდა ყურადღებას და ხანში შესული ბატონებისათვის იგი მხოლოდ მსმენელი იყო. თუმცა არც კ-ს ესმოდა ხეირიანად, რაზე ლაპარაკობდნენ უფროსები და ფიქრობდა მომვლელ ქალიშვილზე და იმაზე, თუ რა უმსგავსოდ მოექცა ბიძამისი ამ ქალიშვილს. ერთხელ ასეთმა აზრმაც გაუელვა, ხომ არ მინახავს სადმე კანცელარიის დირექტორი, იქნებ იმ სხდომაზე ვნახე, პირველი დაკითხვის დროს რომ გაიმართა, ან იქნებ ვცდებიო, მაგრამ კანცელარიის დირექტორი საოცრად ჰგავდა პირველ რიგში ჩამწკრივებულ სხდომის მონაწილეებს, იმ თხელწვერა ვაჟბატონებს.

უეცრად ყველამ ყურები დაცქვიტა, წინკარიდან ისეთი ხმაური მოისმა, თითქოს ფაიფურის ჭურჭელს ამსხვრევდნენ.

— ვნახავ ერთი, რა მოხდა, — თქვა კ-მ და ისე ნელა წავიდა კარისაკენ, თითქოს დანარჩენებს დროს აძლევდა, შეეჩერებინათ. მაგრამ როგორც კი წინკარში გავიდა და თვალი დაძაბა, ეგებ ამ სიბნელეში რამე დავინახოო, მის ხელს, ჯერ კიდევ კარის სახელურზე რომ ედო, შეეხო ბევრად უფრო პატარა ხელი, ვიდრე მისი იყო და ჩუმად მიხურა კარი. მის წინ იდგა მომვლელი ქალიშვილი, რომელიც სწორედ აქ უცდიდა.

— არაფერი არ მომხდარა, — უთხრა ჩურჩულით ქალიშვილმა, — მე განგებ შევახეთქე თეფში კედელს, რომ თქვენ გამომეხმეთ.

დაბნეულმა კ-მ უთხრა: — მეც თქვენზე ვფიქრობდი.

— მით უკეთესი, — უპასუხა ქალიშვილმა, — წამობრძანდით.

მათ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და შეჩერდნენ მჭრქალმინიან კართან. ქალიშვილმა გააღო კარი და კ-ს უთხრა: „შემოდით!"

ეს უდავოდ ვექილის სამუშაო ოთახი იყო. რამდენადაც კი რაიმეს დანახვა შეიძლებოდა მთვარის შუქზე, სამი დიდი ფანჯრიდან პატარა კვადრატებად რომ ეცემოდა იატაკზე, მთელი ოთახი მძიმე, ძველებური ავეჯით იყო გაწყობილი.

— აი, აქ დაბრძანდით, — უთხრა მომვლელმა ქალიშვილმა და მოჩუქურთმებულ, ხისზურგიან შუქი ფერის სკივრზე მიუთითა. სანამ დაჯდებოდა, კ-მ ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა. ამ დიდ, მაღალჭერიან ოთახში ვექილის ღარიბ კლიენტებს ალბათ თავგზა ებნეოდათ. კ-მ წარმოიდგინა, როგორ უაღლოვდებიან კლიენტები მოკლე ნაბიჯებით უზარმაზარ საწერ მაგიდას, მაგრამ მას იმწამსვე დაავიწყდა ყველაფერი, გარდა მომვლელი ქალიშვილისა, რომელიც თვალებით ჰამდა და ისე ეკვროდა, რომ ლამის სკივრის სახელურს მიაჭეჭყა.

— მე კი მეგონა, — უთხრა ქალიშვილმა, — თვითონ გამოხვიდოდით ოთახიდან და გამოძახება არ დამჭირდებოდა, უცნაურია, შემოსვლის წუთიდან ოვალი არ მოგიშორებიათ ჩემთვის, შემდეგ კი მალოდინეთ. ჰო, უბრალოდ ლენი დამიძახეთ, — დასძინა მან ისე სწრაფად და მოულოდნელად, თითქოს მათი საუბრის დროს ერთი წამიც არ შეიძლებოდა დაკარგულიყო.

— სიამოვნებით, — უპასუხა კ-მ, — რაც შეეხება უცნაურობას, იცით, ლენი უცნაური აქ არაფერია და ასახსნელადაც ადვილია. ჯერ ერთი უნდა მომესმინა ბერიკაცების ლაქლაქი, უმიზეზოდ ხომ ვერ მივატოვებდი მათ, მეორეც, მე თავხედი კაცი არა ვარ, პირიქით, მორიდებული უფრო მეთქმის და

არც თქვენ ჰგავხართ ისეთ ქალიშვილს, ლენი, ვისი გულის მონადირებაც თვალის დახამხამებაში შეიძლება.

— არა, აქ სულ სხვა ამბავია, — უთხრა ლენიმ. მკლავი საზურგეზე გადადო და კ-ს მიაჩერდა, — უბრალოდ არ მოგეწონეთ და ალბათ არც ახლა მოგწონვართ.

— მოწონება ის სიტყვა არაა, — უპასუხა კ-მ ორეულად.

— ო! — წამოიძახა ქალიშვილმა ღიმილით.

კ-ს პასუხისა და ამ მოკლე წამოძახილის წყალობით ლენიმ თითქოს რაღაც უპირატესობა მოიპოვა. ამიტომ კ-ს აღარაფერი უთქვამს. ამასობაში თვალი სიბნელეს შეეჩვია. უკვე შეეძლო ნივთები ერთმანეთისაგან გაერჩია. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა დიდმა სურათმა, რომელიც კარის მარჯვენა მხარეს ეკიდა და უკეთ რომ დაენახა წინ დაიხარა. სურათზე გამოსახული იყო მოსამართლის მანტიაში გახვეული მამაკაცი. იგი სამეფო ტახტივით მაღალ, ოქროთი მეტისმეტად მოვარაყებულ სავარძელში იჯდა. მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ მოსამართლე მშვიდად და ღირსეულად კი არ იჯდა, არამედ მარცხენა ხელი საზურგესა და სახელურისათვის შემოეჭდო, ხოლო მარჯვენა ხელის გულით ისე ეყრდნობოდა მეორე სახელურს, გეგონებოდა, სადაცაა ჯიქურ, შეიძლება გაევებულიც კი წამოიჭრება ფეხზე და ან გადამწყვეტ სიტყვას იტყვის, ანდა განაჩენს გამოიტანსო. ბრალდებული ალბათ დაბლა, კიბის ძირში იდგა, რადგან სურათზე მხოლოდ ყვითელი ხალიჩით დაფარული ზედა საფეხურები ჩანდა.

— იქნებ ესაა ჩემი მოსამართლე, — თქვა კ-მ და თითი სურათისაკენ გაიშვირა.

— მაგ კაცს ვიცნობ, — უთხრა ლენიმ და სურათს მანაც შეხედა, — ხშირად დადის ჩვენთან. ეს სურათი ახალგაზრდობის დროინდელია, მაგრამ არც მაშინ ყოფილა ასეთი შესახედავი, მოსამართლე ხომ ქონდრის კაცივით პატარაა. მიუხედავად ამისა, მხატვარს უბრძანა, აი, ასე გამოეჭიმა სურათზე. სხვებივით მასაც სჭამს უგუნური პატივმოყვარეობის ჭია. მეც პატივმოყვარე ვარ და ძალიან მწყინს, რომ არ მოგწონვართ.

ამ სიტყვების პასუხად კ-მ ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა, ქალიშვილმა თავი მხარზე წყნარად დაადო.

— სად მუშაობს? — ჰკითხა კ-მ ქალიშვილს და სურათზე გამოსახულ მამაკაცზე მიუთითა.

— გამომძიებელია, — უპასუხა ლენიმ და კ-ს ხელი თითებზე მოუთათუნა.

— მხოლოდ გამომძიებელი? — თქვა გულაცრუებულმა კ-მ. — მაშასადამე, მაღალი რანგის მოხელეები იმალებიან. მაგრამ ის ხომ დიდებულ სავარძელში ზის.

— ეს ყველაფერი მოგონილია, — უპასუხა ლენიმ და სახე კ-ს ხელის გულთან მიიტანა, — სინამდვილეში იგი სამზარეულოს სავარძელში ზის, და ქვეშ დაკეცილი ძველი ასალი უფენია. კი მაგრამ, ნუთუ ყოველთვის თქვენს პროცესზე უნდა იფიქროთ?

— არა, სრულიადაც არა, — უპასუხა კ-მ, — პროცესზე ალბათ, ძალიან ცოტას ვფიქრობ.

— თქვენ სხვა რამეში ცდებით, — უთხრა ლენიმ, — თქვენზე ამბობენ, ძალიან ჯიუტი კაციაო.

— ვინ ამბობს? — ჰკითხა კ-მ, იგი გრძნობდა, ქალიშვილი მკერდზე ეკვროდა და დაჰყურებდა მის რბილ, მუქ მაგრად გასასკულ თმას.

— ეგ რომ გითხრათ, იგივეს ნიშნავს. ბევრი რამ გაგიმხელოთ. — უპასუხა ლენიმ. — გთხოვთ გვარებს ნუ მკითხავთ, ჯობს თქვენი შეცდომა გამოასწოროთ, ნუ ხართ ასეთი ჯიუტი. სულ ერთია ამ სასამართლოსთან [illegible] ფერს გახდებით. დანაშაული უნდა აღიაროთ. პირველ შემთხვევაში [illegible] ცხოთ თავი დამნაშავედ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ხელიდან დაუსხლტეთ მათ, მხოლოდ მაშინ, თუმცა სხვების დაუხმარებლად ესეც შეუძლებელია. მაგრამ ნუ გეშინიათ, მე დაგეხმარებით.

— ეტყობა, თქვენ ბევრი რამ იცით ამ სასამართლოსა და იმ ათას მაცაძალლობაზე, აქ რომ სჭირდება კაცს, — უთხრა კ-მ და რაკი ქალიშვილი ძალზე მაგრად ეკვროდა, მუხლებზე დაისვა.

— აი, ასე კარგია, — უთხრა ქალიშვილმა და მის მუხლებზე მყუდროდ მოკალათებულმა ქვედატანი ჩაიწია, კოფთა გაისწორა, შემდეგ ორივე ხელი ყელზე მოხვია, თავი უკან გადაიგდო და დიდხანს უყურა.

— თავს თუ დამნაშავედ არ ვცნობ, არ დამეხმარებით? — ჰკითხა კ-მ გამომცდელად და გაოცებულმა გაიფიქრა, როცა გამიჭირდა, როგორ დავფაცურდი ქალების გადმოსაბირებლად, ჯერ ფროილაინ ბიურსნერის თანაგრძნობას ვეძებდი, შემდეგ შიკრიკის ცოლისა, ახლა კი ამ პატარა ძომვლელ ქალიშვილს ველოლიავები. ნეტავ გამაგებინა, რა იზიდავს ასე ძლიერ ჩემკენ. ისე დაბისკუპდა მუხლებზე, თითქოს ესაა ერთადერთი მისი კუთვნილი ადგილი.

— არა, — თქვა ლენიმ და ნელა გაიქნია თავი, — ამ შემთხვევაში ვერ დაგეხმარებით, მაგრამ თქვენ არც გინდათ დაგეხმაროთ, არაფრად არ გაგიმდებათ, თავნება კაცი ხართ და ვერავინ ვერაფერში დაგარწმუნებთ. შეყვარებული თუ გყავთ? — ჰკითხა ქალიშვილმა მცირე ხნის შემდეგ.

— არა, — უპასუხა კ-მ.

— გეყოლებათ, — უთხრა ქალიშვილმა.

— მართალია, მყავს, — დაუდასტურა კ-მ. — წარწოგიდგენიათ, კინაღამ უარი ვთქვი იმ ქალზე, ვისი ფოტოსურათიც ყოველთვის თან დამყავს.

ლენიმ სთხოვა, ფოტოსურათი მიჩვენეთ. კ-მ ამოიღო ელზას სურათი. კ-ს მუხლებზე მოკალათებულმა ქალიშვილმა სურათს თვალიერება დაუწყო. ეს იყო პატარა, ნაუცბადევად გადაღებული ფოტოსურათი, ელზა თავბრუდამხვევი ცეკვის შემდეგ გადაუღიათ. მას უყვარდა თავის ღეინის სარდაფში ცეკვა, ტრიალისგან ქვედატანის დანაოჭებული ქალთები ჯერ კიდევ ათრიალებული ჰქონდა, ხელები მკვრივ თეძოებზე შემოედო, იცინოდა და ეკან თაფლადავდებული სადღაც იყურებოდა; სურათზე არ ჩანდა, ვის უცინოდა.

— რა მაგრად მოუჭერია ზონრები, — თქვა ლენიმ და უჩვენა ის ადგილი, სადაც მიაი ახრით ელზას ზონრები ჰქონდა შეკოჭილი, — ეს ქალი არ მომწონს, მოუქნელი და ტლანქია, მაგრამ, იცნობ თქვენ მიმართავ ნაზი და თავაზიანი, სურათის მიხედვით ამგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ასეთი მალალი, ლონიერი ქალები ხშირად მეტისმეტად თავაზიანი და ალერსიანი არიან, მაგრამ თავს თუ გასწირავს თქვენთვის?

— არა, — უპასუხა კ-მ. — იგი არც ალერსიანია, არც თავაზიანი და არც თავს გასწირავს ჩემთვის, აქამდე მე არც ერთი მომითხოვია მისგან და არც მეორე, თანაც თქვენსავით კარგად არც კი დაკვირვებივარ ამ სურათს.

— მაშასადამე, ეს ქალი დიდად არაფრად გჭირდებათ, — უთხრა ლენინმ, და ამგვარად არც თქვენი შეყვარებული ყოფილა.

— როგორ არა, უპასუხა კ-მ, — მე ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს.

— კეთილი, იყოს თქვენი შეყვარებული, — უთხრა ლენინმ, — მაგრამ მისი დაკარგვა დიდად არ შეგაწუხებთ, არც ის, სხვაზე ან ჩემზე [illegible] ცვალოთ.

— რა თქმა უნდა, —უპასუხა კ-მ ღიმილით, — ამგვარი რამ დასაშვებია. მაგრამ მას ერთი დიდი უპირატესობა აქვს თქვენთან შედარებით. ჩემი პროცესის შესახებ არაფერი იცის და რომ იცოდეს კიდეც, ამაზე ფიქრით დიდად მაინც არ შეიწუხებდა თავს, არც იმას ეცდებოდა, ჩემთვის ერჩია, მათ ნებას დაჰყევიო.

— ეს რა უპირატესობაა, — უთხრა ლენინმ, — თუ მას სხვა უპირატესობანი არ გააჩნია, იმედს არ ვკარგავ. რაიმე ფიზიკური ნაკლი ხომ არ აქვს?

— ფიზიკური ნაკლი? — იკითხა კ-მ.

— დიახ, — უპასუხა ლენინმ, — მაგალითად, პირადად მე პატარა ფიზიკური ნაკლი მაქვს, აბა, შეხედეთ.

მან გაშალა მარჯვენა ხელის შუა და უსახელო თითი, მათ შორის შემაერთებელი კანი მოკლე თითების ზედა სახსრამდე აღწევდა. სიბნელეში კ-მ უცბად ვერც კი დაინახა, რას უჩვენებდნენ, მაგრამ ქალიშვილმა ხელი გამოართვა და თავის მოკლე თითებს შეახო.

— რას არ მოიგონებს ბუნება, — თქვა კ-მ და როცა მთელ ხელს დახედა, დასძინა: — რა ლამაზი თათია!

ლენი ერთგვარი სიამაყით უყურებდა, როგორ აერთებდა და აშორებდა ერთმანეთს გაკვირვებული კ. მის ორ თითს, ბოლოს ოდნავ შეეხო ტუჩებით და ხელი გაუშვა.

— ო! — წამოიძახა ქალიშვილმა სულმოუთქმელად, — თქვენ მე მაკოცეთ!

ლენის ოდნავ გაეღო პირი, მუხლებით შეაცოცდა მუხლებზე. კ. სრულიად დაიბნა. ქალიშვილი ისე ახლოს იყო, რომ მისი წიწაკასავით გამალაზიანებელი სუნიც კი იგრძნო. ლენიმ მისი თავი გულში ჩაიხუტა, დაუწყო კოცნა და კბენა კისერზე და თმაზეც კი.

— ხომ გაცვალეთ ის ქალი ჩემზე! — ყვიროდა ქალიშვილი დროდადრო, ხედავთ, ჩემზე გაცვალეთ!

უეცრად კალთიდან მუხლი ჩაუცურდა, ლენიმ შეჰკივლა, სულ ცოტაც და ხალიჩაზე დაეცემოდა. კ. შეეცადა დაეჭირა, ხელი მოხვია, მაგრამ ქალიშვილმა ისიც დაითრია და უთხრა: — ახლა კი ჩემი ხარ.

— აი ამ სახლის გასაღები, მოდი როცა მოგესურვება. — ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ლენი კ-ს და ტუჩებით შეეხო მიმავალის ზურგს.

ალაყაფის კარებს რომ გასცდა და ქუჩაში გავიდა, ოდნავ ცრიდა. გადაწყვიტა ქვაფენილზე გადასულიყო, იქნებ ლენის ფანჯარაში კიდევ ერთხელ მოეკრა თვალი, მაგრამ ამ დროს მანქანიდან, რომელიც სახლის წინ იცდიდა და დაბნეულმა კ-მ ვერ შეამჩნია, გამოვარდა ბიძამისი, მხრებში სწვდა და ისე მიაჭეჭყა ალაყაფის კარებს, თითქოს ზედ მილურსმვას უპირებსო.

— ეჰ, ყმაწვილო, — წამოიძახა ბიძამ, —ეს რა ჩაიდინე! საქმე თითქმის მოგვარებული იყო, შენ კი შენი უსაქციელობით დიდად ავნე საკუთარ თავს. შეძვერი სადღაც იმ პატარა, ჭუჭყიან გოგოსთან ერთად, რომელიც ალბათ ვე-

ქილის საყვარელია და აღარ გელირსა გამოსვლა. თანაც ვერაფერი მოიმიზეზე, დაუფარავად, ყველას თანდასწრებით გაიქეცი მასთან და მასთანვე დარჩი. ჩვენ სამნი კი — ბიძაშენი, რომელიც შენთვის ზრუნავს, ვექილი, ჩვენს ძმარეზე რომ უნდა გადმოვიბიროთ და რაც მთავარია, კანცელარიის დირექტორი, ეს კაცი, ვისაც ამჟამად უშუალოდ ეხება შენი საქმე, ვსხედვართ და ვფიქრობთ ამაზე, როგორ გიშველოთ, მე ვექილს ველოლიავები, ის კანცელარიის დირექტორს, ამ ვითარებაში მხარი მაინც უნდა დაგვეჭირა ჩემთვის. შენ კი, ნაცვლად ამისა, ადექი და დაიკარგე. ასეთ შემთხვევაში არაფრის დაფარვა არ ხერხდება. კიდევ კარგი, რომ ისინი ზრდილი, გამოცდილი ადამიანები არიან, თქმით არაფერი უთქვამთ, მე დამინდეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინიც გაბეზრდნენ და რადგან საქმეზე ლაპარაკი აღარ შეეძლოთ, ჩუმად ისხდნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს ვისხედით მდუმარედ და ვფიქრობდით, იქნებ გამოჩნდესო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს წამოდგა კანცელარიის დირექტორი, რომელიც იმაზე მეტ ხანს დარჩა, ვიდრე აპირებდა და გამოგვეთხოვა. აშკარად შეეცოდე, მაგრამ რით უნდა დამხმარებოდა. უჩვეულო თავაზიანობით ერთხანს მაინც შეყოვნდა კარებში და შემდეგ წავიდა. მე, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, იქაურობა რომ მიატოვა, რადგან სუნთქვაც კი აღარ შემეძლო. ვექილზე ყოველივე ამან ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ამ კეთილ კაცს გამომშვიდობებისას ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს. ვექილს რომ რამე დაემართოს, შენი ბრალი იქნება, სიცოცხლეს უსწრაფებ ისეთ კაცს, ვიზედაც დამოკიდებული ხარ. მე კი, შენი ბიძა, დამტოვე აქ წვიმაში, — ნახე, ნახე, რა გალუმპული ვარ — მაცდევინე ამდენ ხანს და შენზე წუხილით გამაწამე.

დასაასრული შემდეგ ნომერში

ანტონ ჩეხოვი

არიადნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა თამაზ კიკიანმა

ოდესიდან სევასტოპოლისაკენ პირველი ხომალდის გემბანზე საკმაოდ კოხტა გარეგნობის, ბოგვალად წვერშეკრეული მამაკაცი მომიახლოვდა და პაპიროსზე ცეცხლის პატიჟება მთხოვა.

— ყურადღება მიაქციეთ ჯენტლმენთან მსხდარ გერმანელებს — გერმანელები ან ინგლისელები როცა შეიყრებიან მატყლის თასზე, ქალაქსა და პირად საქმეებზე ლაპარაკობენ. ჩვენ კი რუსებს, როგორლაც ასეთ დროს მხოლოდ ქალებზე და მაღალ მატერიებზე გვაქვს საუბარი. ოღონ მთავარია — ეგლებზე.

ამ ბატონის სახე ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო. ამას წინათ ფეოდოსიიდან ერთი მატარებლით ვიმგზავრეთ და ვოლოჩისკში, სადგურ ბოხელეკეზე ორასი გვამოწმებდნენ. ქალის ტანსაცმლით სავსე ჩემოდნებთან და ჩანთებთან ერთად ვიღაც ქალბატონთან ერთად... მას შეცბუნებული და გულგატეხილი ადამიანის სახე ჰქონდა. ეტყობოდა ეფუძერხულებოდა, რალაც ამბავშეიძ ჭინვისთვის ჯარიმა რომ გადაიხადა. მისი თანამგზავრი უკმაყოფილებდა. გაბოროტებულ და მგბაელებს აშინებდა — გიჩიკლებთო. შემდეგ, როცა ოდესაში მიველოდით, რამოდენიმეჯერ დავინახე, ქალთა განყოფილებაში ხან ლუზული შემქონდა და ხან ფორთოხალი.

ნესტიანი ამინდი იყო. ხომალდს ტალღები ოდნავ არწევდა და ქალებმა კაიუტებს მიაშურეს. ბოგვალწვერიანი კაცი გვერდით მოვიჯდა და გასაგრძელ.

— დიახ, როცა რუსები შეიყრებით, მხოლოდ მაღალ მატერიებზე ან ქალებზე ესაუბრობთ ხოლმე. ჩვენ იმდენად ინტელიგენტები ვართ, იმდენად თავმომწონენი, რომ მხოლოდ ჭეშმარიტებას გამოვთქვამთ და უმაღლესი ძალაშუნელობის საკითხების გადაჭრა გალგვიძს. რუს მსახიობს ხუმრობა არ შეუძლია, ის ვოდევილსაც ღრმააზროვნად თამაშობს. ასევე ჩვენც წვრილმანებსაც კი უმაღლესი პოზიციებიდან განვიხილავთ. ეს იმით აიხსნება, რომ სითამამე, გულწრფელობა და უბრალოება გვაკლია. ვფიქრობ, ქალებზე ასე ხშირად ამიტომ ლაპარაკობთ, რომ უ[illegible]

ჩვენ ალბზე ვაიდეალებთ ქალს და ისეთ მოთხოვნილებებს ვუყენებთ, რომელსაც ვერ უტოლდება ის რასაც სინამდვილე გვთავაზობს. ჩვენ სრულებით ვერ ვიღებთ იმას, რასაც ველოდებით. ამისი შედეგია უკმაყოფილება, სასოწარკვეთილება, გულისტკივილი და ამიტომ ვისაც რა აწუხებს, იმაზე საუბრობს. თავი ხომ არ მოგაბეზრეთ?

სოფლებითაც არა.

— შენ ნება ჰოქეცით გაგეცნოთ. — მითხრა ჩემმა თანამსაუბრემ და ოდნავ წაძოიწია. — ივან ილიჩ შამოხინი, ასე ვთქვათ, მოსკოველი მუშამულე... თქვენ ი. კარგად გიცნობთ.

შემდეგ ისევ ჩამოჯდა და საუბარი განაგრძო, თან ალერსიანად და გულ-ღიად შემომყურებდა თვალებში.

— მაქს ნორდაუს მსგავსი საშუალო ფილოსოფოსები ქალებზე გამუდმებულ საუბარს ეროტიკულ ნიადაგზე ჭკუა შერყეულობით ახსნიდნენ, ან იმით, რომ ბატონყმობის მოტრფიალენი ვართ. მე კი საქმეს სულ სხვაგვარად ვუყურებ. ჩვენ ხომ ბუნებით გამოუსწორებელი იდეალისტები ვართ. გვინდა, რომ არსება, რომელიც ჩვენ და ჩვენს შვილებსაც შობს, ჩვენზე მაღლა იდგეს, ყველაფერზე მაღლა იდგეს ამქვეყნად. სიჭაბუკეში ვინც კი შეგვიყვარდება, იმას ვალმერთებთ ხოლმე და ცაში აგვყავს. სიყვარული და ბედნიერება სინონიმები გვგონია. ჩვენთან რუსეთში უსიყვარულო ქორწინება ვერ წარმოუდგენიათ. ავხორცობას გმობენ და მასხრად იგდებენ. ყველაზე მეტად ის რომანები და მოთხრობები მოსწონთ, სადაც ლამაზი და პოეტურად ამაღლებული ქალია დახატული. თუ რუსი ოდითგანვე რაფაელის მადონათი იყო აღტაცებული და ქალთა ემანსიპაციის საკითხი ადარდებდა, ამაში არაფერია მოჩვენებითი. უბედურება სხვა რაშია: როგორც კი ცოლს შევირთავთ, ან ქალს დავუახლოვდებით, ორი-სამი წელიწადიც საკმარისია, რომ გული გაგვიტყდეს და თავი მოტყუებულად ვიგრძნოთ. მერე სხვას ვეძებთ. მაგრამ იქაც იმედი გვიცრუვდება და ისევ საშიშელი ტანჯვით ალსავსე დღეებს გამოვიელით. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქალი საერთოდ მატყუარა, წვრილმანი, ფუსფუსა, უსაძირთლო, გაუნათლებელი და გულქვა არსებაა. ერთი აიტყვით, ისინი მამაკაცებზე გაცილებით დაბლა დგანან, ჩვენ კი მოტყუებულებს, ბუზღუნის მეტი არა დაგვრჩენია რა.

ვიდრე შამოხინი ლაპარაკობდა, შევატყვე, რომ რუსულად საუბარი, რუსული გარემო მას დიდ სიამოვნებას გვრიდა. ალბათ იმიტომ, რომ უცხოეთში ხეტიალია საძმობლო ძოანატრა. აქებდა რა რუსებს, მიაწერდა რა მათ ჩვეულებრივის იდეალიზების უნარს, უცხოელებს მიწასთან კი არ ასწორებდა, როგორც ეს ბევრს სჩვევია, ამ თვისებამ მის სასარგებლოდ განმაწყო. ისიც ემჩნეოდა, რომ მაინ ბული რაღაც მიზეზით აწეწილია, რომ მას ქალებზე კი არა, ალბათ თავზე უფრო აწყუროდა საუბარი და ალსარების მსგავსი რაღაც გრძელი ისტორიის მოსმენა არ ამცდებოდა.

ძართლაც, როცა ერთი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ და თითო ჭიქა დავლიეთ, ივან ასე დაიწყო:

— მახსოვს, ველტმანის რომელიღაც მოთხრობის ერთ-ერთი გმირის სიტყვები: „აი ისტორია!" ძეორე კი პასუხობს: „არა, ეს ისტორია კი არა, ინტროდუქციაა". ასე **რომ,** რაც აქამდე მოგიყევით მხოლოდ შესავალი იყო. მე ჩემი ეგზალტირებული რომანი მინდა გიამბოთ. ვიდევ ერთხელ უნდა გკითხოთ, თავი ხომ არ შეგაწყინეთ?

— და როცა ყველავ დავუდასტურე არა-მეთქი, განაგრძო:

— ეს ამბავი მოსკოვის გუბერნიაში, მის ერთ-ერთ ჩრდილოეთ მაზრაში ხდება. უნდა გითხრათ, რომ ბუნება აქ საოცარია. ჩვენი მამული პატარა, სწრაფი მდინარის შემაღლებულ ნაპირზეა გაშლილი. სადაც წყლის ხმაური

არასდროს წყდება. წარმოიდგინეთ დიდი, ძველი ბაღი, მყუდრო, მოხერხებული საყვავილეები, სკა, ბოსტანი. ქვემოთ მდინარის ნაპირზე ხუჭუჭა ტირიფები ჩამწკრივებულან, რომლებსაც ცვარ-ნამის დროს, თითქოს გაჭაღარავდნენო, მჭრელი ფერი გადაეკვრებათ ხოლმე. მდინარის მეორე მხარეს მდელოებია. მდელოებს უკან გორაკზე შიშის მომგვრელი დაბურული წიწვნარია. ამ წიწვნარში უამრავი მჭადა სოკოა, ხოლო ტყის სიღრმეში ცხენ-ირმები ბინადრობენ. როცა მოვკვდები და კუბოში ჩამდებენ, ასე მგონია, მაშინაც დამესიზმრება ასეთი სურათი: ადრიანი დილა, კაშკაშა მზე თვალს გჭრის, ან გაზაფხულის მშვენიერი საღამოები, ბაღში და ბაღს უკან ბულბულები გალობენ, ღალღები ყვირიან. სოფლიდან ნიავს გარმონის ხმა მოაქვს, სახლში როიალზე უკრავენ და ამ ჰანგს დროდადრო მდინარის ხმაური შემოეპარება. ერთი სიტყვით, ისეთი მუსიკა ჩაგესმის, ტირილიც გინდება და სიმღერაც. სახნავი ადგილი ჩვენ ბევრი არა გვაქვს, მაგრამ მდელოები ტყესთან ერთად წელიწადში ორი ათას მანეთამდე შემოაავალს გვაძლევა. გარდა ამისა, მამას პენსია აქვს. ცნობები ჩვენი ოჯახის შესახებ სრული არ იქნება, თუ არ გეტყვით, რომ მე დედისერთა ვარ, ამიტომ ორივეს, როგორც ზომიერი მოთხოვნილების ადამიანებს, ეს შემოსავალი საკმაოდ გვყოფნიდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირველი სამი წელიწადი სოფელში გავატარე. მეურნეობას ვეწეოდი, თან სულ ველოდი, რომ სადღაც რამე თანამდებობაზე ამირჩევენ-მეთქი. მთავარი კი ამ დროს ის იყო, რომ ერთი არაჩვეულებრივად ლამაზი, მომხიბლავი გოგონა მიყვარდა. ეს ჩემი მეზობლის, გალარიბებული მემამულე კოტლოვიჩის და იყო. მის მამულში ანანასები და შესანიშნავი ატმები ხარობდა. მართალია, კოტლოვიჩს ეზოში მეხამრიდიც ჰქონდა და აუზიც, მაგრამ კაპიკი ფული არ მოეძებებოდა. ის არაფერს აკეთებდა და არც არაფერი შეეძლო. ისეთი დონდლო ვინმე იყო, თითქოს მოხარშული თალგამისგან არის გაკეთებულიო. მისი ერთადერთი საქმიანობა ის გახლდათ, რომ გლეხებს გომეოპატიით მკურნალობდა და სპირიტიზმით იყო გატაცებული. ყველაფერ ამასთან ერთად დელიკატური, რბილი და საკმაოდ ჭკვიანი ადამიანიც იყო, მაგრამ... რა დასამალია და ამგვარი ბატონებისკენ, სულებს რომ ესაუბრებიან და გლეხის ქალებს მაგნეტიზმით მკურნალობენ, გული არ მიმიწევს. პირველ რიგში ძნელია იმ ადამიანთან საუბარი, რომლის გონებაც ცრურწმენისაგან თავისუფალი არ არის. მეორე — მათ ჩვეულებრივ არავინ არ უყვართ, ქალებს სათოფეზე არ ეკარებიან და მგრძნობიარე ადამიანებზე ეს იდუმალება ცუდად მოქმედებს. მე იგი არც გარეგნულად მომწონდა. ის ტანმაღალი, მსუქანი, პატარა თავიანი კაცი იყო. სახეზე თვალები წვრილ ბბრწყინავ წერტილებად ჩანდა. როცა თეთრ, ფუმფულა თითებიან ხელს გართმევდათ, თქვენს ხელს თავისაში მოიქცევდა და რალაცნაირად წურავდა თითქოს. ყოველ წუთს, საჭირო იყო თუ არა, ბოდიშს გიხდიდათ. რაიმეს გთხოვთ, ბოდიშს იხდის, რაიმეს გაძლევთ, მაშინაც გებოდიშებათ. ხოლო რაც შეეხება მის დას, ეს უკვე, როგორც იტყვიან, სულ სხვა ოპერის მოქმედი გმირია. უნდა აღვნიშნოთ, რომ კოტლოვიჩებს მე ბავშვობაში და სიჭაბუკეში არ ვიცნობდი, არ ვიცნობდი, რადგანაც მამაჩემი №-ში პროფესორი იყო და ჩვენ კარგახანს პროვინციაში ვცხოვრობდით, ხოლო როცა ის გოგონა გავიცანი, უკვე ინსტიტუტი დამთავრებული ჰქონდა და ოცდაორი-ოცდასამი წლის იყო. სწავლის პერიოდში ორი-სამი წელიწადი მოსკოვში მდიდარ დეიდასთან ცხოვრობდა, რომელმაც საზოგადოებაში გაიყვანა. როცა ის გავიცანი და პი-

რეალურად ვესაუბრე. უპირველეს ყოვლისა მიაჩნია ეშვიათმა სახელმა, არიადნამ გამაოცა. ძალზე უხდებოდა ეს სახელი. არიადნა იყო შავგვრემანი, გამხდარი, ნატიფი, მოქნილი, ტანადენარი, ზედმიწევნით გრაციოზული, უაღრესად ქეთილშობილური სახის ქალი. მართალია, თვალები მასაც ძმასავით უბრწყინავდა, მაგრამ ძმას სახეზე მუდამ ცივი ღიმილი თუ ეფინა, არიადნას გამოხედვა ახალგაზრდული სილამაზითა და სიამაყით იყო აღსავსე. გაცნობის დღიდანვე დაძალუბული მან და სხვანაირად არც შეიძლებოდა. პირველი შთაბეჭდილებები ისე გაბატონდნენ ჩემზე, რომ ახლაც მიჭირს ილუზიებისაგან გათავისუფლება, ავლავ მინდა ვიფიქრო, რომ როცა ბუნებამ ეს ქალიშვილი შექმნა, რაღაც ფარული, გასაოცარი ჩანაფიქრი ჰქონდა. არიადნას ხმა. სიარული, ქუდი და ნატერფალიც კი მდინარიას ქვეშიან ნაპირზე, სადაც ის ციმორებს იჭერდა, ჩემში დიდ სიხარულსა და სიცოცხლის მხურვალე წყურვილს ბადებდა. მისი სახის მშვენიერი ნაკვთების მიხედვით მის სულიერ ორგანიზაციაზე ვმსჯელობდი. მისი ყოველი სიტყვა ჩემს ღიმილსა და აღტაცებას იწვევდა. ჩემი გული მან ისე მოინადირა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იგი ამაღლებული სულის ადამიანია. ის იყო ალერსიანი, კარგი მოსაუბრე, ქხიარული და ურთიერთობაში უბრალო. ღმერთიც პოეტურად სწამდა და სიკვდილზეც პოეტურად მსჯელობდა. მის სულიერ წყობას ისეთი მდიდრული იერი გადაკრავდა, რომ თავის ნაკლოვანებებსაც კი განსაკუთრებულ ჰიმზიდველობას ანიჭებდა. დავუშვათ, ცხენის ყიდვა მოუნდა, ფული კი არ აქვს. მაგრამ განა ეს გამოუსწორებელი უბედურებაა? აბა, რაიმე ხომ შეიძლება გაიყიდოს ან დაგირავდეს. თუ მოურავი იმის მტკიცებას დაიწყებს, გასაყიდი არაფერი დარჩაო, მაშინ ფლიგელს შეიძლება რკინის სახურავი მოაძრო და ფაბრიკის ჩაბარო. ან ყველზე გახურებული მუშაობის დღეებში წყვილი სამუშაო ცხენი ბაზარზე გარეკო და ჩალის ფასად გაყიდო. არიადნას ამგვარ დაუოკებელ სურვილებს თითქმის ყველა სასოწარკვეთამდე მიყავდა, მაგრამ ის ამ სურვილებს ისე ნატიფად გამოთქვამდა, რომ ისევე, როგორც ღმერთს ან კეისრის მეუღლეს, ყველაფრის უფლება ეძლეოდა და ყველაფერი ეპატიებოდა.

მე არიადნა ისე გულის ამაჩუყებლად მიყვარდა, რომ ეს უკვე არავისთვის საიდუმლო არ იყო, არც მამისთვის, არც მეზობლებისთვის და არც გლეხებისთვის. ჩემს სიყვარულს ყველანი თანაუგრძნობდნენ. ზოგჯერ, როცა მუშებს არაყით გავუმასპინძლდებოდი, მადლობის ნიშნად მეუბნებოდნენ:

— ღმერთმა ინებოს თქვენი დაქორწინება კოტლოვიჩების ქალბატონზე

თვითონ არიადნამაც კარგად იცოდა, რომ მიყვარდა. ის ხშირად მოდიოდა ჩვენთან ხან ცხენით, ხანაც შარაბანით და ზოგჯერ მთელ დღეებს ჩემთან და მამაჩემთან ერთად ატარებდა. ძალზე დაუმეგობრდა ბერიკაცს. ველოსიპედით სეირნობა მამაჩემის საყვარელი გართობა იყო და მისი ტარება არიადნასაც ასწავლა. მახსოვს, ერთ საღამოს როცა ისინი სასეირნოდ გაემზადნენ, მე არიადნას მაკეშეველე და ველოსიპედზე შევსვი. როცა შევეხე, მომეჩვენა, რომ ხელები დაეიწვა. ამ დროს ის ისეთი მშვენიერი იყო, აღტაცებისაგან ავკანკალდი. ბერიკაცი და არიადნა, ორივენი ლამაზები და მოხდენილები, როცა გზას გვერდიგვერდ გაუყვნენ, შავ ქურანა ცხენზე მჯდარი მოურავი გამოჩნდა. პირუტყვი უეცრად დაფრთხა და განზე გახტა. არიადნას სილამაზემ გააოცა და დაფრთხა-მეთქი... გავიფიქრე. არიადნას ჩემი სიყვარული, თაყვანისცემა აღელვებ-

და, გულს უჩუყებდა. მასაც გულწრფელად ეწადა ჩემსავით მოჯადოებული ყოფილიყო, სიყვარულზე სიყვარულით ეპასუხა. ეს ხომ ძალზე პოეტურია!

მაგრამ ჩემსავით სიყვარული მას არ შეეძლო, რადგანაც ცივი იყო და უკვე საკმაოდ უზნეოც. მის სულს ეშმაკი დაუფლებოდა, რომელიც დღე და ღამე ჩასჩურჩულებდა, რომ ის მშვენიერია, ღვთაებრივია. მან, რომელმაც [illegible] ოდა, საკუთრივ რისთვის არის შექმნილი, რისთვის აქვს სიცოცხლე მინიჭებული, მოძავალზე როცა ფიქრობდა, სხვაგვარად ვერ წარმოედგინა თავი, თუ არა მდიდარ და დიდებულ ქალბატონად. მას მუდამ მეჯლისები, დოლი, ლივრეებიანი მსახურები, მდიდრული სასტუმრო ოთახი, საკუთარი სალონი ეზმანებოდა. და კიდევ ის, რომ მის ირგვლივ გრაფები, თავადები, ელჩები, დიდებულები, მხატვრები და მსახიობები ტრიალებენ, ყველანი თაყვანს სცემენ მის სილამაზეს და მისი სამკაულებით არიან აღტაცებულნი. ძალაუფლებაზე, პირად წარმატებაზე ოცნება, გამუდმებით ერთი მიმართულებით ფიქრი ადამიანს გულს უცივებს, და არიადნაც გულცივი იყო, ჩემდამიც, მუსიკისადმიც და ბუნებისადმიც. ამასობაში დრო გადიოდა. მისი ხელის მთხოვნელი ელჩები კი ჯერ არსად ჩანდნენ. არიადნა უწინდებურად თავის სპირიტ ძმასთან ცხოვრობდა. მათი საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა. მას უკვე კაბისა და ქუდის საყიდელი ფულიც კი არ ჰქონდა. ამიტომ თავის ხელმოკლეობა რომ დაემალა, ათასგვარ ეშმაკობას მიმართავდა.

თითქოს საგანგებოდ მოხდა — როცა ის ჯერ კიდევ დეიდასთან მოსკოვში ცხოვრობდა, ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა, ვილაც თავადი მაკტუევი, მდიდარი, მაგრამ სრულიად უბადრუკი ადამიანი. არიადნამ მას ცივი უარი უთხრა, მაგრამ ახლა მის გულს ზოგჯერ სინანულის ჭია ღრღნიდა: რატომ უარეყავი, რატომ? იმ გლეხივით ემართებოდა, ზიზღით რომ უბერავს სულს ბურახს, რომელშიც ტარაკანები აგდია და მაინც სვამს. მაკტუევის მოგონებაზე ისიც ზიზღით შეიჭმუხნიდა შუბლს და მეტყოდა ხოლმე:

— რაც არ უნდა თქვან, ტიტულოვან კაცს რაღაც ენით უთქმელი მომხიბლობა გააჩნია.

ტიტულზე, ბრწყინვალე ცხოვრებაზე ოცნებობდა არიადნა. მაგრამ ამავე დროს არც ჩემი გაშვება უნდოდა ხელიდან. რამდენიც არ უნდა ოცნებობ ელჩებზე, გული ქვა არ არის, გეცოდება შენი ახალგაზრდობაც, რომელიც, უკან მოხედვასაც ვერ მოაწრებ, უკვე ჩაივლის. არიადნა სიყვარულზე და შეყვარებულის როლზე ოცნებობდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვუყვარდი და ერთგულებასაც მეფიცებოდა. მაგრამ მე ნერვიული, გრძნობაგამახვილებული ადამიანი ვარ. როცა ვინმეს ვუყვარვარ, დარწმუნება და ფიცი რა საჭიროა! ყველაფერს უსიტყვოდ ვხვდები, ხოლო როცა არიადნა მეფიცებოდა სიყვარულს, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ცივი სიო ქროდა და რკინის ბულბული გალობდა. თვითონაც გრძნობდა, რომ დენთი არ ყოფნის, რის გამოც გული სწყდებოდა, და მე ბევრჯერ მინახავს, თუ როგორ ტიროდა. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: უცებ მან ფიცხად და ვნებიანად მაკოცა. ეს საღამოს, მდინარის ნაპირზე მოხდა და მე მის თვალებში უმალ ამოვიკითხე, რომ არ ვუყვარვარ. უბრალოდ ცნობისმოყვარეობამ მძლია, საკუთარი თავის გამოცდა მოვინდომე და მოვეხვიე, მაინტერესებდა. რა გამოვა-მეთქი აქედან?! შევძრწუნდი.

ხელები დავუჭირე და სასოწარკვეთილმა ვუთხარი:

— უსიყვარულოდ ალერსი არ არის საჭირო. მე ვიტანჯები!

— რა აბირებული ვინმე ხართ! — წყენით მიპასუხა მან და განმერიდა.

ასე გაივლიდა ალბათ კიდევ ერთი-ორი წელი და ეს ისტორია ჭორწინებით დამთავრდებოდა, მაგრამ ბედმა ჩვენი რომანი სულ სხვაგვარად წარმართა. მოხდა ისე, რომ ამ დროს ჰორიზონტზე ახალი პიროვნება—მიხაილ ივანიჩ ლუბკოვი გაჩნდა. ლუბკოვი არიადნას ძმის უნივერსიტეტისდროინდელი ამხანაგი იყო და მასთან სტუმრად ჩამოვიდა. ის ისეთი სასიამოვნო ადამიანი გახლდათ, ვისზეც მეეტლეები და ლაქიები ასე ამბობდნენ ხოლმე: „სა-ა-ინტერესო ბატონია!“ საშუალო სიმაღლის, გალეული და მელოტი. პირისახე კეთილი ბურჟუისა ჰქონდა, უინტერესო, მაგრამ ვერც უსახურიაო, იტყოდით, ფერმკრთალ სახეს ხეშეში მოვლილი ულვაშები უმშვენებდა, ხოლო კისერს ბატისებური ხორკლიანი კანი და დიდი ხვანჩი. ფართო შავზონრიან pince-nez-ს ატარებდა, ღაღანით ლაპარაკობდა. რ და ლ ასოს ვერ გამოთქვამდა. ასე რომ, როცა, „სულელი“ უნდოდა ეთქვა, სუვეეი გამოსდიოდა. სულ მუდამ მხიარული იყო, და ყველაფერი საინაცილოდ მიაჩნდა. ოცი წლის იყო, როგორღაც აუღელვერად ცოლი შეირთო. ქალს მზითევში ორი სახლი გამოჰყვა. ლუბკოვმა მაშინვე ამ სახლების რემონტი წამოიწყო და თან აბანოსაც აშენებდა, მაგრამ მოულოდნელად გაკოტრდა. იმ პერიოდში, რომელზეც ახლა გიყვებით, მისი მეუღლე სამ ბავშვთან ერთად „აღმოსავლეთის ნომრებში“ — ხელმოკლედ ცხოვრობდა ოჯახი. რა თქმა უნდა, მას უნდა შეენახა, მაგრამ ესეც სასაცილოდ მიაჩნდა. ის ოცდათექვსმეტი წლის იყო, ცოლი უკვე ორმოცდაორისა. ესეც სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. დედამისს — ერთ კუდაბზიკა, გაბღენძილ ქალა, ისეთი პრეტენზიები ჰქონდა, თითქოს ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი ყოფილიყოს. ისე ეზიზღებოდა რძალი, რომ ძაღლებისა და კატების ბროვასთან ამჯობინებდა განცალკევებით ცხოვრებას. ლუბკოვი ვალდებული იყო დედისთვის ყოველთვე სამოცდათხუთმეტი მანეთი მიეცა. სხვათა შორის, გენეოვნება თვითონაც არ აკლდა. „სლავურ ბაზარში“ საუზმობდა და სადილსაც „ერმიტაჟში“ მიირთმევდა. ამგვარ ცხოვრებას კი ბევრი ფული აჭირდებოდა, ხოლო ლუბკოვს ბიძამისი წელიწადში მხოლოდ ორი ათას მანეთს აძლევდა და, რა თქმა უნდა, ეს ფული არ ჰყოფნიდა. ამიტომ, როგორც იტყვიან, ენაგადაგდებული დარბოდა ფულის სასესხებლად — და ესეც ძალზე სასაცილოდ მიაჩნდა.

როგორც ამბობდა, კოტლოვიჩთან იმიტომ ჩამოვიდა, რომ ოჯახურ ცხოვრებას გაქცეოდა და ბუნების წიაღში დაესვენა. სადილობის ან ვახშმობის დროს, ან კიდევ სეირნობისას ის თავის ცოლზე, დედაზე, კრედიტორებზე და სასამართლოს ბოქაულზე გვესაუბრებოდა. ყველას დასცინოდა, დასცინოდა საკუთარ თავსაც და გვარწმუნებდა — ფულის სასესხებლად სირბილმა მრავალი სასიამოვნო ნაცნობი შემაძენინაო. მისი ჩამოსვლის შემდეგ, ჩვენ დროს უკვე სხვაგვარად ვატარებდით. მე საერთოდ წყნარი და იდილიური დროსტარება მხიბლავს. მიყვარს თევზაობა, სალამო ხანს სეირნობა და სოკოების კრეფა. ლუბკოვი კი პიკნიკების, რაკეტების, მწევრებით ნადირობის მოტრფიალე იყო და არიადნაც სერიოზული, შთაგონებული სახით ჩამომიწერდა ხოლმე ქაღალდზე თუ რა უნდა მეყიდა მოსკოვში: ხამანწკები, შამპანური, კონფეტები და ა. შ. რა თქმა უნდა, ის კი არასოდეს უკითხავს, ფული თუ მქონდა. პიკნიკებზე სხვადასხვა სადღეგრძელოებს წარმოვთქვამდით და იყო ერთი სიცილი და მხიარულება. ლუბკოვი ხალისიანად ჰყვებოდა, თუ რა მსუქანი ძაღლები

ჰყავს დედამისს და რა მშვენიერი ადამიანები არიან კრედიტორები. ლუბკოვს ბუნება უყვარდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს, მის შესახებ ყველაფერი იცის. მისი აზრით ბუნება გაცილებით დაბლა იდგა მასზე და ამიტომ მისი სიამოვნებისთვის არის შექმნილი. ხანდახან ბუნების თვალწარმტაცი წრეში დადგებოდა და ამბობდა: რა მშვენიერი ადგილია ჩაის დასალევად. ერთხელ, როცა არიადნა ქოლგით ხელში ჩვენგან მოშორებით დასეირნობდა, მოგიბრუნდა და მითხრა:

— გამხდარი რომ არის, ამიტომ მომწონს, მსუქანი ქალები არ მიყვარს.

ეს სიტყვები მეჩოთირა და ვთხოვე, ჩემი თანდასწრებით ქალებზე ასე აღარ ელაპარაკა. მან გაკვირვებით შემომხედა და მიპასუხა:

— მე რომ გამხდრები მიყვარს და არა მსუქნები, რა არის ამაში ცუდი?!

მე ხმა არ გამიღია. მოგვიანებით, როცა კარგ გუნებაზე იყო და ცოტა შექეიფიანებულიც, ასე მითხრა:

— შევამჩნიე, რომ არიადნა გრიგორიევნას მოსწონხართ. მიკვირს, რატომ უშვებთ ხელიდან?!

თავი უხერხულად ვიგრძენი და დარცხვენილმა ჩემი აზრი გამოვთქვი ქალებსა და სიყვარულზე.

— არ ვიცი, — ამოიოხრა მან. — ჩემის აზრით, ქალი ქალია, ხოლო მამაკაცი — მამაკაცი, ვთქვათ. არიადნა გრიგორიევნა, როგორც თქვენ ამბობთ, პოეტური და ამაღლებული ქალია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ბუნების კანონთა მიღმა დგას. თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ის ახლა იმ ასაკშია, როცა ან მეუღლე სჭირდება ან საყვარელი. მე თქვენზე ნაკლებ როდი ვცემ პატივს ქალებს. მაგრამ ვფიქრობ, ცნობილი, ჩვეულებრივი ურთიერთობა პოეზიას სრულებით არ გამორიცხავს. პოეზია ცალკეა, სიყვარული კი — ცალკე. ისე როგორც სოფლის მეურნეობაშია — ბუნების სილამაზე ცალკეა, ხოლო ტყისგან და მინდვრებისგან შემოსავალი — ცალკე.

როცა მე და არიადნა ვთევზაობდით, ქვიშაზე წამოწოლილი ლუბკოვი დამცინოდა ან მასწავლიდა ხოლმე, როგორ მეცხოვრა.

— მართალი გითხრათ, მიკვირს, ბატონო, როგორ ცხოვრობთ უსიყვარულოდ. — მეუბნებოდა ლუბკოვი. — თქვენ ახალგაზრდა, ლამაზი და საინტერესო ადამიანი ბრძანდებით, ერთი სიტყვით, ნამდვილი მამაკაცი, და ბერივით კი ცხოვრობთ. ეხ! პირდაპირ მომაბეზრეს თავი ამ ოცდარვა წლის მოხუცებმა. არიადნა გრიგორიევნა! მე მასზე თითქმის ათი წლით უფროსი ვარ, სინამდვილეში კი ვინ უფრო ახალგაზრდაა ჩვენს შორის?

— რა თქმა უნდა, თქვენ, — უპასუხებდა არიადნა.

ლუბკოვს როცა მოსწყინდებოდა ჩვენი დუმილი და ის ყურადღება, რომლითაც ჩვენ ტივტივებს მივჩერებოდით, სახლში მიდიოდა, არიადნა კი, გაბრაზებული იყურებოდა ჩემს მხარეს და მეუბნებოდა:

—მართლაც, მამაკაცი კი არა, ღმერთო, მაპატიე, და ლობიო ხართ. მამაკაცი გატაცებული უნდა იყოს, უგონოდ იქცეოდეს, ცდებოდეს და იტანჯებოდეს! ქალი კადნიერებას და თავხედობას გაპატიებთ, მაგრამ წინდახედულებას — არასოდეს.

არიადნა სულაც არ ხუმრობდა:

— წარმატებას რომ ეწიო, გაბედული უნდა იყო. ლუბკოვი გარეგნული სილამაზით ვერ შეგედრებათ. მაგრამ თქვენზე საინტერესო კაცია და ამიტომ,

ქალებთან მუდამ წარმატება ექნება. თქვენ კი არა გგავთ, ნამდვილი მამაკაცია!

ამ სიტყვებს არიადნა თითქმის გაოფთრებული ამბობდა. ერთხელ, ვახშმობისას ჩემთვის არ მოუმართავს, ისე დაიწყო ლაპარაკი, მე რომ მამაკაცი ვიყო, სოფელში კი არ დავალამებდი წუთიოფელს, არამედ ... გავწევდი, ზამთარს სადმე უცხოეთში, ვთქვათ, იტალიაში გავატარებდი. ო! ... ამ დროს მამაჩემმა უნებურად ცეცხლს ნავთი გადაასხა. ის დიდხანს გვესაუბრა იტალიის მშვენიერებაზე. მის საოცარ ბუნებაზე. მუზეუმებზე! უცებ არიადნას იტალიაში წასვლის დაუოკებელი სურვილი შემოენთო. მან მაგიდას მუშტიც კი დაარტყა და თვალები აუელვარდა: — წავალ!

შემდეგ საუბარი იმაზე დაიწყო, თუ რა კარგია იტალიაში ყოფნა. ძალზე ხშირად ისმოდა ალტაცების გამომხატველი შეძახილები. ახ! და ოხ! ყოველდღე იტალიის ქება-დიდებაში იყვნენ. როცა არიადნას ცივსა და ჯიუტ მზერას წავაწყდებოდი, კხვდებოდი, რომ ოცნებით უკვე იტალიაშია, უკვე დაიპყრო იტალიის მაღალი საზოგადოება. ცნობილი უცხოელები და ტურისტები და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მე როგორც შემეძლო ვეწინააღმდეგებოდი, ვურჩევდი, ცოტა დაეცადა, ერთი-ორი წლით გადაედო მგზავრობა, მაგრამ ის შუბლშეკრული, ზიზღით ამბობდა:

— ბებერი ქალივით გიყვართ წუწუნი.

ლუბკოვი კი გამგზავრების მომხრე იყო. ამბობდა, მგზავრობა ძალიან იაფი დაჯდება, მეც სიამოვნებით წამოვალ, ოჯახური უსიამოვნებებისაგან დავისვენებო. ახლა ვნანობ. გიმნაზიისტივით გულუბრყვილოდ რომ ვიქცეოდი, ეჭვიანობია გამო კი არა, რაღაც საშინელი წინათგრძნობა მაწვალებდა. შეძლებისდაგვარად ვცდილობდი ისინი მარტო არ დამეტოვებინა და ამის გამო ბევრი დაცინვა გადავიტანე. მაგალითად, როცა ოთახში შევდიოდი, თავს ისე მაჩვენებდნენ, თითქოს ეს-ეს არის ერთმანეთს ეხვეოდნენ და სხვა ამგვარი.

მაგრამ ერთ მშვენიერ ღამეს მისი ჩაფუნთუშებული, სპირიტი ძმა მეწვია და მითხრა, თქვენთან სალაპარაკო მაქვსო. ის უნებისყოფო ადამიანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ აღზრდა და დელიკატურობა არ აკლდა, მაგიდაზე ვინმეს წერილი თუ დარჩებოდა, წაუკითხავს არ დატოვებდა. საუბარში გამომიტყდა, რომ უნებურად არიადნასადმი ლუბკოვის მიერ გამოგზავნილი წერილი წაიკითხა.

— ამ წერილიდან შევიტყვე, რომ არიადნა მალე უცხოეთში მიემგზავრება. ძვირფასო მეგობარო, ძალზე აღელვებული ვარ! არ მესმის რა ხდება! თუ ღმერთი გწამთ ამიხსენით!

ამას როცა მეუბნებოდა, მძიმედ სუნთქავდა. პირდაპირ სახეში მასუნთქებდა და მოხარშული საქონლის ხორცის სუნი მცემდა.

— მაპატიეთ, რომ ამ წერილის საიდუმლოს გიზიარებთ, — განაგრძობდა ის. — მაგრამ თქვენ არიადნას მეგობარი ხართ. იქნებ თქვენ იცით რამე? მას გამგზავრება სურს, მაგრამ ვისთან ერთად? ლუბკოვიც აპირებს არიადნასთან ერთად გამგზავრებას. მაპატიეთ, მაგრამ ლუბკოვის მხრიდან ეს უცნაურია. ის ხომ ცოლიანი კაცია, შვილები ჰყავს და ამ დროს არიადნას სიყვარულს ეხსნის და წერილში შენობით მიმართავს. მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მიკვირს!

სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა. ხელ-ფეხი გამეყინა. მკერდში ტკივილი ვიგ-

რძენი, ასე მეგონა, შიგ წვეტებიანი ქვა იდო. დაოსებული კოტლოვიჩი დივანზე დაეშვა და ხელები უღონოდ ჩამოყარა.

— მე რა შემიძლია? — ვკითხე.

— დაარწმუნეთ, ჩააგონეთ... თავად განსაჯეთ, რად უნდა ლუბოვიჩი, მისი სწორია, მისი ლირსია თუ რა? ოხ! ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, რა საშინელება!—განაგრძო მან და თავზე ხელი წაივლო, — და ამ დროს რა კარგი ხალხი სთხოვს ხელს, თავადი მაკტუევი... და სხვები. თავადი არიადნას აღმერთებს. აი სულ ახლახან, გასულ ოთხშაბათა მისი გარდაცვლილი ბაბუა ილარიონის სული გამოვიძახეთ და ის, როგორც ორჯერ ოთხია ისე ცხადად ამტკიცებდა, არიადნა თავადის ცოლი გახდებაო. ბაბუა ილარიონი საოცრად ჭკვიანი ადამიანია. მის სულს თითქმის ყოველდღე ვესაუბრებით.

ამ საუბრის შემდეგ მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი. ერთი პირობა თავის მოკვლაც კი განვიზრახე. ფილით ხუთი წერილი დავწერე, მაგრამ ხუთივე ნაკუწებად ვაქციე. მთელი დღე ცრემლები მახრჩობდნენ. შემდეგ მამას ფული გამოვართვი და არიადნას არც გამოვთხოვებივარ, ისე გავემგზავრე კავკასიაში.

რა თქმა უნდა, ქალი ქალია და მამაკაცი მამაკაცი. მაგრამ ნუთუ ჩვენს დროშიც ყველაფერი ეს ისევე მარტივია, როგორც წარღვნამდე იყო. ნუთუ მე რთული სულიერი ორგანიზაციით დაჯილდოებულმა, კულტურულმა ადამიანმა, ქალისადმი მისწრაფება მხოლოდ იმით უნდა ავხსნა, რომ მას ჩემგან განსხვავებული სხეულის ფორმები აქვს? ო! ეს რომ სინამდვილე იყოს, საშინელება იქნებოდა. მინდა მჯეროდეს, ბუნებასთან მებრძოლი ადამიანის გენია ფიზიკურ სიყვარულსაც ისევე ებრძოდა, როგორც მტერს და თუ მან ის საბოლოოდ ვერ დაამარცხა, იმას მაინც მიაღწია, რომ ძმობისა და სიყვარულის ლუბოვის ბადეში გაახვია. ჩემთვის ფიზიკური სიყვარული უბრალოდ ცხოველური ფუნქციის აღსრულება როდია, როგორც ძაღლისთვის ან ბაყაყისათვის, არამედ ნამდვილი სიყვარული გახლავთ. და ყოველთვის, როცა მე ქალს ვეხვევი, ჩემი სული წმინდა აღტკინებითა და თაყვანისცემით არის აღსავსე მართლაც, ასეულობით თაობა საუკუნეების განმავლობაში ცხოველური ინსტინქტისადმი ზიზღს გვინერგავდა. ჩემმა სისხლმა ის მემკვიდრეობით მიიღო და ამიტომ ჩემი არსების ნაწილს წარმოადგენს. ახლა მე თუ სიყვარულს ვაიდეალებ, ვფიქრობ, ეს ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც ის, რომ ჩემი ყურის ნიჟარა უძრავია და ტანი ბალნით არ მაქვს დაფარული. მგონია, რომ კულტურული ადამიანების უმრავლესობა ასე ფიქრობს. ახლანდელ დროში სიყვარულს ზნეობრიობა და პოეტურობა რომ აკლია, იმიტომ ვიგდებთ აბუჩად და დრომოჭმულად ვთვლით. ამბობენ, სწორედ ეს არის კაცობრიობის გადაშენებისა და მრავალ უბედურებათა მიზეზი. მართალია, როცა ჩვენ სიყვარულს ვაიდეალებთ, ვინც ჩვენ გვიყვარს იმას იმდენ ღირსებებს მივაწერთ, რაც ხშირად არ გააჩნია. ეს არის ჩვენი მუდმივი შეცდომებისა და ტანჯვის მიზეზი. ჩემის აზრით ეს მაინც ასე უნდა დარჩეს, ე. ი. უმჯობესია ტანჯვა, ვიდრე თავი იმით დავიმშვიდო, რომ ქალი ქალია და მამაკაცი მამაკაცი.

ტფილისში მამისგან წერილი მივიღე. ის მწერდა, რომ არიადნა ამა და ამ რიცხვში უცხოეთში გაემგზავრა და მთელი ზამთარი იქ დარჩებაო. შინ ერთი თვის შემდეგ როცა დავბრუნდი, უკვე შემოდგომა იყო. არიადნა მამაჩემს ყოველ კვირას, სურნელოვან ქაღალდზე, ძალზე საინტერესოდ, მშვენიერი ლიტე-

ერატურული ენით დაწერილ ბარათებს უგზავნიდა. მე იმ აზრისა ვარ, რომ ყოველი ქალი შეიძლება მწერალი გახდეს, არიადნა დაწვრილებით აღწერდა, თუ რა ძნელი იყო მისთვის დეიდასთან შერიგება და ათასი მანეთი საგზავრო ფულის თხოვნა: რა დიდხანს ეძება მოსკოვში ერთი თავისი შორეული ნათესავი მოხუცი ქალი, რათა დაეყოლიებინა და უცხოეთში მოგზაურობისას მისთვის თანამგზავრობა გაეწია. ამ ამბავს ისე დაწვრილებით აღწერდა, მაშინვე მივხვდი, რომ შეთხზული იყო. არავითარი თანამგზავრი ქალი არ ჰყავდა. ცოტა ხნის შემდეგ მეც მივიღე მისგან სურნელოვან ქაღალდზე ლიტერატურული ენით დაწერილი ბარათი, მარწმუნებდა, შენს ლამაზ, ჭკვიან, შეყვარებულ თვალებზე მოვიწყინეო. მეგობრულად მსაყვედურობდა, რომ ჩემს ახალგაზრდობას სოფელში ცხოვრებით ვლუპავ მაშინ, როდესაც პალმების ჩრდილქვეშ შეგიძლია იცხოვრო და ფორთოხლების სურნელით დატკბეო. წერილს ასე აწერდა ხელს: „თქვენგან უარყოფილი არიადნა". ორიოდე დღის შემდეგ კიდევ მივიღე ამგვარივე ბარათი, რომელიც ასე მთავრდებოდა „თქვენგან დავიწყებული არიადნა". ამგვარი წერილებისაგან გონება მემღვრეოდა. მე ის გაგიჟებამდე მიყვარდა და ყოველ ღამე მესიზმრებოდა. ყოველივე ამის შემდეგ კი ის მწერდა, თქვენგან უარყოფილი, დავიწყებული არიადნაო... რა საჭირო იყო, რისთვის? ამას ისიც დაერთო, რომ სოფელში ძალზე მოწყენილი ვიყავი. სიჩუმე, ზამთრის გრძელი საღამოები და ლუბკოზე ფიქრი გულს მიწვრილებდა. გაურკვევლობა დღეებსა და ღამეებს მიშხამავდა. ბოლოს ვეღარ გავძელი, ავდექი და გავემგზავრე.

არიადნა აბაციოში მიხმობდა. იქ ნათელი და თბილი დღე დამხვდა. ახალი ნაწვიმარი იყო და ხეებზე წვეთები ჯერ კიდევ ალმასებივით ბრწყინავდნენ. უზარმაზარ, ყაზარმის მსგავს dependance[1]-ში გავჩერდი, სადაც არიადნა და ლუბკოვი ცხოვრობდნენ. ისინი სახლში არ დამხვდნენ. იქვე პარკი იყო. ჯერ ცოტა ვისეირნე და შემდეგ ხეივანში სკამზე ჩამოვჯექი. გვერდით ავსტრიელმა გენერალმა ჩამიარა. მას ხელები უკან შემოეწყო და შარვალზე ისეთივე წითელი ლამპასები ჰქონდა, როგორიც ჩვენს გენერლებსა აქვთ. პატარა ეტლით ბავშვი ჩამოატარეს. ბორბლები სველ ქვიშაზე ღრჭიალებდა. შემდეგ ჩაჩანაკმა მოხუცმა ჩამიარა, სახეზე ეტყობოდა, სიყვითლე სჭირდა. შემდეგ ინგლისელმა, შემდეგ ქსენდზმა და კვლავ ავსტრიელმა გენერალმა ჩამოიარა. სამხედრო მუსიკოსები ჯიხურისკენ გაემართნენ, რომლებიც ესაა ფიუმედან ჩამოსულიყვნენ. ხელში მზეზე მოკაშკაშე საყვირები ეჭირათ. მალე ორკესტრმა დაუკრა. თქვენ აბაციოში თუ ყოფილხართ? ეს არის ჭუჭყიანი, პატარა სლავური ქალაქი, რომელსაც ერთი მთავარი ქუჩა აქვს და ისიც ყარს. წვიმის შემდეგ ამ ქუჩაში კალოშის გარეშე ვერ გაივლით. მე ადრე ბევრი გულისამაჩუყებელი რამ მქონდა წაკითხული ამ მიწიერ სამოთხეზე. ტოტებაკაპიწებული შარვლით ფრთხილად როცა გადავდიოდი ქუჩას და მოწყენილობისგან ქვასავით მაგარ მსხალს ვყიდულობდი მოხუცი ქალისაგან, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ რუსი ვიყავი, დამახინჯებული რუსულით წარმოთქვამდა სიტყვებს „ოთხსა" და „ოცს". შეცბუნებული ვეკითხებოდი საკუთარ თავს: საით წავიდე, რა ვაკეთო-მეთქი? ჯავრისა და სირცხვილისაგან რა მეღონა არ ვიცოდი, როცა ჩემსავით მოტყუებულ რუსებს ვხვდებოდი. აქ არის წყნარი ყურე, სადაც შემოდიან და

[1] მინაშენები

გადიან გემები და სხვადასხვა ფერის აფრიანი ნავები. ამ ადგილიდან [illegible] ბურუსში გახვეული ფიუმეც მოჩანს და შორეული კუნძულებიც. აქედან თვალწარმტაცი ხედი გადაიშლებოდა თვალწინ, უაზრო, მეშჩანური სასტუმროები და მათზე მიშენებული dependance-ბი რომ არ წამოემართათ [illegible] ვაჭრუკანებს. ასე რომ, ამ სამოთხეში თქვენ მხოლოდ სარკმლებს, [illegible] მოედნებზე გაწყობილ თეთრ მაგიდებს და შავფრაკიან ლაქიებს ხედავთ. აქ პარკია, მაგრამ ასეთ პარკს ახლა უცხოეთის ყველა კურორტზე შეხვდებით. უძრავი, მდუმარე პალმების მუქი სიმწვანე, ხეივნებში დაყრილი ღია ყვითელი ფერის ქვიშა, მწვანე სკამები, ჯარისკაცების ლრიალა საყვირების ბრწყინვა და გენერლის წითელი ლამპასები. ყველაფერი ეს ათ წუთში თავს შეგაწყენთ. თქვენ კი რატომლაც ვალდებული ხართ ათი დღე და შეიძლება ათი კვირაც იცხოვროთ აქ. რაც უფრო ბევრს დავეხეტებოდი ამგვარ კურორტებზე. სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რა უხერხულად, ძუნწად ცხოვრობენ მდიდრები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი. რა უსუსურია მათი წარმოსახვა, რა უბადრუკი გემოვნება და სურვილები გაჩნიათ. რამდენად უფრო ბედნიერნი არიან ის მოხუცი და ახალგაზრდა ტურისტები, რომლებიც ფულის უქონლობის გამო ოტელებში კი არა, სადაც ხელი მიუწვდებათ, იქ ცხოვრობენ. მთების სიმაღლიდან ტკბებიან ზღვის სილურჯით, ნებიერად წვანან მწვანე ბალახზე. ფეხით დადიან. ახლოდან ხედავენ ტყეს, სოფლებს, აკვირდებიან და სწავლობენ ქვეყნის ადათ წესებს, ესმით მათი სიმღერა და აქაურ ქალებს ეტრფიან.

სანამ მე პარკში ვიჯექი, ჩამობნელდა კიდეც. ბინდში, დედოფალივით მორთულ-მოკაზმულ ჩემს არიადნას მოვკარი თვალი. უკან ლუბკოვი მოყვებოდა. მას ახალი განიერი ტანსაცმელი ეცვა, რომელიც ალბათ ვენაში ჰქონდა შეძენილი.

— ვატომ ბვაზობთ, — ეუბნებოდა ის, — ვა გაგიკეთეთ მე თქვენ ცუდი?

არიადნამ დამინახა თუ არა, სიხარულისაგან შეჰკივლა. ეს შეხვედრა პარკში კი არა, სხვაგან რომ შემდგარიყო, ალბათ გამოიქცეოდა და ყელზე ჩამომეკიდებოდა. მას ჩემი ხელი ეჭირა და იცინოდა. მეც ვიცინოდი. ვიცინოდი, თან აღელვებისაგან თვალებზე ცრემლი მადგებოდა. მაშინვე შეკითხვები მომაყარა: სოფელში რა ხდება, მამა რას აკეთებს, მისი ძმა ვნახე თუ არა და ა. შ. ის მოითხოვდა, რომ თვალი გამესწორებინა მისთვის. შემდეგ მკითხა: მახსოვს თუ არა თევზაობა, ჩვენი პატარა უთანხმოებანი, პიკნიკები...

— არსებითად ყველაფერი ეს რა კარგი იყო, — ამოიოხრა მან. — მაგრამ ჩვენ აქაც არა ვართ მოწყენილები, ბევრი ნაცნობი გვყავს. ჩემო მშვენიერო, ჩემო კარგო! ხვალ ერთ რუსულ ოჯახს გაგაცნობთ, ოლონდ, გეთაყვა, სხვა ქუდი იყიდეთ, — მან ყურადღებით შემათვალიერა და შუბლი შეიჭმუხნა. — აბაციო სოფელი კი არ არის, — მითხრა, — აქ კომილფო[1] უნდა იყოთ.

შემდეგ რესტორანში შევედით. არიადნა წარამარა კისკისებდა, ანცობდა. ჩემო ძვირფასო, კარგო, ჭკვიანოო, — ასე მიწოდებდა, მე კი თვალებს არ ვუჯერებდი, ნუთუ მართლა ერთად ვართ-მეთქი. აი ასე ვისხედით თერთმეტ საათამდის და ერთმანეთს ძალზე კმაყოფილები დავცილდით. მეორე დღეს არიადნამ რუსული ოჯახი გამაცნო — „ცნობილი პროფესორის შვილი, ჩვენი მეზობელი" — ასე წარუდგინა მათ ჩემი თავი. არიადნა სულ მამულებზე და

[1] როგორც საჭიროა (ფრანგული comme il faut).

მოსავალზე საუბრობდა. თან ხშირად მე მიმოწმებდა. მდიდარ მემამულედ უნდოდა მოეჩვენებინა მათთვის თავი და კარგადაც გამოსდიოდა, ნამდვილი არისტოკრატივით ეჭირა თავი, თუმცა რა არის ამაში გასაკვირი. ის ხომ წარმოშობით მართლაც არისტოკრატი გახლდათ.

— დეიდა როგორ მოგეწონათ? — მკითხა უცებ მან, ლიმილით და თვალი გამისწორა, — ცოტა წავლაპარაკდით და გაბრაზებული მერანში გაემგზავრა. როგორია?.. — შემდეგ, უფრო გვიან, როცა პარკში ვსეირნობდით, მე ვკითხე თუ რომელ დეიდაზე მელაპარაკებოდა ამასწინათ..

— თავის გადასარჩენად ვიცრუე, — სიცილით მომიგო მან, — მათ არ უნდა იცოდნენ უთანამგზავროდ რომ ჩამოვედი. — მცირეოდენი დუმილის შემდეგ არიადნა მომეკრა და მითხრა:

— იმეგობრეთ გეთაყვა ლუბკოვთან. ის ისეთი უბედურია, მისი დედა და ცოლი საოცრად ბოროტები არიან. ის ლუბკოვს თქვენობით მიმართავდა და როცა დასაძინებლად მიდიოდა, მასაც ჩემსავით ემშვიდობებოდა: ხვალამდისო, ეუბნებოდა. მათ ოთახები სხვადასხვა სართულზე ეჭირათ. ამის გამო, ვფიქრობდი. მათ შორის არაკეთილი რომანი არ არის-მეთქი, მათ წრეში ძალზე ბუნებრივად ვგრძნობდი თავს. ალბათ ეს იყო მიზეზი, ლუბკოვმა რომ სამასი მანეთი მთხოვა და ვასესხე.

ჩვენ ყოველდღე ვსეირნობდით და აქ გაცნობილი რუსის ოჯახის წევრებთან ვმუსაიფობდით. მალე მივეჩვიე იმას, რომ პარკში შესული უეჭველად შევხვდებოდი სიყვითლით ავადმყოფ მოხუცს, ქსენძს, ავსტრიელ გენერალს, რომელსაც საშუალება მიეცემოდა თუ არა, პასიანსს გაშლიდა. ორკესტრის წევრებიც აქ იყვნენ. ისინი სულ ერთსა და იმავე მელოდიას ასრულებდნენ. ჩემთან სოფელში, როცა სამუშაო დღე იყო და მეგობრების წრეში პიკნიკზე ან სათევზაოდ მივდიოდი, გლეხების მრცხვენოდა. აქაც იგივე დამემართა. მეჩვენებოდა, რომ ლაქიები, მეეტლეები, მუშები მიყურებენ და მეკითხებიან: შენ რატომ არაფერს აკეთებ? დილიდან საღამომდე სინდისი მჭენჯნიდა, დრო არასასიამოვნოდ და მონოტონურად მიიზლაზნებოდა. ამ ერთფეროვნებას მხოლოდ ლუბკოვი არღვევდა, რომელიც ჩემგან ხან ას, ხან ორმოცდაათ გულდენს სესხულობდა. ფულს მიიღებდა თუ არა, მაშინვე ხუმრობის გუნებაზე დგებოდა. ყველას დასცინოდა, კრედიტორებსაც და საკუთარ თავსაც.

მალე ამინდი გაფუჭდა. წვიმები დაიწყო და აგრილდა. ჩვენ იტალიაში გავემგზავრეთ. მამას დეპეშით შევეეედრე, რომ რვაასი მანეთი გამოეგზავნა. ჯერ ვეწვიეთ რომს, შემდეგ ვენეციას, ბოლონიას და ფლორენციას. ყოველ ქალაქში ძვირადღირებულ სასტუმროში ვჩერდებოდით, სადაც ცხრა პირ ტყავს გვაძრობდნენ. სინათლისთვის ფულს ცალკე ვიხდიდით, მოსამსახურისთვის და გათბობისთვის — ცალკე. საუზმეზე პური რომ მოეტანათ და ნომერში გვესადილა, იმისთვისაც ცალკე ვიხდიდით. ისიც უნდა ითქვას, რომ უზომოდ ბევრს ვჭამდით. დილით cafe complet შემოჰქონდათ, ხოლო პირველ საათზე საუზმე: ხორცი, თევზი, ომლეტი, ყველი, ხილი და ღვინო. ექვს საათზე კი ვსადილობდით. სადილი რვა კერძისაგან შედგებოდა. სანამ ერთი კერძის შემდეგ მეორეს მოიტანდნენ, დიდი დრო გადიოდა და შუალედებში ლუდსა და ღვინოს ვსვამდით. გვიან ღამით არიადნა გამოგვიცხადებდა ხოლმე, მომშივდაო და ლორსა და თოხლო კვერცხს შეექცეოდა. რა უნდა გვექნა?! მისი ხათრით,

ჩვენც ვჭამდით. დანარჩენ დროს მუზეუმებს ვათვალიერებდით. ერთი წუთითაც არ გვტოვებდა აზრი, რომ საღილზე ან ვახშამზე შეიძლებოდა დავეგვიანა. მე სურათების წინ მოწყენილი ვიდექი და ამ დროს ანასტუმროში ერთგვიანზე წამოწოლა ყველაფერს ძერჩენა. ისე ვიღლებოდი, რომ თვალებით ბალს დავეძებდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი და სხვებივით ფარისევლურად ვეუბნებოდი, რა მშვენიერებაა. რამდენი სინათლე, ჰაერი იგრძნობა. როგორ [illegible] ჩობელა გველები მხოლოდ ბრეზენელა ნიკოებს აქვეენ ყურადღებაა, ასევე ჩვენც მალაზიის ვიტრინებში გამოფენილ იაფფასიან ყალბ გულის ქიმიურ ვებს მონუსხულებივით შევყურებდით ათასი ფასარგებლო. წვრილმანი ნივთები ვიყიდეთ.

ასევე იყო რომშიც. სადაც წვიმდა და ცივი ქარი ქროდა. მსუყე საუზმის შემდეგ წმინდა პეტრეს ტაძარში შევედით. ცუდი ამინდი იყო, ოან ზომაზე მეტად დანაყრებულნი ვიყავით. ამიტომ მან ჩვენზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. როცა ერთმანეთი ხელოვნებისადმი გულცივობაში ვამხილეთ, წვრილმანი კინკლაობა კიბალამ სერიოზულ უთანხმოებაში გადაიზარდა.

მამის მიერ გამოგზავნილი ფული მომიყვანა.

კარგად მახსოვს, დილით ლუბკოვთან ერთად წავედი ძის გამოსატანად.

— შეუძლებელია აწმყო სრული და ბედნიერი იყოს. როცა წარსული არსებობს, — ამბობდა ის. — წარსულისგან მძიმე ტვირთი შემოჰრჩა. [illegible] ცა ფული რომ მქონდეს, ესეც ამ არის დიდი უბედურება. გჯერათ თუ არა. ჯიბეში რვა ფრანკი დამრჩა... — ხმადაბლა გახაგრძო მან. — ამ დროს კი ცოლს ასი მანეთი უნდა გავუგზავნო და დედასაც ამდენივე. გარდა ამისა აქაც ხომ გინდა ცხოვრება. ორიადნა პირდაპირ ბაღშეიყვანა. ორიადნის არ შევა ადამიანის მდგომარეობაში, პერლოგის ასულივით ფანტავს ფულებს. რისთვის იყიდა მან გუშინ საათი? და კიდევ ...რა საჭიროა რადაც უცოდველი ანგელოზის როლის გათამაშება. მე და ორიადნა, ჩვენს დამოკიდებულებას მოსამსახურეებსა და ხაცხობებს რომ ვუმალავთ. ეს დღეში ათი-თხუთმეტი ფრანკით ზედმეტი გვიჯდება. მე ცალკე ოთახი მიჭირავს და ასევე ცალკე. ამიხსენით რა საჭიროა ეს?

გულში თითქოს წვეტიანი ქვა დაატრიალეს. ყველაფერი ცხადი გახდა. მთელ სხეულში სიცივემ დამიარა და მაშინვე მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე — გავქცეულიყავი აქედან.

— ქალთან დაახლოება ადვილია, — განაგრძობდა ლუბკოვი. — მაგრამ საკმარისია ტანზე გახადო, რომ ყველაფერი ერთბაშად მოგბეზრდება.

როცა მე მამაჩემისგან გამოგზავნილ ფულს ვითვლიდი, ლუბკოვმა მითხრა: ათას ფრანკს თუ არ მომცემთ, დავიღუპები. ეს ფული ჩემი ერთადერთი იმედია. ფული მივეცი თუ არა, მაშინვე გამოცოცხლდა. ბაძაზე დაიწყო ხუმრობა, რომელმაც მისი მისამართი ცოლს ჩაუგდო ხელში.

სასტუმროში მისვლისთანავე ბარგი ჩავალაგე და ანგარიში გავაწორე. ახლა მხოლოდ ორიადნასთან გამომშვიდობება იყო საჭირო. მისი ოთახის კარზე დავაკაკუნე:

— Entrer[1], — ოთახში დილისთვის დამახასიათებელი ეწესრიგობა იყო.

[1] მობრძანდით.

მაგიდაზე ჩაის ჭურჭელი, ფუნთუშის ნარჩენი და კვერცხის ნაჭუჭი ეყარა. ირგვლივ სუნამოს მძაფრი სურნელი იდგა. ლოგინი აულაგებელი იყო და ეტყობოდა მასზე ორს ეძინა. არიადნას, ჯერ კიდევ ფლანელის კოფთა ეცვა და დაუვარცხნელი იყო. მე მივესალმე და როცა მან თმა წესრიგში მოიყვანა, აკანკალებული ხმით შეკითხა:

— რისთვის... რისთვის გამომიხმეთ უცხოეთში?..

ეტყობა ის მიხვდა, რაზე ვფიქრობდი, ხელი მომკიდა და მითხრა: — თქვენ ისეთი სპეტაკი ხართ, რომ ჩემს გვერდით მინდა იყოთ. აღელვებისაგან ავკანკალდი და ახლა ამისი შემრცხვა. შემეშინდა, ვაითუ ცრემლები ვერ შევიკავო-მეთქი და ოთახიდან უხმოდ გავედი.

ერთი საათის შემდეგ უკვე მატარებელში ვიჯექი. მთელი გზის მანძილზე ფეხმძიმე არიადნას წარმოდგენა ზიზღს მგვრიდა. სხვა ქალებიც მეზიზღებოდნენ, რომელთაც ვაგონებსა და სადგურებში ვხედავდი. მეჩვენებოდა, რომ ისინიც ფეხმძიმედ იყვნენ. მე იმ ხარბი, ვნებიანი, ანგარებიანი ადამიანის მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომელმაც უცებ შეამჩნია, რომ ყალბი ფულის მფლობელია. ჩემი წმინდა სიყვარულით ამაღლებული, მშვენიერი ხატება, რომელიც ჩემს წარმოსახვას დიდხანს ასულდგმულებდა, აგრეთვე ჩემი გეგმები, იმედები, მოგონებები, შეხედულებები სიყვარულსა და ქალზე, ყველაფერი ეს ახლა ხარხარებდა და ნიშნისმოგებით ენას მიყოფდა. სასოწარკვეთილი ვეკითხებოდი საკუთარ თავს. არიადნა — ეს ახალგაზრდა, შესანიშნავი სილამაზის არისტოკრატი ქალი, სენატორის შვილი, რატომაა კავშირში ასეთ საშუალო, არაინტერესო უხამს მამაკაცთან. თუმცა რატომ არ უნდა უყვარდეს მას ლუბკოვი? რითია ის ჩემზე ნაკლები? ოხ! დაე შეიყვაროს ვინც უნდა, ბაგრამ რა საჭიროა სიცრუე... და მთელი გზა ამ მწარე ფიქრებში გართული ვებრძოდი საკუთარ თავს. ვაგონში კი ცივოდა. პირველი კლასის ვაგონით ვმგზავრობდი, სადაც ერთ დივანზე სამი კაცი ზის. სარკმელს ერთმაგი ჩარჩო ჰქონდა და ვაგონიდან გარეთ გასასვლელი კარიც სწორედ ჩვენს კუპესთან იყო ახლოს. მე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ფეხზე ხუნდები მედო და ყველასგან მიტოვებული საცოდავი კაცი ვიყავი: ფეხები მეყინებოდა და ამავე დროს, როცა გამახსენდებოდა, თუ რა მომაჯადოებელი იყო დღეს ომგაშლილი არიადნა, ძლიერი ეჭვებისაგან გული მტკიოდა. ამ ტკივილისაგან შეწუხებული, უეცრად რომ წამოვიჭრებოდი, მგზავრები გაკვირვებითა და შიშით მიმზერდნენ.

სოფელში დიდი თოვლი და ოცგრადუსიანი ყინვა დამხვდა. მე ზამთარი მიყვარს. მიყვარს იმიტომ, რომ ჩვენს სახლში სასტიკი ყინვის დროსაც კი თბილა. წარმოიდგინეთ ნათელი, ყინვიანი დღე. რა კარგია ამ დროს ჩაიცვა ჯუბა, თექის ჩექმა და ეზოში ან ბაღში ჩახვიდე სამუშაოდ, ან სითბოსაგან გაღუღუნებულ ოთახში იკითხო და სოფლურ აბაზანაში იბანაო. ოღონდ ეგ არის, რომ თუ სახლში დედა, დები და პატარები არ არიან, საღამოობით შიში მეუფლება ხოლმე. მეჩვენება, რომ დრო საოცრად ნელა მიიზლაზნება და არასდროს გათენდება. რაც უფრო მეტია სითბო და სიმყუდროვე, მით უფრო ძნელია ამ სიცარიელეს და მარტოობას გაექცე. იმ ზამთარს, როცა მე უცხოეთიდან დავბრუნდი, გრძელი საღამოები იყო და გულზე მძიმე ნაღველი შემომაწვა. დარდისაგან ისე დავსნეულდი, რომ წიგნსაც ვერ ვკითხულობდი. დღისით კიდევ როგორღაც გაერთობი კაცი. ბაღში ხეი

თოვლს გადაფერთხავ, ხან ფრინველია და ხბორებს მოუვლი, მაგრამ საღამოობით კვლავ მარტოობისთვის ხარ განწირული.

უწინ სტუმრიანობა მიყვარდა. ახლა კი პირიქით, რადგანაც ვიცოდი, რომ ასეთ დროს უსათუოდ არიადნაზე ჩამოვარდებოდა საუბარი. როცა არიადნა მოაგონდებოდა და მასზე საუბარი მოაწყუურდებოდა, ხშირად ეჭვიანობ-რეპოდა ხოლმე მისი სპირიტი ძმა, თავის მეგობარ მაკუევთან ერთად. ეჭვიანობ-ტუევი არიადნა ჩემზე ნაკლებ როდი უყვარდა. არიადნას ოჯახში ჯდომა, მის პიანინოზე მარტივი მოტივის აწყობა, და ნოტების რვეულში ჩახედვა, მაკუევისთვის უკვე ისეთი აუცილებლობა იყო, რომელზეც უარს ვერაფრით ვერ იტყოდა. ამ დროს კი ბაბუა ილარიონის სული, კვლავ და კვლავ უწინასწარმეტყველებდა. ადრე თუ გვიან არიადნა შენი მეუღლე გახდებაო. თავადი ჩვენთან დიდხანს რჩებოდა ხოლმე, დაახლოებით საუზმიდან შუალამემდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმდა, ორ-სამ ბოთლ ლუდსაც ასევე ხმის ამოუღებლად სვამდა. იმის დასამტკიცებლად, რომ საუბარში ისიც მონაწილეობს, ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მწუხარე ხმით გაიცინებდა და ამ დროს ძალზე სულელური, უაზრო გამომეტყველება ჰქონდა. სახლში წასვლის წინ აუცილებლად გვერდზე გამიხმობდა და ხმადაბლა მკითხავდა:

— როდის ნახეთ თქვენ უკანასკნელად არიადნა გრიგორიევნა? ჯანმრთელად გრძნობს თუ არა თავს, ვფიქრობ მოწყენილი არ უნდა იყოს, არა?

დადგა გაზაფხული. ეს ის დროა, როცა გუთანს უნდა ჩაუდგე ყვალში და საგაზაფხულო ხორბალი და სამყურა დათესო. დრომ ტკივილი როდი შემიმსუბუქა. მინდორში როცა ვმუშაობდი და ტოროლას წკრიალა სიმღერას ვუსმენდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ერთხელ და აამუდამოდ ხომ არ დავუსვი წერტილი პირადი ბედნიერების საკითხს მეთქი. რა საჭიროა ცხოვრებაც ასე გართულება? მოვიყვან ვინმე უბრალო გლეხის გოგოს და ძორბა! ამ გაცხარებულ მუშაობაში ვიყავი, წერილი რომ მივიღე იტალიური მარკით. იმ წუთიდან, სამყურა, საფუტკრე, ხბორები, გლეხის გოგო — მოკლედ ყველაფერი კვამლივით უკვალოდ გაქრა. არიადნა ძწერდა, რომ ის ძალზე უბედურია. მსაყვედურობდა, რომ საფრთხის ქამს, ჩემი სათნოების სიმაღლიდან მედიდურად ჩამოვხედე და დახმარების ხელი არ გავუწოდე. ყველაფერი ეს დაწერილი იყო დიდი ასოებით, ნერვული ადამიანის ხელით. ფურცელზე რამდენიმე ადგილას მელანი დაღვრილიყო, რომელიც შემდეგ წაეშალა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ არიადნა წერის დროს ჩქარობდა და იტანჯებოდა. წერილის დასასრულს ის მემუდარებოდა, ჩავსულიყავი და მეხსნა... და კვლავ გემოვით მოვწყდი ღუზას.

არიადნა რომში ცხოვრობდა. მე მასთან საღამოს ჩავედი. დამინახა თუ არა, აქვითინდა და კისერზე ჩამომეკიდა. ზამთრის განმავლობაში ის სრულებით არ შეცვლილიყო. ისევ ახალგაზრდა და მშვენიერი იყო. ჩვენ ერთად ვიტირეთ და შემდეგ გათენებამდე ვსეირნობდით რომის ჭუჩებში, მთელი ამ ხნის მანძილზე ის საკუთარ, ყოველდღიურ ცხოვრებაზე მიყვებოდა. როცა ვკითხე: ლუბკოვი სად არის-მეთქი, დამიყვირა:

— ნუ მიხსენებთ იმ არამზადას, მე ის მძულს, მეზიზღება, გესმით!

— მაგრამ თქვენ ის მგონი გიყვარდათ, — შევბედე მე.

— არასდროს! პირველად ორიგინალური მეჩვენა და აგრეთვე შემეცოდა. მეტი არაფერი. დიახ! მეტი არაფერი. ის თავხედია. ქალებს პირდაპირი

შეტევით იპყრობს და ამან მომხიბლა. კმარა! შევწყვიტოთ ამ თემაზე საუბარი. ის ჩემი ცხოვრების სამარცხვინო ფურცელია. რუსეთში ტულის საშოვნელად გაემგზავრა და გზაც იქითკენ ჰქონია! უკანდასკნელად კატეგორიულად ავუკრძალე.

ირიადნა უკვე ორ-ოთახიან კერძო ბინაში ცხოვრობდა. ... თავის გეგმების მიხედვით, ცივად და მდიდრულად მოერთო. ლუბკოვის წასვლის შემდეგ, ვალად ხუთი ათასი ფრანკი დასდებოდა და ჩემი ჩამოსვლა პირდაპირ წამალივით მოეხდა. სოფელში დავაპირე მისი წაყვანა, მაგრამ ვერ დავიყოლიე. საშობლო კი მონატრებოდა, მაგრამ იქ გადატანილი სიღარიბე, ხელმოკლეობა, ძმის სახლის ჯანგმოკიდებული სახურავის გახსენება მას ზიზღსა და ეზიზღებოდა. იმ წუთებში როცა სახლში წასვლას ვთავაზობდი, სასოწარკვეთილი ხელს ხელზე მიჭერდა და ამბობდა:

— ო, არა! არა! მე იქ მოწყენისაგან მოვკვდები.

შემდეგ... ჩემი სიყვარული უკანასკნელ, მეოთხე ფაზაში შევიდა.

— ჩემო კარგო, იყავით ისეთი როგორც უწინ! ცოტათი მაინც გიყვარდეთ, მეტი არაფერი მინდა, — ამბობდა ჩემკენ თავდახრილი ირიადნა. — თქვენ მოლუშული და ანგარიშიანი ხართ. გეშინიათ გრძნობას აჰყვეთ, თითქოს მუდამ იმის განცდაში ხართ, თუ რა შეიძლება ამა თუ იმ ნაბიჯს მოჰყვეს. ეს კი მოსაწყენია. ჩემო ანკარა წყაროს წყალო, ჩემო წმინდანო, ჩემო მშვენიერო! მე თქვენ ძლიერ მიყვარხართ და გეფიცებით იყოთ ჩემდამი ალერსიანი!

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და მისი საყვარელი გავხდი. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ისეთი აღტაცებული და ბედნიერი ვიყავი, მეგონა გავგიჟდებოდი. მართლაც, ყოველდღე ესვეოდე და ტკბებოდე ახალგაზრდა სხეულის სილამაზით, ჩვეულებრივი ამბავი როდია. დილით, როცა გავიღვიძებდი, ამ სხეულის სითბოს შევიგრძნობდი თუ არა უცებ გამახსენდებოდა, რომ ის... ჩემი მშვენიერი ირიადნა, გვერდით მყავდა, ო!... ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ დასაჯერებლად ძნელი. ასეა თუ ისე თანდათანობით მე მაინც შეეჩვიე ჩემს ახალ მდგომარეობას და შეგნებულად, გონების თვალით შევხედე ყველაფერს. უპირველეს ყოვლისა აღმოვაჩინე, რომ ირიადნას, არც ახლა ვუყვარდი. მას პარტიობა ამშინებდა, ამიტომ თავის თავს უმტკიცებდა, რომ გულწრფელად არის ჩემზე შეყვარებული.

მე, ახალგაზრდა, ჯანმრთელი და ლამაზი ვარ, ის კი როგორც საერთოდ გულცივი ადამიანი ძალზე ემოციური გახლდათ. ამიტომ ორივეს ისე გვექირა თავი. ვითომდა გულმხურვალედ გვიყვარდა ერთმანეთი: მოგვიანებით ჩემთვის კიდევ ბევრი რამ გახდა ცხადი. რომის შემდეგ მე და ირიადნა ნეაპოლსა და ფლორენციას ვეწვიეთ. მცირე ხანს პარიზშიც დავყავით, მაგრამ ცივ ქალაქად გვეჩვენა და კვლავ იტალიას მივაშურეთ.

ჩვენ ყველას ვეცნობოდით როგორც მდიდარი მემამულეები და ცოლქმარი. ჩვენი გაცნობა ბევრს სიამოვნებდა. ირიადნა ფერწერას სწავლობდა და მას მხატვარს ეძახდნენ. არავითარი ტალანტი არ გააჩნდა, მაგრამ ეს როლი ალზე უხდებოდა. მას ყოველდღე შუადღის ორ-სამ საათამდე ეძინა. საუზმეს და ყავას საწოლში მიართმევდნენ ხოლმე. სადილს წვნიანით იწყებდა, რასაც მოჰყვებოდა ლანგუსტი, თევზი, ხორცი, სატაცური, გარეული ფრინველის ხორცი. დაწოლის წინ პირადად მე მიკუტანდი რაიმეს. მაგალითად როსტბიფს. ეს

ყველაფერს მწუხარე, სევდიანი გამომეტყველებით შეექცეოდა. ღამით როცა გაილვიძებდა ვაშლსა და ფორთოხალსაც არ დაიკლებდა ხოლმე.

ეშმაკობა და მზაკვრობა ამ ქალის უმთავრესი თვისება იყო. ის ყოველთვის და ყოველ წუთს ინსტინქტურად, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ეშმაკობდა. იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ბელტრა ჭიაჭიებს და ტარაკანი ულვაშებს ამოძრავებს. ის ყველასთან ეშმაკობდა: ლაქიებთან, პოლიციელთან, ვაჭრებთან, ნაცნობებთან და ჩემთანაც. პრანჭვა-გრეხის გარეშე საუბარი არ შეეძლო. მამაკაცს დაინახავდა თუ არა, გარსონი იქნებოდა თუ ბარონი, მისი სახის გამომეტყველება, მზერა, ხმა და სხეულის კონტურიც კი იცვლებოდა. იქ, უცხოეთში ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ჩვენზე მდიდარი არავინ იყო ქვეყნად. ძალზე ბევრ მხატვარსა და მუსიკოსს იცნობდა, მათი ტალანტის შესახებ ათასგვარ სულელურ აზრებს გამოთქვამდა.

— თქვენ ისეთი ნიჭიერი ხართ! — ამბობდა ის ისე ტკბილად, თითქოს მღერისო, — თქვენს გვერდით დგომაც კი საშიშია, ალბათ სულის სიღრმეშიც ჩედავთ ადამიანს...

...და ყველაფერს ამას იმისთვის აკეთებდა, რათა მამაკაცები მოეხიბლა. ყოველ დილით ერთადერთი ფიქრით ახელდა თვალებს, ოღონდ ვინმეს მოვეწონოო! ეს იყო მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი. მე რომ მისთვის მეთქვა, ამა და ამ ქუჩაზე, რომელიღაც სახლში ცხოვრობს კაცი, რომელსაც შენ არ მოსწონხარ-ბეთქი, ეს ცნობა აუტანელ ტანჯვილს ჰიაყენებდა. არიადნასთვის ჰაერივით საჭირო იყო ვილაცის მოხიბლვა, დატყვევება, გაგიჟება. მეც მისი ტყვე ვიყავი და მისგან მოჯადოებული არარაობა. ეს ამბავი მას იმგვარ ტკბობას ანიჭებდა, როგორსაც განიცდიდნენ ოდესღაც ტურნირში გამარჯვებული რაინდები. ჩემი დამცირება სიამოვნებას ჰგვრიდა. ამიტომ ხშირად სალამოობით ვეფხვივით ნებიერად, ტიტველი გაწვებოდა ლოგინზე და ლუბკოვის მიერ გაგზავნილ წერილებს მიკითხავდა. რუსეთში დაბრუნდიო, ემუდარებოდა ის. თუ არ წამოხვალ, ფულის შოვნის მიზნით ვინმეს გავაცვალე ან მოვკლავ და ჩამოვალო. არიადნას ლუბკოვი უკვე ეზიზღებოდა. მაგრამ მისი ვნებით და ამავე დროს მორჩილებით აღსავსე წერილები აღელვებდა. თავი იმდენად მომხიბლავად მიაჩნდა, რომ გულწრფელად ნანობდა, სხვებმა რომ არ იციან თუ რა კარგად არის ჩამოსხმული, თუ რა ფერის კანი აქვს, თორემ არა მარტო იტალიას, არამედ მთელ მსოფლიოსაც დაიპყრობდა. გაუთავებელი საუბარი მოხდენილ ტან-ფეხზე და კანის ფერზე ჩემს გრძნობებს შეურაცხყოფდა. ეს იცოდა მან და როცა გაბრაზდებოდა, ჩემს გასაჯავრებლად ათასგვარ სისულელეს მოიგონებდა. ერთხელ ვილაც ქალის თანდასწრებით, რომელთანაც ავარაჯზე სტუმრად ვიყავით, ასე მითხრა: თქვენი ლრმააზროვანი დარიგებებით თუ არ დამეხსნებით, იცოდეთ ტანთ გავიხდი და აი ამ ყვავილნარზე წამოვწვებიო.

ხშირად როცა შევყურებდი, თუ როგორ სძინავს, როგორ შეექცევა საჭმელს, ან ცდილობს უმანკო ანგელოზის გამომეტყველება მიიღოს, ვფიქრობდი: რისთვის მისცა ბაბ ღმერთმა ეს არაჩვეულებრივი სილამაზე, გრაცია, გონება? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მთელი დღეები საწოლში გაატაროს, ჭამოს, იცრუოს, დაუსრულებლად იცრუოს? არის კი ის საერთოდ ჭკვიანი? მას აუტანელ შიშს ჰგვრის სამი სანთელი, რიცხვი ცამეტი, ცუდი სიზმრები, თავისუფალ სიყვარულზე და საერთოდ თავისუფლებაზე ისე მსჯელობს, როგორც ბებერი ლვთის-

მოსაცი ქალი. ერთხელ სრულიად სერიოზულად მარწმუნებდა, რომ ბოლესლავ მარკევიჩი ტურგენევზე დიდი მწერალიაო. მიუხედავად ყველაფრისა უნდა ვაღიარო, რომ ის ჯოჯოხეთურად ეშმაკი და მახვილგონიერი ქალია. მისთვის ძალზე ადვილია საზოგადოებას, მოწინავე და განათლებულ ადამიანად მოაჩვენოს თავი, როცა კარგ განწყობაზეა, მაშინაც შეუძლია ყოველად უმიზეზოდ მოსამსახურე შეურაცხყოს ანდა მწერი გასრისოს. ხარების ბრძოლა უყვარს და მკვლელობებითა და სისხლით აღსავსე ნაწარმოებების კითხვა. როცა ბრალდებულს ამართლებენ, ბრაზდება ხოლმე.

მე და არიადნა ასეთ ცხოვრებას რომ ვეწეოდით, რა თქმა უნდა, ბევრი ფული გვეხარჯებოდა. საბრალო მამაჩემი, თავის პენსიას და ყველა სხვა შემოსავალსაც მე მიგზავნიდა, სადაც შეეძლო და როგორც შეეძლო ისე სესხულობდა ფულს. ერთხელ როცა მან მომწერა «non ha beo»[1], მე სასოწარკვეთილებით აღსავსე დეპეშა გავუგზავნე და ვთხოვე, რომ მაშული დაეგირავებინა. მცირე ხნის შემდეგ კიდევ ვაფრინე დეპეშა და შევეხვეწე განმეორებით დაეგირავებინა მამული და ისე ეშოვა ჩემთვის ფული. როგორც პირველი, ისე მეორე თხოვნაც უდრტვინველად შევისრულა და რაც კი ჰქონდა, უკანასკნელ კაპიკამდე გამომიგზავნა.

არიადნას კი პრაქტიკული ცხოვრება ჭირივით ეზიზღებოდა და ყოველგვარი სიძნელე, რომელიც ჩემს წინაშე წამოიჭრა, მას ოდნავადაც არ ადარდებდა. როცა მისი უგონო სურვილების დასაკმაყოფილებლად ათასებს ვფანტავდი და ბებერ, გამხმარ ხესავით ვოხრავდი, ის უდარდელად მღეროდა «Addio bella Napoli»[2], ჩვენი კავშირი მე უკვე სასირცხვილოდ მიმაჩნდა. მართალი გითხრათ, ზიზღსა მგვრის ფეხმძიმე ქალი, მშობიარობა და მასთან დაკავშირებული ათასი რამ, მაგრამ ახლა შვილზე ვოცნებობდი. შვილის გაჩენა რამდენადმე მაინც გაამართლებდა ჩვენს ერთად ყოფნას. საკუთარი თავი საბოლოოდ რომ არ შემზიზღებოდა, მუზეუმებსა და გალერეებში მოვუხშირე სიარულს. წიგნის კითხვასაც მოვკიდე ხელი. ცოტას ვჭამდი და ვსვამდი. აი, ასე თოკშებმული როცა დარბიხარ მთელი დღე, გულზე შემოწოლილი დარდი გიმსუბუქდება. ამ დროისათვის მეც მოვბეზრდი არიადნას. სხვათაშორის ისინი, რომელთა შორისაც არიადნა მოწონებით სარგებლობდა, ძალზე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ხოლო ელჩები კი ჯერ არსად სჩანდნენ. არიადნას ფული აკლდა, რის გამოც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ხშირად გულამოსკვნილი ტიროდა.

ბოლოს მან გამომიცხადა, რომ რუსეთში წასვლაზეც უარს არ იტყოდა და აი, ჩვენს შინ ვბრუნდებით. უკანასკნელ თვეებში მან თავის ძმასთან გამართა მიწერ-მოწერა. ეტყობა რაღაც საიდუმლო ზრახვები აქვს. რა საიდუმლო, ღმერთმა უწყის. მისმა ხრიკებმა, უკვე მომაბეზრეს თავი. ჩვენ სოფელში კი არა, იალტაში მივდივართ, შემდეგ კი კავკასიაში. მას ახლა მხოლოდ კურორტებზე შეუძლია ცხოვრება. რომ იცოდეთ, როგორ შემზიზღდა ყველა ეს კურორტი, როგორ მეხუთება იქ სული და როგორ მრცხვენია საკუთარი თავის. თუ მსურს შეცდომები გამოვისყიდო, ახლა მე უნდა ვიმუშაო და ოფლით მოვიპოვო პური. ძალა ჯერ კიდევ დიდი მაქვს და მეჩვენება ეს ძალა რომ დავ-

---

1 არა მაქვს.

2 მშვიდობით, მშვენიერო ნეაპოლო.

ძაბო, მამულს ხუთი წლის განმავლობაში გამოვისყიდი, მაგრამ... როგორც ხედავთ საქმე გართულდა. უკვე უცხოეთში კი არა, დედა-რუსეთში ვიტყოფებით. საჭიროა კანონიერ ქორწინებაზე ვიფიქრო. რასაკვირველია ბატაკებამ გამიარა და უწინდელი სიყვარულიდან არაფერი შემრჩა, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ვალდებული ვარ ცოლად შევირთო ირიადნა.

თავისი მონაყოლით აღელვებულმა შამოხინმა და მე ქალებზე ლაპარაკი საუბარი და ქვევით რომ ჩავედით, იქაც განვაგრძეთ. მოხდა ისე, რომ ჩვენ ერთ კაიუტაში აღმოვჩნდით. უკვე გვიანი ღამე იყო, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა:

— ჯერჯერობით ქალი მამაკაცს მხოლოდ სოფელში არ ჩამორჩება. ის იქ ისევე აზროვნებს და ისევე მონდომებით ებრძვის ბუნებას, კულტურის საკეთილდღეოდ, როგორც მამაკაცი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალაქელი ქალი კარგა ხანია უკვე თავის პირველყოფილ მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის. ის სანახევროდ უკვე ადამიანი — მხეცია. ამიტ გამო ჩვენ ვკარგავთ იმას, რასაც მიაღწია ადამიანის გენიამ. ქალი, როგორც სრულყოფილი ადამიანი, თანდათანობით ქრება. მის ადგილს იკავებს პირველყოფილი ადამიანი, დედალი, ძუ.. ინტელიგენტი ქალის ეს ჩამორჩენა სერიოზულ საფრთხეს უქმნის თანამედროვე კულტურას. ის თავისი რეგრესული მოძრაობის მორევში ითრევს მამაკაცს და ხელს უშლის მის წინსვლას...

მე ვკითხე: — რა საჭიროა განზოგადება? ირიადნა ხომ უმნიშვნელო საბუთია ყველა ქალის მოსაძულებლად? ქალთა მისწრაფება განათლებისაკენ, თანასწორუფლებიანობისკენ თავისთავად გამორიცხავს აზრს რეგრესული მოძრაობის შესახებ.

შამოხინი უყურადღებოდ მისმენდა, თან დამცინავად იღიმებოდა. ჩემს წინ უკვე მთელი საქალეთის მოძულე ადამიანი იდგა.

— მიკვირს, როგორ შეგიძლიათ ასე იფიქროთ?! — მიპასუხა მან,—თუ ის ჩემში ხედავს არატოლფასოვან ადამიანს, არამედ მხოლოდ კუროს და მთელი ცხოვრება ცდილობს თავი მომაწონოს, ე'ვე იგი დამეუფლოს, მაშინ რა თანასწორუფლებიანობაზეა აქ საუბარი?! არა, არ დაუჯეროთ მათ. ისინი ძალზე ეშმაკები არიან. ჩვენ, მამაკაცები იმისათვის ვზრუნავთ, რომ ისინი გავანთავისუფლოთ. მათ ისე უჭირავთ თავი, თითქოს ძალზე სჭირდებათ ეს თავისუფლება, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. დამიჯერეთ, ისინი საშინლად ეშმაკები არიან, საშინლად.

მე უკვე ამ თემაზე საუბარი საკმაოდ მომეწყინა, თანაც ძლიერ მეძინებოდა და ამიტომ კედლისკენ გადავბრუნდი.

„დიახ,— ჩამესმოდა ყურში ბილის წინ,— ყველაფერია მიზეზი ჩვენი განათლებაა. ქალაქებში მთელი განათლება იქამდეა დაყვანილი, რომ ქალისგან ცხოველი ჩამოყალიბდეს. ე. ი. კუროს მოეწონოს და შესძლოს ამ კუროს დამარცხება. დიახ! — აქ შამოხინმა ამოიოხრა. — ქალი ისე უნდა აღვზარდოთ, რომ მამაკაცივით მასაც მოეკითხოს დანაშაული. თორემ რა გამოდის? მისი აზრით, ის მუდამ ცამდე მართალია. ქალი დაბადებიდანვე იმ აზრს უნდა მივაჩვიოთ, რომ მამაკაცი კავალერი და საქმრო კი არა — ახლობელია და ყველაფერში მისი თანასწორი. ლოგიკური აზროვნება და განზოგადებაც უნდა ვასწავლოთ. ყოველდღე ნუ არწმუნებთ მას, რომ მისი ტვინი წონით მამაკაცისაზე ნაკლებია, თორემ მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართ გულგრილი გახდება. ბიჭუ-

ნას, რომელიც ოსტატის შეგირდია, თერძია ან მღებავია, ტვინის ნაკლები რაოდენობა აქვს, ვიდრე მოზრდილ მამაკაცს, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლაში ისიც მონაწილეობს, შრომობს და იტანჯება, ნაკლებად უნდა მოგახსენოთ აგრეთვე ქალის ფიზიოლოგიური თავისებურებანი, ფეხმძიმობა, მშობიაობა, რადგანაც ჯერ ერთი ქალი ყოველ თვე არ მშობიაობს. მეორე, ყველა ქალი როდი შობს. მესამე — ჩვეულებრივი სოფლელი ქალი მშობიაობის წინ მინდორში მუშაობს და არაფერიც არ მოსდის. შემდეგ... საჭიროა, რომ თანასწორუფლებიანობის პრინციპი ყოველდღიურობაში გატარდეს. თუ მამაკაცი ქალს სკამს დაუდგამს, ან მიწაზე დავარდნილ ცხვირსახოცს თავაზიანად მიაწვდის, მაშინ ქალმაც იგივე სამსახური უნდა გაუწიოს. თუ კარგი ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი პალტოს ჩაცმაში დამეხმარება, ან ერთ ჭიქა წყალს მომაწვდის, საწინააღმდეგო არაფერი მექნება".

შამოხინმა ალბათ კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკა. მაგრამ არ გამიგონია, რადგანაც ჩამეძინა.

მეორე დილით, როცა სევასტოპოლს ვუახლოვდებოდით, ამინდი გაფუჭდა. ტალღები გემს ძლიერ არწევდნენ. შამოხინი ჩემთან ერთად იჯდა გემბანზე და რაღაცაზე ფიქრობდა. ჩვენს გარშემო მგზავრები იდგნენ. მამაკაცებს საყელოაწეული პალტოები ეცვათ, ხოლო ქალებს ნამძინარევი და ფერმკრთალი სახეები ჰქონდათ. როცა ზარით ჩაის დასალევად გვიხმეს, ყველანი ქვევით ჩავედით. შამოხინს ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მიუახლოვდა. ეს ის ქალი იყო, ვოლოჩინსკში მებაჟე მოხელეებს რომ გაუბრაზდა, მან მიზეზიანი, განებივრებული ბავშვის გამომეტყველებით უთხრა შამოხინს:

— ჟან, შენი ჩიტუნია შეუძლოდ გრძნობს თავს, ზღვამ აწყინა.

უფრო გვიან, იალტაში ვნახე ის ქალი, ქუჩაში შევხვდი. ისეთი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, რომ მისი თანმხლები ორი ახალგაზრდა ოფიცერი თითქმის სირბილით მისდევდა უკან. ერთხელ კიდევ საღებავებით ეტიუდს ხატავდა. თავზე ფრიგიული ქუდი ეხურა და წინსაფარი აეკრა. მის გარშემო ცნობისმოყვარეთა დიდ ჯგუფს მოეყარა თავი. მეც გავიცანი ის. მან ენერგიულად ჩამომართვა ხელი, აღტაცებით შემომხედა და ტკბილი ღუღუნა ხმით მადლობა გადამიხადა იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც თურმე ჩემი ნაწარმოებების კითხვა ანიჭებს.

— არ დაუჯეროთ, — ჩურჩულით მითხრა შამოხინმა, — მას თქვენი ერთი ნაწარმოებიც არა აქვს წაკითხული. — რამდენიმე დღის შემდეგ სანაპიროზე სეირნობისას შამოხინს გადავეყარე: მას სანოვაგით და ხილეულობით სავსე დიდი ფუთა მიჰქონდა.

— თავადი მაკტუევი აქ არის, — მითხრა მან გახარებულმა.

— არიადნას სპირიტ ძმასთან ერთად ჩამოვიდა. ახლა კი ვხვდები თუ რის შესახებ ჰქონდათ მათ მიწერ-მოწერა. ღმერთო ჩემო! — თქვა მან, ცას შეხედა და ფუთა მკერდზე მიიკრა — თუ მისი საქმე თავადთან კარგად აეწყო... ეს ხომ ჩემს თავისუფლებას ნიშნავს?! მაშინვე მამასთან წავალ სოფელში... — და ის გაიქცა.

— სულების არსებობა უკვე მწამს, — მომაძახა მან, — ბაბუა ილარიონის სულმა მგონი სწორად იწინასწარმეტყველა. ნეტავ ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. მეორე დღეს მე იალტიდან გავემგზავრე და როგორ დამთავრდა შამოხინის რომანი, წარმოდგენა არა მაქვს.

□

მიხაილ როშჩინი

ივლისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა მამუკა ცეცხლაძემ

„ტატიანა, ტატიანა, გონს მოდი, რა გემართება?! — შემოუძახებდა ხოლმე უცებ თავის თავს, — შენ გათხოვილი ქალი ხარ, ოჯახი გაქვს, ქალიშვილი გყავს, ხომ არ გასულელდი?“ — და ცდილობდა გასცინებოდა ამ თავის სისულელეზე.

ქალაქმა თითქოს ერთბაშად გააფრინა, გააფრინეს კაცებმა, ქალებმა. აღმოსავლური სიცხე იღვრებოდა ქალაქში, დღე და ღამე, როგორც ქარავანი ქვიშრობზე, ან ტივი მდორე წყალში, გულისგამაწვრილებლად ნელა გადიოდა.

ნახევარი ქალაქი შვებულებაში იყო გაკრეფილი, აგარაკებზე. ავტობუსების კოლონებს ყოველდღე გაჰყავდათ ქალაქგარეთ ბავშვები. უქმე დღეებში ხომ ისედაც სულ ჩამკვდარი იყო ყველაფერი და ჩამკვდარი, როგორც ეპიდემიის, ან ევაკუაციის დროს. ზაფხულის არდადეგებმა ყველა ოჯახს დააჩნია თავისი კვალი: ვის მარჩენალი წაჰგვარა, ვის კიდევ — დიასახლისი. ორი ოთახიდან ერთი ახლა გაუქმებული იდგა, ფარდებჩამოფარებული. დადგა დრო სიმარტოვისა და თავისუფლებისა, უსაქმურობისა. შეჩვეული საზრუნავი — როცა სხვაზე ფიქრობ — შეუჩვეველმა საზრუნავმა შესცვალა — რა ვქნა, რითი შევიქციო თავი?

სამსახური დღის პირველ ნახევარშივე თავდებოდა, ტატიანა მაიაკოვსკის მოედნიდან სმოლენსკის მოედნამდე ფეხით გამოუყვებოდა ხოლმე, მეტროსთან ყვავილებს ყიდულობდა თავისთვის. რამე თუ არ მოიფიქრე, შინ თუ ჩაიკეტე, საღამო ფისივით გაიწელება და გულისრევა აგიტყდება, შეიძლება თავი ვერ შეიკავო და საფერფლე ტელევიზორს შეანარცხო.

ქალაქმა თავისი ხალხი გაისტუმრა, მაგრამ სამაგიეროდ სხვებს გაუღო კარი — ჩამოსულებს, ჩვენებსაც და უცხოელებს. სტუმრები ხმაურით დაიარებოდნენ ქალაქში, თავისუფლად იქცეოდნენ. იმათ შემყურეს რაღაც უცნაური ცნობისმოყვარეობის აღმძვრელ, რაღაც აკრძალულ, ღამეულ დროსტარებასა და ლაღობაზე ფიქრი გიტაცებდა. გოგო-ბიჭები გამთენიის ხანს ჩახუტებულები დაყიალობდნენ ქუჩებში, ხიდების შუაგულში ჩერდებოდნენ და კოცო-

ნაობდნენ. სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა ეს ხალხი, როგორც ჩიტები, და, ჩიტების ცხოვრებისა არ იყოს, გინდოდა გაგეგო, რა ცხოვრება იყო ეს.

ამას კიდევ ცაცხვის ყვავილობა ერთვოდა. ცაცხვის გამაბრუებელი სურნელება მოულოდნელად შემოიჭრებოდა ხოლმე შუალამისას, მერვე სართულის ფანჯრებში — მთელ ტანში ჟრუანტელი გივლიდა, გინდოდა დამჯდარიყავი და გეტირა, გინდოდა ლოყები ჩამოგეხოკა, გამოგეგლიჯა ყელი. ცაცხვის პატარ-პატარა თაიგულები ჭიქებით ედგათ მაგიდებზე მემანიკურეს, საფუნთუშეს მოლარეს, „მოსპროექტის" თანამშრომელ ქალებს.

მერედა იმ ზაფხულს ისეთი მოდა იყო... ყველაფერი თავისუფალი და ღია ეცვა ყველას, ვისაც რა მოუხერხდებოდა, მოკლეც, გრძელიც (ჩითის, კოჭებამდე ჩამოშვებული კაბა), ანუ ვისთვის რა უფრო მოხერხებული იყო (თითქოს ყველაზე ძნელი სწორედ იმის ცოდნა არ იყოს — რა უფრო მოხერხებულია შენთვის). სიცხემ კიდევ უფრო სრული გახადა ეს თავისუფლება და აი, ამნაირი ვინმე ვაგონში რომ შემოვიდოდა, განყოფილებაში რომ შემოფრთხიალდებოდა, ან ტაქსიდან გადმოსული აღმოცენდებოდა უცებ შენს ცხვირწინ, სახტად რჩებოდი.

თუმცა უცნაურიც იქნებოდა, კაცებს რომ არ შეემჩნიათ ის, რაც ქალებს ჰქონდათ გამოფენილი, ქალებს კი არ აღენუსხათ თავიანთვის, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ყოველივე ეს მაყურებელზე. უკლებლივ ყველა ტყვია ხვდებოდა სამიზნეს, ყველა სამიზნე დაფლეთილ-დახვრეტილი იყო.

შინმობრუნებული, შხაპის ქვეშ რომ დადგებოდა, ტატიანა ყოველთვის ამას ფიქრობდა — ოფლთან და მტვერთან ერთად ცოდვიანი გამოხედვებისგან და ბინძური ხელის შეხებებისგანაც ვიწმინდებიო. მაგრამ მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა ხოლმე იმ პატარა ბიჭის სახე, ტროლეიბუსის უკანა ფანჯრიდან რომ მისშტერებოდა, მხიარული მფრინავი საპელმენეში (მფრინავმა მთელი საჰაერო ბრძოლა წააგო თვალებით).

ეს პაწია გამარჯვებები გინდა-არ გინდა თვითკმაყოფილ ღიმილს იწვევდა.

ბინაში შიშველი დაიარებოდა. შიშველი იწვა ტახტზე, გარდიგარდმო, და ისე უყურებდა ტელევიზორს, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული. საკმაოდ ჯანმრთელი იყო და ხორცსავსე. შემოსასვლელში, სარკის წინ ათასნაირ სულელურ პოზაში დგებოდა, იმანჭებოდა და იგრიხებოდა, ან კიდევ უსაქმურობისაგან ერთთავად რაღაცას იკრეჭდა ტანზე, სახეს ითხუპნიდა: თავისთავად ცხადია, რომ საკოდავი მისი თმაც ხან დაიწვნებოდა და მაღლა აიკრიფებოდა, ხან გაიშლებოდა და კულულებად დაეფინებოდა მხრებზე, დაიხვეოდა, გადაიხვეოდა, გასწორდებოდა, ვაიჩეჩებოდა.

ამის თქმა სირცხვილია, მაგრამ იგი ყურს უგდებდა მეშვიდე სართულზე ტასკას სისხლსავსე ცხოვრებასაც: ტასკას ფანჯრებიდან ხან სიმღერა ისმოდა, ხან კვნესა, ტირილი, ყვირილი, კივილი. ტასკა მარტოხელა ქალი იყო, გამყიდველად მუშაობდა სასურსათოში პლიუშჩიხაზე.

„ეს კაცები სულ გადავიდნენ ჭკუიდან!" — უთხრა ტატიანამ დილით თავის მეგობარსა და მაგიდის მეზობელს სამსახურში ასტრას. ტატიანა ფანჯარას აღებდა, ფანჯრიდან მყის ბუღი და ხმაური შემოვარდა. ასტრა, როგორც ყოველთვის ერთ ბელამორს მეორედან უკიდებდა.

მსუქანი, ულამაზო, ბაზედოვის ავადმყოფობისაგან თვალებდასიებული, ჭაკვიანი და ნაკითხი ასტრა ირონიულად შეესცქეროდა და ორთქლმავალივით აბრჩოლებდა პაპიროსს. „კაცები კი არა — უთხრა ბოლოს ტატიანას, — თვითონ შენ გაწერია სიფათზე ვაკანტურობა. ვა-კან-ტუ-რო-ბა. გაიგე?"

ბევრი იცინეს ამაზე, მაგრამ ვერაფერს იტყვი. სიტყვა სწორედ ზედგამოჭრილი იყო: ვაკანტურობა!

რაღაცა უნდა მოეფიქრებინა, როგორმე უნდა გამოსულიყო ამ მძიმე და ბოლოს და ბოლოს დამამცირებელი მდგომარეობიდან. არ იცოდა რა ექნა. ისედაც თითქმის არსად არ დადიოდა, არავის ურეკავდა, ტელევიზორის ანაბარალა იყო დარჩენილი. გოგო ენატრებოდა და მოუთმენლად ელოდა მშობლების დლის დადგომას ბანაკში. ლამის ორ დღეში ერთხელ ლია ბარათებს უგზავნიდა ქმარს, ქორას, მისხორში, სადაც ის იკვენებდა. ერთხელ ისიც კი მისწერა (როგორ გაუკვირდება ქორას?!), მიყვარხარ და ძალიან მენატრებიო.

ქმარი დროდადრო ურეკავდა ავტომატით — მხიარული იყო, ალერსიანი, მაგრამ გაუცხოებული, აშკარა იყო, რომ ყოველთვის ვილაც-ვილაცები ედგნენ გვერდით, ყვიროდა, ყველაფერი კარგად მიდისო, გავშავდიო, ნიღბით ვცურავო, კვება კარგიაო, ამინდები — შესანიშნავი, ხალხიც — გადასარევი, მოკლედ, ყველაფერი „ო'კეი" არისო. „შენ იქ რაშეა ხომა არ... ჰმ?" — ეკითხებოდა ხოლმე ქმარს, — ჭაუით იყავი, იცოდე!" ქორა სიცილით კვდებოდა, საეჭვოდ სწრაფად ხვდებოდა, რას ეკითხებოდნენ და ხმამაღლა ჩასძახოდა ყურმილში: ძალიანაც რო მინდოდეს, ვერავის მივეკარები, ერთიმეორეზე უარესი მახინჯები არიან, გეფიცები!" ამის თქმა და უცებ უთავდებოდა სამშაურიანები, ცხადი იყო, რომ ძალით ეკაჩებოდნენ გარეთ ჯიხურიდან, კავშირი წყდებოდა. „გეფიცები, გკოცნი!" ეს სიტყვები კიდევ ერთხანს ჩაესმოდა ხოლმე ყურში.

მაგრამ არა სჯეროდა. თუმცა არა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ არა სჯეროდა. ალბ უბრალოდ არ იდგა საკითხი: სჯეროდა თუ არ სჯეროდა. სჯეროდა, რა თქმა უნდა. თან არც სჯეროდა. ამაზე არ უნდა გეფიქრა. ქორა ოცდათოთხმეტი წლის იყო: გამხდარი, გრძელი, სპორტული აღნაგობის; შავი, მხიარული თვალები ჰქონდა, ბიჭივით გამოიყურებოდა და რომელიც გნებავთ კამპანიის სული და გული იყო, ქალები თვალს ვერ აცილებდნენ. მექალთანე არ იყო, კაცურად, ბიჭურად უყვარდა სპორტი, ნიღბით ცურვა, წყალქვეშა თოფები, ფეხბურთი, ჰოკეი, მოტოციკლეტი და ყოველთვის კაცების საზოგადოება ერჩივნა ქალებისას. მაგრამ იმ სამი წლის წინათ მაინც დრამა განიცადეს: ტატიანამ შეიტყო, რომ ქორამ უღალატა. სულელურად, უნებლიეთ, მაგრამ მაინც უღალატა. წასვლა უნდოდა სახლიდან, უფრო სწორედ — წავიდა კიდეც დედასთან, ჯერ კიდევ ძველ ბინაში, მოკიდა ხელი თავის ოთხი წლის გოგოს და წავიდა; წავიდა და გაბრაზებულ გულზე თვითონაც უღალატა. ერთ თავის თანამშრომელში, მალიხინში გაცვალა. სხვათა შორის, იმ მალიხინს ახლაც ხშირად ხვდება დერეფანში, სასადილოში — ესალმებიან ერთმანეთს როგორც ძველი, კეთილი ნაცნობები; ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა მათ შორის, ღამე, მალიხინის სახლში. მერე ის იყო, მალევე შერიგდნენ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და სამი კვირის შემდეგ ტატიანა ქორას დაუბრუნდა. ყველაფერი ეველებურად გაგრძელდა. თუმცა არა, ახლებურად. ადრე საყვარ-

ლებივით, შეყვარებულებივით ცხოვრობდნენ, ამ შემთხვევის მერე კი უფრო მშვიდი და თადარიგიანი ცხოვრება დაიწყეს, მათ ურთიერთობაში ალარ იგრძნობოდა უკვე ის სიმძაფრე, სულმოუთქმელობა და სიგიჟე.

საქმე ის კი არ იყო, სჯეროდა თუ არა, საქმე ის იყო, რომ მას შესაძლებლად მიაჩნდა ყველაფერი. არ ეჭვიანობდა, ეს ყველა მთავარია. პაწია საკუროორტო რომანი? რაა მერე? უკვე იცოდა, რომ წამდაუწუმ ხდება ასეთი ამბები და ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. მოვა ვინმე ამხანაგი და მორცხვად (მაგრამ ამავე დროს გამარჯვებული კაცის იერით, ცელქად) იტყვის: აი, ასე იყო რა, ძმებო! აქეთური, იქეთური და... ცქაფ! ყველა იცინის, ხუმრობს, — კაციც და ქალიც — თუმცა ამ კაცებს და ქალებს ყველას ცოლები და ქმრები ჰყავს; და როცა მათ ცოლებზე და ქმრებზე მიდგება საქმე, იტანჯებიან.

მაშინ, სამი წლის წინათ, ჟორას ამბავი ტატიანამ შემთხვევით გაიგო. შეიძლებოდა არც გაეგო. ჰოდა, იცხოვრებდნენ ისე, როგორც ცხოვრობდნენ, არც არავინ დაიტანჯებოდა, არც არაფერი შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში. რომელი სჯობია? სამუდამოდ ხომ არ გაყრილან, ახლა ხომ ყველაფერი კარგად არის, მათი ოჯახი სამაგალითოა. დიდებულია, ამბობს ჟორა. დიდებულია, მაგრამ ტყუილს რა ვუყოთ? რა ვუყოთ ჩვენს ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ზნეობაზე, ამაღლებულზე, იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ყველაფერი სინამდვილეში?... ისე, კაცმა რომ თქვას, როგორ უნდა იყოს მოწყობილი ყველაფერი სინამდვილეში? ეგება ასეც უნდა იყოს, როგორც არის სინამდვილეში? ის ამხანაგი ხომ სინამდვილეში გეუბნება ამას? თვითონაც ხომ სინამდვილეშია გაშხლართული აგერ ტახტზე და თავის კანში ვერ ეტევა?

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა ცხოველები, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი გრძნობების მართვა, ჰოდა აი, პირადად ტატიანა წევს აქ გამთენიის ხანს თავის ტახტზე — რომლის ზედმეტი სივრცეც თითქმის ფიზიკურად აღიზიანებს — და მართავს თავის გრძნობებს. ტატიანა მართავს თავის გრძნობებს, ტატიანას კი მისი ვაკანტურობა მართავს. ჰოდა, გამოდის, რომ ამ წუთში ის ცოლი და დედა კი არ არის, არამედ, ელემენტარულად, ერთი ატრუებული დედაკაცია. თვითონვე რცხვენია თავისი თავის.

მაგრამ ახლა ისიც ვთქვათ, რად რცხვენია? ეს ხომ არის, ეს ხომ მისდა უნებურად ხდება, ეს ხომ ნორმალური, ადამიანური სურვილია, მას ხომ არ გამოუგონია ეს, ფსიქოფატი ხომ არ არის? ვინ იცის, პატიოსნება იქნება სწორედ ის იყოს, გადაუგდოს ძვალი იმ ძაღლს, გულმუცელს რომ ულრღნის შიგნიდან? შესცოდოს, რათა ამ შეცოდებით განიწმინდოს! შესცოდოს და მოინანიოს...

„ქმარს დაელოდე, ბრიყვო! ქმარს დაელოდე, გველო! — ეუბნებოდა იგი თავის თავს, — დაეტია შენს ტყავში, ნუ ირევი, წესიერი ქალი იყავი, ნუ ბაძავ ყველა...“ — ამ წუთებში, ასტრასი არ იყოს, ყველაფერს თავის სახელს არქმევდა, რათა თვითგვემა უფრო მტკივნეული გაეხადა.

წესიერი ქალი რაღას ნიშნავს? ფიქრები? ფიქრებს რა ვუყო? — „ფიქრებზე პასუხს არ ვაგებთ!“ — უყვარს ვიღაცის ამ ციტატის გამეორება ასტრას.

დილის ხუთი საათი იყო უკვე, არ იქნა და ვერ დაიძინა. მისი ფანჯარა

მერვე სართულზე მოსკოვს, მდინარეს გადაჰყურებდა, საკმაოდ ფართო ხედი იშლებოდა იქიდან. ჩანდა ხიდები, კიევის ვაგზალი (მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა და ვაგზლის საათის რეკა ესმოდა), სანაპიროები, სარწყავი მანქანებით დაბანილ-დასუფთავებული ქუჩები იღვიძებდნენ, ცაცხვის ხეების ვარჯებიდან, როგორც უშველებელი, მრგვალ-მრგვალი გალეებიდან, ჩიტების ჭყივილი ისმოდა. მზე სადღაც შორს, უნივერსიტეტის კოშკს წვერს წამოსდგომოდა თავს და ლენინგრადს მოგაგონებდათ. ახმაურდა პირველი ელექტრომატარებელი, ცარიელი სივრცით ატაცებულმა, რომელიღაც მარტოეულმა მანქანამ ცოფიანივით გადაიგრიალა ხიდზე.

ტატიანამ რაფაზე ყურთბალიში დასდო, უსაქმურობისაგან გასავათებულმა, კაი ტამბოველი ხაზინის მცველის ცოლივით ხელისგულები ლოყებქვეშ ამოიდო და ფანჯარაში გადაეყუდა. განთიადის სიო საამოდ ელამუნებოდა მხრებზე. წყალზე ბარჟა გამოჩნდა, გემბანზე არავინ იყო და გეგონებოდათ, ბარჟა თავისით მიიკვლევსო გზას, როგორც რაიმე ცოცხალი არსება, თითქოს ბარჟას ფიქრიც შეეძლო. „ნეტა იმ ბარჟაზე მქნა ახლა და სადმე მივცურავდე!.“

თავი შეუმჩნევლად ჩაუცურდა ბალიშზე და ასევე შეუმჩნევლად წაიღო ძილმა. კარგა ხანს ეძინა ასე და რომ გაეღვიძა, ქვევით უკვე დუღდა და გადმოდუღდა სიცოცხლე: იყო ერთი გრიალი, გრუხუნი და ფეთება. ყვითელი ამწე, მოპირდაპირე სახლის მშენებლობაზე, იქით-აქეთ ტრიალებდა და მზა კონსტრუქციები გადაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მზე უკვე მთელი ძალით ანათებდა და აცხუნებდა სამშენებლო მოედანს. მეზობელი ტასია ზეწრებს ფერთხავდა ფანჯარაში, არაყის ნარჩენებს აწუწებდა, რადიოა მთელი ხმით აყვირებდა და სადილაო მუსიკის ჰანგებს თავის ხმასაც აყოლებდა.

ქალაქმა მყისვე გადასდო ტატიანას პარასკევი დღის ნაცნობი და მბსნელი რიტმი, კვირის ბოლო დღის რიტმი და იაიც, წყალში რომ დაყვინთავს ადამიანი, ისე ჩაიძირა უცებ საქმეში, ვინძლო ცოტათი მაინც მოვცოცხლდეო. აქეთ მტვერსასრუტს ეცა, იქით იატაკის ტილოს და ნახევარ საათში ყველაფერი სრულიად უსარგებლოდ ბზინავდა და ბრწყინავდა ბინაში, ყავის სურნელი იდგა და თვითონაც, როგორც ყოველთვის, დაბანილ-დავარცხნილი, სუფთა, ქორფა და მსუბუქი წარმოუდგა თავის თავს.

საღამოს კი, საიდან სადაო, ირკა რაზგულიაი დაადგა თავზე, დონეცკიდან, მიველინებიდან თავის ნორილსკში მიფრინავდა და აი, გზად შემოუარა ინსტიტუტის ამხანაგს. ირკა მისი მართლაც საუკეთესო ინსტიტუტელი ამხანაგი იყო, წელიწადნახევარი იყო უკვე არ ენახა: წელიწადნახევარი!

მაშინვე ბული დადგა ოთახში, უნდა ითქვას, რომ ირკა ამართლებდა თავის გვარს! ღამის თორმეტი საათისათვის ბინა დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: სამზადში ვახშმის ნარჩენები, მაგიდაზე უთავბოლოდ გაბნეული, ჯერ კიდევ შემოუკვლელი, მწვანე ვაშლები ეყარა და ერთი არაყის ბოთლი, რომელიც მათ ასეთი პროპორციით გამოსცალეს 2:1: ოთახებში ყველგან კაბები და ჟურნალები იყო მიმოფენილი, ჩემოდანი — თავაზდილი, აბაზანაში ვარდები დაცურავდნენ, ტელევიზორი ჩართულია, მაგრამ ხმა არ ისმის, მთელი ბინა გაჩახჩახებულია, ყველა ნათურა ჩართულია, ასანთის ყოველ კოლოფზე სიგარეტის ნამწვია მიგლესილი, ტახტთან, იატაკზე ჭიქები, იქვე კი, უკვე გამლღვალ ყინულში ორი ბოთლი შამპანიური და მისთანანი და მისთანანი. თვითონ ირკა

კი, მზემოკიდებული, შვეტი, ანტილოპასავით ჯანმრთელი (ირკა საერთოდ შავგვრემანი იყო და შავთმიანი — ბებია ჰყავდა ბერძნის ქალი), სხვისი, ტატიანას ხალათით, მისივე ბრასლეტებითა და ბეჭდებით (გავისინჯავო, თქვა და ჯერ ისევ ხელზე ეკეთა) ტახტზე გაშხლართულიყო, ერთ მხარეზე ტელეფონი ედგა, მეორე მხარეს მაგნიტოფონი, თვალები ერთიანად [illegible] ძილზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი სხვაა. ირკა შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი იყო, შეყვარებული, შეყვარებული, შეყვარებული! თავს მოვიკლავ! გავგიჟდები! ბედნიერების ორი კვირა! ბედნიერების, მერედა როგორი ბედნიერების! არაფერი ამის მსგავსი, არასოდეს! მაღაროს მთავარი ინჟინერია. ოცდათხუთმეტი წლის. ცოლი ჰყავს, შვილები. უჭკვიანესი კაცია. გაბედულია, როგორც გინახია — სატანა. ჯანიანი, ლონიერი, ლამაზი! ალიოშა, ალიოშა, ალიოშა, ალიოშა! „ტანკა, შენ არაფერი არ გესმის! აქამდე მე არ მიცხოვრია თურმე ამ ქვეყანაზე, არ მიცხოვრია! არაფერი არ მცოდნია თურმე! გესმის? მომინადირა, მომცელა, ეკვდები, აღარ შემიძლია! არაფერი არ ვიცოდი თურმე, მე ქალი არ ვიყავი, არა!“ (ერთხელაც იყო კიდევ, ასე რომ ლაპარაკობდა ირკა, მაგრამ ტატიანას არ უნდოდა ახლა ეს გაეხსენებინა მისთვის, ეუხერხულებოდა). ირკა უსირცხვილოდ, როგორც მხოლოდ დობილმა დობილს შეიძლება გაანდოს თავისი საიდუმლოება, ყვებოდა ყველაფერს; იატაკზე გორავდა, იქით-აქეთ აწყდებოდა, იცინოდა, ტიროდა. ორჯერ დარეკა უკვე კოდით დონეცკში და ნახევარ-ნახევარი საათი ელაპარაკა იმ თავის ალიოშას (იატაკზე იჯდა, ფეხმორთხმული, როცა ელაპარაკებოდა და ცალ ხელში სიგარეტიც და ჭიქაც ორივე ერთად ეჭირა, მოსვამდა და მოქაჩავდა, მოსვამდა და მოქაჩავდა). „მიყვარხარ... ტკბილო.... მე არ შემიძლია უშენოდ... შენ?... რას აკეთებ?“ მერე ტატიანას სჩრიდა ხელში ყურმილს, რომ ისიც დალაპარაკებოდა მის ალიოშას, ეთქვა, დაედასტურებინა, თუ როგორ უყვარდა ირკას იგი.

თავიდან ტატიანაც აჰყვა ირკას, გადავიდა მის ტალღაზე, იცინოდა და ტიროდა მასთან ერთად, მაგრამ მერე დაიღალა. თვითონაც დაიღლებაო, ფიქრობდა, მაგრამ — საქმეში ხარ? როგორც სიგიჟით დაიწყო ყველაფერი, ისევე სიგიჟით დამთავრდა. მეათეჯერ უყვებოდა: მე ეს ვუთხარი, იმან ეს მითხრაო. ღამის სამ საათზე კიდევ ერთხელ გამოიძახა დონეცკი (საწყალი ინჟინერი, კიდევ კარგი, ცოლი და ბავშვები ყირიმში ისვენებდნენ) და უცებ, ტატიანას უკვე ეყვინთებოდა, ატყდა: აეროპორტის ტელეფონები ჩამოიღო რეკვით, სამოცი მანეთი გამოსტყუა და — ჰოი, ღმერთო დიდებულო! — ტატიანამ უკან მოხედვა ვერ მოასწრო, რომ ისინი უკვე რიბი-რაბოში ტაქსით მიიკვლევდნენ გზას, მიჰქროდნენ, არყის ხეები კრთოდა ავტომობილის ფანჯარაში. არადა, კაცმა არ იცის, ბილეთი იქნება თუ არა, ხალხი სავსეა, დღეს შაბათია თანაც, აიქა, ალიოშა, გამაგრდი!... ღმერთმა, როგორც ყოველთვის, შეყვარებულებს დაუჭირა მხარი, სულ ბოლო წუთებში რომელიღაც დაჯავშნილი ადგილი განთავისუფლდა და ის ადგილი მისცეს ირკას. უკან მოუხედავად გავარდა პირდაპირ იმხელა მინდორში თვითმფრინავისაკენ, თავის გრძელ-გრძელ ფეხებს უკანალზე იცემდა თითქოს, მხარზე ერთადერთი ჩანთა ჰქონდა გადაკიდული. ხვალისათვის კი აუცილებლად უკან უნდა დაბრუნდეს, მთელი მისი ბარგი-ბარხანა აქ რჩება, იქით კიდევ კარგა ხანია ნორილსკი ელოდება. ვინ იცის, რას იზამს,

როგორ იზამს, დანის პირზეა მისი საქმე მიმდგარი, ამ თავისი ბედნიერებიდან უბედურებამდე სულ მცირე მანძილია რჩება.

ტატიანა აეროპორტიდან ექსპრესით, ავტობუსით ბრუნდებოდა, გამოწერილი იყო ლიმონივით. მარტო დაჯდა, სულ უკან, თეთრი ფარდა გადასწია, მზეს მოეფარა და თვლემას მიეცა. მაინც რად ეცოდებოდა ირკა, [illegible] ხომ მეორდებოდა, ზეპირად იცოდა უკვე: ადრეც მჯდარა მასთან იატაკზე ირკა, თურქულად ფეხმორთხმული, ადრეც სჭერია ცალ ხელში ყურმილი, მეორეში კი — სიგარეტი და ჭიქა ერთდროულად, ვინ იცის, რამდენჯერ უყვირია ასე: „თავს მოვიკლავ!“ საფრენი მინდორიც ბევრჯერ გადაუჭრია და თვითმფრინავისაკენ გაქცეულა. ასე მსახიობები თამაშობენ ყოველსალამოს ერთსა და იგივე როლსა და მარტო მსახიობებს არ ეზარებათ ეს. რაღაც უამური, ბუნდოვანი, საეჭვო განცდა იპყრობდა, აცილებდა ტანში ირკას მაგივრადაც და იმ მისი ალიოშას მაგივრადაც, იმ უცნობი ქალის, ალიოშას ცოლის მაგივრადაც, ყირიმში რომ ისვენებდა ბავშვებთან ერთად. ის ისვენებდა, ირკა კი დედიშობილა დაბორიალებდა მ ი ს სახლში... „აბა, აბა, ფარისევლობას თავი დაანებე“, — შემოუძახა თავის თავს ასტრას ხმით, მაგრამ ეს ზმანება მაინც ვერ იქნა და ვერ მოიცილა. რაღაცა ვერ იყო აქ მაინც მთლად ისე უბრალოდ აწყობილი. ხუთუ ამის გამო, ამ ზმანების გამო აჩაღებს ხოლმე პატიოსანი ირკა ამხელა კოცონს? დიდი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ხომ ყველაფრია გამართლება შეიძლება? რატომღაც. დიდი თუა, ყველაფერი გეპატიება, უნდა გეპატიოს... ისიც, ს ხ ვ ი ს სახლში რომ შიშველი დატანტალებ? ს ხ ვ ი ს საწოლში რომ წვები?... „აბა, აბა!“—ისევ შეუწყარა თავის თავს. მართლაცდა, ახლა ხომ ამას ცოდვადაც არავინ მიიჩნევს, დიდი საქმე თუ... წვრილმანია ეს ყველაფერი.

სახლს იყო უკვე თითქმის მიახლოებული. მეტროდან სმოლენსკის მოედანზე ამოვიდა, გასტრონომთან, ეძინებოდა. მაგრამ უცებ წარმოიდგინა, რა დღეში დახვდებოდა სახლი წუხანდელი ღრეობის შემდეგ. — ჭურჭელი იქნება დასარეცხი, ირკას ფერფლი უნდა გადაყაროს. „ირკას ფერფლი...“

ქუჩიდანვე დაურეკა ასტრას და, როგორც იტყვიან, ხომალდიდან პირდაპირ მეჯლისზე მოხვდა. ასტრამ ერთი ამბავი დააწია: „სად დაეთრევი? დაგავიწყდა?... ახლავე დაიჭირე ტაქსი და წამოდი, მარტო შენ გელოდები!“

ჰო, მართლა, დღეს ხომ შაბათი იყო, ამ შაბათზე კი მთელი კვირა იქავებდნენ ენას. ასტრას ქმარს, ნიკალაი ანატოლიევიჩს, არქიტექტორს, საკონკურსო პროექტი დაუმტკიცეს და ეს მოვლენა უნდა აღენიშნათ.

ასტრა მრავალი წელი იყო უკვე ერთსა და იმავე აგარაკს ქირაობდა, ერთსა და იმავე ადგილას, ტომილინოში, რიაზანის გზაზე. მათ გაეკარგულებაში. კაცმა რომ თქვას, მთელი ნახევარი სახლი იყო, ცალკე შესასვლელით და ცალკე ნაკვეთით, ნაკვეთი საკმაოდ ვრცელი იყო, არავინ არაფერს არ რგავდა და არავის არაფერი არ მოჰყავდა იქ. ნიკალაი ანატოლიევიჩმა სუფთა ჰაერზე გადაწყვიტა ნადიმის გადახდა, ცხადია, მწვადებიც იქნებოდა. სტუმრები ადრიანად იყვნენ დაპატიჟებულნი, მთელი დღით. მასპინძელი წინა საღამოსვე წავიდა იქ ლამის გასათევად, ასე რომ სტუმრებმაც დილიდანვე იწყეს მოგრძანება, სიცხის დადგომამდე. ტატიანა და ასტრა რომ მიგრიალდნენ აგარაკზე ტაქსით (საიდანაც სახოვაგით დაძიძგინებული ჩანთები, ბოთლები და ნაქირავები ჭურჭელი გადმოიღეს), ეზოში უკვე დაეხეტებოდნენ და იწვნენ უპიჯაკო კაცები. ცუდუბრალოდ ედებოდნენ ლობე-ყორეს ქალებიც. ს.

ცხლის გასაჩაღებელი ორმო უკვე მზად იყო და ბედნიერი მელოტი ნიკალაი ანატოლიევიჩი მაისურისა და წინსაფრის ამარა საქმიანობდა, — ოდნავ ფერდაკარგულ ხორცის ნაჭრებს შამფურებზე აცმევდა. ფრუტუნებდა, მღეროდა, ბუზებს იგერიებდა, განკარგულებებს იძლეოდა, ახალმოსულებს ესალმებოდა და თან არქიტექტურაზე კამათსაც ახერხებდა ერთ-ერთ თანაავტორთან — სმოლიანიცკისთან. გამხდარი, ჟღალწვერიანი, მუქსათვალიანი და მოკლეჯინსიანი ინტელიგენტი სმოლიანიცკი ნიკალაი ანატოლიევიჩს ორი თითით აწვდიდა მრგვლად დაჭრილ პამიდორს და ხახვს და გატაცებით და მტკიცედ ეკამათებოდა. მეორე თანაავტორი, იკულოვი, თეთრკბილებიანი ბაქოელი, ყაჩაღივით ფეხშიშველი და წელამდე შიშველი, მუგუზლებს ასწორებდა და ფირფიცარს იქნევდა ცეცხლის შორიახლოს, მისი ჩასხმული, მზემოკიდებული ტანი (მუცლის კუნთები, როგორც ანტიკურ ქანდაკებას, ისეთი ჰქონდა) კალმით ნახატივით ბზინავდა ოფლისაგან.

ნადიმი ნადიმს ჰგავს, ეს ნადიმიც ისეთივე იყო, როგორიცაა საერთოდ ყველა ასეთი ნადიმი. დიდხანს ელოდნენ მწვადს, მწვადი ხან იწვებოდა, ხან არ იწვებოდა, ხან უმი იყო, ხან ჩანახშირებული. თავიდან ყველა ნაჭერს ერთმანეთს პირდაპირ ხელიდან გლეჯდნენ, სიხარბის დამალვას იუმორით ცდილობდნენ, შიოდა ყველას. მერე კი ნიკალაი ანატოლიევიჩს ხუთი შამფური დაჰქონდა იქით-აქეთ და თითქმის ტირილით ემუდარებოდა სტუმრებს, ჭამეთო; კვალში იკულოვი ედგა ლანგრით ხელში და ისიც იმასვე იხვეწებოდა: მიირთვით, თუ შეიძლება. გეთაყვა! თავიდან ყველანი ერთი დიდი სუფრის გარშემო ისხდნენ, სხვადასხვა მაგიდებისა და ყუთებისაგან რომ იყო შეკოწიწებული. მერე კი — ვინ სად, ზოგი ბალახზე წამოგორდა, ზოგი ერდოს წინ ჩამოჯდა კიბეებზე. თავიდან სადღეგრძელოებს ამბობდნენ, გულში ჩამწვდომ სიტყვებს ლაპარაკობდნენ, მერე კი, ვისაც რამდენი შეეძლო, ყოველგვარი სადღეგრძელო-მადღეგრძელოს გარეშე უბერავდნენ; თავიდან ეჩვენებოდათ, რომ სასმელის ზღვა იდგა (ამ სიცხეში ვინ არის მაგის დამლევი?) მერე კი სადგურში გარბოდნენ, არ გვეყოო. ვიღაცას ჰამაკში ეძინა უკვე გულის ძილით, ვიღაცა კი რეზინის შლანგით სტუმრებს წუწავდა და ამით იქცევდა თავს.

იკულოვი ტატიანას ეკურკურებოდა. საითაც არ უნდა გაეხედა ტატიანას, იკულოვის თეთრი კბილები და შავი თვალი გამუდმებით ელავდა მის წინაშე: „მე თქვენ მონოპოლიზირებული მყავხართ!“ ჭიქას უვსებდა, უმალ ქვეშ უფენდა რაიმეს, როდესაც ტატიანა ბალახზე დაჯდომას მოისურვებდა, ხელებს უკოცნიდა, როცა რაიმეს მოსწრებულად იხუმრებდა, დაუფარავად შესციცინებდა და ესიყვარულებოდა თვალებით. ცეკვავდა მისთვის, კბილებში დანაგარჭობილი, გონებაზე მოჰყავდა თავისი გადამთვრალი თანაავტორი, რომელსაც, ეტყობოდა, აგრეთვე მოსწონდა ტატიანა (ვაკანტურობა, ვაკანტურობა!) სმოლიანიცკი მოულოდნელად დააცხრებოდა ხოლმე ზურგიდან, სირჩით ხელში, ქუსლებს ერთიმეორეს ურტყამდა და ცდილობდა ნამდვილი კავალერგარდივით დაეჭირა თავი.

ქალების ამბავი რალაც ვერ აეწყო, ქალები კაცებზე გაცილებით ცოტანი იყვნენ და ყველას ქმარი ახლდა; ტატიანა, ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის, კი მარტო იყო, მეწყვილე არა ჰყავდა და ამიტომ ყველას ყურადღებას იპყრობდა. ამან გაიტაცა ერთი გატაცება, მსუბუქად იგრძნო თავი და წამით, —

სიმთვრალის პირველმა ტალღამ რომ გადაუარა, ჩვეულებრივ სწრაფად რომ გამოჰქარვებოდა ხოლმე, — სხვისი თვალით შეხედა თავის თავს: ტანადი, მაღალი (იმაზე უფრო ტანადი და მაღალი, ვიდრე სინამდვილეში იყო), თეთრ ქვედაკაბაში და ღია ვარდისფერ ბატენდაუში გამოწყობილი, თავსაფრის ბოლო ბატენდაუს ზედა საღილეში აქვს გაყრილი, ქერა, გვირილაში დაბანილი თმა მაღლა აქვს აკრეფილი და ოდნავ (ზუსტად იმდენზე, რამდენზეც საჭიროა) ჩამოშლილი, ცალი ხელი გრაციოზულად გაუშვერია განზე და (ირკასთან ბოდიში) ერთდროულად უჭირავს ხელში სიგარეტიც და ჭიქაც. აი, ასე დგას და იცინის ძველი ფიჭვის ჩრდილქვეშ. ირგვლივ კი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) კაცები ჰყრიან მიწაზე.

მერე, რომ დაბნელდა უკვე, ანაზდად ბანაობა დააპირეს — შორს, ტბაზე, უფრო სწორედ, ნაკარიერალში — და წავიდნენ კიდეც. შვიდნი იყვნენ. ასტრა შინ დარჩა, დავიღალეო, თქვა. თან ქმარი ჰყავდა მისახედი. საწყალი ნიკალაი ანატოლიევიჩი ცუდად შეიქნა, ამოიყორა, ეტყობა, მუცელი იმ თავისი მწვადებით. ასტრამ ესა თქვა მხოლოდ: „იკულოვი ნახე! დედა, რა ყოფაშია!“ იკულოვი კი იქვე იდგა, კბილები უელავდა, მოთმინებით აღჭურვილიყო. წინდახედულად იქცეოდა, თავისი წილი არც ველურობა აკლდა და არც ინტელიგენტობა, კატასავით ფრთხილი იყო, პერანგი ჭიპამდე ჰქონდა ჩახსნილი. შენიანი იყო, თხემით ტერფამდე შინაური. აკვირდებოდა, თვალებს ნაბავდა, როგორც თაგვი, უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმას რომ აპირებს სათაგურისაკენ.

იბანავეს. ანკარა და თბილი იყო წყალი. აქა-იქ ვარსკვლავები ირეკლებოდა შიგ. იკულოვმა და ტატიანამ ყველაზე შორს გასცურეს. იკულოვი ტატიანას ქვეშ ყვინთავდა და აშინებდა, ეხებოდა მის ტანს. უნებლიეთ. მერე კი ხელს უწვდიდა, შველოდა, წელზე ხვევდა ხელს, უფრთხილდებოდა. ის კი გაუთავებლად მიედ-მოედებოდა რაღაც სისულელეებს და პლიაჟური სიცილით იცინოდა. იკულოვი კვლავ ხელს აშველებდა. სინჯავდა. უეჭველია. ამოწმებდა მაინც: ჰო-ჰო, არა-არა. საწყალი სმოლიანიცკი, ცურვა არ იცოდა. ნაპირთან ჭყუმპალაობდა და ქალაქურად, დილეტანტურად კნაოდა: „აუ!“

ნაპირზე სხვა ადგილას გამოვიდნენ, სმოლიანიცკის ეთამაშებოდნენ ვითომ დამალობანას, ასულელებდნენ. აქ მკვრივი, სუფთა ქვიშა იყო და ტატიანა. სიცილი რომ მოეგუდა, ნახევრად სუნთქვაშეკრული დაეცა ზედ. იკულოვიც სისინით მიუწვა გვერდით: „სსს!“ და ისევ (რაღა თქმა უნდა, რომ სრულიად უნებლიეთ, საერთო მხიარულებით ატაცებულმა, მეგობრულად — რა უნდა თქვა, ვერაფერს ვერ იტყვი) ხელი მუხლზე დაადო. მერე (ცხადია, სიცილით რომ იგუდებოდა, მაშინ) თავისი სველი თავი ბარძაყებს შუა ჩაუდო და (შემთხვევით, ამაში აბა, ვის შეეპარება ეჭვი) წამით ყური მიადო მის მკერდს. სმოლიანიცკი ღმუოდა, ერთადერთი განათებული ვარსკვლავიღა შერჩენოდა ჩაბნელებულ ცას, თაგვი უკვე შეცუნცულდა სათაგურში, ახლა ისღა დარჩენოდა, რომ სატყუარასთვის გაეკრა კბილი. ერთი წამიც რომ დააყოვნოს კიდევ, ეს უკვე თანხმობას ნიშნავს. ჰა! მერე ველარ გააჩერებ, იცოდე, იკულოვს! ველარც თვითონ შეიკავებს თავს. ჰა!.. და იდაყვებზე წამოიწია უცებ, წამოხტა... არა, კი არ წამოხტა, იკულოვმა სტაცა ხელი, რომ დგებოდა მაშინ, მხარზე გაიდო და წყლისკენ გააქცუნა. გააქცუნა და შევიდა მასთან

ერთად წყალში, მერე მაღლა შეისროლა და, როგორც კოშკურიდან, ისე გადაგდო — ტატიანამ ერთი შეყვირებაღა მოასწრო და თავით გადაეშვა წყალში.

ბოლოს, ყელამდე წყალში იდგნენ ჯერ კიდევ, როგორც იქნა, დაიდგეს ფეხი, იკულოვი უცებ დაეძგერა, მთელი ძალით მიიზიდა, თავისკენ. თითქოს უნდოდა ეკოცნა, მაგრამ ამის ნაცვლად, ცოტა არ იყოს, შემპარავად და დამციხავად ჰკითხა: „შენ რა, ქალიშვილი ხარ?" ხუმრობდა თითქოს. მადლობა ღმერთს, მოახერხა ეპასუხა: „არა, ქალი ვარ." (გულში ამაყობდა მერე ამ პასუხით, რომ გაახსენდებოდა: აი, ა ს ე ვუთხარი).

ისე, ცოტა არ იყოს, შერცხვა და შეეცოდა კიდეც ეს კაცი. მეტისმეტად შევტოპე, ბავშვები ხომ არა ვართ. ჩვენ დროში ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება. არადა, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა? ასე მარტივი, ასე ოლად მისაწვდომი რად უნდა იყოს ყველაფერი? აი, რალაცამ ხომ დააკავა? თუმცა სირბილით კი დარბოდა უკვე სათაგურში. „მე ქალი ვარ!" ყველაფერი სწორია. არიან ქალები და არიან დედაკაცები. ამაშია საქმე. იკულოვის კი არ უნდა რცხვენოდეს, არამედ — სმოლიანიცკისა. რა უნდა ეფიქრა ამ კაცს ტატიანაზე, როცა იკულოვი ხვალ, როგორც თავის თანაავტორს, თვალს ჩაუკრავდა და მოუყვებოდა, რა მოხდა იქ, ტბაზე, სანამ ის თავის „აუს" ძახილით იკლებდა იქაურობას!

მერე ის იყო — უკან ბრუნდებოდნენ, ირგვლივ განათებული აგარაკები მოჩანდა, ბაღლები ყეფდნენ, ტელევიზორებიდან სიმღერის ხმა ისმოდა. ჯერ თორმეტი საათიც კი არ იყო, იქ კი, ტბაზე, ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, რომ შუალამე თითქოს დიდი ხნის გადასული იყო უკვე. თანაავტორები მიწისქვეშა გარაჟებზე და უნივერმაგებზე კამათმა გაიტაცა და ჩამორჩნენ. ტატიანა დაწინაურდა. ო, როგორ მოუნდა უცებ შინ ყოფნა! მოუნდა, რომ შინ ჟორა დახვედროდა. მარუსკა, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე ყოფილიყო. მათ გარდა მშველელი თითქოს არც არავინ ჰყავდა, სად არიან, სად?

სიმთვრალე გამოჰქარდა, დამთავრდა თამაში, სულ რალაც ნახევარ საათში გუნება-განწყობილება პლიუსიდან მინუსით შეიცვალა. ახლა შეურაცხყოფილად და შეგინებულადაც კი მიაჩნდა უკვე თავისი თავი. თავგადასავალი კი არ უნდოდა — როგორ არ ესმით ეს კაცებს! — თავგადასავალი კი არა, გატაცება. რა იფიქრა ნეტა? ვინ არის ტატიანა? შეეზიზღა უცებ იკულოვიც, ეს აგარაკიც, საერთოდ — მთელი ეს დღე, თავისი თავიც. რა უხამსობაა! აი, ამას ჰქვია სწორედ უხამსობა. ცალ ხელში დაიჭირო, ერთდროულად, სიგარეტიც და ჭიქაც და მერე პირველივე შემხვედრს ხელი შეასმევინო შენს სხეულზე.

და მაინც, პატარა ხანში, ისევ ამ ხალხთან ერთად მოუწია მგზავრობა ელექტრომატარებელში. მამაკაცებმა წამოსვლის ხანს მგზავრობისა კიდევ გადაჰკრეს თითო და ახლა სიმღერას ამბობდნენ. იკულოვი, თითქოს აქ არაფერია, თავისას განაგრძობდა, კვლავ ცდილობდა როგორმე დაეჰიპნოზებინა ტატიანა — როგორც ჩანს, არ გამოსდიოდა თავიდან ის ამბავი, რომ სულ ცოტაც და სათაგური გ ა ჩ ხ ა კ უ ნ დ ე ბ ო დ ა. ვაგონი ერთთავად იქით-აქეთ ირწეოდა, ტატიანამ, დაჯდა თუ არა სკამზე, იმწამსვე კედელს მიადო საფეთქელი, ერთხანს უმწეოდ აფახულა წამწამები და მერე ძილ-ბურანში გადაეშვა.

იკულოვმა და სმოლიანიცკიმ სადარბაზომდე მიაცილეს და, ეტყობოდა, შინაც უნდოდათ შეჰყოლოდნენ, მაგრამ ტატიანამ უარი უთხრა. ლიფტშივე,

გზადაგზა იხსნიდა ქვედაკაბის ღილებს, მთელი დღე რომ მარწუხივით უჭეჭ-კავდა გვერდს, ზეზეურად წაუძინა კიდეც ერთი ნახევარი წუთი, ერთი სული ჰქონდა, როდის შეაღებდა კარს და დაეგდებოდა ლოგინზე.

მაგრამ იმ დღეს, ეტყობა, მეტი ძილი არ ეწერა. ლიფტი ჯერ [illegible] გზაში იყო, რომ ყვირილი და ქალის გამკენავი ხმა შემოესმა. [illegible] ალბათ. ო, ღმერთო, ნეტა არ დამინახავდეს! რას არ დაგინახავს?!

მეშვიდე სართულზე ტასკას თავისი დაქალი სვეტკა უტრიალებდა დედამამის სულს თავისი ვიტკას გამო, ვიტკას მეგობარი კოლკა ვიტკას ასწავლიდა ჭკუას, როგორ უნდა მოპყრობოდა სვეტკას, ყველანი ერთად კი ვილაც ხანშიშესულ ლუსკას ტუქსავდნენ, ნახევარლიტრიანი კიბის თავში, სახახძრო ონკანის ფანჯარაში რამ დაგამალინაო.

ტასკამ აუცილებლად მიიჩნია დაწვრილებით მოეყოლა და რამდენჯერმე გაემეორებინა მთელი ეს საინტერესო ინფორმაცია ტატიანასთვის. ტატიანასთან სამზადში იჯდა (ვინ იცის, მერამდენედ უკვე) და ცხარე ცრემლებით დასტიროდა თავის გზააბნეულ ცხოვრებას. მსხვილფეხება, დიდმკერდა და დიდცხვირა ტასკა, ოქროს საყურეებითა და ბეჭდებით რომ იყო დახუნძლული, შუასაუკუნეებრივი ვნებათაღელვით იყო აღტყინებული, სამეფო კარის შესაფერისი სირთულის ინტრიგებით იყო გატაცებული, ეკატერინესეული გაქანებით მართავდა იგი თავის სასიყვარულო საქმეებს, ბანქოს ქაღალდივით ურევდა ერთმანეთში თავის ფავორიტებს: დაიახლოებდა, შემოსწყრებოდა, ყიდულობდა, იტაცებდა. რაც უნდოდა იმას აკეთებდა. მაგრამ აი, ამ წუთებში, როდესაც ბოლმა ახრჩობდა და ვერა და ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ვიტკა ცხვირწინ ააცალეს, საცოდავად, მაგრამ მაინც ადამიანურად მოსთქვამდა. თუმცა მისი უსირცხვილო თვალები მაინც ბოლომდე შეუვალი რჩებოდა და საკმარისი იყო ერთი თითი დაექნია ვინმეს, რომ იმწამსვე შეაშრებოდა ცრემლი.

ტატიანამ მას თავისთან გაუშალა ლოგინი. დაწოლილი არ იყვნენ, რომ ტასკამ, „შენ დაიბინე, ტანია, დაიძინე“. — უთხრა და თავის მსხვილი ფეხებს წვერებით ოთახიდან გავიდა, სულ წავიდა. სად? ნუთუ ვიტკაა კოლკასთან?..

აი, ასე გაიარა მეორე უძილო ღამემ. დილის ცხრა საათზე კი ირკამ დაურეკა, უკვე მოსკოვიდან, აეროპორტიდან, სთხოვდა ჩემოდანი მომიტანე სასწრაფოდ დომოდედოვოში. ფხიზელი იყო და, ცოტა არ იყოს, უხალისოდ ლაპარაკობდა. „შენ რა... რამე ხომ არ მოხდა?“ „არა, არაფერი, ერთ საათში გელოდები, შესასვლელთან“.

რას იზამდა, აიკიდა ირკის ჩემოდანი და მწვანეეაშლებიანი ჩანთა და მიჩანჩალდა სადგაიას ქუჩამდე, ტაქსი რომ დაეჭირა. სიცხე უკვე იგრძნობოდა, „მაიკმა“ გადმოსცა, ოცდაექვსი გრადუსი იქნებაო. გუშინდელის შემდეგ კუნთები სტკიოდა. ტანი დამძიმებოდა და ძლივს მიათრევდა ფეხებს. ამ სიცხეში არც კოსმეტიკის თავი ჰქონდა და არც თმის დავარცხნის. ძველი კაბა ჩაიცვა, თავისუფალი, „ქარი რომ უქიქინებდა“, ფეხებიც ძველ საბოლებში წაჰყო, მარტო სახლშილა რომ იცვამდა. დაუვარცხნელ თავზე თავსაფარი წაიკრა და ასე, ვილაც სოფლელ მარფუტკასავით (თან ჩემოდანი ეჭირა ხელში), გაუდგა გზას.

ირკა შორიდანვე დაინახა, აეროვაგზლის ფასადს რომ უანგლოვდებოდა ტაქსით — მხრებში მოხრილიყო, ჭრელზოლებიანი ქაკეტი ეცვა და ზედ მზის გულზე სცემდა ბოლთას. გული ჩასწყდა მის დანახვაზე, უხალისოდ გამოიყურებოდა ირკა. დასანანია, ერთი შეხედვითაც კი, სხვისი თვალითაც — შეგეხედა, ცხადი იყო: გაფრინდა ახალგაზრდობა. ამ ქაკეტსაც და ჩანთასაც [illegible] პროვინციული ელი დაჭერავდა. ზოგი ქალი ქუჩაში უფრო კარგად გამოიყურება, ზოგს კი ოთახი უხდება. თუმცა, ერთ დროს, ირკა ყველგან ერთნაირად მომხიბლავი იყო. რას იზამ, ექვსი წელი ნორილსკში, სამშენებლო სამმართველოში, მუდმივ გამყინვარებაში, ხუმრობა არაა.

სადმე დაჯდომის და გულდადებულად დალაპარაკების დრო უკვე აღარ იყო. რამდენიმე სიტყვითაც ნათელი გახდა, რომ ირკას ის თავისი ალიოშა არ უნახავს. არა, მერე კი თქვა, ვნახეო, მაგრამ ეს უკვე კარგი რომ იქნებოდა ის იყო და არა ის, რაც სინამდვილეში მოხდა. ერთი სიტყვით, ირკა დონეცკში რომ ჩაფრინდა, აეროპორტში ალიოშა არ დახვედრია, მძღოლი გამოგზავნა, მძღოლმა საატუმბოში წაიყვანა (თან გზაში ალბათ რაღაც კიდეც გადაუკრა) და მთელი დღე და მთელი ღამე ირკამ ნომერში გაატარა, ტელეფონს არ მოსცილებია. „იცი, დღე და ღამე ცარიელ ნომერში..." ტატიანამ მაშინვე თავისი თავი წარმოიდგინა ირკას ადგილზე, წარმოიდგინა როგორ მიფრინავდა, მიჰქროდა თავქუდმოგლეჯილი, აეროპორტში კი ვიღაც შოფერი გწონის და გზომავს თვალით: „ხოტელშიო, უმფროსმა", მერე ზიხარ ამ „ხოტელში", ტელეფონთან, საათი საათს მისდევს... გამოფხიზლდები, აბა, რა მოგივა. „იცი, მე მგონია მალაროში კი არა, იალტაში იყო წასული".

გადაეხვივნენ ერთმანეთს, წამოიტირეს და ირკა შეძინულ, გაყინულ დერეფანს გაუყვა სწრაფი ნაბიჯით, წამდაუწუმ უკან იხედებოდა და ხელს უქნევდა ტატიანას. ახლაც, როგორც ოდესღაც, ირკას ტატიანაზე უფრო ახლობელი არავინ ჰყავდა. ღმერთო დიდებულო, რა პირით უნდა ეჩვენოს თავის ქმარს? როგორ უნდა იცხოვროს? რაზე უნდა ილაპარაკოს? ღალატი მაინც ღალატია — გინდა გილალატია და გინდა მოგიპარავს. ასე რომ არ იყოს, რატომ შეგვრცხვებოდა ამის? სულ ტყუილია, რომ ღალატს თავისი მომხიბვლელობა გააჩნია, საპატიებელია და ასე გასინჯეთ, საპატიოც კი. არა, რაც გინდა თქვი და ქურდობა მაინც ქურდობაა. დადექი და იმართლე მერე თავი რითაც გინდა, — ათასი გასამართლებელი საბუთი არსებობს — ზოგს უჭირს და იმიტომ ქურდობს, ზოგს შია, არის ხალხი, ვისთვისაც ქურდობა ერთი გადაფურთხებაა და მეტი არაფერი, მოიპარავს და დაავიწყდება იმავე წუთში; მაგრამ ჩვენ ხომ ქურდები არა ვართ, კლეპტომანია ხომ არა გვჭირს, ჩვენ ხომ ჩვენი სინდის-ნამუსით მოგვაქვს თავი?

აქეთობისას ტატიანა ელექტრომატარებლით ბოუნდებოდა უკან, უსაშველოდ გრძელი გამოდგა ეს გზა, ვაგონში სუნთქვა ჭირდა, ტატიანა სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა, მთელი გზა ირკა ედგა თვალწინ. რა იქნება მისი ამ ორკვირიანი აიგიეის საზღაური? ალიოშაა საზღაური, ალიოშაი, რომელსაც იგი ალბათ ალარასოდეს შეხვდება? ან იმ ჰაერში გამოკიდული ციხე-კოშკებისა, ასე უცებ რომ გამოეშალა საფუძველი?... და მაინც, ვინ იცის, იქნება ირკა მართალია? იქნება ისევ ეს სჯობია, მასავით, ტატიანასავით, უქმად ჯდომას? ვინ იცის, ყველაფერი ხომ შედარებითია?

როგორც იქნა მიაღწია შინამდე, ჩაიკეტა, ძილის წამალი გადაყლაპა და — ჩაიძირა. ვიღაცა რეკავდა, ეძახდა, მღეროდა... ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და შლიდნენ ერთიმეორეს სიზმრები („ხილვები" — ასე ამბობენ ჩვენი ასტრა. ასტრამ სიზმრის ახსნაც იცის).

ასე ეძინა დღე და ღამის ნახევარი, ღამის სამ საათზე წამოდგა, მაცივრიდან ცივი რძე გამოიღო, დალია და ისევ დაიძინა.

დილით კი ისევ მხნედ იგრძნო თავი, წაუმღერა. კიბეებით ჩაირბინა ქვეით, ულიფტოდ. ქუჩაში იაევ სიცხე და ბული ეცა ცხვირ-პირში, ცაცხვია შავე გაცვენილი ყვავილების სურნელი, გუდრონისა და ყვითელი, ასფალტის მოსასწორებელი უშველებელი მანქანების ოხშივარი, სადოვაიას ქუჩას რომ აუთოვებდნენ, ტროლეიბუსშიც ისევ ჭყლეტა იყო, სამსახურში — ისევ ის ერთიანად გაბოლილი დერეფნები დაუხვდა, იგივე სახეები, იგივე ხუმრობები, ავანსი და ხელფასი, ავანსი და ჩელფასი და ა. შ. განყოფილებაში რვა ადამიანის ნაცვლად სამი მუშაობდა. ასტრა დილიდანვე შეფს დასტაკებოდა, იჯდა თავისთვის თამბაქოს ბოლში გახვეული და დანა პირს არ უხსნიდა: იქით კიდევ ნიკალაი ანატოლიევიჩს დაუფრთხო ანგელოზები, — უყურე შენ, იკულოვთან ერთად ბაქოში მოუნდა გასეირნება ვაჟბატონს.

ეს ამბავი რომ გაიგო ტატიანას თითქოს გულზე მოეშვა, მაგრამ ამავე დროს გულიც დასწყდა: აბა, ეს რას ჰგავს. რა დროს ბაქოა? ქალებს არ უყვართ, როცა კაცი ასე ოლად ყრია ფარ-ხმალა, თუნდაც ეს კაცი გამოცხადებული ეშმაკი იყოს. თუმცა თავისი თავის რწმენა მაინც არ შერყეია: იკულოვის ამბავი დღესავით ნათელია, საკმარისია ერთი თითი დაუქნიოს, რომ... მხოლოდ აი, რაში სჭირდებოდა ეს, თვითონაც არ იცოდა.

ტატიანა ხარჯთაღრიცხვაზე მუშაობდა. რომელიც ორი თვის წინათ იყო უკვე დამტკიცებული, მაგრამ მერე ორი თვის განმავლობაში კიდევ სწორდებოდა, რადგან მოიჯარეები, ბუნებრივია, მომატებას ითხოვდნენ. დამკვეთები კი წუწურაქობდნენ, ჯგუფის, რომელიც ხარჯთაღრიცხვაზე მუშაობდა და ესე იგი ტატიანას როლიც ის იყო, რომ წინააღმდეგ მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვისა ახალი ხარჯთაღრიცხვა შეედგინათ და თან დაემტკიცებინათ — იქ, სადაც ორი დავწერეთ სამი უნდა დაგვეწერაო. მოკლედ, საძაგელი სამუშაო იყო, მაგრამ სამაგიეროდ სწორედ დღეს ტატიანა ვალდებული იყო წასულიყო მოიჯარე ორგანიზაციაში, ტრესტში, მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ზოგი რამ ადგილზე დაეზუსტებინა (ცხადია, ეს დაზუსტებაც ფიქტიური უნდა ყოფილიყო, როგორც ყველაფერი დანარჩენი). რაღა თქმა უნდა, რომ უხაროდა ტროპარევოში წასვლა, ოღონდ კი კანტორაში არ მჯდარიყო და...! მით უმეტეს, რომ კაი ხანი იყო უკვე ისედაც ეპირებოდა იქით — დედამისის ბინაში ყვავილებისათვის წყალი უნდა დაესხა. დედა და მაბინაცვალი ორი თვით იყვნენ წასულნი ყირგიზეთში, ექსპედიციაში, ბინა ტატიანას დაუტოვეს მისახედად.

დედამისს ახალი ბინა ჰქონდა, ახალთახალი, რომ იტყვიან — ადგილებს არ შეშრობოდა ჯერ, სულ არაფრით არ ჰგავდა ეს ბინა მათ ძველ, ბებიამისის ნაქონ ბინას ზემლიანიზე, ჩკალოვის ქუჩაზე: იქ ერთთავად სივიწროვე იყო, ხმაური, ყველაფერი საერთო, კომუნალური, გრძელი დერეფანი და შუაში ამ დერეფანში. ტატიანამ მთელი თავისი ბავშვობა ისე გაატარა, რომ სულ გასა-

შლელ ლოგინზე ეძინა. ფანჯრის რაფებზე, ხის ტაფებში დედა ყვავილებს ახარებდა, კოლბებში კი წყალმცენარეები ქივდებოდნენ. მამა ტატიანას არ ახსოვდა, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა, მოსკოვიდან ძალიან შორს. მამინაცვალი კი სულ ამ შვიდიოდე წლის წინათ მოევლინა, ტატიანა უკვე გათხოვილი იყო.

ახალ ბინაში ყველაფერი ახალი იყო და ერთიანად ბზინავდა და ციმციმებდა. სახლის პატრონებს ყველაფერი თავის გემოზე გადაეკეთ-გადმოეკეთებინათ, ერთ, ნათელ სტილში იყო გადაწყვეტილი მთელი ბინა: ღია ფერის შპალერი, ღია ფერის ხე, ავეჯი — რაც შეიძლება ცოტა, კედელში ჩატანებული კარადები. საძინებელი საძინებელი იყო, სასადილო — სასადილო, სასტუმრო — სასტუმრო; ასეთი განაწილება ოთახებისა თავისთავად უკვე სიახლისა და ფუფუნების მანიშნებელი იყო. არადა დედამისმა ნახევარი ცხოვრება ერთ პატარა ოთახში გაატარა, რომელიც ღამე საძინებლად იქცეოდა, სადილობის დროს — სასადილოდ, სტუმარი რომ მოუვიდოდათ — სასტუმროდ. ბინაში ბევრი ყვავილი იყო, ყვავილებით იყო გავსებული ფანჯრის რაფები, ყვავილები იყო ჩამოკონწიალებული კედლებზე, ყვავილები იდგა დიდრონი ქოთნებით იატაკზე.

ტატიანა, როგორც ორანჟერიაში ისე შევიდა ბინაში და მაშინვე აფორიაქდა. ყვავილები ყვიროდნენ პირდაპირ, ტიროდნენ, სულმოუთქმელად ეგებებოდნენ თითქოს ტატიანას. აგერ რტო დაწეულა, აგერ ქოთნის ყურზე ჩვარივით დაცვენილა ფოთოლი, იქით კიდევ, თითქოს მკლავები შემოუხვევია რეზინის გამომშრალი მილისთვის რომელიღაც მცენარეს, ამ მილით რომ წვეთწვეთად იღებდა წყალს მომაღლოდ შემომდგარი შუშის ქილიდან. ახლა ეს ქილაც ცარიელი იყო და გამომშრალი, მის ფსკერზე დამხრჩვალი ბუზი ეგდო. მარტოოდენ თავშეხვეული კაკტუსებილა ითქვამდნენ ძალუმად სულს, გამოქვაბულის ბინადარი, ხორცისმჭამელი ნადირებივით.

როგორც დაღუპვის პირას მიმდგარ ბავშვებს, ისე ეცა ტატიანა ყვავილებს, თან თავის თავს ლანძღავდა — თითქოს ერთ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ბედისათვის. საცოდავები, უმწეოდ ტიროდნენ, აღარ სჯეროდათ გადარჩენის, ნელ-ნელა მიჩუმდა მათი უსიტყვო ყვირილი, თევზებივით იძირებოდნენ წყალში, სუნთქავდნენ. წყეული სიცხე! თითო-ოროლა ყვავილიღა გამოიყურებოდა სრულიად უიმედოდ, სიყვითლე მოსდებოდა მათ ფოთლებს, გამომშრალიყო და ხელის შეხებისთანავე იმტვრეოდა მათი კიდეები. ერთთავად გამომშრალ მიწას შავი ფერი მიეცა, ლაპლაპი გაუდიოდა და ავალსა და ხელს შუა ქრებოდა უცებ წყალი, ისრუტებოდა. ტატიანამ ახლაღა შეამჩნია, რომ შეუსვენებლად ელაპარაკებოდა ხმამაღლა ყვავილებს: ჰოი, თქვე საცოდავებო, თქვე საწყლებო, ახლავე, ახლავე!

ტატიანამ ვიწრო, გვერდითი სარკმელი გამოაღო და მეთხუთმეტე სართულიდან გადახედა შუადღის ბუღში გახვეულ, მისთვის უცნობ ქალაქს. სიმაღლეც, ხედვის ეს კუთხეც, თავად სახლიც — ყველაფერი ახალი და უცხო იყო. ამ ტროპარევოში, ქალაქისათვის ასეთი სასაცილო სოფლური სახელი რომ შეენარჩუნებინა, აღარაფერი აღარ იყო უკვე სოფლური, ცოტათი მაინც რომ მოგაგონებდათ იმ სოფლურ, ხისსახლებიან მოსკოვს, რომელიც მას იაუზას გალმა ნაპირზე გატარებული თავისი ბავშვობიდან ახსოვდა. დედამისის

ამ ახალ ბინაში არაფერი, სულ არაფერი, არც ერთი, თუნდაც სრულიად ეფნი-შვნელო ნივთი არ იყო გადმოსული წარსულიდან, არაფერს არ ასდიოდა სურ-ნელი სიტყვისა „დედა“; ასევე არც იმ თავისებურად დიდებულ და გამომწ-ვევად თანამედროვე საცხოვრებელ მასივს აღარ ეცხო არაფერი მიწურებისა და სადაბალოების ქალაქისა.

დედამისის შემოსასვლელში პარიზული აკვარელის, ბელამორუტ ხატისა და ᲓᲜᲛ-ს ფანტასტიკურად ლამაზი მოდელის გვერდით, ტატიანას ფოტოსუ-რათი ეკიდა, ტატიანას მუხლებზე ორი წლის მარუსკა ეჯდა. კარგი ფოტო იყო, ზაფხულში იყო გადაღებული, კარგად იყვნენ გამოსულნი ორივენი, ორი-ვენ ერთნაირი, ლაპლებიანი, უსახელო კაბები ეცვა, ზუსტად ერთნაირად უჭუ-ტავდნენ თვალს მზეს და იბზუებდნენ ცხვირს. ტატიანამ უცებ გაიფიქრა, რომ აი, ეს ფოტოსურათი, ეს ნიშანი იმისა, რომ მას ჰყავს ქალიშვილი და შვილი-შვილი, დედამისისათვის სავსებით საკმარისი იყო და დღესდღეობით ამით ამოიწურებოდა მათი ურთიერთობა. თუმცა, მაინცდამაინც დიდი სიახლოვე არც არასოდეს ჰქონიათ. დედა ძალიან დაკავებული ქალია, ნიჭიერია, მეცნიე-რებას მიუძღვნა თავისი თავი, ახლა კი თავიდან, სხვა ცხოვრებით ცხოვრობს.

მერე კიდევ იმანაც გააკვირვა უცებ: რამდენად უფრო ნათელი, დახვეწი-ლი, ახალგაზრდა ყოფილა ხუთი წლის წინათ. უკეთესი. თვალებიც უკეთესი ჰქონია, გამოხედვაც. უფრო სუფთა თითქოს, თუ რა ჰქვია ამას... ყელიც ჯერ ისევ ნორჩი, არაქალური. ხელებიც როგორი ნაზი აქვს! ჰოი დასწყეველის ღმე-რთი! ტყუილად კი არ იმეორებს ასტრა წარამარა: „ერთი რამ გახსოვდეს მარ-ტო — მალე დაბერდები. სხვა ყველაფერი დაივიწყე, ჩემო გოგო“. მარუსკა რომ მარუსკაა, ისიც უკეთესი ჩანს, უფრო სუფთა, ხუთი წლის წინათ. იმ თა-ვის პაწაწინა სარაფანაში, აფუშფუშებული სამხრეებით. ახლა უნდა ნახო როგორ მეტიჩრობს უკვე: „დედა, რას მაცმევ. გაგიჟდი?“

ტატიანამ საათზე დაიხედა და აჩქარდა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ყვავილებს წასვლის წინ. გამოცოცხლდნენ ყვავილები. მის იქ ყოფნაშივე მოა-სწრეს სულის მოთქმა. დახრილი რტო აღარ იყო უკვე ისე დახრილი და იგრძ-ნობოდა, რომ მალე გასწორდებოდა წელში. ფოთლებმაც, ,ქოთნის ყურს რომ მისწებებოდნენ, ცოტა წამოსწიეს თავი. მთელი ეს პატარ-პატარა ყვავ-ლების ბალი ფეხზე დგებოდა, ყელყელაობდა უკვე, უსიტყვოდ ძლეროდა და ზეიმობდა. ერთხელ, მეტროში უყურა ამას ტატიანამ, ჯგუფად იდგნენ ყრუ-მუნჯები. გოგოები და ბიჭები, ჩვეულებრივად ჩაცმულ-დახურულები. ვერა-ფრით ვერ განასხვავებდი მათ სხვა გოგოებისაგან და ბიჭებისაგან. ვილაცა გააცილეს, ვაგონში ჩასვეს და კარი რომ დაიკეტა გამოუდგნენ უკან. მაგრამ ჭედვა იყო და ფეხი ვერ მოიცვალეს ადგილიდან. ჰოდა დაიწყეს ხელების ქნევა. ყვირილი, სიცილი. ერთი სიტყვით, გრძნობების კორიანტელი დააყე-ნეს, ხმა კი არ ისმოდა მათი. ასე იყო ეს ყვავილებიც. ისინიც თავიანთი ცხოვ-რებით ცხოვრობდნენ, ღელავდნენ, კოპწიაობდნენ; და თითქოს ცდილობდნენ არ გაეხედათ იმ ორი პატარა ქოთნისაკენ, სიცოცხლის არავითარი ნიშან-წყა-ლი რომ არ ეტყობოდათ.

ტატიანამ გამოთხოვებისას კიდევ რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ყვავილებს და შეჰპირდა, ამდენი ხნით ამიერიდან აღარ მიგატოვებთო. ქუჩაში რომ გამოვიდა რაღაცნაირ სიცარიელეს გრძნობდა და ამავე დროს

თითქოს შეცვლილიც იყო, განახლებული. თუმცა ისიც მართალია, რომ ეს განახლება უფრო სასოწარკვეთისა იყო, ვიდრე სიმშვიდისა.

სამმართველოში ათ წუთში მოაგვარა ყველა თავისი საქმე და ასტრას დაურეკა, უჩემოდ არ წახვიდე სასადილოდო; ასტრას წინაშე დამნაშავედ გრძნობდა დღეს თავს, მარტო რომ მიატოვა.

ნასადილევს უკვე აღარ მოსცილებიან ერთიმეორეს. სამსახურის მერე კი ასტრამ ტატიანასთან გადაწყვიტა წასვლა ღამის გასათევად, ძალიან ნაწყენი იყო იმ თავის ნიკალაიზე.

სხვათაშორის, სასადილოში მალიხინს მოჰკრეს თვალი. ასტრა და ტატიანა რიგში იდგნენ, მალიხინი კი უკვე სავსე ლანგრით ხელში სალაროს გამოსცდა და ახლა თავისუფალ ადგილს ეძებდა დარბაზში თავისი ალაპლაპებული სათვალიდან გამომზირალი თვალებით. ნამზეური იყო, გამხდარი — როგორც ჩანს, შვებულებიდან დაბრუნდა — ცისფერი, მოკლე სახელოებიანი პერანგი ეცვა — ეს აშკარა პროგრესი იყო, — მისგან წარმოუდგენელი თავისუფლება — მალიხინი და უგალსტუკოდ? და მაინც, როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაც უგერგილოდ ირჯებოდა, ერთი ნახევარი წუთი უაზროდ იყურებოდა იქითაქეთ, როგორც გინახიათ კინოკომედიაში და მისი ღიმილი, საყვარელი, მორცხვი ღიმილი, მაინც საცოდავი იყო და მაამებლური. მაინცდამაინც ვერც შეთხელებული თმა მატებდა მომხიბვლელობას, ვერც სათვალე, ვერც ეს ახალმოდური პერანგი და ვერც შარვალი, რომელიც აშკარად არ უნდა ყოფილიყო მოდელების სახლის შეკერილი. თანაც ორი მათლაფა სუპი ედგა ლანგარზე, ამ სიცხეში! დიდი ვერაფერი შვილი კავალერი იყო მალიხინი, რა სალაპარაკოა, ასეთით თავს ვერ მოიწონებ! თუმცა ყველამ იცოდა, რომ ჭკვიანი, განათლებული და ძალიან კარგი კაცი იყო, საუკეთესო მუშაკი.

ასტრამ და ტატიანამ ერთმანეთს გადახედეს და ფხუკუნი აუტყდათ. მალიხინს ისინი არ დაუნახავს.

ასტრამ, სხვათაშორის, არ იცოდა ის ამბავი. არც არავინ არ იცოდა. მალიხინი კი — ტატიანა ამაში დარწმუნებული იყო — არავის არასოდეს არ მოუყვებოდა ასეთ რაიმეს. ნუთუ თავის უახლოეს მეგობარსაც მხოლოდ იმიტომ დაუმალა ეს ამბავი, რომ ი ს მალიხინი იყო?

გაახსენდა ის დრო, როდესაც მალიხინი მთელი დღე მათს სართულზე ტრიალებდა და, ყველანი იცინოდნენ მალიხინის სიყვარულზე, ტატიანა კი ბრაზდებოდა. მაგრამ აი, როცა დასჭირდა, მშვენივრად წავიდა თავისი ფეხით მასთან.

ეს შეხვედრა, რაღა თქმა უნდა, რომ არაფერს არ ნიშნავდა. შთაბეჭდილება ამ შეხვედრისა უცებ გაიყინა გონებაში, გაუაზრებლად და განუვითარებლად. ეგ იყო, აღინიშნა მხოლოდ: მალიხინი, ნამზეური, საჩოგბურთო პერანგში გამოწყობილი. მორჩა, მეტი არაფერი. მუმლმა გვერდზე ჩაუფრინა და ოდნავ შეარხია ობობას ქსელი, ეს იყო და ეს.

ო, როგორ იქეიფეს იმ საღამოს ასტრამ და ტატიანამ! მოიოხეს გული! ნამდვილი დღესასწაული მოიწყვეს, ღიპიც აზეიმეს და სულიც! აი, როგორიც უნდოდათ, ისეთი ვახშამი გააწყვეს. ამას ერქვა: დიეტისაგან განტვირთვის დღე! ყოველი მათგანი ჭამდა იმას, რაც უყვარდა და იმდენს, რამდენიც უნდოდა. შემწვარი კარტოფილიც ჰქონდათ, ერბოკვერცხიც, დამარილებული

თევზიც, თეთრი პურიც, კარაქიც, ლორიც, პამიდორიც. პურის ქერქებს აწყებდნენ სალათის არაჟნიან საწებელში და, გაგიჟება შეიძლება, შუალამისას კუპატები შეიწვეს. ყავას შაქრიანს სვამდნენ და ნაირნაირ ნამცხვრებს, კრემიანს, ატანდნენ ზედ, — საგანგებოდ შეიარეს კულინარიაში ახალ არბატზე, დასაწყისისათვის არაყი მიირთვეს, მერე კი ასტრა თავის საყვარელ, ქალიშვილობის დროიდან, კაგორს უბერავდა, ტატიანა კი რისლინგში ყინულის ნატეხებს ყრიდა და იმას ეძალებოდა.

რაღას არ მიედ-მოედნენ, ვინღა არ გაჭორეს! ტელევიზორსაც უყურეს, ყავაზეც იმკითხავეს, ბანქოს ქაღალდზეც. ჭინჭებს იზომავდნენ და ცვლიდნენ ერთიმეორეში, თუმცა ასტრა ტატიანაზე ორჯერ უფრო დაბალი და სქელი იყო. წყევლიდნენ თავიანთ სამუშაოს, ოფისს, შეფს. დაადგინეს, რომ ყველა კაცი ნაგავია, მათი საკუთარი კაცების ჩათვლით. ფრჩხილებს იღებავდნენ, მღეროდნენ. მერე ისევ ჭამდნენ და სვამდნენ.

ასტრა შეუსვენებლად ქაქანებდა და ქაქანებდა, გემოს ატანდა ლაპარაკს, როგორც საერთოდ ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა. თვალებს ქაჩავდა და პირიდან ბოლს იფურთხებოდა. ო, დღეს ძალიან მაღლა მოუწია აფრენა და მისი გესლიანი ენა მისსავე ცუდ გუნება-განწყობილებას უწევდა სამსახურს! სამყარო და ბუნება — ქაოსი და შემთხვევა, სისასტიკე და უსამართლობა. ჩვენ ბაიბურში არა ვართ, სიკვდილი კი ამ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვისაფრდება და დაგვცინის. ყველაფერი პირობითია, ზნეობა, ზნეობა რა არის? ფარია, იმ საშინელების შეგრძნებისაგან რომ გვიცავს, რაც მოგვიცავდა, სიმართლისთვის რომ თვალებში შეგვეხედა. ბოლში გახვეული ასტრა ჩახჩახებდა: ამიტომ არის, რომ ჭკვიანი კაცი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მისთვის ახლა, ამ წუთშია ხელსაყრელი, თუ არადა — ტყუის, ან სულელია.

ტატიანა უსმენდა, თავს უქნევდა (ასტრას წინაშე თავს ისე გრძნობდა, როგორც ტასკა გრძნობდა თავს თვითონ მის წინაშე), თუმცა მშვენივრად ხვდებოდა: ასტრა იმას ამბობდა, რისი გაგონებაც სჭირდებოდათ და უნდოდათ მათ (ორივეს) ამ წუთში — არ შეიძლება, რას მიქვია, ჯანდაბაა ყველაფერი, რაც გინდა ის უნდა აკეთო.

მაგრამ სულ ამ ცოტა ხნის წინათ (ერთი ფილმის მერე, რომლის საყურებლადაც ერთად გაიპარნენ, ხმაურიანი რეკლამით ცდუნებულნი) ასტრა სულ სხვანაირად მსჯელობდა. ბაყაყივით იბერებოდა და დუჟი ადგებოდა პირზე, ისეთი გახელებით ესხმოდა თავს თანამედროვე ანა კარენინას ავტორებს, რომ ამტკიცებდნენ, ქალს აქვს თავისუფლების უფლებაო, გატაცებისა უფლებაო (ორი გატაცებისაცო, თუ მოინდომებსო). მ ა შ ი ნ ასტრა ყვირილით იკლებდა იქაურობას, სულ აურ-დაურიეს ყველაფერიო. ქალის განთავისუფლებას მამაკაცთან მის გათანასწორებას უკავშირებენ და რატომღაც მაინცდამაინც კრეტინ მამაკაცებს უნდათ გაუთანასწოროონ ქალიო. გეგონება ყველა კაცი, უკლებლივ, ტყუილისა და ღალატის მეტს არაფერს სჩადიოდესო. აქედან გამომდინარე ქალებმაც იგივე უნდა მოიმოქმედონო. ბევრმა მართლა ასე გაიგო ეს თავისუფლება: როგორც თავისუფლება მოვალეობისაგან, დედობისაგან, ქალოვნებისაგან, მსხვერპლშეწირვისაგან და, რაც მთავარია, ერთგულებისაგან. მეტი რა უნდათ ამ მცონარა და უტვინო თოქუნთებს?! ყველა ხუშტური, ყველა ახირება — ამბობდა ასტრა — ერთი სიტყვით, ყველაფერი,

რასაც ადამიანი უნდა ებრძოდეს თავის თავში, რათა არ დაემსგავსოს ცხოველს, თავისუფლების საზომად ცხადდება, ან არათავისუფლებისა მონაპოვრად ცხადდება, ზნეობრივი კატეგორიის რანგში აჰყავთ უზნეობა. აურ-დაურიეს, აურ-დაურიეს ყველაფერი! დაავიწყდათ, რომ ანა კარენინა მატარებელს კაი ცხოვრების გამო ჩაუვარდა ქვეშ. ალმაფრენაო, გაიძახიან, ეს ალმაფრენაა, ის კი — პროზა. აქეთ გველი და ვაშლია, იქით პინაზე კი — ერთი მათლაფა სუპი (გეგონება, ყველა ალმაფრენა მაინც ერთი მათლაფა სუპით არ ძთავრდებოდეს!) ბოლოს და ბოლოს რითი სჯობია — ასტრას ხმა ეხრინწებოდა — ლექსი პროზას? არაფრითაც არა სჯობია, ეგ არის, კითხვა უნდა იცოდე!..

მ ა შ ი ნ ა ც ტატიანა სავსებით იზიარებდა ასტრას აზრს, რომ არ შეიძლება, ისევე როგორც ახლა იზიარებს იმ აზრს, რომ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ დღეს ასე უ ნ დ ა? მარტო ამიტომ? ამის გამო ერთი კანონი მეორეთი უნდა შეეცვალა?

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ასტრა აღრიალდა — დავიღალეო, ბაზედოვი მჭირს, ღვიძლი მტკივა, ოცდათხუთმეტი წლისა ვარ და უკვე დედაბერი მგონია ჩემი თავიო. სამსახურიც ყელში ამოუვიდა, საერთოდ არ ყვარებია თურმე მუშაობა, შინ ჯდომა ყვარებია, ოჯახობა, ნამცხვრების გამოცხობა. რატომ არ უნდა შეეძლოს, იჯდეს სახლში და ნამცხვრები აცხოს?

ტატიანამ ასტრა ლოგინში ჩააწვინა, თვითონაც სულ ცოტა აკლდა აღრიალებას.

მერე თვითონაც დაწვა, ძილი არ ეკარებოდა, გაწამებული იყო, გასიებული, ამდენი ჭამით და სმით, აღგზნებული — მაგარი ყავით, წრიალებდა.

ასტრა მეორე ოთახში ხვრინავდა. დაძინებული, პირდაბჩენილი ასტრას ყურება არ იყო სასიამოვნო, გული ეწურებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ასტრასაც სჭირდებოდა მოფერება, სილამაზე, სიყვარული, მოიარება. ც კი არა, სწორედ მას სჭირდებოდა სხვაზე მეტად, იმიტომ, რომ ჭკვიანი იყო და შეეძლო დაეფასებინა ის, რისი დაფასებაც სხვებს არ ეალუძდათ. ღმერთო, რა ცოდვაა ყველა ქალი ამ ქვეყანაზე, საერთოდ — ყველა ადამიანი, თვითონაც რა ცოდვაა!..

ვერა და ვერ მოისვენა, რაღაცა უნდოდა, წასვლა უნდოდა სადღაც, სად — არ იცოდა. ბებიაშისის ბინა ეზმანა, ზემლიანიზე, მერე ქორა დაუდგა თვალწინ, მარუსკა. ყმაწვილქალობისას, ბავშვობაში, — აგონდებოდა ახლა — აგრეთვე ძალიან უჭირდა, მარტო იზრდებოდა და პათოლოგიურად მორცხვი იყო, მაგრამ გრძელ დერეფანში, მეზობლის აცვენილი ბიჭი ბორკა ლიპოვსკი მაინც მიიმწყვდევდა ხოლმე კარადებს უკან, მკერდზე მიიხუტებდა და სრესდა, ძაშინ თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ, მეტის არა. რცხვენია ამის აღიარება, მაგრამ თვითონ უცდიდა ხოლმე ბორკას დერეფანში, როდის დაეძგერებოდა, მკერდზე მიიხუტებდა და ელვლემას დაუწყებდა. ბორკა არასოდეს მას არ უყურებდა ამ დროს, სადღაც მის მიღმა იყურებოდა და მხურვალედ ასუნთქებდა პირდაპირ პირისახეში.

თავისი ქორა კი ისეთი გაახსენდა, როგორიც ის იყო მათი ქორწინების წელიწადს, ბაშინ, როცა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, როცა იქორწინეს, როცა უყვარდათ: ქორას მოტოციკლეტით სერებრიანი ბორში, კუსკოვოში

დაგრიალებდნენ ხოლმე. აქ, ამ ადგილებში გაიარა მათი ყმაწვილური ცოლქმრობის, მათი თაფლობის ზაფხულმა.

ზმანება ზმანებას სცვლიდა — ასტრას ხვრინვის, კიევის ვაგზლის კურანტების, თვითმცლელების ღამეული რბოლის ხმა სულაც არ შეშლიდა ხელს, რომ სიზმრად ენახა უცნაური ხატება ვინმე სანდომიანი წარმოსადეგი უცნობი კაცისა, რომელსაც ის უეჭველად უნდა შეხვედროდა ცხოვრებაში. შეხედავს თუ არა ეს კაცი ტატიანას, მაშინვე ყველაფერს მიხვდება, როგორც კი ხელს მოკიდებს, მაშინვე იგრძნობს ყველაფერს. თვალებით დასწვავს და გაათბობს, ერთხელ და სამუდამოდ სიმშვიდეს ჩაუღვრის სულში თავისი ღიმილით. წავა მერე, არ დარჩება მასთან — ეს მეტისმეტი იქნებოდა — მაგრამ ის მცირედიც, რასაც იგი ტატიანას მისცემს, ტატიანასთვის ძალიან დიდი და ბევრი იქნება, რადგან დროულად იქნება მოწვდილი და დიდხანს, დიდხანა ეყოფა საგზლად.

დამშვიდდა და თითქოს ჩაეძინასავით კიდეც, მაგრამ უცებ — კურანტებმა უკვე საბის ნახევარი ჩამოჭრეს და ცასაც მტრედისფერი გაერია ოდნავ — წამოჯდა ლოგინზე, ფეხებიც კი გადმოუშვა ძირს, ზუსტად იცოდა, რა უნდა ექნა. ახლავე, ამ წუთში. დღესავით ნათელი იყო ეს. აგერაა ტელეფონი. შემოსასვლელში უნდა გაიტანოს მხოლოდ, ანდ[illegible]რად უნდა შემოსასვლელში გატანა? კარს მიხურავს უბრალოდ, ასტრამ რომ არ გაიგონოს. არავითარი უცნობები, სანდომიანები და წარმოსადეგები, უცხობები არა, ტოროლა! ძალიხინს უნდა დაურეკოს. აი, ახლავე, პირდაპირ. მა ლი ხინს. სასაცილოს, უგერგილოს, ასეთსა და ისეთ მალიხინს. ეს ნაღდია. უეჭველი. ეს მას ეკუთვნის. ამ კაცისა ტატიანას დედაზე და ქალიშვილზე მეტად სჯერა. ის ისე მოიქცევა, როგორც მაა, ტატიანაა, უნდა. თუ იტყვის რამეს, ისეთს იტყვის, რაც ტატიანას ეცინებოდა, თუ არა და სულაც არაფერს არ იტყვის. ექნება თუ არა გაგრძელება ამ ამბავს, ღიმილით მიუვა თუ ცრემლებით, ის მაინც ბედნიერად მიიჩნევს ტატიანას მისვლას. მერედა, როგორ უნდა, რომ გააბედნიეროს ვინმე, გასცეს — ბოლოს და ბოლოს იგი ხომ იმისთვის არის გაჩენილი ამქვეყნად, რომ გასცეს.

არაფერი არ გაიხსენა, არ მისცა თავის თავს უფლება, გაეხსენებინა წარსული, სადარბაზო გაიხსენა მხოლოდ მისი იზმაილოვოში, ისინი იქ ღამე მივიდნეს, ზამთარში, ტაქსით, სახლი პერვომაისკაიაზე გამოდის, სამეურნეო საქონლის მაღაზია რომ არის — იქ, ხელმარცხნივ მეტროა, არ გაუჭირდება მიგნება...

ყველაფერი ნათელი იყო და ოლზე ოლი: აგერაა ტელეფონი. გუნებაში მისი ტელეფონის ნომერიც კი აკრიფა (სულ მუდამ ახსოვდა თურმე — რა იცი, როდის დაგჭირდება?) და მისი ნამძინარევი ხმაც ძაფიოდ ჩაესმა თითქოს ყურში, ნამძინარევი ხმა უმალ ყურადღებიანი და მომლოდინე ხდება: იმანაც ხომ იცის, ვ ი ნ შეიძლება დაურეკოს. გუნებაშივე ყურმილი ეჭირა ხელში და ხმაც არ ილებდა, მიკროფონს ხელს აფარებდა, რომ სუნთქვაც კი არ გაეგონებინა თავისი, დუმდა მისი თანამოსაუბრეც. დუმდა და იცდიდა. არც ტატიანა კიდებდა ყურმილს და არც ის. ტატიანამ იცოდა, რომ ის ყველაფერს მიხვდა. თვითონ კი მიხვდა, რომ ელოდებიან.

ტელეფონის ზარი წარმოსახვითი იყო, მაგრამ ისე ძლიერი იყო ეს წარ-

მოსახვა, რომ ტატიანა დაიღალა კიდეც დაძაბულობისაგან — თითქოს მართლა დაერეკოს. ხომ არ დაურეკავს, მაგრამ მაინც დარეკა.

რა, განა არ დაურეკავს?

რეკდა საათი, ნათდებოდა ზეცა, ტატიანას ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით კი ისევ სახლი, ჭურჭელი, ქალაქი, ასფალტის სატკეპნი ყვითელი მანქანები, სიცხე; საღამოს — ტელევიზორი, ტასკას სიმღერები და ტასკას მოთქმა-ტირილი მეშვიდე სართულიდან, მოწყენილობა, მოწყენილობა, მოწყენილობა... და ასე — ივლისის დამლევამდე, ივლისისა, რომელიც მძიმე ბორკილივით გქონდა გამობმული ფეხზე. მაგრამ აი, ცა გაიხსნა როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვარდა ვნუკოვოს ციდან ქორა, თოკზე მოსიარულე ტიბულივით კუნთმაგარი და ნამზეური, ტიბულივით, რომელიც ზანგად გარდასახულიყო, ცალ ხელში წითელი კანების თაიგული ეჭირა, მეორეში კი უმწიფარი ატმები კალათით. გადაეხვია ტატიანას, თავზე გადაუსვა ხელი და ცხვირზე აკოცა — უცხო იყო და საუცხოო, ავ თვალს არ ენახვებოდა, მზის, ზღვისა და ღვინის სურნელი უდიოდა, კისერზე — ჩვენ ბოდიში! — ვერცხლის ძეწკვი ჰქონდა ჩამოკიდებული, კაი კინომსახიობივით. ვიღაცას ხელს უქნევდა, ვიღაცას აცნობდა — გადასარევი ბიჭებია, დეიდა ტანია! — ისევ იმ თავის თანამგზავრებს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ, ზღვას ეკუთვნოდა, პლიაჟს, ბარგს, სიგარეტებიც კი უკრაინული ედო ჯიბეში და არა მოსკოვური. მაგრამ ტატიანა, ანგარიშმიუცემლად — ისე, რომ თვითონ ვერ ამჩნევდა ამას — ნიდაყვში ჩაფრენოდა ქორას, ხელს არ უშვებდა, ეკიდებოდა ზედ. სული გადაეკმევოდა სადაც არ იყო, ფეხები ეკვეთებოდა, სულ ის სურათი ედგა თვალწინ, როგორ მივიდოდნენ ბოლოს და ბოლოს სახლში და როგორ შეაღებდნენ კარს.

სულელი, როგორ არ გაახსენდა, რომ ქორკათი ხომ თავის მოწონებაც შეეძლო და ფარად აფარებაც... მაგრამ რატომ არის ასეთი შორეული? დიდხანს გაჰყვება ნეტა ამ შეხვედრის მხურვალება და სიყვარული?... აწი მაინც.

მაგრამ მერე ყველაფერი ეს უმალ დაავიწყდა. მერე სახლი იყო, ისინი ორნი დარჩნენ, ერთმანეთის პირისპირ, სუფრა საზეიმოდ იყო გაწყობილი, ორ სულზე, როგორც რესტორანში, სუფრაზე ბალის გვირილები იდგა და ღვინო. მაგრამ ტატიანას არც ჭამა შეეძლო და არც სმა, ისე ღელავდა, რომ ალარც მისი საპლიაჟო ანეგდოტები ესმოდა ყურში, რითაც ქორა ცდილობდა მის გართობას და რაც მხოლოდ პლაჟზე ეღერს ხოლმე სასაცილოდ. მერე ჩემოდანი გახსნეს — სულ ზემოდან ქალის ცისფერი ხალათი იდო — გული კინალამ ამოუვარდა საგულედან — ქორკა იცინოდა, აჯავრებდა ტატიანას, ხალათზე მალაზიის იარლიყი შეამჩნია ბოლოს, საჩუქარი იყო, ზუსტად მისი ზომა. გული ამოუჯდა ტირილისაგან. ქორკა ეცა, კოცნა დაუწყო, ცრემლი დაუშრო თვალში, გახადა. „ტანეჩკა!...“

მერე, როცა ქორას უკვე მკვდარივით დაეძინა, აბაზანაში იდგა და თავის თავს სარკეში ათვალიერებდა: მხურვალე, გამოცოცხლებული, ბედნიერი სახე ჰქონდა, მხურავალე — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ხელის შეხებითაც რომ იგრძნობდი — პირი, თვალები უბრწყინავდა და თმაც საოცრად ლამაზად ჩამოშლოდა მხრებზე. ჰოი, როგორ მოსწონდა ახლა თავისი თავი! რა, ტკბილია თუ? ლამაზია. აი, აქ, ყელის ეს ხაზი, ან კიდევ აქ, აგერ რა ნაზია

მისი სახის კანი? თვალები? ყოველი ღერი თმა, ყოველი ბეწვი ცოცხლობდა და სუნთქავდა. და თუმცა ის, რასაც ასტრა ვაკანტურობას ეძახდა, მის თვალებში ახლა თითქოს კიდევ უფრო ძალუმად წამოენთო, მაგრამ ცოდვა მისი უმანკო იყო, როგორც უმანკობაა ცოდვილიანი. რა ბედნიერებაა, რომ ასე სუფთად შემოინახა თავი, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის არც ქმრის წინაშე და არც საკუთარი თავის წინაშე. ეს თვითკმაყოფილებით და სიამაყით აღავსებდა, დედოფლური მედიდურობით გადაჰყურებდა თავისი მდგომარეობის ამ სიმაღლიდან იმათ, ვინც ქვემოთ იყო: ცოდვილთ, ბინძური გამოხედვა რომ აქვთ, ყალბი ტუჩები და ჭიანი სინდისი. იქნებ სადღაც, ოდესღაც, ივლისში, თვითონაც ასეთი იყო, მაგრამ ახლა მისი ბორკილი ხმაურით ეშვებოდა ამ მწვერვალიდან და თანდათან ეფარებოდა თვალს. მოკალი თუ გინდა — სუფთაა იგი. ქმარიც ძალიან უყვარს, თუმცა შეიძლება ამას არც ერქვას სიყვარული.

სააბაზანოდან რომ გამოვიდა, ტელეფონი მოხვდა თვალში. მაგრამ ახლა აღარ მოისურვა ყურადღება მიექცია ამისათვის, არ აღუნიშნავს ეს თავის გონებაში. თითქოს არც დაუნახავს. თითქოს არ ყოფილა საერთოდ ეს ტელეფონი. თუნდაც რომ ყოფილიყო: რაა მერე? დარეკა? ხომ არ დაურეკავს? სისულელეა ეს ყველაფერი. იყო და აღარ არის. ხომ არ ულალატია? არ ულალატია. ჰოდა, მოვრჩეთ ამაზე.

□

ივან ფრანკო

ბერკუტი[1]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ

●

სადღაც ქარაფის ნაპრალებში ჩაჩურთულ ბუდეს
თავს დასტრიალებს ყივილით და ფრთების დგაფუნით;
თითქოს ფიქრია სამყაროსი ანდა ზღაპრული
მრისხანე სული ეომება ცის ცხრავე ზღუდეს.

თითქო ხმა ისმის: სად ხარ, ღმერთო, ანუ სიმართლევ,
ყველა ვარსკვლავში გეძიე და ყველგან გინატრე.

...თითქო ცაზეა მიჭედილი და მილურსმული
და ცივი ზიზღით გადმოსცქერის კაცთა ცხოვრებას,
როგორც სიკვდილი მოდარაჯე და გალურსული
მრუმე საავდრო ღრუბელივით რომ იზმორება.
ახედავ ბერკუტს
და უყმური ფიქრი იწივლებს
და მთელს სხეულში გაგიჯდება ზამთრის სიცივე.

აჰა, ფრთებს წურავს,
დაფეთებულ თვალებს აცეცებს,
მზად არი მოწყდეს,
შურდულივით თავზე დაგეცეს.

ო, ასეთივე მუხთალია ბედი ტიალი
და ასე უნდოდ, მტაცებლურად თავს დაგვტრიალებს.
ბერკუტი ღრუბლებს ეფარება
და კრავს ირაოს,
მზად არი მიწას დააცხრეს და დააყირაოს.

---

1 მთის არწივი.

ჰყივის ბერკუტი, თითქოს ჰყივის თითონ შიმშილი,
კამარას შეჰკრავს და ფრთებს სცვივათ ელვის შიშინი.

მის შემხედვარეს უნებურად მომაგონდება
ძველ დროს შიმშილით გატანჯული ხალხის გოდება,
გოდება იყო ანუ დრტვინვა ხალხის მშიერის
მიწისძვრასავით შემზარავის და საშინელის.

ფრინველთა მეფევ,
მეზიზღები მთელი არსებით,
მეზიზღებიან კაცთა შორის შენი მსგავსები.

ხარ სისხლისმღვრელი, ულმობელი, გულქვა, ვერაგი,
შენს გამო სუსტს და მიუსაფარს სდევს ფათერაკი.

აი მე შურისსაძიებლად თოფი შევმართე,
ჩახმახს დავცემ და ამოიტანს სიკვდილს შენამდე.
სანამ მიწაზე დავარდები, ცაში მოკვდები —
სიმბოლო ჩაგვრის,
ძალადობის და ბოროტების.

მე ყველა ჯურის მტაცებლისთვის მზადა მაქვს ტყვია,
მხარს მოვტეხთ ყველა მოძალადეს ადრე თუ გვიან,

ყველა მტაცებელს,
ყველა მჩაგვრელს,
ყველა სისხლისმღვრელს
და სანატრელი მომავალიც მალე იცისკრებს.

□

შერვუდ ანდერსონი

ნეტა მაცოდინა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

●

ამ პირველ დღეს აღმოსავლეთში უთენია ავდექით ოთხ საათზე. წინა საღამოს ქალაქს მივუახლოვდით თუ არა, საბარგო მატარებლიდან ჩამოვძვერით და კენტუკელი ბიჭის უტყუარი ალღოთი უმალ გავიკვლიეთ გზა იპოდრომისა და საჯინიბოებისაკენ. ახლა უკვე ალარაფერი გვიჭირდა. ჰენლი ტერნერმა სასწრაფოდ მოძებნა ნაცნობი ზანგი, ბილდად ჯონსონი, რომელიც ზამთრობით ედ ბეკერის საჯინიბოში მუშაობს ხოლმე ჩვენს მშობლიურ ქალაქ ბეკერსვილში. როგორც თითქმის ყველა ჩვენებური ზანგი, ბილდადიც კაი მზარეულია და, რა თქმა უნდა, დანარჩენი კენტუკელებივით ცხენებზე გიჟდება. გაზაფხულობით სულ რაღაცას ჩალიჩობს. ჩვენებური ზანგი ვისაც უნდა თავს მოუქონავს და რაც უნდა იმას გააკეთებინებს. ბილდადი ლექსინგტონის ოლქის ყველა მეჯინიბესა და მწვრთნელს ლამის ფეხქვეშ ეგება. მწვრთნელები ქალაქში საღამოობით გამოდიან, დგანან, მასლაათობენ ან პოკერს თამაშობენ. იმათ უბილდადოდ ვერა ნახავ. ყველას თვალებში შესცქერენ ან საჭმელზე ლაპარაკობს, ტაფაზე წიწილა როგორ უნდა შეიბრაწოს, პამიდვრის ტკბილი საწებელი როგორ მომზადდეს, ჭადის გამოცხობა როგორ ჯობს. მარტო მოსმენისას მოგადგება კაცს პირზე ნერწყვი.

დოლის სეზონი რომ მოაწევს, ცხენები დოლზე რომ მიჰყავთ, ქუჩებში საღამოობით მხოლოდ კვიცებზე რომ ლაპარაკობენ, ყველა ლექსინგტონში რომ ეპირება წასვლას, ან ჩარჩილ დაუნზში საგაზაფხულო შეჯიბრზე, ან ლეტოიაში, ცხენოსნები ნიუ-ორლეანიდან ან ჰავანაში, კუნძულ კუბაზე, გამართული ზამთრის შეჯიბრებიდან შინ რომ ბრუნდებიან ერთი კვირით, სანამ კვლავ დოლზე არ გაემგზავრებიან, მარტო ცხენები რომ ახსოვთ ბეკერსვილში აღკაზმულობას რომ ამზადებენ და ყოველ ამოსუნთქვაში დოლი რომაი,

ბილდადს მზარეულობის ხანა მაშინ უდგება. ხშირად, როცა ვუფიქრდები, რომ ბილდადი მთელ სეზონს დოღებზე ატარებს, ზამთრობით კი საჯინიბოში მუშაობს, სადაც ცხენებია და ხალხიც მხოლოდ ცხენებზე საბაასოდ თუ შეიკრიბება, ზანგობა მინდება. ამის თქმა სისულელე კია, მაგრამ რა ქნა, ცხენებზე ჭკუას ვკარგავ და სხვანაირად არ შემიძლია.

აი, მოგიყვებით ჩვენს ამბავს და უკეთ გაიგებთ, რისი თქმა მინდა. ოთხმა თეთრკანიანმა ბეკერსვილელმა ბიჭმა, ეირიფველ ბეკერსვილელთა შვილებმა, დოღზე წასვლა გადავწყვიტეთ, თან ლექსინგტონსა ან ლუიზვილში კი არა, აღმოსავლეთის დიდ იპოდრომზე სარატოგაში, რომელზეც კაცებისაგან ბევრი გვსმენოდა. ჩვენ მაშინ ძალზე ახალგაზრდები გახლდით. მე ის-ის იყო შემისრულდა თხუთმეტი წელი და ოთხთაგან ყველაზე უფროსი ვიყავი. გეგმა ჩემი იყო. მე მოვიფიქრე და ისინიც დავითანხმე, რომ ბედი გვეცადა. ვიყავით მე, ჰენლი ტერნერი, ჰენრი რიბეკი და ტომ ტამბერტონი. მე ოცდაჩვიდმეტი დოლარი მქონდა, ზამთარში ღამღამობითა და შაბათობით ენოქ მაიერის საბაყლოში მუშაობით მოქუჩებული. ჰენრი რიბეკს თერთმეტი დოლარი ჰქონდა, ჰენლის და ტომს კი თითო თუ ორ-ორი. ფული ერთმანეთს დავადეთ, მოვიცადეთ, სანამ კენტუკის საგაზაფხულო დოღი დამთავრდებოდა და ზოგიერთი ჩვენებური, ყველაზე აზარტულები ვინც იყვნენ და ძალიან ვისიც გვშურდა, არ გაემგზავრებოდა, მერე ჩვენც გზას დავადექით.

იმ გასაჭირზე აღარ მოგიყვებით, საბარგო მატარებლით მგზავრობისას რომ გადაგვხდა თავს. გავცდით კლივლენდს, ბუფალოს, სხვა ქალაქებს და ნიაგარას ჩანჩქერიც ვნახეთ. ვიყიდეთ სუვენირები, რაზეც კი ჩანჩქერი ეხატა: კოვზები, ღია ბარათები და ნიქარები, ჩვენი დებისა და დედებისათვის რომ გაგვეგზავნა, მაგრამ მერე მივხვდით, არ ღირდა. კვალს მოაგნებდნენ და ოოლად ჩაგვავლებდნენ.

სარატოგაში, ხომ გითხარით, ღამით ჩავედით და იპოდრომისაკენ გავეშურეთ. ბილდადმა ცოტა შეგვანაყრა, დასაძინებელი ადგილიც მიგვიჩინა ფარდულში თივაზე და იმასაც შეგვპირდა, არ გაგცემთო. ზანგები ასეთ დროს სანდონი არიან, არ გაგყიდიან. შინიდან გამოპარული თუ ხარ და თეთრკანიანს შეხვდი, შეიძლება კარგად მოგეპყროს, მეოთხედი ან ნახევარი დოლარი მოგცეს, მაგრამ მერე მაინც წავა და დაგაბეზღებს. ასე თეთრი მოიქცევა, ზანგი არასდიდებით. შეგიძლია ენდო. ისინი ბავშვებთან უფრო პატიოსნები არიან. არ ვიცი კი რატომ.

სარატოგას დოღზე იმ წელს ჩვენი ქალაქიდან ბევრნი იყვნენ — დეივ უილიამსი, არტურ მალფორდი, ჯერი მაიერსი და სხვები, ლუიზვილიდან და ლექსინგტონიდანაც ბლომად ჩამოსულიყვნენ. იმათ ჰენრი რიბეკი იცნობდა, რადგან ისინიც პროფესიონალი მოთამაშეები იყვნენ ბამამისივით, რომელიც "ბიტ რაიტერს" რომ ეძახიან, სწორედ ის არის და თითქმის მთელ წელს იპოდრომებზე ატარებს. ზამთრობით ბეკერსვილშია, მაგრამ გული აქ დიდხანს არ უდგება, სხვადასხვა ქალაქებში დადის და ფარაონს თამაშობს. ისე კარგი კაცია, ხელგაშლილი და ჰენრის ყოველთვის უგზავნის საჩუქრებს, ველოსიპედი იქონია, ოქროს საათი, ბოისკაუტის კოსტუმი თუ სხვა რაღაც ამგვარი.

მამაჩემი ვექილია. კარგი კაცი კია, მაგრამ ბევრ ფულს ვერ აკეთებს და ვერც რამე-რუმეებს ყიდულობს ჩემთვის. აი, უკვე ამ ხნისა ვარ და აღარც ველი. ჰენრიზე აუგი არასდროს უთქვამს, მაგრამ, აი, ჰენლი ტერნერისა და ტომ ტამბერტონის მამებს კი თვალში არ მოსდით იგი და შვილებს ხულ იმას ეჩიჩინებიან, ასე ნაშოვნი ფული არამიაო. არ სურთ, რომ მათ შვილებს აზარტული მოთამაშეებისა საუბარი ესმოდეთ და ასეთ რამეზე ფიქრობდნენ. შიშობენ, თამაშში ჩვენი ბიჭებიც არ ჩაითრიონო.

ეს ყველაფერი კარგი. ვფიქრობ, იციან რასაც ამბობენ. თუმცა რა კავშირი აქვს ამას ჰენრისთან, ან თუნდაც ცხენებთან. ამ მოთხრობას სულ სხვა რამისთვის ვწერ. ვწუხვარ, უკვე კაცი ვხდები. სწორად მინდა ვიფიქრო. ყველაფერი თავის ადგილას რომ იყოს. აღმოსავლეთის იპოდრომზე კი ისეთი რამ ვნახე, თქმა მიძნელდება.

რა ვქნა, წმინდა სისხლის ცხენებზე ვგიჟდები, ყოველთვის ასე ვიყავი. ათი წლისა რომ შევსრულდი და დავატყე, რომ ვიზრდებოდი და მხედარი ვერასოდეს გავხდებოდი, დარდისაგან კინაღამ მოვკვდი. ბეკერსვილელი ჰენრი ჰელინფინგერი, საფოსტო განყოფილების უფროსის ვაჟი, უკვე დიდია, მაგრამ მუშაობა გულზე არ ეხატება. ქუჩაში დგომა და ბიჭებია გამასხრება უყვარს. ან კვადრატული ჩვრელების გასაკეთებელი ბურღისათვის გაგგზავნის რკინეულის მაღაზიაში, ან რაღაც ამგვარს მოგიწყობს. ერთხელ მეც ამაგდო. მითხრა, ნახევარ სიგარას თუ შეჭამ, დაიგვალები და შეგეძლება მხედარი გახდეო. ასეც მოვიქეცი. მამაჩემის ჩუმად მისი ჯიბიდან სიგარა ამოვაცოცე და გულის რევით ჩავყლაპე. ისე ცუდად შევიქენი, ექიმის გამოძახება გახდა საჭირო, მაგრამ არაფერი მეშველა, ისევ ვიზრდებოდი. ჰენრის ამისთანები უხუმრია?! როცა ყველაფერი მამას ვუამბე, თითიც არ დაუკარებია, სხვა მამები კი შვილებს აუცილებლად მიტყუებავდნენ.

არც დავგვალულვარ და არც მოვმკვდარვარ. შერჩეს ჰენრი ჰელინფინგერს. მერე მეჯინიბეობა მოვინდომე, მაგრამ არა და არ მიმართლებდა. საჯინიბოში უმეტესად ზანგები ძუშაობენ და ამის ნებას მამაჩემი ნამდვილად არ მომცემდა. თხოვნადაც არ ღირდა.

თუ წმინდა სისხლის ცხენებზე არასდროს გაგიჟებულხარ, იმის ბრალია, რომ არც არასოდეს მოხვედრილხარ იქ, სადაც ისინი რემად არიან და მათზეც არაფერი გსმენია. რა ლამაზებია! არაფერია სადღეგრძელო ცხენზე უფრო მშვენიერი, სუფთა და სიწმინდით აღსავსე. ცხენების დიდ ფერმებთან, ჩვენი ქალაქის, ბეკერსვილია, გარშემო რომაა, იპოდრომებია მოწყობილი. აქ ცხენებს ყოველ დილით დააჭენებენ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ წამოვმხტარვარ სისხამზე ლოგინიდან, რომ ორი ან სამი მილით მოშორებული იპოდრომისაკენ მომეკურცხლა. დედა ნებას არ მრთავს, მაგრამ მამა ყოველთვის ეუბნება, თავი დაანებეო. ბურის ყუას ამოვაძვრენ კიდობნიდან, კარაქსა და ჯემს წავუსვამ და ჰაიდა.

იპოდრომზე ღობეზე შემოვჯდები კაცებთან ერთად, თეთრკანიანები იქნებიან თუ ზანგები, თამბაქოს რომ ღეჭავენ და მასლაათობენ. მერე კვიცებიც გამოპყავთ. ადრეა და ბალახს გამჭვირვალე ნამი ჯერ არ შეშრობია. იქვე გვერდით, ვილაც მინდორს ხნავს. ფარდულში, სადაც ზანგ მეჯინიბეებს სძინავთ, რაღაცას ხრაკავენ. ხომ იცი ზანგების ამბავი, ისე მასხრობენ და იმანჭე-

ბიან, გაგეცინება. თეთრკანიანს ეს არ შეუძლია, ზანგებსაც ყველას არა, იპოდ-
რომზე მომუშავეებს კი ყოველთვის.

აი, კვიცებიც გამოჰყავთ, ზოგიერთს მეჯინიბეები დააჭენებენ, ხოლო დიდ
იპოდრომზე, ერთ მდიდარ ნიუ-იორკელს რომ ეკუთვნის, კვიცებიანი ეტლი
ყოველ დილით რამდენიმე სადოლე ცხენი, ტაიჭი და ფაშატიც [illegible]

გული ყელში მებჯინება ზოგიერთი ცხენის ჭენებას რომ შევყურებ. მათი
გამორჩევა ყოველთვის შემიძლია. ეს, იპოდრომის ზანგებსა და მწვრთნელე-
ბივით სისხლში მაქვს გამჯდარი. უბრალოდ, სავარჯიშოდაც რომ დააჭენებდნენ
ცხენებს პატარა ზანგები, გამარჯვებულს მაშინაც გამოვიცნობ. თუ ყელი გა-
მიშრა და ნერწყვის გადაყლაპვა გამიჭირდა, ის არის. სემ ჰილივით გაჭენდება,
როგორც კი მიუშვებ. თუ არ გაიმარჯვა, მართლაც საკვირველია და იმას ნიშ-
ნავს, რომ სხვა ვაქაჩეს და ის კი არ გაუშვეს, ან კიდევ ატარტზე შეემთხვა რა-
ბე. მე რომ მოთამაშეობა მოვინდომო ჰენრი რიბეკის მამასავით, გავმდიდ-
რდები. ეიცი ასე იქნება და ჰენრიც ამას ამბობს. მხოლოდ ის დამჭირდებოდა,
დამეცადა, სანამ ყელი გამიშრებოდა ცხენის დანახვისას და მერე უკანასკნელ
ცენტამდე დამედო აანაძლეო. რომ მინდოდეს ასე ვიზამდი, მაგრამ არ მინდა.

დილით, როცა იპოდრომზე ხარ, დიდზე კი არა, პატარა, ავარჯიშო იპოდ-
რომზე, ასე მრავლად რომაა ბეკერსვილის გარშემო, მე რომ ვამბობ ისეთ
ცხენს ხშირად ვერ მოჰკრავ თვალს, მაგრამ აქ ყოფნა მაინც კარგია. ყველა
წმინდა სისხლის ცხენს, კარგი შეჯვარების ნაყოფი თუა და იაეთი კაცის გაწ-
ვრთნილი, ეს საქმე ვისაც ესმის, შეუძლია რბოლა. თუ არ შეუძლია, იპოდ-
რომზე რა უნდა, გუთანში უნდა შეაბან. ჰო, ცხენები გამოჰყავთ საჯინიბოე-
ბიდან, ზურგზე პატარა ბიჭები შემოსხდომიათ. კარგია იქ ყოფნა, ღობეზე ჩა-
მომჯდარხარ და სიამოვნების ჟრუანტელი გივლის. ფარდულში ზანგები მას-
ხრობენ და მღერიან, ბეკონს წვავენ და ყავას ადუღებენ. ყველაფერს საამო
სუნი ასდის. არაფერია უფრო სურნელოვანი, ვიდრე ყავა, ბზე, ცხენები, ზან-
გები, შემწვარი ბეკონი და ჩიბუხის ბოლი. ასეთმა დილამ შეიძლება მთლიანად
აგიყვანოს.

ახლა იაევ სარატოგას დავუბრუნდეთ. იქ ექვს დღეს დავრჩით. ჩვენებურს
არავის გადავყრიეართ და ყველაფერი, როგორც გვინდოდა, ისე აეწყო: კარგი
ამინდი, ცხენები და დოლი. შინ რომ მოვემგზავრებოდით, ბილდადმა ერთი
კალთა შემწვარი წიწილა, პური და სხვა საჭმელი გამოგვატანა. ბეკერსვილში
რომ დავბრუნდი, თვრამეტი დოლარი კიდევ შემომრჩენოდა. დედა გამიბრაზდა
და მიყვირა, მაგრამ მამას არაფერი უთქვამს. შინ ყველაფერს მოვყევი ერთი
რამის გარდა. ეს მარტო მე ვნახე, ამიტომაც ვწერ, რომ დღემდე მაღელვებს
და ღამეები არ მძინავს. აი, რა მოხდა:

სარატოგაში თივაზე გვეძინა, ბილდადმა რომ მიგვიჩინა, იმ ფარდულში.
ზანგებთან ერთად ვჭამდით დილაადრიან და ღამით, ყველა რომ გაიკრიფებო-
და. ჩამოსულები უმეტესად ტრიბუნებზე დგანან ან აანაძლეოს დასადებად
იკრიბებიან. ცხენების საცქერად არ მიდიან, საჩიხში რომ გამორეკავენ, მაშინ
ეუ ნახავენ. დოლის წინ, შეკაზმვისაა; სარატოგაში ღია საჩიხი არა აქვთ. რო-
გორც ლექსინგტონში, ჩარჩილ დაუნზში ან რომელიმე სხვა იპოდრომზე ჩვენ-
თან. ამიტომ ცხენებს ხეების ქვეშ, ბეკერსვილელ ბენკერ ბოჰონის ეზოსავით
სწორ მდელოზე კაზმავენ. მშვენიერია, ცხენებს ოფლისაგან ლაპლაპი გაუდით.

ტოკავენ, კაცები დადიან, სიგარებს ეწევიან და ათვალიერებენ. აქ არიან მწვრთნელებიც, მეპატრონეებიც და გული ისე გიცემს, სუნთქვა გიჭირს.

მერე საყვირი დოლის დაწყებას გვაუწყებს და აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრები ცხენებისაკენ მიეშურებიან, შენ კი ზანგებთან ერთად კედელთან იკავებ ადგილს. მე სულ ცხენების მწვრთნელად ან მეპატრონედ გახდომაზე ვოცნებობ და თუმცა მეშინოდა, რომ შემამჩნევდნენ, [illegible] ირდნენ და შინ მიმაბრუნებდნენ ყოველთვის, დოლის დაწყებამდე, საჩიხთან მაინც ძიედიოდი. ჩვენი ბიჭებიდან ჩემს გარდა ასე არც ერთი მოქცეულა.

სარატოგაში პარაკევს ჩავედით. იქითა კვირის ოთხშაბათს კი დიდი მალფორდ ჰენდიკაპი უნდა გათამაშებულიყო. მიდელსტრაიდი და სანსთრიკი მონაწილეობდნენ. ამინდიც შესანიშნავი იყო და მინდორიც. წინა ღამეს არ მძინებია.

საქმე ის არის, ორივე ამ ცხენის დანახვისას მიშრება ყელი. მიდელსტრაიდი გრძელი და ერთი შეხედვით მოუქნელი ტაიჭია. ის ჯო თომპსონს ეკუთვნის, ერთ ჩვენებურ წვრილ მეპატრონეს, რომელსაც ექვსიოდე ცხენი თუ ეყოლება. მალფორდ ჰენდიკაპი ერთ მილზე თამაშდება და მიდელსტრაიდი ამ მანძილს სწრაფად ფარავს. თავიდან ნელა იწყებს და შუა გზაზე ყოველთვის ჩამორჩენილია, მერე აკრიფავს და თუ გასარბენი მანძილი ძილი და ერთი მეოთხედია, ყველას მოიტოვებს და ფინიშთან პირველი მივა.

სანსთრიკი სულ სხვანაირია, ფიცხი ულაყია და ჩვენს მხარეში ყველაზე დიდი ფერმიდან არის. ფერმის მფლობელი ნიუ-იორკელი მისტერ ვან რიდელია. სანსთრიკი ჰგავს იმ გოგოს, რომელზეც ხანდახან ფიქრობ, ნახვით კი არ გინახავს, მძლავრია და მშვენიერი. მის თავს რომ შეჰყურებ, კოცნა მოგინდება. ჯერი ტილფორდის გამოწვრთნილია. ჩვენ ნაცნობები ვართ, მისგან ბევრი კარგი მახსოვს. ყოველთვის ნებას მრთავს აჯიხიბოში შევიდე და სანსთრიკს ახლოდან ვუცქირო. ამ ცხენზე უსაყვარლესი არაფერია. სტარტზე არც კი შეტოკდება, მაგრამ შიგნით ცეცხლი უკიდია. მერე როდესაც სტარტის ნიშანს მიაცემენ, მართლაც „მზის სხივივით[2] ანწრაფვის. ტაივილი დაგივლის მისი ცქერისას. მეძებარი ძალლივით მიჰქრის გაწვართული. ამის მსგავსი არაფერი მინახავს, გარდა მიდელსტრაიდისა, ოღონდ როცა გახურდება.

ოხ! ტაივილი მივლიდა დოღსა და ამ ორი ცხენის ჭენებას რომ შევყურებდი. თან მტკიოდა, თან მეშინოდა. არ მინდოდა ამ ორიდან რომელიმე დამარცხებული მეხახა. ასეთი წყვილი დოღზე არასდროს ჩამოგვიყვანია. მოხუცებიც ამას ამბობდნენ ბეკერსვილში და ზანგებიც. ეს აშკარა იყო.

დოღის დაწყებამდე საჩიხთან მივედი. მიდელსტრაიდს შევავლე თვალი. საჩიხში მდგარი დიდი ვერაფერი სანახავია. მერე სანსთრიკისკენ წავედი.

ეს მიაი დღე იყო, როგორც კი შევხედე, მაშინვე მივხვდი. სულ ამომვარდა თავიდან, რომ შეიძლებოდა ვინმეს შევემჩნიე და მივუახლოვდი. ბეკერსვილელები ყველანი აქ იყვნენ. თვალი არავის მოუკრავს ჯერი ტილფორდის გარდა. დამინახა და რაც მოხდა, ახლავე გიამბობთ.

ვიდექი. ცხენს შევყურებდი და ტკივილი მივლიდა. არ ვიცი როგორ, მაგ-

---

[1] პრიზი ბრძოლაში გამარჯვებულისათვის.

[2] Sun streak — მზის სხივი (ინგლ.).

რამ რაღაცნაირად ვიგრძენი, რა ხდებოდა სანსთრიკის სხეულში. წყნარად იდგა და ზანგებს ფეხების დაზელვის ნებას აძლევდა. მისტერ ვან რიდელი თავისი ხელით ადგამდა უნაგირს. მის სხეულში კი მშფოთვარე ნაკადი ტრიალებდა იმ მდინარესავით, მერე ნიაგარას ჩანჩქერად რომ გადმოეღინება. ცხენი სირბილზე არ ფიქრობდა, ან რად უნდა ეფიქრა. მხოლოდ თავი უნდა შეეკავებინა, სანამ დრო მოაწევდა. ვიცოდი, მის სხეულში ჩახედვაც შეშეძლო. ვიცოდი, რომ ჯერარნახულ რბოლას აპირებდა. სანსთრიკს მრუსვენრობას ვერ შეატყობდი, მხოლოდ იცდიდა. მე ვიცოდი ეს და მისმა მწვრთნელმა ჯერი ტილფორდმაც იცოდა. მაღლა ავიხედე და ერთმანეთს შევხედეთ თვალებში. რაღაც დამემართა. ეს კაცი ისევე მიყვარდა, როგორც თვით ცხენი, რადგან რაც მე ვიცოდი, იმანაც იცოდა. მეგონა, ქვეყანაზე მარტო ჩვენ ვიყავით: ეს კაცი, ცხენი და მე. შევყვირე და ჯერი ტილფორდს თვალები გაუბრწყინდა. მერე წამოვედი, დოღის დაწყებისათვის რომ დამეცადა. ცხენი ჩემზე ნაკლებად ღელავდა და ახლა ეს ჯერიზე უკეთაც კი ვიცოდი. ის მთლიანად სიმშვიდე იყო და უნდა გაემარჯვა. სანსთრიკი რა თქმა უნდა პირველი მოვარდა ფინიშთან და მსოფლიო რეკორდსაც გადააჭარბა ერთ მილზე რბოლაში. ეს ხომ მაინც ვნახე, უკეთესს თუ ვერაფერს ვნახავ. ყველაფერი, როგორც ველოდი, ისე მოხდა. მიდელსტრაიდი სტარტზე ჩამორჩა, მაგრამ მაინც მეორე მივიდა. ერთხელაც იქნებოდა მსოფლიო რეკორდს ისიც დაამყარებდა. ბეკერსფილურ ცხენებს ვერაფერი შეედრება.

დოღს აუღელვებლად ვუყურებდი, რადგან ვიცოდი, რაც მოხდებოდა. დარწმუნებული ვიყავი. ჰენლი ტერნერი, ჰენრი რიბეკი და ტომ ტამბერტონი ჩემზე მეტად ღელავდნენ.

უცნაური არ იყო? მწვრთნელზე, ჯერი ტილფორდზე ვფიქრობდი, რა ბედნიერი იქნება-მეთქი. იმ ნაშუადღევს ჯერი მამაჩემსაც კი მერჩივნა. მასზე ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ ცხენებიც კი დამავიწყა. მის გამოხედვას ვერ ვიტანდი, სანსთრიკის გვერდით რომ იდგა საჩიხში დოღის დაწყებამდე. ის სანსთრიკს ჯერ კიდევ პატარა კვიცობიდან ადევნებდა თვალს და წვრთნიდა. ასწავლა ჭენება, სიდინჯე, წინ როგორ გაჭრილიყო და აღარ შეჩერებულიყო. სანსთრიკს ისე უყურებდა, დედა რომ უყურებს შვილს, რამე გაბედული და მშვენიერი საქციელი თუ ჩაიდინა. კაცისადმი ასეთი გრძნობა პირველად მქონდა.

დოღის შემდეგ, ღამით, ტომს, ჰენლის და ჰენრის გავეპარე. მარტო ყოფნა მინდოდა, ან, თუ მოვახერხებდი, ჯერი ფილფორდთან ახლოს ყოფნა. და აი, რა მოხდა:

იპოდრომი სარატოგას ბოლოსაა; ხეებით შემოფარგლულ სწორ ადგილას, მთელი მიდამო მწვანედ ხასხასებს. იპოდრომს რომ გასცდები, მოასფალტებულ, საავტომობილო გზაზე გახვალ. რამდენიმე მილს გაივლი და გზა უეცრად უხვევს პატარა, საეჭვო შესახედაობის ფერმის სახლისაკენ, შუა ეზოში რომ დგას.

იმ ღამეს, დოღის შემდეგ, გზაზე მარტო გავედი, რადგან თვალი მოვკარი, რომ ჯერი რამდენიმე კაცთან ერთად ამ გზას გაუყვა. მათი პოვნის იმედი არც მქონია. ერთ ხანს მივჩლატუნებდი, მერე ღობის ძირას ჩავყუნცდი და ჩავფიქრდი. ჯერი ტილფორდთან ახლოს მინდოდა ყოფნა, ისედაც როგორ სიახლოვეა განვიცდიდი! გზა განვაგრძე. მალე, არ ვიცი რატომ, გვერდზე გადავუხვიე

და იმ საეჭვო სახლს მივუახლოვდი. თავს ეულად ვგრძნობდი და ისე მენატრებოდა ჯერის ნახვა, პატარას რომ ენატრება მამიკო ღამღამობით. სწორედ ამ დროს სახლს ავტომობილიც მოადგა და შეჩერდა. შიგ ჯერი იჯდა, აქვე იყვნენ ჰენრი რიბეკის მამა, არტურ ბედფორდი, დეივ უილიამსი და ორიც ვილაც უცნობი. მანქანიდან გადმოვიდნენ და სახლში შევიდნენ. ჰენრი რიბეკის მამა არ შეჰყოლიათ, რაღაცაზე იჩხუბა და შესვლაზე უარი [illegible] ალბათ საათი თუ იქნებოდა, მაგრამ დათრობა უკვე მოესწროთ. ეს საეჭვო სახლი გლახა ქალების ადგილსამყოფელი იყო. საქმეც ეს არის. კედელზე ავფოფხდი, ფანჯარაში შევიხედე და რა ვნახე!

სწორედ იმან შემშალა ჭკუაზე. გონებიდან ალარ ამომდის. ამ სახლში ყველა ქალი მახინჯი იყო. არც ცქერა შეიძლებოდა მათი და არც მათთან ახლოს ყოფნა. რასა ჰგავდნენ, ერთის გარდა. ის, ტანმაღალი, ოდნავ წააგავდა მიდელსტრაიდს, მაგრამ მასავით სუფთა როგორ იქნებოდა და დიდი და მახინჯი პირიც ჰქონდა. წითური გახლდათ. ყველაფერს კარგად ვხედავდი. ლია ფანჯარასთან ვიდექი, მობერებული ვარდის ბუჩქის გვერდით და შიგნით ვიყურებოდი. ქალებს მოლიავებული კაბები ეცვათ და სავარძლებში ისხდნენ. კაცები შემოვიდნენ და ზოგიერთი ქალებს კალთაში ჩაუჯდა. ეს ადგილი ყარდა. ცუდ სიტყვებს ხმარობდნენ, ისეთს, საჯინიბოებთან რომ შეიძლება მოჰკრას ყური ბავშვმა ბეკერსვილში, მაგრამ ვერასდიდებით ვერ გაიგონებ. იქვე, ახლო-მახლოს, ქალი თუ იქნა. ყველაფერი დამპალი იყო. ზანგს ასეთ ადგილას რა შეიყვანს.

ჯერი ტილფორდს მივჩერებოდი. უკვე გითხარით, მისადმი რაღაც განვიცდიდი. მან ხომ იცოდა, რა ხდებოდა სანსთრიქში, სანამ სტარტთან მივიდოდა და მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა.

ჯერი ისე ტრაბახობდა, როგორც, ხომ ვიცი, სანსთრიკი არასდროს იტრაბახებდა .ამბობდა, ეს ცხენი მე გამოვზარდე, დოღიც მე მოვიგე და რეკორდიც მე დავამყარეო. ბრიყვულად ცრუობდა და ტრაბახობდა. ასეთი სულელური ლაპარაკი მანამ არასდროს მომესმინა.

მერე კი, როგორ გგონია, რა ჩაიდინა? შეხედა გამხდარ ქალს, დიდი პირი რომ ჰქონდა და ცოტათი მიდელსტრაიდს წააგავდა, მხოლოდ ეგ არის მასავით სუფთა არ იყო, და თვალები ისე გაუბრწყინდა, როგორც მაშინ, მე და სანსთრიკს რომ გვიყურებდა საჩიხში ნაშუადღევს. ფანჯარასთან ვიდექი. ოხ! ნეტა იპოდრომიდან არ წამოვსულიყავი. დავრჩენილიყავი იქ ზანგებთან, ბიჭებთან და ცხენებთან. ახლა ჩვენ შორის იდგა მაღალი, ამაზრზენი სახის ქალი, როგორც ნაშუადღევს საჩიხში სანსთრიკი.

უეცრად შემძულდა ეს კაცი. მინდოდა მეყვირა, ოთახში შევვარდნილიყავი და მომეკლა. ასეთი გრძნობა მანამდე არ მქონია. კინაღამ გავცოფდი, შევყვირე და ხელები ისე დავმუშტე, ფრჩხილებმა ხელისგულები ჩამიჭრა.

ჯერი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ იმ ქალთან მისვლა მაინც შეძლო, მივიდა და აკოცა. მე ძირს ჩამოვხტი, იპოდრომზე დავბრუნდი და დავწექი, მაგრამ შფოთიანად მეძინა. მეორე დღეს ბიჭები შინ დასაბრუნებლად ავიყოლიე, მაგრამ რაც ვნახე, არ გამიმხელია.

დღემდე იმაზე ვფიქრობ, მაინც ვერაფერი გამიგია. გაზაფხული ისევ მოვიდა, საცაა თექვსმეტისა შევსრულდები. დილაობით, როგორც ყოველთვის,

იპოდრომზე დავდივარ. აქ ვნახულობ სანსთრიკს, მიდელსტრაიდსა და პატარა კვიცს, სტრიდენტი რომ ჰქვია. ნიძლავს ჩამოვალ სტრიდენტი ყველას აჯობებს, მაგრამ ეს არავის სჯერა ჩემი და თითო-ოროლა ზანგის მეტა.

ეგ არის, რაღაც შეიცვალა. იპოდრომზე ჰაერს ის გემო და სუნი აღარა აქვს, იმიტომ რომ ჯერი ტილფორდისთანა კაცი, თავისი საქმე რომ იცის, ჯერ სანსთრიკის ჭენებას უყურებს, მერე წავა და იმავე დღეს იმნაირ ქალს აკოცებს. ვერ გამიგია, ვერა და ვერ გამიგია. ფუ, ეშმაკს, ეს მაინც რა იყო? — ამას რომ ვფიქრობ, ცხენების ცქერის ხალისი მეკარგება, აღარც ათასგვარი სუნი მათრობს და აღარც ზანგების ხუმრობისა და სიცილის მოსმენა მსიამოვნებს. ხანდახან ისე ვბრაზდები, ჩხუბი მომინდება ხოლმე. ჭკუაზე ვიშლები. მაინც რატომ მოიქცა ასე! ნეტა მაცოდინა.

□

პეტერ ალტენბერგი

პროდრომოს[1]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

●

პეტერ ალტენბერგი (1859—1919) „ვენური ბოჰემის უგვირგვინო მეფის“ (რობერტ მიულერი) რიხარ ენგლენდერის ფსევდონიმია. პეტერ ალტენბერგის სანადაგო პატარა დრამებში, მოკლე ჩანახატებში, აფორისტულ თქმებში, ეფექტურ ლირიკულ პოზასა და გულისშემძვრელ მიხიატურულ ნოველებში გამომჟღავნდა „ახალგაზრდა ვენის“ პოეტების ახალგაზრდული სტილი. ეს დრამები თითქოს ცხოვრებისეული ექსტრაქტია და ხნდახან რამდენიმე გვერდს ან სულაც თითო-ოროლა სტრიქონს მოიცავს. მწერალი ხშირად იმდენს არ ამბობს, რამდენსაც მალავს და ათქმელზე მხოლოდ ქვეტექსტით მიგვანიშნებს.

ვიდრე რაიმეს გამოაქვეყნებდა, ალტენბერგი იმით იყო ცნობილი, რომ მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდა ფილისტერების წინააღმდეგ და ქალის უფლებებს იცავდა, არ ატარებდა გახამებულ საყელოს და ტყავის გამაშებს იცვამდა, თუმცა ცხენზე ამხედრებული არავი უნახავს; დღე და ღამე შებრუნებული ჰქონდა.

ალტენბერგი ცხოვრებისგან დაჩაგრული, გათელილი ადამიანის პირით გველაპარაკება. მწერალი სიტყვას აძლევს უუფლებო არსებას და ამით, თითქოს ათავისუფლებს მას, დუხჭირ ყოფას უმსუბუქებს. პოეტი ალტენბერგიც იტანჯება პანსიონის ოთხ კედელში გამომწყვდეულ გოგონასთან ერთად, გვეუბნება, როგორ არ უნდა ელაპარაკო პატარა ბავშვს, ვისაც გულზე დარდი შემოსწოლია. აი, სწორედ ეს არის ალტენბერგისათვის ხელოვნება, ცხოვრებას დაშორებული და გამორჩეული ხელოვნება კი არა, არამედ თვითონ განცდა.

ალტენბერგი ყველგან და ყოველთვის წერდა, უამისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. მწერალი საგნებსა და მოვლენებს მთელი რელიეფურობით კი არ აღიქვამდა, არამედ მის ნაწილს, მონაკვეთებს, სინამდვილის კონტურებს, მაგრამ ეს მაინც ცხადი სინამდვილე იყო. პოეტი აკვირდებოდა ცხოვრებას და ისეთ მხარეებს ხედავდა, რაც მანამდე არავის შეუნიშნავს. ალტენბერგი ცხოვრების მყისიერ ცვლილებას მიჰყვებოდა და თვითონაც ისე იცვლებოდა.

ალტენბერგის ნაწერებში ბევრი რამ ზედმეტად მოგვეჩვენება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ხაზებისა და ჩუქურთმების მხატვარი იყო და არა ფართო ტილოებისა, საამისოდ ალბათ, ძალაც არ ეყოფოდა, თუმცა უმჯობესია სიტყვა თვით მწერალს მივცეთ.

„როდრომოს“ 1905 წელს გამოქვეყნდა. ჟურნალში კონდენსირებული სახით არის წარმოდენილი.

მთარგმნელისაგან

---

[1] იხზულების შესავალი (ბერძნ.).

ბუნება გონის ჩანასახია.
გონი — სრულქმნილი ბუნება.

გონმა თავისავე თავში უნდა დათრგუნოს ბუნება ისევე, როგორც მოწიფულმა კაცმა ყველა თავისი სულელური ბალღური ზნე!

ჰოი, სანუკვარო ბავშვობავ, ნეტა არ იყო აგრე უგუნურად [illegible] სანუკვარო ბავშვობავ, ნეტა არ იყო ასე მიუხვედრელი! ყოველთვის [illegible] ალუბალში აგერიოს...

სწორედ ესაა გულის ამაჩუყებელი და პოეტურიო, შემესიტყვა ერთი ქალბატონი და თვალი გაუბრწყინდა.

არა მგონია-მეთქი, ცივად ვუპასუხე.

მაინც რა არის თქვენი მოვალეობა, მშობლებო? მშობლიური სიყვარული? არა. მშობლიური გონიერება! ბოლოს და ბოლოს მშობლიურმა სიბრძნემ ხომ უნდა აჯობოს სულელურსა და ხელსაყრელ მშობლიურ სიყვარულს?

ევროპაში ჩამოსულმა ჭაბუკმა ზანგმა თქვა: მე ჩემი სატრფოს ერთგული ვარ, აფრიკაში რომ დავტოვე. არ მძინავს იმ ქალებთან, რომელთაც ჩემს დანახვაზე ელეთმელეთი მოსდით, ანდა პირიჭით. ესე იგი, სიყვარული არაფერ შუაშია. მე მხოლოდ იმ ქალებთან ვერთობი, ვისაც ფულს ვუხდი.

არსებობს მხოლოდ „სულიერი ღალატი"! ასე რომ არ იყოს, მაშინ მონატრებულ საჭმელს როცა ვიგემებ, იმასაც ორგულობა შეიძლება ვუწოდოთ.

მშობელს მხოლოდ მაშინ შეიძლება ესოდენ ღირსეული სახელი „მშობელი" ვუწოდოთ, როცა იგი იმდენს იზამს, რომ დიდი აულტურით, დიდი ცოდნით, სიყვარულით, გენიალური ალღოთი შორს გადასწევს შვილების სქესობრივი მომწიფების ასაკს. მთავარია, დავაცადოთ ბუნებას, დავაცადოთ!

— ჩემი გოგონა ჩვიდმეტი წლისა დაქალდა, ვაჟიშვილიც ჩვიდმეტისა დავაჟკაცდა, — ამაყად მითხრა ერთმა კეთილშობილმა მანდილოსანმა; და მე გულში დავლოცე ეს ერთადერთი დედა.

— დღიან-ღამიანად ვფიქრობ ჩემი შვილების სქესობრივ ცხოვრებაზე და ეს მოსვენებას არ მაძლევს, — მითხრა ერთმა კეთილშობილმა კაცმა. სხვისთვის ეს სადარდებელი მსახურები და ჩასაცვამ-დასახურავია.

ფულსაც ისეთივე ძალა აქვს ჩვენი ორგანიზმის შესანარჩუნებლად, როგორც ჩვენსავე ნერვულ სისტემას; ისიც ისეთივე წარმომქმნელი, შემანარჩუნებელი და მაცოცხლებელია მთელი ჩვენი სასიცოცხლო ძალებისა. სწორედ აქედან მოდის სრულიად ერთნაირი ეკონომიური ჰიგიენა და დიეტეტიკა. ყაირათიანობა ყველა სიქველეთა სიქველეა! სიძუნწე და გამფლანგველობა — ბიწიერება! „მე სისხლნაკლული ვარ" იგივეა, რაც „მე სისხლნაკლული ვარ!"

სუფთა ჰაერის უღრმესი პატივისცემა მომავალი თაობების უპირველესი ნიშანდობლიობა იქნება.

შიმშილი საუკეთესო მზარეულია, მაგრამ თუკი მშიერიცა ვარ და თან საუკეთესო მზარეულიცა მყავს?

ვნებიანი ლტოლვა ყოველგვარი ადამიანური დამოკიდებულების საზომია კაცსა და ქალს შორის.

„მომენატრე", „უშენობა მკლავს", ამით ყველაფერია ნათქვამი. ამის კვალობაზე ყველას შეუძლია თავისი სიყვარული შეამოწმოს, ნამდვილია თუ არაა.

„უშენობა მკლავს", „მომენატრე".

საყვარელი ქალი ჩემი სხეულის ნაწილია! ჩემი სტომაქი, ჩემი ღვიძლი, ჩემი თირკმლები, ჩემი ცოლი!

დიეტეტიკისა და ჰიგიენის კანონების განხორციელებაზე მთლიანად ჰკიდია კაცობრიობის გონებრივ-სულიერი ევოლუცია.

ჩვენ ურჩხულები ვართ, მაგრამ ისიც ვიცით, როგორ გავხდეთ ღმერთები! იქამდე შორი, ძალიან შორი სავალია. მაგრამ ღმერთს აქვს დრო და ის ამითაც გენიალურია! განუსაზღვრელია მისი დრო. დღეს? ხვალ? ზეგ? არა, ღმერთს არ შეეშლება : მილიარდი წლის შემდეგ!

ჩვენი არსობის ბუნება გონმა უნდა შეცვალოს, რადგან გონი სხვა არაფერია, თუ არა გათვითცნობიერებული ბუნება, თავისივე თავის მეცარი ბუნება! ადამიანის ტვინის უაუნეთიდან მისივე გონის სინათლეზე გამოტანილი ბუნება! ერთხელ და სამუდამოდ აამშვიდობოზე გამოტანილი ბუნება! სამყარო და ტვინი საკვებით ერთნაირი ცნებებია!

ნერვული ტონუსის, სასიცოცხლო ძალთა, ემოციური უნარის მწვერვალს ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ სიცოცხლის იშვიათ წუთებში აღწევს. ეს ის წუთებია, როცა ადამიანი პირველად იკაზმება ბალზე წასასვლელად; პირველად გადაუსვამს ხელს ხელზე შეყვარებულს; პირველად მიდის თეატრში. „ჩვენ ხვალ დილას მივემგზავრებით?" „ის მოვა, ის მოვა"? დანიშვნა; მოულოდნელი ფული; საყვარელი ადამიანის სიკვდილი; და ადამიანს ამწამს გულში თავი ხელოვანი ჰგონია, იგი ილხენს, ვაებს, სიხარულისა და ვნებისგან თრთის. მაგრამ ხელოვანი ყოველთვის ამ მწვერვალზე დგას. მას ყველაფერი თრთოლვას გვრის, ლხენასა და ვაებას აგრძნობინებს. მსოფლიოს ბედი მის არსებაში ხმიანდება და ყველას, ვინც დუნაიში თავს დაიხრჩობს, საკუთარ მკვდარ შვილად მიიჩნევს. მთელი შენი სიცოცხლე, დიდი-დიდი, ორმოცდაათჯერ თუ იგრძნობ თავს ხელოვანად, შე უილაჯო და გახევებულო ადამიანო!

მაგრამ ეს წუთი მარადიულია და სიკვდილამდე თან გაგყვება, ლხენისა და ვაების მომგვრელი! ინავლება და კვლავ აღდგება!

სულიერება ადამიანის ყველაზე არსებითი ნიშანია და მისი ნერვული სისტემის საფაგია. სექსუალური შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი და აუცილებელი გათავისუფლება იყოს დიდი ხნის დაგროვილი სულიერი და სასიცოცხლო ალებისა. „სიკვდილს ვნატრულობ, დედამიწის ზურგზე ყველაზე საყვარე-

ლო არსებავ! ძილი დავკარგე. შიმშილი მკლავს; დღიან-ღამიანად ცხარედ მტირალი ვლოცავ შენს გაჩენას...“

ახლა მაინც მოუსმინე მას, დიაცო! ახლა მაინც, როცა სულისმტრობელი გაჭირვების გამო ფიზიოლოგიურად მისთვის აუცილებელი გახდი!

მთელი შენი ყურადღება მოძრაობაზე კი არ უნდა გადაიტანო, ორმუდ დასვენებაზე, რომელიც ამ მოძრაობას მოსდევს! დასვენებაშია მთელი ქმედება! მოძრაობის წყალობით სანატრელი გიხდება დასვენება, და ის გონივრულად უნდა გამოიყენო.

მხოლოდ დასვენებაში უნდა ვიგულოთ ჩვენი ორგანული ძალების შემდგომი განვითარება. უმძაფრესი მოძრაობის შეყოვნებაში!

ჩვენი ორგანიზმი ის კაპიტალია, რომლითაც ჭკვიანი კაცი როკფელერის ქონებას დააგროვებს, ხოლო სულელი გაკოტრდება!

ალკოჰოლი პირის საპარსი დანაა ბავშვის ხელში, მოწიფული და მცოდნე კაცის ხელში კი ტოლედური მახვილი, სასიცოცხლო იარაღი.

ქალის სუნთქვამ სულიერი ბედნიერება უნდა გაგრძნობინოს, მისი სამოსის სუნმა — მით უმეტეს! ყველაფერი, რითაც ქალია მოსილი, ზღაპრად უნდა გეჩვენებოდეს, მართლაც ჯადოსნურად გიჩნდეს, დღე და ღამე ოცნების ზღვაში ცურავდე. ამ ოცნებამ უნდა დაგცადოს და დაგაავადოს, სენი თანდათან მოგერიოს, სიგიჟეს აღარაფერი გიკლდეს; და მხოლოდ მერე, მერე გახსენი რაბები, გათავისუფლდი და მის სხეულს შეუერთდი! მხოლოდ მერე-მეთქი! უნდა შეგეძლოს სიგიჟის თავზარდამცემ ბჭეთა წინაშე დგომა და ლოდინი! მანამდე არა გაქვს ნეტარების უფლება!

ვაი იმას, ვინც ბედნიერია! ვისაც არ გაუვლია უზარმაზარი სასიცოცხლო ძალების ნელინელ დაგროვების გზა. უკან არ მოუტოვებია ეს გზა! უბედურია, ვინც მოკლებული აღმოჩნდა იმას, რასაც ერთადერთს დაედება ფასი ამ ქვეყანაზე. საწყალი მჭონებელი! ამსოფლიური უპირატესობა! დონ ჟუანი, საკუთარი თავი რომ დაჰკარგა!

მხოლოდ სულისა და გონისგან იქმნება ძალა!

ღმერთი ათასი წლობით ელოდება ამის აღიარებას. თვით ღმერთი წინამორბედი ძალაა, რომელიც საბოლოოდ საყოველთაო გონისა და საყოველთაო სულისგან წარმოიქმნება; ამიტომაც ხვდება ღმერთი ამას, რადგან ეს თვითონ არის!

მიყვარხარო, ნეტარებს ბუნების ძალა ჩვენს გულში და მერე მწარედ ნანობს, ნეტა სანეტარო რა მჭონდაო.

შეგიცვნე, რადგან მე მეკუთვნი, მშვიდად ამბობს გონი*ჩვენს არსებაში და ცოცხლობს ასე უდრტვინველი ბედნიერებით.

ყოველმა კულტურულმა კაცმა მანამდე არ უნდა დააკაროს ხელი საჭმელს, ვიდრე არ იგრძნობს დაუძლეველ შიმშილს. მთაში სიარულის დროს, დაჩქარებული ნივთიერებათა ცვლა ხუთი საათის განმავლობაში ჭამას რომ

მოგანდომებს, ამას ჩვეულებრივ ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი დრო სჭირდება. მოთმენა ვისაც შეუძლია, ძლიერიც იმას ეთქმის. დიახ, უნდა მოითმინო, ვიდრე საშინლად მოგშივდებოდეს; ეცადე, რაც შეიძლება შორს გადასწიო, რაც შეიძლება გვიან მოიკლა შიმშილი! დიდებულად უთქვამთ, ჭამე, როცა შიმშილს იგრძნობ, მაგრამ არკი გაძღეო, ეს ცნება სულ უნდა გახსოვდეს და სარწმუნოებად გექცეს. ჩინებული მდგომარეობა: მთელი შენი საჭმელის მომნელებელი აპარატი სუფთად და მშვიდად უნდა იყოს, ვიდრე ჭამას შეუდგებოდე. ჭამა გარდაუვალ აუცილებლობად უნდა გექცეს. სიამოვნება მხოლოდ ამაშია! აუცილებლობა უნდა იყოს ჩვენი წესი და კანონი!

ადამიანის ყოფიერების ერთადერთი ტრაგედია უვიცობაა, სხვა ტრაგედია არ არსებობს.

ყველამ რომ იცოდეს, რაც საცოდნელია, მაშინ ქვეყანას რაღა უჭირდა!

ადამიანს უყვარს ლამაზი ფიქრი, ლამაზი გრძნობა, მაგრამ უშნოდ თქვლეფა არავის ეყვარება.

— აბა, რა იცით თქვენი შვილის სქესობრივი მომწიფების თაობაზე?
არაფერია? მაგრამ ის ხომ კარგად იცით, ფაშფაშა ხავერდის ხალათის ტარება კვლავ რომ დაუწყიათ?

კულტურული კაცისთვის არ არსებობს სქესობრივი აუცილებლობა. არის მხოლოდ სულიერი აუცილებლობა.
„მიყვარხარ“ და მისი ყველა ფიზიოლოგიური შედეგი!
— ისევე გეყვარებოდა, იმად გამოუსადეგარი რომ ყოფილიყო?
— ისევე!

❧

თავისუფლებას მოწიფული უნდა შეხვდეს კაცი. ეს არის თავიდათავი ცნება. შავ ავაზას თავისუფლებას ვერ მოუპოვებ, ვერც უჭკუო და უზრდელ დედაკაცს!
თქვენი არსება კეთილშობილი თვინიერებით უნდა იყოს აღსავსე, მხოლოდ მაშინ თუ იქნებით თავისუფლების ღირსი, არა, თავისუფლების შემძლე.
შავ ავაზას დიდი ქალაქის ჭუჩებში თავისუფლად ვერ გაუშვებ; მისი ადგილი გალიაშია!

იცით, რას ნიშნავს, როცა გულმოლიავებული დადიხართ? ეს იმას ნიშნავს, რომ ღიაა თქვენი სული და გონება! გულმოლიავებულს გუნებაც გახსნილი ექნება!

ვინმე თუ მართლა გიყვარს, იმდენი უნდა დაუთმო, იმდენს პატივსცემდე, რომ მთლად გამოაშტერო, ჰოდა, სწორედ ამიტომაც აღარ გიყვარს მერე.

ჩემი ყველაზე დიდი დაფასება უცნობისაგან:

— მთელი თქვენი საქმიანობით, ჩემო ბატონო, ერთ ლეგენდას მგონებთ: მტვრიან სოფლის გზაზე, მზვარეში ძაღლის ლეში ეგდო და საძაგლად ყარდა. გამვლელები გვერდს უვლიდნენ და გარბოდნენ. მაშინ თქვა უფალმა ღმერთმა ქრისტემ:

— აბა, რად გარბიხართ? განა ვერ ხედავთ ამ ქათქათა, მარგალიტივით ჩაწიკწიკებულ კბილებს, ხრწნა რომ ვერ მიჰკარებია...

კულტურული ადამიანის საყვარელი არსებისადმი სიყვარულს ყოველთვის ახლავს მამობრივი და დედობრივი გრძნობები. როცა კი ნამდვილ შეყვარებულთა წყვილს შეხვდები, მაშინვე უნდა იგრძნო: აი, კეთილშობილი მამა და მისი სათაყვანებელი შვილი!

იმაზე, ბავშვს თავის სიცოცხლეში პირველად საყვარელი ხელი მოეფერება თუ საძულველი, დამოკიდებულია მთელი მისი ცხოვრება.

პირველ შემთხვევაში ბავშვი სასიცოცხლო ძალების მილიარდერი ხდება, მეორეში — კოტრი!

შენს ორგანიზმს გაცოცხლებული, დიდებული ხელოვნების ქმნილებასავით უნდა მოეპყრო და მოუარო, აი, კულტურულიც ამას ჰქვია!

ერთ მშვენიერ შვიდი წლის გოგონას, ვიზეც მითხრეს, ცხოველები განსაკუთრებული, ყველასგან გამორჩეული სიყვარულით უყვარსო (არასოდეს უთამაშია თოჯინებთან, სულ ქალალდისგან გამოჭრილი ცხოველებით ერთობოდა), ძალიან ლამაზი პატარა სათამაშო სპილო ვუყიდე.

გოგონა წვნიანს შეექცეოდა, როცა სათამაშო მივართვი. მღელვარებისაგან სულმთლად გაფითრდა და ესღა ამოილუღლუღა: ჭამა აღარ შემიძლიაო, და თავის ოთახში შეიკეტა.

ნეტა რა უნდა აჩუქო მოწიფულ ადამიანს, რომ ეს გულიდან ამოსული, დალოცვილი სიტყვები წარმოთქვას: „ჭამა აღარ შემიძლია!"

ზამთრის ერთ ღამეს საოცრად ნაზსა და ლამაზს, სრულიად ნორჩ მეძავ გოგონას გამოველაპარაკე და აღტაცება გამოვთქვი, რა დიდებული სახე გაქვთ-მეთქი. ამაზე გოგონას გული მოუვიდა და მკვახედ მიპასუხა: ნეტა ბევრს არ ლაპარაკობდე, სულელი სხვაგან მოიკითხეთო. მერე, როცა მაინც არ მოვეშვი და სილამაზე შევუქე, ასე მითხრა: — თუკი ამას მართლა მეუბნებით, მაშინ დამიმტკიცეთ და შტეფანპლაცის რომელიმე ჯიხურში ყველაზე ლამაზი თაფლისკვერის გული მიყიდეთო. დიდი სიამოვნებით-მეთქი. ვუპასუხე. გოგონას ლამაზი გული ვუყიდე, რაც ორი კრონი დამიჯდა... აბა ახლა მეტს აღარ გაგაჩერებთ-მეთქი. ვუთხარი.

— არა, დღეს ჩემი ხელობა აღარ მსიამოვნებს. ბარემ შინ მიმაცილეთ, თან წავიღებ ულამაზეს თაფლისკვერის გულს. ეს ღამე ყველაზე ბედნიერი ღამე იქნება ჩემს ცხოვრებაში.

— რომ გამოგყვეთ და თქვენთან დავიძინო?

— ნაშინ ხომ ყველაფერი შეიცვლება. არა, დამტოვეთ დღეს ჩემს ბედნიერებასთან მარტო..

თევზი არ უფრთხის თავის სტიქიას — „სუფთა წყალს", ადამიანი გაურბის თავის სტიქიას — „სუფთა ჰაერს".

იმაზე, რაზედაც გული შეგტკივა, ყოველთვის ისე თავშეკავებულად და მოკრძალებით უნდა ილაპარაკო, რომ თავდაჯერებული ყეყეჩები არ შეურაცხყო.

საკუთარ არსებაში ვნებათა ღელვის მოთოკვა ისე, რომ გარეთ გადმონთხევას არ ესწრაფვოდეს, გენიალური ბუნების არსებათა ხვედრია. ისინი სასიცოცხლო ძალების საცავებია, უზარმაზარი სათავსოებია, საიდანაც გამოდის გასაოცარი სიმფონიები, დრამები, ტილოები, მართალი წიგნები და სხვა.

გალიზიანებაზე უშუალო რეაქცია არ არის გენიალური! ეს იგივეა, ძირშივე ჩაკლა შენი შინაგანი არტისტულობა!

სულიერი აბორტი!

დედისა მხოლოდ ხელოვანს ესმის. დედა მარადის „არტისტულ ექსტაზშია", „გენიალური სიყვარულით აღვსილი შეიცნობს" ერთადერთ არსებას — „თავის ნაშობს".

ოჰ, რა შურს დედისა ხელოვანს! რასაც დედა მისი ერთადერთისთვის განიცდის, ხელოვანმა ხომ ყველასთვის უნდა განიცადოს!

იტირეთ, ნაზო ქალიშვილებო!...
სანამ ტირიხართ, მწუხარე გულით ატარებთ ქვეყნიერებას!
იტირეთ, ნაზო ქალიშვილებო!..
მთრთოლვარე სახეზე მიიფარეთ ხელები!..
და როცა ლიმილით დაუშვებთ ამ ხელებს,
ყველაფერი გათავებულია!

კიდევ რიღასი გეიმედება, გოგონი?
შენ ხომ გაუშლელი ყლორტი ხარ და შენშია ყოველი სიცოცხლე?
მაშ ნულარ გაიშლები, გოგონი...!
რადგან ჩვეულებრივი ყოფნა მოკლავს
შენს ღვთაებრივ არყოფნას!

მცენარესა და გენიოსს მოსდგამთ მიწიერი ძალა — ყველგან, ყველა გარემოში შეიწოვონ საჭირო მარილი...

შუალედ რგოლებს კი, „ცხოველსა" და „ადამიანს", ისლა დარჩენიათ, განსაზღვრული საკვებით დაკმაყოფილდნენ.

ვინც უნდა ყვიროდეს და არკი ყვირის...
ვინც უნდა ოხრავდეს და არკი ოხრავს...
არასოდეს არ ენდო მას და უფრთხილდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, საით მიცოცავენ ეს მხდალი ძალები, რომელთაც არ ძალუძთ ყააშკარაოზე გამოსვლა?

ნაღვლის ბუშტში!

მოუხილავო ბუნებავ! შენ, რომელიც a tout prix[2] ესწრაფვი შენი მიზნების აღსრულებას!

ათი ათას კილომეტრზე მეტს მიცურავს ქაშაყი უკიდეგანო ოკეანის სანაპიროზე. სანამ დედალ ქაშაყს გაანაყოფიერებდეს.

წინდახედულმა ბრძენმა ბუნებამ მამალი ქაშაყის ტვინში ჩადო ეს აზრი: შორეულ სანაპიროს აჰყოლოდა და სიყვარულით ათრთოლებულ დედალ ქაშაყს შეხვედროდა!

ბუნება ზრუნავს ქაშაყთა მოდგმის შენარჩუნებისათვის.

პეტრარკას სულს მარადი ცეცხლი შეუნთო ერთი ქალის სახემ, ვინც მხოლოდ ერთხელ იხილა საკურთხეველთან დაჩოქილმა. პეტრარკა არასოდეს აჰყოლია სანაპიროს ქალის შესახვედრად.

შორეთიდან, ოკეანესავით უძირო სულის სიღრმეებიდან ეტრფოდა იგი ქალს და ოცდაათი წელიწადი „შორეული" დარჩა!

და ისე, რომ პეტრარკას სხეულს არ გაუნაყოფიერებია, ცხოვრობდა ქალი უნაყოფო სიყვარულით გათანგული!

ოჰ, მოუხილავო ბრძენო ბუნებავ, შენ რომელიც a tout prix ესწრაფვი შენი მიზნების აღსრულებას!

ზრუნავ პეტრარკას მოდგმის შენარჩუნებისათვის!

მან ამ ქალთან შორეთიდან შობა თავისი შვილები, სიყვარულის სიმღერები!

პირველი კოცნა ყოველთვის ადრე მოდის, არასოდეს აგვიანდება.
დაიხსომე ეს, საწყალო კაცო, ვისაც „მოთმენა არ შეგიძლია!"
დაიხსომე ეს, მდიდარო, „მოთმინებით აღსავსე" ქალო!

ერთხელ ორ მეძავთან ვიჯექი. ერთი ბებერი იყო, ხანმოთეული, ცხოვრებისგან მლილივით გადათქერილი, მეორე — სულ ნორჩი, სიცოცხლით სავსე. ბებერი უზომოდ მხიარული იყო, ყმაწვილი ქალი — უზომოდ მწუხარე. მაშინ ბებერს ვკითხე, გამაგებინე, რა ხდება-მეთქი.

გასაგები რა არისო, მითხრა ხანმოთეულმა, ამას თავის გამხიარულება აბა ჯერ რად სჭირდებაო.

წადილო, წადილო, ადამიანებისა და ცხოველების გულიდან მომდინარეობ, მომდინარეობ, მომდინარეობ და, როცა ვერ პოვებ_ვერარა სულიერს, ვინც სიყვარულით მიგიღებდა, მერე ნეტა საით მიდიხარ, საით?

ლექსად იქცევი, ობოლ ცრემლად, ჭეშმარიტ ფილოსოფიურ გაკვეთილად, მელანქოლიად, რაც ლმობიერს გხდის და სამართლიანობას გიღვიძებს.

არაფერი, არაფერი იკარგება, რაც გულიდან მომდინარეობს. გარეთ გაგდებული ძაღლის ყმუილი ყურში ჩაესმის მუსიკოსს და იგი სიმფონიად იქცევა: ერთგულებისა და წადილის სიმფონიად!

---

[2] რადაც უნდა დაგიჯდეს (ფრანგ.).

მთელი პოეზია თვით ადამიანის ცხოვრებაშია, თუკი იგი პოეზიით ცოცხლობს. ყოველი მათგანი პოეტი ხდება, როცა ის თავის არსებაში აღოვებს მოჭარბებულ ძალებს, რომლებიც „საკუთარი ცხოვრების სიმფონიებად“ ხდებიან.

და მხოლოდ იგი, ვინც მუდამ იმდენივეს გასცემს, რამდენსაც ფლობს, იკეტება პატარა წრეში; უნაყოფო სექსუალური ცხოველი! ადამიანი მაშინ გქვია, თუკი მელანქოლიის მძლავრ შემოტევას გაუძლებ, თუკი მწუხარებას გგვრის, ჩემს ღმერთს რად არ ვგავარო! ყველაფერ ამას რომ გაექცე და შვება „სექსუალურ ტკბობაში“ პოვო, სწორედ ეს იქნება სიმხდალე! ეს იგივეა, თავი მოიტყუო რაღაც იდეალით, ტრაგიკული იდეალური ცხოვრებიდან ხელსაყრელი ოჯახური ცხოვრება შექმნა. ბეთჰოვენი მხოლოდ სიმფონიებში პოულობდა შვებას. სხვა საშველი მან არ იცოდა. ვაი იმას, ვინც იდეალების ხარჯზე „ჯანმრთელი“ და „მშვიდობიანი“ რჩება!

ჩვენს არსებაში ჩაბუდებული სატანა განდგომილი ღმერთია და მეტი არაფერი.

კეთილშობილ ბანოვანთა უძეტესობას აწუხებს შინაგანი უკმარისობის შეგრძნება, დანაღვლიანებული და დათრგუნვილია. ამიტომ მოუთმენლად ელან იმასთან შეხვედრას, ვისაც იმდენი სულიერი ძალა აღმოაჩნდება, რომ უკმაყოფილებას კმაყოფილებად აქცევს, მათ კი — დედოფლებად და ზღაპრულ მეფის ასულებად.

„არარაობა ვარ. არარაობა...“ გრძნობს თვითონ. „მაგრამ ესეც რომ მიხვდეს? იქნებ ყველაფერი ამეხსნა? ნუთუ მთელი ცხოვრება ასე იქნება? ასეა თუ ისე, ჯერჯერობით მე მისი პატარა დედოფალი ვარ, ჯერჯერობით, სულით ხორცამდე ღატაკი! მან მათხოვარს დამადგა თავზე გვირგვინი! მაშ, ღირსეულად ატარე იგი, მათხოვარო!“

*

რაც „სიყვარულით“ ხდება, ბუნების ხელითაა ნაკურთხი! „მსოფლიო სული“, სამყაროში განხმეული, იდუმალი სულიერი ძალა რაღაც მანქანებით მაცოცხლებელ ძალად იქცევა.

სულიერი მოქმედების გარეშე მხოლოდ მოსაწყენი უფერულობაა და მეტი არაფერი! მხოლოდ და მხოლოდ სულია „თანამედროვე ადამიანის“, ამ აზიზი სასიცოცხლო მანქანის მამოძრავებელი.

„უთქვენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. ანა...“

იგი წითლდება, სიამით ივსება, ნეტარებას გრძნობს!

„მინდა ამწამშივე დაგეუფლოთ, სიტკბო მაგრძნობინოთ, ანა...“

იგი ფითრდება. თრთის, გული უკვდება!

ჩვენ ზემოთ არსებობს საყოველთაო ბუნების, საყოველთაო სულის გამბჭობი, მაკურთხეველი, მაწყევარი ძალა!

„ჩემი ბიჭიკო მიაღწევს იმას, რაც მე არ მელირსა“, — ფიქრობდა ლაჩარი მამა.

შენი საკუთარი ვაჟი რომ გახდე, რაც შეიძლება თვითონვე უნდა წვრთნა თავი და ამით უმაღლეს განვითარებას მიაღწიო! მაგრამ შენს ბავშვებს მოსთხოვო ეს, მათი იმედი გქონდეს? ლაჩრობაა.

ოჯახის შექმნა ნიშნავს, ერთი მილიარდი ადამიანისთვის საბოლოო უხილავი მეგობრობის გრძნობა ერთ ქალსა და ორიდან ხუთამდე შვილს გაუნაწილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა ბანოვანმა ერთ კაცს, ვინც მას ვერ იტანდა და ვინც არც ოვითონ ეპიტნავებოდა, წერილი მისწერა:

— დღეს საღამოს ვახშამზე მეწვევა ფროილაინ ბ., ვისაც ამას წინაა მშვენიერი ლექსი უძღვენით. მესტუმრეთ, პირადად მე კი ნუ მომესალმებით.

იმ კაცმა პატივი დასდო და მივიდა, მაგრამ მისთვის სალამი არ უიქვამს. ორივე სულიერ გამარჯვებას ზეიმობდა...

ოპტიმიზმის ფილოსოფია. მე-17 საუკუნეში ვილაცამ თქვა: „მოვა დრო, პარიზიდან ვენას ტელეფონით დაელაპარაკები...“

დამთხვეული, მეოცნებე, ვირი ხარო, უთხრეს.

1905 წელსაც არიან იმდაგვარი დამთხვეულები, მეოცნებენი, ვირები. ისინი ახლა 3000 წელიწადზე ლაპარაკობენ.

მელანქოლია მაშინ გიჩნდება, როცა გრძნობ, რაოდენი მანძილია შენ, ყოფიერებასა და შენს წარმოდგენაში არსებულ ხელმისაწვდომ იდეალს შორის. ვაი მას, ვისაც ეს მელანქოლია არ უგრძვნია! ადრეულად პოვო სიმშვიდე, მუდრობა, ეს იგივეა, შენვე მოაწერო ხელი საკუთარ სედანის[3] კაპიტულაციას!

მელანქოლია ჩვენს არსებაში ჩაბუდებული ღვთის ხმაა, რომელიც გამუდმებით გვიხმობს ჩვენი მოვალეობის აღსასრულებლად — ძიებაოთ ღმერთ! ეს ის იდუმალი, მედგარი ხმაა, რომელიც მუდამ ეღერს და დამშვიდების ნებას არ გვაძლევს. ვაი მას, ვინც მშვიდად ცხოვრობს, მხოლოდ და მხოლოდ მწვრვალზე ასვლით პოვებ საბოლოო სიმშვიდეს!

„სიყვარულმა უნდა შემაძლებინოს და მინდა ჩემი სატრფოს ყველა სასიცოცხლო ძალა — ხორციელი, სულიერი, გონისმიერი თუ ნივთიერი, დავიცვ და დავიფარო, შევინარჩუნო და ვამრავლო. მინდა ამ კეთილშობილი მანქანისთვის — „მამაკაცისთვის“ ის ვიყო, რაც მთის ჰაერია და მსუბუქი, ადამ ადამელი! მაცოცხლებელი მინდა ვიყო მისი და ღვთაებრიობისათვის!

და როცა ერთ დღეს ყავლი გაუვა ჩემს მაგიურ მომხიბვლელობას, უდრტვინველად გავქრები მისი ცხოვრებიდან და მარადის მემახსოვრება ის სანეტარო დღეები და ღამეები, როცა მას ჩემი სუნთქვით ვათბობდი!“

— თქვენს თავზეც ხომ უნდა იფიქროთ, ქალიშვილო!..

— აი ასე ვიქცევი. სწორედ ამიტომ არასდროს არ ვფიქრობ ჩემს თავზე...

ქალი არ არის უბრალო, საწყალი, ჩვეულებრივი არსება.

იგი ანიჭებს ჩვენს სულს ძალას. შექმნას მისგან ზღაპრული მეფის ასული!

---

[3] 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს სედანთან საფრანგეთის არმიის კაპიტულაცია.

ესე იგი, ზემიწიერი არსებაა! იგი გვაძლევს ჩვენ ძალას ისტერიული სანტიმენტალობისათვის! მას ავყავართ ჩვენს შეგრძნებათა უმაღლეს მწვერვალებზე. იგი გამოგვტაცებს ხოლმე ნებიერი საათის მყუდროებას. ჩვენ შეგვიძლია საოცრად დავუმეგობრდეთ ჯიშიან ძაღლს, მაგრამ მისი სუნი აოასოდეს გვესიამოვნება.

სულ სხვაა ქალი. ფანატიკურად მიყვარს შენი ტანისამოსის, შენი იღლიების სუნი...

იგი მისტერიების მბოძებელია, მხოლოდ უნდა შეგეძლოს მიღება მისი მისტერიების!

ქალი. შეიძლება მისი სწორედ ის იყოს ძვირფასი, რაც „უსარგებლოა" ისევე, როგორც ისპანახის ფერი და მოყვანილობა. რა თქმა უნდა, მას საკვებად, სუფრელად იყენებენ, რადგან შეიცავს რკინასა და სხვა მნიშვნელოვან ნაერთებს, მაგრამ რა ფასი აქვს თვით ისპანახს? იგი თავისით ამოდის მიწიდან, მუქმწვანე და თავისებურად გამომლალული; ამნაირად ის ყველასთვის უსარგებლოა და მაინც საოცარია!

დარჩე შენს თავში მარად ჩაფლული — კაცის ერთადერთი დანაშაულია! გარეთ გახვიდე, სამყაროში — ერთადერთი მოვალეობა! მიჰბაძო გოეთეს! ირგვლივ მიმოიხედო და მოიაზრო, როგორც კონდორმა, ყველაზე მაღალ მთათა წვერვალებს რომ გადაუფრენს. ჩემი ცოლი, ჩემი შვილი, ჩემი საქმე; ეს ნიშავს — ჩემი ცრურწმენები. ჩემი სიცარიელე, ჩემი უადამიანობა!

„თავზევით ძალა არ არის" — სამარცხვინო, ლაჩრული, ანტიქრისტიანული თქმაა, რაც ოდესმე უთქვამთ. მართლაც რომ იუდას სიტყვაა კაცობრიობისათვის ვინც წელში მოხრილი დადის. შეუძლია გამართულმა იაროს, ვინც გამარჯული დადის, შეუძლია „იფრინოს"!

იქნებ ამისთვის უზარმაზარი მსხვერპლი იყოს საჭირო...

მაშ, მსხვერპლად შესწირეთ... თქვენივე თავი!

პლატონიკოსი იმას ჰქვია, დამალო შენი სასიცოცხლო ძალა, სანამ „იდეალ" გამოჩნდებოდეს;

დამმონებელ დროს ლაჩრულად ძირს არ გაეგო! უკმაყოფილება მანუგეშებლად არ გაიხადო! სისუსტე, რასაც ლოდინი ეწოდება, ძალაა!

ქალმა მითხრა: „ჩემი ბავშვი ულამაზოა, ამიტომ მე მას რაინდის სულს ჩაუდგამ, რათა თანაგრძნობამ და პატივისცემამ ესთეტიკური მომხიბვლელობა შეცვალოს!

იგი ყველას ეყვარება, რადგან „ადამიანური" იქნება.

— აგერ ჩემს ადგილზე დაბრძანდით, ბატონო, მე შემიძლია ფეხზე ვიდგე ტრამვაიში...

კაცი შემკრთალ-შეცბუნებული მიაშტერდება.

— ამას რად მეუბნებით?..

— მე ხომ უშნო ვარ, ამიტომ ეს ჩემი მოვალეობაა...

— შემომასუნთქე, უსაყვარლესო, — უთხრა კაცმა ქალს და ქალმა გაიფიქრა:

„მილიარდობით ჩემი ამოსუნთქვა ფუჭად, უკვალოდ დაკარგულა სამყაროში, სანამ ეს ერთი ვინმე გამოჩნდებოდა და იმ ამოსუნთქვაში [illegible] სასიცოცხლო ძალას შეისრუტავდა!..“

მოწყენილობავ, რაოდენ მარგებელი იქნებოდი, რა სიმშვიდეს მოგვანიქებდი, რომ იმავდროულად ხელს არ უშლიდე ჟანგბადის მოწოდებას და ამით ჯერ კიდევ სიცოცხლეს არ გვართმევდე!

მოახლოებული ტრაგედია, ვაჟმა უთხრა ქალს: — ბედნიერი ვარ, რომ სატაცური ასე გეგემრიელება. საათობით შემიძლია შენს ჭამას ვუყურო...

ამ სიტყვებზე ქალს სახე არ ატკრეცია, ნირი არ უცვლია. იგი მშვიდად შეექცეოდა სატაცურს, თითქოს არაფერი მომხდარაო. სრულიად არაფერი, წმინდა და მისტერიული, რაც სინაზით აღსავსე გულმა ველარ დაიტია...

სიცოცხლის ტრიუმფი — ვიზრდები!
სირცხვილიანი არსებობა — დავმყაყდი!
დავმყაყდი, ვჭკნები — სამზადისი კუბოს ზომის ასაღებად!

იმ სარგებლობას, რაც ამქვეყნად თითოეულ ცოცხალ არსებას მოაქვს, სწორედ იმდენივე ზარალი მოჰყვება ხოლმე. დაკოდილი პირუტყვი დამყოლი და თვინიერი ხდება, მაგრამ იგი „დაკოდილი პირუტყვია“.

ალკოჰოლი

ალკოჰოლის ფანატიკური მოძულე ვარ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ტოლსტოის პრინციპს მივსდევ: როცა ადამიანები ჯანმოთელობას უფრთხილდებიან, აზრიანად და შეგნებულად ცხოვრობენ, იციან სიკეთისა და ბოროტების ფასი, მაშინ თავისი გენიალური სიფხიზლის წყალობით შეძლებენ შეელიონ ალკოჰოლს. ყავარჯენი დადამბლავებულთა ალკოჰოლია! ალკოჰოლი გამაბრუებელი საშუალებაა, რათა ვერ ვიგრძნოთ, რა ძლიერ დაგშორდით ჩვენს შინაგან იდეალებს და ასე უმიზნოდ ვცხოვრობთ, რათა ნაადრევად არ მივეცეთ სასოწარკვეთილებას! ალკოჰოლი მანამდე გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს, სანამ თავის მოკვლას გადავწყვეტდეთ. ალკოჰოლმა უნდა მოსპოს ჩვენს მონანიე ხსოვნაში: გულდენი[4], რასაც საკმარისზე მეტს ვხარჯავთ; ქალი, ვინც არც გვიყვარს და არც პატივს ვცემთ, მაგრამ მაინც გულში ვიხუტებთ; საათი, რომელსაც აუცილებელ ძილს ვპარავთ; საჭმელი, რომლითაც უზომოდ ვძღებით, ყველაფერი, ყველაფერი, რაც ბუნებრივი ორგანიზმისათვის მართლა ბუნებრივი და აუცილებელია! თავისი ცოდვების, უვიცობისა და სისუატეთა მელანქოლია კაცმა ლუდით, ღვინითა და არაყით უნდა გაანელოს! ერთი კათხა ლუდის მერე მას ავიწყდება უსიყვარულოდ ნაგემები ქალი, უანგარიშოდ დახარჯული გულდენები და ტანჯვა-წამებით აღსავსე ცხოვრება. ლუდი ყოველგვარი უქეი-

[4] ავსტრიული ფულის ერთეული.

ფობის მტერია და ამ უქეიფობას ადვილად უქარვებს კაცს. იქნებ კარზე დამიკაკუნონ და ბინის ქირა მომთხოვონ, ან თერძმა ანგარიში წარმოიდგინოს, მაგრამ საკმარისია მეოთხე დიდი კათხა ლუდი გადავყლურწო, რომ სახლის პატრონი კარგა მაგრად გავთათხო და ჩემს გულში, რა თქმა უნდა, ფკერავი კიბეზე გადავუშვა. ჩემს საყვარელსაც ვუთავაზებ წიხლს, ჩემს გულში ლუდი ამარცხებს ყოველგვარ უბედურ სიყვარულს.

ალკოჰოლი ავსებს პირაშკმულ უფსკრულს მათ შორის, რაცა ვართ და რაც გვინდოდა ვყოფილიყავით! უნდა ვყოფილიყავით! შეიძლება ვყოფილიყავით! როცა მაიმუნი მიხვდა, შეიძლება ადამიანი გავხდეო, სმას მიჰყო ხელი, რათა კვლავ მაიმუნად დარჩენის წუხილი განექარვებინა. ადამიანი როცა მიხვდა, შეიძლება ღვთაებრივი გავხდეო, სმა დაიწყო, რათა კვლავ ადამიანად დარჩენის ტკივილი გაენელებინა. მიეცით ადამიანს შესაფერისი გონებრივი ან ფიზიკური სამუშაო, საფერი ქალი, შესაფერისი საჭმელი, საჭირო მყუდროება და თვითონაც არ ეცოდინება, ისე იგრძნობს: **triston men hydor**[5].

ალკოჰოლი ჩვენს ნაკლოვანებათა გამათანასწორებელია! რაც უფრო უნაკლო ვართ ღვთის იდეალური გეგმის მიხედვით, მით უფრო ნაკლები ალკოჰოლი გვჭირდება. ალკოჰოლი იდეალისტისთვის მელანქოლიის საზომია. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ არ შემიძლია ვიყო ღვთაებრივი!

ქალის სახის სილამაზე მხოლოდ მაშინ შეაფასე, როცა იგი, ვისგანაც ამას დიდი ხანია ელოდება, ეტყვის:

— მე თქვენ ძლიერ, ძლიერ მიყვარხართ...

სწორედ იმწამს დგება ქალის სილამაზის ყვავილობანობა.

ნატურალიზმი და რომანტიკა. თანდათან ყველა იმ აზრისაა, რომ რომანტიკოსების „ცისფერი ყვავილი" ნამდვილად ნამდვილ მინდორზე ამოდის: ეს მაჩიტელაო, ეს ლურჯი ღიღილოო, ეს კესანეო და ა. შ. ა. შ. და ისინი უფრო ლამაზი, სათუთი, ნაოცნებარი და ფიდუმალი არიან, ვიდრე ზღაპრული ქვეყნის სასაცილო ჰუმუსზე ამოსული ყვავილები. „რეალობაში" „იდეალურს" ვინც ეძებს, აი, სწორედ ის არის ნამდვილი რომანტიკოსი!

„კარგ საზოგადოებაში" არ უნდა „გამოირჩეოდე". მაგრამ ის, ვინც ფრანგულს სარა ბერნარივით ან კოკლენ უფროსივით[6] ლაპარაკობს, გამორჩეულია...

ვაი იმას, ვინც არაფრით გამოირჩევა! ყოველივე სრულყოფილება გამორჩეულია!

— ქალი ერთი ღატაკი მუშტარია, — თქვა ფილისტერმა და ქალის სული მოაგონდა.

— ქალი გულუხვი მბოძებელია, — თქვა ხელოვანმა და ქალის სხეულის მოყვანილობა მოაგონდა.

---

[5] წყალი ყველაფერს ჯობია (ბერძნ.).

[6] სარა ბერნარი ((1844-1923), კონსტან კოკლენი (უფროსი, 1841-1909) — საბელგანთქმული ფრანგი მსახიობები.

თეატრალური ცხოვრება ზერელე ცხოვრებაა!
ცხოვრებისეული თეატრი — ყველაზე ღრმა თეატრი!

— მიყვარხარ, ესე იგი, ლამაზი ხარ! — თქვა ვაჟარმა.
— ლამაზი ხარ, ესე იგი, მიყვარხარ! — თქვა ხელოვანმა.

ღმერთი გენიოსებით ფიქრობს, პოეტებით ოცნებობს და დანარჩენი კაცობრიობით სძინავს.

საუბარი ერთ წიგნზე

ეილინ კეის „ადამიანები" (ს. ფიშერის გამომცემლობა, ბერლინი).
პოეტ რობერტ ბრაუნინგისა და პოეტი ქალის ელიზაბედ ბარეტის სიყვარული და ქორწინება.

ეს წიგნი ერთი ჩემი ძვირფასი ქალისთვის სულ გადავშალ-გადმოვშალე და შევამოკლე. დავტოვე მხოლოდ 149 გვ. მე-13 სტრიქონიდან 203 გვ. ჩათვლით.

დარჩა წიგნის არსი.

ამ წიგნის კითხვისას თავი ზღაპარში გვგონია — ორნი ერთმანეთს შეხვდნენ!

ორმა ადამიანმა, სამყაროში მხოლოდ ერთმანეთისთვის რომ იყვნენ გაჩენილნი, ერთმანეთი იპოვეს!

ეს, მარტოოდენ ეს არის ქორწინების მიზანი; განა ამას არ ოცნებობდა ღმერთი თავისი რომანტიკული ალმაფრენით!

აი, აქ იბადება ენით აუწერელი, მისტერიული და დაუცხრომელი თავგანწირულება! მარადიული რომანტიკა!

მარადიული რომანტიკა დაუღალავად ისრუტავს სხვათა სასიცოცხლო ძალებს თავისი ნაზი და სათუთი არსებობისათვის!

მამაკაცებო, დაელოდეთ ამ სამყაროში გაჩენილ თქვენს საბედოს!
დაელოდეთ სიკვდილის ბოლო წუთებამდე! მაშინ თქვენ შინაგანად იქორწინებთ იმასთან, ვინც ალარ მოვიდა!

მადლიერება

ერთხელ ვილაცამ მკითხა: — პ. ა., როდის განიცადეთ თქვენს სიცოცხლეში ყველაზე დიდი სიხარული, როცა ვინმეს თქვენთვის მადლობა უთქვამს?

მე ასე ვუპასუხე: — ერთხელ ერთმა უცნობმა ქალმა მომწერა ბერლინიდან: „ჩემო ბატონო, მას შემდეგ, რაც მე „წმინდათაწმინდა ძილის" თაობაზე თქვენი ნაწერი წავიკითხე, ძალა ალარ შემწევს ჩემი ცამეტი წლის უტკბილესსა და უძვირფასეს გოგონას დილის ძილი გავუფრთხო! მან ამისი არა იცის რა და ძალიან გაკვირვებულია, რომ მისი ცხოვრება ასე კეთილად აეწყო!"

ამ სიტყვებმა 1897 წლიდან მოკიდებული ვიდრე დღემდე ყველაზე დიდი სიხარული მომგვარა!

და რატომ ძაინცდამაინც ამ სიტყვებმა?

ამ სიშორიდან ერთადერთი წინადადებით ავამორ[illegible] სრულიად უცნობი ნორჩი გოგონას ორგანიზმს სიახლნაკლულობა, ათასი უბედურება, ზრდას რომ თან დასდევს, მელანქოლია და უგუნებობა, შევუნარჩუნე ჯანმრთელობა, სიმშვიდე და სიხალისე!..

სიკეთეშია მთელი სიბრძნე, — თქვა გრძნობამოჭარბებულმა იდიოტმა.
სიბრძნეშია ყოველი სიკეთე, — თქვა სრულყოფილებას ზიარებულმა.

მყობადი შორსმჭვრეტელი კაცის აწმყოა.

დაღლილი კი ვარ, მაგრამ არ უნდა შევეპუო, — თქვა იდიოტმა. — აბა რა გამოვა. ყოველთვის ქედი თუ მოვუხარე?

დაღლილი კი ვარ, მაგრამ არ უნდა შევიმჩნიო, — თქვა ორთქლის ქვაბმა. იმწამსვე აგასკდა.

ჩემი შვილი შვიდ საათზე უნდა ადგეს და სკოლაში წავიდეს, ამიტომ საღამოს შვიდზე იძინებს. მე მთელი სიმკაცრით ვადევნებ თვალს, რომ ეს წესი არ დაირღვეს, გამონაკლისი არ არსებობს. მოვა დრო და მის შეწუხებულ სახის გამომეტყველებას მადლიერი და მზიარული იერი შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, მე ავასრულე ჩემი „ჰიგიენური მოვალეობა“, სხვა მოვალეობა არ არსებობს!

ჩემი შვილი იფურჩქნება. უნდა გაიფურჩქნოს, აბა რა!

არ ვიცი, იქნებ სახლის სახურავიდან კრამიტი ჩამოვარდეს და თავში დაეცეს. სხვაფრივ კი იმისი ბედ-იღბალი ჩემს რკინის ხელშია, არა, ჩემს რკინის ტვინშია...

გერმანია იფურჩქნება! — თქვა ბისმარკმა, — მისი ბედ-იღბალი ჩემს რკინის ხელშია. არა, ჩემს რკინის ტვინშია!

ფიზიკური გახევება გონისმიერი და სულიერი გახევებაა!

ხანგრძლივი „სულიერი ცდომილების“ შემდეგ მონანიე ქალი დაუბრუნდა ვაჟს.

— მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ყველას სჯობიხარ...

ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ადამიანი მარად ახალგაზრდა და მომხიბლავი ვერ იქნება, ამიტომ დროზე უნდა ჩაებღაუჭოს რომელიმე იდეოტს...

თავდება. დგება სასოწარკვეთილების, „გამასავათებელი გაჭირვების“ წამი. რომელიც სულს გილრღნის და გინადგურებს. „სული ამოუჭამაო“. ადამიანის არსებაში კვდება პოეტი, მას კლავენ. ადამიანის არსებაში ვერაგულად ალავენ უსაზღვრო პოეტურ ძალას. რჩება „საღად მოაზროვნე ადამიანი“. ჩვენ ვგლოვობთ ჩვენს არსებაში პოეტის სიკვდილს. თავდადება იწვევს შიშს. რომ

ჩვენს არსებაში შეიძლება მოკლან პოეტი... ეს არის შიში ჩვენი საღად აზროვნების გამო, რომ ჩვენს არსებაში მოკვდება პოეტი....

ჩვენს გულში კლავენ პოეტს, ჩვენ კი არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერშია, ყველაფერში სული. ხალათზე ღილი დიდხანს არ აგაწყდება, თუკი სულით და გულით მიაკერებ...

არის ამქვეყნად ცხოველები, რომლებიც ტყვეობას ვერ იტანენ და „სამაგალითო მოვლის“ მიუხედავად იღუპებიან.

განა მარტო ცხოველები?

ადამიანის აღზრდა იმას ნიშნავს, შესძლო სქესობრივი მოთხოვნილებები სულიერ მოთხოვნილებებად ექცეს. პირუკუ მოვლენა თავისით მოხდება.

ქალის ბაგეს, გაზაფხულზე აფეთქებული მინდვრებივით რომ ფშვინავს, სულ უნდა იფშვინოს, იფშვინოს, იფშვინოს... ასეა, სრულყოფილებას ბედნიერების მინიჭების მისიაც აკისრია.

დონ ჟუანს მართლა რომ სცოდნოდა, რა სჭირდება ქალს ნამდვილი ბედნიერებისათვის, ვეღარ შესძლებდა დონ ჟუანად ყოფნას. მხოლოდ ბრიყვული თავხელობა აძლევს მას იმის უფლებას, ძლევამოსილ დონ ჟუანად დარჩეს!

ჩვენი ნერვული სისტემა არ აგებს პასუხს წამიერ შთაბეჭდილებაზე. თითოეულ წუთს საკუთარი კანონები აქვს. აბა, მკითხეთ ექვს საათზე, რა ვიყავი მე ხუთ საათზე? იქნებ უფრო ამაღლებული, იქნებ უფრო მდაბალი?...

ქალი ფიქრობდა: რა იქნება სულელსაც ისე ვუყვარდე, როგორც ბრიენს ვუყვარვარ. ნამდვილად ის უყვარდეს ჩემი, რაც მართლა საყვარელია. მაგრამ მაშინ იგი ჩემთვის „ვერც სიცოცხლესა და ვერც სიკვდილს“ ხომ ვერ შესძლებდა.

ბრძენკაცს ყველა ჩვენთაგანზე საკუთარი აზრი რომ ჰქონდეს, თავი უნდა ჩამოგვეხრჩო. იგია, ყველა ჩვენს ნაკლოვანებას რომ ხედავს... ამიტომაც ვამჯობინებთ იდიოტებს. მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ იგი მაინც იდიოტია!

იმის მიხედვით, მამაკაცები ქალის მომხიბლაობას რომ მიაწერენ, ლამაზ ქალს ძალიან ყველა გიჟები ჰგონია, მაგრამ ამას არ ამჟღავნებს და ხელსაყრელ ვითარებას თავის სასარგებლოდ იყენებს. იმის არ იყოს, ერთმა გიჟმა საგიჟეთში მოხუც სანიტარ ქალს რომ ჰკითხა: — თქვენ ხართ ჩინეთის მეფე?

— დიახ, მე ვარ, ჩემო ბატონო! — წყნარად უპასუხა საზრიანმა სანიტარმა.

□

გიორგი გოგოჭური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი და მისი ტრანსფორმაცია თარგმანში

პერსონაჟის სახე მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებით, მათი დაპირისპირებითა თუ დაახლოების გზით წარმოიქმნება მოქმედება და სიუჟეტის განვითარება, ამიტომ ეწოდება პერსონაჟ მოქმედი პირი. ერთი მოქმედი რომ მეორისგან განსხვავდეს და ამასთან, დასამახსოვრებელი და გასაგები იყოს, მას უნდა საკუთარი სახე ჰქონდეს. პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად სხვადასხვა ხერხი გამოიყენება. მათგან მთავარია აღწერილობით დახატვა და მოქმედებაში ჩვენება. აღწერილობით შეიქმნება ძირითადად გარეგნული პორტრეტი, ხოლო მოქმედება ანუ ქცევა და მეტყველება გამოაჩენს გმირის ხასიათს, შინაგან ბუნებას.

გარეგნული პორტრეტის შექმნას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ლიტერატურაში; ჩამომხმარი დონ კიხოტი და ბაჯბაჯა სანჩო ისე არიან აღწერილი, რომ მათ მხატვრული ილუსტრირების გარეშეც ცხადად ხედავს მკითხველი. მწერალი განსაკუთრებით დასამახსოვრებელ ნიშნებს იყენებს. გმირის ხასიათის ამა თუ იმ მხარის წინ წამოსაწევად. ტარიელი თავისი ვეფხის ტყავით ყველგან გამოირჩევა და, ამავე დროს, ეს ნიშანი აშკარა კავშირშია მის შინაგან ბუნებასთან, ისე როგორც ჯაგლაგი როსინანტი და ჯიუტი ვირი რაღაც კუთხით ახასიათებენ თავიანთ პატრონებს. მაგრამ მარტო ასეთი მინიშნებებით ვერ დაიხატება გმირის რთული ბუნება. ხასიათის გამოვლენის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა პერსონაჟის მეტყველება — რას ლაპარაკობს ის და როგორ ლაპარაკობს, — ანუ შექმნა მისი ენობრივი პორტრეტისა.

ენობრივი პორტრეტი გმირის მთლიანი სახის შემადგენელი ნაწილია. გმირის სახე წარმოგვიდგება გარეგანი და შინაგანი თვისებების მთლიანობაში, ამ თვისებების განვითარებაში, ცვალებადობაში. გმირის ხატვა სიტყვაკაზმული ლიტერატურის არსებობის პირველივე ნაბიჯებიდან მოყოლებული ამ გზით მოდის.

მართალია ძველ ძეგლებში პერსონაჟთა მეტყველება ინდივიდუალური თვისებებით ნაკლებად გამოირჩევა, მაგრამ მწერლებს კარგად ესმოდათ აზისი საჭიროება და ნაკლის შევსებას რემარკებით ცდილობდნენ. როცა ვარსქენის ულირსი სიქციელი შეიტყო, შუშანიკი „დავარდა ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ"... მწერალი უხვად იყენებს ენობრივ საშუალებებს იმის საჩვენებლად, თუ როგორ მეტყველებს გმირი: სიხარულით თუ სიმძიმილით, ხმამაღლა თუ ჩურჩულით, გაკვირვებით თუ დარცხვენით და ა. შ. როცა ვაზირმა სოგრატმა და ავთანდილმა დალონებული როსტევანი იხილეს, სასმისები აივსეს და მუხლმოყრით წინ მიუსხდნენ: „ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბარითა: „დაგილრეჯია, მეფეო, ალარ გიცინია პირითა"... „ენით ლაღობა" და „წყლიანად მოუბარობა" სწორედ ის თვისებებია, რაც შექმნილ სიტუაციაში იყო საჭირო. რუსთაველი წინდაწინ გვაფრთხილებს, ვაზირის ნათქვამი ხუმრობად უნდა ჩაითვალოსო, თორემ, უამისოდ, სოგრატის სიტყვები, უბრალოდ, უზრდელობად აღიქმებოდა. „რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა"... როგორც ვხედავთ, მწერალი ფაქიზად უგდებს ყურს იმას, თუ რას და როგორ ლაპარაკობენ მისი გმირები და ამას შაშინვე გადასცემს მკითხველს.

რეალისტური პროზის განვითარება თავისთავად გულისხმობს გმირის შინაგანი ბუნების, ხასიათის ხატვის უფრო რთული ხერხების მოშველიებას. თანდათან იკვეთება პერსონაჟის ენობრივი ინდივიდუალობა, მისი გამორჩეულობა სხვათა მეტყველებისაგან. დიკენსის გმირებს არა მარტო ლექსიკა აქვთ საკუთარი, არამედ ხმა, ინტონაცია და საუბრის მანერაც. ჯერ კიდევ ადრე „ჰამლეტში" დანიის პრინცის ირონიული ღიმილი გამოიწვია მესაფლავეების უბრალო, მაგრამ ხატოვანმა სიტყვა-პასუხმა. ამიტომაცაა ეს სურათი განსაკუთრებით რელიეფური და დასამახსოვრებელი. ელიზა დულიტლის სახეც ბ. შოუს „პიგმალიონში" მთლიანად მეტყველების კოლორიტითაა გამოძერწილი.

ასევე გარკვევით გვესმის მანილოვის ხმა „მკვდარი სულებიდან", ფრთხილად არჩევს იგი სიტყვებს, თან მოსაუბრის სახეს შეპარვით შეჰყურებს, რათა დროზე მიხვდეს, როგორ ზემოქმედებას მოახდენს ნათქვამი, და შუა სიტყვაზედაც კი ჩერდება მოსაუბრის რეაგირების ზე-

გაულენით. მისი მეტყველების მანერა ცხადად გვაჩვენებს მეოცნებე მემამულისა ბუნებას: გაუბედაობას, შეზღუდულობასა და უხიათობას.

ხოლო ნოზდრიოვი არც სიტყვებს ირჩევს და არც მათს მნიშვნელობას უფიქრდება, სულაც არ ენაღვლება, ვისზე რა შთაბეჭდილებას მოახდენს, ამიტომაც იმას წამოისვრის, რაც ენაზე მოადგება. ასეთივე ზუსტად მოხაზულ ენობრივ პორტრეტებად გამოიყურებიან სხვა პერსონაჟებიც, პლიუშკინი იქნება ეს თუ საბაკევიჩი.

ცხადია, პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტების მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოა ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური მიმართებებით ლიტერატურის სამოქმედო არე. მაგრამ ნაწარმოების ფართო ბლანი რთულ ენობრივ პრობლემებს აყენებს მწერლის წინაშე. კერძოდ, როგორ უნდა აამეტყველოს პერსონაჟი, რომლის სასაუბრო ენა საერთო-სალიტერატურისაგან განსხვავდება? პრაქტიკა სხვადასხვანაირად წყვეტს ამ პრობლემას. ზოგი მწერალი ენობრივი ნატურალიზმის პრინციპებს იცავს, სხვები სტილიზაციას ამჯობინებენ, მესამენი სრულიად უგულებელყოფენ პერსონაჟის ენობრივ თავისებურებას. ჩვენ სწორად მიგვაჩნია მ. გორკის აზრი ამის თაობაზე: „თავისთავად ცხადია, რომ სალაპარაკო ენა რჩება ლიტერატურის მიერ დახატული ადამიანების საუბარში, მაგრამ რჩება უმნიშვნელო რაოდენობით, რაც საჭიროა მხოლოდ დახატული პერსონაჟის უფრო პლასტიკური, თვალსაჩინო დახასიათებისათვის, მისი უფრო გაცხოველებისათვის". სხვა ადგილას მ. გორკი უფრო გარკვევით აღნიშნავს, რომ იგი წინააღმდეგია პერსონაჟთა მეტყველებაში ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენისა. როდგან ეს მხოლოდ ხიანს მოუტანს საალიტერატურო ენას. დაანაგვიანებს მას შემთხვევითი, მცოცავი ფონეტიკური ფორმებით. დიახ, როგორც ყველგან, ისე აქაც. ხელოვანს მხოლოდ ზომიერების გრძნობა შველის! ნამდვილ შემოქმედს ზომიერების საზომი ძუძუმთან ახლავს ამიტომაა, რომ ლიტერატურულ შედევრებში სასწორის ბიბა ცალ მხარეს არ იხრება. ამის ბოწყინვალე მაგალითად „გატეხილი ყამირი" და „არსენა მარაბდელიც" იკმარებ. ამ ნაწარმოებებიდან ფერწერულად შესრულებული ენობრივი პორტრეტების მთელი გალერეა გამოიყურება.

თავის დროზე მ. გორკი ერთგვარ საეჭვოდ-საც კი გამოთქვამდა, რომ რუსული კლასიკური ლიტერატურა არ სცნობდა რუსეთის ფართო მასშტაბით. იგი იფარგლებოდა მოსკოვითა და მისი შემოგარენით, ხოლო უკრაინა, ბელორუსია და სხვა მხარეები მხედველობის მიღმა იყო დარჩენილი. მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურა ცდილობს თავი დააღწიოს ამ ერთგვარ შეზღუდულობასთ. — ასნიშნავდა ნაბეჭდთა ლიტერატურის ფუძემდებელი.

მ. გორკის მოსაზრებას [illegible] ეფუძნება მ. შოლოხოვის [illegible] ფანტასტიკურ-ეპიკურ ეპოსად „გატეხილი ყამირი". ამ რომანმა ყოფითი სურათებისა და ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით ახალ, ლიტერატურისათვის მანამდე უცნობ ალმყაროს გაუღო კარი. თითქოს ყუბანის ეროვნული ველების ალიმ დაბერა. ისე შემოიჭრა რუსულ ლიტერატურაში მდიდარი სასაუბრო ენის ფორმები. ყოველივე ეს კი პერსონაჟთა რეალისტურ წარმოსახვას ემსახურება. მ. შოლოხოვის გმირების ცხოვრებისეულობა ბევრადაა დამოკიდებული მათს ენობრივ სიმართლეზე, იმაზე, რომ ისინი თავიანთი ხასიათის შესაფერისად მეტყველებენ და ამით დამაჯერებელ მხატვრულ სახეებად ცოცხლობენ.

ხოლო ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი პერსონაჟთა მრავალგვარი პორტრეტების დასახატავად უხვადაა გამოყენებული „არსენა მარაბდელში" არა მარტო მთავარი გმირები, არამედ ეპიზოდური პერსონაჟებიც კი საკუთარი მეტყველებით გამოირჩევიან. არსენას სიტყვა-პასუხი არა ჰგავს ლეთისავარის დინჯ ქართულს, დათუნა ბარნაველი, როსტომი, სევასტი, მელანო, ფიქრია, მარინე და მრავალი სხვა დამთავრებულ პორტრეტებს წარმოადგენენ. მათი ხატვის ენობრივი საშუალებანი გაბეკუთვნება როგორც ლექსიკის, ისე მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროს. აქედან თითოეული ასპექტი თავისთავად საინტერესოა და საილუსტრაციო მასალასაც უხვად იძლევა. მაგრამ ჩვენი სტატიის მიზანი არ არის ტექსტის ამგვარი ანალიზი, ამჟამად სხვა რამ გვაინტერესებს.

კერძოდ, საკითხი ასე დგას: რა ემართება ენობრივ პორტრეტს მაშინ, როცა მისი სხვათა ენაზე ტრანსფორმირება ხდება, ე. ი. ნაწარმოების თარგმნისას? შენარჩუნებულია ორიგინალის ეს ძირითადი თვისება, თუ იგი ერთიანად იკარგება? და ბოლოს, რა სახეობა ის სიძნელეები, რომლებიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება?

უფრო კონკრეტული მსჯელობა რომ გამოგვიდგეს, შევეხებოდეთ ძირითადად სამ ნაწარმოებზე, ესენია: „არსენა მარაბდელი", „გატეხილი ყამირი" და „ბუდენბროკები", ორი მათგანი თარგმნილია ქართულად, ხოლო „არსენა მარაბდელი" გადათარგმნილია რუსულად. ამრიგად, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ არა მარტო ორიგინალის ტექსტს, არამედ იმასაც, თუ როგორ იცვლება იმავე ესთეტიკურ ამოცანას მეორე ენა.

ბევრი რამ განასხვავებს ამ ნაწარმოებებს

ერთმანეთისაგან: ავტორთა მსოფლმხედველობა, ესთეტიკური კრედო, ასახვის ობიექტი, მოქმედების ადგილი და ისტორიული ხანა და, რაც მთავარია, ენა (ქართული, რუსული, გერმანული).

მაგრამ მიუხედავად ამ არსებითი განსხვავებისა, ბევრი მსგავსების დანახვაც შეგვიძლია მათში ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით. სამივე ნაწარმოებში გმირთა სახეების დასახატავად მრავალფერი პალიტრაა გამოყენებული.

თხრობის ხასიათის მიხედვით პორტრეტის შესაქმნელად გამოიყენება: 1. პირდაპირი მეტყველება, 2. განცდილი მეტყველება, 3. იშვიათად — ირიბი მეტყველება და 4. ავტორისეული რემარკები.

პირდაპირი მეტყველება, დიალოგის ან მონოლოგის სახით, მოხერხებული ფორმაა დასახული მიზნის მისაღწევად, რადგან ამ შემთხვევაში პერსონაჟი უშუალოდ გამოდის წინა პლანზე, იგი თვითონ გადმოსცემს თავის ნააზრევს. სიტყვების მნიშვნელობა, შინაარსი და თანმიმდევრობა აშკარად გამოაჩენს მთქმელის ხასიათს, მის ბუნებას. ამასთან ყოველი მოქმედი პირი არა მარტო დამოუკიდებელი და განუმეორებელი ინდივიდუალობაა, არამედ იგი წევრია გარკვეული საზოგადოებრივი სისტემის, წარმომადგენელია ამა თუ იმ სოციალური ფენისა. თავადი ზაალ ბარათაშვილი და დიპლომატი თომას ბუდენბროკი სხვანაირად მეტყველებენ. ვიდრე ცალთვალა ყმა ხვთისავარი ან მსოფლიო რევოლუციაზე მეოცნებე მაკარ ნაგულნოვი. ამგვარად, ისინი სოციალური მდგომარეობის მიხედვითაც არიან დახატული. მეტყველებაში ვლინდება გმირის პროფესია, სადაურობა, ინტელექტი და ხასიათის სხვა მრავალი თვისება. პაპა შჩუკარს ახლად შემოსული სიტყვები ვერ გამოუთქვამს: «Дай мне ливольверт, Макар»!.. არაენაც ერთი სიტყვით ამოწურავს რუაულია მარაგს, „სად ბოლნა, რუსო?"

ასევე აუცილებელია პერსონაჟთა მეტყველებაში ისტორიზმის პრინციპის დაცვა. მით უფრო, ისტორიული თემატიკა ამსახველ ნაწარმოებებში. ვინაიდან ენა ისევე განიცდის განვითარებას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფერო. ამიტომ, საკვლევი ბუნებრივია, რომ წარსული და თანამედროვეობა ერთ ენაზე არ მეტყველებენ. ენაში ისტორიზმის პრინციპის დაცვის შესახებ მსჯელობისას საჭიროა გავიხსენოთ კ. გამსახურდიას ნათქვამი: „ზოგიერთი მწერალი ისე გაჯადნიერდა, რომ მარტო თანამედროვეებს კი არა, მეფეებსა და დიდებულებს აღაპარაკებს ჟურნალისტური ქართულით". ასეთი შეუსაბამობა დამაჯერებლობას უკარგავს მხატვრულ სახეს.

ზოგიერთ პერსონაჟს ამოჩემებული აქვს რაიმე გამოთქმა, ესეც მხატვრული სახის გამოსაცნობი ნიშანია. ამგვარი გამოთქმებით დიალოგის მონაწილე ისეა დახატული, რომ საჭირო აღარაა საგანგებო რემარკა: „ეს თქვა მავანმა". მაგალითად, სიმონ დავიდოვი საუბარში ხშირ-ხშირად ჩაურთავს „ЭТО ФАКТ!" ცხადია, მაგ როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მუშათა კლასის წარმომადგენელს „ფაქტების ენით" უხდებოდა ბოფლელებთან საუბარი და ჩვევადაც ქცეულია ეს გამოთქმა. ხოლო ზაალ ბარათაშვილი წარამარა წამოისვრის: „მეტი რა გინდათ, ვეკო?"

კუთხური მეტყველების ზომიერი გამოყენებითაც მოხდენილად იხატება გმირის სახე. ამ მხრივ „გატეხილ ყამირში" იმდენი სიახლეა, რომ მასზე დაწვრილებითი მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამჯერად რამდენიმე მაგალითის გახსენებაც იკმარებს. განსაკუთრებით კოლორიტულია პაპა შჩუკარის სახე. მის ყოველ სიტყვაში მოჩანს გლეხური გონებაშახვილობა და იუმორის გრძნობა. მუდმივი მარცხიანობა კომიკურ პერსონაჟად აქცევს მას. სულითა და გულით დგას იგი საკოლმეურნეო წყობილების მხარეზე და ახლად შემოსული გამოთქმების, ხშირად არასწორად, მიტმასნებას ცდილობს. მაგალითად, კრებაზე სიტყვით გამოსვლისას საკუთარ „мление"-ს გამოთქვამს. მას არც გრიგოლ ბანიკი ჩამორჩება. ისიც ახალ ტრანსპორტს „антанабил"-ს ეძახის, და საერთოდ, მასიურ სცენებში გამოყვანილი გლეხებიც ერთმანეთს რომ არ ჰგვანან და საკუთარი დასამახსოვრებელი სახე აქვთ, ეს უმთავრესად გაპირობებულია მათი მეტყველების ინდივიდუალობით.

არც „ბუდენბროკებისთვისაა" დიალექტური მეტყველება იშვიათი. ერთ-ერთი მთავარი ფიგურა-პერმანედერი ყურისმომჭრელ დიალექტიზმებს ხმარობს, ხოლო მოხუცი იოჰან ბუდენბროკი შინაურობაში ასე საუბრობს:

«Ower denn ook gliek düchtig!» ეს უფრო ეარეაია ,ვიდრე ჩვენებური „აქანე" და „რეხა", რასაც ანელებელივით ურევს საუბარში მზარეული ლაცაბიძე.

„ორსენა მარაბდელს" ერთ-ერთ ძლიერ მოტივად გასდევს ხალხთა ძმობისა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეა, ამიტომ არ კმაროდა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მოქმედ გმირად გამოყვანა, საჭირო იყო მათი დამაჯერებლად დახატვაც. ამ მიმართებითაც მეტყველების ფორმა დიდ როლს ასრულებს. ოსი მეშთა, რუსი კარპიჩა, თათარი დალი ჰასანი და უკრაინელი ოსტაპი მხოლოდ საკუთარი, სხვებისაგან გამორჩეული მეტყველებით გვაცნობენ თავს. ყველაფერი ავტორისეუ-

ლი აღწერილობა ვერ წარმოგვიდგენდა მეშთა ბესტაევაშვილია ახეს ისე ლაკონურად, როგორც ეს შეასრულა მისმა პირველივე სიტყვებმა: „მე წაგიყვანე, სენი წირი მე". ასევე გამორჩეულია ყარაბიჩისა და დალი ჰასანის ქართულიც: „ცაგვიკვანე, რიგას უცდი?" და „დაისა, კასო!" თავისი უკრაინული მოქცევით ოსტაპიც ისე გამოირჩევა, როგორც მისი გულისპირმოხატული პერანგი. პირდაპირ მეტყველებას სხვა საშუალებებიც გააჩნია პერსონაჟის ინდივიდუალური სახის გამოსაჩენად, ეს გახლავთ პროფესიის დამახასიათებელი მსჯელობა, ან ენობრივ ნაკლზე მითითება. „ბუდენბროკების" ზოგიერთი პერსონაჟი ბგერებს ამახინჯებს, რის გამო სიტყვა სრულიად სხვა შეფერილობას იძენს, ხოლო აკიმ ბესხლებნოვის მოხეცი ბებია ასე ჩიფჩიფებს: „Чарича небешная!" ბგერათა ასეთი შეხამება არა მარტო მთქმელის ხმას გვაცნობს, არამედ მის ასაკსა და გარეგნობაზეც მიგვანიშნებს.

პერსონაჟთა პორტრეტების შექმნას ემსახურება დიალოგის საერთო ხასიათი: სიტყვათა თანმიმდევრობა და გამეორება, საუბარში წინ წამოწევა თუ მიჩქმალვა, მართლის თქმა თუ ცრუობა, ირონია, დაცინვა, თავის დაძვრენა და ენობრივი კომუნიკაციით გამოვლენილი მრავალი სხვა თვისება ამოუწურავ საშუალებად იქცევა მწერლის ხელში აღნიშნული მიმართებით. თვით დუმილიც კი, ანდა პაუზა ერთ-ერთ ნიშნად გამოიყენება, მაგალითად, დემიდ მოლჩუნის სახე სწორედ მუდმივი მდუმარებით გვამახსოვრდება.

ამგვარი ენობრივი ინდივიდუალობის ჩვენება, როგორცა ვთქვით, მხოლოდ პირდაპირი მეტყველებია ფორმა შეუძლია. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მკითხველი და ნაწარმოების პერსონაჟი უშუალოდ „ხვდებიან" ერთმანეთს, ლიტერატურული გმირი მკითხველის „თანდასწრებით" საუბრობს და მისგან ვერაფერს მალავს, ვერაფერს მოიფარებს მის თვალს, რადგან „ენობრივი მოქმედების" სულ მცირე ნიუანსებსაც კი აღიქვამს იგი. რაკი მკითხველი მოქმედი გმირის ადრინდელ საუბარსაც „ესწრებოდა", ამით მას ძალაუნებურად, შედარებისა და ანალიზის საშუალება ეძლევა. შედარება ნაწარმოების კითხვის პროცესშივე წარმოება, ამის კვალობაზე, თანდათან იკვეთება გმირის ხასიათის ცალკეული მხარეები და საბოლოოდ ყალიბდება იგი მკითხველის ცნობიერებაში როგორც მთლიანი მხატვრული სახე.

პერსონაჟის ენობრივად გამოხატვა შეიძლება აგრეთვე განცდილი მეტყველებითაც. თხრობის ეს ფორმა თანამედროვე ლიტერატურაში გამოიყენება. გერმანულ მწერლობაში მის დამწყებად ე. ლერხი მიიჩნევს თ. მანს. საერთოდ კი განცდილი მეტყველება გავრცელდა ევროპული ლიტერატურიდან. ე. ზოლა და ო. ბალზაკი ამგვარ მეტყველებას ხშირად [illegible] ... ... [illegible] ... ... [illegible] ... ...

ვის ვაუგონია, მით უფრო, გრძელ მონოლოგს ვილა მოისმენს!

ასეთ სიტუაციაში მწერალი ერთგვარი შუამავლის როლს კისრულობს, იგი ლაპარაკობს იმას, რაც თვითონ ზაალს უნდა ეთქვა. მართალია, ავტორი ესაუბრება მკითხველს, მაგრამ ეს არ არის მისი აზრი, იგი გმირის სიტყვებს გადმოსცემს. ავტორმა ჯერ თვითონ განიცადა პერსონაჟის ნათქვამი (თუ ნაფიქრი), მერე მკითხველს უნდა განაცდევინოს იგივე. მაგრამ აქ მხოლოდ უბრალო გამეორება არ ხდება. თხრობაში იჭრება ძლიერი ფსიქოლოგიური ფაქტორი. ეს გახლავთ მწერლის განწყობილება — როგორ უყურებს ის თავისსავე პერსონაჟს: ეთანხმება მის ნათქვამს თუ ეწინააღმდეგება. აღფრთოვანებულია თუ ფარული ირონიით იმეორებს მის აზრს. ამაშია განცდილი მეტყველების არსი.

ამგვარად, მეტყველების ეს ფორმა, ავტორის მიზანდასახულობის ქვალობაზე, მრავალგვარი ნიუანსის გამოხატვის საშუალებას იძლევა.

განცდილი მეტყველების დროს უფრო იგრძნობა ავტორის ახლო დამოკიდებულება პერსონაჟის ენასთან, ვიდრე პირდაპირი მეტყველებისას. თანაც ეს დამოკიდებულება თავისებური ლირიზმით ხასიათდება. მკითხველი ორივეს, პერსონაჟსაც და ავტორსაც, ერთდროულად „ხედავს", ერთდროულად აღიქვამს. მას უკვე აღარაფერი „ეშლება", რაკი გაიგო ავტორის ფარული განწყობილება პერსონაჟის მიმართ, რაც პირდაპირი მეტყველების პირობებში ძნელი მისახვედრია, თუკი ავტორი საგანგებოდ არ გაუსვამს ამას ხაზს.

ჩვენს მაგალითში მარაბდის გაგულისებული ბატონის ნაფიქრის გადმოცემისას მწერლის ფარული ირონია აშკარად იგრძნობა.

როცა სტუმრად მოსული ორბელიანებისა და ბასილა მაიორის ფალავანმა აუქმატნელმა რამდენიმე მარაბდელი წააქცია, ზაალმა დამცირებულად იგრძნო თავი. ამას ის ორბელიანების გამარჯვებად და ბარათაშვილთა დამარცხებად მიიჩნევს. ირონიის მარილი სწორედ ის არის, რომ შეურაცხყოფილ თავადს ახლა ვერაფერი გაუწყვია და თავის სახელოვან წინაპრებს იხსენებს. თანაც ვაქკაცობასა და გმირობასაც მიაწერს გაზვიადებულად, მაშინ როცა ორბელიანთა წინაპრებისას მხოლოდ საჩოთირო საქმეებს მოიგონებს. ამით სურს დაიმშვიდოს გული. ზაალი, რა თქმა უნდა, იმანაც გააღიზიანა, რომ სტუმარი ორბელიანები ახალგაზრდები არიან, დღეს თუ ხვალ ომში მიდიან. სადაც, ალბათ, „ჩინშენდლეს", სახელსა და დიდებას მოიხვეჭენ. ასეთ დროს ორბელიანთა წინაპრების აუგად მოხსენიება და თავისიანების შექება ზაალის ერთადერთი ნუგეშია.

გადმოსცემს რა ზაალის ფიქრებს განცდილი მეტყველების ფორმით, ავტორი რამდენიმე ამოცანას წყვეტს ჯერ ერთი, მოკლედ და აჩქარებით გვაცნობს მარაბდის ბატონის ვინაობასა და მის წარსულს, ესეც ირონიაფე გაპირობებულია იმით, რომ ზაალის ამ გაფიქრების დროს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს უცბად გადააფლეფს გონებაში ოვალს. მეორეც, ორბელიანებთან ფარული ჯიბრი გვიმხელს. მისი ხასიათის ზოგიერთ მხარეს, აერძოდ, შურიანობას, გონებაშეზღუდულობას, მეწვრილმანეობას. თანდათან, მოქმედების გაშლასთან ერთად, სხვა თვისებებიც გამოიკვეთება, როგორიცაა სიჯიუტე, სიმკაცრე, შურისმაძიებლობა, სიყოყოჩე და ყველაფერი ეს ჩანს მის მეტყველებაში, სიტყვა-პასუხში. აი, ნაწყვეტი განცდილი მეტყველების საილუსტრაციოდ: „არა, ის რა საკადრისი იყო, რაც ელიზბარმა იკადრა: ბარათაანთ იმდენი არაფერი გაუქეთებიათო! სწორედ ეს სიტყვები წამოროშა გუშინ აგერ იმ ჩიტირეკია ელიზბარმა".

მართალია, ეს ავტორისეული ტექსტია, მაგრამ ცხადად ეტყობა, რომ იგი სხვის სიტყვებს იმეორებს. ამ შემთხვევაში ზაალის ლექსიკა გამოსჭვივის: „ელიზბარმა იკადრა", „წამოროშა", „ჩიტირეკია" და სხვა მხოლოდ საამისო მინიშნებებია. ასე იყენებს მწერალი განცდილი მეტყველების შესაძლებლობებს გმირის სწრაფი და ლაკონური დახასიათებისათვის. სისწრაფე კი იმიტომაა საჭირო, რომ დღეს მარაბდაში დიდი ამბებია მოსალოდნელი და მოვლენებს კვალდაკვალ უნდა მივყვეთ.

განცდილ მეტყველებას „არსენა მარაბდელის" ავტორი თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პერსონაჟის სახის შესაქმნელად მიმართავს.

ამრიგად, განცდილი მეტყველების როლი და მნიშვნელობა პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის შესაქმნელად გასაგებია. ასეთივე ოსტატობითაა თხრობის ეს სახე გამოყენებული „ბუდენბროკებშიც", საიდანაც საილუსტრაციო მაგალითებს აღარ მოვიტანთ.

ყოველივე ზემონათქვამი ეხება ორიგინალის ტექსტს, მაგრამ საინტერესოა ახლა ენაზე თარგმნის დროს როგორ ხდება ენობრივი პორტრეტის ტრანსფორმირება, მიჰყვება თუ არა მხატვრულ სახეს თავისი დამახასიათებელი ნიშნები ახალ ენობრივ გარემოში. ეს საკითხი აქტუალურია თარგმნითი ხელოვნების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად.

ილუსტრირების მიზნით მოგვიხდება დასახელებული წიგნების თარგმანებიდან რამდენიმე მაგალითის განხილვა.

„არსენა მარაბდელის" რუსული თარგმანი,

რომელიც რამდენჯერმე გამოიცა თბილისშიაც და მოსკოვშიაც, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მას მაღალი მოთხოვნები წავუყენოთ აქ დასმული საკითხის თვალსაზრისითაც.

„მე წაგაქცევს, სენი წირი მე, მენა".

— «Он сильней... что я мог сделать».

დაიკარგა მეშთას მეტყველების თავისებურება და მისი მხატვრული სახეც გაუფერულდა, სხვებში გაითქვიფა.

— აგარ შეგვიზლიან, არა! — გაჰკივის ხიბაზი კარჩიჩა.

— არ გინდა, არა! — იძახის მეშთაც.

— «Довольно! Не можем больше — надрывается Каршич.

— Довольно! — вторит ему Мешта».

მეტყველების საშუალებით სხვადასხვა ეროვნული სახეების შექმნას, როგორცა ვთქვით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მ. ჯავახიშვილისთვის. თარგმანში კი ყველაფერი გაერთფეროვნებულია. ის აზრი, რომ რუსულში არ მოხერხდებოდა ადექვატების შექმნა, ჩვენთვის მიუღებელია. გავიხსენოთ „უგრიუმ-ჩდინარეში" იბრაგიმის სახე, პირველსავე რეპლიკაში ჩანს მისი კავკასიელობა.

„ერთოდ „ორსენა მარაბდელის" გმირები რუსულად ერთნაირად მეტყველებენ. ზოგიერთი ოლად გადასატანი თავისებურებაც კი, როგორიცაა ზაალის აკვიატებული — „მეტი რა გინდათ", უყურადღებოდაა დატოვებული.

ტექსტის ისეთი ადგილები, სადაც ანდაზები და ხატოვანი გამოთქმებია ნახმარი, უმეტესად გამოტოვებულია.

პერსონაჟთა მეტყველების ზოგი თავისებურება შენარჩუნება არ უნდა გაჭნელებულიყო. მაგალითად, მღვდელი ენის ძველ ფორმებს იყენებს, რაც არც რუსულისთვისაა უცხო. მაგრამ თარგმანში ეს არ ჩანს.

„— ვის მიეწერება ეგე?

— მიხაილს და გაბრიელს, საღმთოთა წერილთა შინა ძველისა და ახლისა ჰსჯულისათა.

— აჯალად არიან ვინმე სახულსა ქვეშ დაწესებულნი ანგელოზნი? — ჩაიცინდა აბრამი".

— «А кто есть главные из архангелов?

— Михаил и Гаврил. Оба равны.

— А еще каких архангелов знаешь? — не унимался дед».

ხოლო რაც შეეხება „ორსენა მარაბდელის" ენის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ ღირსებას — გახცდილ მეტყველებას — თარგმანი მის სრულიად არ სცნობს.

პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალობის მაჩვენებელი ესა თუ ის ნიშანი სხვადასხვანაირი სიძნელით ტრანსფორმირდება მეორე ენაზე. ამაში დასაბუთებლად საკმარისია „გატეხილი ყამირის" ქართულ თარგმანს დავაკვირდეთ. ადგილის სიმცირის გამო მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითის განხილვა შეგვიძლია.

აკვიატებული გამოთქმები, როგორიცაა „ფაქტია" (факт), „ესე იგი" (то есть) და მისთანები თარგმანში უყურადღებოდ დატოვებული. ასევე კარგადაა ტრანსფორმირებული ის თვისება, როცა მთქმელი ფონეტიკურად ამახინჯებს სიტყვებს:

— Штало быть, попалша, болежлый!

Чарича небешная! Чего же ему ишделали?

„— შაშ, ჩავარდა შაბრალო, ა?

ღვთიშშობელო! მერე ირა უქნეს შაკუალს?"

— «А я, милый, и не жняю... Тугая я на ухи стала, тугая, мой желанный... недошлышу»...

„— არ ვიჩი, ჩემო კარგო... ყურშ მაკლია, შვილო, ყურშ...

არ მეშმიშ"...

როგორც ვხედავთ, მოხუცის მიერ დამახინჯებული ბგერები ისე მოხდენილადაა შერჩეული, რომ არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს ვიდრე ორიგინალი.

აგრეთვე პერსონაჟის ლექსიკის თავისებურებაც კარგადაა გადატანილი თარგმანში:

— «Девки !Ланушки! И чего вы на приезжего человека гляделки вылупили? Ай у мения хуже?»

„— ბოგოებო! ფოთხიებო! რას დაგიბრეკიათ ეგ ჭყიტები მოსულ კაცზე? რა, მაგაზე ნაკლები ვარ?"

საერთოდ თარგმანს ეტყობა გულდაგული ცდა, რომ პერსონაჟის ენობრივ პორტრეტს რამენაირი ადექვატი მოეძებნოს, მაგრამ ეს სურვილი ყოველთვის წარმატებით როდი ბოლოვდება.

მაგალითად, დიდ სიძნელეს ქმნის დიალექტიზმების გადატანა მეორე ენაზე. მართლაც, უუბანელი კაზაკების მოქცევა ქართულის რომელი დიალექტით უნდა ითარგმნოს? ერთი რამ კი უდავოდ უნდა მივიღოთ: პერსონაჟმა ერთიდროულად სხვადასხვა დიალექტზე არ უნდა ილაპარაკოს. „გატეხილი ყამირის" ქართულად ამეტყველებული გმირები კი ხან აღმოსავლური ქართულით უქცევენ, ხან დასავლურით, ეს კი დამაჯერებლობას უკარგავს მხატვრულ სახეს.

პაპა შჩუკარი არა მარტო კუთხურად უქცევს, ახლად შემოსულ სიტყვებსაც ვერ ამბობს სწორად:

— «Его при старом прижиме губянской батюшка даже причастия за это лишал».

„— ამიტომ ძველ პრიჟიმში ტუბიანსკის ხუცესმა ზიარებაც არ აღირსა“.

თარგმანში „პრიჟიმი“ გაგებულია როგორც ადგილმდებარეობის სახელწოდება, სინამდვილეში კი პაპა შჩუკარმა სრულიად სხვა რამ თქვა; წინდებულ „პრი“-ს გავლენით „რეჟიმი“ დაამახინჯა: «при старом прижиме» (ძველი რეჟიმის დროსო, რევოლუციამდე). შჩუკარის ასეთი აუბარი საერთო კრებაზე მხიარულებას იწვევს და ამით კოლორიტული და დასამახსოვრებელი სურათი იქმნება.

ერთი გლეხი ეუბნება ნაგულხოვს: „— Этот твой номер не пляшет! Хлеба я вам не дам».

„— ეგ შენი ნომერი ვეღარ ცეკვავს! მე თქვენ პურს არ მოგცემთ“.

ნომერი თამაშობს და არა „ცეკვავს“, უფრო სწორი იქნებოდა: „ეგ ნომერი არ გაგივა“. ასეთი გადახრები, რა თქმა უნდა, ბევრი მოიძებება, მაგრამ ამჟამად ჩვენ ისინი გვაინტერესებს არა როგორც „შეცდომა“, არამედ როგორც პერსონაჟთა მეტყველების დიფერენციაციის და ტიპიზაციის საშუალება.

ამ მიმართებით საინტერესო მასალას იძლევა „ბუდენბროკების“ ტექსტი და მისი შესატყვისები ქართულ თარგმანში. თ. მანის ამ ეპოქალურ ნაწარმოებში მხატვრულად განსახიერებული და გაანალიზებულია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანის სულიერი მდგომარეობა, მისი მარტოობა და ზნეობრივი მდგომარეობა. აქედან მოდის გმირთა ხასიათების შინაგანად გახსნის მისწრაფება, რაც პერსონაჟთა ენობრივი თვითგამოხატვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თარგმანი ცდილობს მიჰყვეს ორიგინალის ამ ესთეტიკურ პრინციპს, საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითზე მითითებაც იკმარებს:

ბუდენბროკთა ოჯახში ახლადშეძენილი ვაჟის ნათლობა აქვთ. სტუმრები მხიარულობენ. ბურჟუაზიული საზოგადოების პატიოსანი გვიმები და ლორნეტიანი ქალბატონები შესაფერისად არიან დახატული. განსაკუთრებით კონტრასტულ სურათს ქმნის ამ წრეში მუშა გრობლებენის გამოჩენა. იგი მისალოც სიტყვას წარმოთქვამს და ენაწყლიანობს, თუმცა უსაშველო ქარგონით გვიჭედავს ყურს. გრობლებენის ქართული ადექვატი არც ქახური მოქცევისაკენ იხრება და არც იმერულისაკენ. იგი ეძებს ქალაქურ, „მუშურ“ ინტონაციას. ქალბატონ ბუდენბროკის შეკითხვაზე, მაცხოვრის სიყვარული თუ გაქვსო, გრობლებენი ასე პასუხობს:

Den heww ick von Harten leiw,
Frau Kunsclin, dat is so woahr!»

„— მერედა როგორი, ფრაუ კუნსელო, მაგას წყალი არ გაუვა!“

„წყალი არ გაუვა“, როგორც ხედავთ, ორიგინალს არა აქვს, მაგრამ ასეთი თამაში და ამასთან მოზომილი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ სწორედ იმას ემსახურება, რასაც ჩვენ პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის ტრანსფორმაციას გუწოდებთ.

ენობრივად მკვეთრად გამოირჩევა პერმანედერის მხატვრული სახეც. მისი უხვში, ქარგონული მეტყველება საეკლესიო შეეფერება გაჭნილი, უვიცი და ბღენძია საქმოსნის ბუნებას. ფერებს არ იშურებს ავტორი პერსონაჟის გარეგნობის დასახატავად, მაგრამ ეს არ კმარა. გმირის შინაგანად ფუყე ხასიათის გახსნაში ენობრივ ფორმებს ძირითადი ფუნქცია აკისრიათ. გერმანულ ტექსტს აღარ მოვიტან, ვნახოთ, ქართულად როგორ მეტყველებს პერმანედერის ორეული: „— აგრე გახლამთ, მაგრამ ახლა მაგაზე ლაპარაკი არა ღირს. მთავარი ის გახლამთ, რომ რა ხანია მინდოდა, პატივცემულ ქალბატონისათვის ჩემი პატივისცემა გამომეთქვა და ქალბატონი ფრიუნლიპი მომეხახულებინა!“

კარგად ზის ეს „გახლამთ“, ანდა: „ქალბატონისათვის ჩემი პატივისცემა გამომეთქვა“. საერთო დონით, ქართველი პერმანედერი „ლიტერატურულად“ მეტყველებს. ჩემი აზრით, მეტი გაბედულებაა საჭირო პერსონაჟის მეტყველების თავისებურებათა სხვათა ენაზე ტრანსფორმირების დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქართულში შენარჩუნებულ იქნა „ბუდენბროკების“ ტექსტის მნიშვნელოვანი მხატვრული თვისება — განცდილი მეტყველება. საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ ძნელი გასარჩევია, მწერალი „თავისი სახელით“ ლაპარაკობს თუ „პერსონაჟის სახელით“, ე. ი. განცდილი მეტყველებით. ხოლო ამ მომენტებში გაურკვევლობა დიდად ვნებს პერსონაჟის მხატვრული სახის წარმოსახვას.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი თარგმანების განხილვა და შეფასება არ ყოფილა. ჩვენ გვინდოდა ესთეტიკური კომუნიკაციის პროცესში პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის მნიშვნელობაზე და თარგმანში მისი ტრანსფორმირების აუცილებლობაზე გაგვემახვილებინა ყურადღება.

ქებას იმსახურებს მთარგმნელების — დალი ფანჯიკიძის, არისტო ჯუმბაძის, ბ. კორნეევის ის დიდი შრომა, რაც მათ აღნიშნული ნაწარმოებების მეორე ენაზე ხელახლა ასამეტყველებლად გაუწევიათ.

ჩვენი დროის ამ უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნის გამოცდილება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ არ არსებობს ენის ესთეტიკური ფუნქციის ისეთი გამოვლენა, რომლის ადექვატის შექმნა მეორე ენაზე არ შეიძლებოდეს.

□

ინგა პაპავა

გეორგ თუ ჯორჯ

(საკუთარ სახელთა გადატანისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ მე-18 ტომი — უილიამ შექსპირის „ტრაგედიები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980). წიგნის რედაქტორია გამოჩენილი ქართველი შექსპიროლოგი ნიკო ყიასაშვილი. მასვე ეკუთვნის ტომის შესავალი წერილი და კომენტარები. ტრაგედია „რიჩარდ მესამის“ კომენტარებში ნ. ყიასაშვილი წერს: „ი. მაჩაბლის ყველა თარგმანთან შედარებით „რიჩარდ მესამის“ მიმართ განსაკუთრებით მწვავედ დაისმის საკუთარ სახელთა წარმოთქმისა და დაწერილობის საკითხი, რადგან ინგლისური სახელების ქართულად გადმოტანის თანამედროვე ნორმები დიდად განსხვავდება მაჩაბლის დროინდელი ნორმებისაგან...“ (გვ. 657). იქვე მოტანილია პიესაში ხმარებული ი. მაჩაბლისეული ფორმები და დღევანდელობის თვალსაზრისით სწორი ფორმები. ამ გრძელი სიიდან რამდენიმეს დავასახელებთ (დაბეჭდილია — აწორია): გეორგ — ჯორჯ, ბუკინგამი — ბაკინგამი (უ-ა), ჰასტინგსი — ჰეისტინგზი (ა-ეი, ს-ზ), ჯემს — ჯეიმზი (ე-ეი, ა-ზ), ვალტერი — უოლტერი (ვა-უო), ელისაბედი — ელიზაბეთი (ს-ზ, დ-თ) მარგარიტა — მარგარეტი (ი-ე, ა-ი) ანნა — ენ...

რედაქტორი მოწიწებით მოეკიდა დიდი მთარგმნელის მემკვიდრეობას: ნ. ყიასაშვილი ურთავს კომენტარს და სახელთა პარალელების სიას. პიესაში კი უცვლელადაა დაბეჭდილი ი. მაჩაბლისეული ვარიანტები. მოტანილ პარალელებში დიდი სხვაობაა. თუ არასწორ ფორმებს შემდგომ გამოცემებშიც დავტოვებთ, ამას არასასურველი გავლენა ექნება ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე: გამოცემული თარგმანი ნიმუშია სხვა მთარგმნელთათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უშუალოდ ორიგინალიდან არ თარგმნის. გარდა ამისა, ლიტერატურული თარგმანი თავის თავში ჩაკეტილი მოვლენა არაა. ტოპონიმია (ადგილის სახელწოდებები), ანთროპონიმია (ადამიანთა საკუთარი სახელები) და საერთოდ თარგმანში ნახმარი ყოველი საკუთარი სახელი გადადის პრესაში, ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვა სახის ნაწარმოებებში, ჩვენს მეტყველებაში და ა. შ. თარგმანში ნახმარი უცხოური საკუთარი სახელები ჭეშმარიტ ენის კუთვნილება ხდება.

საკუთარ სახელთა გადატანის თანამედროვე ნორმები ემყარება საკუთარ სახელთა სპეციფიკის ლინგვისტურ კვლევას. საკუთარ სახელებს შეისწავლის ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგი — ონომასტიკა. სახელთა ეს სფერო საკმაოდ ფართოა: გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმია), ეთნიკური სახელები (ეთნონიმია), ცხოველთა სახელები (ზოონიმია), ადამიანთა სახელები (ანთროპონიმია), ციურ სხეულთა სახელები (ასტრონომია) და ა. შ. რით განსხვავდება ზოგადი ლექსიკა საკუთარ სახელთაგან, ანუ როგორია დაპირისპირება „აპელატივი — ონომა“ — ესაა ონომასტიკის ძირითადი პრობლემა.

ane

ონ„აპელატივი-ონომა“. საგნებსა და სიტყვებს შორის კავშირ-ურთიერთობაში რამდენიმე მომენტია აღსანიშნი: საგანი და მასზე წარმოდგენა; წარმოდგენაზე დამყარებული ცნება და მისი შინაარსი; საგნის აღმნიშვნელი სიტყვის სემანტიკა (ანუ ლექსიკური მნიშვნელობა, რაც ცნების შინაარსს შეესაბამება), სიტყვის ეტიმოლოგია და გრაფიკული გამოსახულება. ენათმეცნიერების ნებისმიერი შესავალი კურსი განმარტავს, რომ სიტყვას (ზოგად ლექსიკას ანუ აპელატივს) აქვს სახელდების, ნომინაციის ფუნქცია ე. ი. სიტყვები სახელწოდებებია, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ საგნებს, მოვლენებს, არსებებს; სიტყვას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაც ცნებაა. შინაარსი შეესაბამება. სიტყვები ქმნიან აზრისა და ბგერითი ან გრაფიკული გამოსახულების ერთობლიობას. ამგვარად, საგნებსა და სიტყვებს შორის ურთიერთკავშირში სამი მომენტია:

1. აღსანიშნი საგანი,
2. საგანზე წარმოდგენა და შესაბამისი ცნება.
3. სიტყვა: სიტყვის სემანტიკა ანუ მნიშვნელობა (ემყარება ცნების შინაარსს) და მისი გრაფიკული ან ბგერითი გამოსახულება.

ონომაც (საკუთარი სახელი) ენის ლექსიკური ფონდის ნაწილია, მაგრამ თავისებური, ავტონომიური. საკუთარი სახელები ცნებას არ გამოხატავენ, ამიტომაც არც ლექსიკური (სემანტიკე-

რი) მნიშვნელობა აქვთ, მათი ფუნქციაა სახელდება რეალურ საგანს. ცნებასა და ზოგად სახელს შორის დამოკიდებულებას გამოხატავენ სამკუთხედით: რეალურ საგანსა და საკუთარ



სახელს შორის დამოკიდებულებას — (წორი ხაზით, ცნებასთან კავშირის გარეშე[1]:

ონომასტიკის მკვლევართა ნაწილი იზიარებს საკუთარ სახელთა ინდივიდუალიზაციის თეორიას. ნაწილი საკუთარ სახელს ახასიათებს მნიშვნელობის თვალსაზრისით. ინდივიდუალიზაციის თეორია განმარტავს, რომ საკუთარი სახელი არის ინდივიდუალურ ობიექტთა აღმნიშვნელი სახელი. მეორენი თვლიან, რომ საკუთარი სახელისათვის სპეციფიკურია მნიშვნელობის უქონლობა. რ. გილიაროვსკი და ბ. სტაროსტინი სამართლიანად შენიშნავენ, რომ ინდივიდუალიზაციის თეორია დიდად არ განსხვავდება მნიშვნელობის უქონლობის თეორიისაგან. საკუთარ სახელებს არ გააჩნიათ მნიშვნელობა, როგორც ზოგადი ცნება, იმიტომ, რომ საკუთარი სახელი ინდივიდუალურ ობიექტს ეხება.

ამგვარად, ერთი თეორია საკუთარი სახელის სპეციფიკას ემყარება, საკუთარ სახელს არა აქვს მნიშვნელობა ანუ სემანტიკა, მეორე კი მის ფუნქციას — საკუთარ სახელს მხოლოდ სახელებია სახელდების ფუნქცია აქვს.

ონომასტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ვ. ნიკონოვი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს სიტყვის მნიშვნელობის სამ შრეა და სამ ფუნქციაზე წიგნში „Введение в топонимику" (1965).

სიტყვის მნიშვნელობის სამი ფუნქციაა: ნომინაციური, დესკრიპტიული და იდეოგრაფიული. სიტყვის მნიშვნელობის სამი შრეა:

1. ზოგადი ლექსიკის ანუ აპელატივის ტოპონიმამდელი (до-топонимическое) მნიშვნელობა — წითელი წყარო.

2. საკუთარი სახელის ანუ ონომის ტოპონიმური მნიშვნელობა — წითელ-წყარო.

3. ტოპონიმისგან განვითარებული (от-топонимическое) მნიშვნელობა—წითელწყაროელი.

როდესაც სიტყვა იქცევა ტოპონიმად ანუ იღებს ტოპონიმურ მნიშვნელობას (თუნდაც გარეგნულად არ შეიცვალოს და მისი ეტიმოლოგია ნათელი იყოს), სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც ცნების შინაარსს შეესაბამებოდა, იკარგება. სიტყვის ტოპონიმური მნიშვნელობა მხოლოდ იმაშია, რომ ის ამყარებს უშუალო მიმართებას კონკრეტულ საგანთან (და არა ცნებასთან). ასახელებს მას და ასრულებს ძირითადად, ნომინაციურ ანუ სახელდების ფუნქციას. აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელი მოითხოვს მეორე ენაზე ადექვატურ გამეორებას და არა თარგმნას:

„აპელატივის გადმოსაცემად მთავარია, მნიშვნელობა გადმოვიტანოთ თარგმანში და, პირიქით, საკუთარი სახელების გადმოცემისას სიტყვის ქღერადობა უპირველესია, რადგან საკუთარი სახელი უშუალოდ აღნიშნავს ინდივიდუალურ საგნებს, წარმოდგენისა და ზოგადი ცნების გარეშე" (გილიაროვსკი, სტაროსტინი).

ამიტომაა, რომ ზემოთ დასახელებული მაგალითების რუსული პარალელებია: წითელი — красный, წყარო — родник, მაგრამ წითელ-წყარო — Цителцкаро. „საკუთარი სახელები ინვარიანტულია თარგმნის თვალსაზრისით"[2], ანუ საკუთარი სახელი არ ითარგმნება, უცვლელი (ინვარიანტული) რჩება ნებისმიერ ენაზე გადატანისას. უცხოურ სახელს დედნის ეროვნული სპეციფიკა შეაქვს თარგმანში: „ონომასტიკური სიტყვების ფუნქცია მხოლოდ სახელდებით არ შემოიფარგლება... მათში იგრძნობა ნაციონალური თვითმყოფადობაც"[3].

ამგვარად, ზოგადი ლექსიკის ადექვატური თარგმანი, ერთი მხრივ, და საკუთარ სახელთა ადექვატური გადატანა, მეორე მხრივ, სხვადასხვაგვარი პროცესია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თარგმნის

---

[1] Р. Е. Березникова. Место номенов в лексической системе языка, из сб. Имя нарицательное и собственное, изд. Наука. М., 1976.

[2] Б. С. Старостин, Некоторые методологические проблемы теории собственного имени, изд. Наука, М., 1976.

[3] Н. Морозова, Взаимодействия антропологической и нарицательной лексики, изд. сб. Личные имена в прошлом, настоящем, будущем, изд. Наука, М., 1976.

პროცესში უნდა მოიძებნოს ერთ ენაზე ზოგადი ლექსიკით გამოხატული აზრის მეორე ენაზე ადექვატურად გადმოცემის საშუალება, ხოლო მეორე ენაზე საკუთარი სახელის გადმოტანისას სათარგმნი არაფერია, რადგან საკუთარ სახელს არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა.

***

პრაქტიკული ტრანსკრიფცია. თარგმნის პრაქტიკაში სახელთა გადატანის სხვადასხვა გზას ეძიებენ: სახელის ეტიმოლოგიური ახსნა, თარგმნა, ტრანსლიტერაცია, ტრანსპლანტაცია, ტრანსკრიფცია.

ტრანსლიტერაცია არის ორი ენის გრაფიკის ასო-ასო შეესაბამისობა: ერთი ენის დამწერლობის ნიშანთა სისტემის ზუსტი გადმოცემა მეორე ენის დამწერლობის ნიშანთა სისტემით. ტრანსლიტერაციის მეთოდს მიმართავენ ბიბლიოგრაფიული სამუშაოს შესრულებისას, აკრონიმის გადასატანად.

ტერმინ „ტრანსკრიფციას" სხვადასხვა გაგებით ხმარობენ. ტრანსკრიფციული მეთოდით უცხოურ სახელთა ჩაწერა, ერთი მხრივ, გულისხმობს ამ ენაში ხმარებული დამწერლობისაგან განსხვავებული ნიშანთა სისტემით ბგერების ჩაწერას (ლათინური შრიფტის საფუძველზე მიღებულია ფონეტიკური ტრანსკრიფციის საერთაშორისო სისტემა), მეორე მხრივ, ტრანსკრიფციის მეთოდი გამოიყენება საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული ჩაწერისათვის: ადამიანთა სახელების, გეოგრაფიული ობიექტების, ციური სხეულების, ფირმების, გაზეთების, დაწესებულებების, ჟურნალების, რესტორნების, გემების და სხვათა. ტრანსკრიფციის ნორმები, როგორც ყოველგვარი ენობრივი ნორმა, თანდათან დგინდება და ევოლუციას განიცდის.

ონომასტიკა განვითარების თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკულად და თეორიულად მიღებულია მეთოდი, რომელსაც პრაქტიკულ ტრანსკრიფციას უწოდებენ. ონომასტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ა. სუპერანსკაია წიგნში **«Теоретические основы практической транскрипции»**, (1978), ასე განმარტავს პრაქტიკული ტრანსკრიფციის მეთოდს.

„რამდენადაც ფონეტიკაში მნიშვნელობის მქონე ელემენტი ფონემებია, ამდენად ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანისას უნდა გადმოიცეს წარმოთქმული სიტყვის ფონემები, უარი უნდა ვთქვათ წმინდა ფონეტიზმზე და სახელთა გადატანას საფუძვლად დავუდოთ კომბინირებული მეთოდი, ე. ი. პრაქტიკული ტრანსკრიფციის მეთოდი. ამგვარად, უცხოური სახელის წარმოთქმა საფუძველია, ვცდილობთ მთლიანობაში შევინარჩუნოთ მისი ფონეტიკური ყღერადობა, ვითვალისწინებთ სიტყვის დაწერილობას და ფონემურ შემადგენლობას საწყის ენაში, ამასთან ვითვალისწინებთ მიმღები ენის ტრადიციებს (თუ ენაში არის მეორე ენიდან თარგმნის ტრადიციები), ცალკეული ფონემის, მორფემების ან გარკვეული ტიპის სიტყვებია გადმოცემია".

ამგვარად, პრაქტიკულ ტრანსკრიფციაში იყენებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ორთოგრაფიულ სისტემას იმ ენისა, რომელზეც თარგმნიან, ერთი ენის სიტყვები ჩაერთვის მეორე ენაში ამ სიტყვებია ყღერადობია მიახლოებით დაცვით (მიახლოებით, რადგან არც ერთი ენის ფონემათა სისტემა არ ემთხვევა მეორისაა), ფონემური შესატყვისობების ძიებით.

***

თუმცა საკუთარ სახელთა გადატანის ტრანსკრიფციული (კერძოდ, პრაქტიკული ტრანსკრიფციის) მეთოდი საყოველთაოდ აღიარებულია, მთარგმნელობით პრაქტიკაში, უცხოური ლიტერატურის ქართულ თარგმანებში დღემდე ვხვდებით უზუსტობებს სახელთა გადმოტანისას. ქართულ ენაში ფეხი მოიკიდა ინგლისურ სახელთა არასწორმა ფორმებმა — გულივერი („გალივერის" ნაცვლად), სვიფტი (სუიფტი), ალისა (ელის), ვილი (უილი)... ბოლო წლებში გამოცემულ თარგმანებში ჩასწორდა: უოლტერ სკოტი, (წერდნენ „ვალტერ"), ჯონ გოლზუორთი (გოლსუორაი), ულიზბეთი (ელისაბედი), ჩარლზ, აივენჰო... მცდარი ტრადიციული ფორმის უკუგდება და სწორი ფორმის დამკვიდრება მისასალმებელი ტენდენციაა: „ხანდახან იცვლება და სწორდება ისეთი სახელებიც, რომლებიც ფართოდ ცნობილია და ხშირადაც იხმარება" (ა. სუპერანსკაია).

ერთი და იგივე უცხოური გვარი სხვადასხვაგვარად გადმოაქვთ ქართულად: უოტ უიტმენი — უოლტ უიტმანი (ზ. გამსახურდია); რედიარდ კიპლინგი — რადიარდ კიპლინგი (ე. გიორგაძე). ორივე მაგალითში მეორე ვარიანტი უფრო სწორად გადმოსცემს ორიგინალს.

გამომცემლობა „ნაკადულმა" გასულ წელს გამოსცა თარგმანი ამერიკელი პოეტის წიგნისა — ჰენრი ლონგფელო, „ჰაიავათას სიმღერა" (მეორე გამოცემა). ავტორის გვარის ტრანსკრიფციაა „ლონგფელოუ", პოემის გმირის სახელი წარმოითქმის „ჰაიაუოთა". ბგერათკომპლექსი „უო" ორიგინალში ძირითადია, მახვილიანია და ქართულში მისი გადმოტანა „ია" კომპლექსით გაუმართლებელია. სწორი იქნებოდა ასეთი ქართული ტრანსკრიფცია: ჰენრი ლონგფელოუ, „ჰაიაუოთას სიმღერა".

ონომასტიკის მკვლევარებმა რ. გილიაროვსკიმ და ბ. სტაროსტინმა დაამუშავეს უცხოური ენებიდან რუსულ ენაზე სახელთა გადატანის ცნობარი Р. С. Гиляровский, Б. А. Старостин. Иностранные имена и названия в русском тексте (справочник), изд. Международные отношения, М., 1978.

წიგნს უძღვის შესავალი, რომელშიც ჩამოყალიბებულია პრაქტიკული ტრანსკრიფციის მეთოდით სახელთა გადატანის თეორიული საფუძვლები. მოცემულია რუსული ასოების ტრანსლიტერაცია ლათინური ასოებით. დახასიათებულია საკუთარ სახელთა ვარიანტები და მათი გადატანის სპეციფიკა. აწერილია სახელთა გადატანაზე პრაქტიკული მუშაობის პროცესი. ავტორები ადარებენ რამდენიმე ევროპული და რუსული ენების ორთოგრაფიულ-ფონეტიკურ თავისებურებებს. ბოლოს მოცემულია უცხოურ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვ). — რუსულ ფონემათა შესატყვისობები და ყველაზე პოპულარული უცხოური სახელები რუსულ ენაზე. წიგნის შესავალში ამგვარი ცნობარის საჭიროებაზე ავტორები წერენ:

„ფართო საერთაშორისო ურთიერთობათა ეპოქაში საკუთარი სახელები ქმნიან ენის ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს. ბევრ ჩვენთაგანს — ჟურნალისტებს, დიპლომატებს, მეცნიერებს, რედაქტორებს, მთარგმნელებს, რეფერენტებს, ბიბლიოგრაფებს, ბიბლიოთეკარებს და სხვ. — ყოველდღიურ საქმიანობაში გვჭირდება უცხოური სახელის ჩაწერა რუსულ ტექსტში. უცხოური სახელი რომ წიგნიერად დავწეროთ რუსულად... შეგნებულად უნდა ავითვისოთ ტრანსკრიფციის საფუძვლები, გვესმოდეს საკუთარი სახელის ბუნება და დავეუფლოთ უცხოური სახელის გადმოცემის საშუალებებს".

მსგავსი უცხოურ-ქართული სახელების სარეკომენდაციო ცნობარი ქართულ ენაზეც საჭიროა. პრაქტიკული ცნობარის გამოცემას წინ უნდა უსწრებდეს უცხოურ-ქართული ონომასტიკის და ფონოლოგიის შედარებითი კვლევა, ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკის, მემკვიდრეობის ანალიზი; გასათვალისწინებელია, ზოგადად, სახელდებისა და, კერძოდ, საკუთარ სახელთა სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლებიც.

ისიც შეიძლება მოხდეს, რომ უცხოური სახელის გადმოტანის ტრადიციული ფორმა ქართული ენის ორგანული ნაწილი გახდეს და მისი შეცვლა ამ სიტყვის სახელდების ფუნქციას ხელყოფდეს. გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ძირითადი ტენდენცია უნდა გამოიკვეთოს — ქართულ ენაში შემოსული უცხოური სახელების არასწორი ფორმები მოითხოვს კორექტირებას. ამიტომ დგება საკითხი, თუნდაც დიდ ავტორიტეტთა თარგმანებში არასწორი ფორმა შეიცვალოს, როდესაც ამას მოითხოვს სახელთა გადატანის თანამედროვე ნორმები. „გეორგ" ისევე უცხოა ინგლისელისთვის, როგორც ჩვენთვის — ინგლისელის მიერ წარმოთქმული ჯორჯ ერისთავი ან მაიკლ მესხი... ინგლისურია „ჯორჯ" და არა „გეორგ".

□

გაიანე ალიგეგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კაკაბაძე

დაბადების 80 წლისთავის გამო

დავით კაკაბაძის შემოქმედება მოიცავს რევოლუციის წინა წლებსა და რევოლუციის შემდგომ ხანას. მის თვითმყოფად შემოქმედებაში ღრმად ერწყმის ერთმანეთს თანამედროვეობა და წარსული.

რთული იყო ხელოვანის ცხოვრება: თავიდან მის დიდ მონონებასა და აღიარებას მოჰყვა მძიმე ხანა, როდესაც მისი ხელოვნებისა არ ესმოდათ, ხოლო თვით იგი, როგორც შემოქმედი, გარიყული აღმოჩნდა, მაგრამ ამ დროსაც ქედმოუხრელად აგრძელებდა მუშაობას. მან ისევ მოიპოვა აღიარება, ოღონდ ეს უკვე მისი გარდაცვალების მერე მოხდა. მისი შემოქმედების გასაგებად და სწორად შესაფასებლად, განსაკუთრებით აუცილებელი გამოდგა დროითი დისტანცია, მისი „შორიდან ხილვა".

დიდად ნიჭიერი ფერმწერის ანალიტური გონება მას უბიძგებდა, გამოხმაურებოდა ხელოვნების ყველაზე თანამედროვე პრობლემებს. მის წინაშე წამოჭრილ კითხვებზე პასუხს იგი არა მარტო ფერწერულ ნაწარმოებებში ეძებდა, არამედ იშველიებდა თეორიულ კვლევა-ძიებებსაც.

დავით კაკაბაძის შემოქმედების თავისებურება განსაზღვრულია მისი „ხედვით", რომელიც საგანთა და მოვლენათა კერძო კი არა, ყველაზე ზოგადი, სახასიათო ნიშნების გამოვლენისკენაა მიმართული.

დავით კაკაბაძის ნაწარმოებთა ყოველი „სერია" თითქოს შემოქმედების ერთ დასრულებულ „თავს" წარმოადგენს.

ყოველ სერიაში ახალი მხატვრული საშუალებანია მოხმობილი და ეს შინაარსისა და ფორმის შესაბამისობის ძიების შედეგი არის. ასე მაგალითად, „ბრეტანის" (პარიზი 1912 წ.) აქვარელები, სველ ქაღალდზე დაღვენთილი ფერის ლაქები, ჰაერის სინოტივის, წყლის შთაბეჭდილებას გადმოგვცემენ, ჟღალი კლდეები თუ ნაპირზე შეფენილი მეთევზეთა სახლები ბრეტანის პეიზაჟის მუდმივი სპეციფიკის ძეტყველ ხატად წარმოგვიდგება. კომპოზიციის ყოველი ელემენტი, მხოლოდ კონტურის გაყოლებით დაფერილი, სახოვან სიმბოლოდ იქცევა, რომლის განმაზოგადებელ მნიშვნელობას ამახვილებს კომპაქტური, ქაღალდის ფურცლის თავისუფალ ზედაპირზე მკაფიოდ შემოსაზღვრული „კადრი". იმერულ პეიზაჟებში, როგორც მონუმენტურ, ისე მცირე სერიაში, წლობით უცვლელი რჩება მთების უნაპირობისაკენ მიმავალი პლანების თანამიმდევრობაცა და დიდი სიმაღლიდან დანახული ამავე მთათა კალთებზე შეფენილი ხალიჩების მაგვარი მინდვრებისა და ყანების მონაცვლეობა. ამ სერიაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა სივრცის პრობლემა, რომელიც მხატვარს ყოველთვის იტაცებდა. სივრცის პრობლემას უნდა დავუკავშიროთ, ნანილობრივ მაინც, აბსტრაქტული, დეკორაციული კომპოზიციების შექმნაც. ამ კომპოზიციებით დ. კაკაბაძე სახვითი ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობებს ეხმიანება. აბსტრაქტული სურათების მრავალი სხვა ავტორისაგან განსხვავებით, დავით კაკაბაძე თავის ნაწარმოებებს სახელებს არ არქმევს, ისინი წმინდა წყლის დეკორაციულ „პანოებად" აქვს წარმოდგენილი, რომელთა დანიშნულებაა თვალი „დაასვენოს" ხატოვანი თუ ფერადოვანი რიტმით, ესთეტიკურად დაატკბოს იგი.

დ. კაკაბაძე, პირველ ყოვლისა, პეიზაჟისტია, მაგრამ იგი პორტრეტებსაც ხატავს. პირველი ავტოპორტრეტი (1913 წ.) კუბიზმით გატაცების ნაყოფია. მაგრამ კუბიზმით გატაცება ხანგრძლივი არა ყოფილა. მალე დ. კაკაბაძე კუბიზმის აბსტრაქტულ გეომეტრიას ცოცხალი, პლასტიკური ხაზის ღირებულებას უპირისპირებს.

დ. კაკაბაძის შემოქმედების კლასიკურ ძიებას დაგვანახებს მისი პარადული ავტოპორტრეტები ბრონეულებით (1913 წ.) და წითელი ფარდის ფონზე (1917 წ.). კომპოზიცია აქტექნიკურია, პლანები თვალნათლივ შეპირის-

პირებულია ერთმანეთთან, ნახატი მკვეთრია, ავტოპორტრეტი სარკის წინ (1913 წ.) უფრო თავისუფალი ჩანს არა მარტო პოზისა და ტანისამოსის, არამედ წერის თავისუფალი მანერის გამოც, სადაც ფერის თხელი ფენის ქვეშ ჭვივის ტილოს ფაქტურა.

დ. კაკაბაძემ ერთადერთი ნატურმორტი შეასრულა, მაგრამ ეს ნატურმორტი ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. ქართველი გლეხის ყოფაცხოვრების დამახასიათებელი ნივთები მკაცრად მოწესრიგებულ კომპოზიციად არის გაერთიანებული. დეკორატიულობის შთაბეჭდილებას იწვევს შესქელებული კონტურის ლურჯით გამოყოფა და სუფრის სითეთრისა და საგნების მუქი შეფერილობის დაპირისპირების ეფექტი. აქაც დეკორაციულობა გამოსახული ნივთების ექსპრესიული დახასიათების საშუალებაა.

დ. კაკაბაძე ყოველთვის ეხმაურებოდა თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ ყველა მტკივნეულ პრობლემას. აქტიურად შემოდის მის პეიზაჟურ კომპოზიციებში ინდუსტრიის თემაც. ეს თემა ენაცვლება კოშკებსა და ციხე-დარბაზებს, რომელნიც მის ადრეულ იმერულ პეიზაჟებს ერთგვარ ნოსტალგიურობას ანიჭებდნენ. დ. კაკაბაძე ერთი პირველი ქართველი მხატვართაგანიცაა, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა თეატრში სამუშაოდ მიიწვია. სხვადასხვა წარმოდგენებს იგი მეტად განსხვავებულად აფორმებს, მაგრამ მისეული გადაწყვეტა მუდამ ლაკონური და ადვილად შესასრულებელია. ადრეულ გაფორმებათა გეომეტრიულად მკაცრი, განზოგადებული ფორმები თანდათანობით მეტი ფერადოვნებით იცვლება. სარკეების, ეკრანის, სათამაშო ბაქნების კომბინაციათა მოსწრებული გამოყენება მხატვარს სცენური დროისა და სივრცის გაზრდის საშუალებას აძლევს.

სიცოცხლის ბოლო წლების პეიზაჟურ სურათებში („ფოთი ელევატორი", „სვანეთი", „ყაზბეგი" 1949 წ.), მხატვარი ახალ გზას ეძებდა, რათა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გამომხატველი ასპექტი ახლებურად წარმოეჩინა.

დ. კაკაბაძის ტრაგედია ის იყო, რომ გრანდიოზული მასშტაბების განზოგადების მისეულმა მოთხოვნილებამ რამდენადმე გაუსწრო დროს.

დღეს დავით კაკაბაძის ხელოვნება გასაგები, ყველასათვის მისანდომია, ოსმოსის დაუფლების ეპოქის გლობალურმა ამოცანებმა განაპირობეს ხატოვანი აზროვნების ზემოქმედების დიდი ძალის მქონე ერთ-ერთი ფორმის, მხატვრული განზოგადების განვითარების აუცილებლობა.

დავით კაკაბაძის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო, მისი შემოქმედების ბრწყინვალე ანგარიშია და ამასთანავე ჩვენი საზოგადოების მიერ მხატვრის ხსოვნის წინაშე ერთგვარი ვალის მოხდაა.

□



დავით კაკაბაძე

ტყრიფი



ლენინ ფანაქიდი

6 / 80

76132

დავით ...ბაძე

ი. ბოსაშვილის ვიესის „სამშენებლის ეფრონსის“ დეკორაციის ესკიზი

ს3560000